АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

Институт истории, археологии и этнографии им И. А. Джавахишвили

Н. А. Бердзенишвили

Вопросы истории Грузии

КНИГА

VII

Издательство

«МЕЦНИЕРЕБА»

1974

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის არქეოლოგიისა ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ნ. ბერძენიშვილი

საქართველოს ისტორიის საკითხები

წიგნი VII

გამომცემლობა
«მეცნიერება»

1974

აკად. ნ. ბერძენიშვილის თხზულებათა VII ტომით იწყება განსვ. მეცნიერის არქივის გამოცემა, ანუ ისეთი თხზულებების გამოცემა, რომლებიც ავტორს დაუმთავრებელი დარჩა. ბევრი მათგანი ცალკეული საკითხის მხოლოდ წინასწარ მონახაზს წარმოადგენს. მაგრამ მათში გამოთქმული მოსაზრებები საქართველოს ისტორიის შემდგომი კვლევისათვის უეჭველად გასათვალისწინებელია.

ნ. ბერძენიშვილის დაუმთავრებელ ნაშრომთა შორის ერთ-ერთი ძირითადია შრომა, რომელსაც რედაქციამ სათაურად უწოდა „XI—XIII საუკუნეთა საქართველოს ისტორიიდან", შრომა ეძღვნება ფეოდალური საქართველოს ისტორიის საინტერესო საკითხს — დიდგვარიანთა ბრძოლას სამეფო ხელისუფლებასთან და ამ ბრძოლის კულმინაციურ მომენტს — ყუთლუ-არსლანის გამოსელას.

სარედაქციო კოლეგია: გ. აკოფაშვილი, მ. ბერძენიშვილი, მ. დუმბაძე, ი. სიხარულიძე, შ. ხანთაძე, გ. ჯამბურია

ბ 10601 / М 607 (03) — 74 126—74
© გამომცემლობა „მეცნიერება", 1974 წ.

XI — XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან

რედაქციისაგან

წინამდებარე ტომით იწყება აკად. ნ. ბერძენიშვილის არქივის (დაუმთავრებელ შრომათა) გამოცემა.

აკად. ნ. ბერძენიშვილის არქივიში ყურადღებას იპყრობს სამი საქაღალდე, რომელთაც განსვ. მეცნიერის ხელით აწერია „ყუთლუ". ესაა მასალა ვრცელი გამოკვლევისათვის, რომელიც შეეხება XI—XIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ისტორიას, კერძოდ, პოლიტიკური დასების — მეფისა და დიდგვარიანთა ბრძოლას და ამ ბრძოლის სოციალურ და ეკონომიურ საფუძვლებს. „ყუთლუ" ამ გამოკვლევის პირობითი სათაურია. (ერთგან ნ. ბერძენიშვილს აღნიშნული აქვს „ჩემი „ყუთლუ" ანუ XII საუკუნე").

ამ თემაზე ნ. ბერძენიშვილი, როგორც ჩანს, დიდი ხანი ფიქრობდა, იგი ამ თემის ირგვლივ აგროვებდა მასალას უკვე 30-იანი წლების დასაწყისიდან და აგრძელებდა მასზე მუშაობას უკანასკნელ ხანებამდე. (ნაშრომის ზოგიერთი ნაკვეთი დათარიღებულია ავტორისავე ხელით. დათარიღებულ ნაკვეთთაგან უადრესია 1935 წლით დათარიღებული, ყველაზე გვიანი კი 1963 წელსაა შესრულებული). მოპოვებულ მასალას, მისი ჩვეული წესისამებრ, ის თითქმის ყოველთვის საკუთარ მოსაზრებებს და დაკვირვებებს ურთავდა. ამ-კვარმა მასალამ შექმნა სამი დიდი საქაღალდე, რომლებშიაც სხვადასხვა ზომის დაახლოებით 2000 ფურცელია.

ამ საქაღალდეებში დაცული მასალა ორი ტიპისაა: გაბმული ტექსტები გარკვეულ საკითხებზე და ცალკეული მოსაზრებები, ზოგჯერ ერთეული ფრაზები სათანადო წყაროს ჩვენებათა ილუსტრაციით.

საჭირო იყო ამ მასალის გარკვეული თანამიმდევრობით დალაგება, თითოეული ჩანაწერისათვის შესაფერისი ადგილის მონახვა.

ამასთან აუცილებელი გახდა მოშველიება XI—XIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიის საკითხებზე არსებული იმ მასალისა, რომელიც მომიჯნავე თემატიკის სხვა საქაღალდეებში იყო მოთავსებული.

მთელი ეს მასალა რედაქციამ გააერთიანა რვა თავად. თავები დაყო პარაგრაფებად. თავები და პარაგრაფები რედაქციამვე დაასათაურა. რადგან ავტორისეული თხრობა ცალკეულ საკითხებს ეხება და ზოგჯერ მათ შორის ბუნებრივი გადასვლა არ არის, ამიტომ რედაქციამ ამა თუ იმ პარაგრაფში მოქცეული მასალა დანომრა. ამით ის მკითხველისათვის უფრო ადვილმოსახმარი გახდა.

რაკი ეს ნაშრომი ავტორს სიცოცხლეში არ გაუმართავს, ის მეტ წილად ატარებს ძიებით სახეს. საკითხთა ერთი ჯგუფი ბოლომდე არაა გადაწყვეტილი, ხოლო ზოგიერთში აისახა ავტორის შეხედულებათა ევოლუცია, ამიტომ ზოგჯერ ერთიდაიგივე საკითხზე გამოთქმულია განსხვავებული თვალსაზრისი.

რედაქციამ უცვლელად დატოვა წყაროთა მითითების ნ. ბერძენიშვილისეული წესი. მისი განმარტება მოცემულია შემოკლებათა ახსნაში.

რედაქციისეული სათაურები (თავებისა. და პარაგრაფებისა) ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში.

წინამდებარე ტომში შესული ყოველი ცალკეული კუპიურის ბოლოს მითითებულია საქაღალდის საარქივო ნომერი და ამ საქაღალდიდან გამოყენებული გვერდები. საარქივო ნომერი მოცემულია წილადის სახით, რომელშიაც მრიცხველი აღნიშნავს კარადის, ხოლო მნიშვნელი — საქაღალდის რიგით ნომერს[1].

მასალის ამოკრეფა-მოძიებაზე მუშაობდნენ აკად. ნ. ბერძენიშვილის არქივის შემსწავლელი კომისიის წევრები: გ. აკოფაშვილი. დ. ბერძენიშვილი, მ. ბერძნიშვილი, დ. მეგრელაძე, შ. ხანთაძე, ე. ხოშტარია, გ. ჯამბურია. ტექსტი საბოლოოდ გამართეს და რედაქცია გაუკეთეს მ. ბერძნიშვილმა და ნ. შოშიაშვილმა.

---

[1] ეს ნუმერაცია შედგა მაშინ, როდესაც ნ. ბერძენიშვილის არქივი მისსავე ბინაში იყო. ამჟამად ეს არქივი ხელნაწერთა ინსტიტუტშია, სადაც მას ახალი საინვენტარო ნომრები დაესმება, მაგრამ მინიშნებული იქნება ძველიც.

[შ ე ს ა ვ ა ლ ი][1]

1184 წელს ფეოდალური საქართველოს მეფის კარზე განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტი მოხდა. დიდგვარიან აზნაურთა სახლებიდან გამოსული სამეფო კარის მოხელეთა დიდი ჯგუფი გაიფიცა და ერთპირად მოითხოვა მეფისაგან უგვარო დიდმოხელეთა გადაყენება. ამავე დროს გამოვიდა ვაზირი მეჭურჭლეთუხუცესი, და მეფეს სახელმწიფო მმართველობაში კონსტიტუციური ხასიათის ცვლილების შეტანა მოსთხოვა.

აკადემიკოსი ი. ჯავახიშვილი მისთვის ჩვეული გულისხმიერებით მოეკიდა ამ შესანიშნავ ისტორიულ ფაქტს. მისი შრომა (ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II) ჯერჯერობით ერთადერთია ქართულ ისტორიოგრაფიაში, სადაც მოცემულია სერიოზული ცდა ამ მოვლენის შეფასებისა. სხვა მკვლევარები უპირატესად ამა თუ იმ მოსაზრების დაუსაბუთებლად გამოთქმით კმაყოფილდებიან (ყაბაძე, კარიჭაშვილი, მესხია, სოსელია, ბერძენიშვილი), რაც საკითხის გამორკვევას და მის მეცნიერულ შეფასებას არაფერს შველის. სამწუხაროდ აკად. ივ. ჯავახიშვილმა ეს ფაქტი მხოლოდ (უპირატესად) ფაქტოლოგიური მხრით შეისწავლა და ამ მიმართულებით ფრიად საყურადღებო მომენტებიც გამოარკვია. ღრმა საფუძვლიანი მისი ნაშრომი ამ მოვლენის შემდგომი შესწავლისას ყოვლად ძვირფასი და გვერდაუქცეველია, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, პატივცემულ მეცნიერს ეს ფაქტი ცალის მხრიდან აქვს განხილული და ამდენადვე ამ მოვლენის ყოველმხრივი შემდგომი შესწავლა ქართული ისტორიოგრაფიის დღის წესრიგში დგას.

მოვლენა კი მეტად მნიშვნელოვანია, შეიძლება ითქვას, რომ ეს მოვლენა ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი განვითარე-

---

1 როგორც ჩანს ეს ნაკვეთი დაწერილია 1958 წლის ახლო პერიოდში.

ბის ერთ-ერთი ფოკუსია, რომლის მეცნიერული ყოველმხრივი გაშუქება ნათელს მოფენდა მთელ რიგ პირველხარისხოვან საკითხებს. მართლაც და იმისათვის რომ სრულად და მართებულად შევაფასოთ ყუთლუ-არსლანის გამოსვლა, საჭიროა წარმოვაჩინოთ ამ გამოსვლის სოციალურ-პოლიტიკური შინაარსი. ამისათვის კი საჭიროა, რომ გავითვალისწინოთ საფუძვლები, ნიადაგი, რაზედაც ეს გამოსვლა აღმოცენდა, ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც ხსენებული გამოსვლის პირობა იყო. საჭიროა (და აუცილებელი) გათვალისწინება იმ დროის საქართველოს ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარებისა, სახელმწიფოებრივი წყობილებისა, კლასობრივი ვითარებისა, კლასთა ბრძოლისა, და მისი იდეურ-პოლიტიკურ გამოვლინებათა. მოკლედ საჭიროა სრული სურათი XII საუკუნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისა.

აი ასეთი სურათის წარმოჩენის შემდეგ და ამ სურათის საფუძველზე შეგვეძლება ჩვენ მართებულად შევაფასოთ ეს ისტორიული მოვლენა, მისი ხასიათი, მისი პოლიტიკური მნიშვნელობა.

ამოცანა, როგორც ვხედავთ, მძიმეა თუ გავითვალისწინებთ მთელი რიგი კარდინალური საკითხების შეუმუშავლობას და განსაკუთრებით ასეთი საკითხების სოციალურად შეუფასებლობას. და, ითქვას გულახდილად, ჩვენ დღემდის არ გვაქვს თანამედროვე მეცნიერული მოთხოვნილების-და შესაბამისად გამართული ჩვენი სამშობლოს ისტორიული განვითარების სურათი (ამ ნიადაგზე აიხსნება არა ერთი ცდა, სამწუხაროდ, წარუმატებელი ცდა საქართველოს ისტორიის მარქსისტულად გამართვისა. თავიანთ წამოწყებათა წარუმატებლობით ამ პატივცემულმა ამხანაგებმა ის დაამტკიცეს, რომ ეს საქმე მეტისმეტად რთულია და საქართველოს ისტორიის არასპეციალისტ მოყვარულთათვის აუტანელი სიმძიმისაა.

ამისგან დამოუკიდებლად ამ ამხანაგების განზრახულობა საპატიოა...). უკანასკნელ ხანს გამოსული საყურადღებო ნაშრომები ისტორიკოს-სპეციალისტებისა მხოლოდ პირველი ცდებია ამ მიმართულებით.

ვითარება განსაკუთრებით მძიმეა ძველ და საშუალო საუკუნეთა ისტორიის უბნებზე. და ჩვენ ამჟამად სწორედ ეს უკანასკნელი უბანი (საშუალო საუკუნეებისა) გვაინტერესებს. საკითხი იქამდე შეუსწავლელია, რომ დღემდეც არ არის უცილობლად გარკვეული ფეოდალური საზოგადოების ვითარება ადრეფეოდალურ ხანაში. ასევე შეუსწავლელია საქართველოს ფეოდალური მონარქიის წარმოქმნის საკითხი და ამ მონარქიის ხასიათი. კიდევ მეტი: გაურკვე-

ველია პატრონყმური ურთიერთობის რაობა, მისი გადასვლა ბატონ-ყმურ ურთიერთობაში. შეუსწავლელია სოციალური ურთიერთობის სხვა მრავალი საკითხი. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა ხსენებული ხანის ეკონომიური ისტორიის შესწავლის მხრით. აქ, ისევე როგორც სხვა უბნებში, მხოლოდ პირველი ცდებია ნაწარმოები. ასეთივე პირველად დაკვირკებებს არ სცილდება ამ დროის სამართლისა და იდეოლოგიის შესწავლის საკითხები. აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ ჩატარებული დიდი სამუშაოები პირველადი ხასიათისაა სამართლის, ეკონომიკის თუ პოლიტიკური ისტორიის დარგში და შემდგომ ფაქტოლოგიურ დაღრმავებულ მუშაობასა და მარქსისტულად აწყობას საჭიროებს. ასევე სხვა მკვლევართა წინამარქსისტული ნაშრომებიც... ასეთ პირობებში, გასაგებია, ჩვენი ამოცანა მეტად მძიმეა.

საქართველოს ისტორიის შესწავლას დღეს დიდი კოლექტივი აწარმოებს. კერძოდ ინტენსიური მუშაობაა გაჩაღებული საქართველოს ისტორიის ძველსა და საშუალო საუკუნეთა უბნებზეც. მონოგრაფიულად მუშავდება მრავალი საკითხი და არც დიდად შორსაა ის დრო, როცა ხსენებული ხანის საქართველოს ისტორია ღირსეულად შემუშავებული იქნება. და თუ მიუხედავად ამისა ჩვენ კვლევის საგნად ეს კარდინალური საკითხი გავიხადეთ, ეს იმ განზრახვით, რომ ზემოთ მოხსენებული სპეციალური საკითხების კვლევის გვერდით ზოგადი, შემაჯამებელი ხასიათის ნაშრომი მეცნიერული კვლევის საერთო წარმატებისათვის არანაკლებ საჭიროა. $\left(\frac{4}{21}\text{ ფ. } 125—131\right)$.

კულტურა,

სოციალური ურთიერთობა (ტყვეთა სიმრავლე), ქალაქების (დაბები) მ ე ტ ი ს მ ე ტ ი სიმრავლე,

ხელოსნობა, ხელოვნება,

ე ს ა ა წ ი ნ ა ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა.

საამისო ი დ ე ო ლ ო გ ი ა.

ა ი ე ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი უ ნ დ ა წ ა რ მ ო ვ ა ჩ ი ნ ო დ ა უ უ თ ლ უ ს ა დ გ ი ლ ი ა დ ვ ი ლ ი გ ა ს ა გ ე ბ ი ი ქ ნ ე ბ ა.

ამის ნაცვლად ჩვენ ვმსჯელობთ უსასრულოდ „თეორიულად“, სადაც იმდენია „ჰო“, რამდენიც „არა“... $\left(\frac{4}{23}\text{ ფ. } 14\right)$.

თ ა ვ ი I

[მეფისა და დიდგვარიანთა ბრძოლის ისტორია]

[§ I. მეფისა და დიდგვარიანთა ბრძოლა, ბაგრატ III, გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ის ხანაში].

ლიპარიტმაო „გ ა ნ ა ც ხ ა დ ა მ ტ ე რ ე ბ ა დ ა უ კ ე თ უ-
რ ე ბ ა ს ა ი წ უ რ თ ი დ ა ს ა წ ო ლ ს ა ზ ე დ ა თ კ ს ს ა“,
(ქცა, I, 325).

აქ ეს „უკეთურებასა იწურთიდა საწოლსა ზედა თკსსა“ ტექნიკური გამოთქმა უნდა იყოს (და არა ოჯახურ-მორალური, აქ ასეთი რამ არაფერ შუაში იქნებოდა).

ამასთან დაკავშირებით დავითის გამოთქმა ვმძლავრე საწოლსაო ასევე ტექნიკური გამოთქმა უნდა იყოს და შეიძლება სწორედ პოლიტიკური შინაარსის მძლავრობა იგულისხმებოდეს და არა რარაც ოჯახური ამბები. როგორც ამას ფიქრობენ...

როცა დავითი გამეფდა „მათ ჟამთა შინა ჰქონდეს თ რ ი ა ლ ე-
თ ი დ ა კ ლ დ ე კ ა რ ნ ი დ ა მ ი ო ბ დ გ ო ბ ი მ ი ს ი ქ უ ე ყ ა-
ნ ა ლ ი პ ა რ ი ტ ს და მეფესა დავითს წინაშე იყო რ ე ც ა ერთ-
გულად“.

მაგრამ მცირე ხნის შემდეგ „ლ ი პ ა რ ი ტ ა მ ი რ ა მ ა ნ იწყო მათვე მამულ პაპურთა კუალთა სლვა, რამეთუ ზაკვდა წინაშე მისსა მოპოვნებად უსჯულოებისა. დაღათუ ქრისტიანე იყო სახითა, გარნა ორგულება და სიძულილი პატრონთა გუარისაგან მოაქუნდა გონებითა და ვინათგან გულისხმისყოფა არა ინება კეთილისა. დადგა ყოველსა გზასა არაკეთილისა. ამას რა ესე ვითარებასა ხედვითა დავით, ინება გაწურთა მისი. ამისთვსცა პყრობილ ყო იგი ჟამ რაოდენმე, რომელი კმა იყო იგი განსასწავლელად გონიერისა ვის-

მე. და ისეთ მოტკიცებული მრავალთა და მტკიცეთა ფიცთა მიერ და ერთგულობისათვის ღმრთისა შუამდგომლად მომცემი განუტევა იგი და მითვე დიდებითა ადიდა და არა შეუცვალა.....

ხოლო იგი ვითარცა ძაღლი მიექცა ნათხევარსა და ვითარცა ღორი ინწუბა სანგორელსა მწკრისასა: განაცხადა მტერობა და უკეთურებასა იწურთიდა საწოლსა ზედა თჳსსა. იხილა რა... მეფემან დავით... მეორესა წელსა კუალად შეიპყრა, ორ წელ პყრობილყო და საბერძნეთს გაგზავნა და მუნ განეკუა ცხორებასა" (ქცა, ї, 325). შესანიშნავი მოწმობაა იმისა, თუ როგორ ეპყრობა დავითი, განსხვავებით გიორგი მეფისაგან ორგულ დიდგვარიან მოხელეებს... ლიპარიტ ბაღვაშის წინაპარი ჯერ კიდევ IX საუკუნეში ეუმო დავითის წინაპარს.

არ იქნა და ნორმალური საპატრონყმო ურთიერთობა არ დამყარდა ბაღვაშებსა და ბაგრატიონებს შორის. ბაღვაშები არ სცნობდნენ, რომ ისინი ბაგრატიონთა ნაწყალობევზე ისხდნენ კლდეკარიალეთში, არამედ, აფხაზეთის ერისთავის ლეონის მსგავსად, თავისი ქვეყნით შეეწყნარნენ ბაგრატიონებს და თავს იმ ქვეყნის მფლობელად რაცხდნენ, თუმცა ბაგრატიონთა ვასალობით... ბაგრატიონები კი მათ ისევე უყურებდნენ, როგორც სხვა მოხელე— ერისთავებს, რომელთაც საერისთავო ბაგრატიონთაგან ჰქონდათ სახელოდ მიღებული.... რაც უფრო ძლიერდებოდნენ ბაგრატიონები, „გამაერთიანებელი" მეფეები, მით უფრო და უფრო იჩენდნენ ტენდენციას როგორც საკუთარ ერისთავთა ისე ყმადნაფიცთა გადაქცევისას მოსაკარგავეებად.

და ეს იმ თავითვე ასე იყო და ამას აპირობებდა ფეოდალური ურთიერთობა, რომ ერისთავი — სულერთია რა წარმოშობისა იყო ესა თუ ის ფლანი, — თუნდაც ვინმე შემოხვეწილი ან უგვარო უმამულო, მაგრამ ერისთავად დასმული, ყმადნაფიცობისაკენ მიიწევდა, მთავრობისაკენ მიიწევდა, ხოლო მეფე იმას ცდილობდა, რომ ყველა ყმავალი მოსაკარგავედ გადაექცია, თუნდაც ის თავისი საკუთარი მამულით შეწყნარებოდა პატრონს. მაგრამ ამ დროის ფეოდალური სინამდვილე ისეთი იყო, რომ საკითხი საბოლოოდ გადაჭრის საფუძველს არ იძლეოდა, ერისთავი შუა რჩებოდა უბრალო მოსაკარგავესა და ყმადნაფიცს შორის.... ესა თუ ის მეფე მეტნაკლების წარმატებით ზოგჯერ ახერხებდა ერისთავთა გაერთგულებას, ზოგჯერ კი ორგულობა და ღალატი ბატონობდა... საქარ-

თველოს განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის ხანა ისე ჩათავდა, რომ ეს საკითხი საბოლოოდ არ გადაჭრილა და არც შეიძლებოდა გადაჭრილიყო: ამისათვის საჭირო იყო ახალი ურთიერთობა, უფრო მაღალი ტიპისა...

თრიალეთის ერისთავის საკითხი განსაკუთრებული ყურადღების საგანია IX—XII საუკუნეთა ფეოდალური საქართველოს ისტორიაში. უძველეს დროს თრიალეთი თითქო სამშვილდის საერისთაოში შედიოდა — (ქცა, I, 24), ასე იყო თითქო მონათმფლობელური ურთიერთობის დროს. შემდეგ, არჩილ მეფემ VIII საუკუნეში თრიალეთი, ტაშირი და აბოცი მირის ქალს მზითვად მისცა პიტიახშს ნათესავსა ფეროზისასა — ქცა, I, 241. შემდეგ, IX საუკუნეში თრიალეთი (ჯავახეთ-ტაშირი) — აბოც-ართაანთან ერთად— (ქცა, I, 257) უკვე გვარამ აშოტის ძე ბაგრატიონის ხელთაა.

სადღაც ამავე (IX) საუკუნის მეორე ნახევარში „შეიპყრნა ლიპარიტ ქვეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდეკართა, იპატრონსა დავით, ძე ბაგრატისა“ (ქცა, I, 258).

შეტად თავისებური ვითარებაა. აშოტ კურაპალატის შვილები, ბიძა-ძმისწულები, ერთი მეორეს ეცილებიან ქვეყნებს. ლიპარიტ (კაცხელი დიდი აზნაური ბაღვაში) ი პ ყ რ ო ბ ს (რა საშუალებით და როგორ, ეს გამოსარკვევია) გვარამ ბაგრატიონის სამფლობელო ქვეყანას და ეყმობა ამ ქვეყნით გვარამის მოქიშპეს დავით ბაგრატის ძეს, მისსავე ძმის წულს. არა ჩანს, რომ დავითი რეალურ-მატერიალურად დახმარებოდეს ლიპარიტს თრიალეთის დაპყრობაში. ამ ფაქტს დიდი კონფლიქტი მოყვა და ტრაგიკულად დასრულდა. (დავით, ნასრ...).

ამრიგად ლიპარიტმა თ ა ვ ი ს ი ს ა კ უ თ ა რ ი (ხმლითშოებული) ქვეყნით დავით ბაგრატიონის ყმობა იკისრა. დამახასიათებელია: ხაზგასმულია ლიპარიტის ინიციატივა „შ ე ი პ ყ რ ა ქვეყანანი... ა ღ ა გ ო ც ი ხ ე კ ლ დ ე კ ა რ თ ა და ი პ ა ტ რ ო ნ ა“...

აქ ლიპარიტის ყმობა, აი ისევ როგორც აფხაზთა ერისთავის (ამანაც იპატრონა) ლეონ პირველის ყმობა არჩილ მეფისადმი, გაისხვავებული ხასიათისაა, ვიდრე ყმობის ის შემთხვევები. როცა პატრონი (მეფე) საერისთაოზე დასმულ მოხელეს ნამზითვობით სამამულოდ უწყალობებს საერისთაო ტერიტორიის ნახევარს, ან როცა (დავითის ისტორიკოსი 324) ახლად მოსულ აზნაურს საერისთაოზე შეიწყალებს (როგორც არჩილმა ადარნასე ბაგრატიონი...). უკანასკნელი უპირატესად მოხელეა, მოსაკარგავია, თუმცა ვასალობის

ტენდენციით. რამდენადაც ფეოდალური ურთიერთობის ამ საფეხურზე ეს საერთო, ყველაფრის მომცველი ტენდენციაა. სიძე — ერისთავები შუა ადგილას არიან მოხელე — მოსაკარგავესა და ყმადნაფიცს შორის, ლიპარიტ — ლეონის ტიპის ყმები მოხელედ ფორმალურად ითვლებიან, პატრონს მორჩილებენ, მაგრამ უმცროსის უფროსთან მოკავშირეობის ელემენტს მაინც ატარებენ, შეწყნარებულნი არიან (აი როგორც სარიდანი თავისი სამეფოთი ფარსადან ხელმწიფესთან). ასეთი შეწყნარებულნი „მეფენი" არიან (სარიდანი, ავთანდილი, თამარის ხანის მთავრები — მეფეთა ადგილზე მსხდომები, მხოლოდ უახლოვდებიან ასეთ ვითარებას)... მართალია, საერთო ტენდენცია ანიველირებს ამ სამ ტიპს, მაგრამ საბოლოოდ ერთი ტიპი მაინც ვერ ყალიბდება...

ლიპარიტ ბაღვაში ცხოვლად მონაწილეობს იმ ბრძოლებში, რომელიც იმ დროს მიმდინარეობს „ქართლსა ზედა" სომეხთა მეფესა, ბაგრატიონ მთავრებსა, კახეთის მთავრებსა, აფხაზეთის მთავრებსა და არაბ ამირას შორის (ქცა, I, 259). ლიპარიტი აქ დავით ბაგრატიონის უფრო მოკავშირეა, ვიდრე მოხელე ერისთავი. და როგორც ჩანს, ბაღვაშები თავიანთ თავს სწორედ ასეთ „მეფეებად" რაცხდნენ. X საუკუნეში, როცა აფხაზთა მეფეები ქართლს ეუფლებიან საბოლოოდ, ბაღვაშები, რომელნიც აფხაზთ მეფეების ვასალები არ არიან, როგორც თრიალეთის მფლობელები, ახერხებდნენ თავისი ქვეყანა გააფართოვონ: იერთებენ მტკვრის სამხრეთით მდებარე ქართლს... „იყო მძს ჟამსა ერისთავად კლდეკართა რატი, და ჰქონდა ციხე ატენისა და ქართლისაგან მტკვარსა სამხრით კერძო ყოველივე თრიალეთი, მანგლისის ჭევი და სკკრეთი". ასე რომ ბაღვაშები ქართლის პყრობაში აფხაზთ მეფეებს ემეტოქებოდნენ: მტკვრის სამხრეთი ქვეყანა მათ ხელში იყო, ხოლო მტკვრის ჩრდილოეთი აფხაზთ მეფეებს ჰქონდათ.

გასაგებია, რომ აგრე გაძლიერებულ ვასალს პატრონისადმი მორჩილების ხალისი მცირე ექნებოდა და როცა ბაღვაშთა პატრონი ბაგრატ ბაგრატიონი აფხაზთა მეფე გახდა, ბაღვაშთა ვასალური მდგომარეობა დამძიმდა. ვიდრე ბაღვაშების სამფლობელო თრიალეთი „ქართველთა მეფის" (ბაგრატიონთა) საპატრონოს წარმოადგენდა, ე. ი. ვიდრე აფხაზთა მეფეები და ქართველთა მეფე „ქართლსა ზედა" იბრძოდნენ, ბაღვაშები თავს შედარებით თავისუფლად გრძნობდნენ. „ქართველთა მეფეები", ბაღვაშთა პატრონები, ძალაუნებურად. საფიქრებელია, ითმენდნენ ვასალის (ბაღვაშების) გაძლიერებას აფხაზთა მეფეების საზიანოდ ქართლის სამხრეთ მიწების

დაუფლებით. ბაღვაშები მოხერხებულად სარგებლობდნენ მეფეთა ურთიერთ შორის ბრძოლით და ბაგრატიონები, საფიქრებელია, ხელსაც უწყობდნენ კლდეკარის ერისთავს... ეხლა ბაგრატის აფხაზეთში გამეფებით ბაღვაშების მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ბაგრატი, ბუნებრივია, მორჩილებას მოსთხოვდა რატი „ერისთავს" (როგორც მას მატიანე უწოდებს) და მორჩილებას ერისთავობის პირზე და არა ნახევრად ხელმწიფე მფლობელის პირზე, როგორც ეს ბაღვაშებს სჩვეოდათ, საფიქრებელია, იძ თავიდანვე. ბაგრატ III იმ თვისებისა არ იყო, რომ მას დაუსჯელად დაეტოვებინა კლდეკარის ერისთავი რატი, რომელიც „არა მორჩილობდა კეთილად".

და მეფეს გადაუწყვეტია ურჩი ვასალის შეპყრობა, ვასალმა სცადა ნაცადი ხერხით თავის გადარჩენა: დავით კურაპალატს მიმართა. მაგრამ ბაგრატმა აქაც აჯობა და შეშფოთებული დავით კურაპალატი დაამშვიდა. დავითმა რატის დახმარებისაგან ხელი აიღო და ბაგრატს დაუდასტურა: „მითავისუფლებიხარ რატის ზედა, დ ა ი მ ო რ ჩ ი ლ ე ვ ი თ ა ც ა ს ა ხ ე დ გ წ ა დ ი ა ნ" (277). ბაგრატ მეფე კლდეკარს შემოადგა. რატი ბაღვაშს მორჩილების გარდა სხვა გზა არ ჰქონდა. რატი „გამოვიდა ვარე და გამოიტანა შვილი მისი ლიპარიტ თანა, შ ე ვ ე დ რ ა ბაგრატ აფხაზთა მეფესა და მისცა ციხე თკსი ბაგრატს და თკთ დაჯდა მამულსა თკსსა არგუეთს".

დავით კურაპალატის ზემოთ მოტანილი სიტყვა „დაიმორჩილე ვითარცა სახედ გწადიან" აშკარა მოწმობაა იმისა, რომ საკითხი ეხებოდა ბაღვაშის მორჩილების სახეს: რატი, როგორც ჩანს, არ უარყოფდა თავის ერთგვარ დამოკიდებულებას ბაგრატ ბაგრატიონისაგან, მაგრამ ეს მორჩილება იმ სახისა არ იყო, რომ აფხაზთა მეფე დაეკმაყოფილებინა, აკი მემატიანე აღნიშნავს რომ რატი „არა მორჩილობდა კეთილად ბაგრატ მეფესა". ეხლა მეფემ ბაღვაში ისე დაიმორჩილა, როგორც მას ენება. რატი თავის სიმტკიცე ციხეს მოეშვა, ის ბაგრატს გადასცა და შვილი ლიპარიტიც პატრონს შ ე ვ ე დ რ ა. ამ გამოთქმაში „შევედრა" მთელი მოვლენა იგულისხმება, ჩანს პატრონი და ვასალი ისე მორიგდნენ, რომ რატი ხელს აიღებდა თრიალეთზე, მაგრამ ისე, რომ კლდეკარსა და თრიალეთს პატრონი რატის შვილს ლიპარიტს უწყალობებდა. ასე რომ ლიპარიტს საერისთავო კლდეკარ — თრიალეთი ამიერიდან მამისაგან მემკვიდრეობად მიღებული კი აღარ ჰქონდა, არამედ მეფისაგან ნაწყალობევი. გარდა ამისა, ბაგრატ მეფეს ამ თავისი ერისთავისათვის საერისთავო ქვეყანა შეუმცირებია. მაინც და მაინც მტკვრის სამხრე-

თი ქართლი ატენის ციხით XI საუკუნეში კლდეკარის ერისთავს კი ალარ ეპყრა, არამედ საკუთრივ სამეფო იყო, შესაძლებელია. რაც შეეხება მანგლისის ხევსა და სკკრეთს (იხილე გოხნარის და მანგლისის სიონის წარწერები) — აქ განსხვავებული ვითარებაა გასათვალისწინებელი: სკკრეთ-მანგლისის ხევით ბაღვაშების საერისთავო — თრიალეთ-თბილისის საამიროს ესაზღვრებოდა. ამირა აფხაზთ მეფეთა, ისევე როგორც ტაოკლარჯეთის ბაგრატიონ „ქართველთა მეფის" საყმო არ იყო. საამირო დამოუკიდებელი ერთეული იყო, ასე რომ თრიალეთის ერისთავი საამირო ტერიტორიის მიმართ მონაპირე ერისთავი იყო. და როგორც საფიქრებელია, სკკრეთ-მანგლისის ხევი ბაღვაშებმა X საუკუნეში თბილისის ამირას წაართვეს. შეიძლება ვიფიქროთ აგრეთვე რომ ბაღვაშებს „პატრონები" ლოიალურად უყურებდნენ („ქართველთა მეფენიც" და შემდეგ „აფხაზთა მეფენიც"), კლდეკარელ მონაპირეთა ამ მიმართულებით გაძლიერებას. აფხაზთა მეფეთა პოზიცია ამ მხრივ მას შემდეგ შეიცვალა, რაც თბილისის საამირო აფხაზთა მეფეთა ყმადნაფიცი გახდა. (ბაღვაშები კი თავისი საერისთაოს გაზრდის ცდას საამიროს ხარჯზე არც ამის შემდეგ ანებებდნენ თავს...).

ამრიგად, ბაგრატ მეფემ კლდეკარელი ვასალი დაიმორჩილა და ლიპარიტ ბაღვაში ერისთავად დასვა. ჩვენ არა გვაქვს პირდაპირი ცნობა იმის შესახებ, თუ როგორი იყო ამის შემდეგ დამოკიდებულება ბაგრატსა და კლდეკარის ერისთავ ლიპარიტს შორის. ვიცით მხოლოდ, რომ კლდეკარის ერისთავი ერთგული დარჩა გიორგი მეფისა, როცა მეფის ყრმობით ისარგებლეს და ჰერეთ-კახეთის აზნაურები გაუდგნენ აფხაზთა მეფეს. 1021 წელს ერისთავი რატი ლიპარიტის ძე გიორგი მეფის ლაშქარში მონაწილეობს და მეორე ერისთავ ხურსისთან ერთად იღუპება შირიმის ომში (ქცა, I, 284 და 383). საერისთავო თრიალეთი კი თავისთვის საიმედო დასაყრდენად შეურჩევია ბასილი ბერძენთა მეფის წინააღმდეგ მებრძოლ გიორგი მეფეს.

სამაგიეროდ ჩვენთვის საინტერესო მოვლენები ჩანს კლდეკარის ერისთავებისა და აფხაზთა მეფეებს შორის ამის შემდეგ მომდევნო ხანაში, როცა სამეფო ტახტი ბაგრატ IV ხელთაა, ხოლო კლდეკარის ერისთავობა შირიმის ომში დაღუპული რატის ძმას ლიპარიტ ლიპარიტის ძეს აქვს. ბაგრატ მეფის ყრმობის ჟამს, როცა

ბიზანტიის კეისრის კოსტანტინეს ბრძანებით ბერძენთა ლაშქარი საქართველოს გაერთიანების მოშლასა და ამიერკავკასიაში ოდინდელი ბატონობის აღდგენას ცდილობდა, ხოლო არაერთი დიდებული აზნაური ერისთავი ზემო ქართლიდან ბერძენთა მხარეზე გადასულიყო, თრიალეთის ერისთავი აფხაზთა მეფის ერთგულებაზე იდგა. ლიპარიტმა გარს შემოიყარა ბაგრატის ერთგული აზნაურები და ბერძენთა ლაშქარი თრიალეთიდან უკუაქცია (ქცა, 1, 292 და 385), რითაც დიდი ერთგულება უჩვენა პატრონს.

ბაღვაშებისა და ბაგრატიონების პატრონყმობის თავგადასავალი სპეციალური დამუშავების ღირსი საკითხია საქართველოს ფეოდალური ურთიერთობის შესწავლისათვის. ყმადნაფიცთა, მთავართა, ერისთავთა ურთიერთობა პატრონ-მეფე-ხელმწიფესთან ასე სრულად წარმოდგენილი სხვაგან არსად გვხვდება ფეოდალური ურთიერთობის ამ ხანაში. ბაღვაშების გამოსვლიდან ქართლის ფეოდალურ ასპარეზზე IX საუკუნეში და ვიდრე მათ გადაშენებამდე XII საუკუნეში ჩვენ საშუალება გვაქვს მეტნაკლები სისრულით თვალი გავადევნოთ თანხმობასა და ბრძოლას პატრონსა და ყმას შორის... ყმის ერთგულება-ორგულობას. დაწუნებასა და ღალატს, ხოლო პატრონის მოწყალეობას, სამართლიანობას თუ მძლავრობას. წყაროები იძლევიან მასალას საბუთიანი მსჯელობისათვის იმის შესახებ, თუ როგორი იყო ყმის შეხედულება პატრონთან ურთიერთობაზე ყმისა და ყმასთან ურთიერთობაზე პატრონისა. როგორ იცვლებოდა ამ ურთიერთობის ხასიათი და როგორი იყო ურთიერთობის განვითარების ტენდენცია. ბაღვაშ-ბაგრატიონთა პატრონყმური ურთიერთობა ტიპიურია. ის დამახასიათებელი მაგალითია ამ ინსტიტუტისათვის აღებულ ხანაში და ამდენად მისი მონოგრაფიული შესწავლა ჩვენი ისტორიოგრაფიის ყოვლად საჭირო ამოცანაა.

ასევე „ერთგულობდა“ ლიპარიტ ბაგრატს შემდეგაც, ვიდრე მეფე ყრმა იყო. ქართლის ერისთავ ივანე აბაზაძესთან ერთად ლიპარიტი აღიარებული „პირი“ (წინამძღოლი) იყო ქართლის სამეფოს მოთაულთა და აფხაზთა მეფის სიუზერენულ ინტერესების დასაცავად იბრძოდა მისივე ინიციატივით მოწყობილ კოალიციაში განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ, რომელიც „იწუნებდა ყოველთა მოთაულთა ამის სამეფოსათა“, ე. ი. აფხაზთა მეფის ყმობისაგან წასვლას ცდილობდა. როგორც ჩანს, ლიპარიტი ბაღვაშთა სახლის პოლიტიკური კურსის წარმართვას თავისივე პაპის — რატი ერისთვისეული გზით აპირებდა. ოღონდ ახალი პირობების გათვალისწინებით. ეხლა დასავლეთის მხრით თრიალეთს აფხაზთა მეფის

სახასო ჯავახეთი ესაზღვრებოდა, ხოლო ჩრდილოეთით აფხაზთა მეფისაევ სახასო ან მისივე ყმების — ქართლის დიდაზნაურთა — მიწები ეკვროდა. ასე რომ დასავლეთით ბაღვაშთა სახლის სამფლობელო ტერიტორია პატრონის (ე. ი. აფხაზთა მეფის) ნების გარეშე ვერ გაფართოვდებოდა. საამისო სხვა გზა პატრონისაგან განდგომა და მის წინააღმდეგ აჯანყება იყო, მაგრამ საამისო ძალა კლდეკარის ერისთავს არ შესწევდა. სხვა ვითარება იყო თრიალეთის აღმოსავლეთით. აქ კლდეკარის ერისთავის სამფლობელო თბილისის საამიროს ესაზღვრებოდა. საამირო კი აფხაზთა მეფის სამტრო ქვეყანა იყო. ასე რომ თბილისის საამიროს წინააღმდეგ ბრძოლით ლიპარიტი ხერხიანად აპირებდა ერთსა და იმავე დროს პატრონისათვის ერთგულება ეჩვენებინა და მამეული სამფლობელოს (როგორც ის თავის საერისთავოს უყურებდა) ტერიტორიაც გაეფართოებინა. მონაპირე ერისთავ ლიპარიტს, ბუნებრივია იმედი ჰქონდა, რომ თბილისის საამიროსაგან წანართმევ ტერიტორიას მეფე პატრონი თავისივე მონაპირე ერისთავს (ე. ი. ლიპარიტს) უწყალობებდა. ლიპარიტმა „სიმცირისაევ შინა ბაგრატ მეფეთა“ ენერგიული ბრძოლა წამოიწყო საამიროს წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მას თავდაპირველად ქართლის ერისთავი ივანე აბაზაძე შველოდა, ერისთავებმა „გამოიტყუეს ტფილელი ამირა ჯაფარ და შეიპყრეს. და დიდი ხანი დაყვეს პატიმრობასა შინა და წარუღეს ბირთვისი“. ბირთვისი მანგლისის ხევში მდებარე ციხე იყო და ლიპარიტის სამფლობელოს ესაზღვრებოდა. რა თქმა უნდა, ამ დანაკლისს არ აკმარებდნენ ამირას, რომ საქმეში არ ჩარეულიყვნენ სხვა დიდებულები, რომელთაც როგორც ჩანს, ლიპარიტის გაძლიერება არაფრად ეჭაშნიკებოდათ. მათ საქმე ისე მოაგვარეს, რომ ამირა ეყმო აფხაზთა მეფეს და საამიროც გაქრობას გადაურჩა. „შ ე ი წ ყ ა ლ ა (ე. ი. იყმო ამირა) აფხაზთა მეფემან და გაუტევა ტფილისსა ზედა ამირად“. აფხაზთა მეფისთვის ეს ამირას ყმობა დიდი შენაძენი იყო, მაგრამ საქმის ვითარებით არც ლიპარიტი იყო კმაყოფილი, რომელიც იმედოვნებდა, რომ საამიროს თვითონ მიიღებდა მეფისაგან წყალობად, და არც ამირა, რომელიც იძულებული გახდა აფხაზთა მეფის ყმობა ეკისრა. ამიტომაც იყო რომ „მიერიდგან დარჩა მტერობა ლიპარიტეთ და ამირას შუა“ (ქცა, 297).

ლიპარიტი ამის შემდეგაც ენერგიულად ცდილობდა საამიროს მოშლას. „შემდგომად მცირედისა ჟამისა აზრახა ლიპარიტ ბაგრატს წაღება ტფილისისა“. კლდეკარის ერისთავი, უეჭველია, იმედოვ-

ნებდა, რომ მეფისაგან წყალობად მიიღებდა ქართლის იმ ნაწილს. ტფილისის ამირას რომ ეჭირა („ქართლის ამირას“ სახელოს). აფხაზთა მეფის ლაშქარი ტფილისს შემოსდგა და (ჰერეთ-კახეთის მეფის ლაშქრის დახმარებით) ასაღებად მისწურა ქალაქი. შეჭირვებული ამირა განძას გაქცევას აპირებდა და ლიპარიტის განაზრახი შესრულების პირას იყო, მაგრამ „რომელთამე დიდებულთა აფხაზთა მეფისათა ლიპარიტისაგან ფარულად გააზრახეს მეფესა არა განძება ამირასი და ფარულად ლიპარიტისაგან და აჰუიდეს ზავი ამირასა, გამოაცხადეს და დაამკვდრეს ამირა ტფილისსავე ზედა“. ლიპარიტის მოქიშპე ქართლის დიდებულებმა ბაგრატ მეფე, როგორც ჩანს, დაარწმუნეს წამოწყებული საქმის პოლიტიკურად არახელსაყრელობაში, ლიპარიტ ერისთავის შემდგომი გაძლიერება, რაც უთუოდ მოჰყვებოდა ტფილისის საამიროს გაუქმებას, არასასურველ საქმედ დაუსურათეს ახალგაზრდა მეფეს. ლიპარიტისაგან ფარულად ამირასთან საზავო მოლაპარაკება გამართეს და შესაფერისი პირობით (უეჭველია ყმობის პირზე) „დაამკვიდრეს ამირა ტფილისსავე ზედა“ — (ქცა, I, 298). ყველაფერი ეს ლიპარიტის სურვილის გარეშე და მის საწინააღმდეგოდ მოხდა. კლდეკარის ერისთავისათვის აშკარა გახდა, რომ მისი ახალგაზრდა პატრონი გამოცდილი ყმის გავლენის ქვეშ არ მოექცეოდა და „მიერითგან შეიქმნა ლიპარიტ ქუე გამხედვარად (ე. ი. მეფის აეის მდომელი) თავის პატრონისაგან“ (ქცა, I, 298).

ლიპარიტმა განათლებულმა და ჭკვიანმა პოლიტიკოსმა იცოდა თავისი პატრონის სუსტი მხარე. მართალია, ბიზანტია თითქო კეთილ საზავო განწყობილებაში იყო ბაგრატ მეფესთან, მაგრამ ეს უფრო გარეგნულად. სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს ციხე-ქალაქები და ქვეყნები ბიზანტიას მიტაცებული ჰქონდა და იქვე ბიზანტიაში იმყოფებოდა ბაგრატის ნახევარძმა დემეტრე. ბაგრატ მეფე ბიზანტიას ისე არ ყმობდა, როგორც ეს იმპერატორს ეწადა. ამიტომ უკანასკნელი ამ შორეული ვასალის გაძლიერებას უფრთხოდა და მის სუსტ მხარეებს საგანგებო ყურადღებით ეკიდებოდა. ლიპარიტმა ურთიერთობა გაბა ბიზანტიის კართან, ბაგრატის ნახევარ ძმა დემეტრესთან და აფხაზთა მეფის ორგულ დიდგვარიანებთან სამხრეთ დასავლეთ საქართველოდან, ასევე მიიმხრო ბაგრატის მიერ შევიწროებული კახნი. ამრიგად კლდეკარის ერისთავი გამოვიდა გამაერთიანებლად ყველა იმ ძალების, რაც კი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს გაერთიანებას, მის ცენტრალისტურად გაძლიერებას.

„გამოიყვანა ლიპარიტ დემეტრე, ძმა ბაგრატისი, საბერძნეთით ბერძენთა მეფისა ლაშქრითა და მიერთნეს სხუანიცა ვინმე დიდებულნი და აზნაურნი, მოვლეს ზემო ქუეყანა და ჩამოვიდეს ქართლს, მოადგეს ატენს, არე არე მოწუეს ქართლი, და ჰყვეს ლიპარიტს კახნი და ბერძენნი“ (298), ბაგრატს საკმაოდ აღმოაჩნდა ძალა და მტერმა ის ვერ გასტეხა. მაგრამ ლიპარიტმა მაინც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია: „დაეზავა ლიპარიტ აფხაზთა მეფესა, უბოძა მეფემან ქართლის ერისთაობა. წარვიდეს ბერძენნი საბერძნეთად და წარიტანეს დემეტრე თანა“. ამრიგად კლდეკარის ერისთავმა ომით მოიპოვა ქართლის ერისთაობა. ბაგრატ მეფე იძულებული იყო აგრე განედიდებინა და ამით შემოერიგებინა აჯანყებული ბაღვაში. ცხადია, რომ ასეთი პატრონყმობა მტკიცე ვერ იქნებოდა: ლიპარიტმა ბერძენთა ძალის აქტიური დახმარებით შეძლო ქართლის ერისთავობა მიეღო ბაგრატისაგან და ამიერიდან კეისრის აგენტად გამოდიოდა აფხაზთა მეფის ქვეყანაში. ბაგრატ მეფე კი დაქინებით იბრძოდა ქვეყნის გაერთიანება-განმტკიცებისათვის, იბრძოდა კახეთის შემოერთებისათვის, სომხითის შემოერთებისათვის, თბილისის საამიროს შემოერთებისათვის და ბერძენ დამპყრობელთა გასადევნად იმ ციხე ქალაქებიდან, რაც მათ დაპყრობილი ჰქონდათ აფხაზეთში, ტაო-კლარჯეთსა და ჯავახეთ-არტანში. და პატრონყმური სიყვარულიც ერისთავ ლიპარიტსა და აფხაზთა მეფეს შორის უმალ დაირღვა. აფხაზთა მეფეს შემოუერთდა ნებაყოფლობით სომხითის ქალაქი ანისი, რომლის ხელში ჩაგდებას სწორედ ამავე ხანებში მზაკვრულად ცდილობდა ბიზანტიის საკეისრო. ამავე დროს ბაგრატმა ენერგიული ომი დაიწყო ანაკოფიიდან ბერძენთა განსადევნად. მეორე მხრივ აფხაზთა მეფის ლაშქარი შავი ზღვის პირას მდებარე ქალაქ ხუფათს შემოადგა. ამრიგად, ბაგრატ მეფე ბიზანტიასთან აშკარა კონფლიქტის გზას დაადგა. ლიპარიტ ბაღვაში უეჭველად თავისთვის სახიფათოდ სთვლიდა აფხაზთა მეფის გაძლიერებას და ბერძენთა ძალის მოკლებას... კიდევ უფრო მტკივნეული იყო ორგული ლიპარტისათვის ის, რომ აფხაზთა მეფემ ტფილისი და მაშასადამე მთელი საამირო ქვეყანა ხელთ იგდო. სწორედ იმ დროს, როცა ბაგრატ მეფე ანაკოფიას ალყად იდგა, ტფილელი ჯაფარ ამირა გარდაცვალებულიყო. ჩანს ამირას მემკვიდრე არ დარჩენია და ქალაქის თავკაცები აფხაზთა მეფეს ეახლნენ, „უქადეს ქალაქი და უკმეს ს ა ს წ რ ა ფ ო დ“. ამირა აფხაზთა მეფის მიმართ ვასალურ დამოკიდებულებაში იყო და „უმკვირო“ ტფილისი მათ ეკუთვნოდა... მემატიანე სამწუხაროდ არ

აღნიშნავს თუ რა იყო მიზეზი იმისა, რომ ტფილელი ბერები „ს ა ს-წ რ ა ფ ო ,დ“ იწვევდნენ ბაგრატს. უსაფუძვლოდ არ გვეჩვენება ვიფიქროთ, რომ მათ ეშინოდათ რათა საამირო ტფილისი ლიპარიტ ბალვაშს არ დაეჭირა და ქალაქი ამ ფეოდალის ხელში არ დარჩენილიყო... ყოველ შემთხვევაში ის მაინც შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ კლდეკარის მფლობელი დიდად უკმაყოფილო იქნებოდა საქმის იმ ვითარებით, რომ საამიროს საკითხი მისი მონაწილეობის გარეშე გადაწყდა.) ყველა ამის გამო „კუალად იწყო ლიპარიტ მათვე ფიცხელთა საურავთა“. აჯანყებულმა ერისთავმა ნაცად საშუალებას მიმართა. ბერძენ დამპყრობელთა ერთგულმა ერისთავმა ანისით დაიწყო: აქ ახლად შემოერთებულ ანისში ბაგრატის დედა მარიამი იმყოფებოდა. ის სომეხთა მეფის სახლიშვილი იყო და ანელებმა ქალაქი მას გადასცეს. ლიპარიტმა გამოიტყუა დედოფლის დიდებულები და „შეიპყრა იგინი ანისის კარსა“. აჯანყებული ერისთავის შიშით ბაგრატმა „დააგდო ტფილისი“, და სახასო ჯავახეთში გადავიდა. აქ მეფეს მიუვიდა მაწყვერელი მესხთა ლაშქარით. ლიპარიტს კახები შეელოდნენ, მის საშველად გამოსულიყო დავით სომეხთა მეფის ლაშქარიც ქვემო ქართლიდან. პატრონი და ყმა ერთი მეორეს პირისპირ იდგნენ. ამ დროს „გამოექცა მაწყუერელი მეფესა ბაგრატს და შეეზრახა ლიპარიტს“. მესხთა ამ ღალატის გამო ბაგრატ მეფემ ჯავახეთი დატოვა და შიდა ქართლში ჩავიდა. ამასობაში ლიპარიტს მოუვიდა „ბერძენთა მეფისა განძი და ლაშქარი“, რომელსაც დემეტრე უფლისწულიც თან მოჰყვა. ლიპარიტის მცდელობით ქართველ დიდებულთა ნაწილი დემეტრეს მიემხრო, მეორე ნაწილი კი აფხაზთა მეფის ერთგულებას შერჩა. ამის შემდეგ ორჯერ შეებნენ ერთი მეორეს პატრონისა და ყმის ძალები: სასირეთის ჭალის თავს შიდა ქართლში და არყის ციხესთან (სამცხეში). ორივეჯერ გამარჯვება ლიპარიტს დარჩა. ამასობაში დემეტრე უფლისწული გარდაიცვალა. ასე რომ ლიპარიტი ფაქტიური მფლობელი გახდა „ზემო ქუეყნისა“, და ვინ იცის როგორ განვითარდებოდა ბრძოლა სუსტ პატრონსა და ძლიერ ყმას შორის, რომ შემთხვევით გარემოებას ლიპარიტის საქმე დროებით არ შეეფერხებინა. ამ დროს ბიზანტიის საზღვრებში (ბასიანის მხარეში) თურქები გამოჩდნენ. ლიპარიტი ზემო ქვეყნის ლაშქრით ბერძენთა საშველად წავიდა. ორდორის ომში ბერძენ-ქართველთა ლაშქარი დამარცხდა და ლიპარიტიც ტყვეე ჩაუვარდა თურქებს. ამით ისარგებლა ბაგრატმა და ზემო ქვეყნის შემომტკიცებას შეუდგა. ბაგრატი ამავე დროს შეეცადა სამსახური ეჩვენებინა კეის-

რისათვის და ბერძენთა ჯართან ერთად რანში განძის მხარეს ილაშქრა თურქთა წინააღმდეგ. ამავე ხანებში აფხაზთა მეფეს „კუალად უკმეს ტფილელთა და მოსცეს ტფილისი ბაგრატს და შეიყვანეს შინა!!“.

მაგრამ ეს „მშვიდობა და სიხარული“ ხანმოკლე აღმოჩნდა. ლიპარიტ ერისთავი ბერძნებმა ტყვეობიდან დაიხსნეს. გამოჩნდა თუ არა ლიპარიტი, ბაგრატმა ერთხელ კიდევ დააგდო ტფილისი, „აღმოვლო ქართლი და მოვიდა ჯავახეთს“ (ქცა, I, 303), ლიპარიტი საბერძნეთს წავიდა, კეისარს ეახლა და მოირთო ბერძენთა მეფისაგან ძალი“. ბაგრატს ეხლა უკვე არ შესწევდა ძალა ლიპარიტთან საომრად და აფხაზთა მეფე კეისარს ეახლა, სადაც ის სამ წელს გაატარეს „ლიპარიტის სათნოთა“ (ე. ი. ლიპარიტის სურვილის თანახმად). ამასობაში ლიპარიტ ერისთავი „მოიპყრნა ზემოსა კერძსა დაუკლებლად“, ე. ი. ზემო ქვეყნების ფაქტიური პატრონი გახდა. ამავე დროს გონიერმა ვასალმა თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად სხვა საშუალებასაც მიმართა. ლიპარიტმა კარგად იცოდა რომ მას საქართველოში გამეფება არ შეეძლო, არც ის დრო იყო ეხლა, რომ ბაღვაშთა სახლს დამოუკიდებელი სამფლობელო შეექმნა. ბაგრატიონის სახლის შვილის პატრონად ყოლა აუცილებელი იყო. დემეტრე, როგორც ვიცით, გარდაცვალებული იყო, ბაგრატი ლიპარიტისავე მიზეზით კეისრის კარზე იმყოფებოდა. საჭირო იყო მეფე პატრონი, რომ ქართველი დიდებულები შერიგებოდნენ ლიპარიტის გაპირველკაცებას. ამიტომაც იყო, რომ ლიპარიტმა „ითხოვა ძე ბაგრატისი გიორგი მეფედ“, ეს ყრმა უფლისწული ბაგრატ მეფემ საბერძნეთს გამგზავრების წინ „დაუტევა ქუთაისს მეფედ სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა“, ე. ი. დასავლეთ საქართველოს მეფედ. ლიპარიტმა კი ეს ყმაწვილი აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მეფედ გადმოიყვანა. ყრმა უფლისწული რუისს მეფედ აკურთხეს. ახლად გამეფებული გიორგის მ ზ რ დ ე ლ ო ბ ა ლიპარიტმა აიღო თავის თავზე. ამასობაში კეისარმა, უნდა ვიფიქროთ ლიპარიტის თანხმობით, ბაგრატ მეფე საქართველოში გამოისტუმრა. მეფე შემოვიდა აფხაზეთს, ე. ი. დასავლეთ საქართველოში „სახლად თკსად ქუთათის“.

ლიპარიტის აზრით, საქმე მოგვარებული იყო: ბაგრატ მეფეს აფხაზეთი, ე. ი. დასავლეთ საქართველო, დარჩებოდა, მისი შვილი გიორგი კი აღმოსავლეთ საქართველოში იმეფებდა. ხოლო გიორგის კამზრდელი ლიპარიტი სამხრეთ დასავლეთ საქართველოში იპატ-

რონებდა ბერძენთა მფარველობის ქვეშ და საქართველოს მეფის აღმზრდელი მის ნომინალურ ყმობაში დარჩებოდა. და მართლაც „ლიპარიტ მოირჭუნა ზემოსა კერძსა დაუკლებლად და იყო მოყუარედ მისა ხვარასანს დოღლუბეგ სულტანი და საბერძნეთს ბერძენთა მეფე. და ზრდიდა ბაგრატის ძესა გიორგის მცირესა სახელითა მეფობისათა, ხოლო ბაგრატს აქუნდა ლიხსა ქუემოთი კერძი დაწყობით (ქცა, I, 304). ამრიგად ლიპარიტის პოლიტიკური გეგმები ბიზანტიის პოლიტიკურ გეგმებს დაემთხვა, ან უკეთ ლიპარიტი ბიზანტიის აგრესიული გეგმების აქტიურ გამტარებლად გამოვიდა: საქართველოს გაერთიანების საქმე შეფერხდა და უკან წავიდა: ის ორ სამეფოდ გაიყო: აფხაზეთი (დასავლეთ საქართველო) და ზემო ქვეყანა (ქართლი). ტფილისის საამირო [ქვემო და შიდა ქართლის შუა], სომხითის მეფე (ქვემო ქართლში) და ჰერეთ-კახეთის მეფე. პოლიტიკურად დამოუკიდებელნი, საქართველოს სამეფოს გარეთ რჩებოდნენ. ქართლი, და განსაკუთრებით მისი სამხრეთი ნაწილი, ფაქტიურად ლიპარიტის ხელთ იყო და ყველანი ბიზანტიის კეისრის ხელის შემყურენი და მომსმენნი უნდა ყოფილიყვნენ... ანაკოფიას გარდა ბიზანტიის ხელთ რჩებოდა მრავალი ციხე კლარჯეთ-შავშეთ, ჯავახეთ, არტანში, მაგრამ ასეთი პოლიტიკური წყობა სრულიად შეუფერებელი იყო იმ დროის ფეოდალური საქართველოს განვითარებისათვის. უკვე ორასი წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც ასეთი პოლიტიკური დაქსაქსულობის წინააღმდეგ მიმართული სოციალურ-ეკონომიური განვითარება ახალ-ახალ პოზიციებს თანდათან იპყრობდა და საქართველოს (და ამიერკავკასიის) პოლიტიკური გაერთიანების დასრულების საქმე ამ პროგრესული მოძრაობის დღის წესრიგში იდგა. ასე რომ კეისრისა და მისი აგენტი ლიპარიტის ეს პოლიტიკა საქართველოს შემდგომი წინსვლის შემაფერხებელი რ ე ა ქ ც ი უ ლ ი ღონისძიება იყო... შექმნილი პოლიტიკური ვითარება მართლაც დღემოკლე აღმოჩნდა.

„მცირედისა ჟამისა შემდგომად ამის სამეფოსა დიდებულთა მოეწყინა პატრონობა ლიპარიტისი“. სულა კალმეხელი და ყოველნი მესხნი გამოექცეს (ე. ი. გადაუდგნენ, აუჯანყდნენ) ლიპარიტს და შეიპყრეს დლიეს (ჯავახეთში. — ამ სოფელს ეხლა დილიფს უწოდებენ) — ლიპარიტ და ძე მისი ივანე (ქცა, I, 304). სულა კალმახელმა ბაგრატ მეფეს მოუწოდა. აფხაზეთის მეფე ჯავახეთს სულთას (ეს სოფელი ეხლაც არსებობს სულდას სახელით) მოვიდა და ტყვეები ჩაიბარა (სულა კალმახელმა ბაგრატ მეფისაგან ისეთი წყალობა მიიღო, რაც უნდოდა, ე. ი. რაც კი ითხოვა: „ამის მსა-

ხურებისა ნაცულად მეფემან უბოძა სულას მამულობით — ე. ი. სამემკვიდრეოდ — ციხისჯუარი და ოძრეე ბოდოკლდითა და სხუაჲ მრავალი საქონელი და სამღდუდელთ მოძღურონი და რაც უნდა"). დამარცხებულ ლიპარიტს მეფემ ჩამოართვა ქალაქები და ციხეები (არტანუჯი, ყუელი, უფლისციხე, ბირთვისი), ჩამოართვა კლდეკარის ციხე და იძულებულყო ეს შეურიგებელი ვასალი გასცლოდა საქართველოს. ლიპარიტი ბერად შედგა და კონსტანტინეპოლს წავიდა, ხოლო თავისი შვილი ივანე ბაგრატს „შეევედრა" — ე. ი. მეფის მოწყალებას მიანდო. მეფემ ივანეს არგვეთის მამული დაუტოვა, მაგრამ რაიმე თანამდებობა არ მისცა. ივანე მალე კონსტანტინეპოლში გაიპარა და იქ რამოდენიმე წელს დარჩა. ლიპარიტის თხოვნით და, საფიქრებელია, კეისრის შუამდგომლობით ბაგრატ მეფემ „გამოიყვანა" ივანე „ამას სამეფოსა და უბოძა მამული არგუეთისა და ქართლისა", ე. ი. ივანე ლიპარიტის ძე ისევ კლდეკარის ერისთავი გახდა. „და ჰმონებდა" ბაგრატ მეფეს „ერთგულობით. და იყო თავად თავადთავე თანა ამის სამეფოსათა და სპასალარ სიკეთითა მისითა". ბაგრატის პოზიციები ეხლა ისეთი ძლიერი იყო, რომ ივანე ბაღვაშს „ერთგულობის" მეტი არაფერი დარჩენოდა, ხოლო თუ როგორი გულგაწმენდილი ერთგული ყმა იყო ლიპარიტის ეს მემკვიდრე, კარგად გამოჩნდა ცოტა ხნის შემდგომ, ბაგრატის შვილის გიორგის მეფობის ჟამს.

ლიპარიტის დამარცხება მისი მფარველი ბიზანტიის დამარცხებაც იყო, თუმცა კეისარი ამას არც იფერებდა და გამარჯვებულ ბაგრატს წყალობას არ აკლებდა; ამავე დროს კი მძლავრებით მიტაცებული საქართველოს ციხეები აფხაზეთში, კლარჯეთში, ჯავახეთსა და არტანში ბერძენთა ხელში რჩებოდა. ბაგრატ მეფეს ჯერჯერობით ძალა არ შესწევდა კეისრის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლისათვის და დიპლომატიურად იფერებდა ხელმწიფის წყალობას.... სამაგიეროდ ბაგრატ მეფე ენერგიულად იბრძოდა კახეთის, ქვემო ქართლის (სომხითის) და თბილისის საამიროს შემოერთებისათვის. მაგრამ ამ დიდ საქმეში ბაგრატ მეფის წარმატება ძლიერად შეაფერხა აღმოსავლეთით მოზღვავებულ თურქსელჩუკთა შემოსევებმა, რომელთაც მალე სულერთიანად შეცვალეს ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა.

სამეფოს საშინაო ურთიერთობაში აფხაზთა მეფის პოლიტიკური წარმატება შესამჩნევი იყო. 1065 წლის ახლო მეფემ ხელთ იგდო ქართლის დიდგვარიან აზნაურთა სახლი — ხუთი ძმა აბაზა-

ძე, რომელნიც დიდი ხანია ურჩობდნენ და მეფის შეპყრობაც „ეგულებოდათ“. ამის შემდეგ ბაგრატის მეფობის დასასრულამდე აღარავინ ჩანს ქართველ დიდაზნაურთაგან მეფის წინააღმდეგ აშკარა აჯანყებული. თავდადებით მსახურებდა პატრონს ივანე ლიპარიტის ძე სამხედრო თუ დიპლომატიურ ასპარეზზე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასეთი ერთგულების სანაცვლოდ წყალობად მიიღო ივანემ ქართლის „ამირას“ პატივი მაშინ, როცა აფხაზთა მეფემ ტფილისის საამიროს ჩამოართვა ციხენი: რუსთავი, ფარცხისი, აგარანი, გრიგოლ წმინდანი, ქავაზინი, ე. ი. თითქმის მთელი საამიროს ტერიტორია (საკუთრივ თბილისის გამოკლებით)...

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, პოლიტიკური მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა XI საუკუნის 70-იან წლებში. ბიზანტია თურქებთან ბრძოლაში დამარცხდა და აღმოსავლეთი დასცალა. კერძოდ, ბერძენთა ჯარებმა დატოვეს სომხეთის და საქართველოს ყველა ციხე, ქალაქი. თურქ სელჯუკები ამიერკავკასიის დაპყრობას შეუდგნენ. ბაგრატ მეფე ამ დროს კარგა ხნის გარდაცვალებული იყო და ქვეყანას მისი ძე გიორგი მართავდა.

ჯერ ისევ 1074 წელს „თავადთა, ე. ი. (თავკაცებმა) ამის სამეფოსათა ნიანია ქუაბულის ძემან, და ივანე ლიპარიტის ძემან, ვარდან სუანთა ერისთავმან რეცა თუ იკლეს რამე სიყრმით გიორგი მეფესათა და აუშალეს ქუეყანა“. ახალგაზრდა და სუსტი ნებისყოფის მეფემ მხოლოდ ის მოახერხა, რომ აჯანყებული ყმები „ყოველივე ერთგული და ორგული დაფარა წყალობითა და დაიწყნარა მეფობა“... ყერძოდ ივანე ლიპარიტის ძემ მეფისაგან წყალობად მიიღო ციხე-ქალაქი სამშვილდე, ხოლო ივანეს შვილმა ლიპარიტმა ციხე ლოწობანი. ამის შემდეგ კიდევ ორჯერ გადაუდგა ივანე თავის პატრონს და მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში იარ მოერიდა არა მარტო აფხაზთა მეფის გიორგი მეფის სამტროდ მოქიშპე გამაჰმადიანებულ კახეთის მეფესთან კავშირს, არამედ დაუკავშირდა განძის მფლობელ ამირა ფადლონს, ხოლო უფრო გვიან, როდესაც „მტერად ყოველთა ქრისტიანეთა“ „მოვიდა სულტანი მალიქშა“ (ე. ი. სელჯუკიან თურქთა ჯელმწიფე) და ქართლის ასაოხრებლად ურდოები გაუსია თავისი პატრონის ორგულობა-მოღალატეობაში მოხუცებულმა ივანემ — მიაგება ძე მისი ლიპარიტ წინა, შ ე ა წ ყ ნ ა რ ა სულტანსა“ (ქცა, I, 316), ე. ი. სულტან მალიქშას სახით მფარველის მოპოება სცადა გიორგი მეფის საწინააღმდეგოდ.

ამასობაში საქართველოში „დიდი თურქობა“ შეიქმნა. გიორგი მეფე სულტანის მოხარკე შეიქმნა, ხოლო ქვეყანა თურქ მომთაბარე

ურდოების მიერ ბოლომოუღებელი ძარცვა-რბევის სარბიელი გახდა.

კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ქვეყანამ გამოსავალი იპოვა. 1089 წელს სამეფო კარზე დიდი ცვლილება მოხდა. სუსტი გიორგი მეფე გადადგა და 16 წლის ყმაწვილი დავითი გამეფდა... (ამაზე სხვაგან). ქვეყანა თურქთა წინააღმდეგ დიდი ომის სამზადისს შეუდგა.

და სწორედ ამ დროს ლიპარიტ ამირამან იწყო მამაპაპურთა კუალთა სლვა... და „განაცხადა მტერობა"...

[1048 წელს აფხაზთა მეფის ერისთავი ლიპარიტი ბიზანტიის საკარისკაცო პატივს ატარებს „მაგისტროსი"] $\left(\frac{4}{22}\text{ ფ. } 36-60\right)$.

[§ 2. დავითის ხანა]

1. ჩვენ არ მოგვეპოვება იმის პირდაპირი ცნობები, თუ როგორ მოხდა დავითის გამეფება. ისტორიკოსი სიტყვა ძვირობით ამბობს: დავითიო „მას ჟამსა იყო ჰასაკითა თექუსმეტისა წლისა, ხოლო ქრონიკონი სამას და ცხრა. ამას მარტოდ შობილსა გიორგისაგან თჳთ მამამან დაადგა გჳრგჳნი მეფობისა და, უჭეშმარიტესი ვთქუათა, თჳთ მამამან ზეცათამან პოვა დავით" და მოჰყვება მეფის კურთხევის საეკლესიო წესიდან ამოკრებილ ციტატებს...

და ეს მოხდა 1089 წელს, საქართველოს უკიდურესი გასაჭირის ჟამს, როცა ქართლში, ისევე როგორც მთელს სამხრეთ საქართველოში, „თვნიერ ციხეთა სადამე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცა რა შენებულობა" — ე. ი. როცა საქართველოში დიდი თურქობა მძვინვარებდა. ასეთ ვითარებაში 16 წლის ყმაწვილის გამეფება თავისთავად დამაფიქრებელია, მით უფრო რომ გიორგი მეფე ჯერ კიდევ მოხუცი არ იყო. ის ამ დროს 50 წლისაზე ნაკლები იყო და, როგორც შეიძლება ვიფიქროთ ამ აქტის შემდეგ ოც წელს ცოცხლობდა (1103 წელს რუის-ურბნისის საეკლესიო კრება მას ცოცხლად იხსენიებს და, როგორც თ. ჟორდანია სამართლიანად ბგონებს, გიორგი მეფე 1112 წელს უნდა გარდაცვლილიყოს), და არც ხალისი დაუკარგავს სახელმწიფო პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისა (ამას მოწმობს თვით დავითის სიტყვები, შიო მღვიმის 1123 წლის ანდერძში, ზედაზნის ერისთავის ძაგანის საქ-

მესთან დაკავშირებით — ისტ. საბ. შ. მღ. მონასტრისა, 18). ეხლა თუ გავიხსენებთ, რომ დავითის ისტორიკოსიც აღნიშნავს რაღაც ცოდვას, დავითს რომ ყმაწვილობაში ჩაუდენია (და იქ უმსუბუქებს...) და თვით დავითიც თავის „გალობანი სინანულისანი"-ში და ანდერძში („ქრონიკები", II. 105 ისტ. საბ. შ. მღ. 17) საგანგებოდ იხსენიებს მას, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ყრმობის ცოდვა გიორგი მეფეზე ხმარებული მძლავრობა შეიძლება იყოს. ესეც რომ არ იყოს (და შეიძლება იყოს: დავითი მახსოვს, ამბობს საწოლსა ვმძლავრეო...) და საქმე უფრო მარტივად წარმოვიდგინოთ, ე. ი. რომ გიორგი მეფემ 16 წლის დაჭითი თანამოსაყდრედ დასვა, რაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო იმ დროის საქართველოში. თითქო ეს ასეც იყო: ძეგლის წერაში 1103 წელს გიორგი მეფეთა მეფედ იწოდება, მაგრამ აქვე დავითის მოხსენიება ისეთია, რომ აშკარად მოჩანს „გიორგი მეფეთა მეფისა და ყოვლისა აღმოსავლეთის ჯესაროსის" ცარიელი პატივი...

ამიტომ არ იქნებოდა მართალი, რომ გიორგი მეფის მოუხსენებლობა 1089 წლის შემდეგ ჩვენ დავითის ისტორიკოსის ცალმხრივობით და დავითისადმი მიკერძებით აგვეხსნა. საქმე როგორც ჩანს, ისე იყო, რომ გიორგი მეფე აიძულეს მემკვიდრე დავითი თანამოსაყდრედ დაესვა და ქვეყნის მართვა-გამგეობა მისთვის (და მისი მომხრე დასისათვის) დაეთმო. ამას მოწმობს ძეგლისწერაში მეფეთა (გიორგის და დავითის) მრავალჟამეულობის ხასიათი. ამას მოწმობს დავითის ისტორიკოსის მონათხრობი მთელი ისტორია. ასე რომ ცხადია: გიორგი მეფე სახელმწიფო საქმეებს ჩამოაშორეს და რა თქმა უნდა, ამის ინიციატორი იყო არა თექვსმეტი წლის ყმაწვილი, არამედ მეფის კარზე მყოფთა ენერგიული დასი. ეხლა თუ თვალს გადავავლებთ ამ დასის მოღვაწეობას დავითის მეფობის როგორც დასაწყის ხანაში (როცა ბაღდაშები გაანადგურა დავითი ოცი წლის იყო, როცა სულტანს ხარკი შეუწყვიტა დავითი 24 წლის იყო, როცა ზედაზნის ერისთავი გაანადგურა დავითი 28 წლის იყო, როცა საეკლესიო კრება მოიწვია დავითი 31 წლის იყო). ისე მთელი მეფობის განმავლობაში, და დავუკვირდებით გიორგი მწიგნობართუხუცესის დახასიათებას და დავითის მეფობის ხასიათს, კურსს. ჩვენ შეგვიძლიან დარწმუნებით ვთქვათ, რომ 1089 წელს სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, რომ ეს გადატრიალება სამეფო კარზე გავლენიანმა ჯგუფმა გამოიწვია, რომ ამ გადატრიალების იდეური ხელმძღვანელი იყო გიორგი ჭყონდიდელი.

ისე ეტყობა შთაბეჭდილება ისეთია, რომ დავითის ისტორიკოსი გაურბის საუბარს დავითის გამეფების შესახებ. ის უმალვე იწყებს საუბარს იმაზე, თუ როგორ აირჩია ღმერთმა თავისი ნების ამსრულებელი და როგორ მიაღწია მეფემ იმ წარმატებას, რაც „წინამდებარე სიტყვამან ცხადყოსო“!!... ასეთი სიტყვაძვირობა და ვიორგი მეფის ცალი სიტყვითაც კი მოუხსენებლობა ამის შემდეგ — ისტორიკოსი იმასაც კი არ ცნობს საჭიროდ, რომ ამ მეფის ვარდაცვალება აღნიშნოს, ხოლო გიორგი მწიგნობართუხუცესის ვარდაცვალება საგანგებოდ აქვს გამოყოფილი, — ყველაფერი ეს ისევ იმ ვარაუდს აძლიერებს, რომ 1089 წელს კარზე ფაქტიურად გადატრიალება მოხდა....

ჩვენი ისტორიკოსისათვის გიორგი მეფე 1089 წელს გათავდა, მისი პოლიტიკა შეიცვალა და ამიერიდან რაც კეთდება, ის დავითის საქმეა... $\left(\frac{1}{22}\right.$, ფურც. 93—95$\left.\right)$.

2. დავითის წინაშე განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანა იდგა: ქვეყნის გაერთიანება. გაერთიანება კი ახალი ხარისხის საზოგადოებას ჰგულისხმობდა და შესაძლებელი იყო იმდენად, რამდენადაც ეს ახალი ხარისხის საზოგადოება ძველის არსებობის ვითარებაში იშვებოდა. ასე რომ პოლიტიკური გაერთიანება ეს იყო ბატონყმობის წარმოქმნის თანხმლები პროცესი... თუ ეს ახალი, ფეოდალური ურთიერთობის მაღალი საფეხურის წარმოქმნა არა, ისე გაერთიანება შემთხვევითი და ეფემერული დარჩებოდა... საჭირო იყო ახალი ხარისხის საზოგადოების შესაფერისი სახელმწიფოებრივი წყობილება. დავითამდე ასეთი რამ არ ჩატარებულა და საქართველო ადრეფეოდალური ურთიერთობის წყობისა რჩებოდა ერისთავებით, Primus inter pares მთავრებით (ეს ცნება მთავარი შესანიშნავი შესატყვისია Primus-ის, რომლის pares-ი ერისთავებია, შესანიშნავი სიზუსტით არის გადმოცემული). სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესანიშნავი ცოდნით არის გადმოცემული მეფობის მოსპობის ფაქტი და მთავრობის ინსტიტუტის შემოღების შეწყნარება სპარსელ-ბერძენთაგან: ეს არის ფეოდალური ურთიერთობის, ადრეფეოდალური ურთიერთობის, ე. ი. ერისთავთა უფლების ცნობა. ერისთავები, ერის თავების საკრებულო (-დარბაზი) და მთავარი, რომელსაც ძველ ტრადიციის თანახმად მეფესაც უწოდებენ ზოგად სიტყვახმარებაში (და არა ოფიციალურად)... ამ ადრე ფეო-

ფეოდალური ურთიერთობის თეორიული დასაფუძვლებაა მირისა და არჩილის პოლიტიკური ღონისძიებები ფეოდალური ქართლის შეკრებისა სიძე ერისთავებით, სააზნაურო კახეთით, სამეფო ეგრისით, საყმო აფხაზეთით.. და აი ასეთი ქვეყანა იწყებს შეკრებას... მაგრამ ეს გაერთიანება ემყარება ღრმა სოციალურსა და ეკონომიურ პროცესს და დასაგვირგვინებლად მოითხოვს შესაფერის სახელმწიფო წყობის ჩამოყალიბებას. და დამახასიათებელია: ბაგრატის მიერ გაერთიანებული საქართველო უმალ დაიშალა — ჰერეთ-კახეთი ჩამოსცილდა, ქართლი ასევე, მესხეთიც თავკერძ გაიწია — და სხვ.

მხოლოდ დავითის დროიდან არის რომ ცენტრი ცენტრად იქცა და არც ქვეყნის უკუდგომის ფაქტებს ჰქონია ადგილი (სხვა საქმეა მეფის წინააღმდეგ განდგომანი...). ერთი სიტყვით ეს იყო ახალი ბატონყმური საქართველო $\left(\frac{\text{მ-2}}{14}\ \text{ფ. 7}\right)$.

3. საქართველოში რომ სათანადო პირობები შემზადებული არ ყოფილიყო, დავით აღმაშენებელი, რა თქმა უნდა, იმ რეფორმებს ვერ ჩაატარებდა, რომლის შედეგად ახალი სახელმწიფო წყობილება შეიქმნა. არსებითად ეს იყო დიდს ბრძოლაში გადამწყვეტი ხასიათის ტეხილი, ბრძოლაში, რომელიც მთელი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა ბატონყმური ცენტრალისტური სახელმწიფოს შექმნისათვის.

ეს ბრძოლა გაცილებით უფრო ადრე მიაღწევდა თავის კრიტიკულ ხანას, რომ საგარეო ხასიათის მოვლენებს არ შეეფერხებინათ საქართველოს (და ამიერკავკასიის) ნორმალური განვითარება. IX—X საუკუნის მოვლენები („გაერთიანებისათვის" ბრძოლა, უკეთ მსხვილი ერთეულების წარმოქმნისათვის ბრძოლა, რომელშიაც ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ როგორც ქართული, ისე არა ქართული ერთეულები) იმას მოწმობდა რომ ამ ბრძოლის შედეგად უნდა წარმოქმნილიყო ერთი დიდი პოლიტიკური ერთეული — ფეოდალურ-ბატონყმური ცენტრალისტური სახელმწიფო. ბაგრატ III ამ ბრძოლის ერთი ეტაპი იყო. მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა ამის მოწმობა იყო და უეჭველია ამ მიმართულებით განვითარება გაცილებით უფრო სწრაფად წავიდოდა, თუ არ ბიზანტიის ენერგიული ბრძოლა იმის წინააღმდეგ. რათა საქართველოს ეს გაერთიანება და გაძლიერება არ მომხდარიყო, და თურქ სელჩუკთა შემოსევანი, რაც ქვეყნის განვითარების უკან დახევას და მის გადაშენე-

ბას მოასწავებდა. მთელმა XI საუკუნეშ ასეთ ვითარებაში ჩაიარა. ეს ვითარება კვებავდა, ახანგრძლივებდა, ამწვავებდა, დიდგვარიან აზნაურთა ბრძოლას ქვეყნის ცენტრალისტურად გაერთიანების ტენდენციის წინააღმდეგ... ამირებთან, თურქ სელჩუკებთან და გაერთიანებული საქართველოს ყველა მტერთან პოულობდნენ თავშესაფარს და იღებდნენ დახმარებას ბაგრატ III-თან ომში დამარცხებული ქართლის აზნაურები. ბიზანტია იყო თავშესაფარი და მფარველი საქართველოს გაერთიანების წინააღმდეგ ყველა მებრძოლისა, გიორგი I თუ ბაგრატ IV წინააღმდეგ მებრძოლ ტახტის მაძიებელთა, ციხოვან თუ უციხო დიდ აზნაურ მოხელეთა, საეკლესიო ფეოდალთა.

მაგრამ ის ფაქტი, რომ ასეთი რთული პირობების და მიუხედავად ქვეყანა მაინც წინ მიდიოდა და გაერთიანების მომხრე ძალები საბოლოოდ იმარჯვებდნენ, ყველა ეს იმის უდავო მოწმობა იყო, რომ ამ გაერთიანების პირობები ყოვლად მომწიფებული იყო, რომ ცენტრალისტურად გაერთიანებული ბატონყმური სახელმწიფო უნდა წარმოქმნილიყო... და აი როცა საკითხი კატეგორიულად დაისვა, როცა ქვეყანას პოლიტიკური გაქრობა და ეთნიკური გადაშენება რეალურად დაემუქრა, ქვეყნის პროგრესულ ძალთა მობილიზაცია განხორციელდა და საშინაო რეაქციას და მის საგარეო მოკავშირეს დაუპირისპირდა და გადამჭრელი ბრძოლა გაუმართა. დავითის მეფობა, მაშასადამე, მთელი ეტაპია ბატონყმური საქართველოს ცენტრალისტური სახელმწიფოს გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ბონასპა (опричнина), მოსაკარგავე (და არა მემამულე აზნაური). მონაპირე ცენტრიდან ყოვლად დამოკიდებული სამხედრო მოხელე (და არა სიძე ერისთავი), ერთგულთა და მოსწრაფედ მორჩილთა (და არა მხოლოდ ძირძველ აზნაურთა) აღზევება, სავაზირო, სამართლის საქმის ცენტრალიზაცია, საეკლესიო საქმეების რეორგანიზაცია, მსტოვართა ინსტიტუტი, „სახლების“ შერთვა, მეფის დომენის უზომო გაძლიერება. არსებითად საქმე იქამდე მიდიოდა, რომ მთელი ტერიტორია, მისი უდიდესი ნაწილი ხომ რეალურად, მთელი კი ნომინალურად, სამეფო იყო. ქვეყნად იყვნენ უპირატესად მეტნაკლებად მფლობელები აზნაურები — მებატონეები, რომელთაც ამას გარდა სამეფო მიწა საკარგავად ეძლეოდათ. მსხვილ დიდგვარიანთა მნიშვნელობა და გავლენა გადაშენების საფრთხის ქვეშ იდგა.

ბედიელ-ალავერდელის ინსტიტუტი, სამოქალაქო ერისთავის ინსტიტუტი, აფხაზთა კათალიკოსის ინსტიტუტის ფაქტიური გაუქ-

მება, ხონის დამორჩილება ქართლის კათალიკოსისადმი, — ყველაფერი ეს იმის მოწმობა იყო, რომ ახალი ბატონყმური ცენტრალისტურად გაერთიანებული სახელმწიფო მყარ საფუძველზე დამყარებას ლამობდა, რომ საერისთავო-საეპისკოპოსოები ძველ ეთნიკურ ნიადაგს შეგუებულები ეხლა ახალი პრინციპით ეწყობოდა, თემურ-ეთნიკური საზღვრები იშლებოდა... და შორს არ იყო ის დრო (ეს იქნებოდა შემდგომი ეტაპი, ზრდის დასასრულის მაჩვენებელი ეტაპი, როცა სავაზირო გააქრობდა საერისთავოს (ამ „ნამესტნიკებს", აზ მეფეთა თუ მთავართა ადგილზე მჯდომებს), როცა მონაპირე ამირსპასალარის სახელო შეიქმნებოდა, ხოლო რომელიმე ადგილის მებაჟე-მეზვერე მეპურჭლეთუხუცესის სახელო და ა. შ., როცა „დიდება" პირადი მოვლენა იქნებოდა და არა საშვილიშვილო... ყველაფერი ეს შემდგომი განვითარების წესრიგში იდგა...

და ყველაფერი ეს განა წარმოიდგინება პატრონყმური ურთიერთობის პირობებში? ასეთი იდეები იმ დროს არ იშვებიან, ასეთი ბრძოლა იმ პირობებში წარმოუდგენელია, ამის საფუძველი იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობს.

მონაპირის ინსტიტუტი იმ სახისა, როგორც ეს ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებაშია მოცემული, რა თქმა უნდა, თამარის დროს შექმნილი დაწესებულება არაა. ასეთი სამხედრო ღონისძიება, რომელიც ძლიერ ცენტრალისტურ ხელისუფლებას გულისხმობს და მის შემდგომ გაძლიერებას ემსახურება, ასეთი ინსტიტუტის შექმნა თამარის დროისათვის შეუფერებელი ჩანს. თამარის დროს ამ ინსტიტუტის საერისთავოდ გადაგვარებისათვის ბრძოლა კი შესაფერისია. ეს ინსტიტუტი, ბუნებრივია, დავითის მიერ შემოღებულად მივიჩნიოთ. მისი დაუსახელებლობა ამაში ხელს ვერ შეგვიშლიდა. აბულეთის ძე, ორბელი ან ბეშქენ ჯაყელი მებრძოლ მოხელეებად რომ იხსენიებოდნენ, გაკვრით, დავითის მეფობაში სწორედ ასეთი მონაპირენი არიან, რომელნიც „სიმარჯვით მოიპარავენ" მტრის ციხე-ქალაქს, დაარბევენ მტრის ქვეყანას, იხოცებიან მტრებთან ბრძოლაში, ეს მონაპირეობა რომელთა ზვერვის შედეგად დავითმა ყოველთვის იცის თუ სადაა მტრის ურდო, ისიც კარგად იცის. თუ მტრის მიერ მოცულ ქვეყანაში როგორი პოლიტიკური განწყობილებაა (სომხეთში, შარვანში, რანში...). რა თქმა უნდა დავითის მონაპირეები ძირძველი და მემამულე ერისთავ-ყმადნაფიცები კი არ არიან, არამედ მეფის გაზრდილ-მოსანდონი, მისი ერთგულნი და

მოსწრაფედ მორჩილნი, სამხედრო და ადმინისტრაციულ მოხელენი სამეფოს განაპირა, მტრის დასამხარ ოლქებში.

დამახასიათებელია: დავითის ისტორიკოსს ის არ ავიწყდება აღნიშნოს თუ როგორ თანმიმდევრულად ებრძოდა დავითი ორგულ ერისთავებს (უფრო, აქაც დაუსახელებლად, ზოგად გამოთქმებში, ზოგადი მსჯელობისას) და ერთხელაც კი არ ასახელებს ერისთავს რომელიც დავითის ერთგული და სახელგანთქმული მოღვაწე იყო... გულისხმობს კი ისეთებს, რომელიც მეფეს დაუმცირებია უქნაროობისათვის, ორგულობისათვის, და ასევე დაუსახელებლად გულისხმობს ერთგულებს, თავდადებულებს, რომელთაც თავის მხრებზე გადააქვთ სახელმწიფოს სამხედრო თუ პოლიტიკური ძლიერების მძიმე ტვირთი და იგულისხმება რომ ესენი არიან არა ძირძველი სახლების შვილები, არა გვარიანი დამსახურებული სახლებიდან გამოსული ერისთავები, არამედ თავდადებული, ერთგული სამხედრო მოღვაწენი უგვარო უხანოთაგან, რომელთა ერთადერთი ღირსება ერთგულებაა და პირადი ნიჭი — მხნეობაა. და რა სარბიელზე გულისხმობს ისტორიკოსი ამ ახალ კაცებს: — უპირველეს ყოვლისა სამხედრო სარბიელზე. აი სწორედ ეს ერთგულებია ის მონაპირენი, რომელთაც მეფე სწყალობს, აღაზევებს, ადიდებს მათი დამსახურების მიხედვით... თამარის დროს ეს მონაპირენი უკვე მეფეთა ადგილზე მჯდომი ერისთავთ-ერისთავები ხდებიან... $\left(\frac{4}{22}\text{ფ. } 65-69\right)$.

4. შესანიშნავია დავითის ბრძოლა ერისთაობასთან და ასეთი ბრძოლის გარეშე არც წარმოიდგინება ცენტრალური ხელისუფლების მოღვაწე... და დავითი აქ წამომწყები კი არაა, არამედ გამგრძელებელია ბაგრატ III მიერ დაწყებული დიდი საქმისა. ქვეყნის გაერთიანება, რაც სავსებით კანონზომიერი შედეგი იყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარებისა, ერისთავის ინსტიტუტის წინააღმდეგ ბრძოლას გულისხმობდა. გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ბ ი ს გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ს ნ ი ა დ ა გ ზ ე ხ დ ე ბ ო დ ა. ბ ო ლ ო ე რ ი ს თ ა ვ ი ძ ვ ე ლ ი ს ა ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ურ თ ი ერ თ ო ბ ი ს ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი ი ყ ო. ბატონყმობის პირობებში ერისთავი არ უნდა გამქრალიყო და ქვეყნის მართვა საუწყებო პრინციპზე მოწყობილიყო ან, თუ ერისთავი საბატონყმო ურთიერთობის გამარჯვების ხანაში დარჩებოდა, ის უნდა გამთავრებულიყო, სახელმწიფოებულიყო (ეს მხოლოდ რეაქციის ვითარებაში შეიძლებოდა: მეფის ხელისუფლების დასუსტების შედეგად, ქვეყნის ეკო-

ნომიური განვითარების შეფერხებისა და დაცემის შედეგად, რაც მართლაც ასე მოხდა...) მაგრამ ბატონყმობა, თავისუფალ მოლაშქრეთა გაქრობა თუ ერთი მხრით ერისთავის გამთავრების საფრთხეს ჰქმნიდა, მეორე მხრით ის გაძლიერებულ ცენტრალურ ხელისუფლებას ამ ერისთავების ინსტიტუტს უპირისპირებდა და სამეფო კარის და დომენის მმართველობის ცენტრალურად მოწყობით საუწყებო მმართველობის სისტემას მოითხოვდა. ეს იყო ქვეყნის განვითარების (ბატონყმობის) შესაფერისი პროგრესული ღონისძიება... დავითის სახელმწიფო სიახლე სწორედ ამაში გამოიხატებოდა... მან ახალი ვითარების შესაფერი ინსტიტუტი (სახელმწიფო პოლიტიკური წყობილება, საუწყებო მმართველობის პრინციპზე აგებული) დაუპირისპირა მმართველობის ძველ სისტემას — პატრონყმობის ხანის შესაფერის სისტემას, სიძე-ერისთავების და დარბაზის სისტემას.

როგორც ცნობილია, გამაერთიანებელ მეფეთა ბრძოლა ერისთავების წინააღმდეგ დავითს არ დაუწყია. ამ ბრძოლას უკვე ასი წლის და მეტის ისტორია ჰქონდა, მაგრამ არც ერთი მეფე (ბაგრატი, გიორგი, ბაგრატი, გიორგი) არ მისულა ის დასკვნამდე, რა დასკვნამდეც დავით აღმაშენებელი მივიდა. ისინი ებრძოდნენ ერისთავობას, დავითმა კი ერისთავების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის გვერდით, ერისთავობის წინააღმდეგ ბრძოლა წამოიწყო კონსტიტუციური წყობისა. ეს იყო პრინციპულად ახალი საფეხური ქართული სახელმწიფო მშენებლობაში (ყუთლუ ამის საწინააღმდეგო რეაქცია იყო). დავითი ამ ღონისძიებამდე ქვეყნის განვითარებამ მიიყვანა. დავითს ეს საქმე არც დაუსრულებია. მან ის მხოლოდ წამოიწყო და ამას მოყვა საუკუნოვანი ბრძოლა... სავაზირო იზრდებოდა, ძლიერდებოდა, უწყებანი მრავლდებოდა. მაგრამ მაგრად იდგნენ ერისთავებიც: ვაზირ-ერისთავი სარისკო შეთავსება იყო... და კრიზისი თამარის დროს (ყუთლუ) $\left(\frac{4}{}\text{ ფ. } 63-64\right)$.

5. განა ეს რეფორმები დავითმა რომ გაატარა, შეიძლებოდა საპატრონყმო ურთიერთობის პირობებში? ასეთი მოწესრიგებული სახელმწიფო: ჯარი, მონასპა, მონაპირე, ყიჩაღები; გზები, ფუნდუკები, ქვაფენილები, ხიდები; ფულის რეფორმა, ახალქალაქები (ვაჭრობა-ხელოსნობა), იდეური ბრძოლა წესწყობილების გარშემო, ეს პატრონყმობის იდეალურ პირობებში შეიძლება??, მწერლობა, სამართალი, განა ეს საკმაო მოწმობა არაა იმისა, რომ საქართველო

ახალ საფეხურზე ავიდა, რომ დავითი ახალ საქართველოს ქმნიდა? მთელი XI საუკუნე დაძაბული ბრძოლა იყო მიმავალი პატრონყმურისა და მოზარდი ბატონყმური საქართველოსი. სახელმწიფო გამოდის ცენტრალურ ფოკუსად, აქედან ხდება ყველაფერი: ქვეყნის მართვა ადმინისტრაციულად, სამართლის საქმე, სამხედრო საქმე (მონაპირე-მოსაკარგავენი), ეკლესიის მართვის საქმეც კი ...მეფის დომენის სიდიდე... მეფის ქალაქების საქმეც ცენტრიდან (მეჭურჭლეთუხუცესი), სამეფო ზარადხანა... ბაჟის საქმეც ცენტრალიზებულია. ესაა პატრონყმური ურთიერთობა?? განა ადვილად შეთავსდება ერთ ქვეყანაში, ერთი ხელისუფლების ქვეშ გულანწარო და ტარიელ-ავთანდილი? შოთა აიდიალებს ვითარებას, გაურბის კონფლიქტის აღნიშვნას, თორემ როგორ მორიგდება უსენი და ტარიელი, რომლის ლექსიკონში სყიდვა არ არის?... $\left(\frac{4}{22}\text{ ფ. } 70\right)$.

6. დავითმა შეაჯამა IX—XI საუკუნეებში საქართველოს განვითარება.

და ახალი საქართველო დაიწყო: რენესანსი.

ბატონყმობა, პირი აღმოსავლეთისაკენ ისე, რომ დასავლეთი არ დაივიწყონ. უკეთ: დასავლური კულტურა აღმოსავლეთის აღორძინებულ სამყაროში $\left(\frac{4}{22}\text{ ფ. } 133\right)$.

7. დავითის სისტემა გულისხმობდა თავისუფალ მიწის მუშაკთა ძლიერ ფენას. მოსაკარგავეობა მხოლოდ ამ ნიადაგზე შეიძლება წარმოვიდგინოთ. და რამდენადაც ასეთი ფენა უკვე შესუსტებული იყო, ამდენადვე დავითის სისტემა წინასწარ მარცხად განწირული აღბავი იყო $\left(\frac{2}{16}\text{ ფ. } 185\right)$.

8. დავით აღმაშენებელმა სცადა მომაკვდავი თავისუფალი გლეხების გადარჩენა. სცადა ბატონყმობის გადარჩენა, მაგრამ ეს უკვე დაგვიანებული საქმე იყო. ბატონყმობა უკვე გამარჯვებული იყო. ამას აუცილებლად მოითხოვდა ის ეკონომიური დაწინაურება, რომელსაც დავითი აგრე ძლიერად უწყობდა ხელს. აქედან დავითის პოლიტიკის ორგვარობა: ეკონომიკა — პროგრესული, სოც. პოლიტიკა — რეაქციონული $\left(\frac{3}{11}\text{ ფ. } 211\right)$.

9. საქართველოს განვითარების დახასიათების მიზნით საინტერესოა ორი დავითის კულტურული საქმიანობის შედარება: დავით კურაპალატისა და დავით აღმაშენებლის.

დავით კურაპალატი — ათონის სკოლის მეცენატი.

დავით აღმაშენებელი — გელათის სკოლის მეცენატი.

დავითიდან — დავითამდე, — ათონიდან — გელათამდე.

დავითი (კ-ტი) — სარწმუნოების, ქალკედონიზმის მოღვაწე. დავითი (აღმ.) — ნეოპლატონიზმის მოღვაწე. აღმოსავლეთ-დასავლეთის შემრწყმელი $\left(\frac{2}{16}\text{ ფ. } 225\right)$.

10. დიდი თურქობა იყო. გამოუვალი ვითარება შეიქმნა. გიორგი მეფემ „მაშინ ჰყო განზრახვა დიდებულთა თვისთა თანა და დაამტკიცეს წარსვლა მაღლისა სურტანსა მალიქშას წინაშე". (ქცა, I,32).

ფეოდალური მეფე დიდ სახელმწიფო საქმეების გადასაწყვეტად „ჰყოფს განზრახვას", ე. ი. იწვევს სათათბიროდ დიდებულებს და ეს თათბირი მიიღებს გარკვეულ გადაწყვეტილებას („დაამტკიცეს") $\left(\frac{2}{22}\text{ ფ. } 98\right)$.

11. 1103 წელს ან მის ახლოს. „მოკუდა რატი, ძე ლიპარიტისი კაცი ორგული და ნამდვილვე ნაშობი იქედნესი. ესრეთ დასრულდა სახლი ბაღვივაშთა, სახლი განმამწარებელთა, რამეთუ სუა უკანასკნელი თხლე რისხვისა, სასუმელი ცოდვილთა ქვეყნისათა და აღარავინ დაშთა სოფელთა მათთა მკკდრი, რამეთუ აღიკსნა ურჯულოება მამათა მათთა წინაშე უფლისა, და მამული მათი აღიღო მეფემან" (ქცა, I, 326).

რატი უშვილო ყოფილა. ფეოდალურ ყოფაში უშვილობა მძიმე ცოდვის შედეგად იყო მიჩნეული. ჩვენ ისტორიკოსი ამ ცოდვას უმალვე პოულობს. უშვილობით ღმერთმა დასაჯა ბაღვივაში... ეს იყო თხლე რისხვისა (რა თქმა უნდა, ღმრთის რისხვის). სასუმელი ცოდვილთა ქვეყანისათა" და ეს იმიტომ, რომ აღივსნა უსჯულოება მამათა მათთა წინაშე უფლისა".

რატი მეფის ორგული იყო, მართალია, მაგრამ რაც მთავარია ის „ნაშობი იყო იქედნესი", ე. ი. მეფის ორგულისა და მის წინააღმდეგ აჯანყებული ლიპარიტისა, ხოლო საერთოდ ეს სახლი ბაღვივაშთა იყო სახლი განმამწარებელთა, ე. ი. მუდამ ორგულ-გან-

დგომილთა (ბაღში — გულმრუდი, ბაღვივაში — სახლი განმამწარებელთა — საბა).

ერთი სიტყვით, ჩვენი ისტორიკოსის მტკიცებით ბაღვაშთა სახლი ეს იყო სახლი განმამწარებელთა, მეფის წინააღმდეგ მუდამ აჯანყებულთა, რატიც ორგული იყო, მაგრამ მისი უმთავრესი ცოდვა ის იყო, რომ ის იყო ნაშობი იქედნესი, გველის ნაშობი და მაშ თვით გველი. მის დროს „აღიკსნა უსჯულოება მამათა მათთა წინაშე უფლისა", ე. ი. განსჯა მოხდა ამ ორგული სახლის და როგორც მეფის წინააღმდეგი სახლი დასჯილ იქნა, ღთის რისხვა ეწია, უშვილობით დაისაჯა. ჩვენი ისტორიკოსი ყოვლად ულმობელია მეფის ორგულთა მიმართ, ისევე როგორც თვით ღმერთიც ულმობელია ამ გამოუსწორებელ ორგულთა დასახასიათებლად, მისთვის არ არსებობს მეფის ორგულთა გამამართლებელი გარემოებანი. ესენი ადამიანის, ყოველი კეთილის მტრები არიან. იქედნეს (გველის) ჯიშისანი არიან... და ამას ამბობს სამღვდელო პირი... რაოდენ დარწმუნებული უნდა ყოფილიყო ის თავის სიმართლეში... ასე რომ მთელი ეს ბრძოლა დიდაზნაურებისა მეფის წინააღმდეგ მხოლოდ ცოდვაა, რაც, რა თქმა უნდა, ღმერთის მიერ დაუსჯელად არ ჩაუვლის მეფის ორგულთ...

საინტერესოა, რომ მატიანე ქართლისას ავტორი სულ არ ამჟღავნებს ასეთ პარტიულობას... $\left(\frac{4}{22}\right.$ ფ. 61—62$\left.\right)$.

12. „რამეთუ წმიდანი ეკლესიანი. სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს, და ულირსთა და უწესოთა მამულობით უფროს ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი. ვითარცა ავაზაკთა და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს. რომელნი ნაცულად სჯულთა საღმრთოთა და უსჯულოებასა აწურთიდეს მათ ქვეშეთა ყოველთა და თჳთ სახლით უფლისათ და მღვდელთაგან გამოვიდოდა ყოველი უსჯულოება და ცოდვა". (ქცა. I, 327).

შესანიშნავი მოწმობაა იმისა, თუ როგორი ხანა შემოსულა — ეკლესიას „ავაზაკები" დაპატრონებიან. ეკლესიის, რელიგიის გაკლენა შემცირებულია ან უკეთ ეკლესიიდან უსჯულოება ვრცელდება: ეკლესიის მსახურნი უსჯულოებას აწურთნიან (ასწავლიან) მრევლს. ეკლესიიდან გამოდის უსამართლობა და ცოდვა ნაცვლად საღმრთო სჯულისა. და ასეთი ავაზაკებია არა მარტო ეპისკოპოსები, რომელთაც დაუპყრიათ საყდრები, „მამულობით უფროს. ვიდრე ღირსებით", არამედ უსამართლო და ცოდვილნი იყვნენ მათ მიერ

დადგინებული ქორეპისკოპოსნი და მღვდელნი, რომელნიც მოწოდებულნი იყვნენ მრევლის მწყურთელად („სამრებლო სასჯულო“). ჩანს ეს უსჯულოება დაუფლებია არა მარტო დიდაზნაურთა შვილებს (ასეთები იყვნენ ეს ეპიკოპოსები), არამედ მდაბიოთაც (ეს ქორეპისკოპოსები და მღვდელნი ხომ დიდგვარიანნი არ იყვნენ...) ეს მომენტი კი თავისთავად მეტად საინტერესოა: საზოგადოება, ჩანს, აჯანყებია „საღმრთო სჯულს“ და „უსჯულოებას“ შედგომია. და საქმე იქამდე მისულა, რომ ეს აჯანყებული საზოგადოება ღმრთის რისხვას (საზოგადოების უსჯულოებისათვის) — ქვეყანაზე თავს დატეხილ უბედურებას (თურქობა) თავისი ცოდვების შედეგად კი არ განიხილავს, არამედ „დამთხვევად“, ე. ი. მოვლენათა ბუნებრივ შეხვედრად. მიწისძვრას კიდევ ჰო (ამის მიზეზი და შეხვედრა — დამთხვევა გონებამიუწდომელი იყო და ყოვლის მიზეზს — ღმერთს — მიეწერებოდა), მაგრამ ისტორიულ საზოგადოებრივი მოვლენები (და მაშ მეფის ღმრთის ნებითობაც) მათ დამთხვევად ეჩვენებოდათ... და უქმად ხარჯავს ენერგიას ჩვენი ისტორიკოსი. ფეოდალური საზოგადოება ეხლა ეკლესიის ყოველ სიბრძნეს როდი უჯერებს. გონების სარბიელი, მისი მოქმედების ჰორიზონტი გაფართოებულა და საღმრთო სჯულის გვერდით საზოგადოებრივ (და კერძო) ცხოვრებაში ადგილი მოუპოვებია. ესაა იმის ნიშანი, რომ საზოგადოებაში საერო სული დატრიალებულა, და სხვა რიგად არც შეიძლებოდა ფეოდალური ურთიერთობის განვითარების ამ ხანაში, ფალავნობა-რაინდობის ხანაში, მეგობრობის ხანაში. დავითიც კი, რომელმაც სჯულის გასამართავად საეკლესიო კრება მოაწვევინა, ამ ახალი საერო სულის მსახური იყო ან უკეთ, თავისი მოღვაწეობით თვით უწყობდა ხელს ამ საერო სულის გაბატონებას, და მართლაც რა შედეგი მოყვა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას, განა „ცოდვა“ და „უსჯულოება“ აღიკვეთა? მთავარი და ყველაზე ხელშესახები შედეგი ამ კრებისა ის იყო, რომ „ულირსად გამოჩინებული განკუეთნეს და შეაჩუენეს, გარდამოსთხინეს საყდართაგან, დაღათუ ძნელღა იყო ესე, რამეთუ იყვნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწესოდ დაეპყრნეს საყდრები“. აი ეს იყო უშუალო მიზანი მეფისა და რეალური შედეგიც ეს იყო, თორემ ის, რომ „დღეთა მრავალთა ფრიადითა გამოწულილვითა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცდომა განმართეს, კეთილი და სათნო ღმრთისა წესი ყოველი დაამტკიცეს“, — ეს ზოგადი მსჯელობაა და მაინც და მაინც იმას არ ნიშნავს რომ ამიერიდან ამ ახლად შემუშავებული წესით მიდიოდა ცხოვრება, რაგინდ

მტკიცე ხელით არ ცდილობდა მეფე ქრისტიანული ეკლესიის ძლიერი გავლენის აღდგენას საერო ცხოვრებაში (როგორც ისტორიკოსი გადმოგვცემს, სამეფო კარი, მეფე ფხიზელი მეთვალყურე იყო საქრისტიანო წესების მკაცრი შესრულებისა). დავითის წინააღმდეგ აქ თვით ცხოვრება, მისი განვითარება მიდიოდა, ხოლო ამ განვითარებას მეფის მოღვაწეობა ყველაზე ძლიერად უწყობდა ხელს... ქვეყნის მობილიზაციისათვის, მოწესრიგებული სახელმწიფოს განმტკიცებისათვის დავითს სჭირდებოდა მორალურად ძლიერი ეკლესია, რომელიც მას ამ დიდ საქმეში მხარში ამოუდგებოდა, ხოლო ეს დიდი საქმე საერო სულის გაბატონებას ემსახურებოდა. რაც ეკლესიის მორალურ ავტორიტეტს ძლიერად არყევდა. და რა მივიღეთ: რუის-ურბნისის კრების განაჩენი წესები მალე დაავიწყდათ, ეკლესიაში ისევ საერო სული შეიჭრა, დიდგვარიანობა ისევ დაეუფლა საყდრებს, ხოლო საერო ცხოვრებაში იშვა რუსთაველი...

მთელი XI საუკუნე (ისევე როგორც XII ს-ნეც) ბაგრატ III-დან მოკიდებული იყო ბრძოლა მოწესრიგებული სახელმწიფოს შექმნისათვის. ამას მოითხოვდა, ამას გულისხმობდა ქ ვ ე ყ ნ ი ს გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა. მას შემდეგ რაც მცირე სამთავროები დიდ სამთავროდ — სამეფოდ იქცნენ, გამაერთიანებელი სამთავროს (სამეფოს) წინაშე დგებოდა საკითხი ამ ახალი ერთეულების მმართველობის მოგვარებისა, ის ეკონომიური და სოციალური ვითარება, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ გამსხვილებას ხელს უწყობდა, ესევე ძალები მოითხოვდნენ ცენტრალისტურად გაერთიანებულს და მოწესრიგებულ სახელმწიფოს შექმნას. ქვეყნის საერისთავოებად დაყოფა ძველი პატრონყმური ურთიერთობის შესაფერისი წყობილება იყო და ახალს (გაერთიანებულს) სახელმწიფოს არ შეეფერებოდა და ასეთი გაერთიანება მანამდე ეფემერული რჩებოდა, ვიდრე ეს პრინციპი ცოცხალი იყო, ე. ი. ვიდრე ქვეყანა საერისთავოებად დაყოფილი რჩებოდა და ქვეყნის გახეთქის შიში გაუნელებელი იყო. და ვიდრე საერისთავოების სისტემა რჩებოდა, ქვეყნის ცენტრალისტურად გაერთიანებაზე საუბარი არ შეიძლება... უნდა აღმოჩენილ იქნას ტენდენცია საერისთავოების გაქრობისა და ქვეყნის ცენტრალისტურად გაერთიანებისა, ე. ი. საუწყებო მმართველობის შემოღებისა საერისთავოების ნაცვლად და ცენტრალისტურად გაერთიანებაზე, არა ეფემერულ გაერთიანებაზე საუბარი ამდენადვე შეიძლება... მაგრამ საუწყებო მმართველობის პრინციპი თეორიით არ მოსულა და არც ვინმეს თავში შემუშავებულა ერთბაშად. ის თანდათან და ბუნებრივად იშვა და დიდხანს მას შემდეგაც, რაც გა-

მსხვილება-გაერთიანების ტენდენცია ძლიერად მოქმედებდა ქვეყნის მმართველობის საუწყებო პრინციპი არ შემუშავებულიყო. ესა თუ ის სამთავრო ძლიერდებოდა, მეორე სამთავროს იმორჩილებდა, პატრონყმური ურთიერთობა მყარდებოდა „შეწყნარებული" მთავარი არსებობას განაგრძობდა მორჩილების პირზე, შიგნით კი იგი ძველებურადვე ხელმწიფე რჩებოდა, „მეფე" იყო, ოღონდ კეისრობა არ ჰქონდა, შოთა... სულ ერთია იქნებოდა ის ძველი, შეწყნარებული მთავარი თუ მის ადგილზე დასმული სხვა ვინმე, თუნდაც უხანო ვინმე, ასევე იყო საქმე, როცა ესა თუ ის გაძლიერებული სამთავრო სამეფო) მეორე გაძლიერებულ სამთავროს (სამეფოს) იერთებდა. ასეთი მთავარი (მეფე) არსებითად კი არ ქრებოდა (შემოერთებული, დაპყრობილი ქვეყნის მეფე), არამედ მას დაპყრობილი მეფე სცვლიდა და ქვეყნის მმართველობა ოდნავადაც არ იცვლებოდა: ისევე საერისთავოები რჩებოდნენ, რომელნიც ამიერიდან ამ გამაერთიანებელ მეფეს ისევე ემსახურებოდნენ, როგორც ემსახურებოდნენ პირველს... ასე რომ გაერთიანებული ქვეყნის მმართველობა ისეთივე იყო, როგორც მმართველობა იმ მცირე ერთეულებისა, რომელთა დაპყრობა-შემოერთებისაგან ეს მსხვილი გაერთიანება შედგებოდა... ასე რომ აქ არსებითად ახალი არაფერი იყო, რიცხობრივი ჰო, მაგრამ ხარისხობრივი განსხვავება ჯერჯერობით აქ არ იყო.

მაგრამ მთავარი და უმთავრესი ის იყო თუ როგორი იყო ვითარება შინაგან ძალთა ურთიერთ განწყობილებისა, რომლის ნიადაგზე პოლიტიკური ერთეულების ეს გამსხვილება გარდაუვალი იყო... როგორ მწიფდებოდნენ ეს შინაგანი ძალები ისე, რომ ასეთ „გაერთიანებას" მოითხოვდნენ, კლასთა ბრძოლის როგორი ფორმა ვითარდებოდა, რომელიც ასეთ პოლიტიკურ ფორმას მოითხოვდა... საერისთაო. როგორც პოლიტიკური ფორმა ადრეფეოდალური საზოგადოების კლასობრივი ურთიერთობისა, უკვე შეუფერებელი და შემაფერხებელი იყო ამ ბრძოლის გაღრმავებისათვის, მაშინ როცა საერისთაოების გამსხვილების ტენდენცია აშკარა გახდა, მას შემდეგ რაც საერისთაოს (სამთავროს) შიგნით თემი დაშალა და მეთემეთაგან გამოსული აზნაურები სხვა გზით გაჩენილ აზნაურებთან ერთად უბატონდებოდნენ მეთემეებს, გლეხებს, მებეგრეებს (ე. ი. გლეხებად აქცევდნენ მათ). ისახებოდა ბატონყმობა და შეუფერებელი ხდებოდა ძველი პოლიტიკური ორგანიზაცია. განვითარებული ეკონომიური ურთიერთობა, რომლის ნიადაგზედაც ზემოხსენებული კლასობრივი ბრძოლის ფორმა წარმოიშვებოდა, მცირე საერისთავოს საზღვრებში აღარ თავსდებოდა და მის გარეთ მიიწევდა. ასე

რომ აღმავალი ბატონყმობა ახალ პოლიტიკურ ორგანიზაციას ითხოვდა. ასე რომ გაერთიანებულ ქვეყანაში ერისთავი უკვე ძველის გადმონაშთი იყო და ახალი ვითარებისათვის შეუფერებელი. საუწყებო მმართველობის შემოღებისათვის ნიადაგი თანდათან მზადდებოდა. აი ასეთი „რევოლუცია" ვალად ედო გამაერთიანებელ პოლიტიკურ ერთეულს. მეფის დომენის მმართველობა უნდა ქცეულიყო იმ ძირითად უჯრედად, რომელიც უნდა გაზრდილიყო და უნდა მოეცვა მთელი ქვეყანა... გაერთიანება, მთავრების გაქრობა— დამორჩილება, მათი მოხელეებად ქცევა იყო შემამზადებელი ეტაპი საუწყებო მმართველობის გატარებისათვის, ე. ი. ქვეყნის წინაბურჟუაზიული გაერთიანებისათვის. ეს დაიწყო დავითმა და ამაშია მისი სიახლე. ასე იშვებოდა ფეოდალური ურთიერთობის ახალი უკანასკ-

ნელი საფეხური $\left(\frac{4}{22}\text{ ფ. } 78-87\right)$.

13. დავითმა „ესრეთ რა თვითმპყრობელობით დაიპყრა ჰერეთი და კახეთი და ნებიერად აღიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი, მზეებრ მიჰფინა წყალობა ყოველთა ზედა მკვდრა ქვეყანისათა". (ქცა, I. 329).

ისტორიკოსის ამ მოკლე სიტყვაში კარგად ჩანს მისი პოლიტიკური აზროვნება. კახეთ-ჰერეთის მეფე აღსართან დავითს შეპყრობილი მოსცეს (საფიქრებელია მეფის მიერვე დასაჭმულმა ამ დიდებულებმა). დავითმა ომი მოიგო და თ ვ ი თ მ პ ყ რ ო ბ ე ლ ო ბ ი თ დ ა ი პ ყ რ ა ჰ ე რ ე თ ი დ ა კ ა ხ ე თ ი. ჩვენი ისტორიკოსი საგანგებოდ გახაზავს, რომ მეფემ თ ვ ი თ მ პ ყ რ ო ბ ე ლ ო ბ ი თ დაიპყრა ჰერეთი და კახეთი, როგორც ეს წესად ჰქონდა დავითს: თვითმპყრობელობით დაპყრობა. („შევრთე სახლი სახლსა") და ა რ ა ყ მ ა დ ნ ა ფ ი ც ო ბ ი თ. და ეს თვითმპყრობელობით დაპყრობა იმაში გამოიხატებოდა, რომ „ნ ე ბ ი ე რ ა დ აღიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი" და. რა თქმა უნდა, ამ ციხე-სიმაგრეებში თავისი ერთგულები შეაყენა (არიშიანი, ერთი მათგანი უნდა ყოფილიყო). და ამის შემდეგ, როგორც თვითმპყრობელს შეეფერება „მზეებრ მიჰფინა წყალობა ყოველთა ზედა მკვდრთა ქვეყანისათა".

მოკლედ, ჩვენი ისტორიკოსის იდეალია მეფე დამპყრობელი (მისი წარმოდგენით ჰერეთ-კახეთი საქართველოა და მისი შვილები დავითს უნდა ემორჩილებოდნენ, დავითი საქრისტიანო ამიერკავკასიას ათავისუფლებს), მ ე ფ ე მ ზ ე (სამართლიან-მწყალობელი ერთგულთა და მორჩილთა) $\left(\frac{4}{22}\text{ ფ. } 88\right)$.

14. მეფემ გელათი ააშენა და მუნვე შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა არა თკსთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქვეყანისა კიდეთა, სადათცა ესმა ვიეთმე სიწმინდე. სიკეთე, სისრულე სულიერითა და ჯორციელითა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და კეთილად გამოიძინა, მოიყვანნა და დაამკვდრნა მას შინა". „მამული ლიპარიტეტი" შესწირა და მონასტერში დამკვიდრებულთ „უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა" (ქცა, I, 330).

მონასტერი ფეოდალურ საქართველოს გონებრივ განვითარებაში განსაკუთრებითი მნიშვნელობის ფაქტია... მონასტრებს დავითამდეც აშენებდნენ, „უზრუნველ ტრაპეზსაც" გაუჩენდნენ ხოლმე იქ დამკვიდრებულ მონაზვნებს, სასაფლაოსაც აქვე დაიდებდნენ თავიანთი სახლისათვის. მაგრამ ის, რაც დავითმა დააპირა, არსებითად განსხვავდებოდა აქამდე არსებული პრაქტიკისაგან. დიდი ხანი იყო, რაც მონასტრები საშუალო საუკუნეების საზოგადოების სწავლების ცენტრები გახდნენ, არა ერთი მონასტერი იყო ამ დროს საქართველოში და მის გარეთ (პალესტინაში, სირიაში, ბიზანტიაში, ბულგარეთში და სხვაგან), სადაც დიდი წარმატებით გაშლილიყო მუშაობა საშუალო საუკუნებრივ საქრისტიანო მეცნიერებაში: ლიტერატურა, ენა, ისტორია, პოეზია, ფილოსოფია, ფილოლოგია და ცოდნის სხვა დარგები ქართველ მონაზონთა ცხოველი ინტერესის საგანს წარმოადგენდნენ.. ქართველი ფეოდალური საზოგადოება დიდ ინტერესს ამჟღავნებდა ქართულ ქრისტიანული მეცნიერების ასეთ წარმატებისადმი და ესა თუ ის საეკლესიო მოღვაწე — მეცნიერი დიდი სახელითა და პატივით სარგებლობდა. და სხვა გვარად არც შეიძლებოდა რომ ყოფილიყო: საერო ხელისუფალნი ბუნებრივად ცდილობდენ ქრისტიანული სწავლის ეს ავტორიტეტები თანაშემწეებად ჰყოლოდათ ქვეყნის მართვაში. ისიც ხომ ცნობილი ამბავია, რომ ეს მეცნიერ-მონაზვნები სრულიადაც არ გაურბოდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას. ასე რომ მონაზვნები იდეური თანაშემწეობის გვერდით საერო ხელისუფალთა ფრიად აქტიური პრაქტიკული თანაშემწენი იყვნენ...

გასაგებია, თუ დავითმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ცხოვრების ამ მხარეს და შეეცადა მის ორგანიზებას ქვეყნის ცენტრალისტურად გაერთიანების სამსახურად. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ახალგაზრდა მეფეს, ის ამ დროს 30 წელს ძლივს იყო მიღწეული, ეს დიდი საქმე განუზრახეს მისმა უერთგულესმა მრჩეველ-თანაშემწეებმა საერო თუ საეკლესიო პოლიტიკის საქმეებში,—

გიორგი მწიგნობართუხუცესმა და სხვა მონაზვნებმა. და მოწიფულ საქმეს თავი მოება. გონებრივ მუშაკთა საუკეთესო ძალები შემოკრიბეს ყველა იმ ადგილებიდან, სადაც კი ქართველები მოღვაწეობდნენ. დაარსდა აკადემია — გონებრივი ცენტრი ქართული ქრისტიანული მეცნიერებისა. გასაგებია, თუ რაოდენ არსებითი და მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ეს ავტორიტეტი იმ დიდი საქმის შესრულებისათვის (ქვეყნის ცენტრალისტურად გაერთიანება და ლურჯთა განდევნა), რომელიც დავითმა წამოიწყო.

დავითის ისტორიკოსი ამაზე შორს მიდის და, როგორც დიდად განათლებულ პოლიტიკოსს შეეფერება, ნათლად ითვალისწინებს იმ მიზნებს, რომელნიც ამ ახლად შექმნილ დაწესებულების წინაშე ისახებოდა (გელათის აკადემია, ქრისტიანული სწავლების ცენტრის საქართველოში შექმნა) მესამე (და უკანასკნელი) ეტაპი იყო ქართული) — ქრისტიანული სწავლა-მოძღვრების ზრდა-განვითარების გზით. პ ი რ ვ ე ლ ი ს ა ფ ე ხ უ რ ი მონასტრების გაჩენიდან (VI—VII სს.) ვიდრე X საუკუნემდე, როცა საქართველოსა თუ მის გარეთ მრავლად დაარსებული ეს მონასტრები ქართული ქრისტიანული კულტურის დამოუკიდებლობისათვის სამსახურს შედარებით მცირედ ეწევიან, თუმცა ამის შეცნობა უკვე საკმაოდ ცხოველი აქვთ, — განსაკუთრებით მე-8 საუკუნის მიწურულიდან მოკიდებული. მ ე ო რ ე ს ა ფ ე ხ უ რ ი ესაა ხანა გადამჭრელი ხასიათის მოღვაწეობისა ქართულ ქრისტიანული კულტურის ამაღლებისათვის, მისი ბერძნულ-ქრისტიანულ კულტურასთან გათანასწორებისათვის, შეცნობილი ბრძოლა ქრისტიანული ლიტერატურისა, ფილოსოფიისა, ქართული ფილოლოგიისა, ისტორიისა, სამართლისა, პოეზიისა და მეცნიერების სხვა დარგთა განვითარებისათვის... და შეიძლება ითქვას ეს დიდი საქმე წარმატებით შესრულდა. XI საუკუნეში ქართული კულტურა ღირსეულად გვერდში უდგა ელინურს. ის ქრისტიანულ კულტურული მსოფლიოს მოწინავე ხალხების რიგში იდგა..

ამ განვითარების უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი ე ტ ა პ ი ის იყო, რომ ყველაფერ ამას თავი მოება: მრავალგან დაქსაქსული კულტურული კერების ნაცვლად ერთი კერა შეიქმნა. საუკეთესო ძალები შემოკრებილ იქნა და პირდაპირ ჩადგა გაერთიანებული ქვეყნის კულტურის სამსახურში. დავითის ისტორიკოსი გელათს „ყოვლისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა“ უწოდებს, იერუსალიმის გვერდით ათინას მოტანა (რომელიც ქრისტიანული მოძღვრების განვითარების საქმე-

ში უმნიშვნელო ცენტრი იყო) დავითის ისტორიკოსის პირში დროის დამახასიათებელია: სიბრძნე, მეცნიერება მხოლოდ საეკლესიო სარწმუნოებრივ ცენტრიდან კი არ გამოდიოდა, ასე ფიქრობენ, როგორც ჩანს, არამედ სიბრძნის წყაროა ათინაც, წარმართული კლასიკური მეცნიერების ეს მსოფლიო ცენტრი.

მაინც განსაკუთრებული ყურადღების ღირსი ჩვენი ისტორიკოსის აზროვნების დასახასიათებლად აქ ისაა, რომ ის გელათს ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად სახავს. იერუსალიმი არა მარტო ყოვლისა აღმოსავლისა არამედ ყოვლისა დასავლეთისა თუ ქვეყნის ყველა მხარეთა სიბრძნის წყარო იყო. ასე რომ ჩვენი ისტორიკოსი ამბობს, რომ გელათი ყოველ აღმოსავლეთში (მთელ აღმოსავლეთში) იერუსალიმობას გასწევს, ათინობას გასწევს. ასე რომ გელათის დანიშნულება და როლი საქართველოთი როდი ამოიწურება, ის მთელ აღმოსავლეთს მიჰფენს ქრისტიანულ სწავლას, ქრისტიანულ მეცნიერებას.

ასეთი ფართო მიზნების სამსახურში ეხატებოდათ, ჩანს, დავითს და მის თანაშემწეებს გელათი მისი აკადემიით. მეცნიერების სწავლების ცენტრი სჭირდებოდა ახალ ქრისტიანულ ქართულ პოლიტიკურ ერთეულს, რომელიც ახლო აღმოსავლეთში ბიზანტიის მონაცვ-

ლეობას ლამობდა... $\left(\frac{4}{22}\ \text{ფ.}89 - 92\right)$.

15. 1110 წელი იყო. „მას წელსა მოვიდა ძალი სულტანისა და ყოველი თურქობა, კაცი ვითარ ასი ათასი, უგრძნეულად სიმარჯვითა, ხოლო მეფე დგა ნაჭარმაგევს ტ ა ძ რ ე უ ლ ი თ ა. ცნა რა მიმწუხრი მოსლვა მათი თრიალეთს, ღამე ყოველ წარვიდა მასლათა კაცითა ათასხუთასითა, რამეთუ ესოდენნი დახუდეს მას წინაშე". (ქცა, I, 332).

ტაძრეული (ქცა, I, 237, 243, 332. ივანე ჯავახიშვილის მეფის სასახლის „მსახურნი" — სამართლის ისტ. ტ. II, ნაწ. I, გვ. 35). სამასალო, საგუშაგო, (საბა) ივანეს განმარტება ტაძრეულისა („მეფის სასახლის მსახურნი") სწორი არ უნდა იყოს. ტაძრეული მართლაც „მსახურნი", ე. ი. სახლისეულნი არიან, მაგრამ არა რაღაც მოსამსახურენი, არამედ სამხედრო პირნი, რომელნიც სასახლეში (ტაძარში) სხვადასხვა საქმეს ასრულებდნენ. იყვნენ მეფის ტალანი, გუშაგნი, მესაწოლენი და სხვა საეანდარმო დავალებათა შემსრულებელი... მათი უფროსი იყო მსახურთუხუცესი (ხელშინაური)... მსახურნი,

ტაძრეულნი, დარბაზის ერნი, მონასპა, მცველთა ჯარი, (სპარსული ყული)... ერთი ტიპის მოვლენებია.

იქ სადაც საუბარი მექნება მონასპაზე: განა წარმოსადგენია, რომ მეფეს ხუთიათასი კაცისაგან შემდგარი მონასპა ჰყავდეს ფეოდალურ ლაშქრისა და დაქირავებულთა გარდა და ის პატრონყმობის დროის მეფე იყოს?.. ეს ხომ ჟანდარმთა კორპუსია, **опричнина** ტაძრეულია... $\left(\frac{4}{22}\text{ ფ. } 32\right)$

დავითის „ტაძრეულები" ეს იყვნენ, საფიქრებელია, სწორედ მისი გ ა ზ რ დ ი ლ ე ბ ი და გ ა მ ზ რ დ ე ლ ე ბ ი.

16. 1118 წლამდე დავითმა შემოიერთა ჰერეთ-კახეთი, სომხითი, შარვანის ნაწილი (გიში), თურქები განდევნა ქართლიდან.

„ხედვითა რა მეფე დავით ესეოდენთა ზეგარდამოთა ღმრთისა მიერ წყალობათა, შეწევნათა, ძლევათა და გამარჯვებათა თჳსთა, და რომელთა ღმერთი მოსცემდა სამეფოთა ქვეყანათა, ქალაქთა და კიხეთა, რამეთუ არა იყო ესეოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა შინა მისსა, რათამცა ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამჭირველად და კუალად თჳთ მის თანა მყოფად და მოლაშქრედმცა კმა ეყვნეს დაუკხრომელად მიმოსლვასა ლაშქრობასა მისსა ზამთარ და ზაფხულ. ამისთჳსცა შემოიკრიბა გონება... და განიზრახა სამეფოთა ცნობითა, რომელ არა კმა იყვნეს სამეფოსა მისისანი თანამიყოლად კრთომათა და წადიერებათა სულისა მისისათა" (ქცა, I, 335) და აქ ისტორიკოსს დავითის ამ კრთობა წადიერებასთან დაკავშირებით აგონდება ალექსანდრე მაკედონელის შესახებ თქმული, თუ როგორ შეწუხდა ეს დიდი დამპყრობელი, როდესაც მას უთხრეს, რომ „არიანო მრავალნი და ურიცხუნი სამეფონი, რომელთა არცა თუ სახელი გასმიეს შენ" და ამოოხვრით თქვა — ალექსანდრემ: „უკეთუ დამიშთეს ესენი, რა იყოსს პყრობილობა ჩემი". აქედან ცხადია ისტორიკოსის აზრი: დავითმა დიდი სამხედრო წარმატებანი მოიპოვა. მაგრამ მის წინაშე ეხლა კიდევ უფრო ფართო პერსპექტივი გადაიშალა, მისი „ს ა მ ე ფ ო ც ნ ო ბ ა" ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ს გ ა დ ა ს ც ი ლ დ ა და კავკასიის დიდი სახელმწიფოს შექმნის რეალური გეგმა დაისახა...

ამ მიზნით იყო, რომ მან დიდი სამხედრო ორგანიზაციის შექმნა დაგეგმა: ყიჩაყები გადმოიყვანა.

და შექმნა სამხედრო ორგანიზაცია, „ხოლო ყიჩაყნი დააყენნა ადგილთა მათ მარჯუეთა დედაწულითა მათითა, რომელთა თანა იყო

წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი, ესენი განასრულნა ცხენებითა და საჭურველითა და კუალად მონანი, რომელ ჰყვეს რჩეულნი და განსწავლულნი ღუაწლისა, ვითარ ხუთი ათასი კაცი, ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი, მ ი ს ა ნ დ ო ნ ი დ ა გ ა მ ო ც დ ი ლ ნ ი სიმკნითა და თჳთ ყივჩაყნიცა უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს დღითი დღე და სიმრავლე ურიცხვი შეეძინებოდა ქრისტესა.

ესენი რა ესრეთ შემოიკრიბნა და დ ა ა წ ყ ო ნ ა გ უ ა რ ა დ-
გ უ ა რ ა დ და დაუდგინა ს პ ა ს ა ლ ა რ ნ ი დ ა მ მ ა რ თ ე ბ ე ლ-
ნ ი; და ეგრეთვე თჳსისა სამეფოსა სპანი რჩეულნი და მოკაზმულნი ცხენკეთილნი და პირშეუქცეველნი; და საშუალ მათსა თჳთ იგი უმსგავსო სპა-სპეტი და წინამბრძოლი, მიმსგავსებული ძუელისა ქაიხოსროსთჳს მოთხრობილთა, წინაუძღოდა, და იწყო რბეუად სპარსეთისა, შარვანისა და სომხითისა დიდისა". (ქცა, I, 337).

უკვე ლაშქრის ეს ორგანიზაცია საკმაოა იმისათვის, რომ ნამდვილად წარმოვიდგინოთ, თუ როგორი იყო დავითის დროის სახელმწიფო.

საკითხის სისრულისათვის აქვე მოვიტანოთ მოწმობა იმის შესახებ თუ როგორ შექმნა დავითმა „თჳსისა სამეფოსა სპანი რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენკეთილნი და პირშეუქცეველნი". „ზემოჳსენებულთა ჳირთაგან მცირე გუნდი მჴედრობისა (ჰყავდაო) და იგინიცა დაჯაბნებულნი მრავალგზის მტერთაგან სივლტოლითა, უცხენო და უსაჭურველონი და თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეცარნი და ფრიად მოშიშნი. უკეთუმცა ესეოდენ უწყინოთა ლაშქრობითა და მცირედ- მცირედ ბრძოლითა და სწავლითა გუარიანად და ღონიერად წინაძღომითა და მრავალთა ძლევათა მიერ მოგუარებითა არა განეწუართნეს სპანი თჳსნი და განეკადნიერნეს წყობათა მიერ მჴნეთა, ჴებითა და ნიჴთა მიცემითა, ხოლო ჯაბანთა სადედოთა შთაცუმითა და კიცხევით ძაგებითა, არამცა მოეღონა, ვიდრემდის სპათა შორის მისთა ყოვლად არა იპოვნებოდა ჯაბანად ზრახული, რათამცა ექმნნეს ესოდენ ძლევანი... ანუ რათამცა ექმნეს და აღეხუნეს ესეოდენნი სამეფონი"? (ქცა, I, 358).

შესანიშნავი მოწმობაა. საქმე რომ მარტო ამ სამხედრო ორგანიზაციით ამოიწურებოდეს და ჩვენ დავითის საქმიანობის შესახებ სხვა არაფერი ვიცოდეთ, მაშინაც კი, მართებული ანალიზის შედეგად ჩვენ შეგვეძლო საფუძვლიანი წარმოდგენა შეგვექმნა იმის შესახებ, თუ ფეოდალური ურთიერთობის განვითარების რა საფეხური შეიძლება იყოს ნაგულისხმევი ასეთ სამხედრო ორგანიზაციაში... მაგრამ ჩვენ ხომ უხვად გვაქვს მასალა სოციალურ-პოლიტიკური თუ

ეკონომიური ცხოვრების სხვადასხვა დარგიდან (სოფლის მეურნეობისა თუ ხელოსნობა-ვაჭრობის განვითარებისა, ქალაქთა მომრავლებისა, რკინა-ფოლადის წარმოებისა, ფეოდალის და გლეხის მეურნეობისა). დავითის ღონისძიებანი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყოველ დარგში: გზებისა და ქალაქების მშენებლობა, საეკლესიო მშენებლობა, ერისთავებისა და ერისთავობის საკითხში აღებული პოლიტიკური კურსი, დიდგვარიანობის წინააღმდეგ შეტევა, უგვაროთა წინ წამოწევა, რეფორმები სახელმწიფო წყობილებაში მწიგნობართუხუცესის გაპირველეზირება (ქართლის ერისთავის ძველი მნიშვნელობის დამცირების ხარჯზე... — შეიძლება ლეონტი — ჯუანშერი ქართლის ერისთავის ინსტიტუტს თავისი დროის მიხედვით აღადგენენ... მაგრამ ისიც ხომ შეიძლება, რომ „ქართლის ერისთავის“ ეს პირველობა უძველესი დროის გადმონაშთი იყოს, როცა „ქართლის“ — აწინდელი ბაგინეთის ერისთავი მცხეთელ მეფეთა მეორე პირი იყო?), ინსტიტუტ სავაზიროს შექმნა (მისი დაპირისპირებით ერისთავ-დარბაზთან), მცხეთის და აფხაზეთის საკათალიკოსოთა გაერთიანება, რეფორმა სამართლის დარგში, ბაჟის საქმის ცენტრალიზაცია (გიორგი III სიგელი), სამონეტო სისტემის შეცვლა. ღონისძიებანი კულტურის დარგში: აკადემიის დაარსება, საერო მწერლობისათვის ხელის შეწყობა, — აი ასეთი საქმიანობის სინათლეზე ასეთ სამხედრო ორგანიზაციას მხოლოდ ერთი ახსნა შეიძლება მოეძებნოს: ესაა არა ადრე ფეოდალური дружина ჯერ კიდევ სამხედრო დემოკრატიის დროიდან შემორჩენილი mutatis mutandis და არც ბარბაროსულ ფეოდალური იანიჩარი, არამედ განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის ნიადაგზე შექმნილი სამხედრო (—ადმინისტრაციულიც) აპარატი, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს ბატონყმური ურთიერთობის შემდგომ წარმატებად განვითარებას... დავითის ლაშქარი იმიტომ კი არ იბრძვის რომ დავლა იშოვოს (დავლა ბუნებრივი შედეგია მომთაბარეებთან გამუდმებული ომებისა) და ნადავლით კი არ ცხოვრობს და წინ მიდის საქართველო, არამედ იბრძვის დავითის ლაშქარი იმისათვის, რომ უზრუნველყოს ბატონყმური საქართველოს მშვიდობა და თავისუფლება, რომ უზრუნველყოს კავკასიის ხალხთა გაერთიანება-განვითარება (თუ როგორი ცივილიზებული იყო საქართველოს სახელმწიფო, ეს კარგად ჩანს მოძმე სომხეთისა და შარვანის მაგალითებიდან. საქართველოს სახელმწიფოში შემომავლობის ხანაში სომხეთმა განსაკუთრებულ კეთილდღეობას მიაღწია. ასევე შარვანმაც. ამიტომაც იყო, რომ სომეხი პოლიტიკური მოღვაწენი ასე დიდი პატრიო-

ტები იყვნენ ამ დიდი ქართული სახელმწიფოსი). ასე რომ დავითის ლაშქარი იბრძოდა არა ნგრევისა და დაცლისათვის, როგორც ეს дружин-ის დროის ფეოდალური ურთიერთობის პოლიტიკურ ხელისუფლებას ახასიათებს, დავითის ლაშქრობის შედეგი იყო არა ბასკაკობა შემოერთებულ ქვეყნებში, რაც ბარბაროსული ფეოდალური ურთიერთობის ხელისუფლებას ახასიათებს, არამედ დავითის ლაშქარი იბრძოდა ბარბაროს მომთაბარეთა გასადევნად, ელის მეურნეობის გასაქრობად და კულტურულ-ინტენსიური მეურნეობის აღსადგენად. მოწესრიგებული სახელმწიფოს შესაქმნელად მშვიდობიან ქვეყანაში. და რომ სამხედრო დაცვა მნიშვნელოვანი სტატია შეიქმნა ფეოდალის ბიუჯეტში, რომ ბოლომოუღებელ შემოტევას ასეთივე ბოლომოუღებელი კონტრშეტევა სდევდა, რის შედეგადაც ქართული სახელმწიფოს სამხედრო მხარე განსაკუთრებით გაძლიერდა. წარმოიშვა მხედრობა იმაზე მეტი (აზნაურობა), რამდენსაც ქართული ფეოდალური ურთიერთობა მოითხოვდა („m+1"), ეს იყო არა იმის მაჩვენებელი, რომ საქართველოს სახელმწიფო ბუნება ამ ტიპისა იყო, არამედ იმის მაჩვენებელი, რომ ფეოდალური საქართველო იძულებული იყო შექმნილ ვითარებას შესწყობოდა და თავდაცვის ორგანიზაცია მოწოლილი მტრის შესაფერისად მოეწყო, საქართველო ამ დიდ ომში, ასორმოცდაათი წელი რომ გრძელდებოდა, (XI — საუკუნის 70-ანი წლებიდან ვიდრე XIII საუკუნის 20-იან წლებამდე) თავს იცავდა და ის არც შეიძლება აგრესული ყოფილიყო. ზემომოტანილ ღონისძიებათა გამტარებელი სახელმწიფო არ შეიძლებოდა ყოფილიყო აგრესული. საქართველოს სახალხო მეურნეობა იმ დროს აგრესიის საფუძველი არ იქნებოდა, პირიქით ეს მეურნეობა მშვიდობას და თავისუფლებას მოითხოვდა თავისი განვითარებისათვის. სულ სხვა რამ იყო მისი მოწინააღმდეგე აგრესორი. შეტევა, დაცლა, ახალი მიწების ძებნა, კულტურული ქვეყნების ყაჩაღ-იალაღებად გადაქცევა — ამ მომთაბარე თურქმანთა მიზანი იყო.

დავითის ისტორიკოსი არა მარტო სამხედრო ორგანიზაციის სურათს იძლევა, ის ამ ორგანიზაციის შექმნის ისტორიასაც გვაცნობს.

როცა დავითი გამეფდაო, მას მხოლოდ აფხაზეთი ჰქონდაო ფაქტიურად, მეფეს მცირე გუნდი მხედრობისა ჰყავდაო და ისიც დაჯაბნებული, უცხენო-უსაჭურვლონიო. ისტორიკოსის ეს ცნობა იმ მხრით მოითხოვს განმარტებას, რომ ყველაფერი ეს შედეგი იყო 15—20 წლის ტყვევნა-რბევისა და მძიმე ხარკისა (თორემ X და განსაკუთრებით XI საუკუნის საქართველო სუსტი, მცირე და ღარიბი

ქვეყანა სრულიადაც არ ყოფილა: ამის წინააღმდეგია ყველა ჩვენება, რაც კი ჩვენ მოგვეპოვება წერილობითი ხასიათისა თუ მატერიალური ძეგლი (ქართული წყაროები, სომხური, არაბული თუ ბერძნული, მონასტრები, ეკლესიები, სასახლეები, განათლება და ლიტერატურა...). თურქობის შედეგად ქვეყნის დაზიანება-დაცემის გვერდით, რაც სრულიად ბუნებრივი იყო, ჩვენ საქმე გვაქვს ჩვენი ისტორიკოსის პოლემიკურ ხერხთან. ის განწყობილია კიდევ უფრო დაამუქოს საქართველოს ძნელბედობის სურათი. (სწორედ ამ პოლემიკური ხერხით აიხსნება ისიც, რომ ჩვენი ავტორი თავის შრომას იწყებს დიდი თურქობის აღწერით).

ქვეყანა დაცოდვიანებულია, ქვეყნის საეკლესიო და საერო მესვეურები, წინაუკმონი არიან. შინაგამცემელნი (ქცა, I, 319), უზრუნველ უდარდელნი [ჩვენს ისტორიკოსს ყოფნის გამბედაობა გიორგი მეფის ეს უღირსი მხარე აღნიშნოს (ქცა, I, 322)] ცოდვილნი... ღმერთიც ამიტომ გაურისხდა და მიწისძვრა მოავლინა... ქვეყანა გადაშენების პირას მიიყვანა...

აი ასეთ ვითარებაში დაიწყო დავითმა ქართველი ლაშქრის ახლად შექმნა. ან აქამდე არ მესმოდა, ან ახლა არ მესმის: ჩვენი ისტორიკოსი დავითის სამხედრო მოღვაწეობას ისე წარმოგვიდგენს (ქცა, I, 335—337, 358) თითქოს მეფეს საკუთარი დომენიდან (სახასოდან) გამოყვანილ მოლაშქრეთა წრთვნით კი არ დაუწყია, მე აქამდე ასე წარმომედგინა, არამედ მთელი ქვეყნიდან ლაშქრად გამომავალი კაცით, რომ, მაშასადამე „უწყინო" (ე. ი. ბოლომოუღებელ) ლაშქრობაში შეუბამს მოსახლეობის მთელი მეომარი ნაწილი. აზნაურები, მდაბიო-მოლაშქრენი. მუდმივი სამხედრო ვარჯიში, შეიარაღება-ეკიპირებაზე ზრუნვა, სიჯაბნე მოშიშობასთან ბრძოლა, გამარჯვების რწმენის დაჟინებითი ამოზრდა, მტრის წყობის შესწავლა, მხედრული ომის შერჩევა, საუკეთესო შეიარაღება...

გასაგებია, რომ ასეთი საყოველთაო მობილიზაცია, და ამდენი ხნით, შეაშფოთებდა ფეოდალურ ზედაფენას, მით უფრო, რომ ეს მობილიზაცია ამავე დროს საკუთრივ მათი თავნებობის წინააღმდეგ იყო აგრეთვე მიმართული. მაგრამ ასეთი მობილიზაცია მეფეს საშუალებას აძლევდა დიდაზნაურთა ყმებს დაახლოვებოდა, ერთგულები, მხნენი დაეწინაურებინა, მათთვის დიდება და საკარგავი ებოძებინა, ერთი სიტყვით ერთგულთა და მოსწრაფედ მორჩილთა ძლიერი ბირთვი შეექმნა (და დიდაზნაურთა ძალა გაეტეხა).

მართლადა დიდაზნაურთა „ყმები" (აზნაურები, მდაბიორ-მოლაშქრენი) პირადად ხომ თავისუფალნი იყვნენ (ფორმალურად მა-

ინც თუ ფაქტიურად ვერა) და მეფეს საშუალება ჰქონდა მათი ეს მხარე, ე. ი. სალაშქრო მოვალეობა წინ წამოეწია, ხოლო ასეთ დიდ-აზნაურებს, რომელნიც თავის ერს არა სახელმწიფოისად, არა ქვეყნისად, არა მეფისად, არამედ საკუთარი თავისად უყურებდნენ და ხშირად მეფის სამტროდაც კი გამოჰყავდათ, ასეთ დიდ აზნაურთ (ერისთავებს, ერისთავთერისთავებს თუ სხვებს), ბუნებრივია, მეფე ვერ მოითმენდა. ყმადნაფიცობის ნასახიც კი არ შეიძლებოდა დაშვებულიყო. ასე რომ გამოდის ეს სამხედრო საქმე, ქვეყნის მობილიზაციის აუცილებლობა უნდა გამხდარიყო უმთავრესი სტიმული ან უშუალოსა-ბაბი ყმადნაფიცობასთან შეუნელებელი და დაუნდობელი ბრძოლისა (ხოლო ამ დროის ერისთავები ხომ ყმადნაფიცობისათვის ღვრიდნენ ოფლს... და სწორედ ამით აიხსნება ის მდუღარე სიძულვილი, როგორსაც დავითის ისტორიკოსი ამჟღავნებს ამ ერისთავების წინააღმდეგ. ერისთავი ჩვენი ისტორიკოსის წარმოდგენით, ქვეყნის სისუსტის, ქვეყნის მოშლის სიმბოლოა, თურქთა ბატონობის ხელის შეწყობაა, სამშობლოსა და ქრისტიანობის ღალატია). ამრიგად, დავითმა აქაც გაუსწრო თავის დროს, ქვეყნის გადარჩენის საქმემ ძალთა ისეთი მობილიზაცია მოითხოვა, რომელიც მძიმე გამოცდა იყო ქვეყნის სოციალური წყობისათვის, და ასეთი მობილიზაცია არ შეიძლებოდა წარმატებით დასრულებულიყო, თუ მის გვერდით გადამწყვეტი ხასიათის სოციალურ-პოლიტიკური ღონისძიებანი არ იქნებოდა გატარებული. და დავითის დროს დაისვა საკითხი ცენტრალისტურად გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნისა (მეფით, ვაზირებით, მოსაკარგავეებიან დიდებულებით, სპასალარ-მმართებლებით).

ამ სამხედრო ღონისძიებათა შედეგი იყო, რომ დავითმა საბოლოოდ შექმნა „თვსისა სამეფოსა სპანი, რჩეულნი და მოკაზმულნი. ცხენკეთილნი და პირშეუქცეველნი". ისტორიკოსი განზრახ უპირისპირებს ძველ მდგომარეობას, როცა მეფეს „მცირე გუნდი მხეღრობისა ჰყავდა: ჯაბანნი, მოშიშნი, უსაჭურველნი, უცხენონი, და ყოვლად უმეცარნი თურქთა წყობასა..."

და ისტორიკოსი წარმოგვიდგენს დავითის ლაშქარს: „ყივჩაყნი"... რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი, ესენი განასრულნა ცხენებითა და საჭურველითა; და კუალად მონანი, რომელ ჰყვეს რჩეულნი და განსწავლულნი ღვაწლისა, ვითარ ხუთი ათასი კაცი, ყოველნი ქრისტიანე ქმნული, მისანდონი

და გამოცდილნი სიმჭნითა... ეგრეთვე თუსისა ს ა მ ე ფ ო ს ა ს პ ა-
ნ ი რჩეულნი და მოკაზმულნი ცხენკეთილნი და პირშეუქცეველნი...

აქ განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ეს „მონანი“. უეჭვე-
ლია „მონანი“ ტექნიკური ტერმინია, თუმცა ლაშქრის ეს სახეობა
არც ისეთია, რომ მას რაიმე კავშირი არ ჰქონდეს მონასთან. მარტო
ის ფაქტიც საკმაოა, რომ ამ ლაშქარს მონანი ეწოდება... შეიძლება
ეს ფაქტი ძველისძველ ტრადიციაზე მიუთითებდეს, როცა მეუფეს
(უფალს) ასეთი ლაშქარი ჰყავდა — ტ ა ძ რ ე უ ლ ე ბ ი ს სახელით
რომ იხსენიება. ის გარემოება, რომ დავითის ისტორიკოსის მოწ-
მობით მეფეს ჰყავდა ასეთი ლაშქარი — ტაძრეულები 1500 კაცი —
(იქვე 332) (ეს ტაძრეულები იახლა მან 1110 წელს თრიალეთში
თურქთა წინააღმდეგ ომში), ხოლო დავითის ლაშქრის სრული სუ-
რათის მოცემისას ლაშქრის ამ სახეობას არ იხსენიებს, ეს გარემოე-
ბა გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი ავტორი იმ ტაძრეულებს ამ მო-
ნებში გულისხმობს. მხოლოდ განსხვავება ისაა, რომ ამ ტაძრე-
ულთა რიცხვი აქ უკვე ხუთიათასად ქცეულა...

მონის ინსტიტუტი ფრიად საყურადღებოა. დავითის მონები
ყივჩაყები არ არიან, მეფემ რომ მოიწვია. ყივჩაყები ცალკე ორგა-
ნიზაციას წარმოადგენენ და არც ყველანი არიან გაქრისტიანებუ-
ლი. თუმცა ქრისტიანობა მათ შორის ფეხს იკიდებს. დავითს, რო-
გორც ჩანს, ყივჩაყთა მომთაბარული ტრადიცია იმ თავშივე არ
მოუშლია: „ყივჩაყნი დააყენნა ადგილთა მათ მარჯუეთა დედა-წუ-
ლითა მათითა“. „დააწყუნა გუარად-გუარად და დაუდგინნა სპასა-
ლარნი და მმართებელნი“. აქედან ჩანს, რომ ყივჩაყები მეფემ შეაია-
რაღა „განასრულა ცხენებითა და საჭურველითა“. სამხედრო დასე-
ბად დააწყო, სამხედრო და ადმინისტრაციული ხელმძღვანელები
მიუჩინა. ესაა, რომ მეფე მათ შინაურ ყოფაში არ ჩარეულა, თუმცა
ახალი ვითარების დიდი გავლენა ამ პირველყოფილ ტომზე თავის-
თავად იგულისხმება, ამიტომაც იყო, რომ „ყივჩაყნიცა უმრავლესნი
ქრისტიანე იქნებოდეს დღითი დღე“.

სხვა საქმეა მონანი. ამათ ჩვენი ავტორი სულ სხვა რიგად ახა-
სიათებს. თუმცა ჩვენი ავტორი ზოგადად ლაპარაკობს ყივჩაყების
სხვადასხვა თვისებებზე, რაც აგრე სასურველი იყო: წყობასა შინა
სიმჭნე, მიმართების სიფიცხე, ადვილად დასამჭირველობა და მომ-
ზავებლობა ნებისა თუსისა (ე. ი. მეფის ნების მიმყოლობა), უპოვა-
რება (სიღარიბე), მაგრამ ჩვენი აკტორი არსად არ ამბობს,
რომ ყივჩაყები „რჩეულნი“ ან „მისანდონი“ იყვნენ... ჩვენი ავტო-
რი იმასაც აღნიშნავს, რომ ეს ყივჩაყები არც თუ აგრე ერთგულე-

ბი იყვნენ, და არაერთგზის უცდიათ აჯანყება, მეფის მოკვლა (და ამას უცხო წყაროებიც გადმოგვცემენ). სულ სხვა იყვნენ, როგორც ვთქვით, „მონანი". ესენი იყვნენ „რჩეულნი და განსწავლულნი ღუაწლსა", ამათთვის ქრისტიანობა სავალდებულო იყო („ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი"). ესენი მისანდონი იყვნენ და გამოცდილნი სიმჯნითა. ამათაც, უნდა ვიფიქროთ, ჰყავდათ „სპასალარნი და მმართებელნი".

ჩვენი ავტორის მიერ ხმარებული დახასიათებანი, რასაც ის არც ყივჩაყებისა და არც სამეფოს სპის (ე. ი. ქართველების) მიმართ იმეტებს, იმის მოწმობაა, რომ ეს მონანი განსაკუთრებული ლაშქარია. მონანი ქართველები არ არიან წარმოშობით, ისინი „ქრისტიანე ქმნულნი" არიან, ქრისტიანობა მათთვის სავალდებულოა, ეს მონანი არც „ყივჩაყები" არიან, მაშ ვის უნდა იყვნენ? თურქები ისინი არ შეიძლება იყვნენ, არც ოსები, მით უფრო არც სომხები... შეიძლება ვიფიქროთ, რომ „მონებში" ყველა იგულისხმება ვინც კი ლაშქრის ამ სახეობაში იმყოფებოდა, რომ „მონა" სოციალური მომენტით კი არ არის აქ ხმარებული, არამედ სამხედრო ნიშნით, „მონაში" შეიძლებოდა ყოფილიყო ყველა უცხოელი და შინაურიც (?) შეიძლება უპირატესად ესენი არაქართველები იყვნენ და როგორც „ქრისტიანექმნულობა" მათი გვაფიქრებინებს. ისინი უპირატესად არაქრისტიანები იყვნენ... შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს მონები „ს ა მ ე ფ ო ს ს პ ი ს ა გ ა ნ" და „ყივჩაღებისაგან" იმით განსხვავდებოდნენ, რომ ესენი არც მიწისმფლობელ — მიწისმოქმედნი იყვნენ, როგორიც იყო „სპა", და არც მომთაბარე მეჯოგენი, როგორც „ყივჩაღები" იყვნენ (ან როგორც „ოსები" და სხვა მთიელები მსახურობდნენ როგორც „ყმადნაფიცები"), არამედ „მონები" იყვნენ პ რ ო ფ ე ს ი ო ნ ა ლ უ რ ი მ ო ლ ა შ ქ რ ე ნ ი, „რჩეულნი", სამხედრო საქმეში განსწავლულნი", „მისანდონი და გამოცდილნი სიმჯნითა" და „ყოველნი ქრისტიანექმულნი". არც მიწის მოქმედება-მფლობელობასთან და არც მომთაბარეობასთან მათ კავშირი არ ჰქონიათ და მათი ერთადერთი საქმე მონაში სამსახური იყო, ისევე როგორც ძველი „ტაძრეულობისა", რომელნიც არჩილ მეფემ აზნაურყვნა და კახეთი მიუბოძა ე. ი. ტაძრეულის ინსტიტუტი მოშალა და სამხედრო საქმე საბოლოოდ და მთლიანად მიწის მფლობელობა — მიწის მოქმედებას დაუკავშირა. როგორც ჩანს, დავითმა აღადგინა ტაძრეულნი-ს ინსტიტუტი, მაგრამ არა ქართველებისაგან შექმნა ის (უპირატესად?), არამედ უცხოელებისაგან და უნდა ვიფიქროთ. ამ მონებში

ყივჩაღთა ნათესავისაგან არამცირედ უნდა ყოფილიყვნენ, ისევე როგორც კავკასიელ მთიელთაგანაც, ოღონდ ესაა, რომ ყველა ამათ კავშირი გაწყვეტილი ჰქონდათ სასოფლო მეურნეობასთან. საფიქრებელია „მონებში“ არამცირედ იყვნენ ტყვეებიც... ეს ინსტიტუტი ამოდენა ლაშქრით, რა თქმა უნდა, ერთი ხელის აღებით არ შეიქმნებოდა და ის, ბუნებრივია, ვიფიქროთ, თანდათან იქნებოდა, ვიდრე ბოლოს 1120-ანი წლებისათვის, აგრე მრისხანე კორპუსი არ ჩამოყალიბდა. სამწუხაროდ ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები იმის შესახებ თუ გარეშე მტერთან ომის გარდა სხვა რა საქმეს ასრულებდნენ ეს მონები. ერთგან იქ, სადაც ტაძრეულებით დავითის ლაშქრობაზეა საუბარი, ჩვენი ავტორი გამოთქვამს რომ დავითი „ღამე ყოველ წარვიდა მასლათა კაცითა ათასხუთასითა“. მასლას განმარტება მე არ მომეპოვება. საბას მიეპოვება ერთი ადგილი, რომელიც შეიძლება ჩვენ გამოგვადგეს. სიტყვას სამასალოს ლექსიკოგრაფი განმარტავს საგუშაგოთი. შეიძლება ამ სამასალოს რაიმე კავშირი ჰქონდეს უცნაურ მასლასთან და „მასლათა კაცითა“ ნიშნავდეს გუშაგების თუ „გუშაგთა კაცით“ (გუშაგი — დარაჯი ციხეთა) და შეიძლება მაშასადამე, ამ ტერმინს რაიმე კავშირი ჰქონდეს მეფის მცველობასთან. (შედ. ვახტანგ VI მცველთა ჯარი)... სამაგიეროდ უფრო განკვეთილია ტაძრეული, რომელსაც ოდესმე მეფის სასახლესთან უეჭველია კავშირი ჰქონდა (ტაძარი). ტაძრეული ორჯელ აქვს მოხსენიებული ჯუანშერს (237, 243) და იქიდან მხოლოდ ისა ჩანს, რომ ტაძრეულები მეფეს ახლავენ ომში და რომ სოციალურად თავისუფალნი არ იყვნენ (ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, I, 35) და უნდა ვიფიქროთ მონებად ითვლებოდნენ...

მაგრამ თუ ასეთი პოზიციური განმარტება „მონებისა“ არ მოგვეპოვება, ისტორიკოსის სხვა ცნობები ბევრის მხრივ ნათელს ხდის ამ ინსტიტუტს: ისინი იყვნენ „რჩეულნი და განსწავლულნი ღუაწლისა“. მაშასადამე მონაში ყველას კი არ იღებდნენ, არამედ აქ მხოლოდ რჩეულები იყვნენ, ისინი განსწავლულნი იყვნენ სამხედრო ხელოვნებაში... ამავე დროს ესენი იყვნენ მისანდონი, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, და გამოცდილნი სიმჯნითა. მოკლედ ეს იყო გვარდია, რომელსაც მეფე სავსებით ენდობოდა და რომელიც ამ ნდობას ამართლებდა... ისტორიკოსი აღნიშნავს ყივჩაყების ღალატის შესახებ, არც სამეფოსა სპანი იყვნენ მისანდონი, ამ ეპიტეტით ჩვენი თვალმახვილი ავტორი მხოლოდ მონებს აჯილდოვებს და ეს არა შემთხვევით: როგორც ჩანს, მცირე და ბოლომოუღებელ

ლაშქრობას, თარეშებს მეფე ამ მონების (ტაძრეულების) საშუალებით აწარმოებდა: ნადირობდა, მიმოდიოდა და ადმინისტრაციულ ღონისძიებებს მათი თანხლებით ატარებდა, ურჩებს სჯიდა, მორჩილთ აწინაურებდა... ეს მონები მხედრები იყვნენ და მეფეს თან ახლდნენ ქალაქის პირის რბევაში თუ უფრო მსხვილ ომებში. ამ მონებს ჩანს სპასალარნი და მმართებელნი ჰყავდათ. ესენი იყვნენ მეფეს რომ აბრალებდნენ წიგნების კითხვით გატაცებას. ისინი, ჩანს ახლოს იდგნენ მეფესთან და მისი გამოცდილი მისანდონი იყვნენ. ამრიგად მონასპის ინსტიტუტი ფაქტია. ისიც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ინსტიტუტი დავითის მიერ იქნა შემოღებული. ამ ინსტიტუტის მიზანი მეფის პერსონის უზომო განდიდებაა, მისი მიუწვდომელობა... მეფე ამ ინსტიტუტით დაუპირისპირდა ფეოდალური ლაშქრის პრინციპს. მონებით და ყივჩაყებით დავითმა გასტეხა დიდგვარიან-ერისთავები მათი ტენდენციით ფეოდალური ლაშქრის ბატონობისა და თვით ეს ლაშქარიც მოსწრაფედ მორჩილი გახადა... (ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ რომ ეს „თუსისა საამეფოსა სპანი რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენკეთილნი და პირშეუქცეველნი“ საქართველოს მთელი ფეოდალური ლაშქარი კი არ იყო, არამედ მისი გარკვეული ნაწილი, მეომრობა-მხნეობაში გამოცდილი და მეფისათვის თავდადებული?...).

როგორი იყო მონასპის შემდგომი ბედი?... ეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი ჯერ კიდევ არავის დაუსვამს. სამწუხაროდ პირდაპირი ჩვენებანი საამისოდ ჩვენ არ გაგვაჩნია.

აკად. ი. ჯავახიშვილი ქართულ ლაშქარზე საუბრისას (სამართლის ისტორია II, I, 146) აღნიშნავს, რომ „დავით აღმაშენებელმავე დააწესა მეფის პირადი მცველი ჯარი „მონასპებად“ წოდებული (ისტ. და აზმანი, მდ. ქცა, გვ. 397). როგორც თვით სახელიც გვიჩვენებს, ესენი იყვნენ „მონანი მეფისანი“ (იქ არ წერია „მონანი მეფისანი“ არამედ მარტივად მონანი. მონანი აქ ტექნიკური ტერმინია და ამ ჯარის სახელია და არა სოციალური ტერმინი განმარტებით — „მეფისანი“. — ნ. ბ.), რომელიც „ჰყუეს რჩეულნი“ დავით აღმაშენებელს „ვითარც ხუთიათასი კაცი ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმხნითა“ (ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი მდ. ქცა. გვ. 302, აგრეთვე, გვ. 317). სამწუხაროდ განსვენებული მკვლევარი ამ მოკლე აღნიშვნით კმაყოფილდება...

$\left(\frac{4}{22}\text{ ფ. } 18-35\right)$.

18. 1121 წელი იყო. დავით მეფე „მასვე ზამთარსა ჩავიდა აფხაზეთს, ბიჭვინთამდე და განაგნა საქმენი მანდაური. ღირსნი წყალობისანი შეიწყალნა, შემცოდენი დაიპყრა და წუართნა“ (ქცა, I, 339). ჩანს აფხაზეთში, ე. ი. ლიხს გადაღმა მეფით უკმაყოფილოებს თავი წამოუყვიათ. დავითს იქ „სპა მისი“ არ ახლდა, ე. ი. მეფე ალბათ მონასპით იმყოფებოდა აფხაზეთში. და მეფემ „განაგნა საქმენი მანდაურნი“. აქ შეიძლება დავითი გართულებული საქმეების გამო გარდავიდა „აფხაზეთს“ და „განაგნა საქმენი მანდაურნი“, მაგრამ ის მაინც ფაქტია, რომ დავითიც კი მისდევდა იმ ფეოდალურ პრინციპს ქვეყნის მართვისას, როცა ქვეყანას მეფის პერსონა აერთიანებს, თორემ თითოეული ერთეული ყოფილი სამეფო, სამთავრო ასეთადვე რჩება და რომ თითოეულის „საქმენი“ ურთიერთისაგან დამოუკიდებელნი არიან. მაგრამ რამდენად ეგუებოდა ასეთი პოლიტიკური წყობილება იმ ახალი სახელმწიფოს პრინციპს, ქვეყნის ცენტრალისტურად გაერთიანების პრინციპს? რა თქმა უნდა, ეს ორი პრინციპი, — ფეოდალური გაერთიანება საერისოავთერისთავოებით და ცენტრალისტური გაერთიანება საავაზიროთი ერთიერთს გამორიცხავდნენ, მაგრამ კონფლიქტი, ჩანს, ჯერ აგრე მომწიფებული არ იყო: ქვეყანა ჯერ კიდევ მეურნეობრივად აგრე განვითარებული არ იყო, ერთი ხელის მოსმით თემობრიობის პრინციპი უარეყოთ, ქვეყანა რაციონალურ-ადმინისტრაციულ ერთეულებად დაეყოთ და, ამრიგად, ქვეყანა ცენტრალისტურად მოეწყოთ. საბოლოო ანგარიშით ასეთ ღონისძიების გატარებას გულისხმობდა სავაზირო და ეს შეთავსებანი ვაზირობისა ერისთავთერისთავობასთან საამისოდ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო. მაგრამ ამ პრინციპის წარმატებით განხორციელებას ჯერ კიდევ დიდი მშვიდობიანი განვითარება უნდოდა. მეფის დომენის სიდიდე, მართალია, ხელსაყრელ პირობას წარმოადგენდა ამ ღონისძიების წამოსაწყებად, მაგრამ აუცილებელი იყო ეკონომიური ურთიერთობის კიდევ მეტი მოწიფულობა, მეურნეობრივი გაერთიანება ძირეული რაიონებისა, საერთო ბაზრისა და ეროვნული ეკონომიკური ცენტრის წარმოქმნა, რომ ასეთ ღონისძიებას გაემარჯვა და თემურ-ფეოდალური ერთეულები (საერისთავთერისთავონი) გამქრალიყვნენ და ერისოავთერისთავი მოხელე-მოსაკარგავე ვაზირს შეეთვისებინა... რა თქმა უნდა, ეს უნდა მომხდარიყო თანდათან, ქვეყნის ეკონომიურად მოწიფულობისდა კვალად (დავითის საქმიანობა სწორედ აქეთ იყო მიმართული... მაგრამ ეს იყო მხოლოდ დასაწყისი ამ დიდი საქმისა...) საქართველოს საერისთავთერისთავოები მრავალსაუკუ-

ნოვანი ისტორიის მქონებელი პოლიტიკურ-ეკონომიური ერთეულები იყვნენ. თემობრივ ტომობრივად ურთიერთისაგან განსხვავებულნი, მტკიცე სამეურნეო გეოგრაფიულ ერთეულებად ჩამოყალიბებულნი. ეს ერთეულები კულტურულადაც ერთი მეორისაგან გარკვეულად განსხვავდებოდნენ (ენით, დიალექტით, კილოკავით, ყოფით).

თითოეული ასეთი საერისთავთერისთავო ძველად სამეფო ან სამთავრო იყო და კლასობრივი ურთიერთობის გარკვეული სახეობის პოლიტიკურ ფორმას წარმოადგენდა. მაგრამ ქვეყნის შემდგომი განვითარება, კლასთა ბრძოლის შემდგომი გაღრმავება მოძველებული პოლიტიკური ფორმის შესაბამის ცვლილებას მოითხოვდა. დაიწყო ქვეყნის გაერთიანება, მისი ერთ ფეოდალურ მონარქიად ჩამოყალიბება. ორას წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა ეს პროცესი. თანდათან გაქრნენ ძველი მეფეები და მთავრები. მათი ადგილები გაერთიანებული ქვეყნის მეფეთა მეფის დიდმოხელემ ერისთავთ-ერისთავმა დაიკავა. $\left(\frac{4}{22}\text{ ფ. } 29-31\right)$.

19. 1123 წელი. დავით მეფე შარვანს გაემართა. — იქ სულტანი მოსულიყო და შარვანშაჰი შეეპყრა. სულტანმა ბრძოლა ვერ გაბედა და უკან წავიდა.

„მასვე დღესა სულტანსა წინაშე მიმავალი ათაბაგი რანისა აღსუნღული ძალითა მრავლითა მოსრეს მ ო ნ ა თ ა მეფისათა ვითარ ოთხი ათასი კაცი და იგი ოდენ მარტო მეოტი ძლით მივიდა სულტანსა წინაშე“ (ქცა, 1, 344).

აშკარაა მეფის ეს „მონები“ მარტო მეფის მცველნი კი არ არიან, არამედ მოლაშქრეთა ძლიერი კორპუსიც.

ეს მონები ხომ ჯერ კიდევ თბილისის აღებამდე ჰყავს მეფეს, კარგად ჩანს. „მონებს“ შორის არიან „კაცნი რჩეულნი“. (ქცა, 1, 349).

მეფეს თან ახლდა „სამასი მჯედარი“. მჯედრებია მეფის „მონებიც“. მეფე და ეს მისი „სპა“ ავჭალის ღელეში არიან დამალული...

„ს პ ა“ აქ იგივე „მონები“ თუ არ არიან, ყოველ შემთხვევაში ისინი მაღალი ფეოდალები არ არიან...

უფრო საფიქრებელი ისაა, რომ „მონანი მეფისანი“ ანუ „მონასპა“ როგორც თამარის ისტორიკოსი იტყოდა... თავისთავად ტერმინი „მონასპანი“ გამორიცხავს თითქო „სპანში“ მხოლოდ მაღალი ფეოდალები იგულისხმებოდნენ.

20. დავითმაო „სულტანი დასუა მოხარკედ თკსა, ხოლო მეფე ბერძენთა ვითარცა სახლეული თკსი; დასცნა წარმართნი. მოსრნა ბარბაროზნი, მ რ წ ე მ ა დ მოიყვანნა მეფენი, მონად ქელმწიფენი; მეოტად წარიქცივნა არაბნი; იავარად ისმაიტელნი, მტუერად დახსნა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი". (ქცა, I, 351).

„მონის" ცნების პოზიტივური განმარტებისათვის აქედან ის მაინც ჩანს, რომ მონა არის „ქელმწიფის" საპირისპირო ცნება, ისევე როგორც „გლეხი" არის „მთავრის" საპირისპირო ცნება...

ქელმწიფე არის ის, ვინც უფლებამოსილია,. ვინც უფლებაშეუზღუდველია, ვინც უფლებიანია. ქელმწიფეში ხაზგასმულია უფლების (ქელის) ცნება. მისი საპირისპირო ცნება უფლების არა მქონე ცნებაა... უფლებამოკლებულის ცნება ესაა, დავითის ისტორიკოსის გაგებით, მონა. და „მონის" ასეთი გაგება ხელს არ უშლის ამ განათლებულ ავტორს „მონები" უწოდოს იმ ხუთი ათას მხნე და რჩეულ მხედარს, დავითს რომ ახლავენ და მის ღვაწლს რომ განსწავლული არიან. უეჭველია ეს „მონა" და ის „მონები" რაღაცა მომენტში, უმთავრეს მომენტში ერთი მეორეს ემთხვევიან, თუ ეს არა, შეუძლებელი იქნებოდა სხვადასხვა შინაარსის არა მონათესაე შინაარსის ცნებების ერთი ტერმინით ხმარება ერთი და იმავე ავტორის მიერ. მონა ისაა, ვისაც საკუთარი უფლება არა აქვს. საკუთარი ქელი არა აქვს. ვინც სხვისი ნების, სხვისი ქელის, სხვისი უფლების ქვეშაა persona alieno juris subiectus -ია. მისი საპირისპირო ქელმწიფეა, უფალია, ვისაც ხელი მწიფე აქვს, ვისაც უფლება აქვს. ვისაც დამონებული თავისუფლება კი არა, დაუმონაებელი თავისუფლება აქვს. მარტო ეს გამოთქმაც კი „დამონებული თავისუფლება" — სწორედ ამავე დროს ნახმარი — (რუის-ურბნისის ძეგლის დება) — კარგად მოწმობს თუ რა შინაარსს გულისხმობდნენ ცნება „მონაში"... (ქელმწიფეს ქელი აქვს მწიფე, უფალს ფლ (ფლობა) თუ „ფ" (მე-უფ-ე) აქვს, მონას კი ეს სრულიად არ გააჩნია, ის ქელისა და ფლ-ს საპირისპიროა, მისი უარყოფაა. ეს მომენტია უმთავრესი, ეს მომენტია დამახასიათებელი მონისა, როგორც სრულიად მართებულად ესმის ჩვენს ისტორიკოსს.

როგორღა უნდა გავიგოთ ამავე მწერლის პირში ეს „მეფის მონანი"? მხოლოდ ისე, რომ ეს მონები მეფის ნების ამსრულებელნი არიან და მისგან დამოკიდებული რაიმე ქელი მათ არ გააჩნიათ. მათ არც „ქალაქი აქვთ მაგარი" და არც „ციხე მოუდევარი"

და ისინი პატრონის „შეწყნარებული“ კი არ არიან, არამედ ყველაფერი მათი (თუ რამ აქვთ) ჭელმწიფისაა.

ამ კონტექსტში მეტად საინტერესოა ცნება „გლეხი“, რომელიც მთავრის საპირისპიროდ აქვს ავტორს მოტანილი (ასეთივე შინაარსით მას ეს ცნება დიდგორის ომის აღწერისასაც აქვს მოტანილი... „და რამეთუ გლეხთა, იხილემცა, ოდეს არაბთა მეფენი მოჰყვანდეს ტყუედ“...) მთავარი უმაღლესი საფეხურია პოლიტიკური ხაზით, გლეხი უდაბლესი, ჭელმწიფე — მონა, მთავარი — გლეხი. $\left(\frac{4}{22}\right.$ ფ. 132—136$\left.\right)$.

21. 1124 წ. მეფემ ანისი აიღო და „ანისისა მცველად დაუტევნა ახნაურნი მესხნი და წარმოვიდა ქართლად“. (ქცა, I. 345).

იმავე წელს „წარემართა შარვანსა, და აღიღო ქალაქი შამახია და ციხე ბირიტი, სრულად ყოველი შარვანი, და დაუტევნა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი ჰერნი და კახნი და განმგებლად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართ-უხუცესი თუსი სკმონ, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ-ალავერდელი, მიმსგავსებული გიორგი დედის ძმისა თუსისა, კაცი ყოვლითურთ სრული და ბრძენი“.

ისტორიკოსი აქაც თავის წესს მისდევს: არ ასახელებს საერო მმართველებს, ხოლო მწიგნობართუხუცესს არ ივიწყებს.

მაგრამ განსაკუთრებით ამჟამად ჩვენთვის საყურადღებო ისაა, რომ დავითი შარვანს და ანისს (ე. ი. სომხეთს) საყმადნაფიცოდ კი არ აქცევს, არამედ იერთებს სამეფოდ. შარვანის „საქმეთა ზედამხედველად“ მხოლოდ ამას მოწმობს.

და დავითს არა თუ ანისი და შამახია, სომხითის სამეფოშიაც კი არ გაუჩენია საერისთაო, ისევე როგორც თრიალეთში ან ზედაზენ-მუხრანში. თევდორსე ჰქონდა თრიალეთი და კლდეკარნი. მაგრამ მისი „ერისთაობა“ არსად იხსენიება (და თუ იყო ერისთავი, არა ძველებური ბაღვაშისებური), ასევე აბულეთი და ივანე ორბელი, მაინც ამათი დიდგვარიანობა საეჭვოა... $\left(\frac{4}{22}\right.$ ფ. 139$\left.\right)$.

22. დავითმა ოსეთს „თანა წარიტანა გიორგი ჭყონდიდელი და მწიგნობართ უხუცესი თუსი, კაცი სრული ყოვლითა, სიკეთითა სულისა და ჭორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი, სჯანი და ფრთხილი, თანააღზრდილი აღმზრდელი პატრონისა

და თანაგამკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა“ (ქცა, I, 336).

გიორგი ჭყონდიდელი განსაკუთრებული მნიშვნელობის ისტორიული პიროვნებაა. ის დავითის პოლიტიკის სული და გულია. ის წლოვანებით მეფეზე უფროსია, მეფის „აღმზრდელია“. მაგრამ, შეიძლება, არც თუ ძალიან უხნესია: მისი „თანააღზრდილია“ „აღმზრდელი პატრონისა“ მრავლისმეტყველია: ჯერ ერთი ეს იმას ნიშნავს, რომ გიორგი არ იყო „ნათესავი მეფისა“, როგორც ამას ფიქრობდა თ. ჟორდანია (ქრონ. I, 242): მაშინ „აღმზრდელი პატრონისა“ გამოთქმა უხერხული იქნებოდა. მეორე, გიორგი ჭყონდიდელი არც გელათში დაუმარხავთ, საფიქრებელია, რადგან, „გიორგი ჭყონდიდელის მწირველი“ XIII საუკუნეში შიო მღვიმეში იხსენიება. „მონასტერსა ახალსა“ დაემარხა ხელის შემშლელი გარემოება ვერ არის, რადგან დავითმა 1102—1103 წელს დაიწყო შიო მღვიმეში „საშუალი“ ეკლესიის შენება, ამის მოწმობაა მისი სიგელი, რაც შეეხება გელათს, დავითმა აქ კიდევ მეტი აღაშენა (აკადემია, მთავარი ეკლესია, ქსენონი...) და ის მეფეთა საძვალეთ დამტკიცა, მაგრამ გელათი მანამდეც არსებობდა. ასე რომ „ახალი მონასტერი“ არც ეს იყო და არც შიო მღვიმე, ხოლო გარკვეული ასრით ორივე შეიძლებოდა „ახალ“ მონასტრად წოდებულიყო (უფრო კი მაინც გელათს შეშვენოდა ამ ეთი სახელი). მაგრამ გიორგი ჭყონდიდელის შიო მღვიმეში დამარხვის ვარაუდს ის უპირატესობა აქვს, რომ ეს მონასტერი შემდეგ XII—XIII საუკუნეებში განსაკუთრებით მწიგნობართუხუცესის საზრუნავი და სახელო ჩანს, მაშინ როცა გელათი მოძღვართ მოძღვარის ხელთაა, აქ, შიო მღვიმეში, სხვადან და მოღვაწეობენ მოსვენებად გასული ჭყონდიდელი მწიგნობართუხუცესები. ასე რომ შიო მღვიმე თითქო ჭყონდიდელთა საძვალეა და თუ ასეა, ეს უეჭველია გიორგი ჭყონდიდელიდან უნდა დაწყებულიყო, ამას უნდა მოწმობდეს მისი მწირველი შიომღვიმეში...

ხოლო თუ ყველა ეს არა საკმაო საბუთია და გიორგი ჭყონდიდელი გელათშია დასაფლავებული, ეს კიდევ უფრო მანიშნებელი ფაქტი იქნებოდა იმისა, თუ რა დიდი მნიშვნელობისა იყო ამ ბერის მოღვაწეობა...

ისტორიკოსი გარკვევით ამბობს, რომ ეს ბერი იყო აღმზრდელი პატრონისა და თანაგანმკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთაო. როგორც ვიცით, ჯიორგი მონაზონი რუის-უბნისის საეკლესიო კრების „თუალად“ იყო „ცნობილი“, ე. ი. აღიარებული

იყო მთავარ ინიციატორად და კრების მუშაობის წარმმართველად. ასე რომ ეს საქმე საეკლესიო კრების მოწვევა და რადიკალურ ღონისძიებათა მიღება, საფიქრებელია, მეფეს განუზრახა გიორგი მონაზონმა მეფის მწიგნობართუხუცესმა, რაკი გიორგი მონაზონი დიდგვარიანთა წინააღმდეგ მიმართული (საეკლესიო დარგში) პოლიტიკის მომხრე და განმზრახი იყო, შეიძლება ვიფიქროთ, იგივე იყო ახალგაზრდა მეფის განმზრახი ლიპარიტ-რატისა თუ ძაგან-მოდისტოსის წინააღმდეგ ბრძოლისა. იგივე გიორგი მონაზონი მეფის მთავარი თანამოღვაწეა თურქთა განდევნის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით ან უშუალო მონაწილეობით ხდება სამშვილდისა და სომხითის გაწმენდა თურქთაგან, ასევე რუსთავიდან მათი განდევნა და ამ ქალაქის შემოერთება. ასე რომ გიორგი მონაზონი მართლაც რომ „თანაგანმკაფელი" იყო „ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა" მეფისათა. შეეხებოდა საქმე ეკლესიას თუ დიდგვარიანთ, საეროს თუ სამხედრო საკითხებს ყველგან და ყველაფერში გიორგი მონაზონი — მწიგნობართუხუცესი აქტიური მონაწილეა. ის მართლაც მამაა მეფის (ჭყონდიდელის წოდება მეფის „მამად" პირველად დავითის ისტორიკოსმა იხმარა). ჩანს შემდეგაც გიორგი ასევე მხნედ განაგრძობს აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას და მისი განზრახვის გარეშე არ მომხდარა, რა თქმა უნდა, სააჯო კარის შექმნა (ეს მთელი ახალი საფეხური იყო ქართული ფეოდალური სახელმწიფო წყობილების განვითარებაში), სადაც თავმჯდომარედ იგივე ბერი დაინიშნა... და კონტროლი ყოველი სამეფისკარო დაწესებულებისა (ერთი სიტყვით კანცლერი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) ჭყონდიდელის უფლებას რომ შეადგენდა, უეჭველია გიორგის დროიდანვე მოდის. გიორგი მონაზონი იყო მთავარი განმზრახი მეფისა ყივჩაყთა გადმოყვანის საქმეშიც...

თუ როგორ განსაკუთრებით აფასებდა დავითი ამ თავის მწიგნობართუხუცესს, ჩანს იქიდან თუ როგორი პატივით დაასაფლავეს ღვაწლმოსილი მოხელე. მეფემ მისი გარდაცვალების გამო გლოვა გამოაცხადა, სამეფო კარი შავით შეიმოსა და მხოლოდ 40 დღის შემდეგ დახსნა გლოვა მეფემ (უფლისწულ ვახტანგის შეძენის გამო).

დამახასიათებელია, რომ დავითის ისტორიკოსი, რომელიც „ერისთავებს" სულ არ იხსენიებს და სხვა საერო თუ საეკლესიო პირთაც იშვიათად ასახელებს, გიორგი არ ავიწყდება და მის ღვაწლს განსაკუთრებით აღნიშნავს, ჩანს დიდი დავითის პიროვნებამ ჩვენი ისტორიკოსის თვალში ვერ დაჩრდილა დიდი პოლიტი-

კური მოღვაწის სახე და ჩვენი ისტორიკოსის ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ გიორგი მწიგნობართუხუცესი დავით მეფესთან ერთად იყო შემოქმედი ახალი ქართული სახელმწიფოსი.

ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის აგრე ყოვლისმომცველი კომპეტენცია, როგორც ეს შემდგომ ხანებში ჩანს. გადაჭრით შეიძლება ითქვას, დავითის მიერ განსაზღვრულ-დამტკიცებული, გიორგის პრაქტიკული მოღვაწეობის შედეგია.

მეფის მწიგნობართუხუცესის როლის აგრე გადიდება, მისი კომპეტენციის აგრე ყოვლისმომცველობა, მისი ვაზირთა უპირველესობა ყველაზე თვალსაჩინო მოწმობაა ახალი სახელმწიფოს წარმოქმნისა. ძველი ერისთავების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკისა, ქვეყნის ცენტრალისტურად გაერთიანების პოლიტიკისა.

ამიტომაც იყო, გასაგებია, რომ ჰყონდიდელ მწიგნობართუხუცესს უტევდა ფეოდალური რეაქცია, ვიდრე XIII საუკუნეში ის არ გადააშენეს...

გიორგი მონაზონი მეფის აღმზრდელი იყო... ეს არ ნიშნავს იმას, რომ გიორგი იყო მეფის სულიერი მოძღვარი, ე. ი. ქრისტიანობის გზით სწორად სვლის მაჩვენებელ-დამრიგებელი. ასეთი პირი სხვა იყო, როგორც ამას დავითი ასახელებს კიდეეაც (შ. მღ. საბ. 16). მაშასადამე გიორგის მიერ მეფის აღზრდა სულ სხვა სფეროს შეეხებოდა. მაგრამ ისიც გამორიცხულად შეიძლება მივიღოთ, რომ გიორგი მონაზონი მეფის საჯაბუკო საქმეებში აღმზრდელი იქნებოდა. ამაებში, უეჭველია, მეფეს სხვა აღმზრდელები ეყოლებოდა. დარჩა მწიგნობრობისა და პოლიტიკური სფეროები და, როგორც ისტორიკოსიც მოწმობს, ამ დარგებში „აღმზრდელი" იყო მეფისა გიორგი მონაზონ-მწიგნობართუხუცესი...

„ხოლო მაშინ ოვსეთს ყოფასა მიიცვალა გიორგი ჰყონდიდელი. თავადგა სიყრმითგანთა პატრონისა მსახურებათათჳს და პატივითა დიდითა წარმოგზავნა მონასტერსა ახალსა და მუნ დაემარხა. რომელი იგლოვა ყოველმან სამეფომან და თჳთ მეფემან ვითა ბამა და უმეტესცა მამისა, შემოსითა შავისათა ორმეოც დღე, ვიდრემდის იშვა ვახტანგ, რომლისა ხარებითა დაიჯსნა გლოვა". (ქცა. I, 337).

აქ გარკვევითაა ნათქვამი, რომ გიორგი მონაზონი თავმდგმური იყო (თუ თავად ადგა??) პატრონისა მსახურებათათჳს სიყრმითგანვე, ე. ი. შეიძლება ვიფიქროთ ის აქტიური მოღვაწე იყო 1089 წლის აქტისა, გიორგი მეფემ რომ ეს 16 წლის დავითი ტახტზე აიყვანა. შეიძლება გიორგი მონაზონი თვით გიორგი მეფის მწიგნო-

ბართუხუცესიც კი იყო. „ვითარცა მამა და უმეტესცა მამისა შემოსითა შავისათა ორმეოც დღე“ — ნათესაობის მაჩვენებელი გამოთქმა კი არაა, არამედ ის, რომ დავით მეფე განსაკუთრებით ძვირად აფასებდა თავის უერთგულესი alter ego-ს ღუაწლს ახალი სახელმწიფოს შექმნის საქმეში...

1123 წელს დავით მეფე წერს: შიო მღვიმის მონასტერიო, აწ სვიმეონ ბედიელ-ალავერდელისა იყოს შეეედრებულ. რაც საქმე და საურავი მათი იყოს, იგი იყოფოდის, რომელსა ჩუენ ვერ მივიწინეთ და შემდგომად მისსა ადგილსა ამითვე წესითა სხუა მწიგნობართუხუცესი იყოს, იგი იურვოდის“.

აქედან ცხადია, შიო მღვიმის მონასტრის საქმე დავითს მწიგნობართუხუცესისათვის გადაუცია და ასე რჩებოდა ეს, ვიდრე მწიგნობართუხუცესობა რჩებოდა. ეს კიდევ ერთი საბუთია, ვფიქრობთ იმისა, რომ გიორგი მწიგნობართუხუცესი იქნა დასაფლავებული, სადაც მისი დისშვილი (სიმონი) დავით მეფემ „მოურავად“ გაეწესა და ეს პრაქტიკა მონასტერს წესად დაუდვა.

ისტ. საბ. შ. მღ. მონასტრისა გვ. 18. $\left(\frac{4}{22}\text{ ფ. } 71-77\right)$

23. დავითის დახასიათება.

ის უხვად იყო დაჯილდოებული ქვეყნის პოლიტიკური მესაჭისათვის აუცილებელი პირადი თვისებებით. ნათელი მიზანდასახულობით და შეუნელებელი გულისყურით ეკიდებოდა მეფე ქვეყნის ეკონომიური, სოციალურ-პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების ყოველ მხარეს. სახელმწიფო და საეკლესიო წყობილების საკითხები, ლაშქრისა და ლაშქრობის საქმე, ღონისძიებანი ქვეყნის ეკონომიური წარმატებისათვის, სოციალური ურთიერთობისა და სამართლის საკითხები — ყველაფერი მის საზრუნავს შეადგენდა, ყველაფერში აქტიურად ერეოდა და ყველაფერს გარკვეულ მიმართულებას აძლევდა.

ფართო მსოფლმხედველობის მქონებელი, ღრმად განათლებული ადამიანი, მეცნიერების მოყვარე, რელიგიური შეუწყნარებლობის მტერი, პოეზიის დიდი მეგობარი და მფარველი, გელათში სასულიერო აკადემიის დამაარსებელი, ხოლო თბილისში სამეფო კარზე საერო სწავლა-მოძღვრებისა და პოეზიის მეცენატი: — ადამიანი უდრეკი ნებისყოფით, უშრეტი ენერგიით, „უძრავი გულით“ (ე. ი. ყოვლად უშიში), ბრძენი, პოლიტიკოსი, ორგულთა და მტერთათვის მკაცრად მიმგებელი, ერთგულთათვის მოყვარე-ლმობიერი, — ასეთი იყო ეს დიდი ადამიანი, ფეოდალური საქართველოს ყველა-

ზედ დიდი ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი. სწორედ ასეთი ზედსახელი უწოდა

შას მადლიერმა შთამომავლობამ. $\left(\frac{4}{22}\text{ ფ. } 128-130.\right)$.

24. დავითის ისტორიკოსის დახასიათება.

შესანიშნავია დავითის ისტორიკოსის დამოკიდებულება მის მიერ აწერილ მოვლენებთან. განსხვავებით „მატიანე ქართლისაის“ ავტორისაგან ჩვენი ისტორიკოსი „პარტიულია“. დიდაზნაურების დამოკიდებულება მეფესთან თუ ეკლესიაში შექმნილი ვითარება, ლაშქრის შექმნის საკითხი თუ ლაშქრობანი, მსტოვართა ინსტიტუტის შექმნა თუ მონასპის გამრავლება, — ყველაფერი, შეიძლება ითქვას, პარტიული თვალსაზრისით აქვს განხილული: ყველაფერი კარგია და მართებულია, რაც საქართველოს აღდგომა-გაძლიერებას, თურქთა განდევნას, ქვეყანაში წესრიგის და მშვიდობის დამყარებას, მოწესრიგებული სახელმწიფოს შექმნას, თავაშვებულ დიდგვარიანთა დამორჩილებას, მეკობრე-აზნაურთა დაწყნარებას, სამართლიანობის, გამკითხველობის საქმეს ემსახურება. ყველა ამის განსახიერებაა მისი წარმოდგენით დავითი, ეს ღმერთის მაგიერი კაცი, ღმრთის ნების ამსრულებელი... $\left(\frac{4}{22}\text{ ფ. } 106\right)$.

დავითის ისტორიკოსის დასახასიათებლად ფრიად მნიშვნელოვანი დეტალი შეინიშნება. ის გაურბის ერისთავების ხსენებას, მათი მოღვაწეობის აღნიშვნას. თითქო ეს ერისთავები გადაშენდნენო, მაშინ როცა მატიანე ქართლისაის ავტორი ან სუმბატ დავითის ძე, რომ არაფერი ვთქვათ უფრო გვიანი ხანის ისტორიკოსებზე, სავსეა ერისთავების შესახები ცნობებით... ერისთავები დავითის დროს, რა თქმა უნდა, არ გამქრალან; მაგრამ მათი მნიშვნელობა უეჭველად ძლიერ შეზღუდვილი იყო, ბევრიც ძველ ერისთავთაგან დამცროგილ-გამოთაყვანებული იყო და მათ ადგილზე ერთგულები იყვნენ წამოწეულნი, მაგრამ ისიც უეჭველად ანგარიშგასაწევია, რომ დავითის ისტორიკოსს არ უყვარს ერისთავთა ხსენება ერისთაობით და ეს შეიძლება იმიტომაც, რომ მას აგონებს იმ მთავრებს, რომელნიც ასე ბოლომოულებელ მტრობაში იყვნენ ქვეყნის გამაერთიანებელ მეფეებთან, პატრონებთან... შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასეთი ოდიოზური დამოკიდებულება ერისთავებისადმი დამახასიათებელი იყო დავითის პოლიტიკის მომხრე დასისათვის და თვით დავითისათვის. არც ხანგრძლივი საუბარი ეხალისება ჩვენს ისტორიკოსს მეფე-ერისთავებს შორის ურთიერთობაზე.

მაგალითად, ცნობილია, რომ დავითს ხანგრძლივი ბრძოლა ჰქონია დიდგვარიან ძაგან ზედაზნის ერისთავთან და მუხრანის მფლობელთან, რომ ამ ბრძოლაში ცხოველი მონაწილეობა მიუღია ძაგანის ძმას ეპისკოპოს მოდისტოსს, რომელსაც შიო მღვიმის მონასტრის გამოყენებაც კი უცდია მეფის წინააღმდეგ აჯანყებული ერისთავის დასახმარებლად. მეფეს დაუმარცხებია აჯანყებულნი. ამ ბრძოლაში შიო მღვიმის მონასტერი მეფის მხარეზე გამოსულა (იხ. ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა გვ. 15, 18). ამ ამბების მოთხრობის ნაცვლად ისტორიკოსი მოკლედ გადმოგვცემს: „მოსცა ჟამი ღმერთმან მეფესა დავითს და წარუღო კვირიკეს (კახთა მეფეს — ნ. ბ.) ციხე ზედაზადენი; ქრონიკონი იყო სამას ოცდა სამი". ისტორიკოსი ისე გადმოგვცემს ამ ფაქტს, თითქოს ზედაზადენის ციხეს ერისთავი არ ყოლოდეს და ბრძოლა მხოლოდ მეფეებს შორის მიმდინარეობდა, იურიდიულად ეს ასე იყო, მაგრამ ფაქტიური ვითარება თუ როგორი იყო, ეს ზემო მონათხრობიდან ჩანს. და ისტორიკოსი საჭიროდაც არ სთვლის ძაგან ერისთავის მოხსენიებას...

ასევე ერიდება ჩვენი ისტორიკოსი ლიპარიტ ბაღვაშის ან რატის მოხსენიებას ქართლის ან კლდე-კარ-თრიალეთის ერისთავად (ლიპარიტს იგი „ამირას" უწოდებს...), მაშინ როცა უეჭველია, რომ „ლიპარიტ-ამირა" ქართლის ერისთავიც იყო და კლდეკარისაც...

კიდევ მეტი: მეფის უერთგულესი კაცის გიორგი ჭყონდიდელის დისწულის თევდორე აბულეთის ძეს ისტორიკოსის სიტყვით თრიალეთი და კლდეკარნი ჰქონდეს. (ბაღვაშების გადაშენების შემდეგ), და ამ თევდორეს ერისთავობით კი არ იხსენიებს, როგორც არ იხსენიებს ასეთი პატივით არც აბულეთს და არც ივანე ორბელს მეფის ერთგულ მხედართმთავრებს (და თავიანთი გვარის დამწყებთ...); რომელთაც გიორგი ჭყონდიდელის ხელმძღვანელობით „სიმარჯვით მოიპარეს სამშვილდე" (131), მაგრამ კიდევ უფრო დამახასიათებელია, რომ დავითის ისტორიკოსი ერთხელაც არ აღნიშნავს, რომ დავითმა ესა და ეს ახლად აღებული მხარე თუ შემოერთებული ქვეყანა (მაგალითად კახეთი, ჰერეთი), ან ძველი მკვიდრი ქვეყანა (ქართლი თუ აფხაზეთი) ვინმეს წყალობად მისცა საერისთაოდ და სხვა ასეთი, ვინ იყო დავითის დროს ქართლის ერისთავი. მართალია მეფემ დაამცირა ქართლის ერისთავის მნიშვნელობა, ის არც მეფის აღმზრდელი იყო ამიერიდან და არც საქართველოს ლაშქრის მხედართმთავარი, როგორც აქამდე, მაგრამ არც ისაა საფიქ-

რებელი, რომ მან მოშალა ქართლის ერისთავის თანამდებობა. დავითმა რომ ჰერეთ-კახეთი შემოიერთა, ამაში მას, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული სამსახური გაუწიეს ჰერმა დიდებულებმა: „არიშიანმა, ბარამ და დედის ძმამ მათმან ქავთარ ბარამის ძემან". ჩვენი ისტორიკოსი მოგვითხრობს თუ ამ საქმესთან დაკავშირებით როგორი ომი გადაიხადა ქართველმა ხალხმა (ერწუხს), თუ როგორ ნებიერად აიხუნა მეფემ ციხენი ქვეყნისანი, როგორ თვითმპყრობელობით დაიპყრა ქვეყანა... და მართლაც ქვეყნის თვითმპყრობელობით დაპყრობას უსათუოდ არ ეგუებოდა, ასე ესმოდა დავითის ისტორიკოსს, ერისთავებისათვის წყალობად გაცემა დაპყრობილი ქვეყნისა... მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს რომ ეს ნამსახური მოღვაწენი მან უხელოდ დატოვა. არიშიანი ასეთ მოხელედ გარკვევით ჩანს (იხ. შ. მღ. საბ-ბი, 21), მაგრამ ერისთავად არც პირველად იხსენიება, არც შემდეგ...

მოკლედ დავითის ისტორიკოსი კარგად გვაგრძნობინებს, რომ ამ დროს ბრძოლა მიმდინარეობდა ერისთავობის წინააღმდეგ (სავაზიროს შექმნა ამის საშუალება იყო). და სხვა რიგად არც წარმოიდგინება ქვეყნის ბატონყმური გაერთიანება $\left(\frac{4}{22}\text{ ფ. } 100-102\right)$.

ამის შემდგომად მოვიდა სულტანი მელიქშა, მოიდგა სამშვილდეესა და წარიღო, და ივანე ძე ლიპარიტისი ტყუე ჰყო, მოაოკრა სომხითი და წაიდა" (ქცა, I 318), არ ახსენებს თუ ვინ იყო ეს ივანე, ისევე როგორც შემდეგ (გვ. 323): მოუთხრობს მიწის ძვრაზე და გვაცნობს: „თმოგკცა დაიქცა და დაიპყრნა ქუეშე კახაბერი ძე ნიანიასი ცოლითურთ" (ქცა, I, გვ. 323).

არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩვენი ავტორი გულისხმობს რაღაც წინამავალ ტექსტზე, საიდანაც ცხადია, თუ ვინ იყვნენ ივანე ძე ლიპარიტისი ან კახაბერი ძე ნიანიასი. მართალია, ჩვენი ავტორი იცნობს მატიანე ქართლისაის ტექსტს, მაგრამ თავის ამ ნაშრომს იმ თხზულების გაგრძელებად არ გულისხმობს, არამედ დამოუკიდებელ ნაწარმოებს წერს. ჩვენს ვარაუდს, რომ ავტორი გაურბის ამ დიდებულთა მოხსენებას ერისთავობით, ისიც მოწმობს, რომ არსად ამის შემდეგ მთელი მისი შრომის სიგრძეზე არსად იხსენიებს „ერისთავებს".

მის ლექსიკონში ვიკვდებით „სპასალარს", „ზორვარს", „მართებელს", „დიდებულს" და არც ერთხელ ერისთავს და ეს არა იმიტომ, რომ გიორგი მეფის ან მისი შვილი დავითის დროს ერისთავები არ იყვნენ ან ერისთავობა გაქრა, არამედ ეს მკაფიოდ უჩვე-

ნებს ჩვენი ავტორის დამოკიდებულებას (და დავითის დროის პოლიტიკის დამოკიდებულებას) ამ ინსტიტუტისადმი, რომელიც. როგორც ჩანს, ყველა უბედურების მიზეზად მიაჩნდათ ჩვენ ავტორს და მის თანამოაზრეთ.

თურქებმა დაიფორიაქეს ქართველ ლტოლვილების „კარავნი სამეფონი და ყოველთა დიდებულთანი“ (ქცა, I, 319).

შეეიწროებულმა გიორგი მეფემ „ჰყო განზრახვა დიდებულთა თკსთა თანა და დაამტკიცეს წარსლვა მაღალსა სულტანსა მალიქშას წინაშე“.

კახთა მეფე აღსართან „შეიპყრეს ჰ ე რ თ ა დ ი დ ებ უ ლ თ ა არიშიანმან და ბარამ და დედის ძმამან მათმან ქავთარ ბარამისძემან“ (ქცა, I, 328). უეჭველია, რომ ეს არიშიანი და სხვებიც ერისთავები ან სხვა რამ თანამდებობის პირებია ჰერეთს. ჩვენი ავტორისათვის ისინი მხოლოდ „დიდებულებია“, ე. ი. გარკვეული თანამდებობის პირნი, დროებით რომ უნდა ფლობდნენ ამ თავიანთ თანამდებობას, „დიდებას“ $\left(\frac{4}{32}\right.$ ფ. 104 — 105.$\left.\right)$.

1117 წელს დავითმა „დაიპყრნა გრიგოლის ძენი ასამ და შოთა და აიღო ციხე გიში“ (ქცა, I, 334).

და ისტორიკოსი გაურბის თქმას, თუ ვინ იყვნენ გრიგოლის ძენი.

ამავე წელს მეფე ნაკიდურს იდგა „მუნ მოართვეს ამბავი ბეშქენ ჯაყელისა თურქთაგან ჯავახეთს მოკვლისა. და ამისთკს უშლიდეს დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი მას ჟამსა წარსვლად“.

და არც აქ აღნიშნავს ისტორიკოსი ვინ იყო ბეშქენ ჯაყელი. ის, საფიქრებელია, თუხარისის ერისთავის (ქცა, I, 298) ბეშქენ ჯაყელის შვილის შვილია და თვით ერისთავია.

იქვე (337) ლაპარაკობს ისტორიკოსი „თკსთა სამეფოსა სპანი რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენკეთილნი და პირშეუქცეველნი“ არც ერთი სიტყვა ერისთავებზე. რომელთა ხელქვეშ თითქო ეს სპანი იგულისხმებოდა (?). და არც შემდეგ (358), სადაც ლაპარაკია ომაზე, თუ როგორ გაწრთვნა დავითმა ეს სპანი, არც ერთი სიტყვით არ იხსენიებს ერისთავებს. და აქაც კი, სადაც სწორედ ეს ერისთავები იგულისხმება (გვ. 359), რომელთა წინაალმდეგ არის მიმართული ტირადა „ქართველთა ნათესავის ორგული ბუნების“ შესახებ, ცალი სიტყვითაც კი არ ასახელებს „ერისთავს“. შემთხვევითი კი არ არის, რომ დავითის ისტორიკოსი, ახალი სახელმწიფოს ეს თეორეტიკოსი, ერისთავებს არსად იხსენიებს.

არიან „დიდებულები“. ეს დიდებულებიც ჩვენს ისტორიკოსს ფეოდალური გვარის სამკაულად, ამა თუ იმ ფეოდალური „სახლის პატივად“ კი არ ესმის, არამედ ამა თუ იმ პირის, სულერთია, მაღლის თუ დაბლის გვარის, პირად პატივად, რომელსაც მეფე უწყალობებს აიმხნე ერთგულების ჯილდოდ ამა თუ იმ მოღვაწეს. შემდგომი განვითარება კი დიდებულის საკითხში იმავე ბრძოლის გზით წავიდა: „დიდებას“ საშვილიშვილოდ გადაქცევის ტენდენცია ფეოდალურ ქვეყანაში მუდამ ჰქონდა და დიდებული მეტნაკლებად ყველა აზნაური იყო — და ზოგჯერ არა აზნაურიც — თუ კი რაიმე ქელის მქონებელი იყო (გვიან ხანაში მამასახლისობა ან მდივნობაც კი სახლის პატივად იქცა), მაგრამ „დიდებული“ სოციალური ფენის აღმნიშვნელად „დიდებულ აზნაურებს“, ე. ი. დიდი ხელის მქონებელ ერისთავთერისთავებისა და ერისთავების სახლებს განეკუთვნა და ეს იმისდაკვალად, რომ მათ დაიმკვიდრეს დიდება... მაგრამ არსად არ ჩანს ერისთავები და ეს იმიტომ, რომ ერისთაობა ჩვენს ისტორიკოსს იმ არმოსაგონებელ წყობილებას მოაგონებს, დავითის წინ რომ იყო. ჩვენი ისტორიკოსის წარმოდგენით ერისთაობა გადასული ინსტიტუტია და შეუთავსებელია იმ სახელმწიფო წყობილებასთან, როგორსაც დავითი ქმნიდა — ცენტრალისტურად (საკაზიროთი) მოწყობილ სახელმწიფოსთან. ყველა ეს ერისთავები „მეფეთა ადგილებზე“ რომ სხედან, გადასულ დრომოჭმული ვითარების განსახიერებაში არიან და უნდა მოისპონ და ჩვენი ისტორიკოსი მათ წინასწარ სპობს... $\left(\frac{4}{22}\text{ ფ. } 102-103\right)$.

თ ა ვ ი

[სოციალური ურთიერთობა]

[§ 1. უფალი, მონა]

1. ათონის კრებული, 91



უფალი — მამაუფლად — პატრონად შეიცვალა.
დედუფალი კი დარჩა — დიოფალი.

სოციალურ ურთიერთობაში დედუფალი უწყინარი იყო. პატრონყმობისას ქალი აღარაა პატრონი, მაშინ როცა უფალმონობისას ქალი ისეთივე უფალი შეიძლება იყოს მონა-მჴევალთა, როგორც კაცი. (პატრონი სახელმწიფოს მიმართ სამკედრო მოვალეა, უფალი კი მხოლოდ აბსოლუტური მესაკუთრე...). ამრიგად, ქალს პატრონყმობისას სასახლის შიგნით ფუნქციები შერჩა, სადაც ის ეხლაც დ ე დ უ ფ ა ლ ი რჩებოდა: სასახლეში მონამჴევლები არასდროს არ გადალეულან. საინტერესოა, რომ ქალბატონმა შეძლო დედოფლის შეცვლა: ბატონი უფალს ენათესავება შინაარსეულად უფრო, ვიდრე პატრონს $\left(\frac{2}{16}\ \text{ფ.}\ 68\right)$.

2. საინტერესო ჩვენება შეიძლება იყოს: მერჩულე ჩვეულებრივ ხმარობს ტერმინს უ ფ ა ლ ი საერო **თუ სასულიერო. господь, господин**-ის მნიშვნელობით (ამის მაგალითები ამ თხზულებაში

ვრავალია). და მხოლოდ ცქირისა და საჰაკ ამირას ურთიერთობაში მას მოაქვს ტერმინი პატრონი. ისე ჩანს, რომ პატრონი სპეციფიკური ურთიერთობის ტერმინია და მისი იმავე господин-ით თარგმნა, როგორც ეს მარსა აქვს (აქვე 138), არ უნდა იყოს მართებული. საჰაკი რომ ცქირის უფალი ყოფილიყო, ამას ისევე აღნიშნავდა მერჩულე, რომლისთვისაც ეს ტერმინი ჩვეულებრივია. ჩანს „პატრონი" (ესეც, ჩანს, მოქალაქეობის უფლებამოპოვებული ტერმინი ქართულ მეტყველებაში) რაღაც გახსხვავებულს, სპეციფიკურს, შეიძლება ბერძნულს (თუ ლათინურს) სინამდვილისაგან შემონაყოლ ურთიერთობის კვალს ატარებდეს. მას უფალი ვერ განუდევნია, ზეცისათვის ვერ განუკუთვნებია, მაგრამ მის რაღაც სარ-

ბიელს დაპატრონებია... $\left(\frac{4}{22}\text{ ფ. } 38\right)$.

მ ო ნ ე ბ ი

3. გიორგი მეფის სასახლის კედლები...

„კედლებიცა სრისაი სავსე, მეომართა რაზმები, სპები, მონასპები, ქალაქები და ციხეები აწყუედილი და ოკერ ქმნილი და თკთ იხილეს ტანითა გორგასლიანითა. და მკლავითა აქილიანითა და პირითა მნათობიერითა კაცი ირიოკოდ საგონებელი"... (ისტ. აზმ. 72).

კედელზე ყოფილა გამოხატული და საფიქრებელია სპებისა და მონასპების გარჩევა შესაძლებელი ყოფილა. ტანისამოს-აღჭურვილობით ხომ არ განსხვავდებოდნენ?

მაინც და მაინც ეს ადგილი უთუოდ ადასტურებს, რომ გიორგის დროს სპის გვერდით ჯერ კიდევ არსებობდა მონასპა

$\left(\frac{4}{22}\text{ ფ. } 33\right)$.

4. გიორგი გარდაიცვალა. მეფის სასახლეში ესვენა. რუსუდანი და თამარი სამშვილდიდან მოვიდნენ. „მოიხილეს გარემოს და იხილეს მიქაელ პატრიარქი ყოველთა ეპისკოპოსთა თანა მდგომი და ვაზირი ანტონი და ამირსპასალარი ყუბასარ და სხუანი ქელისუფალნი, ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთუხუცესი, ვარდან დადიანი ჩუხჩარხი, ჭიაბერი მეჯინიბეთუხუცესი, აფრიდონ მსახურთუხუცესი, ივანე (...) და დიდებულნი, აზნაურნი, მ ო ნ ა ნ ი და მოყმენი"... (ისტ. აზმ. 72).

აქაც მ ო ნ ა ნ ი წინ უსწრებს მ ო ყ მ ე ნ ი-ს და როგორ შეიძლება მონანი აქ სოციალური აქცენტით იყოს ნახსენები. მეფის ტაძარში, მისი გარდაცვალებისას მონათა მოხსენიება... უეჭველია ეს მონები განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი ჩანან. მათ გარკვეული ადგილი უჭირავთ სასახლეში დიდებულების, აზნაურებისა და მოყმეების გვერდით... ისინი სოციალურად მართლა შეიძლებ მონათაგანი არიან (ე. ი. არც გლეხები, არც აზნაურები), მაგრამ მათი დანიშნულება, ფუნქცია, მნიშვნელობა ისე დიდია, რომ მათი მოხსენიება სასახლეში წარმოდგენილთა შორის აუცილებელია...

$\left(\frac{4}{22}\right.$ ფ. 34$\left.\right)$.

5. ანისის კარს თურქებზე გამარჯვების შემდეგ იხილა „მეფემან „კოსტანტინე" საყუარელნი და საკუთარნი ვაზირნი, სპასალარნი, ჭელისუფალნი და თავადნი, დიდებულნი, აზნაურნი, მ ო ნ ა ნ ი და მოყმენი და შეჰკადეს მას ყოველმან ერმან და ესრეთ ჰრქუეს..." (ისტ. აზმ. 60).

ასე რომ ისტორიკოსი მონებს ცალკე ერთეულად ხედავს როგორც მტრის (სულჯუკთა), ისე ქართველთა ლაშქარში — (იხ. გვ. 59, 60). მაგრამ ისიც ჩანს თითქო რომ ისტორიკოსი ამ მონებს რამოდენადმე სოციალური აქცენტით ახსენებს.

მაგრამ დამახასიათებელია, რომ ეს მონანი ჩამოთვლისას ზოგჯერ წინ უსწრებენ მოყმეებს... $\left(\frac{4}{22}\right.$ ფ. 35$\left.\right)$.

6. ანისის კარებთან გამარჯვებულმა ქართველებმა „შემოქცეულთა (ბრძოლის ველზე) იხილეს სიმრავლე სრვილისა და მოსრვილისა, ჭელმწიფეთა და დიდებულთა, აზნაურთა, მოყმეთა, და მონათაჲ, სიმრავლე კარავთა სარაფარდათაჲ" (ისტ. აზმ. 59). მაშასადამე მტრის (თურქთა) ლაშქარში მონაწილეობდნენ „მონები"

$\left(\frac{4}{22}\right.$ ფ. 36$\left.\right)$.

7. ანისის კარს გამარჯვებულმა მეფემ აიხუნა დამარცხებული მტრის „(აღმხუმელმან") ჭელმწიფენი, დიდებულნი, აზნაურნი და მონანი"... (ისტ. აზმ. 60).

(„მონები" მართლაც იყვნენ სელჯუკთა ლაშქარში).

8. შარვანშა თამარს ესტუმრა ამირმირმანით. აგარათა ჭალას იყვნენ მეფენი. შარვანშა და ამირმირმან თბილისიდან სადარბაზოდ

წავიდნენ. პირველად რა გამოვიდეს ტფილისით ქალაქით, მიაგებ-ნეს წინა ოვსნი და ყივჩაყნი ახალნი და შემდგომად მათსა ჰერნი და კახნი, შემდგომად ქართველნი და შემდგომად მესხნი და თო-რელნი, შავშ-კლარჯ-ტაოელნი, შემდგომად სომხითარნი, შემ-დგომად აფხაზნი და სუან-მეგრელ-გურულნი თანა რაჭა-თავკუერ-მარგუელითურთ და თჳთ კარვის კარსა ქელისუფალნი და შ ი ნ ა-ო ურ ნ ი“ (ისტ. აზმ. 103). ეს „შინაურნი“ აქ უეჭველია ლაშქრის ერთ-ერთი დანაყოფია. შინაურნი უშუალოდ მეფის კარვის კარზე დგანან.

და ეს „შინაურნი“, ჩანს, მნიშვნელოვანი რაღაც არის, რომ ლაშქრის დანაყოფთა და ქელისუფალთა გვერდით იხსენიება... ში-ნაური ყველაზე სანდონი უნდა იყვნენ... ხომ არ შეიძლება ესენი იყვნენ დარბაზის ერნი? თითქოს კი. ბასილი ეზოს მოძღვარი (გვ. 23) აღნიშნავს, რომ მონაპირეთა მოხსენიების საფუძველზე ზოგჯერ „შეყრიან ლაშქარნი, ზოგჯერ კი უკეთუ უმცირესი რამე იყვის, მყის შესხნის დ ა რ ბ ა ზ ი ს ე რ ნ ი თუისნი და ვითარ შავარდენთა მოისაქმიან“, ე. ი. მცირე ომს დარბაზის ერნი გადაიხდიანო. ჩანს მ'შვიდობიან დროს, როცა ლაშქარი გაყრილია, მეფესთან იმყოფე-ბა დარბაზის ერი. ის მუდამ არის სასახლეში და არც მაინც და მა-ინც მცირეა... მაგრამ არა იმ ოდენობისა როგორიც იყო დავითის ტაძრეულ-მონასპა (ხომ არ უნდა დავინახოთ ამაში მონასპის დაკ-ნინება??).

მაინც და მაინც მოხასპა ამ სახელით თამარის დროს ლაშქარ-ში აღარ გვხვდება. ის იქ უნდა ყოფილიყო მოხსენიებული, სადაც ისტორიათა და აზმანთა ავტორი შინაურნის იხსენიებს, ან სადაც ბასილი ეზოსმოძღვარი დარბაზის ერს იხსენიებს.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ მონასპა როგორც ინსტიტუტი მოი-შალა და მართლაც სადღაა მონასპის ადგილი „ერთნებაობა თანა-დგომის“ დროს?...

მაგრამ ის ჯერ კიდევ არის, როგორც ჩანს, გიორგი მეფის ეროს და შეიძლება ვიფიქროთ, უეჭველი სწორედ ამ მონასპის სპასალარი იყო ისევე გაზრდილი მეფისა, როგორც შერმადინი ავ-თანდილის მიერ...

მაინც შოთას წარმოდგენა მონებზე და მონასპაზე განსაკუთრე-ბული ყურადღების ღირსია... $\left(\frac{4}{22}\text{ ფ. } 32.\ 28\right)$.

1. ერი-ხალხი, საიდანაც აზნაურნი და საეკლესიო წრეები მაინცდამაინც გამორიცხული არაა. (შ. მღ. საბ. 54).

2. „ერი“ აწინდელი გაგებით (ქრონიკ. II, 99, თუ გალობანი სინანულისანი, სადაც დავითი „ერს“ ამავე გაგებით ხმარობს) შეიძლება ნასესხები გამოთქმები იყოს, აქ ერი უკვე ცოცხალ მეტყველების შინაარსითაა აღებული.

როგორც იქ, ისე აქაც ერი შეიძლება „ხალხით“ შეინაცვლოს, მაგრამ ეს „ხალხი“ იგივე ერის აღმნიშვნელია (თანამედროვე მნიშვნელობით). (ქრ. II, 8 ერი) $\left(\frac{3}{11}\text{ ფ, } 210\right)$.

3. იყო ერი (ჯარი), იყო ერისთავი, იქმნა ლაშქარი (ჯარი), იქმნა სპასალარი.

გიორგის[1] ენაში (ათ. კრებული 10) ჯარის უფროსს მჯედართმთავარს სპასალარი ეწოდებოდა. ეს იყო ცოცხალი სახელი და არა ერისთავი, რომელიც ეხლა უმთავრესად ერის (დაბალი ხალხის) უფროსს, ადმინისტრაციულ მოხელეს, ფეოდალს ეწოდებოდა. ის, რა თქმა უნდა, თავისი ქვეყნის, ჯარის უფროსი იყო და ეს ამდენადვე, რამდენადაც მეფე მთელი ქვეყნის ჯარის უფროსი იყო. ასევე ფეოდალიც მის მამულში ჯარის უფროსიც იყო. ამიტომ შეძლო ერისთავმა სპასალარის შეთავსებაც... საინტერესოა: სპასალარობის ინსტიტუტი ხომ არ გააძლიერა დავით აღმაშენებელმა და ხომ არ სცადა მათი დაპირისპირება ერისთავებისადმი?? (ისე როგორც ყივჩაყნი დაყო. ცუარად გუარად და უჩინა სპასალარნი??). მაგრამ იმ მოვლენამ, რამაც ძველი ერისთავები (ჯარის უფროსები) ფეოდალებად აქცია, იგივე მოვლენა იყო მიზეზი სპასალართა ინსტიტუტის დამოუკიდებელ არსებობის უდღეობისა, მისი ერისთავობის მიერ შეთავსებისა... ეს იყო ფეოდალიზმი. $\left(\frac{2}{11}\text{ ფ. } 154\right)$.

4. დავით კუროპალატმა ბერძენთ 12 ათასი რჩეული მჯედარი მიაშველა. (ათ. კრებ. 12). დავითის ტერიტორიის რაოდენობა (თუნდაც ქართლის მითვლით) გვაფიქრებინებს, რომ ამ დროს მჯედრები

[1] ეგორი ბოლოწმიდელი (ავტ.).

მხოლოდ აზნაურნი შეიძლებოდა ყოფილიყვნენ. აუცილებელია დავუშვათ, რომ ჯერ კიდევ ყმათა დიდი ნაწილი იღებს ლაშქარში მონაწილეობას და ჯერ კიდევ დაბეგრილი არაა...

ეს „წვრილი ერი", როგორც სოციალური ფენი, დიდი ხანია გაქრა. ის 12—13 საუკუნისათვის უკვე თითქმის სავსებით გაქრობამდის იყო მისული, მაგრამ ეს ფენი საბოლოოდ არასოდეს გამქრალა ისე, როგორც არ გამქრალან მონები ფეოდალური ურთიერთობის მთელ სიგრძეზე. მათ არსებობას მოითხოვდა თვით ფეოდალური ურთიერთობა და მათი საბოლოო გაქრობა თვით ფეოდალური ურთიერთობის გაქრობა იქნებოდა. $\left(\frac{3}{11}\text{ ფ. } 153\right)$.

5. „ერი" იყო ჯარი, მას გამოეყო თემიყლაპიები — ესენიცვე იქმნენ ს ა მ ხ ე დ რ ო მ ო ხ ე ლ ე ე ბ ი და ჯარში მ ხ ე დ რ ე ბ ი.

6. „ერი" ჯერ თემის სახით, ხოლო შემდეგ ინდივიდუალურად ადება ყმა მხედრებისა, „აზნაურებისა", ერი თანდათან ჰკარგავს ჯარის მნიშვნელობას და მხოლოდ მიწის მოქმედ ყმათა სახელად რჩება. ამავე დროს მთაში სადაც თემი არ დაშლილა, აზნაური არ შექმნილა, „გლეხი" არ წარმოშობილა, ერი ისევ ძველი მნიშვნელობით რჩება: ესაა თავისუფალ მოსახლეობის მიწის მფლობელის და მიწის მოქმედის და მეომართ ფენა. ჰეროვანი — თავისუფალი მთიელის სახელია. აქედან ცხადია: „აზნაური" როგორც „თავისუფალის" აღმნიშვნელი ტერმინი მხოლოდ მას შემდეგ დაუპირისპირდა „ერს", რაც უკანასკნელმა თავისუფლება დაკარგა, როცა თავისუფლება აღარ იყო დამახასიათებელი ერისგანისა[2]. $\left(\frac{3}{9}\text{ ფ. } 88\right)$.

8. ბასილ ბულგაროკტონის საგლეხო კანონებით და საერთოდ გლეხთა შედარებით მტკიცე მფარველობით ცენტრალურ ხელისუფლების მიერ ხომ არ აიხსნება ის გარემოება, რომ წურილი ერი პიზანტიის ორიენტაციას რჩებოდა??? $\left(\frac{3}{11}\text{ ფ. } 21\right)$.

9. განსაკუთრებით იმის აღნიშვნა, რომ თამარის ავადმყოფობას ერთნაირად სწუხდნენ მდიდარნი და ღარიბნი — რომ „ცრემლდინებანი იხილეებოდეს მდიდართა თუ გლახაკთანი სწორეფიფველად მოწმობს ღრმა კლასობრივ დაყოფას, რომ

---

[2] აქ წყდება ტექსტი. გაგრძელება უყარგული (რედ.).

მდიდართ და გლახაკთა „სწორებით“ ერთი და იგივე მოვლენა არ ეს-მოდათ. რომ მათი ტკივილი და დალხინება სხვადასხვა იყო, რომ თუ ოდესმე ასეთი მოვლენა აღმოჩნდებოდა, რომელიც მათ საერთო ენას აღმოაჩენდა და იმასაც „სწორებით“, ეს განსაკუთრებით აღმნიშვნელი გარემოება იყო... თამარის ისტორიკოსის გადმოცემით ის განსაკუთრებული მოვლენა იყო, რომლის შესახებაც საერთო ენა აღმოაჩნდა მდიდართ და გლახაკთ და ეს იმიტომ, რომ თამარის მეხოტ-ბეთა წარმოდგენით ის იყო მზე, რომელიც ვარდსა და ნეხვსა სწორედ მოეფინების... რომ ეს ასე არ იყო, რომ მზე თამარის სხივები სულ სხვა რიგად ეფინებოდა მდიდართ და გლახაკთ, ეს ცხადია. ასე თუ ისე ისტორიკოსს თამარი წარმოდგენილი ყავს კლასობრივი თანხმობის მოდუსად, ისეთი თანხმობის, რომელიც. ჩანს, და მხ-ოლოდ ასეც უნდა ყოფილიყო, რეალობა არასოდეს ყოფილა.

$\left(\frac{2}{45}\text{ ფ. } 155\right)$.

10. გლეხებსაო (შეწირულს) „არცა რაი სათათრო გამოჰვიდ-დეს: მალი, ყაფჩერი, სალაშქროი და საიამე არასთანა გამოიღებ-დენ...“ (შ. მღ. საბ. 64).

ეს საბუთი დაუთარიღებელია, მაგრამ აბაა საფიქრებელი. რომ ის უკვე 1254 წლის ადრე იყოს: აღწერის შემდეგ უნდა იყოს დადებული. თუ ასეა „სალაშქრო“ აქ მეტად საინტერესოა. ის აქ „ყალანის“ მაგივრად უნდა იყოს. მისი შინაარსი ქართულადაა გად-მოცემული. ეს იყო შედეგი „ცხრასა გლეხსა სრული მიწის მქონ-ბელსა“ და სხვ.

და თუ ეს ყალნობამდის ამბავია, მაშინაც ფრიად საინტერესოა. შორი ლაშქრობა იქამდის აუტანელი იყო მოლაშქრეთათვის, რომ გლეხებს ასეთი გამოსაღები დასდებიათ. ე. ი. „ცხრასა გლეხსა“-ს ჩვენებური გაგებისათვის ნიადაგი სრულიად შემზადებულია.

ყალანი — სალაშქროი. $\left(\frac{2}{16}\text{ ფ. } 372\right)$.

11. (ქრ. II, 165) აქედან ცხადია, რომ მოლაშქრეობა მამე-ლის ქონებაზე იყო დამოკიდებული. მის დაჭერასთან ერთად უმა-მულოს ეკრძალებოდა ლაშქარში ყოფნაც. ამრიგად მოლაშქრე იყო ის, ვისაც საამისო „მამული“ ეჭირა. გლეხსაც ჰქონდა „მამული“, მაგრამ მის მამულს ბეგარა და მუშაობა ედო. მაშინ როცა სხვების (თავისუფალთ) მამულს ლაშქრობა ედო, ამიტომ. თუმცა გლეხიც

ომობდა, მაგრამ მოლაშქრედ მაინც და მაინც ის ითვლებოდა, ვისაც საამისო მამული ჰქონდა პატრონისაგან. როგორც მემამულეობა მოლაშქრეობას გულისხმობდა, ისე პირიქით: მოლაშქრეობას ასეთი მემამულეობაც უთუოდ თან ახლდა და უამისოდ არც შეიძლებოდა. ამიტომაც მოლაშქრეობა აუცილებელი „პატივი" იყო არაგლეხისათვის. მასთან იყო დაკავშირებული ყოველივე ჯელის ძიღებაც. $\left(\frac{2}{16}\right.$ ფ. 163$\left.\right)$.

12. საინტერესოა: ერისგანი, წურილი ერი იგივე მოლაშქრეა. მაგრამ აქ მარტო სახელების შეცვლასთან როდის გვაქვს საქმე: წურილი ერი, ეროვანი ეკონომიურად მტკიცე საზოგადოებრივი ფენია და პოლიტიკურად უფლებამოსილი. ის ან სრულიად თავისუფალია ან საპატრონყმო ურთიერთობაში მყოფია (უფრო ბევიან). მოლაშქრე ეკონომიურად და სოციალურ-პოლიტიკურად სავსებით დამოკიდებული და დამორჩილებული საზოგადოებრივი წრეა. ტყუილად ცდილობს ცენტრალური ხელისუფლება მის გადარჩენას: ის ეპოქის მიერ განწირულია: ბატონყმობისაგან მას ვერაფერი იხსნის და აქამდის მისული კი ის უკვე გლეხია. ე რ ო ვ ა ნ ი დ ა ნ — ბ ო გ ა ნ ო მ ო ლ ა შ ქ რ ე მ დ ი ს — ეს არის განვითარების გზა ამ სარეზერვო კლასისა. $\left(\frac{2}{16}\right.$ ფ. 376$\left.\right)$.

13. თუ რაა მ ო ლ ა შ ქ რ ე ან როგორ იყო რომ მონღოლებმა „ცხრასა გლეხსა სრულის ჭიწის მქონებელსა ერთი ლაშქრად წარმავალი კაცი შეაგდიან", ჩანს ეგრეთ წოდებული ნოქრის ხარჯის ნუსხებიდან (თუმანიანთ ნოქრის ხარჯის ნუსხა და სხვა). მონღოლებმა გარკვეული წესის მიხედვით გლეხებს (ცხრასა გლეხსა სრული მიწის მქონებელსა) მოლაშქრეების გამოყვანა შეაწერეს. ამ მოლაშქრეს წასვლის ხარჯს და ქირას ცხრა გლეხი აძლევდა. ისე როგორც თუმანიანთ ყმები გაინაწილებდნენ (ან როგორც მეგატონე თუმანიშვილები ანაწილებდნენ მათ შორის ამ გადასახადს... ამასვე მიუთითებს, საფიქრებელია ალბუღა: „მოლაშქრისა თანა შთასადებული ვალია"), რომ მონღოლთა დროს ეს სამხედრო ბეგარა ასეთ გადასახადს (ყალანი) ჰგულისხმობს, ეს თვით ამბის გადმოცემის ხასიათიდან აშკარაა: თუ ეს არა, რა შუაშია, ან რა საჭირო იყო მოლაშქრეთა შეწერის ამ მექანიკის გადმოთხრობა, ან რა საჭირო იყო სრული მიწების ხაზგასმა? თუ საგადასახადო — ეკონომიური

მომენტი არა, სულ ერთი არ იყო გლეხი სრული მიწის მქონე იქნებოდა თუ ნახევრის?? $\left(\frac{2}{16}\right.$ ფ. 368$\left.\right)$.

14. ლაშქარს ძველად „შეჰკუეთეს ერისთავთა, მთავართა და აზნაურთა — სრულიად რაოდენნი სახლსა შინა არიან — წარსლვად ლაშქარსა შინა, ხოლო გლეხთა მ გ ზ ა ვ ს ა დ შ ე წ ე რ ი ლ ე ბ ი-ს ა დ“. (ვახუშტი, აღწერა... გვ. 23).

მაშ, გლეხებს შეწერილი ჰქონდათ გარკვეული რაოდენობით გამოყვანა. ეს შეწერილები იყვნენ, უეჭველია, „მოლაშქრენი“.

15. მ ს ა ხ უ რ ნ ი გ ლ ე ხ ნ ი მეფის მცველნი იყვნენ... მაგრამ ბარის გლეხობა თითქო ერთფეროვნად განიხილებოდა და ყველას შეეწერებოდა... XIII ს-ში მონღოლებმა გაავლეს პირველი ნიველირი გლეხებსა და მსახურებს შორის. $\left(\frac{2}{16}\right.$ ფ. 149$\left.\right)$.

16. თავი: შემდგომად განყოფილებისა სამეფოსათვის (ვახუშტი, აღწერა... გვ. 22).

მ ს ა ხ უ რ ი გ ლ ე ხ ი ესენი მეფის მ ო ლ ა შ ქ რ ე ნ ი, თავადებზე შეწერილნი გლეხნი-მ ო ლ ა შ ქ რ ე ნ ი.

ესეც ერთი დიდი საბუთი იმისა, რომ ნაგვიანევი მოლაშქრე ეს არის ყოფილი წ უ რ ი ლ ი ე რ ი ს გ ა ნ ი გლეხად ქცეული—მ ს ა-ხ უ რ ი გ ლ ე ხ ი. ესეც ერთი დიდი საბუთი იმისა, რომ მე-13-ე საუკუნის „ცხრასა გლეხსა“ შეიცავდა როგორც გლეხებს, ისე მსახურთაც და რომ მ ო ლ ა შ ქ რ ე ნ ი ეს მსახურნი იყვნენ, ხოლო მ ო ყ ა ლ ნ ე ნ ი (ე. ი. გადამხდელნი) — გლეხები. გასაგებია ისიც, თუ რად არიან ეს მოლაშქრენი უმთავრესად ბოგანონი თავისუფალთა გარდამავალი კატეგორია... $\left(\frac{2}{30}\right.$ ფ. 7$\left.\right)$.

17. ვახუშტი მრავალგზის ამბობს ამა თუ იმ ხალხზე (გლეხებზე) რომ ისინი ლაშქრობათა შინა გ ა მ ო უ ც დ ე ლ ნ ი არიან, უკმარნი.

მაშ მ ო ლ ა შ ქ რ ე ის იყო, ვინც გამოცდილი იყო ამ საქმეში, ვისაც ნასწავლი ჰქონდა ეს საქმე. $\left(\frac{2}{16}\right.$ ფ. 401$\left.\right)$.

18. ფეოდალური მონარქიის შექმნისა და განმტკიცების ხანაში, მეფე, იმის გამო, რომ ფეოდალური ლაშქრით ბრძოლის წარმოების

დროს ყოველთვის განდგომა-ღალატის მოლოდინში იყო, მიმართავდა დაქირავებულ ჯარს.

(К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, 1937, т. XVI, ч. I, стр. 447.

შდრ. ჩვენი XI—XII ს-ნეები, განსაკუთრებით დავით აღმაშენებელი.

იხ. Успенский, История Византийской империи, М.—Л., 1948, III, გვ. 80, 176, 282).

19. დავით აღმაშენებელი — აღმოსავლეთის მეფეთა ტიპი ქართულ სინამდვილეში. ცენტრალიზმი, მოლაშქრეებზე დაყრდნობა.

ჭყონდიდელი — მიმძლავრებულთა მკურნალი.

მ ი მ ძ ლ ა ვ რ ე ბ უ ლ ნ ი-მ ო ლ ა შ ქ რ ე ნ ი.

დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი ლ ა შ ქ ა რ ი $\left(\frac{2}{16}\right.$ ფ. 429).

20. „გაუგებარი“ „მოლაშქრე“ XVII—XVIII ს.

(იესე ოსეშვილი „მოლაშქრე“).

ბ ე ქ ა-ა ღ ბ უ ღ ა ს მ ო ლ ა შ ქ რ ე.

მ ო ლ ა შ ქ რ ე XIII ს-ში.

(მონღოლური რეფორმა).

მ ო ლ ა შ ქ რ ე XII ს-ში.

(„მეკობრები“).

„მ ძ ი მ ე მ ო ლ ა შ ქ რ ე“ დ ი დ ი მ ო ლ ა შ ქ რ ე.

მსუბუქი მოლაშქრე

მ ო ლ ა შ ქ რ ე დ ა ვ ი თ აღმაშენებლის დროს.

(„მიმძლავრებულნი“)

მ ო ლ ა შ ქ რ ე XI ს-ში („წურილი ერი“).

მოლაშქრენი გაქრენ. სახასოები შემცირდნენ. ბატონებმა ჩაიგდეს ხელში. ისევე „მოლაშქრეებს“ ეძებს მთაში. აე აღმოაჩენს ძველს „ყმებს“. ესენი ეროვნ მეფის უკანასკნელი „მოლაშქრენი“ $\left(\frac{2}{41}\right.$ ფ. 254).

[§ 3. კაბრონყოფა, ბატონყმობა]

1. ...ანე ...ბიშვილი ...ს და ...ს იმ ...ეთ ...ა...

...ბ ...ბ ...ს ...ბ ...ბ ...ბ

არც ერთმა არ მიაქცია საკმაო ყურადღება ამ დიდმნიშვნელობის ფაქტს. თუმცა საამისო მოსაზრება უკვე იყო მეცნიერულ ლიტერატურაში გამოთქმული (იხ. ჩემი საქართველოს ისტორია, კონსპექტი XIII—XIV სს.):

$$\left(\frac{5}{13}\ \text{ფ.}\ 219\right).$$

2. მ ე ფ ი ს (პ ა ტ რ ო ნ ი ს) დ ა ა ზ ნ ა უ რ ი ს (ყ მ ი ს) დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. ჩემს აზრებს მეფისა და დიდ-აზნაურის ურთიერთობის შესახებ იზიარებენ (მე ის დაბეჭდილი მაქვს), მაგრამ ცდებიან, როცა ფიქრობენ, რომ გამოთქმული აზრი ფეოდალური ურთიერთობის ყოველ დროს შეეფერება. ის რაც კანონზომიერია და მოქმედი გვიანფეოდალურ ხანაში სათავადოების არსებობის დროს, შეიძლება არ იყოს კანონიერი პატრონყმობის პირობებში. საქმეს სწყვეტს, მოვლენას განსაზღვრავს კლასობრივი ბრძოლის ფორმა და სახე, სოციალური დამოკიდებულების სახე მფლობელსა და მწარმოებელ კლასებს შორის.

ვიდრე მწარმოებელი საზოგადოება უპირატესად თავისუფალია (იურიდიულად და ფაქტიურადაც, თუნდაც ნაწილობრივ), ვიდრე ერისთავები (მოლაშქრენი, წვრილ-აზნაურები) ჯერ კიდევ შერჩენიან მიწის მფლობელობას და უშუალოდ მეფისაგან არიან დამოკიდებულნი, მათ მმართველად (საქვეყნოდ გამრიგე მოხელე) დადგენილი ერისთავი არ შეიძლება მეფის ერთგული არ იყოს. მეფის სიძლიერე, მეფის, რომელიც მისი კეთილდღეობის წყაროა, არ შეიძლება ერისთავისათვის არასასურველი იყოს. ასეთი ერისთავი მეფის მოხელეა მხოლოდ. ასეთ ერისთავს ჰყავს ერი. მაგრამ ესენი მისი აზნაურ-მოლაშქრენი (მსახურები) კი არ არიან, არამედ მეფის აზნაურ-მოლაშქრენი, რომლებიც მეფეს მისთვის სამმართველოდ ჩაუბარებია. და ვიდრე საზოგადოების ეს ფენა ამ მდგომარეობაში დარჩება, ერისთავის ძალაც მეფის ძალისაგან, მისი ნებისაგან გამომდინარე იქნება. ასეთი ერისთავი ვერც განდგომას იფიქრებს და მეფის ერთგულადაც დარჩება. ქვეყნის გაერთიანებაც ასეთ პირობებში მტკიცე საფუძველს დამყარებული ჩანს. ამ გაერთიანების საფუძველია მიწის მფლობელობა. ის (მიწა) თუ მეფისად არ ითვლება (როგორც ეს იყო ხალიფატში, ან ოსმალების ხონთქრის თუ ერანშაჰის) იურიდიულად. ფაქტიურად მეფე ცდილობს დაიცვას წვრილი მფლობელი მსხვილის მიერ გადაყლაპვისაგან. (ბიზანტიის კეისრების კანონმდებლობანი... დავით აღმაშენებელი...). და ამით უშუალოდ ერევა სამიწო ურთიერთობაში. მიწა მეფისად არაა გამოცხადებული.

მაგრამ ის არც დიდი აზნაურისაა და ამავე დროს მეფე იცავს წვრილ მფლობელს. ასეთ პირობებში მოხელე ერისთავებს ერთგულების მეტი არა დარჩენიათ. (ნამდვილად როგორი იყო მიწის მფლობელობა VII—VIII საუკუნეებამდე, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ქართული აზროვნება უფრო მოგვიანო ხანისა ჰგონებდა, რომ ამ დრომდე მთელი მიწა სამეფოდ ითვლებოდა და მხოლოდ არჩილმა აქცია ის სამეფოდ და საერისთავოდ).

მაგრამ ქვეყნის გაერთიანებულობა, მშვიდობა, საფუძველი ხდება ქვეყნის შემდგომი განვითარებისა, კლასობრივი ბრძოლის გაღრმავებისა, დიდაზნაურ-ერისთავთა სოციალური გაძლიერებისა, მოლაშქრეთა შევიწროებისა, მიწების კონცენტრაციისა აზნაურ-ერისთავთა ხელში, თავისუფალი საზოგადოების თანდათანი გაქრობისა. ასეთ პირობებში ძლიერი მეფე აღარაა სასურველი თავადისათვის... $\left(\frac{6}{5}\text{ ფ. } 46\right)$.

3. „მოვიდა ამირ მირან მ ა მ უ ლ ა დ ძმისწულისა სულხანის შვილი ფალავანდისი“ და „დედამისი იყო ასული ინანჯანისი და ხუარასნის მ ე მ ა მ უ ლ ი ს ა (მდ. ქცა, 459) (ქცა ამ სიტყვის მაგიერ: პატრონისა)...

მემამულე — კაცი, რომელსაც მამეულად ეკუთვნის ესა თუ ის. ქცას შესწორება: პ ა ტ რ ო ნ ი ნაგვიანევია: პატრონი ამ დროს ყოველთვის მემამულე არ იყო: ამის ტენდენციები კი იყო. საქმე ასეც განვითარდა, მაგრამ ჯერ ეს არ იყო. $\left(\frac{3}{33}\text{ ფ. } 190\right)$.

4. „გუზანის წინააღმდეგ მისულთ ცნეს „გუზანის შვილისა და შაჰარმენის ლაშქრით მისვლა... დაღაცათუ ლაშქარნი დიდნი იყუნეს პატრონი თორმეტისა დროშისანი“ (მდ. ქცა 445) თამარის ლაშქარი მაინც შეება და გაიმარჯვეო.

სამხედრო წყობა ისეთივე იყო ჩვენშიაც, როგორც მცირე აზიაში... $\left(\frac{3}{33}\text{ ფ. } 406\right)$.

5. რუსის კამბეჩახს შემოჭრა „ხ ო რ ნ ა ბ უ ჯ ი ს პ ა ტ რ ო ნ ბ ა ნ (var. ბატონმან) საღირ მახატლის ძემ ცნა და შეიყარა მცირედითა ლაშქრითა და მიეწია“ (მდ. ქცა, 453). ეს საღირ მახატლის ძე ერის ხორნაბუჯის ერისთავი.

მაშ ერისთავი=პატრონს

/ აქ „პატრონში“ საინტერესოდ ჩანს მისი ორი მხარე:

1. პატრონი მოხელე, ქვეყნის გამრიგე, დროებით მფლობელი ამა თუ იმ ქვეყნის მოსაკარგავე.

2. პატრონი დროებით მფლობელი, საშვილიშვილოდ დასაკუთრების ტენდენციებით. ამ დროისათვის საკარგავსა და სამამულო ქონებას შორის განსხვავება, რა თქმა უნდა, არის კიდევ. მაგრამ ტენდენცია მათი გაიგივებისა ძლიერია. საინტერესოა, რომ მფლობელი ორივეს მიმართ პატრონად გამოდის... (მაგრამ მამულის მიმართ ის მემამულეა, ხოლო საკარგავის მიმართ პატრონი არის, მაგრამ არა მემამულე. ტენდენცია სწორედ იქითკენაა, რომ ამის მიმართაც მემამულე გახდეს და მართლაც, ამიერიდან საკელო ქვეყნები იშვიათად თუ ვისმე ერთმევა. ისინი კელთან ერთად ამა თუ იმ სახლს უკავშირდება... $\left(\frac{3}{33}\right.$ ფ. 408$\left.\right)$.

6. მეპურჭლეთუხუცესის ნაცვალი („პატრონთაგანი სრულწყლიანი“ მოციქულად იყო ეზინკს და კარნუ ქალაქს. (მდ. ქცა, 434).

ისტორიკოსი მსჯელობს „უკეთუ ამის სამეფოსა განდგომად პ ა ტ რ ო ნ თ ა უნებელ ქნილა, რომელი დაწყებითაგან სოფლისათა არავის ოდეს სადა უნახავს წარმართებელი“... რუსს პირველად მიერთო „გუზან პ ა ტ რ ო ნ ი კლარჯეთისა და შავშეთისა, რომელი ძველთა მეფეთა... ადგილზედა შეეწყალა პატრონსა...“

არსად აქ პატრონი მესაკუთრეს არ ნიშნავს, არამედ მხოლოდ ს ი უ ზ ე რ ე ნ ს.

საინტერესოა: პატრონმა გუზანი შეიწყალა პატრონად.. ამ ტერმინოლოგიურ იგივეობას შინაარსობლივი იგივეობა ამართლებს. გუზანი ისეთივე პატრონია, როგორც თამარი. განსხვავება იმაშია, რომ გუზანი კელმწიფე არაა და თამარი კი კელმწიფეა. მაგრამ, ულუ დავითი ხომ კელმწიფე აღარაა. მაშინ რაღა განსხვავება იქნება ამ ორ პატრონს შორის?... აღარავითარი... $\left(\frac{3}{33}\right.$ ფ. 415$\left.\right)$.

7. ყუთლუს პროგრამა თამარმა „ვიეთ საწყინელ იყო დასასრულსა საკელმწიფობასა პატრონისა მომცემელი, ესრეთ იწყინა“... (მდ. ქცა, 407).

თამარი პ ა ტ რ ო ნ ი და ხ ე ლ მ წ ი ფ ე ა $\left(\frac{3}{33}\text{ ფ. } 422\right)$.

8. ოვსეთს ყოფასა მოიცვალა გიორგი ჭყონდიდელი, რომელიც „თავადგა სიყრმითგანთა პ ა ტ რ ო ნ ი ს მსახურებათა... (მდ. ქცა, 301).

პ ა ტ რ ო ნ ი აქ „მეფეს“ ნიშნავს. მაგრამ ეს კიდევ არ ათავისუფლებს ჭყონდიდელ ბერს „ყმობისაგან“. და ეს იმიტომ, რომ ჭყონდიდელში ერთობ ბევრია საერო ელემენტი. ჯერ ერთი, იგი მამაა მეფის, მისი აღმზრდელია. მეორეც ისა, რომ ის პირველი (ან უკეთ, ე რ თ ა დ ე რ თ ი) ვაზირია და ყოველ საერო საქმეში მიუწვდება ხელი. მხოლოდ ესაა, რომ ჭყონდიდელს საპატიო ქონება არა აქვს მწიგნობართ უხუცესობისათვის, თუ მარტვილის სამწყსო არ განვიხილეთ ასეთად... $\left(\frac{3}{33}\text{ ფ. } 426\right)$.

9. „პატრონი“ — იხმარება მეფის აღსანიშნავად: — იშვებდეს... მპოვნელი... პ ა ტ რ ო ნ ი ყმისა და ყმა პ ა ტ რ ო ნ ი ს ა (მდ. ქცა, 373).

პატრონი და ყმა ორივე მოლაშქრე იყო. გლეხი მოლაშქრე არ იყო: გლეხი „ყმა“ არ იყო. მაგრამ გლეხი ყმა გახდა მას შემდეგ, რაც ერთი მხრით გლეხებსაც დაეკალა „ლაშქრობა“ (მონღოლთ რეფორმა) და მეორე მხრივ, რაც ყმები (ე. ი. უმთავრესად თავისუფალი მიწის მოქმედნი) განიავდნენ და დაიბეგრნენ, ე. ი. გაგლეხდნენ, ერთი მხრით — უმრავლესობა, ხოლო გააზნაურდნენ მეორე მხრით — უმცირესობა და მას შემდეგ რაც აზნაურობა „კასტურად“, უკეთ, წოდებრივად გამოეყო გლეხებს. $\left(\frac{3}{33}\text{ ფ. } 425\right)$.

10. „გააზნაურდეს ქვეყნის მოქმედნი და გადიდებულდეს აზნაურნი და გაკელმწიფდეს დიდებულნი მეფობასა შინა ამისსა“. (მდ. ქცა. 411).

ქვეყანის მოქმედი იმით, რომ ის მწარმოებელია. გლეხს უდგას ვეერდში (გლეხი არის, როგორც დაბეგრილი ქვეყნის მოქმედი. ისე მიწაზე დასმული მონა ან ტყვე, ან შეუძლებელი მოვალე, ნასყიდი). ხოლო იმით, რომ ის მებეგრე არაა და პირადად თავისუფალია, ყმაა, — ამით აზნაურს უახლოვდება, დაბეგრილი და ეკონომიურად შეუძლებელი ის გლეხად იქცევა, ქონების შემძენი ის მი-

წის მოქმედებას თავს ანებებს, ყმას იძენს და აზნაურობას იწყებს. ეს არის საშუალო გლეხსა და აზნაურს შორის. მისი რიცხვი თანდათან მცირდება. ბატონყმობა იკავებს პატრონყმობის ადგილს. $\left(\frac{3}{33}\right.$ ფ. 487$\left.\right)$.

11. ბატონყმობის ეს ეტაპი, როცა გლეხი მიწას მოაშორეს [უმამულოდ გაყიდვა, დაცალცაკევება], როცა წარა-მარა აყრა-დასახლება ჩვეულებრივი გახდა. როცა ყმა პირადად გახდა ბატონის სრული საკუთრება, როცა ამის ლოგიკურ შედეგად შესაძლებელი გახდა მათი ტყვედ გაყიდვა [ტყვის სყიდვა ბატონყმობის მხოლოდ ამ დეგრადაციულ ფორმას გულისხმობს], ბატონყმობის ეს ეტაპი სულ წინააღმდეგობა იყო იმ ნიადაგისა, რაზედაც წარმოიშვა და მომწიფდა თვით ბატონყმობა, ეს ეტაპი სახალხო მეურნეობის დაცემას ჰგულისხმობს მხოლოდ. $\left(\frac{3}{11}\right.$ ფ. 155$\left.\right)$.

12. მას შემდეგ, რაც „ყმა" გლეხად" იქცა და გლეხსაც „ყმა" ეწოდა, მაინც შერჩა ტერმინი „გლეხი" ვიწრო მნიშვნელობით მებეგრეს (ფართე გლეხთა საშუალო ფენას) = ძველი გლეხი.

ანალოგიურად „ყმა" ტერმინი ვიწრო გაგებით შერჩა მოლაშქრეებს — მოყმეებს (ფართე ყმათა — თავადიდან — გლეხამდე — საშუალო ფენას) — ძველი „ყმა".

საფიქრებელია, რომ მ ო ყ მ ე შეიქმნა „ყმა" ტერმინის გლეხებზე გავრცელების პირობებში. თუ ყმა კიდევ შეიცავდა გლეხებს, მოყმე მხოლოდ ფეოდალურ კლასიდან არის... $\left(\frac{2}{30}\right.$ ფ. 66$\left.\right)$.

13. ბატონყმობამ იმუნიტეტი (შეუვალობა) წარმოშო, შეუვალობამ ცენტრალური ხელისუფლება დაასუსტა და ქვეყანა დაიშალა... $\left(\frac{2}{16}\right.$ ფ. 446$\left.\right)$.

14. ის ჩვენი ისტორიკოსები, ვინც (ივ. ჯავახიშვილის გამეორებით) ამტკიცებენ, რომ ბატონყმობა საქართველოში XV საუკუნეში

შემოვიდა. ორგზის სცოდავენ: 1. ბატონყმობა პატრონყმობის განვითარებაა, ფეოდალიზმის უფრო მაღალი საფეხურია (ამას თითქოს იზიარებენ ჩვენი ისტორიკოსები). მაშ ბატონყმობის წინა საფეხური ყოფილა XI—XIV საუკუნეები, ე. ი. პატრონყმობის ხანა (ივანეს ასე მიაჩნდა), მაგრამ ჩვენი ისტორიკოსები ამ ხანას განვითარებული ფეოდალიზმის ხანას უწოდებენ და კი არ ფიქრობენ თუ რას ეწოდება ეს „განვითარებული ფეოდალიზმი". და განა შეიძლება პატრონყმობის ხანას განვითარებული ფეოდალიზმი ეწოდოს? პატრონყმობა ხომ განუვითარებელი ფეოდალიზმია, როცა ქვეყნის მწარმოებელი საზოგადოება ჯერ კიდევ მდაბიორ-მოლაშქრენი („ყმები") არიან, როცა გლეხი ჯერ კიდევ უმცირესობაა (თუმცა მომავალი მისია). Ведущий, но не господствующий. ასე რომ ჩვენს ისტორიკოსებს ცნებები ერევათ: თუ ბატონყმობა XV ს-დან იწყება, მაშინ განვითარებული ფეოდალიზმიც XV ს-დან იწყება, ხოლო თუ XI—XIV საუკუნეები განვითარებული ფეოდალიზმი იყო, ბატონყმობაც ამავე საუკუნეებშია. ბატონყმობისა და განვითარებული ფეოდალიზმის ურთიერთისაგან დაშორიშორება გაუგებრობაა.

ჩვენი ისტორიკოსები არ უარყოფენ, რომ XIII—XIV—XV საუკუნეები საქართველოს მეურნეობისა და კულტურის დაცემის ხანა იყო და რაღა გამოუდით? — რომ ფეოდალური განვითარების მაღალ სტადიაში საქართველო სამსაუკუნოვანი დაცემის ხანაში გადავიდა... და რა მოყვა ამ მაღალ სტადიას? — კიდევ უფრო დაცემა... აქ უკვე ყველაფერი არეულია: ბატონყმობა პროგრესია, ის დაცემას მოყვა, დაცემა პროგრესს იწვევს, ბატონყმობა პროგრესია, ის XV ს-ში შემოვიდა, მაშ XV ს-ში დაცემა არ ყოფილა...

ერთი სიტყვით ძაღლი პატრონს ვერ ცნობს და ეს იმიტომ მოსდით, რომ სათავადო და ბატონყმობა ერთი რიგის და თანადროული მოვლენები ჰგონიათ და კი არ იციან, რომ ბატონყმობა დიდიხნით წინ უსწრებდა სათავადოს, რომელიც სწორედ ბატონყმობის დაჩიხულობის პირობებში და მის ნიადაგზე წარმოიშვა... $\left(\frac{4}{23}\text{ ფ. } 76^{\text{ა}}\right)$.

საქართველომ მიაღწია ფეოდალური ურთიერთობის ჩამოყალიბების მწვერვალს და აქ შედგა. შედგა განვითარება მაშინ, როცა ხელისუფლებას დასაყრდენი მხოლოდ თავად-აზნაურობა ჰყავდა, როცა თავისუფალი ხალხი არ იყო (ძველი არც უნდა ყოფილიყო, ახალი ჯერ არ შობილიყო...)...

XV ს. დასასრულს კონსტანტინე უკანასკნელად მოუწოდებდა ევროპას აღმოსავლეთის ხალხების გადასარჩენად.

ბატონყმური ხანისათვის საბოლოოდ გაწყდა კავშირი მწარმოებელ და მფლობელ საზოგადოებათა შორის... $\left(\frac{38}{19}\text{ ფ. } 27\right)$.

[§ 4. ზრდილობა. გაზრდილობა].

1. ჩემი „ყუთლუს" (ანუ XII საუკუნის) ეპიგრაფი უნდა იყოს: „ათასად გვარი დაფასდა" და სხვა...

ამ თვალსაზრისით დაწერა ყველაზე მართებულად მეჩვენება. $\left(\frac{4}{23}\text{ ფ. } 1\right)$.

„უგუაროისა შვილი და მგლისა ლეკუი წურთითა არ გაკეთდების" (ვისრამიანი, 274).

შდრ. „ათასად გვარი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა"... $\left(\frac{4}{22}\text{ ფ. } 33\right)$.

«В крае (შეეხება საქართველოს) где грузинский поэт еще в XII веке отлил в стальные музыкальные стихи народной формы общественный суд о белой и черной кости «если высокое происхождение можно оценить в тысячу золотых, то истинное образование стоит десяток тысяч, ибо, если человек недостоин как человек, происхождение пустое дело» (Н. Марр, по поводу слова У. Восторгова о грузинском народе, გვ. 82).

ცხადია, მარი გულისხმობს ცნობილ ლექსს ათასად გვარი დაფასდა და სხვ. და მას XII საუკუნისად მიიჩნევს. აქ გამოთქმული აზრის ფოლადისებრ მუსიკალურ ლექსად ჩამოსხმას მარი XII საუკუნის ქართველ პოეტს მიაკუთვნებს. საფიქრებელია, რომ მარი ამ პოეტში რუსთაველს გულისხმობს (თუმცა არ ასახელებს).

ვფიქრობ, მარი იმაში მაინც მართალია, რომ ეს აზრი და ლექსიც XII საუკუნის ნაყოფია. და თუ შოთასი არაა. შოთას შაირით შექმნილი კია და მაშ ან შოთას დროს ან მის შემდეგ და არა მასზე ადრე. რაც შეეხება ლექსში მოცემულ აზრს, ის ყველაზე უფრო სწორედ ამ სოციალური შფოთის ხანაში შეიძლება წარმოშობილიყო. დავითის ისტორიკოსი ამ აზრის ავტორი (თუ აზრის ავტორობა-

ზე მიდგებოდა საქმე) ყველაზე უფრო შესაფერისია, ვისაც ჩვენ კი ვიცნობთ (და განა დავითის ისტორიკოსი ერთადერთი ადამიანი იყო იმ დროს ასეთი აზრისა?...).

ეს ლექსი მთელი ამ ეპოქის (ქართული ჰუმანიზმის პოლიტიკური შინაარსი) ეპიგრაფად ზედგამოჭრილია $\left(\frac{4}{23}\text{ ფ. } 73\right)$.

თუ კი ზრდილობა აგრე დიდი მნიშვნელობის მომენტი იყო, რომ გვარიშვილობას სჭარბობდა („ათასად გვარი დაფასდა ათი ათასად ზრდილობა") მაშასადამე გვარიშვილი შესაძლებელია ყოფილიყო ზრდილი ან უზრდელი, რომ ზრდილობა გვარიშვილობის ატრიბუტი არ ყოფილა, რომ მაშასადამე ზრდილი შესაძლებელია ყოფილიყო უგვაროც და ამით ის უზრდელ გვარიშვილს გაუსწრებდა კიდევაც. გვარიშვილის უპირატესობა ის იყო, რომ თანაბარი ზრდილობის პირობებში ის გვარიშვილობით აჯობებდა უგვაროს: ყველა სხვა პირობა (სიმდიდრე, მონათესავეობა, ტრადიცია, საზოგადოებრივი აზრი) მის მხარეზე იყო. უაზნოს ყველა ამის დასაპირისპირებლად მხოლოდ ზრდილობა შეიძლებოდა ჰქონოდა. მაგრამ ის ფაქტი, რომ ზრდილობა აგრე ძვირად ფასობდა ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში, რომ ზრდილობას აგრე დიდი პატივი ედო, მხოლოდ იმის მაჩვენებელი კი არ იყო, რომ ეს საზოგადოება მაღალ განვითარებული იყო, არამედ იმისაც, რომ ამ საზოგადოებაში შემოსასვლელი კარები დახშული არ იყო, რომ ზრდილობით ადამიანს ამ საზოგადოებაში შემოსვლის საშუალება ჰქონდა: ზრდილობა ხომ გვარიშვილის პრივილეგია არ იყო. მართალია, მოყმეობა-ჭაბუკობა აზნაურის საქმე იყო, როგორც წესი. მაგრამ არც ვინმე „ღირსის" თუნდაც აზნაურის ყმის (აფრიდონ) ან „ყივჩაყის" წარჩინება გააზნაურება და მისი გაზრდა იყო აკრძალული და მეფეები ამ ხერხს არა იშვიათად მიმართავდნენ. და ეს არა მხოლოდ მთიელების თუ კავკასიელების მიმართ (საურმაგ და სხვ.), არამედ სხვა მრავალთა მიმართაც (აკი არჩილმა ერთბაშად გაანთავისუფლა ტაძრეულნი და აზნაურ ყვნა ისინი!). და განა ასეთები არ იყვნენ დავითის მონები? ან კიდევ ასეთები არ უნდა ყოფილიყვნენ ერეკლეს აზატ-მოლაშქრენი?? მართლაც და საკმაოა ჩავუკვირდეთ საქართველოს აზნაურთა გვარებს (ერისთავებიდან უბრალო აზნაურებამდე) და ჩვენ დავინახავთ ფრიად საგულისხმო სოციალურ მოვლენას: მთიელები (დონაური, ჭავჭავაძე, ზანდუკელი, სიდამონიძე, ტატიშვილი, ბიბილური, ფიცხელაური, ჩოფიკაშვილი, ღუდუშაური და ვინ იცის

კიდევ რამდენი) ხოლო კიდევ უფრო მეტი რაჭა-იმერეთის თავადაზნაურობა ხომ სულ გააზნაურებულ გაპატიოსნებული არიან მეფეთა მიერ, ერთგულობა სამსახურის საფუძველზე. ასე რომ საქართველოში ფეოდალური საზოგადოება კასტობამდის არასოდეს მისულა და აზნაურთა წოდებაში შესასვლელი არასოდეს დახშულა. თუმცა ეს კარები თავისუფალი არ ყოფილა და აზნაურობა მეტის თუ ნაკლები წარმატებით მუდამ ებრძოდა უგვარო უხანოების შემოყვანას მათ წრეში (ჯიქური, სააკაძე, თუ ოსეშვილ-ლიონიძე, რომ არაფერი ვთქვათ ყუბასარ-აფრიდონზე, საამისო მაგალითებია), და როცა ზოგჯერ ასეთი საშიშროება აშკარად დაემუქრებოდა ხოლმე აზნაურების კასტას, როცა მეფე ენერგიულად და არსებითად შეეცდებოდა აზნაურთა კასტური ტყვეობიდან განთავისუფლებულიყო უხანო-უაზნოთა გაპატიოსნებით, იწყებოდა ნამდვილი შეშფოთება, რომელიც XII საუკუნის 80-იან წლებში აჯანყებაში გადაიზარდა და მწყობრი პოლიტიკური პროგრამით დაგვირგვინდა...

მაგრამ სხვადასხვა ინტენსივობისა იყო ახალკაცთა ეს შემოყვანა, მათი წარჩინება სხვადასხვა დროს... ფრიად დამახასიათებელია თვით ამ აზნაურთა წარმოშობის ისტორია. ესენი ხომ ვიღაც უცხოელ-უაზნოები იყვნენ... ასევე საურმაგის ღონისძიება ქართლოსიანების წინააღმდეგ მიმართული... მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს აზნაურები გარკვეულ სოციალურ წრედ ჩამოყალიბდნენ, ე. ი. მას შემდეგ, რაც ფეოდალური ურთიერთობა მთელი სიგრძე-სიგანით ძალაში შევიდა, ასეთი მასიური გააზნაურება — წარჩინება აზნაურთა საპირისპიროდ ფეოდალურ მეფეს აღარ შეეძლო:.. არჩილის ღონისძიება მის საკუთარ სამეფო დომენში მიღებული ზომა იყო და აზნაურების ინტერესებს არ ეწინააღმდეგებოდა... ასეთი რამ კერძო მთავრებსაც შეეძლოთ... მაგრამ თანდათან ახალი დრო შემოვიდა, მეფის კარი სულ უფრო და უფრო მიმზიდველი ცენტრი გახდა. წყალობის (და რისხვის) წყარო მეფის კარი გახდა, მთელი ქვეყნის აზნაურობა თანდათან ამ კარის შემყურედ იქცა. თუ აქამდე აზნაურები თავიანთი მთავრებით თავთავიანთ ბუნაგებში პრიმიტიულად ცხოვრობდნენ, მღვდელ-ეპისკოპოსისა თუ მონასტრის წინამძღვრის ლოცვა-სიბრძნეს სჯერდებოდნენ, ამიერიდან ახალი ცხოვრება დატრიალდა. თვალსაწიერი გაფართოვდა. გემოვნება დაიხვეწა, მოთხოვნილება გაიზარდა, საერო სწავლება შემოვიდა, რაინდობა-მოყმეობა დამყარდა, ზრდილობა (მრავალგვარი ხელი და მრავალგვარი სიბრძნე) უდიდესი ფაქტორი გახდა აზნაურის კაცობისათვის, უზრდელი გვარიშვილი „ცუდია“... და სწორედ ამ ფაქტის ნიადაგ-

ზე (ე. ი. განათლების შემოსელის ნიადაგზე) ზრდილობის აგრე გაძვირფასების ნიადაგზე გვარიშვილობის კედელი შეირღვა: მეფეები ყართოდ „აპატიოსნებენ“ „ერთგულებს“ და „მხნეებს“, ზრდიან მეუმეობა-ჭაბუკობაში უგვაროებს (ყუბასარებს), აზნაურთა ნაუმეებს (აფრიდონებს), საერო თუ საეკლესიო მოღვაწეებს (ანტონი, ნიკოლოზი), „მონებს“ (შარმადინ, როშაქ)... ერთი სიტყვით სამეფო ხელისუფლება იკრებს ძალას. რა თქმა უნდა, ესენიც „აზნაურები“ იქნებიან, მაგრამ მეფის ხელისაგან სულ უფრო და უფრო დამოკიდებულნი, ვიდრე ბოლოს, როცა საამისო პირობები მომწიფდება სულ ერთიანად (რა თქმა უნდა, თანდათან) არ შეიცვლება ძველი, შუა ფეოდალური წყობა და ახალი გვიან ფეოდალური (უკეთ ფეოდალური ურთიერთობის რღვევის) ხანა არ გაბატონდება...

$\left(\frac{4}{21}\right.$ ფ. 109—113$\left.\right)$.

„ამის შავშეთისა ღადოთა შინა გამოჩნდა ვინმე კაცი ასპაანის ძე, გ უ ა რ ი თ ა ა რ ა უ ა ზ ნ ო და ქ ც ე ვ ი თ ა და არცა, ღმერთო, უბედო, ამას ზაქარია ერქვა სახელი. არცა სახელსა არცხუინა, არცა პატრონისა წყალობა აუქმა თუისსა ზედა, გარნა საქებელთა ზედა შერთო თავი. მარტოდ იქმოდა მრავალთა და დიდთა საქმეთა: აიღო ბანა, ხახული და სხუანი მრავალნი სახელოვანნი ციხენი და ადგილნი“. (ბასილი, 23).

დამახასიათებელია ეს დახასიათება: „გვარითა არა უაზნო და ქცევითა“. შეიძლება, მაშ, ადამიანი ყოფილიყო „გვარით უაზნო“, შეიძლება ყოფილიყო „ქცევით უაზნო“. შეიძლება ყოფილიყო გვარითაც და ქცევითაც უაზნო, მაგრამ შეიძლება ყოფილიყო გვარითა არა უაზნო, მაგრამ ქცევით შეიძლება ყოფილიყო უაზნო.

მაგრამ ისიც შეიძლება (ამ ტექსტისაგან დამოუკიდებლად) რომ ადამიანი შეიძლება ყოფილიყო გვარით უაზნო, მაგრამ ქცევით არა უაზნო. აი როგორიც იყო ყუბასარ „კარგი მოყმე და ჭაბუკი — გაზრდილი პატრონთაგან“.

ესაა სწორედ ათასად გვარი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა... უაზნობა ბოროტებაა. მაგრამ ზრდილობა გვარით უაზნოს გადააქცევს არაუაზნოდ $\left(\frac{4}{21}\right.$ ფ. 114$\left.\right)$.

„ზ რ დ ი ლ ო ბ ა ს თ ა ნ“ დაკავშირებით.

XV საუკუნის საბუთებიდან (ალექსანდრე დიდის საბუთი მახსოვს „ჩვენ თანა აღზრდილ შეზრდილნიო“ — იხსენიება. ასევე

გიორგი ალექსანდრეს ძე 1455 წელს აძლევს სიგელს ასათ ვაჩნაძეს „ჩუენსა თანა აღზრდილ შეზრდილთ“... (ხელნაწერთა ინსტიტუტი Hd № 7588).

აღზრდილ-შეზრდილობა ფეოდალური ინსტიტუტი ჩანს თითქო... სამეფო კარზე მეფის შვილებთან, განსაკუთრებით ტახტის მემკვიდრე უფლისწულთან ერთად იზრდებიან დიდებულ აზნაურთა შვილები... საფიქრებელია, საუფლისწულოზე დასმულ ბატონიშვილის აღზრდილ შეზრდილად იყენენ უპირატესად ამ საუფლისწულო ტერიტორიის მკვიდრი აზნაურების შვილები (როგორც მაგალითად გიორგი ალექსანდრეს ძე უნდა კახეთის საუფლისწულოზე მჯდარიყო — ის ხომ მეფედ იხსენიება ჯერ ისევ მამისავე სიცოცხლეში — და მისი გაზრდილ-შეზრდილები არიან ვაჩნაძეები). გასაგებია, რომ ესენი ერთგულები და მორჭმა-განდიდებისათვის თავდადებით სამსახურნი არიან და რომ პატრონი, როცა ის გახელმწიფდება, ასეთ სამსახურის სანუქფოთ წყალობას მიანიჭებს ერთგულ ყმას...

გაზრდილობა ძველი ინსტიტუტია (და არა მარტო მეფის კარზე, ის დიდი ფეოდალის კარზეც უნდა ყოფილიყო...), მაგრამ სხვადასხვა დროს და მიხედვით მისი არსი და მნიშვნელობა იცვლება. ცენტრალური ხელისუფლების ძლიერებისა და მიმზიდველობის ხანაში ერთგული მოყმე რაინდები იზრდებიან კარზე (თამარი კარიდან არ იშორებდა მათ მამებსაც კი...) და არსებობდა, უნდა ვიფიქროთ, სასახლისაკენ მიმზიდველი ძალები — მზე აქ ამოდიოდა — თუ არ იძულებით სამეფო კარი მას თავისთან ყოლას ვერ შეძლებდა.... ხოლო გვიან, მეფის კარის დასუსტების ხანაში, პოლიტიკური დაშლილობის ტენდენციის ზრდის ხანაში აღზრდილ-შეზრდილობის ინსტიტუტი სწორედ ამ დაშლილობას უწყობს ხელს: თითოეულ უფლისწულს ახლავს აღზრდილ-შეზრდილთა მეტნაკლები რაოდენობა, რომელიც ამ უფლისწულთა სეპარატისტულ მეცადინეობაში მისი მორჭმა განდიდების მოღვაწენი არიან... შდრ. ერეკლეს შვილების საბატონიშვილოები და მათი თავად-აზნაურები. კერძოდ, კახ თავადაზნაურების მოთხოვნა საკუთარი მეფის გაჩენის თაობაზე...

ეს აღზრდილ-შეზრდილები მთელი ფეოდალური ურთიერთობის სიგრძეზე ჩანან (გვიან ხანაში) და „ძოკიდებულის“ ინსტიტუტივით დამახასიათებელია საშუალო საუკუნეების საზოგადოებრივი ფეოდალური ურთიერთობისა. შეზრდილ-გაზრდილობა ფეოდალური ხანის „საერთო სწავლის“ სანერგე იყო. აქ, კარზე ბატონიშვილთან ერთად ითვისებდა მომავალი ყმა ფეოდალური ზრდილობის მთელ კოდექსს, — ვეფხისტყაოსნის კულტურას... აქედან ეფინე-

ბოდა ეს კულტურა „ზრდილობა“ ფეოდალური საზოგადოების ფართო ფენებს, დიდებულ ზნაურთა თუ თავად-აზნაურთა ფართო ფენებს. მათ ყმებს.

ასე რომ საშუალო საუკუნეებში მეფისა და ფეოდალის კარი მხოლოდ პოლიტიკური ცენტრი კი არ იყო, არამედ კულტურის ცენტრიც. ფეოდალურ „ზნეობათა“ სწავლებისა და გავრცელების ცენტრი.

მოიგონე გადმოცემა გურიელის კარზე შეჯიბრება „მე თუ ბედი მქონებოდა მაკოიე ვიქნებოდი“ ან „სანადიროდ წამოვიდნენ ტელემაკ და კნიაზ ჯაბა“ $\left(\frac{4}{23}\text{ ფ. } 61-62\right)$.

2. „აზნაურნი გ უ ა რ ი ა ნ ნ ი“ მიგვითითებს სწორედ იმ ეპოქაზე, როცა გაძლიერებული ტერიტორიები გამოეყვნენ სახლს და მასთან ბრძოლაში შექმნეს და ამტკიცეს თავიანთი ინდივიდუალური არსებობა... ამ მოვლენის აღსანიშნავად და ამ მოვლენასთან დაკავშირებით შექმნილი ეს ცნება ბუნებრივად განეკუთვნა ცნებას „ძლიერს“. აზნაური გვარიანი ნიშნავდა „აზნაური ძლიერი“, ხოლო შემდეგ. როცა გუარიანობა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა „სახლების“ სწრაფ გადაშენებასთან დაკავშირებით, მაშინ სიძლიერის გამოსახატავად საჭირო იქნა „დიდგურიანი აზნაურის“ ცნება.

„აზნაური გუარიანის“ გვერდით ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ „აზნაური უგვარო“, ე. ი. აზნაური (—თავისუფალი. სხვა შინაარსი აქ ამ ტერმინს არ უდგება), რომელსაც გვარი არ ახასიათებს, ე. ი. „სახლით“ ცხოვრობს. გამოდის, რომ ცნება აზნაური „თავისუფალის“ გაგებით შემუშავდა გვართა ჭიდილის და ურთიერთის გაძალვის პირობებში და მხოლოდ შემდეგ იშლება სახლები... რა თქმა უნდა. ჩვენი საუბარი შეეხება იმ ეპოქას, როცა ამ ტერმინთა საფუძველი წარმოიშვა და არა იმ დროს, რა დროიდანაც ეს ტერმინები ჩვენამდის მოღწეულია. $\left(\frac{3}{33}\text{ ფ. } 144\right)$.

3. ფეოდალური ურთიერთობის მოწიფულობისას გაძლიერდა (თორემ აქამდეც იყო. საიდან? ნასესხები? თუ მონათმფლობელურ ქართულიდან?) იდეა იმის შესახებ რომ მეფის ხელისუფლება ღმრთის მიერია, რომ მეფე ღმრთის მიერია ამ ქვეყანაზე... და გააძლიერა იმან. ვისთვისაც ეს კლასობრივად საჭირო იყო... ახალმა, აღმომავალმა კლასმა ჩასჭიდა მას ხელი და დიდგვარიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყენა... იმ იდეას ემსახურება ყველა ეს ჩივილი სამართლის უთანასწორობაზე, ყველა ეს მოწოდებანი რომ მეფეა მზე

და წვიმა, რომელიც თანაბრად მიადგება და მიეფინება ვარდსა და ნეხვს, მდიდარსა და ღარიბს, ყველა ეს ქადაგება იმის შესახებ რომ მეფე სწორად უნდა სწყალობდეს ყველას, სწორს სამართალს უნდა უსჯიდეს ყველას... ამ იდეას ემსახურება ის „ნატყუარი ტაეპი" — ფილოსოფოსნი შემოკრბეს...

ეს შესანიშნავი ტაეპი, ვინ იცის, ნამდვილად შოთასი იყო, მაინც და მაინც მისი დროისა იყო. ეს ხომ აშკარა შეტევაა დიდგვარიანობის წინააღმდეგ, ეს ლოგიკური გაძლიერება და მაღალ საფეხურზე აყვანაა იმ ბრძოლისა. აქ უკვე საკითხის სხვა მხრით დასმაა, — დიდგვარიანობის წინააღმდეგ შეტევაა, ზრდილობის, კაცის პირადი თვისებების პრიმატია წამოყენებული გვარიანობასთან ქიშპში, ეს ხომ ისაა, რასაც გიორგი მთაწმინდელი, დავითის ისტორიკოსი, დავით აღმაშენებელი, გიორგი III, გიორგი ლაშა ცდილობდნენ განეხორციელებინათ... და რაოდენ უსუსურია ფიქრი იმაზე, რომ „უუთლუ არა დიდგვარიანთა წარმომადგენელია...

განა არა დიდგვარიანს შეეძლო მოეთხოვა, დიდგვარიანთა ამ ძლიერების დროს, რათა მეფე არ ყოფილიყო ქვეყნის მართვა-გამგეობის სვებედის გამგე?? $\left(\frac{4}{22}\text{ ფ. } 41\right)$.

4. სეფეწულები (და სეფეწულობა), მხოლოდ არაბებმა კი არ მოსპეს, უფრო სწორად, სეფეწულთა მოსპობა არაბებმა იმიტომაც შეძლეს (ქართლსა და სომხეთში), რომ ამ ინსტიტუტის დრო გავიდა, ახალი ურთიერთობა ახალ არისტოკრატიას მოითხოვდა, მიწისმფლობელთა ახალ კლასს, ხალხის ფართო მასებიდან გამოსულ თემიყლაპიებს, მონებით (— გლეხებით) თემის მტეხელებს. — დიდაზნაურებს. ასეთები უკვე დიდიხანი იყო მაღალ პოლიტიკურ სარბიელზე იყვნენ გამოსული და სათანადო ადგილის დაჭერას ლამობდნენ ადრეფეოდალურ საზოგადოებაში. ეს „უგვარო უხანოები" ალბათ ისევე საძულველი იყვნენ „ძირძველ" სეფეწულებისათვის, როგორც უფრო გვიან „უბასარ-აფრიდონი (ეს უხანოები — მარტო ტერმინი რად ღირს!! სოსელია[1] კი ფიქრობს რომ ეს კერძოული ფაქტი იყო. კი, ვთქვათ, მაგრამ თუ უგვაროების წინააღმდეგ საერთოდ არ იყო ძირძველების პოლიტიკური შეხედულება, თუ მათ უგვარო

---

[1] აქ და შემდეგ იგულისხმება გ. სოსელიას წერილი „„უუთლუ. არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის შესახებ" მ. გორკის სახ. სოხუმის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები. XI—XI, 1958, 67—99. (რედ.)

უხანოთა გამოჩენა-თავხედობა არ აწუხებდათ. ეს ტერმინი აგრე შეფასებითი ტერმინი, საიდან გაჩნდა???)... ასე რომ არაბებმა სეფეწულთა ამოგდებით ფეოდალური ურთიერთობა კი არ მოსპეს, არამედ ძირძველი ფეოდალები, მეფის სახლიდან გამოსული არისტოკრატია, ახლა გაფეოდალებული, ამოაგდეს. მაგრამ ხელი არ უხლიათ (და ვერც ახლებდნენ ხელს) იმ ახალი არისტოკრატიისათვის, რომელიც ქვეყნის ფეოდალიზაციის პროცესში წარმოიშვებოდა და რომელსაც ძირძველები ზიზღით, საფიქრებელია. უყურებდნენ...

ახალი (ფეოდალური) ურთიერთობა ახალ კლასს გამოჰყოფდა, ახალი „გლეხი" იშვებოდა (ყოფილი მეთემე „ყმა", მდაბიორ მოლაშქრე) მისი ახალი აზნაურით (თემიყლაპიით). ისევე როგორც გვიან, ახალი „გლეხი" (დაბეგრილი მდაბიორ-მოლაშქრე) და მისი აზნაური ბატონი.

საინტერესოა... $\left(\frac{4}{22}\right.$ ფ. 122—123$\left.\right)$.

განა რუის-ურბნისის ძეგლის წერა იგივე არაა, რაც დავითის ისტორიკოსის იდეები?

და განა ეს ძეგლი არ გულისხმობს ბრძოლას გვარიშვილობის წინააღმდეგ, ბრძოლას უგვარო — უხანოთა, მაგრამ მხნეთა და ერთგულთა წინწამოწევას? განა ეს არაა საზოგადოებრივი ბრძოლის განხორციელება? და თუ ეკლესიაში ამის დასაბუთება ხერხდებოდა (გიორგი მთაწმინდელი) და მისი გატარება რუის-ურბნისის კრების მოღვაწეთა მიერ, ეს იმას არ ნიშნავს რომ საერო ცხოვრებაში ასეთი ტენდენციები კიდევ უფრო ძლიერი იყო? და სხვა რა დროს უნდა შემუშავებულიყო ეს ცნობილი ტაეპი, რომელიც არ სურთ ჩვენმა რუსთველოლოგებმა მიაწერონ შოთას თუ მის ხანას. (სოსელიათი კი ყველაფერი ეს არ იყო!!). $\left(\frac{4}{22}\right.$ ფ. 131$\left.\right)$.

თავი III

[პოლიტიკური წყობა]

[§ 1. საქართველოს გაერთიანების საკითხები]

[ახლებური ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა როგორც გაერთიანების პოლიტიკა].

[ადმინისტრაციული პოლიტიკა გაერთიანების შემდეგ]

გაერთიანების პოლიტიკა

ბედიელ — ალავერდელი.

სამთავნელ — მაწყვერელ — ჭყონდიდელი.

ხონი — მცხეთის მთავარეპისკოპოსის იყო (ვახუშტი).

ცხენისწყლიდან უნაგირამდე ქუთაისის საერისთავოში შედიოდა (ვახუშტი)[1].

ეგრისს და ქართლს კი არა იმერ-ამერს უწოდებდნენ მეტის გაერთიანებისათვის (ვახუშტი).

ამ თვალსაზრისით განსახილველია ძველი საერისთავოების საზღვრების ცვლა ან ძველის გაქრობა და ახალი საერისთავოების დაარსება არა ეთნიკურ ტერიტორიული პრინციპის მიხედვით.

$\left(\frac{3ბ}{16}\ ფ.\ 37\right)$.

[ქართული კულტურის როლი საქართველოს გაერთიანებაში. „ქართველობა“ კულტურული გაგებით]

თუ X საუკუნეში „ქართულად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების“... და სხვა. ე. ი. თუ „ქართველად“ ორთოდოქსი იგულისხმებოდა, XI

[1] ვახუშტის ე. ი. ეს ცნობა სხვა წყაროებით არ მოწმდება (ოედ.)

საუკუნიდან ეს ფორმულა შინაარსობლივ გამდიდრებული ჩანს და „ქართველში“ სარწმუნოებრივი მომენტი კი არა, მთელი ფეოდალური კულტურა იგულისხმებოდა, რომლის იდეალური გამოსახულება ვეფხისტყაოსანი იყო... ასე რომ მერჩულეს ფორმულა ამ დროისათვის სათანადოდ უნდა შეიცვალოს: საქართველოდ ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, სადაც ქართული ფეოდალური კულტურა სუფევს...

ვეფხისტყაოსანი ქართული ფეოდალური კულტურის ჰიმნია. ქართული საერო კულტურის საბოლოო განთავისუფლების მოწმობაა ეკლესიის გავლენისაგან. ქართული კულტურის საბოლოოდ გადანაცვლების მოწმობაა მონასტრებიდან ფეოდალების სასახლეებში. ესაა ქართული ფეოდალური აღზრდისა და ზნეობის სახელმძღვანელო მთელ გვიანფეოდალურ ხანაში, ესაა განვითარებული ფეოდალიზმის იდეური საუნჯე, ცხოვრების სიბრძნე, პოლიტიკური ზოძღვრება.

ვეფხისტყაოსანი ეს არაა რომანი ან პოემა ჩვეულებრივი გაგებით, ესაა ის წიგნი, რომლითაც საზრდოობდა ფეოდალური საქართველო 700 წლის განმავლობაში. ვეფხისტყაოსნის შექმნით ძველი კულტურა ქართველმა ფეოდალურმა საზოგადოებამ საბოლოოდ შეცვალა ახლით. ვეფხისტყაოსანი რევოლუციაა ქართულ ფეოდალურ კულტურაში. ვეფხისტყაოსანი საბოლოო გამარჯვებაა ყოველგვარ კლერიკალიზმზე. ვეფხისტყაოსანი ფეოდალური საზოგადოების სწავლა-აღზრდის და მისი მატერიალურ-კულტურული ცხოვრების იდეალური წესია.

და როცა ქართული სტილით და ქართული წარწერებით ეკლესიები შენდებოდა სომხეთში (შანიძე), საეპისკოპოსოები არსდებოდა კარის, დვინის, ვალაშკერტის, ანისის ან დაღესტანში საკათალიკოსო, ან ოსეთ-ალანებში (თხაბაერდი). ამას აშენებდნენ არა ქართველი მისიონერები, არა საქართველოს სამეფო ხელისუფლება, არამედ ადგილობრივი ფეოდალური საზოგადოება, რომელიც ამ ნიშნით ქართველობას იჩემებდა. მაგრამ მათ ამ ქართველობაში ახლა უკვე უპირველეს ყოვლისა ქართული ფეოდალური კულტურა იგულისხმებოდა...

ამ კონტექსტში განსაკუთრებით საყურადღებო ხდება ტაოელი აზნაურების აგრე მასიურად „გაქალკედონიტება“ X—XI სს-ში. ქართლის ფეოდალური კულტურა ჩანს ძლიერად ზემოქმედებდა ტაოელ „სომხებზე“.. თუ ეს არა, უცნაურია სარწმუნოებრივი მოსაზრებით იქ ქალკედონიტობა რატომ უნდა დაკავშირებოდა ქართველობას და არა ბერძნობას. რა თავს იტკიებდა ტაოელი „ქართვე-

ლობისათვის", როცა ბერძნობა მისთვის გაცილებით უფრო პერსპექტივიანი შეიძლება ყოფილიყო... ეთნიკური მონათესავეობით ახსნა ამ საკითხის უსუსურია.

ასე რომ გაცილებით უფრო ბუნებრივია „სომეხთა" ეს სარწმუნოებრივი მოქცევა, ე. ი. „გაქართველება" ჩვენ ავხსნათ ქართული ფეოდალური კულტურის გავრცელების საფუძველზე, სადაც ქალკედონიტობა ერთი თვალსაჩინო ნიშანი იყო, მაგრამ არა გადამწყვეტი, და ეს ნიშანი სულ უფრო და უფრო მცირე ძალისა ხდებოდა, რაც ვეფხისტყაოსნის კულტურა უფრო რელიეფურად ინაკვთებოდა კავკასიის ინტერნაციონალურ კულტურად...

$\left(\frac{4}{22}\right.$ ფ. 3—5$\left.\right)$.

ჯუანშერი აფხაზეთს არ გულისხმობს ეგრისის ნაწილად, აფხაზეთი ეგრისისაგან დამოუკიდებელი ერთეულია და ეგრისს რაიმე ძველი პრეტენზია აფხაზეთზე არ აქვს (ეს გარემოება საყურადღებოა), მაგრამ აფხაზეთი მაინც „საქართველოს" ფეოდალურ მსოფლიოშია ნაგულისხმები ჰერეთთან (წახური, აბუხუასრო), ქვემო ქართლთან (შულავერი) და კლარჯეთთან ერთად....

ლეონ I ორგანულად შემოვიდა ქართულ ფეოდალურ სამყაროში: არჩილს შეეწყნარა, უნდა ვიფიქროთ, კეისრის დასტურით (გვირგვინები მირს და არჩილს...).

არჩილი ქუთაისს დაემკვიდრა, შემდეგ კახეთს გადავიდა, ქართლი საერისთავოებად დაანაწილა.. მაგრამ აფხაზთ მთავარმა, რომელიც მას უანგაროდ ეშვილა, ჩანს, საკარგყმოდ, ეგრისიც გამოსთხოვა და ალბათ ესეც კეისრის დასტურით...

მაიხც და მაინც ლეონ I-ის აქტი, არჩილთან შეწყნარება, დიდი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა ჩანს: აფხაზეთი ამიერიდან დასავლეთ საქართველოს უცხო ქვეყანა კი არ არის, კელასურის კედლით (აფშილეთი VI საუკუნეშიაც ლაზიკაში შემოდიოდა მათი უმთავრესი ციხისთავი ლაზი დიდი კაცი იყო), როგორც ეს VI—VII საუკუნეებში იგულისხმება (და იყო), არამედ საქართველოს ფეოდალურ მსოფლიოში ორგანულად შემავალი ერთეული... ტეხილის მაჩვენებელია... $\left(\frac{4}{23}\right.$ ფ. 65$\left.\right)$.

„რანთა" მეფობით ქართველ მეფეებს გზა ეხსნებოდათ შირვანის დასაპყრობად, მის უშუალოდ შემოსაერთებლად, რამდენადაც შირვანი რანის (ე. ი. ძველი ალბანეთის) უდიდეს ნაწილს შეიცავ-

და. მისი მცირე ნაწილი, კახთა მეფეების სამფლობელოში შემავალი, დაიმკვიდრეს ქართველთა მეფეებმა. უნდა ვიფიქროთ, ამ დროისათვის ალბანეთის მოსახლეობა ძველივე იყო შერჩენილი. ასე რომ ეს მოსახლეობა კახეთის „გაღმა მხარისა“ და შემდეგ შექ-შირვანისა ერთი და იგივე იყო. ქართულად მოქცეული (მწვალებლობისაგან X საუკუნის დასასრულს და მაშ ქართველ ასიმილაციის გზაზე შემდგარი) რანთა მოსახლეობა საქართველოსათვის ბუნებრივ ხიდს წარმოადგენდა შირვანისაკენ და ამ ქვეყნის უშუალო შემოერთებადაპყრობა ასიმილაციის შესაძლებლობას ქმნიდა... ფრიად დამახასიათებელია, რომ ლეონტის მონათესავეები (იაფეტიდები) XII საუკუნის მიწურულისათვის თითქმის ყველა საქართველოში შემოდიოდა. ლ ე ო ნ ტ ი ი დ ე ო ლ ო გ ი უ რ ი მ ე ბ რ ძ ო ლ ი ი ყ ო ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ა გ რ ე ს ი ი ს ა თ ვ ი ს. საქართველოს აგრესიის მ ე ო რ ე ხ ი დ ს წარმოადგენდა „ქ ვ ე მ ო ქ ა რ თ ლ ი“ — სომხითი — ეთნიკურად ქართული და სარწმუნოებით არმენული მოსახლეობა, ქვემო ქართლის ანუ ს ო მ ხ ი თ ი ს ფ ე ო დ ა ლ ე ბ ი იყვნენ მეწინავენი საქართველოს მიერ ა რ მ ე ნ ი ი ს დაპყრობის საქმეში $\left(\frac{2}{30}\text{ ფ. } 132\right)$.

ს ო მ ხ ი თ ი ს ს ა კ ი თ ხ ი იმავე რიგისაა, რაც ტაოს, სპერის, კლარჯეთის, ჰერეთის და რანის საკითხები: — ბრძოლა არტაშესხარების ექსპანსიის საბოლოოდ ლიკვიდაციისათვის, ბრძოლა ფეოდალური სომხეთის წარმოქმნისათვის და ფეოდალური საქართველოს წარმოქმნისათვის, ბრძოლა ეროვნული სომხური ფეოდალური სამყაროს წარმოქმნა-გამარჯვებისათვის ამიერკავკასიის მასშტაბით და ბრძოლა ეროვნული ქართული ფეოდალური სამყაროს წარმოქმნა-გამარჯვებისათვის ამიერკავკასიის მასშტაბით...

სომხეთის უპირატესობა ანტიკურ ხანაში, იბერიის ბრძოლა I—VI სს-ში, 607 წელი... თვითგამორკვევა ირანიდან (ქრისტიანობა), სომხეთიდან (ქალკედონიანობა), ბერძნებთაგან („ქართველობა“), (ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირიცხების), საქართველოს უპირატესი მდებარეობა.

საინტერესო საქმეა შედარება, თუ რატომ და როგორ მოხდა რომ მონოფიზიტური ჰერეთი გაქალკედონიტდა (X ს.), ხოლო სომხითი არა. თუმცა XI—XII სს-ში ისიც გატყდა: მჭარგრძელები, გაგელები და სხვები... სომხეთის (ანისის და სხვა) ბრძოლა სომხობის (მონოფიზიტობის) შენარჩუნებისათვის: ბრძოლა კვირიკიანთ სამე-

ფოსათვის, ესევე ვანანდის (ყარსის) სამეფოში, სასტიკი ბრძოლა ალბანთა გაქალკედონიტების წინააღმდეგ (სპარსელთა და არაბთა დახმარებითა... $\left(\frac{4}{23}\text{ ფ. } 59\right)$.

როგორი გაერთიანება იყო საქართველო. საკუთრების ფორმები

თავი რომ დავანებოთ ადრეფეოდალურ ხანას, როცა ფეოდალური საგვარეულოები სულ სხვა საფუძველზე წარმოიქმნებოდნენ და არა მეფის დანიშვნით, როგორც ეს ქართულ ლიტერატურულ ტრადიციას წარმოუდგენია (რაც ერთ-ერთი მოწმობაა ამ ტრადიციის ნაგვიანევად შეთხზულობისა), ჩვენთვის საკმაოა მოვიტანოთ უტყუარი ფაქტები განვითარებული ფეოდალიზმის ხანიდან, რათა დავრწმუნდეთ, თუ რა ძლიერი ფაქტორი შეიქმნა სახელმწიფო, რომელიც ძლიერად არყევს თემურ-ტომურ ტრადიციებს და საქართველოს მართვა-გამგეობაში, მართალია, თემობრიობას ანგარიშს უწევს (იგიც არა ყოველთვის), სამაგიეროდ ამ ერთეულების მმართველობას სრულიადაც ხელუხლებელს არ სტოვებს და მის მმართველებს ნებისმიერად ცვლის. აქედან ერთი ნაბიჯიღა არის ქვეყნის უწყებრივ გაერთიანებამდე. „სამეფოების“ პრინციპი შერღვეულია და როგორც კი ურთიერთობა მოითხოვს, ესეც განხორციელდება. მართლაცდა ქვეყნის გაერთიანება ერთი სამთავროს მიერ მეორის დაპყრობის სახით ხდება (და არა რაღაც ძმური გაერთიანებით, როგორც ეს პავლისტებს[2] წარმოუდგენიათ). აფხაზეთის სამთავრომ დაიპყრო ლაზიკის სამთავრო, უნდა ვიფიქროთ, ბერძენთა იმპერატორის ნებით, შემდეგ კი აფხაზთა მეფემ ხელთ იგდო არგვეთიც, უეჭველია ამ პროცესში აფხაზთა მეფის ხელში აღმოჩნდებოდა ლაზთა მეფეების ნაქონები მიწა-წყალი... მეორეს მხრით ცნობილია, თუ როგორის დაუნდობელი ბრძოლით ხელთ იგდო ბაგრატ III თავისი სახლისკაცების ნაქონევი. ორას წელს ცხოვრობდნენ ყველა ეს მრავალრიცხოვანი ბაგრატიონები: მეფეები, კურაპალატები, არტანუჯელი მამფლები, ერისთავთერისთავები, ბანელი მეფეები და ეს იმიტომ კი არა, რა თქმა უნდა, რომ ბაგრატი რაღაც განსაკუთრებული მიმხვეჭელი სისხლისმსმელი იყო, რომელსაც წურბლის-

---

[2] ასე უწოდებს ნ. ბერძენიშვილი პავლე ინგოროყვას აზრების გამზიარებელთ. (რედ.)

ებრი ვერმაძღრობა სჭირდა, რომელიც მეზობლებს მძლავრობდა, სახლებს შერთავდა და უმეზობლობას იღვწოდა. აი ისევე, როგორც ვითომდა იყო მისი შვილისშვილის შვილისშვილი. არა, რა თქმა უნდა, ასეთივე დაუნდობელი იყო გიორგი ბაგრატის ძეც, ასეთივე იყო ბაგრატ გიორგის ძე, რომელიც ვერ ითმენდა ჰერეთ-კახეთს (რომელსაც აქამდე მხოლოდ აფხაზთა მეფენი თუ აწუხებდნენ), ვერ ითმენდა „სომხითს“ და კვირიკიანების საქმეებში ძლიერად ერეოდა, ვერ ითმენდა თბილისის საამიროს და ძლიერად ავიწროებდა (სამ გზის გააგდებინეს ლუკმა პირიდან), ვერ ითმენდა ანისის სამეფოს და შევიწროებული მეფე იოანე კონსტანტინეპოლს იძულებულიყო გაქცეულიყო. ასე რომ ბაგრატ III-ის პირადი თვისებები კი არ იყო ამ მოვლენის მიზეზი, არამედ ვითარების მომწიფება. ბაგრატი იყო ეპოქის მოთხოვნის სიმაღლეზე. ბაგრატ III-ის ხელთ აღმოჩნდებოდა, ბუნებრივია, მისი მეგვარეთა ხელთ ყოფილი მთელი მიწა-წყალი, ციხე ქალაქები. ასევე ბაგრატის ხელთ აღმოჩნდა ქართლის უდიდესი ნაწილი.

ქართლი ჯერ ისევ აფხაზთა მეფეებმა დაიპყრეს და ერისთავის ადგილი არგვეთიდან (ჩიხიდან) უფლისციხეს გადმოიტანეს. უეჭველია აფხაზთა მეფეების მემკვიდრე ბაგრატი დაეუფლებოდა ქართლში სამეფოს საქონებელს... ქართლის ერისთავობა ბაგრატმა ჩანს გააუქმა (თუ იგივე ზვიად მარუშიანი არ იყო მისი დროის ქართლის ერისთავი...). XI საუკუნის ოციან წლებში კი ქართლის ერისთავობა ქართელი ივანე აბაზაძის ხელთაა... ამავე ხანებში აფხაზთა მეფეები ეუფლებიან მთელ სამხრეთ საქართველოს და დავით კურაპალატის ნამემკვიდრეკს. დაიწყო ბერძენ-ქართველთა დიდი ომი. ბასილმა ხელთ იგდო სამხრეთ საქართველოს უმრავლესნი ციხენი. შემდეგ, როცა ბერძნები ვადაქარდნენ, ეს ციხეები ყველა სამეფოდ დაიდვა. ბუნებრივია. აქა-იქ თუ რჩებოდა ციხე, რომელიც ამ ციხის ამგებელთა ხელში რჩებოდა (ასეთი იყო შეიძლება ჩორჩანის ციხე სამცხეში, კალმახის ციხე ტაოში, ჯაყის ციხე სამცხეში, და ორიოდე სხვა. ესენიც, საფიქრებელია, ამ ციხეებს მეფის ერისთავობის პირზე ფლობენ და არა ყმადნაფიცის პირზე. როგორც ეს მათ ენებათ და რასაც იდეალად სახავენ, როგორც ეს ბაღვაშებს ენებათ, ან შეიძლება ასევე ნებავდა ძამელ მთავარს ან თორელს, აწყურის თუ ეზნარიანის ციხეთა პატრონებს...).

თუ როგორი იყო ქვეყნის დაპყრობა, ეს კარგად ჩანს იქიდან, რომ დამპყრობელი ცდილობს ხელთ იგდოს ქვეყნის ციხენი და შიგ თავის ხალხი შეაყენოს. ასეთ შემთხვევაში სრულიადაც არ ჩანს

სავალდებულო, რომ დაპყრობილ ციხეებს ფლობდნენ ადგილობრივი ხალხი. ჟალეთს ბაგრატ IV-ს უდგას მესხი აზნაური ისაკ ტოლოშელიძე, ასევე საკუთარი ციხისთავები შეაყენა ბაგრატ IV ჰერეთ-კახეთის ციხეებში, ასევე მესხი აზნაურები შეაყენა ანისის ციხეში ბაგრატ IV და შემდეგ დავით მეფემ, ჰერ-კახი მოხელე მეომრები განაწესა დავით მეფემ შარვანში და ქვეყნის მმართველად მწიგნობართ უხუცესი აჩინა, სომხითის ციხეებში დავითმა. და შემდეგ, გიორგის დროს იმერელი დიდგვარიანები ჩასხეს კაენში, გაგში, კიწონში. ყუბასარს ლორე ჰქონდა, აფრიდონს თმოგვი, ყუთლუ-არსლანი ლორე-ტაშირის დაუფლებას აპირებდა, ზაქარიას ტაშირი და ზორაკერტი და შემდეგ რუსთავი მისცეს, ჟინვანი ვინმე შოთას, ხოლო იგივე რუსთავი აბულასანს... ხორნაბუჯის ერისთავი საღირ კოლონკელის ძე იყო ქართლიდან, მას ეს თანამდებობა ასათ გრიგოლის ძემ წაართვა, ხოლო ამათ კი, როგორც ჩანს, მახატლის ძემ წაართვა... ასევე ქართლის ერისთავობაც: ის ჯერ მარუშის ძეს ჰქონდა. შემდეგ აბაზაძეს, შემდეგ ბაღვაშს, შემდეგ ორბელთა გვარიდან სუმბატის ძე ლიპარიტს, შემდეგ რატ სურამელს... ასე რომ სრულიადაც ისე არ იყო საქმე, როგორც ეს ერთის შეხედვით წარმოგვიდგება, მეფის დომენი მეტის-მეტად გაიზარდა ქალაქებისა და ციხეთა უმრავლესობა (ახალქალაქი, არტანი, კარი, არტანუჯი, რუსთავი, თბილისი, და სხვა მრავალი) სულ სამეფო ციხეები და ქალაქებია. ქვეყნის უდიდესი ნაწილი სამეფოა და ის ფეოდალებს მხოლოდ ყმობის პირზე აქვთ, დიდი ნაწილი კი სახასო მფლობელობაშია... ქვეყნის მმართველი სამხედრო ადმინისტრაციული მოხელეები მხოლოდ მეფის ნებით სხედან ადგილებზე. მეფის სასახლე ის ცენტრია, საიდანაც ყოველგვარი წყალობა მოდის...

მეფე ცდილობს ქვეყანას მისივე თემის მოხელე ერისთავის ნაცვლად სხვა თემის შვილი დაუნიშნოს...

ასე რომ ქვეყნის აგრე გაერთიანებლ შედეგად წარმოიშვა ერთი სახელმწიფო, რომლის მეთაურის, როგორც ხელმწიფის ხელში რეალურად იყო მოქცეული ქვეყნის უდიდესი ნაწილი, მისი მთა და ბარი, ქალაქი და სოფელი... საქართველოში, მართალია, არ შემუშავებულა წესი რომ მთელი ქვეყნის მიწაწყალი სამეფო საქონებელია და ყველა სხვას მიწა პირობით და დროებით უჭირავს, „გაცემულს“ და „გაუცემელს“ გარდა, რომელიც სამეფო საქონებელს წარმოადგენდა საქართველოში, ეერძო მფლობელების ხელში რჩებოდა მკვიდრი მამული, მოუდევარი მამული (ტრადიციით დაჩემებული, ნასისხლი, ხმლით შოებული, ნამზითვი, ნასყიდი), რომლის წართმევა

ხელმწიფის მიერ „არაოდეს ყოფილიყო“ თუ არ განსაკუთრებული დანაშაულის შემთხვევებში... თუმცა „ამოწყვეტილის“ (ბეითალმანის) კანონის არსებობა იმას მოწმობს, რომ ყოველგვარი ქონების უკანასკნელი ინსტანცია იგივე სახელმწიფო იყო, მაგრამ ეს კანონი რომელიც დავით აღმაშენებლის დროს, როგორც ჩანს, მოქმედებდა (ბაღვაშების ბეითალმანი გელათს), მაინც იმას მოწმობდა, რომ გაცემულ-გაუცემელს გარდა სხვა ქონება საქართველოში არსებობდა და ეს ქონება მკვიდრად და უშიშრად რჩებოდა მქონებელთა ხელში, რაც, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი საფუძველი იყო ინტესიური მეურნეობის წარმოებისა. ლაპიდარული გამოთქმა: „შეურჩომელი მამული ცუდია, რად მოვაშენოთ“ იყო იმ პროგრესული ვითარების აღმნიშვნელი, რითაც ჩვენი ქვეყანა (ქართული ფეოდალური ურთიერთობა) აგრე თვალსაჩინოდ განსხვავდებოდა აზიური ფეოდალიზმის ქვეყნებისაგან (ამის შესახებ სადღაც მაქვს დაწერილი...).

ასე და ამრიგად გაერთიანებულ საქართველოში შემდეგი სხვადასხვა სახის მიწის მფლობელობა იყო: 1. ს ა მ ე ფ ო — ეს იყო ქვეყნის უდიდესი ნაწილი, მისი ერთი ნაწილი „გაცემული“ იყო სხვადასხვა მოხელეებზე — ყმებზე ერისთვიდან დაწყებული უბრალო მოლაშქრემდე; მისი მეორე ნაწილი „გაუცემელი“ იყო, სახასოდ რჩებოდა და უშუალოდ სამეფო მეურნეობაში იყო. ასეთ სახასო მიწებს სამეფო სასახლეები უვლიდნენ და ყველა ეს სამეფო კარის მეურნეობაში შედიოდა. 2. ამას გარდა ფეოდალებს ჰქონდათ მ კ ვ ი დ რ ი მ ი უ დ ე ვ ა რ ი ს ა გ ვ ა რ ე უ ლ ო ქ ო ნ ე ბ ა, რომელზედაც მეფეს წესით, კანონით ხელი არ მიუწვდებოდა. (მაგალითად, როცა ბაღვაშმა, როგორც მოხელემ, ერისთავმა მეფის ორგულობა გამოამჟღავნა, მეფემ ის იმით დასაჯა, რომ სამოხელეოდ მიცემული ქონება (— დიდება) მოხელეობასთან ერთად წაართვა და სამკვიდრო მამული ლიპარიტეთი (კაცხის მამული) დაუტოვა მის შვილს (თვითონ დამნაშავე ერისთავი კი საბერძნეთს გაეძევა). ამაში იყო ქართული ფეოდალური ურთიერთობის მაღალგანვითარებულობა, მისი პროგრესული ხასიათი. დიდ აზნაურს თუ მდაბიორ-მოლაშქრეს შეეძლო ჰქონოდა მკვიდრი მამული, გარანტირებული მკვიდრი ქონება, ნაწყალობევისა და პირობითის გვერდით მას შეეძლო ჰქონოდა ნასყიდი, თუ სხვა რიგის მიუდევარი ქონება, რომლის განსხვისების უფლებაც მას შეუზღუდველი ჰქონდა (ნიკორწმინდის დაწერილი ან XIII საუკუნის შიო მღვიმის არაერთი დაწერილი ამის აშკარა მოწმობაა). ბატონყმობის გამარჯვება სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მდაბიორ-მოლაშქრე ამ უფლებას ჰკარგავდა, და

მთელი მისი ქონება პატრონის (ამიერიდან ბატონის) საკონტროლო ხდებოდა (ისევე როგორც გლეხის) იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორი ხასიათის იყო ეს ქონება: სამკვიდრო, ნაწყალობევი თუ ნასყიდი. ამიერიდან ყველა თანაბრად მებატონისად ითვლებოდა. და ესაა სწორედ მდაბიორ-მოლაშქრის გაგლეხება... მაგრამ ყველაფერი ეს თანდათან და ნელა შემოდიოდა და მას შემდეგაც კი, რაც „გლეხი" უკვე ფართო ცნება გამხდარიყო, რომელიც მთელ მწარმოებელ მოსახლეობას იტევდა, ამ გლეხებს შორის დიდხანს რჩებოდნენ ფენები, რომელნიც ჯერ კიდევ ახერხებდნენ ძველი უფლებების მეტნაკლებად შენარჩუნებას...

3. ცალკე მოსახსენებელია საეკლესიო-სამონასტრო მიწები. თავგამოდებით ცდილობდა ეკლესია თავისი საქონლის შენარჩუნებას. საერო ფეოდალები ეკლესიის ქონებას, ისევე როგორც მეფეც, პირობით ქონებადა სთვლიდნენ: რომ ეკლესია (თუ მონასტერი) ფლობს მიწებს იმ პირობით, რომ ის შემწირველთა სულის საოხად თუ მათ სადღეგრძელოდ და საქმის წარსამართებლად ლოცულობს და რომ ძნელბედობისას ასეთი ქონების გამოწირვა დასაშვებია (1263 წ. საეკლესიო კრება)... ეკლესია ამ შეხედულებას ებრძოდა. თხზავდნენ ისეთ სიტუაციებს, როცა საეკლესიო ქონების „პატრონი შემწირველი არ ჩანს, ან უღვაწი და უშენებელი დაუთმეს ეკლესიას (მონასტერს) და ასეთი უდაბნოს სამოთხედ მქცეველმა ბერებმა თავისი ოფლით შექმნეს და ყოვლად მოუდევარი ჰყვეს ეს ქონება... მაგრამ ფეოდალებს კარგად ახსოვდათ თავისი წინაპრების ღვაწლი ამ საეკლესიო საქონებლის შექმნაში და ვიდრე საშუალება ჰქონდათ, იცავდნენ წესს და ახალსაც სწირავდნენ, ხოლო როცა მისჭირდათ, დაიტაცეს კიდევაც... მაინც და მაინც საქართველოს გაერთიანების ხანაში ქვეყანას საამისო არა უჭირდა რა და საეკლესიო საქონებელი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა... ასეთ პირობებში ეკლესიის ორგანიზაციის საკითხი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი იყო სამეფო ხელისუფლებისათვის და ამ ნიადაგზე გასაგებია ეს ამოდენა ზრუნვა, მეფის ხელისუფლება რომ იჩენდა ბაგრატ III-დან მოყოლებული, დავით-გიორგი-თამარის ხანამდე.

ამრიგად განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის საქართველოში მიწა იყო: 1) მეფის (გაცემული და გაუცემელი). 2) ფეოდალების (ნაწყალობევი და სამკვიდრო-მოუდევარი), მდაბიორ-მოლაშქრეების (ნაწყალობევი, სამკვიდრო-მოუდევარი). 3) ეკლესიის (შეწირული...). (გლეხს მიწა საბეგროდ ჰქონდა მიცემული და მის მფლობელად მებატონე ითვლებოდა).

ფეოდალური ხანის ქართული მიწათმფლობელობის განსაკუთრებით დამახასიათებელია ის გარემოება, რომ მიწის ფეოდალური მფლობელობის გვერდით აქ მუდამ რჩებოდა და მეტის თუ ნაკლების ძალით ურთიერთობაზე ზემოქმედებდა მიწის არაფეოდალური მფლობელობა: სამკვიდრო და მოუდეევარი მფლობელობა სახლის და სამკვიდრო და მოუდეევარი მფლობელობა ინდივიდუალური. ფეოდალური საქართველოს სოფლის მეურნეობა მის ძირითად რაიონებში იმ ხასიათისა იყო, რომ თავის განვითარებისათვის შერჩომილ მამულს მოითხოვდა. ინტენსიური მეურნეობის მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკის პირობებში შეიძლებოდა შემუშავებულიყო მიწის ნასყიდობის ინსტიტუტი, რომელიც უკვე VI—VII საუკუნეში დადასტურებულია ჩვენში. რა თქმა უნდა, ნასყიდის ინსტიტუტს არაფერი აქვს საერთო მიწის ფეოდალურ მფლობელობასთან და თუ ფეოდალური ურთიერთობის ხანაში ეს ინსტიტუტი არსებობს და ვითარდება, ეს იმის მოწმობაა, რომ ფეოდალური მიწისმფლობელობა ეგუება მისთვის ამ უცხო ინსტიტუტს, ამას მოითხოვს ქვეყნის სამეურნეო განვითარება და ფეოდალური მიწისმფლობელობა (ფეოდალური ურთიერთობა) ვერ იარსებებდა, საზოგადოების განვითარების პირობებს ვერ უზრუნველყოფდა, და იმთავითვე ის ქვეყნის წინსვლის შემაფერხებელი მოვლენა იქნებოდა, თუ შერჩომილი მამულის ინსტიტუტს ვერ იგუებდა, ვერ შეითვისებდა. საბოლოო ანგარიშით ფეოდალური მფლობელობა ამ მომენტს თან გადაჰყვა, როცა მან ვეღარ შეძლო, როცა მისი შეგუების უნარი ამოიწურა, ე. ი. როცა ქვეყნის სამეურნეო განვითარებამ მიწათმფლობელობის ამ ფორმის („შერჩომილი მამული") საყოველთაო გაბატონება კატეგორიულად მოითხოვა...

ასე რომ გაერთიანებული საქართველოს მეფის ხელში სამმართველოდ, რა თქმა უნდა, მთელი ქვეყანა იყო, მაგრამ ფეოდალები: დიდგვარიანი აზნაურები და ეკლესია — მამულის მფლობელობის თვალსაზრისით ყოველმხრივ მეფისაგან დამოკიდებული არ იყვნენ. მართალია, დიდაზნაურებს დიდების სახით მეფისაგან სამმართველოდ (საკარგავად) თუ სამამულოდ დიდი ქვეყნები ეძლეოდათ (ციხეები, ქალაქები და მათი მიმდგომი მხარეები), მაგრამ ამ დიდაზნაურებს ჰქონდათ მკვიდრი და მოუდეევარი მამულები, რომელნიც მეფის წყალობად არ ითვლებოდნენ. ასეთი ქონების სიდიდეს ემყარებოდა ამ დიდაზნაურთა ძლიერება. მართალია, რაც დრო გადიოდა და მეფე ძლიერდებოდა და მისი წყალობაც სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა, როცა დიდი აზნაურის ქონება-

ში ეს დიდებული მამული სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობისა ხდებოდა, პოლიტიკური სასწორი დიდებულ აზნაურების მხარეზე იხრებოდა და თავის მკვიდრ მამულს ვეღარ სჯერდებოდა აქამდე თავის ბუნაგში კმაყოფილებით მჯდომი დიდაზნაური... მსახურეული, დიდებული აზნაური თანდათან იდეალი ხდებოდა, მაგრამ ფეოდალები ამით ოდნავადაც უარს არ ამბობენ თავიანთ მკვიდრ მამულზე. ის მათი საყრდენია, მათი გავლენისა და ძალის საწინდარია და დიდაზნაურების ცდა მიმართულია იქით, რათა მეფის მიერ ნაწყალობევი სამამულო სამფლობელოდ და ბოლოს მიუდევარ საკუთრებად აქციონ... ამას ებრძვის მეფე. მოხელეთა (ერისთავებისა თუ სხვების) ნებისმიერი დასმა-მოხსნით, ახალკაცთა აღზევებით, მოლაშქრეთა დაწინაურებით ის არ აძლევს საშუალებას სათავადოების წარმოქმნისას, ხოლო ქვეყნის სამეურნეო განვითარება, მამულების ყიდვა-გაყიდვა, ვაჭრობა-აღებმიცემის განვითარება ქმნის პირობებს იმისათვის, რომ უფრო განვითარდეს ინდივიდუალური მეურნეობა, არ განმტკიცდეს სასახლო-საგვარეულო მეურნეობა, არ წარმოიშვას ჩაკეტილი სათავადო, არამედ შემზადდეს ქვეყანა წინაბურჟუაზიული გაერთიანების საბოლოო გამარჯვებისათვის.

$\left(\frac{4}{22}\right.$ ფ. 107—119$\left.\right)$.

როგორი იყო გაერთიანებული საქართველო

განსაკუთრებით საყურადღებო ფაქტია, რომ დავითის დროიდან მოკიდებული არც ერთი ერისთავთ ერისთავი არ ცდილა (გარდა გუზან ტაოსკარელისა რომელმაც აგრე სავალალოდ დაასრულა თავისი მოღვაწეობა ამ მიმართულებით) დამოუკიდებელი სამეფოს აღდგენას. (არც სომხები), არც ერთი სამეფო (რომელთაგან შედგებოდა ყოველი საქართველო) დამოუკიდებლობის მოპოვებას არც ცდილა და თვით მონღოლთა ბატონობის მძიმე ხანაშიაც ქვეყანა ერთიანობას ინარჩუნებდა. მონღოლები ხელოვნურად უწყობდნენ ხელს ქვეყნის პოლიტიკურ დაშლას (ხასინჯუ, ორმეფობა)... ხოლო ქვეყნის ეკონომიური დაცემა ქმნიდა დაშლის საფუძველს და ასაზრდოებდა სეპარატისტულ ტენდენციებს. დიდხანს იბრძოდა ეკონომიურად შერყეული საქართველო ამ დაშლის წინაღმდეგ, ვიდრე საბოლოოდ არ შეიქმნა ისეთი პირობები, ქვეყნის ეკონომიკის საბოლოო დაცემის ნიადაგზე, როდესაც გამაერთიანებელმა ტენდენციებმა საბოლოო მარცხი განიცადეს და ფეოდალები (თავადები) გვერდში ამო-

ეედგნენ პოლიტიკური დაშლილობის მოღვაწე „თვისთა უფალთა“ (1490 წლის დარბაზი).

და ესაა ეფემერული გაერთიანება? ან სვებედნიერის მიერ ქვეყნის შეერთება??. $\left(\frac{4}{21}\text{ ფ. } 118\right)$.

თამარის ისტორიკოსის (ისტ. აზმ.) გაგებით დიდგვარიანებმა თამარის გამეფებისას ბრძოლა ყვეს „ხელისუფლებისა და დიდებისათვის“. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება და დიდება, რომელიც სამეფო კარიდან გაიცემოდა, უპირველესი მნიშვნელობის ფაქტორი იყო ამ დიგვარიანთათვის, რომ მაშასადამე, სამეფო კარი იყო წყარო, უმთავრესი წყარო დიდგვარიანთა კეთილდღეობისა, რომ მეფის კარზე ხელისუფლება (რასაც თან სდევდა დიდება) იყო დიდგვარიანთა მისწრაფების უმაღლესი იდეალი. ეს კი იმის მაჩვენებელი არგუმენტია, თუ რამდენად არსებითი იყო ქვეყნის გაერთიანება. დიდგვარიანები მეფის წყალობას ეძებენ და არა ხელმწიფობასაქონებელს. მეორე მხრით საყურადღებო გარემოება ჩანს: ქვეყნის გაერთიანების ხარისხი: დიდგვარიანების წარმოდგენით (და უნდა ვიფიქროთ ყველა პოლიტიკური მოაზროვნის წარმოდგენით) სამეფო კარი, ძველად რომ მეფის, ვითარცა ერთ-ერთი მთავრის დომენი, ხასი, სეფე იყო, ეხლა სახელმწიფო მნიშვნელობის ფაქტია. თუ ეს არა, თუ ასეთი გაგება არა, ყუთლუ-არსლანის პროგრამა სრული უაზრობა იქნებოდა: სამეფო კარი, მეფის საქონებელი თუ საქვეყნო-სახელმწიფო საქონებლად არ იქნებოდა გაგებული, არამედ კერძო სამეფო საქონებლად, მაშინ რა უფლების ძალით მოითხოვდნენ დიდგვარიანები ამ საქონებლის გამგებლობაში წილის დადებას და მით უფრო ამ გამგებლობის მთლიანად ხელში აღებას და მეფის, თუ მთლად გამორიცხვას არა ამ გამგებლობისაგან, ამის ძლიერ შეზღუდვა-შევიწროებას მაინც?? ეს ფაქტი კი დიდი მნიშვნელობის გარემოებაა: როდის, როგორი თანდათანობით მოხდა, რომ მცირე სამთავრო-საფეოდალო ამ ფეოდალის კერძო მეურნეობით (მეჯურჭლით, სახლის უხუცესით, მსახურთუხუცესით — ხელშინაურებით) თანდათან იქცა ვეება სახელმწიფო დაწესებულებად სავაზიროებით: სამართლის, სამხედრო, ფინანსთა, წესრიგის, მეფის სახასო მეურნეობის და სხვ. რა თქმა უნდა, ეს ამოდენა ცვლილება ფაქტიური და ცვლილება შეგნებაში, როცა სახელმწიფოს ცნება შემუშავდა, როცა კერძო, სამეფო — საქვეყნოდ, საერთოდ გადაიზარდა, არც ერთბაშად მომხდარა და არც ყველასათვის თვალნათლივი იყო ეს პრო-

ცესი. მაინც და მაინც პროცესი მიმდინარეობდა, იზრდებოდა, რთულდებოდა. ამისდა შესაბამისად იცვლებოდა წარმოდგენაც... მაინცდამაინც XII საუკუნისათვის ეს პროცესი დიდი ხანია დასრულებულია და სახელმწიფოზე წარმოდგენაც შემუშავებულია: ორი სხვადასხვა შეხედულება შემუშავებულია. ორივე შეხედულება ერთში თანახმაა, რომ სახელმწიფო კერძო საქონებელი არაა, მაგრამ რა არის იგი, ამის შესახებ ეს შეხედულებანი ერთი მეორეს აღარ ეთანხმებიან. ერთი შეხედულებით (შემოტანილით, წიგნურით, მაგრამ ფეოდალური საზოგადოების გარკვეული ფენების მხრით ძლიერად მხარდაჭერილი შეხედულებით) ხელმწიფეებს, მეფეს ღ მ ე რ თ მ ა ა რ წ მ უ ნ ა ქ ვ ე ყ ა ნ ა განსაგებლად, რომ მეფე ამდენად ღვთის ნებისმყოფელია, მის მაგიერია, მაგრამ ღმერთმა მეფეს ქვეყანა განსაგებლად არწმუნა და კი არ მისცა სასაკუთროდ... მეორე შეხედულებით ქვეყნის გამგეობიდან ღმერთი გამორიცხული არ არის, მაგრამ ქვეყნის გამგეობის რწმუნება ღმერთს მარტო მეფისათვის კი არ მიუცია, არამედ ეს სულ სხვა რიგად მოხდა: ღმერთმა ქვეყანა საგამგეოდ ერისთავებს არწმუნა (ერისთავებსაც ხომ აკურთხებდნენ საერისთაოზე!), რომელთაც ეს რწმუნება მათ მიერვე შერჩეულ ერთ-ერთ ერისთავს, მეფეს გადასცეს, მაგრამ ისე, რომ მეფე ამ რწმუნებას ისევე ამ ერისთავებს უნაწილებდეს სამართლიანად...

მაინც და მაინც ეს მეორე თეორია უფრო გვიან წარმოშობილია და, ეეჭველია, ორიგინალურია, ქართული სინამდვილის ნაშობია...

ასე თუ ისე XI საუკუნეში ორივე თეორია უკვე არსებობდა და სახელმწიფოზე წარმოდგენა, რაღა თქმა უნდა, დიდი ხანია არსებობდა...

ეს კი გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ი ს მ ა ღ ა ლ ი ხ ა რ ი ს ხ ი ს მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ე ლ ი ა $\left(\frac{4}{21}\text{ ფ. } 106-108\right)$.

„ვაერთიანების ხანისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია, რომ ისტორიკოსები (მატიანე ქ'ჲ თამარის ისტორიკოსი) ყველანი დიდ დამსახურებად უთვლიან იმ დროის მეფეებს, რომ მათ „განუხეთქელად" დაიცვეს ქვეყანა. მაშასადამე განხეთქის საფრთხე სულ მუდამ არსებობდა... $\left(\frac{4}{21}\text{ ფ. } 3\right)$.

საქართველოს მეფის ტიტულატურა

მე კი ვფიქრობ, რომ საქართველოს მეფე ისეთივე უფლებით იყო შაჰანშა და შარვანშა, როგორც რანთა და კახთა, ან სომეხთა ან აფხაზთა და ქართველთა მეფე. აქ შარვანის ყმადნაფიცობა კი არ იგულისხმებოდა, არამედ შარვანის მპყრობელობა, მისი იმავე უფლებით და იმავე სახით შემოერთება, როგორც შემოიერთეს სომხითის სამეფო, ან კახეთის სამეფო, ან ანისის სამეფო... ასეთივე უფლებით იყო საქართველოს მეფე შაჰანშა.

ასე რომ საქართველოს მეფის ტიტულატურა მოიცავდა საკუთრივ საქართველოს (ქრისტიანულ ქვეყანას კავკასიაში), რომელშიაც შედიოდნენ სხვადასხვა ეროვნების ქრისტიანი ხალხები.

ასე რომ შაჰანშა ისეთსავე დამოკიდებულებაში იყო საქართველოს მეფისაგან, როგორც სომეხთა ან აფხაზთა ან ქართველთა, ან კახთა და რანთა მეფე $\left(\frac{4}{21}\text{ ფ. } 90\right)$.

ვაზირობისა და ერისთავთ-ერისთავობის „შეთავსებანი"

რა არის ეს არსებითად.

შდრ. ერეკლეს რეფორმები.

„საქართველოს გაერთიანება" რა არის არსებითად.

რაა ხელმწიფის მოსაკითხი საერისთავთერისთავოში.

როდის შეიძლებოდა ქვეყნის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება?

— ამისათვის საჭირო და აუცილებელი იყო რათა დამპყრობელი ქვეყანა თვით ყოფილიყო გაერთიანებული წინაბურჟუაზიული სახით. ჩვენში ეს მხოლოდ იწყებოდა.

ბაგრატმა თავისი მეგვარეები ამოაგდო. დავითმა შარვანს აზნაურნი ჰერ-კახნი შეაყენა.

დავითმა ანისს აზნაურნი მესხნი აჩინა.

ბაგრატ IV აზნაურები კახეთში, ისაკ ტოლოშელისძე ქალეთს.

ჰერებმა ბაგრატის ერისთავები ჰერეთ-კახეთიდან აფრინეს და ციხეებს ისევ ძველი მფლობელნი დაეუფლნენ.

ქართლის ერისთავი მეგრელი იოანე მარუშისძე.
ჯანშიას წერილი ბარათიანთ გვარისათვის.
სომხითის, კაენისა და კაეწონის პატრონი დადიანი.
გაგის ციხის პატრონი ვარდანი.
ფანასკერტელი—ტაოს კარში.
კალმახელი სულა — ოძრჯე-ბოდოკლდეში.
ყუბასარი — ლორეში.
აფრიდონ — თრიალეთ-თმოგვში.
ზაქარია მხარგრძელი — რუსთავში.
თორელი — ჯავახეთში.
თმოგველი (მხარგრძელი) — ჯავახეთში.
აბუსარი — ანისში.
აბულასანი — რუსეთში.
კაცხელი ბაღვაშები — თრიალეთში.
ყუთლუ-არსლანი — ლორეში.
მესხეთის თავადების სია ხომ სულ ერთიანი სურათია მფლობელთა ამ ცვლისა.
შოთა — ჟინვანში.

შემდეგ ციციშვილები ქართლში და სხვა თავადები. ავალიშვილები, როჭიკაშვილები, აბაშიძენი (კახეთში), ჩერქეზი, აფხაზი, ჭავ-ჭავაძე, დონაური. $\left(\frac{4}{22}\text{ ფ. } 120-121\right)$.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა განსხვავება იყო სამამულოდ შეწყალების ქართულ წესსა და საქართველოს მეზობელ ქვეყნებში არსებულ ასეთივე წესს შორის.

ს ა მ ა მ უ ლ ო, ს ა ხ ა რ ა ჯ ო დ (sic) ზოგჯერ ეს „სახარაჯოდ“ შეწყალება „ს ა ნ ა ხ ე ვ რ ო დ“ იყო: ჩანს შემოსავლის ნახევარი — ხარაჯა — შეწყალებულს, ნახევარი შემწყალებელსვე რჩებოდა, ხომ არაა ეს წესი სახარაჯო იგივე, რაც მუსულმანური ქვეყნების „სუიურღალი“, როცა ხელმწიფე ამა თუ იმ ქვეყნის თუ ქალაქის სახელმწიფო შემოსავალს დროებით თუ საშვილიშვილოდ ვისმე უწყალობებდა? როგორი წესით იყო ის „გაცემა“ ანისისა და დვინის თუ სხვა ქვეყნების შესახებ რომ აღნიშნავენ კარელები და რომლის წინააღმდეგნი არიან მოქალაქენი? თითქო არაა საფიქრებელი, რომ ასეთი გაცემა სუიურღალის წესისა იყო. მაგრამ რა გან-

სხვავებაა სუიურღალსა და ქართულ სამამულო ეაცემას შორის??

$\left(\frac{4}{22}\text{ ფ. } 40\right)$.

[§ 2. ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ევოლუციის საფეხურები]

1. ყურადღებამისაქცევია და გამოსარკვევია, თუ რა ცვლილება ვანიცადა ქართულმა სახელმწიფო წყობილებამ XI—XIII საუკუნეებში „ძველთან" შედარებით, როგორი იყო ის ამ განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის უმაღლეს საფეხურზე, როგორ დაეცა და გადაგვარდა ის „ჩიხის" პირობებში, რას ნიშნავდა ყიზილ-ბაშური რიგის შემოტანა როსტომის მიერ და სხვა „რიგების" შემოსვლა, რა რიგისაა „დასტურლამალი" „ქელმწიფის კარის გარიგებასთან" შედარებით, რას ნიშნავდა ვახტანგის სჯული, მისი კოდიკო, რას მოწმობს ერეკლეს საკანონმდებლო მოღვაწეობა, რას მოწმობენ ეს პროექტები...

ამაღლდა, უნდა ერთი მთლიანი გამხდარიყო („საქმენი მანდაურნი" ჯერ ისევ ბოგინობდა...), დაიჩიხა, გამარტივდა... პარტიკულარული ცალკე ქვეყნის სამართალი მაინც არსებობდა, (ბექას სამართალი, ძეგლის დება), განა შეიძლება დავუშვათ, რომ გიორგი ბრწყინვალე მთას — არაგვს, ქსანს — ძეგლს უდებდა, ხოლო ბარისათვის კი არაფერი ჰქონდა?... ძეგლის დება იმის მოწმობაა, რომ ფეოდალური ურთიერთობა უძლური იყო ერთფეროვანი ურთიერთობა გაებატონებინა საქართველოს ყოველ კუთხეში... გეოგრაფიულ, სამეურნეო, ტომობრივ-ისტორიული განსხვავებანი ძლიერი რჩებოდნენ ფეოდალურ საქართველოში და ერთი მთლიანი „სჯულის" შექმნის საშუალებას არ იძლეოდნენ... „აფხაზეთი", „ქართლი" (იბერია), ჰერეთი (კახეთი) — ეს ნათლად ჩანს, ურთიერთისაგან საკმაოდ განსხვავდებოდნენ წყობით (გაიხსენე არქეოლოგია, მარის შეხედულება დასავლეთ საქართველოს კულტურული სხვებურობის შესახებ...), რომ არაფერი ვთქვათ თითოეული შინაგანი განსხვავების შესახებ (მთა, ბარი, ზეგანი, ტომობრივობის მემკვიდრეობით მიღებული სხვებურებანი).

მაგრამ, ამავე დროს, რეალურად იყო ერთიანი ძირითადში მოვლენა — ფეოდალური ურთიერთობა, რომელიც ამ კუთხეებს ერთი მეორეს ამსგავსებდა (თუმცა საბოლოოდ ვერ აიგივებდა)... ასე რომ „ქელმწიფის კარის გარიგება" ეს იყო უმაღლესი მიღწევა ქვეყნის

გაერთიანების გზით მისი წერილობითი, კანონმდებლობითი გამოხატულება... რაც შეეხება სამოქალაქო და სისხლის სამართლის სკულს, ისინი, უეჭველია, ადგილობრივნი რჩებოდნენ... „ქართველთა სკულში“ თუ მართლაც საკანონმდებლო ძეგლი იგულისხმება (მე კი ასე მგონია), ის უეჭველია, ქართლის ბარის სამართალი იყო და არა მთელი საქართველოსი...

„ააჯო კარი“ უდიდესი მიღწევა იყო, როგორც გამაერთიანებელი მომენტი... ის უკვე ერთიანი საკელმწიფოს სამართლის დასაწყისი იყო (დავითის დრო...).

ის, რაც მოხდა კახეთში XV საუკუნეში (სამოურაოების დაარსება, საერისთაოების შეცვლა) გაცილებით ადრე უნდა მომხდარიყო და მოხდებოდა კიდევაც ყველგან ბარის საქართველოში (დავითი, გიორგი III ამის მანიშნებელი არიან, ასევე ბაგრატ III...) თუ კი საქართველოს ცხოვრება ნორმალურად განვითარდებოდა... მოკლედ, იქმნებოდა ერთიანი ფეოდალური საქართველო მაღალი ტიპისა, ერთიანი სამართლით, ერთიანი პოლიტიკური და სოციალური წყობით, ერთიანი კულტურით (ვეფხისტყაოსნის კულტურით)... ასეთი იყო პროცესი... ზოგ მომენტში ის შორს იყო წასული, ზოგში ძველი ვითარება ბოგინობდა (ერთიანი უზენაესი მმართველობა, საეკლესიო, ერთიანი ეკლესია, ერთიანი ააჯო კარი, ერთიანი საბაჟო, ერთიანი ენა, ვეფხისტყაოსნის ერთიანი კულტურა...).

ერეკლეს საკანონმდებლო მოღვაწეობა ამ მხრივ განახლება იყო, შეწყვეტილის აღორძინება იყო ახალს ვითარებაში, ოღონდ ივ ძველ დროს ყველაფერი ის ქართველთა ცხოვრების დამოუკიდებლად განვითარების შედეგი იყო... თუმცა, უნდა ითქვას, ეხლაც, რაც კი ხდებოდა, იგივე საკუთარი ცხოვრების შედეგი იყო. სესხება (ინსტ-ტუტის თუ ინსტიტუტების) ცხოვრების შეცვლას კი არ მოასწავებს, არამედ ნასესხების შეფარდება-შეგუება არსებულ ცხოვრებასთან (გაიხსენე ერეკლეს განცხადება, რომ რაღაც ცვლილებების განხორციელება სხვა დიდ ქვეყანას კი, მაგრამ ჩვენს ქვეყანას არ შეუძლიანო...), თუ კი ასეთი რამ — შეგუება — შეფარდება შეუძლებელი აღმოჩნდა, ის არც იბოგინებს, გადაშენდება, გაქრება...

ერეკლეც იმას სესხულობდა, ის გადაჰქონდა, რაც შეიძლებოდა, მისი ქვეყნის ცხოვრებას, მის წინსვლა-გაუმჯობესებას ხელს შეუწყობდა (გაიხსენე იოანე ხუცეს-მონაზონის მოწმობა ალექსის уложение-ს თარგმანისას)...

სპარსული გავლენა ელინისტური აღმოსავლეთი	იბერია
ბერძნული სპარსული ელინისტური დასავლეთი	კოლხეთი
არაბული ბიზანტიური	იბერია — ქართლი

ბიზანტიური — აფხაზეთი

თურქული — დას. საქართველო.

ყიზილბაშური — აღმ. საქართველო

რჩება მაინც ქართული.

2. როგორც არ უნდა გაირკვეს საკითხი დიდებისა, დიდებულისა, დიდებული აზნაურისა და დიდებული თავადისა, „სადიდებულო თავადო" განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მრავალმეტყველია.

საფიქრებელია, რომ გამოთქმა „დიდებული აზნაური" (მაგ. გაბრიელ დაფანჩული) მოწმობაა იმისა, რომ იმავე დროს შეიძლებოდა ყოფილიყო დიდებული, მაგრამ არა აზნაურთაგანიც... და ასეც უნდა ყოფილიყო სწორედ იმ დროს, რაც მეფე ცდილობდა უხანოები, უგვაროები წამოეწია[3]. მაგალითად რით არ იყო დიდებული აფრიდონ ან ყუბასარი?... სულ სხვა საქმეა, როცა თავისუფალთა რეზერვი ამოიწურება და მეფე იძულებული იყო მხოლოდ აზნაურთათვის ეწყალობებინა დიდება...

XI—XIII სს-ში განსაკუთრებული მნიშვნელობის პროცესი მოხდა: დიდება მხოლოდ დიდაზნაურების პრივილეგია გახდა და დ ი დ ე ბ უ ლ ი ასეთ დიდაზნაურებს ეწოდა. აზნაურთა წოდებაში განსაკუთრებული წრე შეიქმნა. მაგრამ არ ითქმის რომ XIV საუკუნის დიდებული წოდება ყოფილიყო (იმისაგან დამოუკიდებლად რომ მისი სისხლი 40000 თეთრი ღირდა): თუ დიდებულს ის ველი წაერთმეოდა, რაც მას დიდებულობას ანიჭებდა, სისხლის ფასი ძველი შერჩებოდა?... მაგრამ ასევე იყო საქმე მამულ დამცრობილ აზნაურის შემთხვევაშიც. თუმცა სამი თაობის ხანდაზმულობით.

---

[3] დედანში ჩამატებულია ფანქრით: თუ ბიზანტიის მიხედვით ვიმსჯელებთ ასეთები იყვნენ. იხ. Скабаланович. Византийское государство и церковь в XI в.

ასევე იყო დიდებულიც? რა ახასიათებდა დიდებულს XIV ს-ში (ქვეყანა, მონასტერი, ციხე, ქალაქი) მაგრამ იყო თუ არა ძალაში „მითვე დიდებითა ადიდა და არ შეუცვალა"? ეს ფორმულა თუ ცოცხლობდა, მაშინ დიდებული წოდება არ ყოფილა... ერთი სიტყვით გასაშუქებელია გზა დიდებიდან — დიდებულამდე.

$\left(\frac{4}{53}\right.$ ფ. 51—53$\left.\right)$.

3. თამარის დროინდელი „ახალი წესი" ეს იყო — „ერთნებობისა და თანადგომის წესი".

ბრძოლა ცენტრალურ ხელისუფლებისა ფეოდალებთან ეს იყო ბრძოლა წვრილ თავისუფალ მწარმოებელის დაუფლებისათვის. ბრძოლა იმისათვის, თუ ვინ იქნებოდა განუყოფლად ექსპლოატატორი მწარმოებელი კლასისა: ცენტრალური ხელისუფლება, მაღალი ფეოდალები თუ ორივე ერთად, ე. ი. შეიქმნებოდა ჩვენში აღმოსავლური ფეოდალიზმი, დასავლური თუ ის, რომელიც შეიქმნა აღმოსავლეთ საქართველოში??

დავითმა საკითხის გადაწყვეტა პრებენდალურ სისტემის სასარგებლოდ სცადა. მან შექმნა მ ო ლ ა შ ქ რ ე თ ა წ ო დ ე ბ ა — (ყივჩაყები).

4. მონღოლური სახელმწიფო არ შეეფერებოდა დაპყრობილ ქვეყანათა ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარებას. მონღოლური ორგანიზაცია ხორცმეტად აჯდება კულტურულ ქვეყნებს და ძალისაგან სცლიდა მათ. ეს სახელმწიფო არ იყო გამოწვეული ამ ქვეყნების საწარმოო ძალთა განვითარებით. ის, ამიტომ შემაფერხებელი ძალა ღა იყო ამ განვითარების გზაზე. კონფლიქტი სახელმწიფოს პოლიტიკურ პლატფორმასა და ქვეყნების სოციალ-ეკონომიური განვითარებას შორის უნდა მომსპარიყო: ან ერთი უნდა გარდაქმნილიყო, ან მეორე, ან ორივე ნაწილობრივ.

რეალური მონღოლთა ეპოქაში ისევ დაპყრობილ ქვეყნების სამეფო-სამთავრო ორგანიზაციები იყვნენ. მონღოლური ზედნაშენი ხორცმეტი იყო. ის მხოლოდ შემაფერხებელი იყო და ორგანიზმის ჯანსაღობა მის გაქრობას აუცილებლად მოითხოვდა... საერთოდ საშუალო საუკუნეებში ყველა ასეთი გაერთიანებანი ეფემერული და ხორცმეტული იყო, მხოლოდ უარყოფითი ხასიათისანი იყვნენ ქვეყნების თვალსაზრისით. ამიტომაც იყო რომ ასეთი გაერთიანებანი ვერ ბოგინობდნენ $\left(\frac{2}{41}\right.$ ფ. 252$\left.\right)$.

5. მე-12 საუკუნის დასასრულისათვის ცენტრალური ხელისუფლება ჰკარგავს დასაყრდენს წვრილი ერის სახით. მაგრამ იგივე პროცესი, რომელიც ადასტურებს წვრილი ერის დამოუკიდებელ მდგომარეობას, წარმოქმნის ქალაქებს, ახალ დასაყრდენს ცენტრალური ხელისუფლებისათვის მაღალ ფეოდალებთან საბრძოლველად. ამ მხრივ XII საუკ. გარდამავალია. ცენტრალურ ხელისუფლებას ვერ აუღია გარკვეული გეზი ამ ქალაქებზე (თუმცა ქალაქები უკვე ამეღავნებენ თავიანთ პოლიტიკურ მისწრაფებას...).

საქართველოს სახელმწიფო წყობილების ახალი ეტაპი: მე-14-15 საუკუნეები (მეფეთ-მეფე, მეფე-მთავრები), შეუვალობა, მოდაწერილობა. აფხაზეთის კათალიკოსი... $\left(\frac{2}{30}\text{ ფ. } 130\right)$.

[§3. დარბაზი, დარბაზის ერი]

1. თამარს მოახსენეს, ჯარი მოიწვიეო, მან დ ა რ ბ ა ზ ს ჰკითხა სპარსეთის ლაშქრობა.

მას სულ თან ახლავს ეს დარბაზი.

2. თამარის მეფობაშიო

„მთვარნი განისწავლნეს სიწმიდით ცხოვრებად და სიმართლით სლვად; ე რ ნ ი გ ა ნ ე მ ტ კ ი ც ნ ე ს შ ი შ ი თ მ ო ნ ე ბ ა დ ღ მ რ თ ი ს ა და ე რ ო ვ ნ ე ბ ი თ უ ფ ა ლ თ ა თ ვ ი ს თ ა. ყრმანი განიწუართნეს მოძაგებად უჯეროსა უსჯულოებისა რამეთუ ბილწებამან უწესომან და ყრმებრივმან მბორგალებითმან ბორგნეულობამან ვერცა თუ კუალი პოვა დღეთა თამარისთა“. (ბასილი, 36). $\left(\frac{3}{16}\text{ ფ. } 13\right)$.

3. საინტერესოა სასისხლო სიგელებში: „ვინც დარბაზს შეგასმინოს“. როგორც არ უნდა ვუყურებდეთ ჩვენ ამ ძეგლებს (მისი სინამდვილე სიყალბის მხრით), მასში რეალური ცხოვრების ანარეკლი გვაქვს...

4. საინტერესოა აქვე დიდებულის ან საპატიო აზნაურის ქონება (იდეაში). საინტერესოა დარბაისელნი. ერთი სიტყვით ჩვენ მას უარვყოფთ როგორც იურიდიულ საბუთს, მაგრამ მის რეალიებს გამოვიყენებთ, რა თქმა უნდა, დაახლოებითი დათარიღებით დამოუკიდებლად იქ ნაჩვენები ქრონიკონისა.

შეიძლება ტრაფარეტულად ქცეული „დარბაზს შეგასმინოს“ სასისხლო სიგელებისა იყოს მათი გაჩენის დამახასიათებელი memento, როცა დარბაზი მართლაც ასეთი იყო [XIV ს. სხვა მოვლენების გათვალისწინებითაც]. $\left(\frac{3}{11}\right.$ ფ. 108$\left.\right)$.

5. დარბაზი, დარბაზ ბატონი... ძველიდან ვიდრე ერეკლემდეს იხსენიება... პირველი ლახვარი მას როსტომმა ჩაჰკრა: ის სპარსულ ჯარს ეყრდნობოდა... შემდეგ, როგორც ჩანს, ერეკლემ დაასრულა მისი არსებობა. დარბაზს, როგორც დაწესებულებას, უმთავრესად სამოსამართლო ფუნქციები ჰქონდა შერჩენილი. როსტომმა ამის მაგივრად ვერა შექმნა რა. ერეკლემ კი მსაჯულთშეკრებულება დაარსა და დარბაზის ეს ფუნქციაც გაქრა...

თუ რა ფუნქციები ჰქონდა დარბაზს, ამის გამორკვევა შეიძლება ნაგვიანევი საბუთებიდან. დიდგვარიანთ გაყრა, შეყრა, გასამართლება, ომი, ზავი, კანონების გამოცემა, ახალი გადასახადის შემოღება, დიდი ხელისუფლების გაცემა...

დარბაზის ხელისუფლებასთან დაკავშირებით საინტერესოა მცხეთისშვილობის ინსტიტუტი $\left(\frac{3}{11}\right.$ ფ. 119$\left.\right)$.

6. დარბაისელი — დარბაზის ერი პირველად ესენი იყვნენ ის, ვისაც ტაძრეული ეწოდებოდა და სრულიად უმაღლეს ფეოდალურ საზოგადოებას არ აღნიშნავდა.

რომ ტერმინი დარბაზის ერი — დარბაისელი იმ მნიშვნელობისა შექმნილიყო, როგორც მას XII და შემდეგ საუკუნეებში მიეცა (რა ეწოდებოდა ფეოდალთა კრებას მეფესთან V—IX საუკუნეებში, ჩვენ არ ვიცით...). ამისათვის აუცილებელი იყო დარბაზის ერს (ტაძრეულებს) უდიდესი მნიშვნელობა მინიჭებოდათ, ტაძარი (დარბაზი) გამხდარიყო წყაროდ ყოველგვარი კეთილდღეობისა.

ტაძრიდან გამოსულნი (ე. ი. მოხელენი) გამხდარიყვნენ უდიდესი ფეოდალები. ტაძარს, დარბაზს, პალატს დაკავშირებოდა ეკონომიურისა და პოლიტიკურ-სოციალური სიძლიერის საკითხები,

დარბაზიდან მიეღოთ ფეოდალებს (მოხელეობის გზით) ეკონომიურ-სოციალური ძლიერების საფუძვლები... $\left(\frac{3}{11}\right.$ ფ. 109$\left.\right)$.

7. როცა დიდებული მოჯელეები იქმნენ „თ ა ნ ა ზ ი ა რ მ ე-ფ ო ბ ი ს ა ჯ ე ლ მ წ ი ფ ი ს ა ს ა“ ე. ი. მეფის მართვა-გამგეობის მონაწილედ ითვლებოდნენ, ეს იყო ერთის მხრით დარბაზის ერის უმაღლესი გაძლიერება და მეორეს მხრით მისი ფეოდალიზებაც... $\left(\frac{3}{11}\right.$ ფ. 120$\left.\right)$.

თ ა ვ ი IV

[ეკონომიკა]

[§ 1. სახელმწიფო შემოსავალი]

1. საქართველოს სახელმწიფო შემოსავალი რომ დიდი იყო, ამის მოწმობა ჩვენ მოგვეპოვება პირდაპირი და არა პირდაპირი. ეს უცხოელთა ცნობით 500 თუმანს აღწევდა. არაპირდაპირი ცნობა იქნებოდა ის დიდი აღმშენებლობა ამ დროიდან რომ შემოგვრჩენია: სასახლეები, ციხეები, ქალაქები საჭურჭლეები, ეკლესიები, მონასტრები, წყალობა მონასტრებს (გელათს, შიომღვიმს, გარეჯს და საზღვარგარეთის ცენტრებს).

მაგრამ ეს პირდაპირი ცნობა, თავისთავად მეტად საინტერესო ფულადი მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით, უეჭველია ნაკლულია, და სახელმწიფო შემოსავლის მხოლოდ ფულად ნაწილს შეიძლება აღნიშნავდეს. მაინც და მაინც ამ შემოსავალში არ უნდა იგულისხმებოდეს შემოსავალი მეფის სახასო მეურნეობიდან, რომელიც სამეფო სასახლეებშივე იხარჯებოდა.

საქართველოს სახელმწიფო შემოსავალი ქვეყნის მეურნეობრივ განვითარებას ემყარებოდა უპირველეს ყოვლისა, და არა ალაფდაელას. ეს კარგად ჩანს იქიდან, რომ თითქმის ასი წლის გასვლის შემდეგ მონღოლთა გაბატონებიდან, სამონღოლო ხარკი საქართველოდან სხვა მისი ოდენობის მოხარკე ქვეყნებს შორის ყველაზე მეტი შედის, ხოლო საშინაო ხარჯები მცირედაც კი არ შემცირებულა: ორი სამეფო კარი ერთის ნაცვლად, შირვან-შაქი დაკარგული, სივნიეთი — ავაგის სამფლობელო — დაკარგული. (ლიხთიქითი იხდიდა?).

მაინც რა დარგებიდან შედგებოდა სამეფო შემოსავალი?

1) „ხელოსანთაგან მორთმეული“.

2) ძღვენი დიდგვარიან ფეოდალთაგან.

ეს მომენტი კარგად ჩანს შოთას პოემიდან. ავთანდილი რომ ავალებს შერმადინს, ძღვენი დიდ ვაჭართაგან, უსენ-ფატმანის შესახებ ცნობა, ამასვე გულისხმობს კარის გარიგება, სადაც საუბარია დიდვაჭრებზე. სახელმწიფო შემოსავალში შედიოდა ხარკი, რომელსაც მეზობელი ყმადნაფიცი ქვეყნები უხდიდნენ საქართველოს მეფეს (ამის ცოცხალი სურათი მოტანილი აქვს ბასილი ეზოს მოძღვარს).

სახელმწიფო შემოსავლის სტატია იყო აგრეთვე დ ა ვ ლ ა ა ლ ა ფ ი, ნ ა ა ლ ა ფ ე ვ ი ს მ ე ხ უ თ ე დ ი ხ ო მ ს ა მ ე ფ ო დ გ ა დ ა ი დ ე ბ ო დ ა (შამქორის ომი)... დავლის დიდ მნიშვნელობას მოწმობს შოთა (ავთანდილი როსტევანს უსურვებს დავლა მრავლობას..), საჭურჭლეები თბილისს, ქუთაისს, უჯარმას, ატენს. ცალკე სტატია იყო და მეტად მნიშვნელოვანი დარგი — ბ ა ჟ ი. ბაჟი თითქო მხოლოდ მეფის რეგალია იყო (საქ. სიძველენი III). ეს იყო საგზაო გადასახადი ხიდებზე „სახიდი“, ფუნდუკებზე, ქალაქებში შემოსატან-გასატან საქონელზე, „საზვერე“ „საბაჟო“ (ქუთაისში, სკანდეს, სვერში, ალში, საზვერე (ზოვრეთი), ატენი, კლდეკარი, ბოლნისი და სხვ. და სხვ. მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ბაჟი ვაჭრობაზე, სავაჭრო დაწესებულებებზე, ქარვასლებზე, ყაფანზე „საკოშრე“. დუქნებზე (დავითი ათავისუფლებს შიო მღვიმის დუქნებს ბაჟისაგან). მაგალითად თბილისიდან გამოსული შემოსავალი გარკვეული რაოდენობისა ჩანს (ბ. ე. მოძღვარი). სახელმწიფო შემოსავალი იყო საყოველთაო გამოსაღები საბალახე, საბანჯრე, კოდის პური (ალბათ), პირისთავი, ნახირის თავი. ეს უკანასკნელი სამი სტატია ძველ საბუთებში არ გვხვდება, მაგრამ უეჭველია ისინი ძველიდანვე არსებობდნენ. მაინც და მაინც დავითი შიო მღვიმის ცხვარს (5000 სულს) უწყინლად ძოვების ნებას აძლევდა...

გარდა ამისა მეფეს საკუთარი მეურნეობა ჰქონდა. ის დიდ ვაჭრობას ეწეოდა (კარის გარიგება ამას უეჭველად მოწმობს). რას ყიდდა?? ან მეფის ვაჭრებს რა შემოჰქონდათ??

მაგრამ არანაკლები მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო ის სახელოსნოები, სადაც იარაღ-საჭურველი მზადდებოდა (დავითმა 45000 მეომარი აღჭურვა) და რაც სამეფო ზარდახნის შინაარს შეადგენდა. იარაღი, უნაგირები, ფალანდუზები, ყაჯრები...

მეფისავე რეგალიას შეადგენდა მადნები (თუ ბოლნისის არა, ახტალა-შამბლუტისა და წედისის მაინც)... ამის მანიშნებელია თით-

ქოს რკინის კაცნი (წედისელი მემადნეები) და მათი მოურავი მხეიძე... ისიც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამეფო შემოსავალს შეადგენდა კერამიკული სახელოსნოები... ცალკე მოსახსენებელია მეფის სახასო სასოფლო მეურნეობა. იმ სასახლეების უზრუნველყოფა სამეფოს მრავალ ადგილას რომ იმყოფებოდა. ასეთი იყო სამეფო ზვრები (კარის გარიგება), სამეფო ჯოგები, ცხვრის ფარები (კარის გარიგება, შიო მღვიმის ანდერძი...) კამეჩები (საფურე ქანდას), მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა ცხენის ჯოგები (დავითმა 45000 ყივჩაღი აღჭურვა ცხენებით), ჯორის ჯოგები (შ. მღვ. საბ.).

ეს ვეება არხები ხომ იმის უტყუარი მოწმობაა, რომ მეფე დიდად არის დაინტერესებული პურის, ბამბის, ხილისა და ვენახის მოსავლით (კარის გარიგებაში სპეციალური ჩვენებაა მევენახეობის შესახებ).

საინტერესო ისაა, რომ სოფლის მეურნეობის შემოსავალი (მატყლი, ღვინო, ყაჟი და სხვა) საქონლად იგულისხმება და ცხოველი ყიდვა-გაყიდვის საგანს შეადგენს. (დავითი შიო მღვიმის ბერებს უბრძანებს, თუ როგორ უნდა ისარგებლონ იმ 500 ცხვარის შემოსავლით, მან რომ უანდერძა...).

სრულიად წარმოუდგენელია, რომ ამოდენა სახასო ქვეყნებიდან მოსავალი ერთ ცენტრში ეზიდათ. ამისათვის იყო სასახლეები, სადაც მეფე თავისი კარით თვით მიდიოდა, ხოლო თუ არ მიდიოდა, იმ სასახლის შემოსავლის რეალიზაცია მოხდებოდა და მეფის სალაროში შედიოდა...

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნანადირევი (ტყავები) და აბრეშუმი (კახეთი, შარვანი, იმერეთი). აი ასეთი მეურნეობა, სასაქონლო მეურნეობის პირს მისული, იყო საფუძველი საქართველოს დიდი შემოსავლიანობისა და არა ათი-თხუთმეტი წარმატებული ომი ასი წლის მანძილზე...

მეფის რეგალია იყო ფულის მოჭრა $\left(\frac{4}{21}\right.$ ფ. 97—100$\left.\right)$.

2. წლიური შემოსავალი (პლიუს დავლა)

არხები. რკინის წარმოება, მევენახეობა, მინის წარმოება, ძვირფასი ლითონი, ვაჭრობა საგარეო და საშინაო, მიწის ყიდვა-გაყიდვა, მესაქონლეობა, ხორბლის ჯიშები, ზეთის წარმოება, მეცხენეობა, ბაჟები, შალი, აბრეშუმი, ბამბა, ძვირფასი ქსოვილები, გზები.

$\left(\frac{4}{23}\right.$ ფ. 14$\left.\right)$.

3. მეურნეობის მნიშვნელოვანი განვითარებაა დიდი და მცირე სარწყავი არხები, მევენახეობის დიდი დაწინაურება, ხელოსნობის განვითარება, ქალაქებიც კი წარმოიშვნენ მევენახეობით განსაკუთრებით განთქმულ რაიონებში (ატენი, ახალქალაქი, თელავი).

ორსართულიანი სასახლეები $\left(\frac{4}{23}\right.$ ფ. 8$\left.\right)$.

[§ 2. მოსახლეობის ეკონომიური კატეგორიები]

თამარმაო „იკსნნა მოვალენი ვალთაგან და მისცა ობოლთა და ქურივთა კმასაყოფელი მათი და ყელმწიფობა განქორწინებად ობოლთა მათთა და ღონიერ ყუნა გლახაკნი და მდიდარ ღონიერ-ნი“... (მდ. ქცა, 404).

$\left.\begin{array}{l}\text{გლახაკი}\\ \text{ღონიერი}\\ \text{მდიდარი}\end{array}\right\}$ სამი ეკონომიური კატეგორია.

ჩანს ვალში ჩაცვივნულნი მევალის ხელში იყვნენ, მისი მონები იყვნენ, ვალში ჩავარდნილის ქვრივს უფლება არ ჰქონდა თავისი ობლის განქორწინებისა, ე. ი. ასეთი ობოლი მევალის საკუთრება ხდებოდა... და ეს იყო სწორედ ამ აყვავების დროს.

გლახაკობის წყარო. $\left(\frac{4}{23}\right.$ ფ. 10$\left.\right)$.

[§ 3. ქალაქები, სასახლეები]

1. თბილისი XII ს-ში.

სავაჭრო ცენტრი (ბაყები...).

რა გაჰქონდათ, რა შემოჰქონდათ, ქარვასლები. თბილური დრამა...

პოლიტიკური ცენტრი. მეფისა, ეკლესიის და დიდებულთა სასახლეები. შაჰნაბადი, ნადარბაზევი — სახატე, ტაბახმელა, კოჟორი, კაბენი, ბეთანია, ლურჯი მონასტერი, ისანი, დიდუბე... დარბაზოანები.

კულტურული ცენტრი. პოეტების თავშესაფარი. გარშემო ხელმწიფეთა უფლისწულები... საერონი სწავლანი... პოეზია, ნადირობა, მხედრობა, ცურაობა, მშვილდოსნობა, მოისრობა და სხვ. ქართული სამოსელი.

თბილისი ფეოდალური პოლიტიკური აზროვნებისა და მოძრაობის ცენტრი. გიორგი მეფის წინააღმდეგ აჯანყება და თბილისი. ყუთლუ-არსლანის გამოსვლა და თბილისი. თბილისი ტონს აძლევდა ფეოდალურ კავკასიას.

მეფის სასახლის დარბაზის ყმანი, რაინდული წესების მოწაფენი, მეფის „გაზრდილნი"... $\left(\frac{4}{23}\right.$ ფ. 68$\left.\right)$.

2. თბილისსაც ჰქონდა თავისი სამოქალაქო (ისევე, როგორც ქუთაისს) და ჰყავდა თავისი ერისთავი (=ამირა).

თბილისის ამირა საამიროს მხედართმთავარიც იყო. და ეს ასე იყო მას შემდეგაც, რაც თბილისი დავით აღმაშენებელმა დაიპყრო. და როცა ჩვენ ვხვდებით ცნობას იმის შესახებ, რომ ამირას ხელი მიუწვდება კოჯორზედაც (XIV ს.), ეს იმის მოწმობა კი არაა, რომ კოჯორი თბილისში შემოდიოდა, არამედ იმისა, რომ კოჯორი თბილისის საამიროში (საერისთაოში) შემოდიოდა და თბილისის ერისთავს აქ ხელი მოუწვდებოდა ისევე, უნდა ვიფიქროთ, როგორც ხელი მოუწვდებოდა მას რომელიმე ფარცხისზე ან სხვა ასეთი. $\left(\frac{4}{23}\right.$ ფ. 46$\left.\right)$.

3. გლდანში სასახლე	ჰავჰალას/?
დიდუბეში სასახლე	ორთაჭალას/?
კოჯორში სასახლე	შინდისს/?
ტაბახმელას სასახლე	თხინვალს/?
ნადარბაზევის სასახლე	ბეთანიას/?
სახატეს სასახლე	საბურთალოს/?
შაჰნაბადს სასახლე	დიღომს/?
ყურყუთას სასახლე	

ქარვასლები, ბაღები, ზვრები, აბანოები, წისქვილები, „ქარხნები". ქულბაგები, ქუზიხანები, დაბაღანები...

4. ტფილისი ჯიბღომ რომ გაძარცვა (მოსე კაღანკატუელი) — მდიდარი ქალაქი, ქალაქების სიმრავლე, ახალქალაქები, ფეოდალური ქალაქები, შანშეს 15 ქალაქი, დიდებულის ნიშანი ქალაქიცაა..., ქალაქები ძლიერდებიან, მათ ემძიმებათ ფეოდალების ხელქვეშ, აჯანყებანი (ანისის ბერები დავითს, კარელები თამარს, ტფილისელი ბერები ბაგრატს, ტფილისის კომუნა...). კი მაგრამ, თუ ქალაქები ასეთი ძალა იყო და მათი პოლიტიკური მიდრეკილება ასე გარკვეული, როგორ მოხდა, რომ ეს მეფემ ვერ შეამჩნია და დიდაზნაურებ-

თან ბრძოლისას ეს ძალა ვერ გაიხადა თავის მოკავშირედ? უნდა ვიფიქროთ, აქაც გარდამავალ ვითარებასთან გვაქვს საქმე. ქალაქებიც მართლაც ძლიერდებოდნენ და მოქალაქენი მართლაც მნიშვნელოვან ძალად იქცეოდნენ. მოქალაქეთა სიმპატიებიც, უცილობელია, მეფის (ცენტრი რეალური ხელისუფლების) მხარეს აღმოჩნდებოდა და ზოგან ეს ესეც ჩანდა (ანისი, კარი, თბილისი). მარტო ის რადა ღირს, რომ გიორგი III კრიტიკულ ხანაში დასაყრდეხს ტფილისში პოულობს, მაგრამ ამავე დროს, და კიდევ უფრო სწრაფად ვითარდება და ძლიერდება დიდი აზნაურობა, რომელსაც ეკონომიურისა და სოც. პოლიტიკური ბატონობის ძველი ტრადიცია აქვს. იწყება ბრძოლა დიდაზნაურებსა და მოქალაქე-ვაჭართ შორის. უკანასკნელნი ცდილობენ განთავისუფლდნენ აზნაურთა ყმობისაგან, მაგრამ ეს ბრძოლა ჯერ იმ მდგომარეობას არ მიღწეულა, რომ მეფე ჩაერიოს და ბრძოლა თავის სასარგებლოდ გადაწყვიტოს. დავით აღმაშენებელი ქალაქთა მშენებელი (გორი, ბარალეთი), ქალაქთა დამპყრობელი და მფარველი (ანისი, შამახია) აქაც აგრე მკვეთრად განსხვავდებოდა თამარისაგან, რომლის დროსაც ანისი გაიცა, დვინიც და მრავალი სხვა (სახარაჯო ქალაქები...). მაგრამ საერთო ტენდენცია მაინც, ამ დროსაც კი, ჩანს: მეფის ხელისუფლება ცდილობს ქალაქების დაუფლებას (თამარის ისტორიკოსის მსჯელობა კარის აღებასთან დაკავშირებით ამის მოწმობაა) და რომ თვალი გადავავლოთ სამეფო ქალაქებს ამ დროისას, ამ ტენდენციას ჩვენ კარგად დავინახავთ... მაგრამ გარდამავალი ხანა მაინც საგრძნობია. ქალაქების ძალას და მნიშვნელობას კარგად ხედავენ, მათი დაუფლებისათვის იბრძვიან მეფე, ფეოდალები. საცაა მოქალაქეები აუჯანყდებიან ფეოდალებს. საერთოდ ჯერ გარდამავალი ხანაა.

ბაგრატმა როცა ლიპარიტი შეიწყალა და თბილისი დაუტოვა, ეს შეიძლება იყო ბრძოლა თბილისისათვის. მეფეს არ სურდა თბილისი ლიპარიტის ხელში ყოფილიყო $\left(\frac{4}{22}\text{ ფ. } 39\right)$.

5. ნ. უგრელიძის მოხსენებების გამო (ნატბეურის მინის საწარმო) ლელობის ნაქალაქარი.

ეს ნაქალაქარი იმითაა განსაკუთრებით საყურადღებო, რომ დაახლოებით თარიღდება (მონეტები) — XII—XIV სს...

სწორედ ის გარემოება, რომ ეს ნაქალაქარი (ლელობი) აგრე ახლოსაა იმავე დროს ცნობილი ქალაქებისაგან (თბილისი, სამშვილ-

დე, და სხვა....), იმის მოწმობაა, რომ ურთიერთობა ცხოველია, რომ აღებმიცემობა, შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას რომ ემყარება, იქამდე განვითარებულია, რომ წარმოშობს მცირე ქალაქებს, დაბა-ქალაქებს. დაბა-ქალაქების ეს მომრავლება ხომ ასაზრდოებს მსხვილ ქალაქებს... დაბა-ქალაქების სიმრავლე დამახასიათებელია განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის ეპოქისათვის საქართველოში. მაჩვენებელია იმისა, რომ შრომის საზოგადოებრივი დანაწილება ღრმად არის ფეხმოდგმული, რომ ის სახალხოა... „ქალაქები" მონასტრებთან (შიო მღვიმე-სარკინე, ვანის ქვაბი...), ციხეებთან (ატენი, შორაპანი...), ქალაქები უციხო-უმონასტრო (ბარალეთი, ახალქალაქი...) და აურაცხელი დაბა-ქალაქები (რომელთა გამოვლენა ჩვენი ისტორიული გეოგრაფიის მორიგი ამოცანაა). და ყველა ეს, გარდა მთისა და ბარის საზღვრად არსებული ქალაქებისა, გარდა დიდი ქალაქებისა ძველსა და დიდ სავაჭრო გზებზე, — ყველაფერი ეს მოწმობაა იმისა, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობა მაღალ საფეხურზე შემდგარა, რომ ახალი ურთიერთობისათვის ნიადაგი შემზადებულია, რომ ფეოდალური ურთიერთობის წიაღში წარმოშობილა და განვითარებულა ურთიერთობა, რომელიც დაშლის და გადააშენებს იმ ძველ ურთიერთობას, რომ ესაა გვიანფეოდალური ხანა. ნიკორწმინდელის საქმიანობა, შიომღვიმის დავითისეული ანდერძი, ვაჰანის ძეგლი და XIII ს-ის საბუთები ეჭვს არ სტოვებენ იმაში, რომ დაბა-ქალაქები ბუნებრივი შედეგია საზოგადოებრივი ურთიერთობის გაცხოველებისა, შრომის დანაწილებისა, რომ ეს მოვლენა სახალხოა, ე. ი. ასეთ საქმიანობაში ჩაბმულია ფართო მწარმოებელი საზოგადოება (მევენახეები, მექოთნე-მექვევრეები, მეზეთეები, იარაღის მკეთებლები, მჭედლები, ოქრომჭედლები, მინის მწარმოებლები და სხვადასხვა...), რომ დიდი ქალაქები ვერ უზრუნველყოფენ გაზრდილ მოთხოვნილებებს და იშვიან დაბა-ქალაქებს... $\left(\frac{4}{23}\text{ ფ. } 41\right)$.

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქები რუსთავი, ხუნანი, გარდაბანი, სამშვილდე და განსაკუთრებით თბილისი უნდა ყოფილიყვნენ მუსულმანურ-აღმოსავლური და ქართულ-ქრისტიანული კულტურების ურთიერთგავლენის მთავარი პუნქტები. დავითის მიერ სასახლის აგება მუსულმან მწერლებისათვის იმის მოწმობაა, რომ ეს მწერლები თბილისში ჩვეულებრივი ამბავი იყო არა მხოლოდ XII ს-ში, არამედ უფრო წინადაც: ხოლო დავითის და მისი ძის

დემეტრეს მუსულმანური განათლება იმის მოწმობაა, თუ როგორ ზიარებული იყვნენ ქართველი ფეოდალები სპარსულ-არაბულ კულტურას.... და ასევე ზიარებული იყვნენ სპარსულ-არაბულ კულტურას ქართველი ფეოდალების მაღალი ფენები. რაც არ უნდა იყოს, არაბული მმართველობა თბილისში 400 წელს გრძელდებოდა და ეს მუდმივი ომის ასპარეზი კი არ იყო, არამედ მშვიდობიანი თანაცხოვრების და კულტურული ურთიერთზემოქმედების ხანა. განსაკუთრებით ასე იყო X—XI საუკუნეებში, როცა საქართველოს ცხოვრება მკვეთრად დაწინაურდა, საერო (ფეოდალური) სული დატრიალდა ყველგან და ყველაფერში („რენესანსი"), კერძოდ, ეკლესია-მონასტრებშიაც კი... ასეთ ვითარებაში გასაგებია, რომ ფეოდალები არ დააყოვნებდნენ მდიდარი სპარსულ-არაბული მწერლობის გაცნობას და იქ საკუთარი ფეოდალური ცხოვრების სურათებს დაინახავდნენ, თავის ღვიძლ ქვეყანას იგრძნობდნენ და ასეთ ლიტერატურას დაეწაფებოდნენ. რელიგიური შემწყნარებლობა (თვით ეკლესიაში ფეოდალური სული ტრიალებდა) ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა საამისოდ.. ერთი სიტყვით ქრისტიანულ-ქართული და მაჰმადიანი ფეოდალური სამყაროს საუკუნეთა მანძილზე მშვიდობიანი მეზობლობა, სოციალური ეკონომიური წყობის მსგავსება და ეს მუსულმანური კულტურის პუნქტები საქართველოს შიგნით. (ქალაქები), — ყველაფერი ეს იყო იმის საფუძველი, რომ ქართული ფეოდალური საზოგადოება აგრე გატაცებით ეზიარა მეზობელი ფეოდალური საზოგადოების კულტურის მიღწევებს. (არაბულ-სპარსული, უნდა ვიფიქროთ, მეტად გავრცელებული იყო ქართველ ფეოდალებს შორის).

თბილისი აუცილებელია ამიერკავკასიის გაერთიანებისათვის; სპარსელები, რომელთაც ეს პუნქტი შეარჩიეს ციხედ და მარზპანის სადგომად. გორგასალი, რომელმაც ამიერკავკასიის დაპატრონება ვანიზრახა. არაბები, რომელნიც აქედანვე ცდილობდნენ ამიერკავკასიის დაპატრონებას, დავით აღმაშენებელი, რომელმაც ამიერკავკასიის გაერთიანება წამოიწყო. და ასეთივე დარჩა თბილისის მნიშვნელობა შემდეგაც, ხოლო XIX საუკუნეში ამიერკავკასია რუსეთმა თბილისიდან გააერთიანა...

და ეს არა იმიტომ, რომ თბილისი ამიერკავკასიის გეოგრაფიული ცენტრია. ამავე დროს თუ ამასთან ერთად თბილისს სხვა უპირატესობანიც ახლავს: გზა-კარები ამიერკავკასიის უდიდესი არტერიის — მტკვრის, თბილი წყლები სამკურნალო, უმდიდრესი რაი-

ონების დასამხარობა (ქართლი შიდა და ქვემო, კუხეთ-კახეთი, რანი, შარვანი...). მაგრამ უმთავრესი მაინც ისაა, რომ ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარების გარკვეულ საფეხურზე თბილისმა აჯობა ყველა სხვა პუნქტს და ერთადერთი დარჩა იმ პუნქტად, საიდანაც ამიერკავკასიის (თუ მთელი კავკასიის) გაერთიანებას აპირებენ უცხოელი დამპყრობლები თუ ქართველი მეფეები...

ეს არ იყო მონათმფლობელობის ხანაში, არამედ ფეოდალური ეკონომიკის გაბატონების ხანაში...

თბილისის ნაცვლად მცხეთა შეიძლება ყოფილიყო, [illegible]ომ მას ასეთივე ლოგიკური უპირატესობანი სჭირვებოდა (დაბანი და აგარაები, სამკურნალო წყლები...).

არც ერთი ქალაქი ამიერკავკასიაში ქვეყნის ცენტრალურ პუნქტად, ქვეყნის გამაერთიანებელის დასაყრდენ პუნქტად არ გამოსულა, იმისდა მიუხედავად, რომ სიდიდე-სიმდიდრით არაერთი ქალაქი უსწრებდა მას სხვადასხვა დროს. დვინი, ანისი, ბარდავი, შამახია, დარუბანდი...

6. ფეოდალები ქალაქის გარშემო მიწების მფლობელობაში დაინტერესებულნი იყვნენ: კარის ახლო იყვნენ, პროდუქტებს ადვილად ჰყიდდნენ (როცა სურდათ), ინტრიგებში ადვილად მონაწილეობდნენ, მეფე ხელთა ჰყავდათ, ქვეყნის ცენტრში იყვნენ და პოლიტიკურ კურსში იყვნენ.

შეიძლება „სამოქალაქო", ძველი ქუთაისის მოქალაქეთა მიწები ქალაქის გარშემო, ამის გამართლება იყო ფეოდალურ ხანაში.

მხოლოდ ასეთ ვითარებაში, ე. ი. როცა სასახლეთა ასეთი სიმრავლე იყო თბილისში და მის გარშემო, სადაც დიდგვარიანები იყვნენ, არის რეალურად წარმოსადგენი ის პოლიტიკური სურათი, როცა ყუთლუს დასმა მეფის სასახლეს ისანში შემობმა დაუპირა. მაინც და მაინც ეს გაფიცულები ისნის სასახლის გარეთ არიან ნაგულისხმევი. ასე რომ მეფის სასახლე ისანში ფეოდალთა სასახლეების გარემოცვაში წარმოიდგინება.

დემნას აჯანყების დროს გიორგი მეფის მოქმედება: სახატეს სასახლიდან თბილისში გამოქცევა და იქ გამაგრება, ყუბასარის მისვლა ქალაქს და მეფის გაძლიერება (მონასპის შემოყრა), თითქო იმას მოწმობს, რომ ფეოდალების სასახლეები ქალაქის კედლების შიგნით კი არაა, არამედ უფრო მის გარეთ, ქალაქის გარშემო, აგარაკებში...

რომ ქალაქის მოსახლეობა გიორგი მეფის მომხრენი არიან ამ აჯანყების დროს.

და ეს ბუნებრივია. მეფის მთავარსადგომი იყო პოლიტიკური ცენტრი, საიდანაც წყალობა გამოდიოდა, და ვინც ახლოს იყო ამ წყალობის საუნჯესთან, ის ირგებდა წყალობასაც... ფეოდალს, თუ მას სურდა ქვეყნის პოლიტიკის კურსში ყოფნა, დაწინაურება, გავლენის მოპოვება, უნდა კართან ახლოს ყოფილიყო, იქვე უნდა ეცხოვრა (ისევე როგორც ეს იყო უფრო მცირე მასშტაბით ერეკლეს დროს...), მეფის პოლიტიკაც იქით იყო მიმართული, რომ ფეოდალები მის ახლოს ყოფილიყვნენ, რათა სხვა საქმეს „არ დამოკიდებოდნენ“ $\left(\frac{4}{23}\text{ ფ. } 66-71\right)$.

[§ 4. ბაუები]

საქ. სიძ. III, დამატება, 5.

გიორგი III შიო მღვიმეს.

„აგრეთვე წმიდაი იგი უდაბნოი მღუიმე პირველად და მერმე საქონებელნი მათნი უბაჟონია ჩვენსა სამეფოს შიგან ყოველგან და ჩუენც გაგუითავისუფლებიან ბაჟისაგან ვაჭარნი და გლეხნი მათნი“.

თითქო უნდა ვიფიქროთ, რომ გიორგი III სამეფოში საბაჟო ერთიანობა უნდა ყოფილიყოს. რომ ყველა საბაჟო მეფისა იყო. რომ საბაჟო მრავალი იყო, ეს ჩანს გამოთქმიდან: „უბაჟონია ჩვენსა სამეფოსა შიგან ყოველგან“. რა თქმა უნდა ადგილებზე საბაჟონი ერისთავების მეთვალყურეობის ქვეშ იქმნებოდნენ, მაგრამ ეს საბაჟონი სამეფონი იყვნენ და არა საერისთაონი. მხოლოდ გვიან, ერისთავთა გამთავრებისას, სათავადოების თუ სადიდებულ თავადოების წარმოშობისას, ბაჟიც სამეფოდან ფეოდალურ რეგალიად იქცა. საჩხერის საბაჟო, კორბოულს წერეთლიანთი, სვერის საბაჟო ულევში ეშიკაღას ბაშისა... (პაპიაშვილის საბუთები, სიმონს რომ აქვს სასყიდლად) და ა. შ. ასე რომ ბაჟისაგან განთავისუფლებისათვის მეფის ნება არ კმაროდა... 6. II. 45 წ. $\left(\frac{4}{22}\text{ ფ. } 37\right)$.

თუ დამტკიცდებოდა, რომ გიორგი III დროს (ე. ი. გაერთიანებულ საქართველოში) ბაჟის საქმე მხოლოდ მეფის ხელთ იყო, ეს

ფრიად დიდი მნიშვნელობის ფაქტი იქნებოდა. გამოდის, რომ ამა თუ იმ ქვეყნის დაპყრობისას მეფე მის საბაჟო რეგალიებს პირველ თავში ითვისებდა და ამით სახელმწიფო შემოსავლის უდიდეს წყაროს იჩენდა. გაერთიანების ხასიათისათვის ეს ფრიად მნიშვნელოვანი ჩვენებაა. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ გაერთიანებული საბაჟო პოლიტიკის წარმოება მხოლოდ ასეთ პირობებში შეეძლო სამეფო ხელისუფლებას, ე. ი. თუ მის ხელთ იქნებოდა ბაჟის საქმე. თუ არა, ე. ი. თუ ბაჟის საქმე მეფეს კი არა, ძველებურად ადგილობრივ ხელისუფლებათა ხელში (ერისთავების? დიდაზნაურების?) რჩებოდა, საერთო საბაჟო პოლიტიკის წარმოებაც შეუძლებელი იქნებოდა და ყველა ეს — გზები, ხიდები და ფუნდუკ-ქარვასლები უეფექტონი აღმოჩნდებოდნენ, რამდენადაც კერძო მებაჟეთა (ყოველ „მარჯვე“ ადგილას) „პოლიტიკა“, ე. ი. ვაჭართა აუტანელი დაბაჟვა ყოველგვარ ხალისს დაუკარგავდა ვაჭრებს. ხოლო საქონელს ისე გააძვირებდა, რომ მას მიუწვდომელს გახდიდა...

ასე რომ ლოგიკურია საქმე ასე წარმოვიდგინოთ და გიორგის სიგელის არაპირდაპირ ჩვენებას ვენდოთ:

ქვეყნის გაერთიანებისდა კვალად გამაერთიანებლის ხელში გადმოდიოდა ამ ქვეყნის საბაჟოები და საერთოდ ბაჟი; გაერთიანებული ქვეყნის ხელმწიფის კონტროლს ექვემდებარებოდა ამრიგად ბაჟის მთელი საქმე; ეს გასაგებია, დიდი სიმდიდრის წყარო იყო და სამეფო შემოსავლის დიდ ნაწილს შეადგენდა. ასეთ პირობებში მეფეს შეეძლო გარკვეული საბაჟო პოლიტიკა ეწარმოებინა დაბალი რახტარით, მშვიდობიანობის უზრუნველყოფით, გზების მოვლით. ვაჭრებისათვის შექმნილი პრივილეგიური პირობებით ხელმწიფეს შეეძლო ვაჭრობა ძლიერად მოეზიდა... [დავითის და შემდეგ მისი მემკვიდრეთა პოლიტიკა დიდი სავაჭრო გზების დაუფლებისა (ანისი, ყარსი, შამახია — ყაბალა) ამ მომენტს ძლიერად უკავშირდება...].

ქვეყნების გაცემა საერისთავთ-ერისთაოებად ბაჟის საქმის გაცემასაც ნიშნავდა გაცემულ ქალაქებსა თუ საბაჟოებში. „სანახევროდ“ გაცემა მოწმობს რომ იყო მთლიად გაცემაც და არ გაცემაც, ე. ი. სამოურავოდ მიცემა, სადაც, საკონტროლოდ მეჭურჭლეთუხუცესს ხელი მიუწვდებოდა... $\left(\frac{4}{22}\text{ ფ. } 13-14\right)$.

როგორც არ უნდა გადაწყდეს საკითხი იმის შესახებ, ფეოდალი იყო თუ არა მისი ყმების გადასახადების პასუხისმგებელი, ფეოდალი აგროვებდა ყმებისაგან და აძლევდა სახელმწიფო მოხელეებს თუ მეფის მოხელეები უშუალოდ აგროვებდნენ გლეხებისაგან და მხოლოდ აყრილ-დაკარგულ გლეხისას სთხოვდნენ ბატონს, — სულ ერთია, ორივე შემთხვევაში საკითხი მეტად საინტერესოა და ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის მნიშვნელოვანი:

თუ ფეოდალი აგროვებს და აძლევს სახელმწიფო მოხელეებს, ამის გენეზისი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ფეოდალი ყოფილი მოხელე, რომელსაც ქვეყანა სამართვაგამგეოდ ჰქონდა მიცემული, იყო აგრეთვე საქვეყნო ხარკის ამკრეფიც... მას შემდეგ, რაც ეს ხელი სამემკვიდრეო გახდა (XII—XIII სს.), მასვე შერჩა ეხლა უკვე მისად ქცეულ ყმებისაგან სახელმწიფო გადასახადების აკრეფა.

მაგრამ ჩვენში, როგორც ჩანს, საქმე ის იყო, რომ მეფის ხელისუფალნი (მოასილნი) უშუალოდ მიდიოდნენ ბატონის ყმასთან გადასახადებისათვის, ასე რომ კავშირი მეფესა და გლეხებს შორის საბოლოოდ არ შეწყვეტილა... ამის გენეზისი კი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: სამხედრო მოხელე (ერისთავი) სახელმწიფო ხარკს არ კრებს. ეს საქმე სხვა მოხელეთ ხელშია. (ათასისთავი?). სამხედრო მოხელე ფეოდალი ხდება: საპატიო ქონებას საშვილიშვილოდ შეინარჩუნებს, მაგრამ სახელმწიფო ხარკის აკრების საქმე ამით, რა თქმა უნდა, მის ხელში არ გადმოდის, არამედ ისევ ცენტრალურ ხელისუფლების მოხელეთა ხელში რჩება. სხვა გადასახადები, გარდა სახელმწიფო სამეფო გადასახადებისა, რა თქმა უნდა, ფეოდალის მიერ იკრიფებოდა. მაგრამ ასე არ ყოფილა, უეჭველია, უძველეს დროს. ალბათ „სააზნაურო“, „საციხისთაო“, „საჯეკისთაო“, თუ სხვა ასეთები, ე. ი. სამოხელეო გადასახადებიც ამავე ცენტრალურ მოხელეებისაგან გროვდებოდა. ევროპასა და რუსეთში საქმე ისე წავიდა რომ ყველა გადასახადს ფეოდალი დაეუფლა და ჩადგა სახელმწიფოსა და გლეხებს შუა. ოსმალეთში, კასპიის იქითა მხარეში სახელმწიფომ შეინარჩუნა უფლება ყველა გადასახადის შეკრებისა თავის მოხელეების საშუალებით. ფეოდალს ასეთი ქვეყანა საჭმელად ეძლევა, მაგრამ მას უშუალოდ ხელი არ მიუწვდება. აქ ის სახელმწიფო მოხელეთა მიერ აღებულ გადასახადის ნაწილს მიიღებს...

ჩვენში, როგორც ვხედავთ, საშუალო ხაზი იყო. ფეოდალი თავისას კრებს, სახელმწიფო თავისას. იმ თავითვეც საფიქრებელია გენეზისიც სხვადასხვა იყო. რომაელი მემამულე უკვე IV—V საუკუნეებში იყო პასუხისმგებელი თავისი ოლქის მოსახლეობის საგადასახადო მოვალეობათათვის...

ეს, რა თქმა უნდა, ასე არ იყო ჩვენში: ერისთავები მოხელენი იყვნენ, სამხედრო მოხელენი, ესენი მხოლოდ ჯარის უფროსები იყვნენ, ხოლო ხარკის ამკრები ათასის თავი იყო. ეს ათასის თავები კრებდნენ საფიქრებელია საერისთავო, სააზნაურო თუ სამეფო გადასახადს... ეს იმ პრინციპიდან გამომდინარეობდა, რომ მიწა ითვლებოდა სამეფო საკუთრებად... მას შემდეგ, რაც ერისთავებმა სიგელნი მემკვიდრეობისანი მოიპოვეს, ბუნებრივია მათ მოსდიოდათ მთელი ეს გადასახადები. მაგრამ მეფობის აღდგენისას (IX-ს-ში) და ამ ხანიდან ბრძოლა ამ ხაზით მწვავდება. აფხაზთ მეფეთა მოსვლა თუ ქვეყნის გაერთიანება მთავრებისათვის ამიტომაც მიუღებელი იყო... ქვეყანა მაინც ერთიანდება, მაგრამ ფეოდალები (მთავრები) სანახევროდ აგებენ. ქვეყნის ეკონომიურმა განვითარებამ საქმე ისე წაიყვანა რომ ბატონყმობა, ჯელის სამკვიდროდ გახდომა აუცილებელი გახადა, მოხელე ფეოდალად იქცა და თავის სარგოს აკრეფა თვით იგდო ხელთ... სახელმწიფოს კი მხოლოდ თავისი საკუთარის აკრეფის წესი შერჩა...

[§ 6. სოფელი]

ქრონ. II, რკონის დაწერილი, 135.

„მოგუიჯსენებია სოფელი ხოვლე ზურითა, ხოდაბუნითა, ტყითა, ველითა, წყლითა, წისქუილითა და ყოვლითა სამართლიანითა ზღვრითი, საკმრითა და უკმრითა და სოფელი სამსახურითა და ბეგრითა“.

აქ ორგვარი გაგებითაა სოფელი: სოფელი — საბატონო კუთვნილება საბატონო მეურნეობით (ზუარი, ხოდაბუნი, ტყე-ველი, წყალი, წისქვილი) და სოფელი საგლეხო ფუძეებად დაყოფილი და გლეხებით დასახლებული მათი სამსახურით და ბეგრით ბატონისა და მისი სახლისათვის. ესაა ტიპიური სოფელი XII—XIII სს. ამის შემდეგ ქართულ სოფელს აღნაგობის მხრით არსებითი ცვლილება არ განუცდია. იცვლებოდა „გლეხთა“ სოციალური შედგენილობა, სასახლის (ხოდაბუნის და ზვარის) ხვედრითი წონა და მნიშვნელობა, მაგრამ ძირითადი ტეხილი ქართული ფეოდალური სოფლის აღნაგობაში უკვე მომხდარი იყო: სოფელი ორად იყო გაყოფილი სასახ-

ლე (ხოდაბუნი და ზვარი) და მებეგრენი (წვრილი გლეხური მეურნეობა). განვითარება ამ წვრილი მოსახლეობის (გლეხობის) ნიველირებისაკენ უნდა წასულიყო და მიდიოდა კიდეც... $\left(\frac{4}{22}\text{ფ. } 38\right)$.

[§ 7. ეკონომიკა და პოლიტიკური წყობილების ფორმა]

1. განა პოლიტიკური წყობილების ფორმა სიმდიდრე-სიღარიბის საფუძველზეა წარმოშობილი?

მთავარია და განმსაზღვრელია არა ის, თუ რამდენს აწარმოებენ, არამედ ის, თუ როგორ აწარმოებენ. ეს როგორ წარმოება კი არის ან კომუნისტური, ან კერძო მესაკუთრული, ე. ი. უკლასო ან კლასობრივი, რომელიც თავის მხრით იყოფა მონათმფლობელურ, ფეოდალურ, ბურჟუაზიულ ფორმაციებად, თითოეული ეს ფორმაცია არის კლასთა ბრძოლის პოლიტიკური გამოხატულება. კლასთა ბრძოლის სახეობათა საფუძველზე შექმნილი პოლიტიკური ორგანიზაცია...

ა. ადრეული მონათმფლობელური საზოგადოება და მისი პოლიტიკური ფორმა — სახელმწიფო: უფალი (მეუფე), მონა, „გლეხი" (ყოლონი), თემი (მდაბიორები), წარჩინებულნი, მსახურნი.

ბ. ადრეფეოდალური საზოგადოება, მისი პოლიტიკური ფორმა — მცირე სამთავროები: მამაუფალი, შვილები, მდაბიორები (დაშლადი თემები), გლეხები, აზნაურები.

გ. განვითარებული ფეოდალური საზოგადოება და მისი პოლიტიკური ფორმა: ფეოდალური მსხვილი სახელმწიფოები. აზნაურები — გლეხები (მრავალი კატეგორიისა).

დ. გვიანფეოდალური საზოგადოება და მისი შესაბამისი პოლიტიკური ორგანიზაცია. აზნაურები, ბურჟუაზია, გლეხობა, პროლეტარიატის ჩასახვა...

ყველაფერი ეს კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა სახეობათა პოლიტიკური ფორმებია. $\left(\frac{4}{22}\text{ფ. } 38\right)$.

ფეოდალური რენტის პირველი სახე ჩვენში ბ ე გ ა რ ა ჩანს. ტერმინ „ბეგარასაც" რომ თავი დავანებოთ და ის უკვე შინაარს შეცვლილად ნასესხებად ვიგულისხმოთ (ე. ი. ბეგარას უკვე სპარსეთში შეეცვალა შინაარსი: ის შრომითი რენტიდან სულად რენტად

იქცა), სულ ერთია ჩვენ ამ დებულების დასამტკიცებელი სხვა საბუთები მოგვეპოვება. ასეთებია: ტერმინი სეფობა, რომელიც ყოველთვის მუშაობას ნიშნავს მეფისა ან დიდებულის მეურნეობაში, შრომითი რენტას ნიშნავს. მართალია ტერმინი „სეფობა“ ჩვენ XI საუკუნის აღრე არ გვაქვს, უფრო გვიან კი რამდენიც გსურთ. მაგრამ ეს სრულიად არ მოწმობს მის ნაგვიანევ წარმოშობილობას, პირიქით გვაქვს საბუთი ვიფიქროთ რომ ეს ტერმინი არ შეიძლებოდა IV საუკუნეზე გვიან შექმნილიყო.

ტერმინი „სეფე“ (სეფეწული, სეფე ქალი...) ამის შემდეგ მკვდარი ტერმინია. და თუ „სეფე“ არ არის, „სეფობა“ არ გაჩნდებოდა... ასე რომ ბეგარის უძველესი ქართული შესატყვისი არის სეფობა. „ბეგარა“ შემოვიდა, „სეფობა“ მხოლოდ გარკვეული ხასიათის სამუშაოს შერჩა: ყანის სამუშაოს. ეს იყო მისი ძირითადი სახე უძველესიდან. გარკვეულ დროს „სეფობა“ დაორსულდა სხვა სამსახურებით და სულადი ვადასახადითაც. გაჩნდა ახალი ტერმინი — „ბეგარა“ (ის შეიძლება დიდი ხნით ადრეც არსებობდა და მხოლოდ ეხლა პოვა თავისი ფართოდ გამოვლინების ხანა). ბეგარამ სეფობას ჩამოაშორა ნატურალური რენტა და ზოგიერთი სამსახური. „სეფობა“ რომ არ დაორსულებულიყო, მას რომ უძველესი შინაარსი უცვლელად შეენახა, მაშინ „ბეგარა“ ვერ შემოვიდოდა ჩვენში. შეიძლება ჩვენში ბეგარა პირველად შემოვიდა როგორც უცხო დამპყრობელის მიმართ გარკვეულ მოვალეობათა აღმნიშვნელი (როგორც, ვთქვათ მონღოლთა დროს ყალანი) და შემდეგ ადგილობრივ საგლეხო თუ სასოფლო მოვალეობათა აღმნიშვნელ ტერმინად დარჩა... შეიძლება ეს ასეც იყო და უფრო სამართლიანიცაა სწორედ ასე ვიფიქროთ, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც საკითხი სეფობის და ბეგრის ურთიერთობისა იგივე რჩება: გართულებულ ვალდებულებათა მრავალსახოვნობას სეფობა ველარ გამოხატავდა, საჭირო იყო ახალი ტერმინი სეფობის განსატვირთავად და ბეგარა უცხოელთა წასვლის და მაშ ასეთ მოვალეობათა გაქრობის შემდეგაც, რომელთაც ბეგარა აღნიშნავდა, — ეს ტერმინი ბეგარა დარჩა და საშინაო ვალდებულებათა ცნების აღნიშვნა იკისრა. რა თქმა უნდა საქმე ასე მექანიკურად არ უნდა წარმოვიდგინოთ, არამედ ცოცხლად, ისტორიულად: სეფობა, რომელიც მხოლოდ მუშაობას და ისიც მხოლოდ მეფისა და სეფეწულების მინდორში მუშაობას აღნიშნავდა, საგვარეულო

წყობის საბოლოო დაშლისა და ფეოდალური წყობის შემოსვლა-დამკვიდრების პირობებში, შინაარსობლივ ორაზროვანი ხდებოდა, რამდენადაც ასეთ მოვალეობას (მუშაობის) თან ერთოდა ახალი მოვალეობანიც — სულადი რენტა და სხვა სამსახურიც. ამავე დროს არსებობდა უცხო ტერმინი „ბეგარა“, რომელიც უცხოელთ მიმართ მოვალეობათა აღმნიშვნელი შეიძლება ყოფილიყო (სწორედ სულად რენტისა და სამსახურთა აღმნიშვნელი). აი ეს ტერმინი ხდება „შინაური“ და „სეფობას“ ორსულობისაგან ათავისუფლებს.

2. ბეგრის სახე რაც უფრო გვიან, მით უფრო რთული ჩანს და პირუკუ. მცირე გადასახადისა და ხადილისაგან ის თანდათან რთულდება და მე-15—16 ს-ში უკვე მთელ ათეულ სხვადასხვა სახეობას შეიცავს. ამავე დროს ბეგარაში შემოდის ძველად არა სავალდებულო ძღვენი (ოთხ სხვადასხვა დროს) ბატონის დაჭირება-დალხინების შესაწევარი მისალოცი (სიკვდილი, ქორწილი), ხადილი; ძველ უკვე გართულებულ გაზრდილ ბეგარას თან ერთვის ეს ნაგვიანევად შემოღებული ვალდებულებანი... ძველ ბეგარას თავი ბეგარა ჰქვიან; რაც უდავოდ მოწმობს რომ ბეგარა რთულდება და არა პირუკუ. იზრდება სეფობაც და სხვა სამსახურიც, მაგრამ შედარებით ბეგარასთან ერთობ ნელა: მწარმოებელი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა „თავისუფალი“ ყმები იყვნენ, ვლეხობა უეჭველად უმცირესობას შეადგენდა. მაგრამ ეს ფეოდალიზმის დასაწყისში და მის საშუალო პერიოდის პირველ ნახევარში. გლეხები იმთავითვე არათავისუფალი, დაბეგრილი წრე იყო (დაპყრობილები?) (კლხ — კრნ — კლხ-ები). ეს თავისუფალნი (ჰერ, ერ, ჰვერ ჰბერ-ები იბერები) თანდათან (საუკუნეთა სიგრძეზე) იბეგრებიან ან კიდევ აღზევდებიან, მიწისმოქმედ-მფლობელთაგან მხოლოდ მფლობელნი ხდებიან და მათი ვალდებულებანიც მხოლოდ ხლება-ლაშქრობით განისაზღვრება... სახელმწიფო ფუნქციები უკანასკნელთა მოხელეობაა — საქვეყნოდ გამრიგე მოხელეობაა, ე. ი. მოსაკარგავეობაა, რომელიც ფეოდალობად იქცევა— დაბეგრილები სახელმწიფო ფუნქციებს არ ატარებენ... ცენტრებში ტაძრეულებია („ტაძრეული“ პირველად „აზნაურნი“ არაა. „ტაძრეულში“ შედიან უფლისწულები და მონები. მხოლოდ შემდეგ მათი მიწაზე დასმისა ისინი აზნაურდებიან — არჩილ).

აზნაური მიწისმფლობელი მოხელეა. ერისგანი — მიწის მფლობელი მიწის მუშა ყმად ქცეული. უმრავლესობა თავისუფალი, უმცირესობა დაბეგრილი. გლეხი მიწის მუშა— უუფლებო, დაბეგრილი პატრონის საკუთრება... ტერმინი აზნაური შეიძლება უცხოც იყოს. როდის შემოვიდა ის და როგორი სახით, არ ვიცით. მაგრამ ჩვენთვის საკმაოა ვიცოდეთ, რომ „აზნაური“ ტერმინი მაშინ გაჩნდა, როცა „აზნაურობის“ ნიადაგი მომზადდა, როცა „ერისგანი“ აღარ ასახავდა გართულებულ სხვადასხვაობას ამ სოციალურ წრისას. ერისგანთა ის ნაწილი, რომელიც მოხელეობის თუ სხვა ნიადაგზე დაწინაურდა „მოქმედებას“ თავი დაანება, მფლობელი უფალი გახდა გლეხთა და პატრონი (—მამფალი) ასეთის მეძიებელი ერისგანთა (ყმათა). ამის შემდეგ ტერმინი „ერისგანი“ ვეღარ დაიტევდა ასეთ გაორებულ ცნებას მფლობელისას და მოქმედისას, მამფლისას და ყმისას. და ამ დროს სწორედ „აზნაური“ შეენაცვლება ერისგანს იმ ნაწილში, სადაც ის მფლობელს, მამფალს და მოხელეს აღნიშნავს.

და ეს წრე „ერისგანთა“ თანდათან ქრება სადაც ნაკლებია სოც. განვითარება, ის უფრო დიდხანს ინახება (მთაში). და რაც მეტად საინტერესოა, ესენი აქ მეფის მიერ განიხილებიან, როგორც მოხელენი, მაგრამ ეს მოხელენი ჯერ აზნაურობამდის არ მისულან, მხოლოდ ფლობაზე და პატრონობაზე არ გადასულან, ამიტომაც აზნაურებად არ იწოდებიან. ესენი მთაში მე-18 საუკუნეშიაც კი ასეთივე არიან და მსახურად იწოდებიან. იხ. ვახტანგ ბატონიშვილის კანონები შდრ. კარგყმა. მაგრამ თუ ერისგანებს აღზევებისას აზნაურობა ელის, დამცრობა-დაქვეითებისას გლეხობა უთვალთვალებს. ერისგანობა განუვითარებელი, ექსტენსიური მეურნეობის დამახასიათებელია. აკი ის გვაროვნული საზ-ბის პირმშოა. მეურნეობის ინტენსიურობა იწვევს ღრმა წოდებრივ დიფერენციაციას: აჩენს მფლობელ-მფარველს და ყმა-მწარმოებელს. ერისგანობას ნიადაგი ეცლება. ის მერყეევი — გარდამავალი წრე ხდება. პატრონყმობას შეფარდებული ის ცდილობს თავი გადაირჩინოს საბოლოო უუფლებობისაგან. მაგრამ პატრონყმობა ასევე გარდამავალი საფეხურია საწარმოო ძალთა გარკვეულ განვითარების ნიადაგზე წარმოშობილი. საწარმოო ძალების შემდგომი განვითარება, სოფლის მეურნეობის შემდგომი ინტენსიფიკაცია, ქალაქების და სა-

ქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარება აუცილებელს ხდის ერისგანთა მკვიდრად დაჯდომას, მიწისმფლობელობის მხოლოდ აზნაურ[რობა]ში გადასვლას, მთელი უფლების ფაქტიურ მფლობელთა ხელში გადასვლას, ე. ი. ერისგანის „გ ლ ე ხ ა დ“ ქცევას.

თუ აქამდის ყმას (ერისგანს) ჰქონდა გარკვეული უფლებები, ჰქონდა ამ უფლებათა დაცვა-განხორციელების საშუალებანი, ამიერიდან ის სულ უფრო და უფრო დამოკიდებული პატრონისაგან ფაქტიურად კარგავს უფლებებს და ყმისაგან გ ლ ე ხ ა დ იქცევა უკვე ბ ა ტ ო ნ ა დ ქცეული პ ა ტ რ ო ნ ი ს ა. და მთავარი მიზეზი (უკეთ მთავარი საფუძველი) ამ მოვლენისა არის მეურნეობის ინტენსიფიკაცია და მასთან დაკავშირებული საქალაქო ცხოვრების წარმოქმნა... პ ა ტ რ ო ნ ყ მ ო ბ ი ს ა ს უ ფ ლ ე ბ ა დ ა მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა გ ა ნ ა წ ი ლ ებ უ ლ ი ა პ ა ტ რ ო ნ ს ა დ ა ყ მ ა ს შ ო რ ი ს. პ ა ტ რ ო ნ ს ა ქ ვ ს უ ფ ლ ე ბ ა, მ ა გ რ ა მ მ ა ს ვ ე ა ნ წ ე ვ ს გ ა რ კ ვ ე უ ლ ი მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა ნ ი ც. ყ მ ა ს ა ქ ვ ს მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა ნ ი, მ ა გ რ ა მ მ ა ს უ ფ ლ ე ბ ე ბ ი ც ა ქ ვ ს. ყმას აქვს საშუალება თავისი უფლებები განახორციელოს (თუ პრაქტიკულად ვერა, — მათი განხორციელება თანდათან ძნელდება, — თეორიაში მაინც). ერთერთი მხარის მოვალეობათა დარღვევა საკმაო საბუთია პატრონყმურ ურთიერთობის დარღვევისათვის (ესეც სულ უფრო და უფრო თეორიული ამბავი ხდება...) — ბატონყმობისას ყმას ეს უფლებანი უკვე სავსებით წართმეული აქვს, ხოლო ბატონი ყველა მოვალეობათაგან ყმის მიმართ თავისუფალია. ბ ა ტ ო ნ ს მ ხ ო ლ ო დ უ ფ ლ ე ბ ა ა ხ ა ს ი ა თ ებ ს, ყ მ ა ს მ ხ ო ლ ო დ მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა. როდის მოხდა ეს? ამაზე პასუხი ძნელია. მაგრამ ვიცით უეჭველად, რომ XIV ს-ში ეს მომხდარი ფაქტია, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ სანამ ასეთი დიდი მ ო ვ ლ ე ნ ა კანონმდებლობაში თავის გამოსახულებას ჰპოვებდეს, ის დიდი ხნით ადრე ხდება პრაქტიკაში. და ჩვენი თეზის თანახმადაც ეს მოვლენა უნდა დაწყებულიყო გაცილებით ადრე, ვიდრე ამას ჩვეულებრივ ფიქრობენ. XI—XII ს-ის ზღურბლი ჩვენ მიგვაჩნია პატრონყმობის თანდათანი დაცემა-გადაშენების დასაწყისად... VI საუკუნე პატრონყმობის გამარჯვების ხანაა. XII საუკუნემდის ესაა გაბატონებული ფორმა. უკვე IX საუკუნიდან საგრძნობი ხდება ბატონყმური მოვლენები. XII—XIII სს. ესაა მწვავე ბრძოლის ხანა პატრონყმობა-ბატონყმობის შორის, რომელიც სრულდება უკანასკნელის გამარჯვებით. ამ ბრძოლის ანარეკლია ის აურაცხელი გართულება, ღალატი — გაფიცვა-განდგომანი, რო-

მელთაც ამ დროს ჰქონდა ადგილი. მონღოლებმა და მის მომდევნო აღმოსავლეთის დაცემამ მახინჯი სახე მისცა ბატონყმობას და მეტად ხანგრძლივი გახადა ის. ესაა ე. წ. „ჩიხი“... XII—XIII ს-ის სოციალური ბრძოლები სრულიად არ წარმოადგენდა რეგრესს. ბატონყმობა, რომელიც გამარჯვებას ლამობდა, ქვეყნის ეკონომური განვითარებით იყო გამოწვეული და არა მისი დაცემით. შემდგომი განვითარება უეჭველია მას სხვა სახეს მისცემოდა... XVII—XVIII ს-ის ბატონყმობა ქვეყნის განვითარების შედეგი კი არა, მისი დაცემის შედეგი იყო. აქ ინდივიდუალურს, საგარეო პირობებს და მის შედეგს ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.... $\left(\frac{2}{17}\right)$.

თ ა ვ ი V

[შინაკლასობრივი ბრძოლა საქართველოში XII ს-ის 80-იან წლებში]

[§ 1. თამარის ხელმეორედ კურთხევა]

1. გიორგი მეფე გარდაიცვალა. რუსუდანს და თამარს, სამშვილდით მოსულთ „მოიხილეს გარემოს და იხილეს მ ი ქ ა ე ლ პ ა ტ რ ი ა რ ქ ი ყოველთა ეპისკოპოზთა თანამდგომი და ვ ა ზ ი რ ი ა ნ ტ ო ნ ი და ა მ ი რ ს პ ა რ ს ა ლ ა რ ი ყ უ ბ ა ს ა რ და სხუანი ხ ე ლ ი ს უ ფ ა ლ ნ ი: ყუთლუარსლან მეჭურჭლეთუხუცესი, ვ ა რ დ ან დ ა დ ი ა ნ ი ჩუხჩარხი, ჭ ი ა ბ ე რ ი მეჯინიბეთუხუცესი, ა ფ რ ი დ ო ნ მსახურთუხუცესი, ივანე (...) და დიდებულნი აზნაურნი, მონანი და მოყმენი“ (ისტ. აზმ. 72, მდ. 396).

მ ა ნ დ ა ტ უ რ თ უ ხ უ ც ე ს ი არ ჩ ა ნ ს აქ, მაგრამ უთუოდ იგულისხმება ყ უ ბ ა ს ა რ ი (იხ. იქვე, გვ. 76).

გიორგი მეფე გარდაიცვალა. „ხოლო შეყრილთა შვიდთავე ამის სამეფოისათა (მდ. ქც. 400) „მოახსენეს“ თამარის მამიდა რუსედანს, რომ თამარი მეფედ ეკურთხოს.

ამის „მოხსენება“ რა საჭირო იყო, თუ აქ რაიმე განსაკუთრებულს არ გულისხმობდნენ ეს „შეყრილები“. თამარი უკვე მეფე იყო დიდის ფიცით დასმული მამის მიერ...

თუ აქამდე მიღებულის და აღიარებული წესის შესრულებას გულისხმობდნენ, ამის „მოხსენება“ რა საჭირო იყო. ეს ხომ მოუხსენებლადაც მოხდებოდა?... შეყრილთა მოხსენება „რუსუდან დედოფალმა „მოიწონა“ და „დაიჯერა“ და „უბრძანა და მოახსენა თამარს მეფესა და დედოფალსა“. თამარიც დამორჩილდა მამიდის ბრძანებას „აწ კადრებულსა დიდებულთა შვიდთავე სამეფოთასა და მსმენელი ჰ ა ჯ ი ს ა ი ძ ა ლ ი თ ა ს ა მ ე დამორჩილებულ იქმნა“.

რად სჭირია ავტორს ეს „ძალით სამე“? ვითომ რა, თამარი მეფობას არ აპირებდა? საფიქრებელი ხდება, რომ აქ რაღაც მოულოდნელი იყო როგორც რუსუდანისათვის (მანაც ხომ მოიწონა და „დაიჯერა“), ისე თამარისათვის.

2. მეფე გარდაიცვალა. დიდებულები შეიყარნენ. (ისტ. აზმ. 73—74, მ. დ. 398—400) თამარი ახალგაზრდა ქალი, თუმცა მეფედ დასმული მამისავე ზეობაში, რა მეფედ დასაჯენია. ეს ხომ ყოვლად უჩვეულო რაღაც იყო. დიდებულთა წინაშე მძიმე ამოცანა იდგა. თითქო ხელსაყრელი მომენტი დამდგარიყო იმისათვის, რომ ფეოდალებს, ქართველებს თუ სომხებს, ქვეყნის განხეთქის ტენდენცია გამოემჟღავნებინათ. მაგრამ ასეთი ტენდენცია არსად ჩანს. ქართველები თუ უცხოელები (მაგრამ უკვე გაქართველებულები), ძველი დიდგვარიანები, მსახურეული სახლებითუ უხანოები და უგვაროები ურთიერთშორის დაუნდობლად იბრძვიან, მაგრამ არავინ არ ფიქრობს ქვეყნის პოლიტიკურ დაშლაზე და მ ხ ო ლ ო დ წ ე ს წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს ვ ა რ გ ი ს ი ა ნ ო ბ ა-უ ვ ა რ გ ი ს ო ბ ა ზ ე ძ ს ჯ ე ლ ო ბ ე ნ. „შეყრილთა“ გადაწყვეტილება სწორედ ასეთი მსჯელობის შედეგი უნდა ყოფილიყო...

დამახასიათებელი მომენტია საშუალო საუკუნეების ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის. საქართველოს ფეოდალური მონარქიის წარმოქმნის დროისა და მის შემდგომ ისტორიკოსებს მეფის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მიაჩნიათ „გ ა ნ ხ ე თ ქ ი ლ ე ბ ი ს ა კ რ ძ ა ლ ვ ა ნ ი“ (დავითის ისტორიკოსი) და მეფის დამსახურებათ მიაჩნიათ თუ მან დაიცვა ქვეყანა განუხეთქელად (ამოწერე მაგალითები...). ისე ჩანს, და მართლაც ასე იყო, რომ გაერთიანებული ფეოდალური მონარქიის წინაშე სულ მუდამ იდგა საფრთხე ქვეყნის პოლიტიკური დაშლისა... და მართლაც, ახლად გამოვლილი პოლიტიკური ამბები, რომელიც ეს-ეს იყო მინელდა (იგულისხმება ცალკე სამეფო-სამთავროებად გამოყოფის ცდები), ყველას კარგად ახსოვდა, ხოლო სეპარატიზმის საფუძველი ფეოდალურ ქვეყანაში სულ მუდამ არსებობდა და მეტ-ნაკლები ენერგიით ხან აქ წამოიჭრებოდა და ხან იქ...

დამახასიათებელია, რომ გიორგის გარდაცვალების შემდეგ დიდგვარიანებმა ქვეყნის განხეთქაზე კი არ იფიქრეს, არამედ უგვაროთა განდევნაზე ქვეყნის მართვისაგან. ჩანს მათ ქვეყნის განხეთქა სასურველად არ მიაჩნიათ, რაც გაერთიანების შედარებით მოწიფულობას მოწმობს. ყ უ თ ლ უ ს პ რ ო გ რ ა მ ა ხომ, კ ი დ ე ვ უ ფ რ ო

აკანონებდა საქართველოს მთლიანობას... არც შემდეგ ჩანს განხეთქილებისადმი მიდრეკილება: ლიხთიქით გიორგი რუსი ტახტზე დასვეს, მაგრამ უმალვე თბილისისაკენ ილაშქრეს, რომ გაერთიანებული ქვეყნის ბატონ-პატრონი შექმნილიყვნენ.

ერთადერთი შემთხვევა განხეთქვისა ეს იყო გუზან ტაოსკარელის მიერ ვაშლოვნის გატანა და სელჯუკთა მხარეზე გადასვლა, მაგრამ ზაქარია ასპანისძემ საკადრისი პასუხი გასცა სეპარატისტ მოღალატეს...

დამახასიათებელია რომ გაერთიანებული ფეოდალური მონარქიის ქართველი ისტორიკოსები აგრე ხშირად და დაუინებით ახასიათებდნენ ამა თუ იმ პოლიტიკურ მოღვაწეს (თუნდაც საეკლესიო პირს) როგორც მეფის ერთგულს, უზომოდ ერთგულს და სხვ. და ეს ეხება მეფის ხელისუფალს, ვაზირს, ერისთავს. ჩანს მეფის ორგულობა იქამდე ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რომ ერთგულება მოხელეს დამსახურებად ეთვლება... ჩანს იყვნენ ერთგული და ორგული მოხელენი. მეფის ხელისუფლებამ ეს იცოდა და თითოეული მეფე საკითხს სხვადასხვანაირად უელიდა. ზოგი (დავითი) ორგულებს სჯიდა, ამცირებდა, ზოგი კი ერთგულთ და ორგულთ წყალობით ფარავდა... მაგრამ ორგულებს დანაშაულებად არ მიაჩნდათ ასეთი რამ და მეფეს უსამართლობად უთვლიდნენ თუ ის მათ ასეთი განწყობილებისათვის სჯიდა (დავითი). ყველაფერი ეს გარდაუვალი იყო ახლად გაერთიანებული ფეოდალური ქვეყნის ვითარებაში.

3. თამარი მეფედ აკურთხეს. „ვინაიდან ლიხთიმერითგან იყო წესი დადგმად გვირგვინი თავსა სამეუფოსა, აწუიეს მონაზონი ღირსი და მადლით შემოსილი, მთავარეპისკოპოზი ქუთათელი ანტონი საღირისძე მოღებად გკრგვნსა და ცალკერძ კახაბერი ერისთავი რაჭისა და თავკერისაი და სრულყვეს მოხელეთა სუიანთა და დიდებულთა ვარდანისძეთა, საღირისძეთა და ამანელის ძეთა მოღებაი და დადებაი ხრმალისაი“. (ისტ. აზმ. 74, მ. დ. 400).

აკად. ი. ჯავახიშვილის შენიშვნა სწორია, რომ აქ ძველი წესი, აფხაზთა მეფის დროის წესი მოქმედებს და არც ერთი ფეოდალური სახლი აღმოსავლეთ საქართველოდან ამ დიდმნიშვნელოვან ცერემონიალში ნაგულისხმევი არ არის. ეს კი დროისათვის შეუფერებელი გარემოებაა: აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალები ამ დროს უკვე დიდი მნიშვნელობის ძალაა და განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის შემდეგ სულ უფროდაუფრო ძლიერდებიან (შეისწავლე

ბაგრატ III-დან მოკიდებული ეს საკითხი...). ასე, რომ ამ საკითხში ფეოდალების ქიშპი ბუნებრივია. მაგრამ მეფის ხელისუფლებას სხვა მხრით მიჰყავდა საქმე: არც დასავლეთის და არც აღმოსავლეთის ფეოდალური სახლები, არამედ ვაზირები...

ბრძოლა მეფის კურთხევის წესის გარშემო ნიშანდობლივია (ნახე ბაგრატ III-დან ვიდრე აქამდე) რა ჩანს. თამარის მეისტორიეს კონტექსტი ისეთია, რომ საფიქრებელია, რომ ძირძველები ძ ვ ე ლ ი წ ე ს ი ს ა ღ დ გ ე ნ ა ს ც დ ი ლ ო ბ ე ნ და ახერხებენ კიდევაც. მაგრამ რა საინტერესო უნდა ყოფილიყო ეს ძველი წესი ქართლ-კახეთის თუ მესხეთის ფეოდალებისათვის? თუმცა მისი შეცვლა აგრე ადვილად არ შეიძლებოდა. ცოხცალი თავით ლიხთიქით ძირ-ძველები ამ თავის პრივილეგიას არ დათმობდნენ. არც სამეფო ხე-ლისუფლებისათვის იყო დიდად სასურველი ძირძველების ამ პრი-ვილეგიის ახალ სახლებისათვის გადაცემა. მისთვის სასურველი ერთი იყო: რომ ხელისუფლების გადამცემი, მაკურთხეველ-დამ-ლოცველი ყოფილიყო მამა-მეფე, კათალიკოსი და კარი (სავაზირო) და თუ აქ, თამარის გამეფებისას, აღმოსავლეთელები პროტესტს არ გამოხატავენ, იმიტომ რომ აქ ბრძოლა ძირძველების წინააღმდეგ უიმედო იყო და არც საერთო ფეოდალურ რეაქციულ ხაზს ეთან-ხმებოდა: საერთო მტერი იყო დასამარცხებელი — მეფე ახალკაც უხანოებით... (წ. 4, ფ. 41—48).

[§ 2. ძირძველ აზნაურთა გალაშკრება სამეფო კარზე „უგვაროთა და უხანოთა" წინააღმდეგ.]

4. დ ი დ ე ბ უ ლ თ ა ვ ი ე თ მ ე ხ ე ლ ი ს უ ფ ა ლ თ ა ტ ყ ვ ე ს ფ ი ც ი ე ს რ ე ო, ვ ი თ ა რ მ ე დ: ა ღ ა რ ვ ე გ ე ბ ი თ ძ უ ე ლ თ ა ხ ე ლ ი ს უ-ფ ა ლ თ ა დ ა გ ა მ გ ე ბ ე ლ თ ა ს ა ქ მ ი ს ა თ ა ფ ა რ მ ა ნ ს ა ქ ვ ე შ ე მ ყ ო ფ ნ ი, ვ ი ნ ა ჲ თ გ ა ნ მ ა თ გ ა ნ დ ა ძ რ ც ვ ი ლ ნ ი დ ა უ ნ ა ტ ო დ გ ა ძ ე უ ლ ნ ი ვ ა რ თ, დ ა გ უ ა რ ი ა ნ ნ ი დ ა მ ს ა ხ ურ ე უ ლ-ნ ი ს ა ხ ლ ნ ი უ პ ა ტ ი ო დ დ ა უ ს ა ხ ე ლ ო დ გ ა ს რ უ ლ ვ ა რ თ უ გ უ ა რ ო თ ა დ ა უ ხ მ ა რ თ ა გ ა ნ". (ისტ. აზმ. 76, მდ. 404).

ამ ფრიად საყურადღებო, თუმცა, სამწუხაროდ, ვეტის მეტად მოკლე ცნობიდან არა მარტო ისა ჩანს, რომ გიორგი მეფემ ერთ-გული უგვაროები დააწინაურა ორგულ დიდგვარიანთა ადგილებზე და მათ უდვა ხელთ უმაღლესი სამოხელეო თანამდებობანი (ამირ-სპასალარის, მანდატურთუხუცესის და მსახურთუხუცესის), არამედ ისიც, თუ როგორ მოქმედებდნენ ეს უგვაროები. აქ უეჭველად

იგულისხმება არა მარტო ის, რომ გიორგი მეფე იყო ამ საქმეში აქტიურად მოქმედი, არამედ ისიც, რომ ეს უგვარონი იყვნენ არა ნაკლებად აქტიურები. ეს უგვარონი გულხელდაკრეფილი კი არ უცდიდნენ გიორგი მეფის აქტიურ ინიციატივას, არამედ, უეჭველია, თვითონაც აქტიურად მოქმედებდნენ, მეფის ერთგულებაზე თავსა სდებდნენ, დიდად შველოდნენ მას მძიმე პირობებში და ორგულ დიდგვარიანებთან ბრძოლაში მეფეს შესაძლებლობას უქმნიდნენ სხვა დასაყრდენი მოენახა („ერთგულები"). თუ ეს არა, რატომ დიდგვარიანებითვე არ შეცვალა მეფემ ორგულობის გამომჟღავნებულ დიდგვარიან მოხელეთა ადგილები?... უეჭველია, გარდა ამისა, რომ ეს უგვარო უხანოები არა მარტო მეფის ერთგულობით ხასიათდებოდნენ, არამედ თვალსაჩინო საზოგადოებრივი ძალითაც. თუ ასე არა, მეფე ვერ შეურაცხყოფდა დიდგვარიანთა სახლებს და უკიდურეს შემთხვევაში აშკარა მოღალატე დიდგვარიანის ადგილზე ის ნაკლებ მოღალატე დიდგვარიანს დანიშნავდა. აკი იყვნენ, როგორც ცნობილია, ერთგულ გვარიანთა სახლები (მაგალითად, მხარგრძელები, ჭიაბერისძენი). და თუ მიუხედავად ამისა შეფე უგვაროებს სდებდა ასეთ პატივს, ეს იმის მაჩვენებელია, რომ უზადო ერთგულება, გიორგი მეფის აზრით, ამ უგვაროებს ახასიათებდა და ანგარიშგასაწევი ძალაც იყვნენ. ხომ ცნობილია, რომ არც თორელი და არც მხარგრძელი — თითქოდა ერთგულთა სახლები — არ ყოფილან უყოყმანო ერთგულები, როგორც, ვთქვათ, ჭიაბერი ან ყუბასარი, არამედ თავდაპირველად აჯანყებულ დემნა-ორბელთა მხარეზე იყვნენ და თავიანთი „ერთგულება" მეფეს იმით აჩვენეს, რომ პირველები გამოეთიშნენ საეჭვოდ გამხდარ საქმეს და მეფის ბანაკში გადმოვიდნენ... ცხადია, მეფე ეჭვის თვალით უცქეროდა ასეთ „ერთგულებს" და ნდობა-უპირატესობას ანიჭებდა აფრიდონ-ყუბასარებს, რომელთა მეფის ერთგულებაში შეეჭვება შეუძლებელი იყო, რაც მათ საქმით დაამტკიცეს დემნა-ორბელთა აჯანყების დროს. (ასეთივე ერთგულებად საფიქრებელია, ეჩვენებოდა გიორგი მეფეს ყუთლუ-არსლანი და ჭიაბერი ეს უკანასკნელი შერჩა მეფის ერთგულებას, ყუთლუ კი „ჯორის სახედ ორბუნება" აღმოჩნდა... არც ერთი და არც მეორე დიდგვარიანი შეიძლება არ იყვნენ, მაინც და მაინც ძირძველები არ იყვნენ, მაგრამ ისინი არც უგვარონი ყოფილან).

და ამრიგად, გიორგიმ მთელი სავაზირო შეცვალა თავისი ერთგულებით და გაზრდილებით (მეფის კარზე, ჩანს, არა მარტო დიდგვარიანთა შვილები იზრდებოდნენ: მეფის გაზრდილი იყო ყუბასა-

სარი... შერმადინიც ხომ ავთანდილის გაზრდილი იყო...). ვარდან დადიანის მამა მსახურთუხუცესი იყო. მას აჯანყებაში თითქო მონაწილეობა არ მიუღია, მაინც და მაინც ჩვენ ამის შესახებ ცნობა არ მოგვეპოვება, მაგრამ არც ერთგულება გამოუმჟღავნებია ისეთი, რომ აღნიშვნის ღირსი ყოფილიყო და გიორგი მეფემ მის ადგილას აზნაურის ყმა აფრიდონი დასვა. აფრიდონის დამსახურება განსაკუთრებული უნდა ყოფილიყო. ის ხელშინაური გახდა სასახლის და მცველთა უფროსი. ამრიგად, მთელი საეაზირო (გარდა ჭყონდიდელისა) უგვაროთა და ერთგულთა ხელში აღმოჩნდა. ახალი ვაზირები, ყველაფრიდან იგულისხმება, ენერგიული და აქტიური ადამიანები იყვნენ... ამიტომაც შეეძლოთ გაფიცულ დიდგვარიან მოხელეებს ეთქვათ, რომ ისინი მათ მიერ „დაძრცვილნი და უნატოდ გაძეულნი" იყვნენ... საქმე ის იყო, რომ, თუ აქამდე რომელიმე უგვარო თანდათან აცოცდებოდა მმართველობის მაღალ საფეხურზე (მამა მცირედ, შვილი უფრო, შვილიშვილი კიდევ უფრო), ამავე დროს გვარს დაიძველებდა, დიდგვარიანთან დამოყვრებით გვარს გაიკეთილშობილებდა, სიმდიდრეს შეიძენდა და დიდაზნაურულად სამსახურს გასწევდა ლაშქარ-ნადირობაში, თავის ძველ მეგვარეებს მკვეთრად გამოეყოფოდა, — ასეთი ახალკაცი უგვარო და უხანო აღარ იყო და ძირძველები, მართალია, ამრეზილად, რამოდენიმედ, მაინც ითმენდნენ და ბოლოს და ბოლოს თავიანთ წრეში იღებდნენ (მხარგრძელები)... სულ სხვა იყო ეხლა გიორგის დროს (და ასევე იყო დავითის დროს და იმიტომაც იყო, რომ აყვირდნენ დიდგვარიანები). მეფემ ყოვლად უგვარო ნაყივჩაყარი ყუბასარ, და არანაკლებ უგვარო აზნაურის ყმა აფრიდონ სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობაზე განაწესა და დიდგვარიანთა სახლის შვილები მათ ბრძანების ქვეშ მოაქცია... და იყვირეს.

მსახურთუხუცესი აფრიდონ თითქო თრიალეთის ერისთავი იყო[1]. თუ ასეა, გასაგებია მისი ერთგულება გიორგი მეფის წინაშე დემნას განდგომის დროს. დემნა, გამოდის, მისი მეთვალყურეობის ქვეშ დააპატიმრეს კლდეკარის ციხეში, შემდეგ თვალები დასწვეს და იქვე მოკვდა. აფრიდონი, თუ იგი კლდეკარის და თრიალეთის ერისთავი იყო, უეჭველია საზიზღარი და საზარელი იქნებოდა გიორგის ორგულ დიდგვარიანთათვის... $\left(\frac{4}{21}\right.$ ფ. 84—88$\left.\right)$.

---

1 იხ. ქვემო ჯინისის წარწერა (რედ.).

5. თამარი მეფეთ აკურთხეს ძველი წ ე ს ი თ. (თითქოს) საერთო სიხარული სუფევდა... და სწორედ ასეთ დროს „იწყეს რომელთამე ძუელებრი კაცთა დაუდგრომელობისა საქმე: და დ ი დ ე ბ უ ლ თ ა ვ ი ე თ მ ე კ ე ლ ი ს უ ფ ა ლ თ ა ყ ვ ე ს ფ ი ც ი ე ს რ ე თ, ვ ი თ ა რ მ ე დ: აღარ ვეგებით ძუელთა კ ე ლ ი ს უ ფ ა ლ თ ა და გ ა მ გ ე ბ ე ლ თ ა ს ა ქ მ ი ს ა თ ა ფარმანთა ქვეშე მყოფნი, ვინაჲთგან მათგან დაძრცვილნი უნატოდ გაძეულნი ვართ და გუარიანნი და მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახელოდ გასრულ ვართ უგუაროთა და უკმართაგან“. (ისტ. აზმ. 76, მდ. 405).

გაიფიცნენ, როგორც ჩანს, არა ყველა დ ი დ ე ბ უ ლ ი ხ ე ლ ი ს უ ფ ა ლ ი, არამედ „ვ ი ე თ მ ე“, ცხადია — ძირძველი დიდებულნი ხელისუფალნი, როგორც თვითონაც ამბობენ.

ისე ჩანს, „ძუელთა კელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა ფარმანსა ქუეშე მყოფნი“ გამოდიან კონკრეტულად ორი პირის წინააღმდეგ.

ეს რომ ასეა, იქიდან ჩანს, რომ ეს ფიცი ყველ ვიეთმე დ ი დ ე ბ უ ლ თ ა კ ე ლ ი ს უ ფ ა ლ თ ა, რ ო მ ე ლ თ ა გ ა ნ ს ა მ ი ს ა ვ ა ზ ი რ ო ა დ გ ი ლ ი ხ უ თ ი დ ა ნ უ გ უ ა რ ო და უ კ მ ა რ ე ბ ს ე კ ა ვ ა თ. და დიდებულნი კელისუფალნი ვერც იტყოდნენ უგვაროთა და უკმართაგან დაძრცვილნი და უნატოდ გაძეულნი ვართო, მხედველობაში რომ ვიღაც-ვიღაცეები ჰყოლოდათ და არა ისეთი კელისუფალნი უგვაროთაგან, რომელთაც მათი მიმძლავრება შეეძლოთ. ასეთები კი იყვნენ ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი და მსახურთუხუცესი... ახალკაცები, მეფის მიერ ამოწეულნი, ჩანს ენერგიას იჩენენ. ეს კი აშფოთებს ძირძველებს $\left(\frac{4}{21}\text{ ფ. } 11\right)$.

საყურადღებო ისაა, რომ ეს დიდებულნი კელისუფალნი. მეფის კარზე შეურაცხყოფილნი მეფის პოლიტიკით უ გ ვ ა რ ო, უ ხ ა ნ ო თ ა მ ი კ ე რ ძ ე ბ ი თ, ეხლა როცა საამისო დრო დაუდგათ. ცალცალკე თავთავისთვის კი არ მიიწევენ, თავიანთ ციხექვეყანას კი არ მიმართავენ, როგორც ამას მოიმოქმედებდნენ ძველად. ადრეფეოდალურ ხანაში, „მთავრობის“ (სენიორობის) ხანაში, ასეთი რამ ფიქრადაც კი არ მოსდით და თავიანთი შეურაცხყოფილი სახლების პატივის აღდგენას იმავე მეფის კარზე ცდილობენ უგვარო-უხანოთა გაძევებით სამეფო კარიდან და მათ მიერ უსამართლოდ მიტაცებულ დიდების კვლავ დაუფლებით... ასე, რომ დიდება და კელი მეფის კარზე არის ეხლა ის, რისთვისაც იბრძვიან ძირძველებიც და

უხანოებიც და ძირძველები ცდილობენ ხელიდან არ გაუშვან ძველიდანვე მათი კუთვნილი პრივილეგიები, რომლებშიაც მათ მეფის პოლიტიკის წყალობით უგვარონი შესცილებიან. მაგრამ ბრძოლის კერძოული მოგება საკმარისი არაა, ბაგრატ-დავითები და გიორგები არ გადაილევიან—ეპოქა ასეთია და დიდებული ხელისუფალნი სხვა გარანტიას ეძებენ ახალი შესაძლებელი, მოსალოდნელი და კარს მომდგარი შემოტევისაგან უგვაროთა და მეფის მხრით. ეს გარანტია იპოვა ყუთლუ არსლანმა: კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ი ს შ ე ც ვ ლ ა. ეს იყო სრულიად კანონზომიერი მწვერვალი პოლიტიკური ბრძოლისა. ეს იყო ღია დაპირისპირება მეფის თვითმპყრობელური თეორიის წინააღმდეგ, მეფის უფლების ღმრთის ნებითობის წინააღმდეგ (რა თეორიასაც უგვარო-უხანონი იცავდნენ...). სულ ერთიმეორეს ეთანხმება და ერთსა და იმავეს გულისხმობს: ძველი წესით მეფის კერძოხევა, დიდგვარიანთა გაფიცვა და ყუთლუ (4/21 ფ. 13).

6. „ა ფ რ ი დ ო ნ, ა ზ ნ ა უ რ ი ს ა ყ მ ო ბ ი ს ა გ ა ნ ღ მ რ თ ი ს მ ო ბ ა ძ ა ვ ი ს ა წ ყ ა ლ ო ბ ი თ ა კ ა ც ქ მ ნ ი ლ ი და მსახურთუხუცესობამდის მიღწეული, თმოგვისა და სხვათა ციხეთა და ქუეყანათა პატრონობითა აღზევებული“. (ისტ. აზმ. 77, მდ. 406).

აფრიდონი აზნაური, თუნდაც მცირე, არ ყოფილა. ე ს ა ზ ნ ა უ რ ი ს ყ მ ა იყო. აფრიდონ გლეხი არ ყოფილა. ასე რომ ყოფილიყო. ისტორიკოსი იტყოდა კიდევაც და ეს შეუძლებელიც იყო, რადგან გლეხი აზნაურის საკუთრება იყო და მეფეს („ღმრთის მობაძავს“) მასთან საქმე არ ჰქონდა. ან აზნაურის გლეხი საიდან და რაის მიხედვით უნდა დაენახა მეფეს? და ბოლოს, გლეხს „ყმა“ არ ეწოდებოდა.

„აზნაურის ყმა“ ის თავისუფალი კაცი იყო, რომელიც აზნაურს ყ მ ო ბ ი თ ემსახურებოდა: ძღვენით, ხადილით, თავსდადგომით, ხლებით, ლაშქრობით და არა ბეგარა-მუშაობით, „აზნაურის ყმა“ მდაბიორ მოლაშქრეთა წრიდან იყო... (4/21 ფ. 14).

7. დიდგვარიანი ჯელისუფალნი გაიფიცნენ და უგუაროთა და უკმართა ვაძეევება მოითხოვეს. ი ს ტ ო რ ი კ ო ს ს ა რ მ ო ს წ ო ნ ს მ ა თ ი ა ს ე თ ი ს ა ქ ც ი ე ლ ი. ბოდიშს ხდის თამარს „დაღაცათუ ერთგული და კარგი მოყმე და ჭ ა ბ უ კ ი იყო ყუბასარ, გაზრდილი პატრონთაგან, და იყო ამირსპასალარი და მანდატურთ-

უხუცესი, გარნა სენისა მიერ, ფილენჯად წოდებულისა, მოეღებოდა ენაჲ, ხელი და ფერჯი. და აწუიეს მეფესა თამარს მოღებად ყოვლისა დიდებისა, ქონებისა და სიმდიდრისა. გარნა უქმ იქმნა განზრახვა მათი. ვინაჲთგან თამარი სახიერ იყო და მოწყალე, მოიხსენა სიყუარული, სამსახური და ზრდილობა მისი, და, თჳნიერ ჴელისუფლობისა და ლორესაგან კიდე, არარაჲ დააკლო და ეგრეცა სიყუარულითა დიდითა და პატივითა დაიჭირა დღემდე მიცვალებისა მისისა. კუალად აფრიდონ აზნაურისა ყმობისაგან ღმრთის მობაძავისა წყალობით კაცქმნილი და მსახურთუხუცესობამდის მიღწეული, თმოგვისა და სხუათა ციხეთა და ქუეყანათა პატრონობითა აღზევებული, მოიშალა და დაიმჴო ნებითა და თნევითა დაქშართაჲთა და ბ რ ძ ო ლ ი ს ა მ ყ ო ფ თ ა ჴ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა და დ ი დ ე ბ ი ს ა-თ ჯ ი ს ურთიერთას დაუწყეს ზიდვა (ისტ. აზმ. 76—77, მდ. ქცა. 405).

ავტორი, უეჭველია, მხოლოდ ო რ პ ი რ ს გულისხმობს, რომელთა წინააღმდეგაც მიმართული იყო ძირძველთა შეტევა. ის, უთუოთ იტყოდა, რომ ვინმე სხვა უგვაროს წინააღმდეგაც ყოფილიყო მიმართული ძირძველთა გაფიცვა. ეს არის ოღონდ, რომ ძირძველებმა ამ თავიანთ გამოსვლას ზოგადი სახე მისცეს, განზოგადოებული ჩივილით დაასაბუთეს (თუმცა ასეთი გამოთქმით მათ შეეძლოთ ის ორი უგვარო ეგულისხმათ). ამრიგად, ძირძველები გაეფიცნენ „ძუელთა ჴელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა“ აქაო და „მსახურეულნი სახლნი უნატოდ და უსახელოდ გასრულვართ უგუაროთა და უკმართაგან“. შეუძლებელია, რომ ძირძველთა შეტევის ობიექტი ყოფილიყო მაშინდელი მეჭურჭლეთუხუცესი — „ეს ძუელი ვაზირი“ და მსახურთუხუცესის თანასწორი (ყარის გარიგება). ამის შესახებ უსათუოდ იტყოდა ისტორიკოსი. პირიქით, ისე ჩანს რომ ყუთლუ გაფიცულ ძირძველებთანაა: იმ „ზიდვაში“, ყუბასარის დაცემას რომ მოჰყვა, ყუთლუ ცხოველ მონაწილეობას იღებდა — ამირსპასალარობას და სომეხთა მეფეთა ადგილზე ჯდომას აპირებდა. შეუძლებელია ყუთლუს ეს განზრახვა ჩვენ სხვა დროისათვის ვივარაუდოთ. ყუბასარის ნამემკვიდრეებზე იბრძოდნენ და, ამ ვითარებაში, არც წარმოიდგინება, რომ ყუთლუ უგვაროთა და უხმართა რიგიდან ყოფილიყო: ძირძველებმა გაფიცვით თავიანთი სახლების პატივი აღიდგინეს და ყუთლუს, თუ ის უგვარო იყო, როგორღა შეიძლებოდა ამირსპასალარობაზე ეოცნება. ეს ხომ საქ-

მის თავიდან დაწყება და გაფიცულთა კამარჯვების ლიკვიდაცია იქნებოდა? $\left(\frac{4}{21}\right.$ ფ. 23—24$\left.\right)$.

[§ 3. ყუთლუ-არსლანის დასის (კარავისელთა) გამოსვლა.]

8. ძირძველებმა გაფიცვა მოიგეს, ბრძოლა შეექმნათ ვაკანტურ კელისუფლობისა და დიდებისათვის და „ურთიერთს დაუწყეს ზიდვა“ (ისტ. აზმ. 87, მდ. 406—407). საქმე ისე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ბრძოლამოგებულებმა ეს თანამდებობანი თავისთვის დაირიგეს. ეს სრული ანარქია იქნებოდა, არამედ ისე, რომ ძირძველები მეფესთან იჯნენ ამ ვაკანტურ სავაზირო ადგილებს (აი ისევე, როგორც გრიგოლ ასათისძემ იჯა არიშიანის ადგილზე ჯდომა სასთაულითა) და ურთიერთს ეცილებოდნენ ისე, რომ ურთიერთის პრეტენზიებს უარყოფდნენ და თავთავიანთვის ცდილობდნენ. ასე რომ ეს ვაკანტური ადგილები ცარიელი რჩებოდა, ვიდრე ყუთლუს გამოსვლაც არ ჩათავდა და დიდებულთა ერთნებაობითა და თანადგომითა სასურველი კანდიდატები არ შეარჩია მეფემ. მეპურჭლეთ-უხუცესი ყუთლუ-არსლანი არ შეიძლება ყოფილიყო „უპატიოდ და უსახელოდ“ გასული სახლის შვილი. ის შეურაცხყოფილი არ შეიძლება ყოფილიყო, მაშასადამე არც ერთიმეორის ზიდვაში მონაწილე არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ის იყო „ცხოველი ჯორის სახიან ყოფილი“, გონების მზაკვარებით შეპყრობილი და რა ხელსაყრელი დრო შეარჩია, სარბიელზე გამოვიდა, აქამდე მიდუმებული. მეფის მარად მმადლობელი უნდა ყოფილიყო და ერთგული. ფიქრობს ისტორიკოსი და ასეთი უკეთმართობა და ტახტის ორგულობა გამოამჟღავნაო. $\left(\frac{4}{21}\right.$ ფ. 15$\left.\right)$.

9. და აი ამ უმადურმა ყუთლუმ „მომღებელმან წესსა რასამე სპარსთაგანისამან ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისსა და სანახებსა საღოდებელისსა და თქუა: „დასხდომილნი მუნ შიგან, განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; მა-

შინლა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი“ (ისტ. აზმ. 77, მდ. 406—7).

ვინც არ უნდა იყოს სოციალურად ყუთლუ-არსლანი (მაინცდამაინც დაბალი წრიდან ის არ ჩანს რომ იყოს), სულ ერთია მისი მოთხოვნილების ხასიათი ისეთია, რომ სარჩევი და საფიქრი არაფერი რჩება, ის დიდგვარიანთა ინტერესებს გამოხატავს, ის დიდგვარიანთა ბრძოლის დამგვირგვინებელია, მისი უმაღლეს საფეხურზე ამყვანია, უმაღლესი სახის პოლიტიკური ბრძოლის ჩამომყალიბებელია. სრულიად წარმოუდგენელია, რომ ის რაღაც პლუტოკრატიის ინტერესების გამომხატველია. ზოგად მოსაზრების გვერდით ამას ეწინააღმდეგება ყველაფერი, რაც კი ყუთლუსთან არის დაკავშირებული. მისი თანაშეფიცულები (დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი და ლ ა შ ქ ა რ ნ ი), მისი განზრახვა ამირსპასალარად და სომეხთა მეფეთა ადგილზე დაჯდომისა. ხომ აშკარაა, რომ ყუთლუს თანაშეფიცულნი ლაშქარნი და დიდებულნი ისნის კარავში თავიანთ თავს გულისხმობდნენ და არა ისევ უგვარო-უხანოებს. მაგრამ საიდან წარმოსდგა ეს შეხედულება, რომ ყუთლუ-არსლანი უგვაროა, რომ ის პლუტოკრატიის წრიდან გამოსულია? (ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე, ს. მაკალათია, შ. მესხია) რომ ეს მოძრაობა „მესამე წოდების“ პოლიტიკური გამოსვლაა (მაკალათია). შეცდომის სათავე ტექსტის არასწორი გაგებისაგან წარმოსდგება. პირველი ისტორიკოსი ხმარობს: „ცხოველმან ჯორის სახიან ყოფილმან ვითარ მისცემს ბიჭთა გონებისა მზაკვრებად, მომღებელმან წესსა რასმე სპარსთაგანისამან...“ და მეორე ისტორიკოსთან „სიმდიდრესა ზედა ალაღებულნი“. ასეთი დახასიათება კარგად თავსდება დიდგვარიანთა მიმართაც და არავითარი საჭიროება არ არის მესამე წოდების თუ პლუტოკრატიის ძებნისა:

1) ყუთლუ იმ უგვაროთა რიგიდან არ ყოფილა, რომელთა წინააღმდეგ ძირძველებმა გაფიცვა გამოაცხადეს;

2) ყუთლუ ძირძველთა ამ გამარჯვების დროს ყუბასარის ადგილს დაჟინებით იჩემებდა („თავისა ამირსპასალარად განმზადებული“).

3) ყუთლუს თანაშეფიცულნი ლაშქარნი და დიდებულნი იყვნენ.

4) ბოლოს, ყუთლუს მოთხოვნილება „დასასრულსა ჭელმწიფობასა პატრონისა მომცემელი“ იყო ამ ლაშქართა და დიდებულთა (თანაშეფიცულთა) სასარგებლოდ.

ასე რომ ჩვენ ვალდებული ვართ ტექსტის ზემოხსენებულ გაგებაში ეჭვი შევიტანოთ. $\left(\frac{4}{21}\text{ ფ. } 15\right)$.

10. ყუთლუს პროგრამის გამო: „ესე ვითა საწყინელ იყო, — დასასრულსა ქელმწიფობასა პატრონისსა მიმცემელი — ესრეთ იწყინა და გაიკვირვა და გაიგონა უკლებელმან გონებითა და საუნჯემან სიბრძნისამან. და მოიღონა ქელთგდებაჲ თავისა მის მოქმედთაჲსაჲ და, თანამზრახველ მყოფელმან ერთგულთა და საკუთართა მისთამან, შეიპყრა ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთუხუცესი და აწ თავისა თჳსისა ამირსპასალარად და სომხითს სომეხთა მეფისა ადგილსა, ლორეს, დაჯდომად განმზადებული“. (ისტ. აზმ. 77, მდ. 407).

აქედან ისა ჩანს, რომ მეფე ამ დროს ეყრდნობა ერთგულებს და საკუთრებს, ე. ი. ხელშინაურებს, დარბაზის ყმებს (ნახე „საკუთარი“) და არა დიდებულებს. ამ საკუთრებს ევაზირება და დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებს: მოქმედთა თავის (მეთაურის) დატყვევებას. ცხადია ეს ერთგულ-საკუთარნი საკმაო ძალისანი უნდა ყოფილიყვნენ, რომ ასეთი გადამჭრელი ღონისძიების მიღება უვაზირეს მეფეს, მაგრამ არც იმოდენა უნდა ყოფილიყო ერთგულთა და საკუთართა ძალა, რომ მეფე აჯანყებულ-გაფიცულთა შემორიგებას არ ცდილიყო კომპრომისის გზით... $\left(\frac{4}{21}\text{ ფ. } 25\right)$.

11. თამარმა ყუთლუ დააჭერინა. „ვითარცა ცნეს ესე ლაშქართა თანაშეფიცულთა და თანაშემწეთა მისისა მის მზად გამყოლობისა და უკეთურებისათა შეიყარნეს და უკუაგდეს და დაადგინეს ახალი სიმტკიცე ყუთლუ-არსლანისა გაშუებულობისაჲ და არ მიშუებისა ვნებად მისდა მეტყუელნი, განემზადნეს ისინისაცა შემობმად“ (მაშ შეთქმულები ისანში არ ყოფილან!!!). (ისტ. აზმ. 77).

აქედან კარგად ჩანს, რომ ყუთლუსთან შეფიცულნი არ ყოფილან სუსტნი და გადამჭრელი ზომების მიღებას, ძალის მოხმარებას აპირებენ. ეს ცნობა დიდი ყურადღების ღირსია: ვინ იყვნენ ეს გაფიცულები, რომ ასე თავგამოდებით იცავენ თავიანთ მეთაურს? ძათი გაბედულება იქამდე მიდის, რომ იარაღით სასახლის აღებასაც კი აპირებენ... მაშასადამე იმედი აქვთ რომ მეფის ერთგულთა და საკუთართა წინააღმდეგობას დაძლევენ და ისანს სასახლეს აიღებენ... მაგრამ აქაა უმთავრესი საქმის სერიოზულობა. გაფიცულები

არ ერიდებიან თვით სასახლის აღებასაც კი, ე, ი. მეფის შეურაცხ-ყოფასაც კი. შეუძლებელია, რომ ეს შეფიცულები („ლაშქარნი“ და „დიდებულნი“) უბრალო მოქალაქენი ყოფილიყვნენ. ეს იქიდანაც კარგად ჩანს, თუ რით დამთავრდა ეს მოძრაობა: დიდებულთა ერთნებაობა-თანადგომის კომპრომისული ფორმულით. შესანიშნავია: დავითი არავის არაფერს ეკითხება და ამას თეორიულად ასაბუ-თებს მეფის ხელისუფლების ღვთის მიერობით მისი ისტორიკოსი. მისი თეორიაა: მეფე შეუზღუდველი, ქვეშევრდომები მისი ნების შემყურენი.. როგორც ღვთის, ისე მეფის წინააღმდეგ ფიქრი და საქ-ციელი ბოროტებაა, რომელსაც ღმერთი სჯის. ამ ქვეყნად ღმერთი მეფის ხელით მოქმედებს, მაშასადამე მეფის მოქმედება შეუვალია, ღვთისმიერია. მაშინაც, დავითის დროს, ყველა არ იყო, ჩანს, ამ თეორიის მომხრე და მეფის თვითნებობას უსამართლოდ უყურებ-და... ბრძოლა სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა, რაც უფრო მწვავდებოდა კლასთა ბრძოლა და მწარმოებელი საზოგადოების და-უფლებისათვის ესა თუ ის კლასი სახელმწიფო საქმეების ხელში ჩაგდებას ისწრაფოდა... ამ აბსოლუტისტურ თეორიას იმთავითვე პრაქტიკულად უპირისპირდებოდა სხვა თეორია — ფეოდალური თეორია... რომელმაც ყუთლუ-არსლანის სახით სრულიად ჩამოყა-ლიბებული პოლიტიკური სახე მიიღო...

ღვთისნებითობის თეორია, უეჭველია, ბიზანტიის სამყაროდან, ქრისტიანულ საეკლესიო წრეებში შექმნილი, შემოტანილი ჩანს, მაგრამ ამით ამ თეორიის პრაქტიკულ პოლიტიკური მნიშვნელობა საქართველოს სინამდვილეში არ მცირდებოდა. მარტო ის რად ღირს, რომ ეს თეორია ქართულ პოლიტიკურ სარბიელზე სწორედ დავითის დროს გამოდის. მართალია, ღმერთი აქამდეც მეფის მხარე-ზე იყო მაღალ ფეოდალებისა და მეფის ბრძოლის დროს, — ბაგ-რატ IV და აბაზაძენი — თუმცა ამ თეორიას როდი იზიარებდნენ დიდგვარიანები და თავიანთ ბრძოლას არანაკლებ სამართლიანად თვლიდნენ. მაინც დავითის დროიდან ეს ბრძოლა უფრო მაღალ სა-ფეხურზე ავიდა (სუმბატი, მართალია, აზნაურთა ღადრობაზე ჩივის, მაგრამ აქ განსაკუთრებულ რაღაც დანაშაულს, მაინც და მაინც ცოდეას არ ხედავს. სულ სხვაა დავითის დრო: აქ მეფე ღმერთს გა-ნასახიერებს დედამიწაზე და მის წინააღმდეგ მოქმედება ღვთის წინაშე დანაშაულია)... ამის სრულიად საწინააღმდეგოა თამარის დრო. მეფის უფლება-მოქმედების შესახებ მსჯელობა დავითის დროიდანვე რომ მოსდევდათ დიდებულ აზნაურებს, ეხლა თამარის

დროს, სრულიად გარკვეულ თეორიად ჩამოყალიბდა, სრულიად საწინააღმდეგოდ მეფის ღვთისმიერობის თეორიისა. მართალია, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყუთლუს და მის გაფიცულებს მთელი სიღრმით არ ესმოდათ თუ რას ითხოვდნენ. რა თქმა უნდა არა. ეს თუნდაც იქიდან კარგად ჩანს, რომ ვიდრე ყუთლუ გამოვიდოდა მის მომხრე დიდებულთ და ლაშქართ მასთან ერთად ფ ი ც ი დ ა უ დ ე ვ ი ა თ. ფიცში ამ შემთხვევაში შეთქმის მომენტიც იგულისხმება, მაშასადამე შეთქმულან, უმსჯელნიათ, გადაწყვეტილება მიუღიათ. ყუთლუს მოთავეობით. შეიძლება ავტორიც იყო იგივე ყუთლუ. შეთქმულთ კარგად ესმოდათ, ჩანს, საქმის სერიოზულობა — თამარის მომხრეთა დასს შეფიცულთა მოთხოვნა „დასასრულსა კელმწიფობასა პატრონისსა მიმცემელ"-ად შეუფასებიათ. ე. ი. პატრონის კელმწიფობას დასასრულს აძლევდაო, მაშასადამე, კელმწიფობა კარავისელებზე გადმოდიოდაო, ე. ი. რესპუბლიკა... მაგრამ არანაკლებ ცხადად ესმოდათ ეს მდგომარეობა მეფის საკუთართ და ერთგულთ, რომელთაც მეფისათვის ყუთლუს ხელთგდება განუზრახავთ. ამის საპასუხოდ ყუთლუს თანაშეფიცულებს კიდევ უფრო გაბედული ნაბიჯი გადაუდგამთ—ახალი სიმტკიცე დაუდგენიათ, რომ ყუთლუს არაფერი ევნოსო და სასახლეზე შემოტევისათვის მომზადებულან. ამრიგად, ორი დასი ერთი მეორის შესაბმელად გამზადებული ნაბიჯი გადაუდგამთ—ახალი სიმტკიცე დაუდგენიათ, რომ ყუთსაუკუნოვანი ბრძოლა იმის გამო, თუ ვის დარჩებოდა ბატონობა სახელმწიფო ორგანიზაციაში, რომ ამით უზრუნველეყო შეუცილებელი ბატონობა ქვეყნის მწარმოებელ საზოგადოებაზე, — აი ეს ბრძოლა გადაწყვეტის პირას იდგა — ფოკუსში თავი მოეყარა და ორი შეიარაღებული დასის სახით მეფის სასახლის გარშემო დარაზმულიყო...

ცალკე საკითხია, სად ირაზმებოდნენ ყუთლუს შეთქმულები. უეჭველია არა ისანში, სადაც მეფის სასახლეები იყო. აქ მეფის საკუთარნი და ერთგულები იქნებოდნენ გამაგრებულნი. ჩანს „ლაშქართ" და „დიდებულთ" აქვე თბილისში ჰქონდათ სასახლეები და მრავლად უნდა ჰქონოდათ... ყუთლუ მეჯურჭლეთხუცესი იყო, ქალაქიც მას ექვემდებარებოდა. $\left(\frac{4}{21}\right.$ ფ. 18—22$\left.\right)$.

12. ფრიად სერიოზული მომენტი იდგა. ყუთლუს დასი და მეფის საკუთართა და ერთგულთა დასი ერთი მეორეს უნდა დატაკებოდნენ.

საფრთხეში იყო მეფის ხელისუფლება და თვით მეფე. გამოცდის დღე იდგა. ჩანს, საქმის სერიოზულობა ესმოდათ ორივე დასს და საქმის იარაღით გადაჭრას ერიდებოდნენ: გამარჯვებაში დარწმუნებულნი არ იყვნენ, და ვიდრე ასეთი ყოყმანი იყო, მეფემ აიღო მოქმედების ინიციატივა და მოლაპარაკებას მიმართა. ისტორიკოსის თეორიით „ჰელი საუფლოჲ და მკლავი მაღალი შემწე და ფანამბრძოლ ექმნებოდა მბრძოლთა მათ მისია ზედა და, მის წილ ამღებელი ჰურისა და ფარისაჲ, ეკუთებოდა დამხობად წინააღმდეგომთა მისთა, ცუდ სამე იქმნა განზრახვაჲ მათი (ჩანს ყოყმანობდნენ ვერ ბედავდნენ)... და ამას შინა თამარ, წარმგზავნელმან ორთა საბატიოთა დედოფალთა დედოფალთამან, რომელი იყო ერთი ხუაშაქი ცოქალი, დედაჲ ქართლისა ერისთავთ-ერისთავისა რატისი და ერთი კრავაჲ ჯაყელი, დედა აწ მყოფთა სამძივართა უბრძანა ფიცით მონდობაჲ და სხუისა არავისი ბრალობაჲ". (ისტ. აზმ. 77—78).

ისტორიკოსს მდგომარეობა ისე ესმის, და ეს ასეც იყო, რომ ყუთლუს დასი მეფობას ემუქრებოდა. ღმერთი ასეთ შემთხვევაში მეფის მხარეზე გამოდის და მეფის მოწინააღმდეგეების დასამხობად ხელთ აიღებს „ჰურსა და ფარს". საქართველოს წარსულში დიდგვარიანნი არაერთხელ გამოსულან მეფის წინააღმდეგ. უმთავრესად ეს იყვნენ ცალკეული დიდგვარიანნი თავიანთი მოკიდებულებით („პარტიები") თუ ჯგუფურად, ასე მაგ. ბაგრატ III წინააღმდეგ „აფხაზები" და ქართლელები, ბაღვაში, გიორგი I წინააღმდეგ კახნი, ჰერნი, ტაოელნი აზნაურნი, ბაგრატ IV წინააღმდეგ ბაღვაში, აბაზაძეები, გიორგი II წინააღმდეგ ქვაბულისძენი, ივანე ლიპარიტის ძე, ვარდან სვანთა ერისთავი, დავითის წინააღმდეგ ძაგან აბულეთის-ძე, ბაღვაში და ქართლის დიდებულები; დემეტრეს წინააღმდეგ მისი შვილი დავით, გიორგი III წინააღმდეგ მისი ძმისწული დემნა და ორბელები... მაგრამ ყველა ეს გამოსვლა მეფის პერსონის წინააღმდეგ იყო მიმართული, მეფეთა გადაყენებას, შემონაზონებას, სხვის გამეფებას ისახავდა მიზნად (ასეთ გამოსვლათაგან გამარჯვებით დამთავრდა დავით უფლისწულისა და მისი დასის გამოსვლა გიორგი II წინააღმდეგ, რასაც დავითის გამეფება და საშინაო პოლიტიკის სრული შეცვლა მოყვა). თამარის დროს სხვა ვითარება იმით იყო, რომ დიდგვარიანები აგრე ღიად დაუპირისპირდნენ უგვაროებს და მეფისაგან მოითხოვეს უგვაროთა მიმდგომობის პოლიტიკის შეცვლა (პირველი გამოსვლა), შემდეგ კი ამის გარანტიად მოითხოვეს პოლიტიკური წესწყობილების ძირითადი ცვლილება. ეს იყო დასრულებული, მაღალ საფეხურზე აყვანი-

ლი შეტევა მეფის ხელისუფლების აბსოლუტური ტენდენციების წინააღმდეგ. გადამჭრელი შეტევა სახელმწიფო ძალაუფლების დასაპყრობად კოლექტივის მიერ, დიდგვარიანთა მიერ, რაც გულისხმობდა ქვეყნის კოლექტიურ მმართველობას, კარავისელთა მმართველობას. იგულისხმება, რომ ამის სრულიად საწინააღმდეგოს მოითხოვდნენ უგვარო-უხანოები, — მეფის უფლების შეუზღუდავობას, როცა ვარდსა და ნეხვსა... მზე სწორად მოეფინების.

ისტორიკოსი არ ამბობს, თორემ საქმე ასე უნდა ყოფილიყო, რომ გაფიცული კარავისელები ასე ადვილად „მოჰყვეს... ბრძანებასა პატრონისასა". ჯერ ის ფაქტი, რომ მოლაპარაკებას იწყებს მეფის მხარე აშკარად აჯანყებულ დიდებულებთან, რომელნიც სასახლის აღებასაც კი იმუქრებიან, ეს ფაქტი მაინც და მაინც არ მოწმობს მეფის საკუთართა და ერთგულთა სიძლიერეს. მეორე მხრით, არც აჯანყებულნი ჩანან თანმიმდევრულნი და ადვილად თმობენ მეთაურს, რომელიც, მართალია, ფიზიკურად არ დაუსჯიათ, მაგრამ სახელო ხომ დაკარგა... აი სწორედ აქ შეიძლება გასაღები აღმოვაჩინოთ. ჩანს, ლაშქართა და დიდებულთა შორის ერთსულოვნობა არ იყო, ისევე როგორც ეს აღმოჩნდა ორბელთა აჯანყების დროს.... მეფის მხრით შეთავაზებულმა დათმობამ ადვილად მოშალა შეფიცულთა სიმტკიცე და ყუთლუ ფეოდალური უორგანიზებულობის მსხვერპლი გახადა. საფიქრებელია, მის წინააღმდეგ არა ერთი დიდგვარიანი მოქმედებდა და მის მეთაურობას არა სცნობდა: მეტად დიდი იყო ამირსპასალარობის სახელო, რომლის ხელთგდებას ყუთლუ აპირებდა და კიდევაც მიაღწევდა მიზანს, თუ მისი პროექტი სახელმწიფო წყობილებისა განხორციელდებოდა.

$\left(\frac{4}{21}\text{ ფ. } 26-29\right)$.

13. ყუთლუს გამოსვლისას თამარმა გაფიცულებთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა „ორი საპატიო დედოფალთ დედოფალი" რომელი იყო ერთი ხუაშაქი ცოქალი დედა ქართლისა ერისთავთ-ერისთავისა რატისი და ერთი კრავაჲ ჯაყელი დედა აწ მყოფთა სამძივართა" (ისტ. და აზმ. 78, მდ. 408). (ცეკელიძის აღდგენა: „და ერთი კრავაჲ ჯაყელთა დედა აწ მყოფთა სამძივართა" დაუსაბუთებელია). აქედან ცხადია, რომ სამძივარი დიდი გვარია: სამძივრების დედა საპატიო დედოფალთ დედოფალია და მეფის კარზე თამარის მრჩეველია. კარზე სამძივრები თამარის ერთგულად დარჩენილან (ისევე როგორც რატი ერისთავი), (თუ რატიც და სამძივრებიც განდგომილთა შორის არიან და მათი დედები კი

მეფესთან?) ერთ-ერთი სამძივარი კარგად ჩანს. 1189 წელს არსენ სამძივარი საწოლისა და საჰურჭლის მწიგნობარია (ქრონიკები II, 74). საწოლის მწიგნობარი მეფესთან ფრიად დაახლოებული პირი იყო და „სააჯო კარში“ ჭყონდიდელის შემდეგ პირველი კაცი. მისი საჰურჭლის მწიგნობრობაც ნიშანდობლივი ჩვენება შეიძლება იყოს: ყუთლუ ხომ მეჰურჭლეთუხუცესი იყო. $\left(\frac{4}{21}\text{ ფ. } 30\right)$.

14. თამარმა კარავისელებს მანდილოსნები გაუგზავნა და „უბრძანა ფიცით მონდობა და სხუისა არავისი ბრალობაჲ და მოჰყვეს დიდებულნი ბრძანებასა პატრონისასა და წინაშე მოსრულთა დავრდომბით თაყუანი სცეს, უძალოთა აღიღეს ფიცი პატრონისაგან და მისცეს მას ერთგულობისა და ნებისმყოფელობისა მათისაჲ“. (ისტ. და აზმ. 78, მდ. 408).

ისტორიკოსი აქაც ცალმხრივობს და სიტყვაძვირობს (რაც ჩვეულებრივ არა სჭირს). ისე გამოდის, რომ საკმაო იყო მეფეს იმედი მიეცა აჯანყებულთათვის: ბრალს მარტო ყუთლუს დავდებ და თქვენგან კი არავისო და ამის შესრულებას ფიცით შეპირებოდა, რომ „მოჰყვეს დიდებულნი ბრძანებასა პატრონისასა“. ჯერ ერთი, თამარი ადასტურებს, რომ ის ყუთლუს არ მოხსნის „ბრალობას“. კარავისელები კი ახლად შეიფიცნენ სწორედ ყუთლუს უვნებლობისა და მისი გაშუებულობის (ე. ი. პატიმრობიდან განთავისუფლების) პირზე... მეორეც, ისტორიკოსს ისე გამოყავს, თითქოს კარავისელები რაღაც დანაშაულს გრძნობენ მეფის წინაშე და უმალვე მოინანიეს, როგორც კი მეფე შეპირდა (ფიცით), რომ არავის არაფერს დააბრალებდა. რა თქმა უნდა, ყოვლად უსუსური განმარტებაა. კარავისელები სრულიადაც რაღაც ბრბო არ იყვნენ. ეს პოლიტიკურად მომწიფებული დასი იყო და კარგად ესმოდა, თუ რა რიგ დანაშაულს სჩადიოდა, როცა ყუთლუს პოლიტიკურ პროგრამას იზიარებდა. ის, რა თქმა უნდა, არავითარ დანაშაულს არ გრძნობდა და მისი აზრით, „მართალი საქმისათვის“ იბრძოდა.,.

თუმცა ისტორიკოსისავე ცნობაც გვაფიქრებინებს, რომ კარავისელები არც აგრე მარტივად დანებებიან მეფეს — მეფემ მათ ფიცი მისცა და მათაც ფიცი მისცეს. ეს თავისთავად არაა პატრონყმული ან, კიდევ უფრო, ხელმწიფესა და ქვეშევრდომთა შორის ეთიკეტი. ეს უფრო თანასწორთა შორის შესაქმებაა. ამიერიდან (ამის ნიადაგზე) კარავისელები (დიდებულები) თავის თავს როგორც მხარეს განიხილავდნენ და ასეთივე მხარედ მეფეს განიხილავდნენ.

ეს კარგად ჩანს ივანე ათაბაგის წერილში რომის პაპის მიმართ, სადაც ის რუსუდან მეფის არჩევაზე (elegimus) ატყობინებს მას.

ასე რომ ყუთლუს გამოსვლით იწყება დიდგვარიანთა პოლიტიკური დასის გაფორმება მეფის თვითმპყრობელური ტენდენციებისაპირისპიროდ, მესამე წოდების ზრახვათა საპირისპიროდ, სახელმწიფო ხელისუფლების შეუცილებლად დაუფლებისათვის, მეფის ხელში ჩაგდებით მესამე წოდების განიარაღებისათვის... ყუთლუ მთელი ახალი საფეხურია საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ განვითარებაში..

ისტორიკოსით ისე გამოდის, რომ კარავისელები ადვილად დადგნენ მორიგების გუნებაზე, უვნებლობის ფიცი მიიღეს, ერთგულობის ფიცი მისცეს და მშვიდობაც დამყარდა. მაგრამ საქმე რომ ასე არ დამთავრებულა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამიერიდან განსხვავებული პოლიტიკური წყობილება დამყარდა ერთნებობის პრინციპით და რომ ძირძველთა დიდი ნაწილი ისევ უკმაყოფილო რჩებოდა, რაც მათ კარგად გამოამჟღავნეს რუსის მეორედ გამეფების ცდაში. ასე რომ მშვიდობა და თანხმობა არ დამყარებულა. საქმე კომპრომისით დასრულდა, ყუთლუ დამარცხდა, მისი პროგრამა არ განხორციელდა. ის მშვიდობით და უვნებლად გაუშვეს, თუმცა სახელოზე კი ხელი ააღებინეს. ვინ იყო ყუთლუ, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ის რომ უკიდურესი რეაქციული დიდგვარიანების დასის წარმომადგენელია, ეს უთუოა. მისი მოთხოვნილება (პროგრამა) ამ დიდაზნაურთა ბრძოლის ლოგიკური განვითარება, მისი მაღალ საფეხურზე აყვანაა, სახელმწიფოს მართვა-გამგეობის შეუცილებლად ხელში ჩაგდებას ისახავს მიზნად და ახალ კაცთა, უგვარო-უხანოთა გაძევებას ემსახურება. ასე რომ ყუთლუს დამარცხება დიდგვარიანთა რეაქციული ფრთის დამარცხება იყო... მაშ ვინ გაიმარჯვა? გაიმარჯვა დიდაზნაურთა საშუალო ფენმა. „გუარიანმა“ და „ერთგულთა“ სახლებმა (ჭიაბერი, მხარგრძელები, თორელები). საფიქრებელია, ესენი არ იყვნენ თავწამკვდარი კარავისელები და მოლაპარაკებისას ადვილად დაეთანხმნენ კომპრომისულ გამოსავალს. ამით შეასუსტეს ოპოზიციის ბანაკი და რეაქციული ფრთაც იძულებული შეიქმნა კომპრომისულ მოდუსს დათანხმებოდა და პროგრამა-მაქსიმუმი დაეთმო. ასეთ პირობებში ყუთლუს ბედი გადაწყვეტილი იყო: ფიზიკური ხელშეუხებლობა წაგებული საქმისას ერთგვარი მიღწევაც იყო. ყუთლუ განწირული აღმოჩნდა. რეაქციონერები მიდუმდნენ

დროებით. ძალთა განწყობილება მათი სასარგებლო არ იყო. კარავისელობა არ განხორციელდებოდა: საქართველო ამაზე უფრო წინ წასული ქვეყანა იყო: ახალკაცების მოდინების შეკავება, როგორც ეს რეაქციონერებს ენებათ, შეუძლებელი იყო. მაშასადამე შეუძლებელი იყო სახელმწიფო ხელისუფლების მთლიანად ხელში ჩაგდება, მეფის ხელმწიფობის მიტაცება. საზღვარიც კი გვარიანებს და უხანოებს შორის ძნელად გასატარებელი იყო: ბაგრატ III შემდეგ და განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის შემდეგ და მისი პოლიტიკის წყალობით ახალკაცთა მთელი წყებაები შემოვიდა და დიდგვარიანთა რიგში ჩადგა, ასე რომ რომელიმე კახაბერისძეს, ან საღირისძეს, გრიგოლის ძეს თუ ტბელებს თანდათან გვერდში ამოუდგნენ ორბელები, მხაგრძელები, ჭიაბერისძეები და სხვა ათასი, რომელთაგან ზოგი უფრო ადრე, ზოგი უფრო გვიან გადიდკაცდა (გვარებიც დაიძველეს!!), ზოგი კიდევ ეს-ეს არის ამოძვრა უგვაროთა რიგებიდან. და აჯანყდნენ ძირძველები ამ უხანოთა წინააღმდეგ, მაგრამ ძნელი ჩანდა საზღვრის გაელება და არც ადვილი იყო ყველა მათი პოზიციის გარკვევა... რომელიმე მხარგრძელს სძულდა ყუბასარი და მის უგვარობას ხელზე იხვევდა კახაბერისძეებთან ერთად, მაგრამ კარავისელობისა არა სწამდა, აქ მას იგივე კახაბერისძე ძირძველობით დაუპირისპირდებოდა. მეფისადმი ერთგულება მხარგრძელისათვის აუცილებელი იყო კახაბერისძე დადიანებთან, ამანელისძე, საღირისძე, გრიგოლისძე, არიშიანებთან თუ კალმახელიძეებთან ქიშპისას, მაგრამ მეფის აბსოლუტისტური ტენდენციები, რომელიც ყუბასარ-აფრიდონებს აწინაურებდა, სასურველი არ იყო გადიდგვარიანებულები „არტაქსერსეს“ ჩამომავალ ხოჟორნიელ აზნაურისათვის... ამრიგად, ძალთა განწყობილება შემდეგი იყო: ერთი მხრით იდგა მეფე უგვარო-უხანოთა წინწამოწევა-აღზევების ტენდენციებით, „ერთგულთა მაძიებელი“ და სახელმწიფოს გაუხეთქელად დაცვის მზრუნველი, მეორე მხრივ მრავალ ტრადიციების შემცველი დიდგვარიანნი ძველი მთავრების ჩამომავალთაგან დაწყებული გუშინწინანდელ გადიდებულ-აზნაურებამდე. საერთო ინტერესების გვერდით, გარკვეულ მომენტებში თანხმობის გვერდით მათ ურთიერთ შორის შინაკლასობრივი ბრძოლაც ახასიათებდათ და ნდობა-თანხმობის გვერდით უნდობლობა-უთანხმოებაც სჭირდათ. სხვადასხვა იყო, ბუნებრივია, მათი პოზიციები მეფის ხელი-

ხუფლების რაობისა და როგორობის საკითხში... $\left(\frac{4}{21}\text{ ფ. } 31-36\right)$

15. დიდგვარიანთა გამოსვლა ჩათავდა. და თამარი სახელმწიფოებრივ საქმიანობას შეუდგა. „პირველად გარდაცვალებასა და გამორჩევასა შინა ორთა ვაზირთა და სპასპეტთასა, თანადგომითა და ერთნებაობითა შვიდთავე სამეფოთა დიდებულთათა ბრძანა დამტკიცებად ჭყონდიდლად, მწიგნობართ უხუცესად და [ვაზირთა][2] ვაზირად ანტონი, გაზრდილივე მამისა მათისა, ბრძენი და გონიერი, პატრონთათვის სუიანი და ერთგული და შეშეცნებული საურავთა შინა. და განაჩინა ამირსპასალარად სარგის მხარგრძელი კაცი გუარიანი და აღზრდილი ლაშქრობათა და ჭაბუკობათა და უბოძა ლორე სათავადო და სამთავროჲ სომხითსა შინა და წყალობა უყო ძისაცა მისისა ზაქარიაჲს დალოცვითა და ითაყუანა დარბაზის ყმად უმცროსი შვილი მისი ივანე. და განაჩინა და უბოძა ჭიაბერსა მანდატურთუხუცესობა და მისცა არგანი ოქროჲსაჲ ჭელთა მისთა და შთააცვა ტანსა მისსა სკარამანგი. და დასუეს სელებითა ოქროჭედილებითა, რომელნიმე მარჯუენით მისსა და რომელნიმე მარცხენით. და ჯუალად უბოძა მეჭურჭლეთუხუცესობა დიდსა და გვარიანსა კაცსა ვარდანისძესა კახაბერს და მსახურთუხუცესობა დადიანსა ვარდანს, ჩუხჩარხობა მარუშიანსა, ძესა ჩუხჩარხისასა ვინაჲცა მათ ორთავე მამანი მომყოვრებელ ქმნილ იყვნეს და დასდვა მათ მამისა პატივი მათისაჲ და დასხნა სასთაულითა და უბოძა ამირახორობა გამრეკელსა თორელსა, რომელი ამირსპასალარიცა იქმნა შემდგომად სარგის მხარგრძელისა". (ისტ. აზმ. 78, მდ. 409).

თავდაპირველად ტექსტის გაგებისათვის: რას ნიშნავს „გარდაცვალებასა და გამორჩევასა შინა ორთა ვაზირთა და სპასპეტისა"?? ერთი შეხედვით თითქო საუბარი შეეხება ორი მიცვალებული ვაზირის კანდიდატების შერჩევას. მაგრამ ასეთი გაგება მცდარია: არავინ ორი ვაზირი არ გარდაცვლილა, არამედ მოხდა გამორჩევა ორთა ვაზირთა და სპასპეტთა, რომელთა ნამოადგილეები გარდაცვალეს, ე. ი. გამოცვალეს: ზოგი რისა და რის გამო: ყუბასარი ავადმყოფობისა და დიდებულთა მოთხოვნის გამო, აფრიდონი — ნებითა და თნევითა ლაშქართათა, მწიგნობართუხუცესი მიქაელი იმის გამო, რომ მეფის სათნო არ იყო. ყუთლუ-არსლანი იმის გამო, რომ გაფიცულთა მეთაური იყო და მეფის ორგულობა გამოამჟღავნა, ჩუხჩარეხი იმის გამო, რომ მიმყოვრებულქმნილ იყო (მოხუცებულიყო). ასევე მოხუცებულიყო ვარდან დადიანის მამა, რომელსაც, როგორც ჩანს, მსახურთუხუცესობა ჰქონდა, ვიდრე

[1] წყაროს აღდგენა ნ. ბერძენიშვილისეულია (რედ.).

გიორგი მეფე აფრიდონს გაამსახურთუხუცესებდა. ამირახორი იმის გამო (??)... ან შეიძლება ამ დროისათვის მართლაც გარდაიცვალა ორი ვაზირი ყუბასარი და მიქაელი? და შეიძლება გარდაცვალება მართლაც სიკვდილს ნიშნავდა და გამორჩევა კი შეეხება ყველას, როგორც მიცვალებით ვაკანტურ ადგილებს, ისე სხვა მიზეზებით (ყუთლუ, მიმყოვრებულობა...)[3].

სრულიად წარმოუდგენელია, რომ დიდგვარიანთა პირველი გაფიცვის შედეგად ყუბასარ-აფრიდონის ადგილები ძირძველებს დაეჭირათ და ახლა ამ ადგილებზე ერთნებაობა-თანადგომის პრინციპით ახალ პირებს ირჩევენ, ამირსპასალარს, მსახურთუხუცესს. ამას გამორიცხავს საქმის მსვლელობა. მაშ უნდა ვივარაუდოთ, რომ ორივე გაფიცვა ერთიმეორეს მიდევნებით მოხდა და ყუბასარ-აფრიდონის თანამდებობანი (ამირსპასალარობა, მანდატურთუხუცესობა და მსახურთუხუცესობა) ვაკანტური რჩებოდა, ვიდრე ყუთლუს გამოსვლის ჩათავების შემდგომ მთელი საავაზიროს ახლად გამორჩევა არ მოხდა „ერთნებაობითა და თანადგომითა (შვიდთავე სამეფოთა დიდებულთაჲთა“).

1. ვაზირი ანტონი გლონისთავისძე (მწიგნობართუხუცესი).
2. სარგის მჯარგრძელი ამირსპასალარი.
3. ჭიაბერი მანდატურთუხუცესი.
4. კახაბერ ვარდანისძე მეჭურჭლეთუხუცესი.
5. ვარდან დადიანი მსახურთუხუცესი.
8. მარუშიანი ჩუხჩარეხი.
7. გამრეკელ თორელი ამილახორი.

ამრიგად დიდებულთა თანაგმობით და ერთნებაობით მეფემ დაამტკიცა ჭყონდიდელ მწიგნობართუხუცესი, განაჩინა ამირსპასალარი, უბოძა მანდატურთუხუცესობა (ჭიაბერს), მეჭურჭლეთუხუცესობა, მსახურთუხუცესობა, ჩუხჩარეხობა და ამირახორობა.

ტერმინები „ბრძანა დამტკიცებად“, „განაჩინა“ და „უბოძა“ ყველაი იმას მოწმობს, რომ მეფეა ყველა ამის მოქმედი, ოღონდ „ერთნებაობითა და თანადგომითა“. ცხადია, ასეთ ვითარებაში ერთნებაობა სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ყველანი გამოუკლებლივ და თანაბარი სურვილით მხარს უჭერდნენ მეფის მიერ მიღებულს და სასურველ ღონისძიებას. უნდა ვიფიქროთ, უმრავლესობის ხმა პლჲუს მეფის სურვილი ერთნებაობად განიხილებო-

---

3 ეს 4 სტრიქონი დედანში (რომელიც ფანქრითაა ნაწერი) მელნითაა მიწერილი. ეტყობა შემდეგი დროისაა (რედ.).

და. უმცირესობა ასეთ პირობებში არ დააყოვნებდა უმრავლესობას, სათვალმჩენოდ მაინც დათანხმებოდა... თუ ასე არა, ჩვენ ვერ ავხსნიდით დიდგვარიანების ნაწილის საქციელს ცოტა უფრო გვიან (რუსის კვლავ გასამეფებლად).

მართალია ამ ახალ სავაზიროში ლიხთიქითის დიდებულები აგრე როდი ჩანან, როგორც ეს თამარის მეორედ კურთხევისას ჩანს, ან როგორც ეს მოსალოდნელია დიდგვარიანთა გაფიცვის დროს... მათვე ხელმძღვანელობდა ყუთლუ-არსლანი... და სადღა არიან ახლა? ვაზირთა შორის ორი კაცია დასავლეთიდან — ვარდან დადიანი მსახურთუხუცესი და ვარდანისძე კახაბერი მეჭურჭლეთუხუცესი, სამი ვაზირი და ამირახორი კი აღმოსავლეთიდანაა...

ასე რომ ლიხთიქითის დიდებულთა უპირატესობა შერყეულია (თუმცა ეს ფაქტი, ლიხთიქითის დიდებულთა უპირატესი გავლენის შერყევა დიდი ხანია უნდა დაწყებულიყო, განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის დროიდან, მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს პოლიტიკურმა და ეკონომიურმა ცენტრმა აღმოსავლეთში გადაინაცვლა; დავითის სამონეტო პოლიტიკა)... ლიხთიქითს ჩანს ტრადიციით რჩებოდა მეფის კურთხევის აფხაზთა მეფის დროის წესი... მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ლიხთიქითის ძველ სახლებს ისევე, როგორც სამცხე-ტაო-კლარჯეთის ძველ სახლებს, მეტი პრეტენზიები უნდა ჰქონოდათ, ვიდრე ლიხთაქეთის შედარებით ახალკაცებს...

ისე ჩანს, რომ ყუთლუ ამ რეაქციონერთა ზრახვებს გამოხატავდა და რაკი კარაეისელობის იდეა დამარცხდა, აღმოჩნდა, რომ ქვეყანა წინ წასულა და ასეთი რეაქციული იდეა მას აღარ შეეფერება: დიდგვარიანთა უმრავლესობამ (არა ძირძველებმა) მას გადამწყვეტ მომენტში მხარი არ დაუჭირა (ესენი იყვნენ გაერთიანების დროს მეფეთა მიერ დაწინაურებული სახლები უპირატესად). ასეთ ვითარებაში ძირძველები მიდუმდნენ და გარეგნულად ერთნებაობის მომხრეთა პოზიციებზე დადგნენ, ვიდრე შესაძლებლობა არ მიეცათ თავიანთი ზრახვების კიდევ ერთხელ გამომჟღავნებისა. ამრიგად, სამი დასი იყო: უკიდურესი რეაქციონერები, ყუთლუისტები, მათ მეფის ჯელმწიფობის გაქრობა ენებათ და ჯელმწიფობის საკუთარ ხელში ჩაგდება სურდათ; უკიდურესი მონარქისტები, მათ მეფე-ჯელმწიფის გაღმერთება ენებათ და დიდგვარიანთა დათრგუნვა. პირველი დასი დროგადასული იყო, მეორეს ჯერ კიდევ არ დადგომოდა სრული ტაროსი (საზოგადოებ-

რივი ურთიერთობა იქამდე არ განვითარებულიყო, რომ მეფე მხოლოდ ამათ დაყრდნობოდა და სხვებისათვის ომი გამოეცხადებინა). ასეთ პირობებში მესამე იმარჯვებდა: ის ყველაზე უფრო შეეფერებოდა ქვეყნის განვითარების დონეს...

უნდა წარმოვიდგინოთ, რომ დიდგვარიანთა უმრავლესობა ეხლა იმ ფენას შეადგენდა, რომელიც XI—XII საუკუნეებში აღზევდა მეფის ერთგულობის შედეგად, რომ ეს დიდგვარიანნი, მაშასადამე, გაერთიანებული ფეოდალური მონარქიის ნაყოფი იყო, მისი გამარჯვების ნაყოფი იყო და თვით იყო გამარჯვებულ-აღზევებული ამ გაერთიანების პირობებში და მის შედეგად და არა გაერთიანებამდელი დიდგვარიანი სახლები (მთავრები, სენიორები), დამარცხების შედეგად ფეოდალურ მონარქიაში შემოყვანილნი, რომელნიც მეფეს ჯელმწიფობას ექიშპებოდნენ ცალ-ცალკე და ჯგუფ-ჯგუფად. აი ამ უკანასკნელთა ზრახვა იყო, როგორცა ჩანს, ამ ახალს პირობებში მეფისათვის ხელმწიფობის წართმევა საერთო ძალით. ჩანს ამას არ იზიარებდნენ არა მარტო მეფის საკუთარნი, არამედ ერთგული ფეოდალები ჭიაბერისა და მჯარგრძელთა ტიპისა (sic) ისტორიკოსი ზოგის ერთგულებას და მეფის მიერ გაზრდილობას განსაკუთრებით გახაზავს, ზოგის მიმართ კი ასეთი ეპიტეტი არ წამოსცდება. საინტერესოა ეს გაზრდილობა. ჩანს არსებობდა ინსტიტუტი მეფის კარზე ვაზრდილობისა (დარბაზის ყმები, რაინდები). აქ, მეფის კარზე ყრმობის ასაკიდანვე იზრდებოდნენ აზნაურთა შვილები და ემზადებოდნენ მეფის ერთგულებაში სამოღვაწეოდ... დიდგვარიან ძირძველთა შვილები ამ ინსტიტუტში მათი მამების მძევლებს წარმოადგენდნენ, ხოლო ახალკაცთა შვილები მეფის საიმედო დასაყრდენს...

ძირძველებისათვის (ძველი სენიორებისათვის) მეფის კარი მათი დამარცხების შედეგად წარმოქმნილი იძულებითი ცენტრი იყო, სადაც ეს ამაყი და ქედფიცხელი სახლები არც თუ ხალისით იყრიდნენ თავს და ასევე უხალისოდ, საფიქრებელია, აძლევდნენ შვილებს მეფის სასახლეში აღსაზრდელად... ისინი ირჩევდნენ საკუთარ სასახლეებში მსხდარიყვნენ დამოუკიდებლად და აქვე ჰყოლოდათ თავიანთი მემკვიდრეები (ისტორიკოსებით, დავითიც, თამარიც განსაკუთრებულ ზომებს მიმართავდნენ, რომ ეს დიდგვარიანები თავიანთ სასახლეებში უქმად ხანგრძლივად არ მსხდარიყვნენ, რომ სხვასა რასმე განზრახვას არ დამოკიდებოდნენ...). სულ სხვა იყო მეფის სასახლე ახალკაცთათვის. ეს იყო მათი აღზევებისა და განათლების წყარო და, გასაგებია, სასურველ-სანატრელი

'გზა. ეს უკანასკნელნი, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო ძლიერი ხდებოდნენ, მეფე სულ უფრო და უფრო გაბედულობით იახლოვებდა იმ ახალკაცებს და მათ ძალას სულ უფრო და უფრო ემყარებოდა.

აქვე ერთი საკითხი. ისტორიკოსით ისე გამოდის, რომ ვაზირების ამ გამორჩევისას მწიგნობართუხუცესობა ანტონს დაუმტკიცეს. როგორც ვიცით, ეს ხელი მიტაცებული ჰქონდა მიქაელ მირიანის ძეს... ჩანს, მიქაელს ეს თანამდებობა წაართვეს, მაგრამ ასე არ მსჯელობს ბასილი ეზოს მოძღვარი... ვინ არის მართალი? თუ ვიფიქრებთ, რომ თამარის პირველი ისტორიკოსი ამ ამბების თანამედროვეა და მონათხრობ მოვლენებით სპეციალურად დაინტერესებულია, მაშინ როცა ბასილი ეზოსმოძღვარი, აგრეთვე თამარის მეფობის თანამედროვეა, მაგრამ უფრო გვიანი მწერალი და არც სპეციალურად დაინტერესებული თამარის დროის შინა პოლიტიკური ამბების გადმოცემით, თუ გავითვალისწინებთ, რომ თამარის პირველი ისტორიკოსი 1196 წელსა წერს ამ თავის თხზულებას და სწერს სპეციალურად შინა პოლიტიკურ მოვლენებზე (ჩვენი აზრით ეს მწერალი მართლაც თმოგველ-მხარგრძელთა სახლის შვილი უნდა იყოს და მაინც და მაინც ვისრამიანის ქართული ვერსიის ავტორი. ეს აზრი ჩვენ მისაღებად გვეჩვენება). — ჩვენ უფლება გვაქვს უპირატესობა ამ ავტორის კონცეფციას მივანიჭოთ და ანტონი გლონისთავისძის ხელახლად გავაზირება და, მაშასადამე, მიქაელისათვის ამ ხელის ჩამორთმევა (თუ მიქაელის გარდაცვალება-სიკვდილი) უფრო ადრე ვივარაუდოთ, ვიდრე ეს ბასილი ეზოს მოძღვარით წარმოიდგინება. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, თამარის პირველ ისტორიკოსს ისეთი მწყობრი სურათი ისეთის თანმიმდევრობით აქვს მოთხრობილი, რომ ძნელია შეეჭვება და ნაგვიანევი მწერლის შემთხვევით შემოტანილი ცნობისათვის უპირატესი დამაჯერებლობის მნიშვნელობის მიცემა. ასე რომ ვიდრე რაიმე სრულიად დამაჯერებელი ფაქტი არ მოგვიპოვებია, რომელიც პირველი ისტორიკოსის ცნობათა გადასინჯვას მოითხოვდა, ჩვენ უპირატესობას ამ ისტორიკოსის ცნობებს ვანიჭებთ და მის მიერ მოცემულ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას ვიზიარებთ[4].

$\left(\frac{4}{21}\right.$ ფ. 37—48$\left.\right)$.

---

4 საერთოდ კი აუცილებელია ამ ჩემი წერილის წინ წყარომცოდნეობითი ექსკურსის წამძღვარება, შემდეგ მოვლენათა ქრონიკის ზუსტი თანამიმდევრუ-

16. ყუთლუს გამოსვლის შემდეგ ახალი სავაზიროს გამორჩევისას:

„უბოძა მეჭურჭლეთუხუცესობა დიდსა და გუარიანსა კაცსა ვარდანისძესა კახაბერს და მსახურთუხუცესობა დადიანსა ვარდანს. ჩუხჩარხობა მარუშიანსა ძესა ჩუხჩარეხისასა ვინაჲცა მათ ორთავე მამანი მომყოვრებულ ქმნულ იყვნეს და დასდვა მათ მამისა პატივი მათისაჲ და დასხნა სასთაულითა“ (ისტ. აზმ. 79).

აქედან ჩანს რომ მსახურთუხუცესი ვარდან დადიანის მამა აგრეთვე მსახურთუხუცესი ყოფილა. ამ დადიანის მსახურთუხუცესობა უნდა აფრიდონის უწინარეს ყოფილიყო და გიორგი მეფეს, ჩანს, მისთვის წაურთმევია ეს ველი და აფრიდონისათვის მიუცია. გასაგებია, რომ თამარის დროს გაფიცული დიდგვარიანები ამ ფაქტსაც გულისხმობდნენ, როცა ამბობდნენ რომ „გუჯრიანნი და მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახელოდ გასრულ ვართ უგვაროთა და უხკმართაგან“. ამრიგად დადიანთა ძირძველმა სახლმა ამ გამოსვლის შედეგად ძველი პატივი აღიდგინა. $\left(\frac{4}{21}\text{ფ. } 12\right)$.

17. „და ერისთავნი მის ჟამისანი (ე. ი. იმ დროს, როცა ახალი სავაზირო „გამოარჩიეს“) ესენი იყვნეს: ლიხთიმერით ბარამ ვარდანიძე — სვანთა ერისთავად, კახაბერი — რაჭისა და თაკუერის ერისთავად. ოთაღოდ შარვაშისძე — ცხუმის ერისთავად, ამანესლისძე—არგუეთის ერისთავად და ოდიშის ერისთავად ბედიანი. ლიხთამერით ქართლის ერისთავად რატი სურამელი და კახეთის ერისთავად ბაკურ ყმა ძაგანისძე და ჰერეთის ერისთავად გრიგოლისძე ასათ, რომელმან მისტაცა მძლავრობით და მორევითა საღირს კოლონკელისძესა და მცირე ჟამ ქონებასა შინა იაჯა არიშიანის ადგილსა დაჯდომა სასთაულითა და ველთა უდვა შვილსა თჳსსა გრიგოლს ჰერეთის ერისთაობა; და სამცხის ერისთავად და სპასალარად აჩინეს ბოცო ჯაველი და სხუანი ველისუფალნი ტაძარსა და საყდარსა სამეუფოსა წინაშე მდგომელნი განაჩინეს წესისაებრ სახლისა“. (ისტ. აზმ. 79, მდ. 411).

ეს ცნობა ან ნაკლულია ან, თუ ის დაუზიანებლადაა შემონახული, ჩვენ არ გვესმის სწორად. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სად არიან ქვემო ქართლის ერისთავები, ან სამოქალაქოს, ან

ლი სურათის აღდგენის ცდა და მხოლოდ ამის შემდეგ ისტორიული ანალიზის გაშლა.

აფხაზეთის, ან გურიის, ან ჯავახეთის, ან თმოგვის, ან არტანუჯის, ან ტაოსკარის??

ან შეიძლება აქ ჩამოთვლილი ერისთავები ისინია, რომელნიც ახლა „გააჩინეს“? მაგრამ ასეთ ვარაუდს ეწინააღმდეგება თითქო ის გარემოება, რომ გამოთქმა „აჩინეს“ სპეციალურად ეხება მხოლოდ ბოცო ჯაყელს და „სხუა ქელისუფალთ“ და არა ამ ერისთავთ. მაგრამ, ამ შემთხვევაში, სადღა არიან ეს ერისთავები?... ვთქვათ, ქვემო ქართლის ერისთავი შეთავსებული აქვს ამირსპასალარს, ვთქვათ. რომ კახბერ ვარდანისძე ითავსებს რომელიღაც საერისთაოს ისევე, როგორც მანდატურთუხუცესი ჭიაბერი და მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი, მაგრამ ნაკლულობა მაინც რჩება...

ამირსპასალარი სარგის მხარგრძელი სომხითის მეფეთა ადგილზე ზის („უბოძა ლორე სათავადო და სამთავრო სომხითს შინა“), ასევე მეფეთა ადგილზე მჯდომია მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი, ლიხთიქითის „უცილობლად მქონებელი“ და ასეთივე ტაოელ მეფეთა ადგილზე მჯდომელია გუზან ტაოსკარელი, ასეთივე რანგის მოხელესთან უნდა გვქონდეს საქმე არიშიანობაში. ჰერეთის ერისთავმა ასათ გრიგოლისძემ... „იაჯა არიშიანის ადგილსა დაჯდომა სასთაულითა და ქელთ უდვა შვილსა თკსსა გრიგოლს ჰერეთის ერისთაობა“. აქედან ისიც ჩანს თითქოს, რომ არიშიანობა ისეთი ხელი იყო, რომ მის მფლობელს ჰერეთის ერისთაობის განკარგულებაც შეეძლო (მაინც და მაინც ეს სასთაულით ჯდომა გარკვეული უპირატესობის მანიშნებელია...). ასე რომ თითქო ოთხი მეფეთა ადგილზე მჯდომი ან მთავარი გარკვევით ჩანს: ლიხთიმერეთის (აფხაზეთის), ტაოს, სომხითის და ჰერეთის. შემდეგი საყურადღებო გარემოებაა ის, რომ გაერთიანებული ფეოდალური სამეფოს პრაქტიკაში სულ უფრო და უფრო ხშირია, როცა ამა თუ იმ მხარის ერისთავი არაა ადგილობრივი მკვიდრი. ასეთია, მაგალითად, თმოგვის ერისთავი (შემდეგ რომ თმოგველებად იქცნენ), ან მსახურთუხუცესი კაენის და ორბეთის ციხეში მჯდომი, რომელსაც ამავე დროს ლიხთიქით „ჰქონდა უცილობლად“. ეს ტენდენცია გაერთიანების დროიდანვე დასჩემდა ქვეყანას, გამაერთიანებელი, გამარჯვებული, ბუნებრივია, თავის ერთგულ მომხრეებს ნიშნავდა ძალით შემოერთებულ ქვეყანაში... მაგალითად, ბაგრატ IV (ანისში); დავით აღმაშენებელი (შარვანში — ჰერ კახნი და მწიგნობართუხუცესი), გიორგი III (ანისში). მაგრამ მეფის თვთმპყრობელობის ასეთი ტენდენციის წინააღმდეგ ძლიერად გამოდიოდა ფეოდა-

ლური ურთიერთობა, ფეოდალური ტენდენცია, რომელიც ქვეყნის სამთავროებად დაქსაქსულობის საფუძველს შეადგენდა... არა ადგილობრივ მკვიდრს, ერისთავად დასმულს, მეფის ერთგულებით შეეძლო ამ ადგილზე ბოგინი (სანამ მოძველდებოდა და მკვიდრი გახდებოდა). მაგრამ ასეთი მოხელე ახალი და უჩვეულო იყო ტრადიციით გაჟღენთილ ფეოდალურ საზოგადოებაში... მაინც და მაინც ეს ორი ტენდენცია — ბიუროკრატიული და ფეოდალური ფრიად დამახასიათებელია და კავშირშია იმ „შეთავსების" პრაქტიკასთან მეფის კარზე რომ შემოვიდა XII ს-ში. $\left(\frac{4}{21}\text{ ფ. } 49-52\right)$.

[§ 4. თამარის ისტორიკოსთა დამოკიდებულება ყუთლუ-არსლანის გამოსვლისადმი]

თამარის მეფობის არც ერთ ისტორიკოსს არ აღმოაჩნდა უნარი ყუთლუ-არსლანის გამოსვლაში ამ მოვლენის სოციალური არსისათვის მიექცია ყურადღება. პირველი ისტორიკოსი ორიოდე ნიშანდობლივი გამონათქვამით კმაყოფილდება, რომ ეს აქტი „დასასრულისა ხელმწიფობისა პატრონისსა მომცემელი". მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეს მწერალი პირველ გაფიცვას არ გამოჰყოფს მეორესაგან, მას საყვედური არ ეთქმის, ის სოციალურ მხარესაც ყურადღებას აქცევს. უგვარო-უხანოთა წინააღმდეგ დიდგვარიანთა ამხედრება, ყუთლუს „უცხო მოსაგონებელი" პროგრამა ამ ისტორიკოსის წარმოდგენით მოიცავს დიდგვარიანთა გამოსვლის სოციალურ მომენტსაც და ეს სწორედ უპირველეს ყოვლისა. ასე ესმის მას ეს აქტი. სამწუხაროდ ეს თანამედროვე მწერალი აქ მეტისმეტად სიტყვაძვირობს... (მთელი მისი თხზულებიდან ისე ჩანს, რომ ეს პოლიტიკური მოღვაწე მართალია ყუთლუს პროგრამას არ იზიარებს, მაგრამ ის მომხრეა და იზიარებს ერთნებაობა-თანადგომის პრინციპს, როცა მეფე ორგულთ სჯის, მაგრამ ერთგულთ უზომოდ აძლიერებს). ეს სიტყვაძვირობა აიხსნება როგორც ისტორიის წერის მეთოდით (აზმასა სწერს), ისე მწერლის სოციალური ვინაობით, მისი იდეური credo-თი: მას სოციალურად გული არ სტკივა და მეფის უფლებათა შეზღუდვა ერთნებაობა-თანადგომის განხორციელებით მას არ აწუხებს. პირიქით ამ იდეის განხორციელებაში ის ხედავს პოლიტიკური წყობილების იდეალს (თხა და მგელი ერთად ძოვდეს). (რაც შეეხება ბა-

სილი ეზოს მოძღვარს, ის აგრეთვე მცირედ ზრუნავს თამარის დროის სოციალურ-პოლიტიკური საკითხების შეფასებას, მას თამარის მეფობის დასაწყისის დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ამბები აღნიშნულიც კი არ აქვს)... სამწუხაროდ თამარს არ აღმოაჩნდა პარტიული ისტორიკოსი დავითის ისტორიკოსის ტიპისა... თუმცა მართალია, დავითის ისტორიკოსს სათქმელი დავითმა მისცა. დავითის მოქმედება იყო გარკვევთ „პარტიული", ე. ი. მტკიცე და სწორხაზოვანი, მიმართული დიდებულთა ფეოდალური თავნებობის გასატეხად და მისი ისტორიკოსიც შესაფერისი ენერგიით იცავს მეფის ამ პოლიტიკურ ხაზს...

სულ სხვაა თამარი, მისი პოლიტიკური ხაზი კომპრომისულია და მისი ისტორიკოსებიც იცავენ მის ამ ხაზს.

მაინც, იმისათვის, რომ ჩვენ უფრო სრული წარმოდგენა შეეიქმნათ XII საუკუნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ სურათზე, დავითის ისტორიკოსის იდეების გათვალისწინება აუცილებელია. ეს ჩვენ მეტად დაგვეხმარება თამარის დროის სოციალ-პოლიტიკური ვითარების გარკვევაში... $\left(\frac{4}{21}\right.$ ფ. 132—133$\left.\right)$.

[§ 5. დიდგვარიანთა აჯანყება გიორგი რუსის გასამეფებლად]

18. გამოსვლები ჩათავდა. მეფემ დიდებულთა ერთნებაობით სავაზირო და ერისთავები შეარჩია (დარბაზის კარისა და საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი).

თამარისათვის საქმროს მოყვანის საკითხი დადგა. და აი „გამოვინმეჩნდა მეტყველი მკკდრთაგან ტფილისისათა თავადი და ძეფეთა მეფეთაგან წყალობა ჭელდასმული ამირაჲ ქართლისაჲ და ტფილისისა, სახელით აბულასან, რომელმან თქუა: მე ვიცი:... (და სხვა), „მაშინ მომსმენართა მისთა უკმეს ერთი მკკდრთაგანი დიდვაჭარი სახელით ზანქან ზორაბაბელ. მსწრაფლ მისრულმან ცვალებითა ჰუნეთაჲთა წარმოიყვანა და მოიყვანა უწინარე პაემნისა, მოყმე სახე კეკლუცი, სრული ანაგებითა და მჭურეტთაგან მოსაწონი გუარის'შვილად. ამისთა მნახველთა და გამცდელთა პატრიარქმან, დიდებულთა. ვაზირთა და სპათა, — მოაკსენეს თამარსა და მათგან სება დაურთავი განმზადეს ქორწილი. რამეთუ თამარ ჰეშმარიტი

იყო და მტკიცე სჯულთა ზედა, და ვიეთნიმე დაღონებულობით აწუევდეს ალექსის მოყვანასა ქმრად, რომელი ახლოს სთჯსობდა და მამეულად მამის ძმისწული იყო ბერძენთა მეფისა, — ესე მას ჟამსა მუნ მყოფ იყო — და შიშითა ამის ქმნისაჲთა ყოველად უწადინელმან ქორწინებისამან იაჯა ჯსნაჲ ქმროსნობისაგან, ხოლო არა მომშვებელმან დედოფალმან (რუსუდან) და სპათა აიძულეს ქმნად და ვითარ იყო ხუედრი და რიგი ულუმპიანობისა და შარავანდედობისა მათისა, ეგრეთ იქმნა ქორწილი...“ (ისტ. აზმ. 81, მდ. 415).

სრულიად ბუნებრივია, რომ გიორგი მეფის გარდაცვალებისა და თამარის დაობლების გამო განსაკუთრებული ვითარება შეიქმნა საქართველოს სამეფო კარზე. თამარი გიორგის თანამეფე იყო, მაგრამ უფრო ფორმალურად. დიდებულებმა, მართალია, თამარის ერთგულებაზე შეფიცეს გიორგი მეფეს, მაგრამ საკითხი იმის შესახებ თუ როგორ უნდა ემეფნა ამ ახალგაზრდა ქალს, სრულიადაც ცხადი და გარკვეული არ იყო. დიდგვარიანები, ბუნებრივია, საკითხის ქვეშ აყენებდნენ ყველაფერს, რაც გიორგი მეფის ინდივიდუალური თვისებებიდან გამომდინარეობდა და გარკვეულ წესწყობილებას მოითხოვდნენ... ეხლა, თამარის გაქრმიანებისას მათ ხელისუფლება გარდამავალად ეჩვენებოდათ და დროც, მაშასადამე, შესაფერი იმისათვის, რომ მტკიცედ და კანონიერად გაერკვიათ მეფისა და დიდებულთა უფლება-მოვალეობა (კომპეტენცია). გასარკვევი კი იყო სახელმწიფო ცხოვრების ძირითადი საკითხები. ორსაუკუნოვანი ბრძოლა თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიღწეულიყო, უნდა გადაწყვეტილიყო, თუ კელმწიფობა ვის დარჩებოდა. ორსაუკუნოვანი განვითარების ტენდენცია ისეთი იყო, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიურ თუ სოციალურ ასპარეზზე სულ უფრო და უფრო მეტის დაჟინებით ახალი ძალები გამოდიოდა და თავისთვის შესაფერის ადგილს მოითხოვდა ქვეყნის პოლიტიკურ სარბიელზე. ბრძოლა ერთიანი ფეოდალური მონარქიის წარმოქმნისათვის, ხოლო შემდეგ, ბრძოლა თვითმპყრობელური რეჟიმისათვის შესაფერის წინააღმდეგობას იწვევდა მთავრებისა და, შემდეგ, დიდებულ-დიდაზნაურთა მხრით... მაგრამ საერთო ტენდენცია ის იყო, რომ ფეოდალური ქვეყნის საერთო განვითარების საფუძველზე, ერთიანი თვითმპყრობელური მონარქია უნდა წარმოქმნილიყო...

წაგებულ ვითარებაში მთავრებმა (სენიორებმა) პოლიტიკური პოზიციები შეცვალეს, თვითეულისათვის დამოუკიდებელი ხელ-

მწიფობა უარყვეს და გაერთიანებულ ქვეყანაში საერთო ძალით ხელმწიფობის პრინციპი წამოაყენეს...

სრულიად საწინააღმდეგო ამისა იყო მეფის თვითმპყრობელობის მოღვაწეთა პოზიციები... საერთო ტენდენცია კი, როგორც ვთქვით, მეფის თვითმპყრობელობის გამარჯვებას უჭერდა მხარს...

და აი დიდგვარიანებს ხელსაყრელი დრო დაუდგათ და, ბუნებრივია, არ დააყოვნეს და.საუკუნოვანი ბრძოლის მოგება სცადეს...

ერთი მეორის საწინააღმდეგო ძალები, ბუნებრივია, საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ დარგში და ყოველგან ჩანდა. კერძოდ, ის ძლიერად და მკაფიოდ იჩენდა თავს მეფის ხელისუფლების გარშემო მეფის სასახლეში, დარბაზში, ეკლესიაში.

კარავისელებმა, როგორც ვიცით, ყუბასარი-აფრიდონი გააძევეს, მაგრამ არც ამის შემდეგ დამყარებულა მეფის კარზე ერთხმობ-თანხმობა და კარავისელებს აშკარად დაუპირისპირდნენ „ერთგული“ სახლები, შედარებით გვიან დაწინაურებული სახლები, სასახლეში მეფის „გაზრდილები“... ეს დაჯგუფებანი მოქმედებენ, ჩანს, თამარისათვის საქმროს შერჩევაში. ეს არ იყო მცირე მნიშვნელობის პოლიტიკური საკითხი. მეფის ქმარი თვით იყო მეფე („აფხაზთა და რუსთა“) და ლაშქრის მთავარსარდალი. ბუნებრივია სახელმწიფო ცხოვრების არაერთ მხარეზე, ამას გარდა, მიუწვდებოდა მას ხელი. ამიტომ დიდგვარიანთათვის დიდმნიშვნელოვანი საკითხი იყო, თუ ვინ იქნებოდა თამარის ქმარი და, როგორც ჩანს, დიდგვარიანები განსაკუთრებული ყურადღებით და აქტიურობით ეკიდებიან ამ საკითხს. ასეთ ვითარებაში ადვილშესაძლებელი იყო მეფე-საქმრო პოლიტიკურ დაჯგუფებათა ინტერესებში მოჰყოლოდა და როგორც ჩანს ასეც იყო. ალექსი უფლისწულს „ვიეთნიმე“ რჩეობდნენ და დიდის ენერგიით მის გამეფებას ცდილობდნენ.. გიორგი რუსს მეორე ჯგუფი რჩეობდა და ასეთივე ენერგიით მის გამეფებას ცდილობდა... და არც ერთი ჯგუფი თამარის სურვილს, როგორც ჩანს, თავისთვის სავალდებულოდ არ სთვლიდა. საქმის მოგვარებას მამიდა რუსუდანთან ცდილობენ... „პატრიარქმან, დიდებულთა, ვაზირთა და სპათა, — მოაკსენეს თამარსა და მათგან ნებადაურთავი განამზადეს ქორწილი“...

ასეთ ვითარებაში გამეფებული გიორგი რუსი, გასაგებია, გარკვეული წრეებისათვის იქნებოდა უპირატესად სასურველი, ხოლო სხვებისათვის არასასურველი. ახალ მეფეს ადვილად გააცნობდნენ „მტერ-მოყვარეებს“ და ისიც თავის მომხრეთა დახმარებით გარ-

კვეულ ტენდენციებს გამოამჟღავნებდა ზოგიერთ დიდებულთა მიმართ. ასე რომ გიორგი რუსი, ადვილი დასაშვებია, უკვე ამ ნიადაგზე დაუპირისპირდებოდა თამარის „ერთგულებს“ და მეფის „გაზრდილებს“... $\left(\frac{4}{21}\right.$ ფ. 53—57$\left.\right)$.

19. იმისდა მიუხედავად, რომ თამარის ისტორიკოსი მეფის „ერთგულია“ და კარავისელთა, ისევე როგორც პირველ გაფიცულთა, მოძულეა, ის მაინც ვერ მალავს იმ ფაქტს, რომ გიორგი მეფის გარდაცვალებით განსაკუთრებული ვითარება შეიქმნა, როცა დიდვარიანები შეეცადნენ ფაქტიურად განეხორციელებინათ ის დებულება, მეფის კურთხევის წესში რომ არის გამოხატული და რაც ხშირად მჟღავნდება თვით უძლიერეს თვითმპყრობელთა მეფობაშიც კი... რომ ამ ქვეყნის მკვიდრნი ეს დიდგვარიანები არიან, რომ ქელმწიფეს ქელმწიფობა ამათგან აქვს მიღებული (და არა ღმრთისაგან). ფაქტიურად ეს კაზუსი ყოველი ახალი მეფის დაჯდომისას იჩენდა თავს და თანამეფობის პრაქტიკა სწორედ ამ მომენტის წარმონაშობი იყო, მაგრამ ამ საკითხის საბოლოოდ მოგვარება და მეფის თუ დიდგვარიანთ გამარჯვება დამოკიდებული იყო იმისაგან თუ განვითარების რა საფეხურზე იდგებოდა ამა თუ იმ დროს ქვეყანა. ბრძოლა მიმდინარეობდა და მას ბოლო არ მოეღებოდა, სანამ ისეთი ვითარება არ შეიქმნებოდა, რომ ქელმწიფეს ქვეყანაში მხოლოდ მოსაკარგავენი (დიდი თუ მცირე) ჰყოლოდა, ხოლო საათბირო ორგანო მხოლოდ სავაზირო ყოფილიყო (ესენიც მსხვილი მოსაკარგავენი) ან არა და სანამ არ განხორციელდებოდა „დასასრულსა ქელმწიფობასა პატრონისსა მიმცემელი“ წესი, ე. ი. კარავის წესი არ განხორციელდებოდა, ე. ი. მეფის ხელისუფლება არსებითად და ფორმალურად დიდგვარიან ფეოდალების ხელში არ გადავიდოდა.

და დიდგვარიანებმა დრო დაიცეს და ეს განსაკუთრებული შემთხვევა (რომ მეფედ ქალი უნდა დამჯდარიყო) იმისთვის გამოიყენეს, რომ ქვეყნის მემკვიდრეობის უფლება განეხორციელებინათ. ყუთლუს პროგრამა ამისი ყველაზე უფრო მაღალი პოლიტიკური ფორმით გამოხატული ცდა იყო. და, მართალია, აღმოჩნდა, რომ ფეოდალური საქართველო წინწასულა და ეს რეაქციული წესი აქ ვერ განხორციელდება, მაგრამ ისიც აღმოჩნდა, რომ მეფის თვითმპყრობელობის მომხრე ძალები არ არიან ისე ძლიერი, რომ გადამჭრელ გამარჯვებას მიაღწიონ. მართალია კარავისელობა

არ დამყარდა და ერისთავები მეფის წყალობისა და ნებისებრ ისხდნენ სანაპიროებში თუ საერისთაოებზე, მაგრამ მეფე იძულებული იყო „ერთგულთა“ უზომო გამდიდრებისათვის შეეწყო ხელი (და გიორგი მეფის მიერ სათავისოდ გაჩენილი ლორე და ანისი და სხვ. საპატრონოდ გაეცა... და მეფეთა ადგილზე მჯდომთა ინსტიტუტი შეექმნა). ისე რომ ეს უზომოდ ერთგულთა სახლები ბოლოს და ბოლოს თავს ხელმწიფეთა სწორად გრძნობდნენ და მეფის ბედ-იღბალში გადამწყვეტი როლის უფლებას თავის თავად ნაგულისხმევ უფლებად რაცხვენ (elegimus). რამდენად გაუვიდოდათ ეს ყველაფერი, ამას ქვეყნის შემდგომი განვითარება ცხადყოფდა (ლაშას მეფობა, სამწუხაროდ, ცნობათა ნაკლულობით და ტენდენციურობით, არ იძლევა საშუალებას გარკვეული დასკვნების გამოტანისათვის). მაგრამ დიდგვარიანთა შემდგომ პოლიტიკურ გაძლიერებას მეფის ხელისუფლების დასუსტების ხარჯზე რომ ხელი შეუწყო გარეშე ძალამ, ამას კარგა ხედავდა XIV საუკუნის ისტორიკოსი და რომ მაშასადამე ბრძოლა XIII საუკუნეშიაც მიმდინარეობდა, თუმცა მეფის ხელისუფლებისათვის არახელსაყრელ ვითარებაში, ეს ცხადია... ისტორიკოსს ისიც ცხადად ესმის, რომ თუ ეს გარეშე ძალა არა, მეფე დიდგვარიანებს დაიმორჩილებდა...

მაინც და მაინც თამარის გამეფებისას კრიტიკული ხანა დადგა. დიდგვარიანებმა რევანშის აღება და მისი საუკუნოდ განმტკიცება სცადეს... ვერ მოახერხეს... მაგრამ თვითმპყრობელობის საბოლოო გამარჯვებისათვის ქვეყნის შემდგომი წინსვლა და ახალი გიორგი III იყო საჭირო... $\left(\frac{4}{21}\right.$ ფ. 58—60$\left.\right)$.

20. გიორგი მეფე „გავიდა ტფილისით მეფე რუსთა და აფხაზთა... ილაშქრეს ქუეყანასა კარისა და კარნიფორისასა და მოარბიეს ვიდრე ბასიანამდის“ (ისტ. აზმ. 82—83, მდ. 418—420).

ამისაგან უწინარეს მივიდეს პალაკაციოს და ძაღლის ქევად წოდებულსა და მომრბეველთა ზედა გამრეკელი კახაძსძე მიუკდა... გააქციენეს, ამოსწყვიტნეს და მოიღეს არმაღანი წინაშე თვითმპყრობელისა. და მასვე ჟამსა მოვიდეს კარნუქალაქელნი, შამელნი და თურქნი გარმიანისანნი, ცხენოსანნი და ქოითნი და აივსო შავშეთისა და კლარჯეთისა ქვეყანა, აქაჲთ შეიყარნეს გუზან აბულასანის ძე ტაოელი და მის ქუეყანისა ლაშქარნი და ბოცო და ვინცალა იახლა და მიესწრნეს მესხნი და მარბიელ გაშუებულთა შეებნეს...

ამისდა შედეგად წარვიდეს მჯარგრძელნი ძენი სარგისისნი და

ვარამისნი, მოყმენი პირწაღმართნი, უხუცესნი ზაქარია და ზაქარია, დალოცვილნი, ივანე და სარგის დაულოცველნი და ილაშქრეს ქვეყანასა დვინისასა...".

„შემდგომად ამისსა, გამოსლვასა ხანისასა, ლაშქრობდეს ქვემონი ქუემოჲთ და ზემონი ზემოჲთ და შუანი შუათ და ყოველგან ძლევა შემოსით და გამარჯუებით. კუალად მეფემან შემყრელმან სპათამან ბრძანებითა თამარისითა მიჰმართა და მოაოჯრა ქუეყანაჲ პართთაჲ....

რუსი გიორგი ლაშქრობს „ბრძანებითა თამარისითა".

ჯამრეკელ კახაისძე (თორელი).

გუზან აბუსალასანისძე (ტაოელი).

ბოცო (ჯაყელი).

ზაქარია
ზაქარია
ივანე
სარგის.
} მხარგრძელნი $\left(\frac{4}{21}\right.$ ფ. 72$\left.\right)$.

21. ჯერ ისევ გიორგი რუსის დროსვე „წუევითა ასათ გრიგოლის ძისაჲთა დიდად და სასახელოდ ილაშქრეს განძას ქუემო ბელაყონამდე, შემდგომად ზემო კერძო რახსისა პირსა მასისამდე. მუნცა დიდთა ლაშქართა მოწევასა შინა ისახელეს თავი ბუმბერაზთა ამის სამეფოჲსათა თკთ მეფისა მჭურეტელობასა შინა ვარდან დადიანმან მსახურთუხუცესმან. ოთხთავე მჯარგრძელთა და სხუათა დიდებულთა და აზნაურთა" (ისტ. აზმ. 84, მდ. 421).

ასათ გრიგოლისძე მონაპირეა (ამ დროს ჯერ კიდევ არაა არიშიანი??), ვარდან დადიანი — მსახურთუხუცესი.

ოთხი მხარგრძელნი (ჩანს სარგის ამირსპასალარი ამ დროს აღარაა ცოცხალი) $\left(\frac{4}{21}\right.$ ფ. 63$\left.\right)$.

22. რუსის უსაქციელობა ამ ისტორიკოსის პირში ბუნებრივია; თუ ეს ისტორიკოსი მართლა სარგის თმოგველია. მაინც ასეთი მძიმე ბრალდება (სოდომური ცოდვა), მისი ასე ღიად გამოტანა უთუოდ ტენდენციურობის ნიშანია... და საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქო თამარი ორ წელს ითმენდა ქმრის ასეთ უსაქციელობას და „ოდეს უგრძნეს ვაზირთა და დიდებულთა, განკკრდეს და ერთქმა ყვეს... ჰელყვეს ცრემლმდინარეობასა შინა თამარისსა... და წარიყვანეს ექსორიაქმნად" (ისტ. აზმ. 84—85, 423—424).

რომ ყველა ვაზირი და დიდებული არ იყო რუსის ექსორიის მომხრე, ეს კარგად გამოჩნდა ცოტა ხნის შემდეგ: მაინც და მაინც აბულასან (მეჭურჭლეთუხუცესი) და მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი, ბოცო სამცხის სპასალარი და გუზან ტაოელი ხომ ცხადი მომხრენი აღმოჩნდნენ... და საინტერესოა, ისტორიკოსით თამარი ამ უსაქციელობისათვის მას „სიკუდილსა ემართლებოდა", ხოლო დიდებულთა ნაწილი, ჩანს, არ იზიარებდა ამ ბრალდებას და მას მოგონებულად სთვლიდა თამარის მომხრეთა მიერ, ან არა და სოდომური ცოდვა არ მიაჩნდათ საკმაო ბრალდებად მეფე-დედოფალის გასაყრელად[5] $\left(\frac{4}{21}\text{ფ. } 64\right)$.

23. რუსი გაძევეს, სვეტიცხოველობა სუფევდა. მაგრამ დიდებულები სწუხდნენ მომავალზე, ე. ი. რომ თამარი უქმრო იყო და მემკვიდრე (შვილი) არ ჰყავდა. ამ დროს რუსუდანთან იყო ორი უფლისწული, აქ იზრდებოდა. „ესე დედოფალსა რუსუდანს ვინაჲთგან თკს ეყოდა მამის დისა მისისა, დავითის ასულისა ოსეთს გათხოვილებისა მიზეზითა მოეყვანა საზრდელად სახლსა შინა მისსა" (ისტ. აზმ. 88—89 და 431—432).

თ ბ ი

აქ გაიცნეს დიდებულებმა ეს უფლისწული. მოეწონათ, შესაფერისად სცნეს და „ჰკადრეს და მოაჯასენეს დედოფალსა რუსუდან მკკდრთა ამის სამეფოჲსათა რათა იგი, განაღამცა ნებისა დამრთველი, ვაზირთა და დიდებულთა თანაშემწექმნითა, მომჯსენებელ და მოაჯე ექმნეს თამარს"... თამარმა „მინდობილმან მამის დისა მისისამან მშობლისა სახედ და მისგან დიდად წყალობიანთა ლაშქართა და სპათამან ესრეთ თქუა მბრძანებელმან: მოწამე არს ჩუენდა ღმერთი, აროდეს ყოფილა გული ჩემი მოწადინე ქმროსნობისაჲ არცა პირველ, არცა აწე, თუმცა არა მოსვლოდა უწაღმართობაჲ ჩემი საყდარსა, რომელი რწმუნებულ არს ჩემდა პირველ ღმერთისაგან და შემდგომად მშობელთა ჩემთაგან და აწცა ამისა ვარ მოაჯე..." (ისტ. აზმ. 88—89).

არ მოეშვნენ. „წარვიდეს დიდებულნი იმერნი და ამერნი და წარმოიყვანეს დედოფალი რუსუდან და გ ა ზ რ დ ი ლ ი მისი დავით".

---

[5] ეს ნაკლებ დასაჯერებელია.

თუმცა თამარი საჯაროდ აღიარებს რომ სამეფო საყდარი მას აქვს რწმუნებული ღმრთისაგან და საკუთარ მშობელთაგან, მაგრამ მის ბედიღბალში, ამ საყდრის განგების საქმეში ძლიერად და აქტიურად ერევიან დიდებულნი, რომელთა მინდობილი არის მეფე თამარ $\left(\frac{4}{21}\text{ ფ. } 65\right)$.

24. რუსი ერზინკა-არზრუმს მოსულიყო. „მას ჟამსა ნაცვალი მეჟურჟლეთუხუცესისა სჯულითა ბარბაროზი და ქცევითა ტარტაროზი, კეთილთა და ჰამოთა პატრონთაგან სრულწყლიანი, მოციქულად წარივლინა საქმისა რაჲსთვისმე და, მისსა კარნუქალაქსა მისვლასა შინა შეიყარნენ რუსი და იგი ერთად. მიუდგეს იმიერნი, რათა რუსი სასახლესა შინა შეუვანილ ყონ: მისისა სარგებლისა მოწადინენი შეეხუეწეს ამას დიდსა (მოციქულსა), რომელი აქაჲთ მისრულიყო. მაშინ ცნეს ამის სამეფოჲსა კაცთა და... რომელნი თანაზიარ მეფობისა მათისა და უხუად და გულსავსედ წყალობითა აღვსილ იყვნეს, მათცა ქმნეს საქმე ყოველთა ძუელთა გინა ახალთაგან უბოროტესი. უკუეთუ, ამას სამეფოსა განდგომილად პატრონთა ნებსით თუ უნებლიედ ქმნილა, რომელი დაწყებითგან სოფლისა არავის ოდეს სადა უნახავს წარმართებული და გამარჯვებული. ხოლო ესეცა ამისა სახლისა თჳსთა ნატამალთა, შვილთა და ძმათა მიზეზითა ქმნილა, გარნა ესე ვინაჲ ანუ სით?...“ (ისტ. აზმ. 90, მდ. 434).

იდეა ისაა, რომ მეფის წინააღმდეგ აჯანყებას არასოდეს წარმატება და გამარჯვება მოყოლია...

შეთქმულებს გადაუწყვეტიათ, რომ რუსი „სასახლესა შინა შეუვანილ ყონ“. შეთქმულებმა „ქმნეს საქმე ყოველთა ძუელთა გინა ახალთა უბოროტესი“. ეს მეჟურჟლეთუხუცესის ნაცვალი პატრონთაგან სრულწყლიანია.

სხვა შეთქმულები კიდევ იყვნენ „თანაზიარ მეფობისა მათისა და უხუად და გულსავსედ წყალობითა აღვსილ“, ე. ი. სწორედ ისინი, ვინც ყუთლუს გამოსვლის შედეგად კიდევ უფრო განდიდნენ... $\left(\frac{4}{21}\text{ ფ. } 66\right)$.

25. კარნუქალაქში რუსთან შეთქმულებს „პირველად მიერთო გუზან პატრონი შავშეთისა და კლარჯეთისა, რომლი ძუელთა მეფეთა ტაოელთა და დიდებულთა ადგილსა ზედა შეეწყალა პატრონსა, აქაჲთ ბოცო სამცხისა სპასალარი და სისრულისაცა აღმა-

ტებითა შეწყალებული, სხუათა მესხთა დიდებულ-აზნაურითურთ თჳნიერ ივანესა ციხისჯუარელისა, რომელსა ყუარყუარეცა ეწოდების, ესე გამაგრდა თჳსით მოკიდულითურთ, ვითარ გვარეულადცა მომგონებელი სულადსა ერთგულებისაჲ, რომელმან ბაღუაშსა ზედა უერთგულა ბაგრატს: ვარდან დადიანი მსახურთუხუცესი, ლიხთ აქადთ პატრონი ორბეთისა და კაენისა, ლიხთ იქით—ნიკოფსამდი უცილობელად მქონებელი და თჳთ ქუეშისა ციხესა მყოფი, მაგარსა და მტერთაგან უვნებელსა. ესე მცირედისა რაჲსამე საქმისათჳს წარვიდა და მივიდა გეგუთს რეცა პატრონისა წადილითა. შეყარა მან ყოველი სუანეთი, აფხაზეთი, საეგროჲ გურიითა, სამოქალაქოჲ, რაჭა-თაკუერი და არგუეთი და მომრთველმან სანიგთა და ქაშაგთამან აფიცა რუსისა გამეფებისა და მისის მეფედყოფისათჳს დიდებულნი და ლაშქარნი ქუეყანისანი. გაგზავნა მან ლაშქარნი ქუეყანისანი და მივიდეს გუზანისა და მუნით წარმოვიდა რუსი და შეყრილთა მიჰმართეს სამცხეს და მიეგება ბოცო და ვინცა მისი მიმდგომი იყო, გარდამავლნენი მთისანი, ივიდეს გეგუთს", (ისტ. აზმ. 90—91, მდ. 435).

აშკარაა, რომ ვარდან დადიანს ჰქონდა რაღაც საფუძველი, რომ მთელი ქვეყანა (დიდებულნი და ლაშქარნი) აგრე ადვილად აუჯანყა თამარს და სოსლანს. მარტო მსახურთუხუცესობით, ერისთავთ-ერისთავობით თუ მეფეთა ადგილზე მჯდომობით ის ამას ვერ შეძლებდა... მთელი დას. საქართველოს მაღალი ფეოდალური საზოგადოება გამოუკლებლივ (გარდა ანტონი საღირისძისა) რუსის მხარეზე დადგა. ამის ახსნა უნდა ვეძიოთ იმ ფაქტში, რომ აღმოსავლეთ საქართველოდან თითქმის ასეთივე ერთსულოვნებით თამარის და სოსლანის მხარეზე აღმოჩნდნენ.

ისტორიკოსის სიტყვით თამარ „მიმართა ქალაქს ამ უსახურისა და უაზროჲსა საქმისაგან განაკვირვებული". დამახასიათებელია: ისევე როგორც მამა მისმა გიორგიმ დემნას განდგომილების დროს, თამარმაც ამ სახიფათო მომენტში ქალაქს მომართა (ჩანს ქალაქს გარეთ იყო) და ეს იმიტომ რომ საფიქრებელია, აქ ის თავს უფრო იმედიანად გრძნობდა... ჩანს ქალაქი მისი ერთგული საყრდენია. და მხოლოდ ქალაქში შემოსვლის შემდეგ მოუწოდა ერთგულად დარჩენილ ერისთავებს და დიდებულებს „ჰერეთით, კახეთით, ქართლით, სომხითით და სამცხით".

მოსულებმა თამარი დააჯერეს იმაში, რომ მათი ნებადართულობა არ არის ამ საქმეში. თამარი მაინც ირჩევს მოლაპარაკების

ვზით მოაგვაროს საქმე და მიაღლენს კათალიკოს თევდორეს, ანტონ ქუთათელს და სხვა ეპისკოპოსებს „ოდესმე შინაურსა ეჯიბსა და მესტუმრესა და მათგან ვერაჲს პირის მპოვნილ იქმნა“. საკითხავია: რა „პირს“ ეძებდა თამარი? და რატომ ვერ მიაღწია საქმის მშვიდობით მოგვარებას. ცხადია, მეფის კარზე გულისხმობდნენ რაღაც საფუძვლებს გამდგარ დიდებულთა უკმაყოფილებისას და ცდილობდნენ ამ უკმაყოფილების შენელებას, მაგრამ გამდგარნი შეურიგებელ პოზიციას ადგენენ და მტკიცედ გადაეწყვიტათ საქმე იარაღისათვის მიენდოთ. აკი ერთხელ უკვე სცადეს იარაღისათვის მიემართათ (ყუთლუ). რა უნდა შეეთავაზებინა თამარს გამდგართათვის? მაინც და მაინც რუსის კვლავ გამეფებას ხომ ვერ შესთავაზებდა. ალბათ ისეთი რამეები, რის უზრუნველყოფასაც ეს გამდგარნი თავისთვის ვარაუდობდნენ თუ რუსს გაამეფებდნენ... მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ძნელი გასაგებია, რა ამოქმედებდა თამარის მიერ აგრე შეწყალებულ დიდებულებს — დადიანს, ბოცოს, გუზანს.

ყველაზე უფრო რეალური მაინც ის ახსნა იქნებოდა, რომ ძირძველები განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოდან უკმაყოფილონი იყვნენ იმ ფაქტიური მდგომარეობით, რომელიც შექმნილიყო საქართველოს მეფის კარზე, როცა უმაღლეს ფეოდალთა მნიშვნელობის სიმძიმის ცენტრი აღმოსავლეთ საქართველოში გადმოდიოდა, როცა აშკარა გახდა ტენდენცია, რომ სამეფო კარს დღესხვალ საბოლოოდ ხელთ იგდებენ ერთგულ-გაზრდილები აღმოსავლეთ საქართველოდან, შიდა და ქვემო ქართლიდან, ჰერეთ-კახეთიდან... ხოლო ეს უკანასკნელი მოვლენა კანონზომიერი შედეგი იყო საქართველოს განვითარებისა. დავით აღმაშენებლის დროიდან აშკარა გახდა აღმოსავლეთის უპირატესობა და აფხაზთა მეფე (ლიხთიმერეთის და თუ გნებავთ ტაო-კლარჯეთის მეფე) სულ უფრო და უფრო ქართლ-კახეთს და მის მიმდგომ ქვეყნებს ირჩევს ცენტრად. ტფილისის შემოერთებას ამ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა... ასე რომ ტფილისის ერთგულება მეფისადმი იმავე საფუძველს ემყარებოდა, რასაც ემყარებოდა აღმოსავლეთ საქართველოს დიდებულთა ერთგულება: დავითის დროიდან მოკიდებული საქართველო არსებითად სხვა სახელმწიფო იყო მის წინა დროის საქარ-

ველოსთან შედარებით: ის, დასავლეთის ორბიტაში ამოზრდილი ქვეყანა, აღმოსავლეთისაკენ პირმიქცეული შეიქმნა და სხვა რიგად არც შეიძლებოდა: საქართველო ამიერ (და იმიერ) კავკასიის გამაერთიანებლის როლში გამოვიდა და თბილის-ქართლ-კახეთ-ჰერეთის გადამწყვეტი მნიშვნელობა მთლიან საქართველოში გარდაუვალი შექმნა. უფრო სწორი იქნება საკითხი პირშექცევით დაისვას: ქართლის (შიდა და ქვემო), კახეთის (კახეთ-ჰერეთის) ეკონომიურმა დაწინაურებამ ამ კუთხეების მნიშვნელობა შედარებით დასავლეთ საქართველოს მნიშვნელობასთან განუზომლად გაზარდა. და გაერთიანებული საქართველოს პოლიტიკური ცენტრი აქეთ გადმოვიდა. ქუთაისმა და არტანუჯმა, როგორც პოლიტიკურმა ცენტრებმა თავისი დრო მოჭამეს, პროვინციალურ მნიშვნელობისად დარჩნენ. ახალი ქვეყნის ცენტრი თბილისი და მისი მიმდგომი ქართლ-კახეთი-ჰერეთი იყო. და ძველი ფეოდალური არისტოკრატია აჯანყდა. ცენტრის (ტახტის) დაუფლება სცადა და როცა ეს არ გამოუვიდა, ისევ სეპარაციას მიმართა (XIII ს-ში). ასე რომ ეს „ერთგულები" აღმოსავლეთ საქართველოდან ახალ საქართველოსთან (დიდი საქართველოს დავითისეულ წამოწყებასთან) ერთად წამოწეული ხალხია და ამ ახალ საქართველოს ერთგულებია (და აქედან მისი მეფის ერთგულებია). ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეს ერთგულები მუდამ ამ ერთგულებას შერჩებიან და გაძირძველებულები ფეოდალურ სეპარატულ ტენდენციებს არ გამოიჩენენ, მაგრამ ჯერ, ვიდრე ძირძველობას სხვა იჩემებს, კარავისელობას სხვა აპირებს, ხოლო ამათ ალმაცერად და არა თავის სწორად უყურებს, ამათი და მეფის თანხმობა უზრუნველყოფილია. აი ასეთი თანხმობის მომენტის საბოლოო გამარჯვება მოყვა რუსის გამოსვლის დამარცხებას.

თუ კარავისელთა დამარცხებას შედეგად კომპრომისული სიტუაცია მოყვა, „ერთგულთა" წინწამოწევა მოყვა, მაგრამ ძირძველები, მართალია, რამდენადმე შევიწროებულნი, ჯერ ისევ ძველ პატივში რჩებოდნენ, რუსის გამოსვლის დამარცხებას კარავისელების კიდევ უფრო საგრძნობი დამარცხება და „ერთგულთა" კიდევ უფრო გადაჭრით უპირატესობათა მოპოვება მოყვა.

ამიერიდან ძველი კარავისელები მიჩრდილული არიან და გაერთიანებული საქართველოს აქტიური პოლიტიკის შემოქმედ-გამტარებელნი, ეს ახალდაწინაურებული (შედარებით) ფეოდალები, არიან ქართლ-კახეთ-ჰერეთ-სომხითიდან. შექმნილი ვითარება,

როგორიც ჩანს, ქვეყნის განვითარების მაქსიმალურად შესაფერისი იყო და ამდენადვე ფეოდალური საქართველოს შემდგომი წარმატებაც უზრუნველყოფილი. ასეთი იყო თამარის მეფობის მეორე პერიოდი 1190 წლიდან მოკიდებული.

დამახასიათებელია საქართველოს მონაპირეთა ვინაობა... ესენი ხომ ყველაზე აქტიური პოლიტიკური მოღვაწენია და მათ შორის არც ერთი კაცი არ ჩანს დასავლეთ საქართველოდან (ხოლო ოთხი მხარგრძელთა გვარიდან არიან). ასევე საინტერესო ჩანს სავაზირო გიორგის (ლაშას) ხელზე (წალკიდან). ყველაფერი იმას მოწმობს, რომ პოლიტიკური მნიშვნელობა დასავლეთისა შეიცვალა და ცენტრი აღმოსავლეთში გადმოვიდა $\left(\frac{4}{21}\text{ ფ. } 67-72\right)$.

26. გეგუთიდან განდგომილები თბილისზე წამოვიდნენ. „ნახეენ ართა დადიანისა წინაძღომითა გარდაიარეს რკინის ჯვარი და ჩავიდეს ციხის ჯუარს და დაწუეს ქალაქი ოძრკე. მუნ შეიყარნეს ბოცო და მესხნი, ვინცა იყუნეს მიმდგომნი მათნი. და გამგებელთა ესევითარისა საქმისათა ღმრთისა უკითხავად შვილთა მზეგრძელობით უკმეს და გააგეს პირველად აღებაჲ ჯავახეთისაჲ და ახალქალაქისაჲ, კუალად თრიალეთისა და სომხითისა ვინაჲთგან ქურდ ვაჭრისა იქით გასდგომოდა ყოველი სომხითი: ივანე ვარდანისძე პატრონი გაგისაჲ, მაყა პატრონი კაეწონისაჲ, კაენი თჳთ ვარდანისი იყო და სხუანი მის ქვეყანისა აზნაურნი და აზნაურის შვილნი თჳნიერ ზაქარია ვარამის ძისა. იგი კაცი ერთგული იყო და ჭაბუკი გამოცდილი“ (ისტ. აზნ. 92, მდ. 437—438).

ქურდვაჭრის იქით „ყოველი სომხითი“ როგორც ჩანს, ლიხთიქითელი დიდებულების ვარდან დადიანისა და მისი შვილის ივანეს ხელთ იყო: კაენი ვარდანისა იყო, ხოლო გაგი ივანე ვარდანისძის ხელთა. არ ვიცით ვინაა ეს მაყა პატრონი კაეწონისა.

თამარის ერთგულებას აქ შერჩენოდნენ მხარგრძელები (ზაქარია ვარამისძე, ამ აჯანყებულებს ვარდან დადიანი წინამძღოლობდა იმ მოსაზრებით, რომ ვარდანი სომხითში ერთი პატრონთაგანი იყო ... $\left(\frac{4}{21}\text{ ფ. } 73\right)$.

27. ბუნებრივია, რომ ასეთ დაძაბულ ურთიერთობისას, როგორიც ქვეყანაში შექმნილიყო (უნდა ვიფიქროთ: მიმძლავრებანი, გლახაკთა სიმრავლე, მეკობრეობა, ბორგნეულობა, სიმდიდრესა

ზედა ალაღებულნი) და რომელიც, კერძოდ, თავს იჩენდა ბოლო-მოუღებელ ბრძოლაში სახელმწიფო ხელისუფლების დაუფლებისათვის, — სასახლის გარშემო სხვადასხვა დაჯგუფებანი შეეცდებოდნენ თამარის ქმრად ისეთი მოეძებნათ, რომელიც ამა თუ იმ ჯგუფის ინტერესებს უპირატესად მოემსახურებოდა. ეს იმას ნიშნავს რომ სამეფო-საქმროს თავიდანვე პირობას უდებდნენ. თითეული ჯგუფი ცდილობდა მეორე ჯგუფის საწინააღმდეგოდ სხვა კანდიდატი შეერჩია... ასე, რომ სამეფო-საქმრო რომელიმე დაჯგუფების გავლენის ქვეშ უსათუოდ უნდა მოჰყოლიყო. შეიძლება ვიფიქროთ, რომ რუსი კარავისელთა სასურველი კანდიდატი იყო.

ხოლო დავით სოსლანი „ერთგულთა“ სასურველი $\left(\frac{4}{21}\text{ ფ. } 71\right)$.

28. აჯანყებულთა წინააღმდეგ, რუსი რომ გაიმეფეს, თამარმა „უბრძანა ამირსპასალარსა გამრეკელსა და ოთხთა მჯარგრძელთა და სხვათა თორელთა ზემოთა და ქვემოთა წარსვლა და მიგებება წინა ქვეყანასა ჯავახეთისასა და მუნვე ცნობაჲ ძალისა მათისაჲ“ (ისტ. აზმ. 92, მდ. 438).

ხინგრის წყალზე თმოგვსა და ერუშეთს შუა მოხდა ომი. თამარის მხარემ გაიმარჯვა. ომში მხოლოდ ივანე სარგისისძე (მხარგრძელი) დაიჭრა. ამ გამარჯვების მახარობლად სარგის ვარამისძე (მხარგრძელი) მოვიდა თბილისში.

ჯავახეთი (გამრეკელის სახელო), თრიალეთი (ვის ხელთ იყო), სომხითი (მხარგრძელების სახელო) უნდა დაეპყროთ აჯანყებულებს და შემდეგ „აგარათა შეყრა განაგეს და აქედან თბილისის კარების იერიში უნდა დაეწყოთ.

29. ვიდრე თამარის მომხრეთა ერთი ნაწილი მჯარგრძელების მეთაურობით ებრძოდა დადიანის მეთაურობით წამოსულ აჯანყებულებს, თამარსა და დავითთან იყვნენ: „ჭიაბერი მანდატურთუხუცესი. ჰერნი და კახნი დიდებულნი და აზნაურნი თანადართვითა ყივჩაყთაჲთა და შეყრილთა ქართლისა ერისთავისათა და ქართველთა დიდებულთა, წინაძღუანვითა დავით მეფისა სუიანისაჲთა, დასხმა ყვეს ქართლს მყოფთა ზედა, რომელთა მიერთნეს ვიეთნიმე ქართლელნიცა და სიმრავლე ყოვლისა კავკასიისა და მთეულობისა“ (ისტ. აზმ. 93).

აჯანყებულთა მეორე ნაწილი რუსის მეთაურობით ქართლს გადმოსულიყო და ნაჭარმაგევამდე და გორამდე მოსულიყო.

მაგრამ როგორც კი გაიგეს ხინგრის წყალზე მათ თანამებრძოლთა დამარცხება („გაქცევა ზემოთა ლაშქართა“). „მსწრაფლ იკუმიეს გარდასვლაჲ“, ე. ი. უკან გაბრუნდნენ ლიხთიმერეთში.

თამარის მომხრეებმა გამარჯვებულებმა „ჰკადრეს განსვლა სომხითით და მიმართებაჲ ურჩთა და განდგომილთა მეფობისა მისისათა“. აჯანყებულთა ამ ჯგუფმაც უმალ დაყარა იარაღი. „რომელნიმე მოვიდეს ყელსაბელ მობმით, რომელნიმე მკუელელ ექმნეს თჳსსა ბიძასა და ეგრე მოვიდეს და მუნც იქმნეს ჩუელებითნი გამარჯვებანი“.

30. თამარს გადაუდგნენ და რუსის კვლავ გამეფება მოინდომეს ლიხთიქითმა, ტაომ, სამცხემ, ქურდვაჭრის იქით სომხითმა, ქართლის ნაწილმა, მთეულებმა...

სომხითი, სამცხე, ქართლის ნაწილი თამარს ემხრობა, ნაწილი რუსს. ჯავახეთი, თრიალეთი, თორი, ჰერეთი, კახეთი თამარის ერთგულობას შერჩნენ.

საკითხს იმის შესახებ, თუ რომელი მხარე ვის უპერდა მხარს ძირითადად ის გარემოება წყვეტდა, თუ ამა თუ იმ ქვეყნის პატრონი (ერისთავთ-ერთისთავი) ვის მხარეზე გამოდიოდა, თუმცა ამის საწინააღმდეგო მოწმობაც მოგვეპოვება: ქართლის ერისთავი თამარის მხარესაა, ხოლო „ვეითნიმე ქართლელნიცა“ რუსის მხარეზე დგანან: ბოცო სამცხის სპასალარი თამარის მოწინააღმდეგეა, ხოლო მრავალი სამცხელი და ივანე-ყვარყვარე (ოძრხიდან?) თამარის მომხრეობას შერჩნენ და იარაღით ხელში იბრძვიან აჯანყებულთა წინააღმდეგ. ასევეა საქმე ქურდვაჭრის იქით სომხითში, სადაც თამარის მოწინააღმდეგე უმრავლესობას (ვარდან დადიანის და მისი შვილის საპატრონოში და მაყა კაიწონის პატრონი) ზაქარია ვარამისძე (მხარგრძელი) დაპირისპირებია. მაინც ძირითადში ის დებულებაა სწორი, რომ თამარის და მისი „ერთგულების“ წინააღმდეგ ძირძველკარავისელები გამოდიან $\left(\frac{4}{21}\text{ ფ. } 74-76\right)$.

31. რუსი და მისი მომხრენი დამარცხდნენ. თამარი შემოქცეული (სომხითიდან) „დგა ჭალასა აგარათასა მონადირე და მონადიმე, მხიარული და შემწყალებელი ერთგულთა და საკუთართა მისთა. შეიწყალა ზაქარია ვარამისძე და უბოძა გაგი ქურდვაჭრითა განძამღის მრაველითა საკუთარითა და მრავლითა სანახევროჲთა ქალაქებითა, ციხეებითა და სოფლებითა. შეიწყალეს და უბოძეს სარგისისძესა ივანეს პირველად მსახურთუხუცესობაჲ ჴელი შინაური და სა-

პატიო და კაენი და კაიწონი გელაქუნით და სხუითა მრავლითა სახარაჯოდთა ქალაქითა და ციხითა". (ისტ. აზმ. 94).

ამრიგად სახელოები და საპატრონო ციხე-ქალაქები დაკარგეს, ვარდან დადიანმა მსახურთუხუცესობა და კაენის ციხე (ალბათ ლიხთიქითიც და ორბეთიც), გაგი მისმა შვილმა ივანე ვარდანის ძემ, ხოლო კაიწონი მაყამ. და ყველა ესენი წყალობად მიიღეს მჯარგრძელებმა ზაქარია ვარამისძემ და ივანე სარგისისძემ.

ასე დაიწყო მხარგრძელების განსაკუთრებული კარიერა.

32. გამარჯვებული თამარი სომხითის საქმის მოგვარების შემდეგ, ნაჭარმაგევს გაემართა. „და ლიხთიმერთ დიდებულთა, შემნანებელთა შეცოდებისათა და მოაჯეთა შენდობისათა ითხოვნეს ცხოველნი ხატნი და თკთ დედოფალი რუსუდან მათ შუა საყოფელად, კათალიკოსი, მანდატურთუხუცესი და სხუანი ებისკოპოსნი შინაურითურთ სახლდებულით. ვინაჲცა გარდამოვიდეს სუიანნი დიდებულნი და მოკელენი და გარდამოიტანეს რუსი, მეფეყოფილი, მისცა დედოფალმან სიმტკიცე პირველად რუსის უვნებლად გაშვებისათვის და მერმე ჟამისა შეცოდებისა არმოკსენებისათვის... (ისტ. აზმ. 95) და რუსი „მასვე მისსა სუეუბედურსა გზასა გაეშართა". აქ შესანიშნავია ეს შ ე ც ო დ ე ბ ი ს ა ა რ მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა, ე. ი. კანონისაებრ არავინ დაუსჯიათ, შეცოდება უპატიებიათ. მხოლოდ ესაა, რომ წყალობა სახელოები დაეკარგათ და მათი ადგილები მეფის „ერთგულებმა" და „საკუთართა" დაიჭირეს. კ ა რ ა ვ ი ს ე ლ ე ბ ი ს უ ლ ე რ თ ი ა ნ ა დ გ ა ი ბ ი ე ნ ე ბ ენ და ქ ვ ე ყ ნ ი ს მ ა რ თ ვ ა-გ ა მ გ ე ო ბ ა, მ ი ს ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ბ ე დ ი მ ე ფ ი ს „ ე რ თ გ უ ლ თ ა" ხ ე ლ შ ი მ ო ე ქ ც ა.

ცხადია მეფის ხელისუფლება იმდენ ძალას არ გრძნობდა და მისი ერთგულნიც არ ერჩევდნენ, რომ შეცოდებულნი კანონისაებრ დაესაჯა, როგორც. ვთქვათ ამას მოიმოქმედებდა ბაგრატ III, დავითი, გიორგი III. ერთნებაობა-თანადგომის პირობებში მხოლოდ ასეთი პოლიტიკა იყო რეალური...

33. რუსის დამარცხების შემდეგ იყო. რომ „ამას შინა მიიცვალა გამრეკელი ამირსპასალარი და თმოგვისაგან კიდე არა დაეკლეს შვილთა მისთა. მაშინ უბოძეს ამირსპასალარობა ზაქარიას მჯარგრძელსა, ძესა სარგის ამირსპასალარისა. მჯდომსა სომეხთა მეფისა ადგილსა. პატრონსა ლორისასა, მოუმატეს ქალაქიცა რუსთავი ჭოყმესა სპასპეტობისასა და ჭიაბერსა მანდატურთუხუცესსა მოუმატეს და უბოძეს ჟინვანი ქალაქი და ციხე მრავლითა მთიულეთი-

თა და შეიწყალეს სარგის ვარამისძე, დალოცეს და უბოძეს თმოგუი და ქუემო წირქუალელნი, ზარტიბისძენი, გრიგოლისძენი, ჭიაბერისძენი, მახატლისძენი და თავნი კახეთისანი — თორღაის ძენი, შეიწყალნეს თკთეული თკსითა წესითა რომელნიმე ახლად დალოცვითა, რომელნიმე მომატებითა, — ეგრეთვე ქართველნი, სომხითარნი, თორელნი, მესხნი და ტაოელნი" (ისტ. აზმ. 95). ამ აჯანყებას სხვათა შორის ის მოყვა, რომ სომხითი ქურდვაჭრის იქით და აქეთ მიიღეს მკარგრძელებმა: როგორც ჩანს, ხელისუფალთა სრული გადახალისება მოხდა $\left(\frac{4}{21}\text{ ფ. } 77-79\right)$.

34. აჯანყება დამარცხდა. რუსი წავიდა. მეფემ შეცოდებულნი არ დასაჯა... „და შეიქმნა მშვიდობა, სიხარული და ერთობა, რომელი არაოდეს სადა ვის უხილავს (და „ერთბაშად ძოვდეს ლომი და ჯარი და იხარებდეს ვეფხი თიკანთა თანა და მგელი ცხვართა თანა" (ის. XI, 6—7, LXV, 25)... (ისტ. აზმ. 95).

ამრიგად, დიდი, ცამეტწლოვანი პოლიტიკური მოძრაობა ჩათავდა. მეფის „ერთგული" მრავალმთავრობის მოძულე ისტორიკოსი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ „შეიქმნა მშვიდობა, სიხარული და ერთობა, რომელი არაოდეს სადა ვის უხილავს". ერთი სიტყვით ძალთა წონასწორობა დამყარდა და ფეოდალურ დაჯგუფებებს თითოეულს მისი შესაფერისი ადგილი მიეჩინა. და თუ მეფის „ერთგულები" აღმოჩნდნენ პირველ რიგში (ესენი იყვნენ აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალები) ეს იმიტომ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური უპირატესობა ფაქტი იყო და საქართველოს მომავალიც აქეთ ეწეოდა ქვეყანას...

და ამის შედეგი იყო ის უჩვეულო წარმატებანი, საქართველოს

რომ ხვდა წილად $\left(\frac{4}{21}\text{ ფ. } 80\right)$.

35. „და შეიქმნა მშვიდობაჲ, სიხარული და ერთობაჲ". (ისტ. აზმ. 95, მდ. 443). ისტორიკოსი განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავს ამ შინაგანი მშვიდობისა და ერთობის ფაქტს. და ეს ადვილი გასაგებია: აქამდე მას მოუხდა მოთხრობა ცამეტწლიანი პოლიტიკური კრიზისის შესახებ, როცა „მშვიდობა" და „ერთობა" სანატრელად მოსაგონარი იყო, როცა ერთი მეორეს იარაღით ხელში დაუპირისპირდნენ ფეოდალთა სხვადასხვა ჯგუფები. როცა საკითხი კატეგორიულად დადგა იმის შესახებ თუ ფეოდალების რომელი დაჯგუფება დაეუფლებოდა ქვეყნის პოლიტიკურ საქმეებს, რომე-

ლი დაჯგუფება ჩაიგდებდა ხელში მეფეს. დავით აღმაშენებელის დროდან მოკიდებული, უკეთ ბაგრატ III დროდან მოკიდებული ეს მშვიდობა და ერთობა ამ ფეოდალურ დაჯგუფებათა შორის აღარ შეიძლებოდა ყოფილიყო. გაერთიანებული სამეფო ამ გაერთიანების მომხრეთა წინწამოწევას და მათზე დაყრდნობას, ბუნებრივია, შეეცდებოდა. ესენი იყვნენ, როგორც წესი, ახალკაცები, უხანოები, ერთგულები. მათ უპირისპირდებოდნენ ძირძველები, მსახურეულნი... დავითის დროდან ამ ვითარებას ახალი მომენტი ზედ დაერთო: სახელმწიფოს პოლიტიკური (და ეკონომიური) ცენტრი აღმოსავლეთში გადმოიწია... რაც არ უნდა იყოს, თამარის სამეფო კარის პოლიტიკა მაინც, საბოლოო ანგარიშით წაგებულია: ის ვერ ახერხებს უგვაროთა შენარჩუნებას (ისტორიკოსის სიმპათიები ამ უგვაროთა მხარესაა, თუმცა არც გადაჭრით), ვერ სჯის აჯანყებულ ძირძველებს მაშინაც კი, როცა ისინი ამის ღირსნი არიან, და მხოლოდ კომპრომისით და დიდგვარიანთა შინაგან უთანხმოების გამოყენებით ახერხებს დამაგრებას $\left(\frac{4}{21}\text{ფ. } 81\right)$.

37. აჯანყების უკანასკნელი ეპიზოდი იყო, რომ გუზან ტაოსკარელი მტრის მხარეზე გადავიდა და (მას მიმხრობოდა სამძივარი სხვითა აზნაურის შვილებითა?) გამდგარ მოღალატეთა წინააღმდეგ გამოვიდნენ ზაქარია ფანასკერტელი, ძინიელნი და კალმახელნი და გუზანის შვილი თურქთა ჯარით დაამარცხეს... (ისტ. აზმ. 95, მდ. 445).

კაცო, ეს სამძივარი მართლა ყუთლუს გვარის ხომ არ იყო? „კრავად ჯაყელი დედა აწ მყოფთა სამძივართა“ ისე ხომ არ უნდა გავიგოთ, რომ ისინი (სამძივრები) აქტიური ყუთლუისტები არიან, მისი უვნებლობისათვის „ახალი სიმტკიცის“ ავტორები? ასეთი ვარაუდისას ადვილად დასაშვებია, რომ სამძივრები — ძირძველი აზნაურები სამძივის ციხის პატრონები (უზნარიანის ციხის?), აწყურის ციხის პატრონები (ანდრია მოციქულის მიმოსვლა) კარავისელობის თავდადებული მომხრენი თამარის ორგულობას შერჩნენ...

მაინც და მაინც სამძივართა ორგულობა (გუზანის მიდგომობა), ღალატი, თურქთა მომხრეობა და სამძივრები ყუთლუს გაფიცვის დროს და დედა მათის მოციქულობა უთუოდ კავშირშია. რაღა ეს ქალები გაუგზავნეს? ალბათ გაფიცულთა შორის იყვნენ მათი შვილები... მაგრამ ტექსტი სამძივართა შესახებ ორივე ადგილას სა-

დაოა: „აწ მყოფთა“ რას ნიშნავს? ან სამძივარი გუზანის მომხრეა თუ მოწინააღმდეგე? (გვ. 96).

აწ მყოფთა სამძივართა ხომ არ ნიშნავს რომ სამძივრებმა ყვეს, რომ სამძივრები მყოფელნი (მქმნელნი) იყვნენ $\left(\frac{4}{21}\text{ფ. } 82\right)$.

38. 1191 წლის შემდეგ საქართველოში პოლიტიკურ მოღვაწეებად (თამარის ერთგულებად) იხსენიებიან მხარგრძელი ზაქარია და ივანე, საღირ მახატლისძე (ხორნაბუჯის პატრონი) სამი შვილით, (ისტ. აზმ. 100), ამირსპასალარი ზაქარია, მსახურთუხუცესი ივანე, ჰერეთის ერისთავი გრიგოლ (გვ. 104), ვახტანგ ხაჩენელი, მწიგნობართუხუცესი ანტონი („კაცი შესახედავადცა ჭაბუკი და გუარტომადცა)“, (გვ. 105), ზაქარია ვარამისძე (გვ. 106), მხარგრძელები ზაქარია და ივანე (გვ. 107), ვაზირი ანტონი (გვ. 107), მანდატურთუხუცესი ჭიაბერი (გვ. 108), შალვა ახალციხელი (გვ. 109), ივანე მჭარგრძელი (გვ. 111), ზაქარია და ივანე (გვ. 115), კ-ზი იოვანე (გვ. 115—116), ახალციხელი ივანე მონაპირე (გვ. 124). ზაქარია ამირსპასალარი (გვ. 125), ახალციხელნი შალვა და ივანე. მანდატურთუხუცესი ჭიაბერი (გვ. 126), ზაქარია გაგელი, ახალციხელი შალვა და ივანე, თაყაიდინ თმოგველი, ივანე მსახურთუხუცესი (გვ. 127), ზაქარია მჭარგრძელი (გვ. 127), ზაქარია და ივანე (გვ. 129), (გვ. 131). ზაქარია ამირსპასალარი; ივანე მსახურთუხუცესი, ზაქარია ვარამისძე გაგელი (გვ. 132), თაყაიდან თმოგველი (გვ. 133, 134), ზაქარია და ივანე (გვ. 134, 136), ზაქარია ამირსპასალარი (გვ. 137), შანშა ზაქარიასძე მხარგრძელი (გვ. 137), ივანე მსახურთუხუცესი ათაბაგი (გვ. 137), ვარამ მსახურთუხუცესი ძე ზაქარია გაგელისა (გვ. 138), ივანე ათაბაგი $\left(\frac{4}{21}\text{ ფ. } 83\right)$.

მონაპირეზე საუბრისას ბასილი „რომანტიკოსობს“: ის რაც იყო დავითის თუ გიორგის დროს, მას თამარის დროში გადმოაქვს. მართლაც და სად იყო თამარის დროს ასეთი ცვლა მონაპირებისა? ვინ შეცვალა გაგელები, მხარგრძელები, თმოგველ-თორელები, ფანასკერტელები?? თუ ზოგი მათგანი კიდევ ჰო (შეიძლება ვიეჭვოთ), უმრავლესობა მკვიდრად დაეუფლა სანაპიროს და მის მიმდგომ ქვეყნებს... ბასილი უეჭველია ძველ ნორმას გადმოგვცემს, როცა მონაპირე სამხედრო მოხელე იყო, მისი მორჩილი და ნების მყოფელი და არა მონაპირე ტარიელივით ან ავთანდილივით, მემკვიდრეობით რომ სხედან „სანაპირო“ სამეფოებში, წლობით შეუძლიათ არ გა-

მოცხადდენ მეფის კარზე და დრო და დრო მორთმეული ძღვნებით მოაგონონ, აცნობონ პატრონ ხელმწიფეს, რომელსაც აქვს „კეისრობა“ (თვითონ კი ესენიც მეფეებია ოღონდ კეისრობა აკლიათ!!)— თავიანთ არსებობის შესახებ. მათ ლაშქარიც თავისი ჰყავთ, დიდებულებიც, კარიც. ასე რომ ეს შოთას მონაპირე თითქმის ყმათნაფიცობამდე მისული მონაპირეა, აი როგორც ზაქარია მხარგრძელი... სულ სხვაა, რა თქმა უნდა, ბასილის მონაპირე... $\left(\frac{4}{21}\text{ ფ. } 140\right)$.

[§ 6. ყუთლუ-არსლანის გამოსვლა, როგორც დაგვირგვინება დიდგვარიანთა ორსაუკუნოვანი ბრძოლისა ცენტრალურ ხელისუფლებასთან]

დიდებულებმა იჩიელეს უგვაროთაგან ვიჩაგრებითო და ყუბასარი და აფრიდონი დაამხვეს და ერთი მეორეს ზიდვა დაუწყეს თუ ვინ დაიჭერდა ამ ადგილებს...

ყუთლუ მათთანაა (მაინც და მაინც მის წინააღმდეგ არავინ გამოსულა); კიდევ მეტი, ის ლორეში მეფეთა ადგილზე დაჯდომას და ამირსპასალარობას აპირებდა. და, ჩანს, ამისი თანახმანი იყვნენ მისი მომხრენი („ლაშქარნი ფიცნი“). შეიძლება ყუთლუ ძველი დიდგვარიანი არ ყოფილიყო[6], მაგრამ მას ამ ნიშნისათვის არავინ დეევნიდა და ის მებრძოლ დიგვარიანთა წრეში მიღებული იყო და დიდგვარიანთა მოთხოვნილებებს მხარს უჭერდა, მათ განასახიერებდა.

ყუთლუს თანაშეფიცულნი „დიდებულნი“ იყვნენ. თამარის „მანდილოსნების გარჯით“ განდგომილნი „მოჰყუეს დიდებულნი ბრძანებასა პატრონისასა და წინაშე მოსრულთა დავრდომით თაყვანისცეს და აღიღეს ფიცი პატრონისაგან და მისცეს მათ ერთგულებისა და ნებისმყოფელობისა მათისა“.

---

6 ყუთლუ-არსლანი—უგვაროების ბელადი. ჯანაშია, შრომები, I, 428. ყუთლუ შეიძლება მართლაც არ ყოფილიყო დიდგვარიანი, მაგრამ ის რომ უგვაროების ბელადი არ იყო, ეს ყოვლად უდავოა. (4/21 ფ. 89).

ყუთლუ უნდა ჯაყელთაგანი ყოფილიყო (?) კრავა შეიძლება მიტომაც მიგზავნეს??

ყუთლუ-არსლან მეპურპლეთუხუცესი, მეპურპლეთუხუცესობა XIII ს-ში ჯაყელთ გვარში.

ყუთლუ-არსლანიც ჯაყელთ გვარში გვხვდება... კრავა ჯაყელი...

$\left(\frac{2}{16}\text{ ფ. } 177\right)$.

არავითარი ორი სხვადასხვა დასის ნიშანი აქ არ არის. პირიქით ესაა ერთი მთელის (დიდგვარიანთა) გამოსვლა დაწყებული ყუბასარ-აფრიდონის წინააღმდეგ გამოსვლიდან ბოლომდის. და ისტორიკოსიც მხოლოდ ასე მოგვითხრობს, ჯერ ყუბასარი და აფრიდონი (უგვაროები) ამოიღეს ნიშანშიო და „შემდეგ ახალი", „უცხო მოსაგონებელი და დიდად განსაკვირვებელი" მოაყოლა ყუთლუ არსლანმა (რომელსაც დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი გვერდში უდგნენ და შეფიცოდნენო).

და ის რაც ყ უ თ ლ უ მ მ ო ი თ ხ ო ვ ა „ახალი" — იყო ლოგიკური გაგრძელება და დაგვირგვინების ცდა იმ ბრძოლისა უგვაროთა და უხანოთა აღზევების წინააღმდეგ რომ აწარმოებდნენ სწორედ ეს დიდგვარიანები...

„ახალიო" რომ ამბობს ავტორი, ამით ის უპირისპირებს ამ „ახალს" რაღაცას, რის შესახებაც ეხლახან მოგვითხრობდა. რას მოგვითხრობდა? იმ ჩვეულებრივ ამბავს, რომ დიდგვარიანებმა უხანოთა წინააღმდეგ გაილაშქრეს და ისინი დაამხვეს, რითაც სამეფო ხელისუფლებას, ამ უხანოების მფარველს, მარცხი განაცდევინეს. მაგრამ ეს იყო მაინც კერძო ფაქტი, თუმცა არა ერთ გზის განმეორებული XI—XII ს-თა სიგრძეზე. პრინციპული ხასიათის შეხედულებანი, უეჭველია, შემუშავდებოდა ასეთი ბრძოლისას (და რომ მართლაც არსებობდა ურთიერთის გამომრიცხავი შეხედულებანი ამას კარგად მოწმობს დავითის ისტორიკოსი, როცა დასცინის მაბრალობელთა „უსამართლობაზე" რომ ჩიოდნენ...): დიდგვარიანნი ერთი შეხედულებისანი იყვნენ, ახალკაცნი (ქალაქები, ხელოსან-ვაჭრები, წვრილი აზნაურები, მოლაშქრენი) კი საწინააღმდეგოსი. და აი ეს ბრძოლა ყუთლუ-არსლანმა კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი უ რ ფ ო რ მ ა შ ი ჩ ა მ ო ა ყ ა ლ ი ბ ა და მ ი ს ი დ ა კ ა ნ ო ნ ე ბ ა მ ო ი ს ურ ვ ა. აი ეს იყო „ახალი" (მეფის ხელისუფლების შეზღუდვა დიდგვარიანთა სასარგებლოდ). ეს მართლაც ა ხ ა ლ ი რამ იყო: ბრძოლის ახალ უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა იყო...

ამრიგად, გამოდის, რომ ყუთლუ-არსლანის გამოსვლა (პროგრამა), მართლაც რომ „ახალი" რამ იყო, მაგრამ ეს იყო ბუნებრივი განვითარება მ ა ღ ა ლ ს ა ფ ე ხ უ რ ზ ე ა ყ ვ ა ნ ა იმ ბრძოლისა, რომელიც ო რ ი ს ა უ კ უ ნ ი ს მ ა ნ ძ ი ლ ზ ე მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ დ ა პ რ ო გ რ ე ს ულ მ ე ფ ი ს ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს ა (გაერთიანება, ცენტრალიზმი, კანონიერება, წესიერება, ქალაქები, ვაჭრობა-ხელოსნობა, წვრილი აზნაურობა, მდაბიორმოლაშქრენი =

ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ბ ა, მდაბიორმოლაშქრეთა გაგლეხება) და რეაქციულ დიდგვარიანთა შორის — ამათ სურთ ქვეყნის განვითარების გზის პირშექცევით წაყვანა: ახალკაცების, ახალი ცხოვრების ამ ნაყოფთა უკუგდება, მეფის ხელისუფლების არსებითად მნიშვნელოვნისაგან დაცლა (შედარება შეიძლებოდა დიდი ქარტიის იდეებთან, პოლონური ნე პაცვალამის იდეასთან).

და თუ ვინმე ამაში გვეთანხმება (მართლაც გამართული აზრი გამოდის), მონასტრებიდან კი არ უსესხნიათ, როგორც ზოგი ვინმე ფიქრობდა, არამედ თვით „საერო" ცხოვრებაში ორასწლოვანი ბრძოლის პირობებში შემუშავდა დიდი პოლიტიკური აზრი პ რ ო გ რ ე ს უ ლ ი, დავითის ისტორიკოსი რომ გამოთქვამს, და რ ე ა ქ ც ი უ ლ ი ყუთლუ-არსლანმა რომ გამოთქვა. პირველით მეფე სარკვა და დუხჭირმა თავის თავს დააბრალოს თავისი სიდუხჭირე, მეფე ღვთის ნების განსახიერებაა, ის სამართლის განსახიერებაა, მეორეთი მეფე დიდგვარიანთა ნების აღმასრულებელი უნდა იყოს...

ამ სიმაღლემდე ასულა ბრძოლა (შდრ. ლაშას სარევანშო ცდები...) და რას ნიშნავს ეს, თუ არა ფეოდალური საზოგადოებრივი განვითარების უმაღლეს საფეხურს. რა იყო ეხლა ამ ბატონყმობის გამარჯვების პირობებში ის ძალა, რომელსაც მეფე ემყარებოდა დიდგვარიანთა წინააღმდეგ? საიდან გამოდიოდნენ ეს ახალკაცები? წვრილი აზნაურებიდან სადუნის წინაპრები, ორბელის წინაპრები, აზნაურის ყმა აფრიდონ, ჯიქური, ნაყივჩაყარი ყუბასარ და სხვა. აზნაურთა ყმებიდან (შდრ. ლიონიძე XVIII ს. ან იესე აზნ. ოსესიძე, ან. აზნ. საკაძე XVII ს.). დიდგვარიანები კარგად ხედავდნენ, რომ ყველა ბოროტების სათავე ისაა, რომ წყალობა და გამორჩევა მეფის ჭელთაა. მართლაც და ვიდრე ეს იარაღი მეფეს ეპყრა, მას ყოველთვის ხელი მიუწვდებოდა ქვეყნის უდიდეს ნაწილზე (მეფის სახელით წყალობად გაცემულ ქვეყნებზე) და ამ ქვეყნების მოსახლეობა თავს საბოლოო ანგარიშით მეფის ხელქვეშეთ გრძნობდა. ასეთი ქვეყნების შვილები გზამოჭრილი არ იყვნენ აღზევებისაკენ იმ ფეოდალის გვერდის ავლით, ვისაც ეს ქვეყანა ნაწყალობევად ჰქონდა (მეფეს უფლება ჰქონდა ჩარეოდა ნაწყალობევის შიგნით ურთიერთობაში თუ ამის საჭიროება დადგებოდა, ე. ი. ნაწყალობევი იმ შემთხვევაშიაც კი, როცა ის სამემკვიდრეოდ ეძლეოდა ფეოდალს, მწყალობელის კონტროლს ქვეშ რჩებოდა, რომ არაფერი ვთქვათ სანახევროდ ან სახარჯოდ გაცემულ ქვეყნებზე)... და ვიდრე ეს მომენტი მოქმედებდა და ამ მომენტს ახალკაცობის

მოსწრაფენი ენერგიულად უპერდნენ მხარს: მეფესთან ჩივილს, მეფის ერთგულებას განუწყვეტლად ამეღავნებდნენ, წყალობა ხელდასმულ დიდმოხელეს ხელი დაცარული ჰქონდა. მისი ბატონობა ქვეყანაში სათუო-საეჭვო იყო. მისი ბატონობისათვის აუცილებელი იყო რათა მის ქვეყანაში ახალკაცებს, აღზევების მოსურნეებს მეფესთან ურთიერთობის საშუალება მოსპობოდათ, რათა მეფეს და მის ქვეშევრდომთა შორის ის გარდაუვალ კედლად ჩამდგარიყო (სულ ერთია იქნებოდა ეს სოფელი, ქვეყანა, ქალაქი). ერთი სიტყვით საშვილიშვილოდ დაუფლება ნაწყალობევი ქვეყნებისა, მაგრამ არა როგორც მეფის მიერ ნაწყალობევის, არამედ დიდგვარიანთა სავაზიროს მიერ ნაწყალობევისა (დიდგვარიანებს თავიანთი კლასობრივი თანამოწმეების სრული ნდობა ჰქონდათ. შეუვალობა-მემკვიდრეობითობას მათ კლასობრივი ინტერესი კარნახობდა). აი ასეთი ბატონყმობა სურდათ ამ დიდგვარიანებს. ასეთ პირობებში, ფიქრობდნენ ისინი, შეძლებდნენ თავიანთი კლასობრივი ინტერესების განხორციელებას... მაგრამ ეს ხომ ქვეყნის უკან წაყვანას მოასწავებდა. გაერთიანებაც იმიტომ მოხდა, რომ ახალი ძალები განვითარდნენ, რომელთათვისაც ეს ერთიანობა-არსებობა განვითარების პირობა იყო. და ასე იყო არა მხოლოდ სამეფო დომენში (რომელიც ამ დროს მეტის მეტად დიდი იყო: თუ მეტს არა, საქართველოს ორ მესამედს სწვდებოდა), არამედ ფეოდალების სამკვიდროებშიც კაცმა რომ თქვას ასეთი ხელშეუვალი სამკვიდროები, თეორიულად მაინც, ეხლა აღარც არსებობდა და მთელი ქვეყანა სამეფოდ ითვლებოდა. უმკვიდროს (ბეითალმანი) კანონი (დავითმა რომ გელათს შესწირა). აი რისთვის მიმდინარეობდა დიდი ბრძოლა პროგრესსა და რეაქციას შორის. და როგორღა გვედავებიან, რომ ეს ბრძოლა არ იყო ფეოდალიზმის უმაღლესი საფეხური XIII საუკუნეში? $\left(\frac{4}{23}\right.$ ფ. 34$\left.\right)$.

დამახასიათებელია, ყუთლუს ნამზითვობის თეორია არ გამოაქვს. შეუძლებელია, რომ ამ დროს ჯუანშერს არ იცნობდნენ. უნდა ვიფიქროთ, საკითხი შეეხებოდა არა დიდგვარიანის მამულს, ეს მისი მოუდევარი ქონება იყო, არამედ დიდებას და დიდების წყალობასთან დაკავშირებულ სამიწო-საქვეყნო-მფლობელობას. სამეფო ფონდი განსაკუთრებით დიდი იყო, ბაგრატ III-დავით-გიორგიმდე შექმნილი, აბა რომ მეფის სამამულო შეწყალება-დ ი დ ე ბ ა — შეადგენდა ფეოდალური კლასის მაღალი ფენის მთავარ სა-

ყრდენს... სიძობა-ნამზითვობით მფლობელობა აღარავის სწამდა, გამაერთიანებლებმა, ჩანს, ამ თეორიას საფუძველი ყოველივე გამოაცალეს. ან რა თეორია შეიძლებოდა ასეთი, როცა ერისთავებს წარამარა ცვლიდნენ და საერისთავოებს აუქმებდნენ ან აარსებდნენ... (პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე. გვ. 28).

„გიორგი მერჩულე „საეკლესიო მშენებლობის საკითხებში რესპუბლიკური იდეოლოგიის დამცველად გამოდის“ (იხ. გვ. 114_{18-21}, 115_{13-14}. 118. 89).

ყუთლუსთან... ისტორია (ივანეს მოსაზრებას მიემატება).

* * *

ახალკაცები XII საუკუნეში დავითიდან და შემდეგ ვიდრე თამარამდე — ო რ ბ ე ლ ე ბ ი, ს უ რ ა მ ე ლ ე ბ ი, მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ე ბ ი (ქურთები), ყუბასარი, აფრიდონი — უხანოები; დადიანები, თორელები, ჯაყელები, მირიანისძეები — ძირძველები. ჭეშმარიტად დიდი ძვრების ხანა... და ძირძველები იცავენ თავს უხანოებისაგან, რომელთაც მეფე აწინაურებს დ ი დ ე ბ ი თ... და ცდილობენ მეფეს ხელიდან გამოგლიჯონ ეს იარაღი და ეს მოითხოვა ყუთლუ არსლანმა... იმაზე უფრო ცხადი პროტესტი, როგორც ეს ძირძველებმა გააცხადეს, არც შეიძლება და იმაზე უფრო ლოღიკური გაგრძელება ამ ბრძოლისა მის დასაგვირგვინებლად ძირძველების სასარგებლოდ, წარმოუდგენელია, როგორიც იყო ყუთლუს პროგრამა...

ასე, რომ მე არ ვიცი, რას ემყარება სიმონ ყაუხჩიშვილის მოსაზრება, როცა ის ამ ჩემ კონცეფციას არ იზიარებს $\left(\frac{4}{23}\text{ ფ. } 35\right)$.

— — —

ადრეფეოდალურ ხანაში ჩვენ გვაქვს ამ ხანის შესაფერისი „რეფორმები“: VI საუკუნის აქტი და VIII საუკუნის აქტი. აქედან ჩვენ მივიღეთ (ორივეს შედეგად) ფეოდალური სამეფო სენიორებით (მთავრებით), დარბაზით, მეფეთ... VI ს. სიგელნი მკვიდრობისანი. ამის შემდგომი უფრო მაღალი საფეხური — ნამზითვი: სამეფო და საერისთაო ქვეყნები. აქამდე ქვეყანა სულ „სამეფო“ იყო და ერისთავები, თუნდაც მკვიდრი, მაგრამ მაინც მოხელეები იყვნენ მეფისა. ქვეყანა არ იყო დაყოფილი სამეფო და საერისთავო ტერიტორიებად. იწყება გაერთიანება. ქრება სამთავროები (დიდი

ბრძოლები — ბაღვაში, აბაზაძე, ტბელები, ძამელები და ათასი სხვა) და „ერისთავი“ ისევ უმკვიდრო მოხელე ხდება მეფისა... მეფე თვითმპყრობელი. ქვეყანა გაერთიანებული ერისთავებით, სავაზიროთი... და ერისთავები ახალი ვითარების შესაფერისად იბრძვიან არა დაშლისათვის, არამედ მეფის უფლებათა შეზღუდვისათვის: კ ა რ ა ვ ი ს ა თ ვ ი ს. ეს უკვე მ ე ს ა მ ე ს ა ფ ე ხ უ რ ი იყო ერისთავების ბრძოლისა. თავს იცავენ მეფის ახალკაცებისაგან...

რა შუაშია აქ ვაჭრები, „სიმდიდრით აღზევებულნი“, მონასტრების ტერმინოლოგია?? 700 წლის ბრძოლა არც ახლა გადაწყდა და არც გადაწყდებოდა. ვიდრე საქართველო ფეოდალურ ურთიერთობას არ გადალახავდა... და ესაა ადრე ფეოდალური ურთიერთობის ნიშანი? განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის გვიან ფეოდალურ ურთიერთობაში გარდამავალი კრიზისული ხანა — აი ამის ნიშანია ეს ყუთლუს „კარავი“. დიდგვარიანების თავის დასაცავი საშუალება მეფის ხელისუფლების (თვითმპყრობელ, ღმრთისა სწორის) ტენდენციების წინააღმდეგ... ბრძოლა გაგრძელდა. კომპრომისით არავინ კმაყოფილი არ იყო. ამ დროს შემოესივნენ მონღოლები... ერისთავების მფარველები. ქვეყნის გაოხრებაც მეფის სამტრო იყო... გაჩნდა სამეფოები, სამთავროები, სათავადოები... ქვეყანა დაიჩიხა, მისი განვითარება შედგა... ერთხელ კიდევ გაიბრძოლა სამეფო ხელისუფლებამ—ალექსანდრე დიდი... მარცხი. სათავადოები ქართლში, იმერეთში, მესხეთში, სამოურავოები კახეთში... სამთავროები, ქვეყანა დაიშალა... და ერთიანი საქართველო მწარე მოგონების საგანი გახდა. ყ ვ ა ო დ ნ ე ნ ს ა თ ა ვ ა დ ო ე ბ ი, ს ა მ თ ა ვ რ ო ე ბ ი... ეს იყო ბატონყმურ ურთიერთობაში შექმნილი ჩიხის (საშინაო და საგარეო ურთიერთობათა ნიადაგზე წარმოქმნილი სტაგნაციის) შესაფერისი სოციალ-პოლიტიკური ფორმა....

აი ასეთ განვითარებაში განხილული ყუთლუს პროგრამა გასაგებია... გაერთიანების მოღვაწეთა დაუნდობელი ბრძოლა: განდევნა, ამოწყვეტა, სამთავრო ტერიტორიების მიტაცება, სამეფოდ გამოცხადება. სამეფო ტერიტორიის ზრდა ბაგრატიდან დავითამდე. „შეკრთე სახლი სახლს“. და ეს იყო ადრეფეოდალური ურთიერთობის ნაშთნი? უკანასკნელი ეტაპი: 1490 წ. დარბაზი...

$\left(\frac{4}{23}\text{ ფ. } 29-36\right)$.

[ყუთლუ-არსლანის გამოსვლის ზოგადი შეფასებისათვის]

ყუთლუ-არსლანის პროგრამა უნიკალურია და ამდენადვე უცნაური. ეს საკმაო საბუთია იმისი, რომ ჩვენ საქართველოს ისტორიის ეს ხანა არ ვიცით. ამიტომაც ეს პროგრამა ასე ობლად, უთვისტომოდ, უკავშიროდ გამოიყურება ნაცნობ მოვლენათა შორის. მით უფრო გვმართებს ამ ფაქტის სრული შესწავლა, ღირსეული შეფასება და საჭირო დასკვნების გამოყვანა ეპოქის შესახებ. საჭიროა მისი ყოველმხრივი შესწავლა და სიფრთხილე გადაჭარბებით შეფასებისა ან კიდეე შეუფასებლობის წინაშე.

გარკვევით შეიძლება ითქვას: დღევანდლამდის ეს ფაქტი როგორც საზოგადოებრივი მოვლენა ღირსებისაებრ შედარებული არ არის, ის სოციოლოგიურად შესწავლილ-განხილული არ არის. პ-ლი პროფ. ჯავახიშვილი ზედმიწევნით იხილავს მას, როგორც ფაქტს. მრავალ საყურადღებო მხარეებს ამ ფაქტისას აქცევს ის ყურადღებას, მრავალ საინტერესო საკითხს სწყვეტს, მაგრამ ფაქტის ისტორიულ-სოციოლოგიური შესწავლა მას არ დაუსახავს მიზნად. ეს მხარე სრულიად შეუსწავლელია. ღირსი კია, რომ ეს ფაქტი ამ მხრითაც შესწავლილი იყოს მთელი სისრულით. ეს ადეილი საქმე როდია. საჭიროა ამ თვალსაზრისით (სახელმწიფო-საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების თვალსაზრისით) შესწავლილი იქმნას საქართველოს ისტორიის წინა ხანა მე-12 საუკუნის მიწურულამდის (ფრიად საყურადღებოა ჯუანშერის აზროვნება. დარბაზი ეახტანგის დროს, შესწავლილი უნდა იქნეს საზოგადოებრივი პოლიტიკური აზროვნების განვითარება მეზობელ ქვეყნებში (სპარსეთი, მცირე აზია, საბერძნეთი), შესწავლილ უნდა იქნეს თანამედროვე კორპორაციების მართვა-გამგეობის წესები აღნიშნულ ეპოქაში (მცხეთა, მონასტრები, ქალაქები) მხოლოდ ასეთი მუშაობის ჩატარების შემდეგ შესაძლებელი იქნება სწორი შეფასება ამ ღირშესანიშნავი ფაქტისა.

თუკი თავისუფლების დიდი ქარტია ღირსია მონოგრაფიული შესწავლისა (ის ამის ღირსია და შესწავლილიცაა, მაგრამ იმიტომ კი არ არის ამის ღირსი, რომ ინგლისს ეხება, ან კიდეე იმიტომ კი არა, რომ აქედან ინგლისის ბურჟუაზიული პარლამენტი განვითარდა, სრულიადაც არა: — ბურჟუაზიული პარლამენტი უამისოდაც გაჩნდებოდა, — ის შესწავლის ღირსია თავის თავად, როგორც გარკვეული ისტორიული ფაქტი გარკვეულ დროსა და გარემოება-

ში წარმოქმნილი). არანაკლებ ღირსია ასეთივე შესწავლისა ყუთ-ლუ-არსლანის პროგრამა, მისი სოციალური სახე და მნიშვნელობა. მისი სათანადო შესწავლით, ვაკადნიერდები განვაცხადო წინასწარ, ჩვენთვის ცხადი შეიქმნა აზროვნების ის სიმაღლე, რომელსაც ამ დროს ქართულმა საზოგადოებამ მიაღწია. პოლიტიკურ აზროვნების სირთულე და სიმაღლე კი, რა საჭიროა ამის მტკიცება, საზოგადოებრივ ცხოვრების მაღალ განვითარებას ჰგულისხმობს და როცა ასეთ რასმე ადგილი აქვს „საშუალო საუკუნოებში", რომელზედაც სამწუხაროდ დღევანდლამდისაც მრავალი ჩვენგანი ფრიად არასწორი წარმოდგენისა არიან — დღემდისაც შეტერნეგისა და ბიუხერის შეხედულებებს არ გასცილებიან, — ასეთ პირობებში ამ საკითხის ასეთი გაშუქება უეჭველად აქტუალური მნიშვნელობის მქონე საკითხია ჩვენს ისტორიაში პირველ ყოვლისა და „საშუალო საუკუნეების" ისტორიისათვის საერთოდ... ის ფაქტი, რომ გიორგი III-ის წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილე აღმოჩნდა დიდებულთა დიდი უმრავლესობა — მის წინააღმდეგივე აღმოჩნდა თვით ეკლესიაც კი, — ეს მოვლენა უეჭველია ღრმა ფესვებს ჰგულისხმობს. ასეთი შეთანხმება ურთიერთშორის მოქიშპე ფეოდალების შეუძლებელი ხდებოდა ღრმა და გარდაუვალი მიზეზებით, რომელნიც X საუკუნიდან დაწყებული (შეიძლება უფრო ადრეც...) უფრო და უფრო ძლიერდებიან და თავის გამოხატულებას მოითხოვენ. ჯერ ცალკეულად, შემდეგ ჯგუფურად, შემდეგ ერთიანი ფრონტით მეფის ცენტრალურ აბსოლუტისტურ ტენდენციების წინააღმდეგ, ეს ეტაპები შეესატყვისება და აღნიშნავს სამეურნეო და სოციალური განვითარება-წინსვლის სათანადო ეტაპებს.

ყუთლუ-არსლანის პროგრამა — ეს დაგვირგვინებაა ამ ხანგრძლივი და დაჟინებითი ბრძოლისა. ყუთლუს პროგრამა შუაში დგას „დემნას აჯანყებისა" და ლიხთიქითის განდგომას შორის. დემნას აჯანყება. ეკლესიის გაფიცვა, თამარის მეორედ კურთხევა, დიდგვარიანთ გაფიცვა. საეკლესიო კრება, ყუთლუს პროგრამა, ლიხთიქითის აჯანყება და ბოლოს მთიელთ აჯანყება — ყველა ესენი გახლავთ ბატონყმობის ბრძოლა პატრონყმობისა და ბიუროკრატულ ცენტრალიზმის წინააღმდეგ (ეკლესიის შეუვალობა მელქისედეკმა რომ მიიღო XI ს-ში ბატონყმობის ერთ-ერთი გამოვლინება იყო). ყუთლუს პროგრამა ამ შინაგან მიზანს ისახავდა. ამაში იყო მისი მნიშვნელობა და მასში იყო მისი პროგრესულობაც. რა თქმა უნდა, ყუთლუს არსაიდან არ უსესხია ეს პროგრამა, ასეთი არც არსად იყო. თუ სადმე იყო რაიმე სასესხებელი მაგალითი, ეს ისევ საქარ-

თველოს კორპორაციები იყო (ეკლესია, საკათალიკოსო, მონასტერი, ქალაქები?) და რა შეიძლებოდა ესესხნა და რაიმე შედეგი ჰქონოდა, თუ საქართველოში საამისო ნიადაგი არ იყო მომზადებული. და ნიადაგი სწორედ აქ იყო მომზადებული (შდრ. ნიკორწმინდის სიგელი), ისე როგორც არსად ახლოს. ამიტომ ყუთლუს პროგრამა ადგილობრივი სინამდვილის ანარეკლია და არც უმნიშვნელოდ შეეძლო ჩაევლო მას... როგორც დიდგვაროვანთ გაფიცვა („დემნას განდგომა" თუ ეკლესიის ულტიმატუმი), ისე ყუთლუს პროგრამაც საბოლოოდ ერთ მიზანს ისახავდა, რამდენადაც ყველა ეს ერთი მთავარი მიზეზის გამომჟღავნება იყო. განსხვავება უმთავრესად დაჯგუფებებშია და არა კლასებში. დიდგვარიანნი, ეკლესია და ყუთლუს ჯგუფი ყველა ფეოდალები იყვნენ, ყველანი ბატონყმობის მომხრენი იყვნენ, მისთვის იბრძოდნენ: საწარმოო ძალთა განვითარება მოითხოვდა ფეოდალიზმის ამ ფორმას. განსხვავება ამ დაჯგუფებათა შორის უფრო ტრადიციულ-კუთხური ხასიათისა ჩანს, ვიდრე არსებითი. დიდგვარიანნი ძველის აღდგენაში ხედავდნენ თავიანთ ინტერესს (გაიხსენე თამარის მეორედ კურთხევა). გვარით უხანოთა მოზიზღარნი, ისინი ემიჯნებოდნენ ამ ახალ ფეოდალებს და მათგან დამოუკიდებლად ლამობდნენ ხელში ჩაეგდოთ სახელმწიფო აპარატი, რომ ის თავის ზრახვათა რეალიზაციისათვის გამოეყენებინათ... მაგრამ რა უნდა ყოფილიყო მათი პროგრამა? ნათლად შემუშავებული ასეთი რამ მათ არაფერი ჰქონიათ (ყოველ შემთხვევაში ჩვენ ამის შესახებ არა ვიცით რა), მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ნათლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა სურდათ მათ. ახალი ფეოდალების წამოწევით, გამდიდრება-აღზევებით ეს ხალხი უეჭველია დაჩაგრული იყო. ამიტომ ებრძოდნენ რა მეფის ცენტრალისტურ აბსოლუტისტურ ტენდენციებს ისინი ამ უხანოთაც ებრძოდნენ. მართალია, უკანასკნელებთან ბრძოლა პრინციპული ხასიათისა არ იყო. „უმადური" უხანოებიც დიდგვარიანებივით — ფეოდალურ ტენდენციების მატარებელნი იყვნენ, — მაგრამ ეს იყო ბრძოლა ადგილებისა და ქვეყნებისათვის, ბრძოლა გავლენისათვის ორ ჯგუფს შორის. ეს იყო ერთ სარბიელზე კონკურენცია ორი ხარისხობრივად ერთნაირი ჯგუფისა, ერთი კლასის ორი დაჯგუფებისა. დიდგვაროვანნი მეფის აბსოლუტისტურ ტენდენციებს, როგორც ვთქვით, იმავე მიზეზებით ებრძოდნენ, რითაც უხანონი. აქაც პრინციპული განსხვავება მათ შორის არ ყოფილა. განსხვავება ის იყო მხოლოდ, რომ დიდგვარიანნი ამ ბრძოლის იდეალს უკან ხედავდნენ და არ იცოდნენ, რომ იქ არ იყო ეს იდე-

ალი. მსახურეულნი ძველის აღდგენას ფიქრობდნენ და არ იცოდნენ, რომ ძველი ვერ აღდგებოდა და რომ აღმდგარიყო კიდეც, თვით ისინი იქნებოდნენ მისი წინააღმდეგნი: ქვეყნების საწარმოო განვითარების ხასიათი გარდაუვალად მოითხოვდა ძველი, პატრონყმური ფორმების მოსპობას, მის პოლიტიკურ გამოვლინების მოსპობას. გაერთიანების აუცილებლობას, და დიდგვარიანები რა თქმა უნდა, სინამდვილის წინააღმდეგ ვერც წავიდოდნენ. და თუ მიუხედავად ამისა, ისინი უკან იხედებოდნენ, ეს იმდენად და ისევე როგორც ყოველი კონსერვატორულ — რეტროგრადული მიმდინარეობა აწმყოთი უკმაყოფილო წარსულში ხედავს ხსნას, როცა ის მოწინავე იყო, როცა მას ექიშპებოდა, როცა ის რევოლუციონერი იყო...

დიდგვარიანთა მიზნები და ბრძოლის მეთოდები არ უდგებოდა სინამდვილეს: მათ პატრონყმური პირობები სურდათ, პატრონყმობის შესატყვისი ცენტრალისტური მმართველობა სურდათ — ამაში იყო ძველის აღდგენა — მაგრამ არსებითად, რა თქმა უნდა, ბატონყმობას ემსახურებოდნენ, რამდენადაც ცენტრალურ ხელისუფლების დასუსტებით მემამულეობის სისტემის განმტკიცება-გამარჯვებას აღწევდნენ...

თუ დიდგვარიანთ ბრძოლის მეთოდები ასე ორსახოვანი იყო, უხანოთა პროგრამა, მათი ბრძოლა და მიზნები მთლიანი და ნათელი ჩანდა. ეს პროგრესული დაჯგუფება იყო. მათ წარსულთან — პატრონყმობასთან — არაფერი აკავშირებდათ. პირიქით დიდგვარიანებთან ქიშპი ძველ ფორმას მათთვის ყოვლად მიუღებელს ხდიდა, ძველის აღდგენა მათ მოსპობას გულისხმობდა, როგორც გარკვეული დაჯგუფებისას. ერთი სიტყვით ამაში რეტროგადობისა არა იყო რა, მაგრამ ამავე დროს ესენი არანაკლებ უკმაყოფილონი იყვნენ აწმყოთი, როცა მეფის ხელისუფლება, ცენტრალური აპარატი ძველ გადასულ პატრონყმურ ფორმებს ეჭიდებოდა ყმისა და პატრონის ურთიერთობაში და მომწიფებულ ბატონყმობას, მემამულეობას აფერხებდა (დიდგვარიანებს მეფე-ფეოდალთა დამოკიდებულება პოლიტიკურად პატრონყმური სურდათ, ხოლო ფეოდალთა და ყმათა — მწარმოებელთა — დამოკიდებულება ბატონყმური, მეფეს მეფე-ფეოდალთა დამოკიდებულება პოლიტიკურად ბატონყმური სურდა, ხოლო ფეოდალ-მწარმოებელთა დამოკიდებულება პატრონყმური. ამაში იყო მათი წინააღმდეგობა. უხანოთა მოთხოვნილება ლოგიკურად მთლიანი, პროგრესული და ყოველივე წინააღმდეგობას მოკლებული იყო. ის ამდენადვე პროგრესული იყო.

ბატონყმობის გამარჯვება, ამ გამარჯვების დაკანონება, სათანადო პოლიტიკური ფორმის შექმნით — ეს იყო ყუთლუს დასის მოთხოვნილება, მეურნეობაში გამარჯვებული, ფეოდალიზმის ეს ფორმა თავის სახეს მოითხოვდა პოლიტიკაშიაც. და ეს გარდაუვალი იყო. რას მოითხოვდა ყუთლუ?...

რაც უფრო ვითარდებოდა საბატონყმო ურთიერთობა, რაც უფრო მკაფიოდ დაისმოდა მ ა მ უ ლ ი ს ს ა კ ი თ ხ ი, მით უფრო ფეოდალური დ ა რ ბ ა ზ ი მეფის ურჩი ხდებოდა: ფეოდალთ ინტერესები ცენტრის ინტერესებს ეთიშებოდა. მართალია დარბაზი რეგულარულად მოქმედი დაწესებულება არ ყოფილა, მისი მოწვევა, დათხოვნა („გაყრა") მეფის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად იყო ასე. მეფე უდარბაზოდ ვერაფერს იღონებდა: რეალური ძალა ფეოდალთ ხელში იყო და მათ სურვილებს უდიდესი ანგარიში უნდა გაწეოდა და თუ მშვიდობიან დროს მეფეს ასე თუ ისე შეეძლო კიდევ დარბაზის დაუკითხავათ ესაქმა, ომის დროს ის სრულიად უმწეო იყო რაიმე ეღონა ფეოდალთ თანხმობის გარეშე. და აი სწორედ ომის დროს ამყღავნებდნენ თავიანთ ზრახვებს ფეოდალები... მაგრამ ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარება, რომელიც ბატონყმობას აუცილებელს ჰყოფდა, მეფე-დედოფალთა ინტერესებს რამოდენადმე ერთიმეორეს უპირისპირებდა, და თუ ერთი მხრით ფეოდალებს აძლიერებდა, მეორე მხრით ანვითარებდა ისეთ ელემენტებსაც, რომელზედაც დაყრდნობით მეფის ხელისუფლება ცდილობდა გაძლიერებულ ფეოდალებს გამკლავებოდა.

თუ საწარმოო ძალთა განვითარება თავისუფალ მიწისმოქმედ, წვრილ ერს სპობდა, გლეხად აქცევდა — საბატონყმო ელემენტს აყალიბებდა—და ამდენად ცენტრალურ ხელისუფლებას დიდგვარიანთ საწინააღმდეგოდ გამოსაყენებელ ელემენტს ხელიდან აცლიდა, იგივე საწარმოო ძალთა განვითარება იწვევდა ქალაქების განვითარებას. ვაჭრები და ხელოსნები, — აი ესენი უნდა გამხდარიყვნენ ამიერიდან მეფის ხელისუფლების დასაყრდენი. საკუთარი დიდი დომენი და ქალაქები უნდა გამხდარიყვნენ მეფის ხელისუფლების დასაყრდენი ბატონებთან ბრძოლაში. სხვა გზა არ იყო, მხოლოდ ამაზე დაყრდნობით შეეძლო ცენტრალურ ხელისუფლებას გამოსულიყო პროგრესის მატარებლის როლში და თავის საბოლოო გამარჯვება უზრუნველეყო. ამის მხოლოდ ცდა იყო ჩვენში (დავითი); მთელი სიგრძე-სიგანით არ გამოვლინდა ეს. ქალაქები ფეოდალთ ხელში დარჩა და მეფის ხელისუფლებაც მეწინავის

როლში ვერ გამოვიდა. მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით ფეოდალები არაფრით ჩამოუვარდებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას, სახელმწიფო მეურნეობა არაფრით განსხვავდებოდა ბატონის მეურნეობისაგან, ხოლო რაც შეეხება სიდიდეს — ყველა ბატონთა ჯამი, რა თქმა უნდა, მეტი იყო მეფის მეურნეობაზე. ქვეყნის შემდგომი განვითარება, რა თქმა უნდა, საკითხს გადაჭრით დასვამდა. ბატონყმობის პირობებში, მეფე ვერ მოითმენდა აუარებელ „მეფეებს" (თამარის ეპოქის სინამდვილეში სრულიად ბუნებრივი იყო ზაქარია მხარგრძელს „მეფე" ეწოდებინა თავისთვის, მაგრამ არა მარტო ზაქარიას, ასეთები მრავალი იყო, როგორც შიგნით — „მეფეთა ადგილთა მჯდომნი", — ისე გარეთ — ყმად ნაფიცნი: ქვეყანა ან უნდა დაშლილიყო, „სამეფოებად" დანაწილებულიყო ან კიდევ ცენტრალური ხელისუფლება იქამდის უნდა გაძლიერებულიყო, რომ ბატონებისათვის „მეფობის" საფუძვლები გამოეცალა... მაგრამ ასეთი გაძლიერება უნდა მომხდარიყო პროგრესულ ელემენტებზე დაყრდნობით (ქალაქები, ვაჭრები, ხელოსნები, საკუთარი დომენი) და არა გადასულ თუ გარდამავალ სოციალურ ფენაზე დაყრდნობით (ყმები, თავისუფალი მიწის მომქმედი). ეს აუცილებელი იყო და უეჭველია ასეც მოხდებოდა — ქვეყნის სწრაფი ეკონომიური განვითარება, მისი კულტურული დაწინაურება ამის უეჭველი საწინდარი იყო. ცენტრალური ხელისუფლებაც კარგად ხედავდა ამ თავის ამოცანას და თავს არ ზოგავდა მის მისაღწევად: ბრძოლა ქალაქებისათვის მათ ხელში ჩასაგდებად და უშუალოდ ფლობისათვის ამისი მჭერმეტყველური მოწმეა (შამქორი — გასცეს, ანისი თამარმა გასცა, — ტფილისი, ყარსი,— ყარსელების სურვილი. — ახალქალაქი, დმანისი, სამშვილდე, თელავი, რუსთავი, ქუთაისი, გორი, ატენი, ჟინვანი სამეფო ქალაქები იყო...) და თუ თამარის დროს ფეოდალ-ბატონები იმ მხრივ აღწევენ მიზანს, რომ ქალაქები სამამულოდ ეთმობათ მათ, ეს უეჭველია რეაქციაა და ფრიად ცუდი პერსპექტივების მქონე... პრობლემატური ჩანს: დარჩებოდა ასეთი მდგომარეობა თუ მეფის ხელისუფლება შეძლებდა კელავ შეტევაზე გადასულიყო... თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ თამარის დროინდელი მოძრაობა საერთოდ არამც და არამც რეაქციული არ ყოფილა, არამედ ახალი სოციალ-ეკონომიური ეტაპის გამომჟღავნება იყო (ბატონყმობის). თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველო განვითარება-წინსვლას ადგა და არა რეგრესს, უნდა დავასკვნათ რომ დიდგვარიანთ გამარჯვება დროებითი იყო. დადგვარიანებმა ყუთლუ-არსლანის პროგრამიდან

მისი ისეთი ნაწილები გამოიყენეს, რომელნიც მათ რეაქციულ ზრახვებს ეთანხმებოდა, რომ „დრო“ ცენტრალური ხელისუფლების პროგრესულ მისიისათვის მუშაობდა: ადრე თუ გვიან ქალაქები და ხელოსნები, მათი დიდი უმრავლესობა მაინც, საკუთრივ მეფის მფლობელობაში გადავიდოდნენ და ბატონყმობის კრიზისი დაიწყებოდა... ეს არ დასცალდა ქვეყანას. მონღოლები მოვიდნენ და მეურნეობის სწორედ ეს მხარე—ქალაქები, ხელოსნები—ყველაზე უფრო დაზიანდა... ეს კი იყო მთავარი გამაერთიანებელი ფერმენტი და ეი საქართველომაც დაშლა იწყო: წარმოიშვნენ მთავრები, მეფენი... ბატონყმობა აძლიერებს რა ბატონებს სოციალურად, აქრობს რა თავისუფალ მიწისმოქმედთ, როგორც დამოუკიდებელ კლასს, უმორჩილებს რა მათ ბატონებს, თავისი ამ მხარით ბატონყმობა პოლიტიკური დაშლის ელემენტებს ატარებს. მაგრამ ბატონყმობა მეურნეობის განვითარების შედეგად წარმოშობილი ფორმაა, ის გულისხმობს ქალაქების, ვაჭრების, ხელოსნობის განვითარებას. ესენი კი ქვეყნის გაერთიანებას ემსახურებიან. ბატონყმობის პირობებში ჩვეულებრივ უკანასკნელი მომენტი ჭარბობს, უკეთ: უკანასკნელი მომენტი უცილობელი პირობაა ბატონყმობის. მაგრამ თუ მოხდება რომ ფორმის შემუშავების შემდეგ ეს პირობა სხვადასხვა მიზეზის გამო ისპობა ან ზიანდება, მახინჯდება მთელი სისტემა, თავს იჩენს დაშლის მომენტი, მაგრამ ამიტომ ბატონყმობიდან გამოსავალი არა ჩანს: იქმნება ჩიხი... ასე რომ თამარის დროს გამარჯვებული ბატონყმობა საქართველოს დაშლას სრულიად არ გულისხმობდა, მაგრამ ის ასეთ შესაძლებლობას შეიცავდა: უკეთუ საწარმოო ძალთა განვითარება შეფერხდებოდა, უკუსვლას განიცდიდა, საქალაქო ცხოვრება ჩაკვდებოდა, ხელოსნობა დაეცემოდა... ეს მისია შეასრულეს ჩვენში მონღოლებმა... და დარბაზის ამ ურჩობის პირობებში მეფე ბუნებრივია ეცდებოდა მის გვერდის ავლას. მაგრამ ეს უბრალო სურვილის საქმე არ იყო, საჭირო იყო საკანონდო ძალა, რომ ფეოდალთ დაუკითხავად აეძულებინათ თვით ფეოდალები ისეთი საქმეები ეკეთებინათ, რაც მათ ინტერესებშიაც კი არ შედიოდა. დავითმა ეს სცადა წ ვ რ ი ლ ე რ ზ ე და ქ ა ლ ა ქ ე ბ ზ ე დაყრდნობით (აგრეთვე წვრილ აზნაურებზე, მონასტრებზე, უცხო ჯარზე). მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ. აქ ტრაგიკული გაორება იყო: წვრილი ერი გარდამავალი ფენი იყო — პატრონყმური. მასზე დაყრდნობა და პროგრესული საქმიანობა შეუთავსებელი იყო...

დავითმა შეძლო დარბაზის სულ მთლად მიჩქმალვა. მან მ ო ხ ე-ლ ე ე ბ ი გაიჩინა ცენტრალური თუ პროვინციული და მათი საშუ-ალებით მართავდა ქვეყანას. ვაზირიც ერთი ჰყავდა მას — მწიგნო-ბართ უხუცესი. მაგრამ აშკარა იყო, რომ დავითის ასეთი კონსტი-ტუცია დროებითი იყო, რომ ქვეყანა ამ ფორმას არ იგუებდა: ის ფეოდალური იყო, ის ფეოდალიზმის მაღალ სტადიაში შედიოდა და არა ფეოდალიზმის კრიზისის ხანაში, როცა უკვე იქამდის არის გან-ვითარებული ანტიფეოდალური მოვლენები, რომ მათზე დაყრდნო-ბით ფეოდალიზმის პირმშოს — დარბაზის — იგნორაცია საკვებით შესაძლებელია... დავითის მემკვიდრეებიც ებრძვიან დარბაზს — და ეს ასეა მთელი ამ საუკუნის სიგრძეზე, სანამ ბოლოს დარბაზის პრინციპმა არ გაიმარჯვა და საბოლოოდ არ ჩამოყალიბდა („წესი ახალი"), მაგრამ ცენტრალურ ხელისუფლებას არც თუ ადვილად დაუთმია: მან სცადა დარბაზისათვის დაეპირისპირებინა მეორე კო-ლეგიალური დაწესებულება, მაგრამ სადაც გაცილებით ნაკლებ ჩანდა ფეოდალური სული და რომელიც პერსონალურად გაცილე-ბით მისაღები ჩანდა: მოსულთაგან შესდგებოდა. ეს იყო სავაზი-რო....

მეტად საინტერესო ცნობაა, თუ სწორადაა დაცული და ჩვენ მიერაც სწორადაა გაგებული, ძეგლის დადების შესავალში რომაა დაცული. გიორგი ბრწყინვალე აღნიშნავს, რომ მის დრომდის მთას ძეგლით გაჩენილი და დადებული სამართლის წიგნი არა ჰქონდა და ეს იმიტომ, რომ ზოგ მეფეს (გიორგის წინაპარს) „ჰპრიანე-ბოდათ" მათი „აღრევით ყოფნა ერთმანეთსა შიგან" და „ეს საქ-მისა რომლისათვისმე", ე. ი. რაღაც გარკვეული მიზეზის გამო (რო-მელიც გიორგიმ იცის და არ ასახელებს) ქართველ მეფეებს თავი-ანთვის სასარგებლოდ მიაჩნდათ მთიულთა „აღრევით ყოფნა ერთ-მანერთშიგან". ზოგ მეფეს კიდევ ასეთი კანონის დადება აღარ შე-ეძლო „სხვის ჟამისა შემოსრულობისათვის", ე. ი. თავი ხელად არა ჰქონდათო. ჩვენს ყურადღებას პირველი მომენტი იპყრობს. სამწუ-ხაროა, რომ მეფე არ ასახელებს იმ კონკრეტულ მიზეზს, რომე-ლიც მისი აზრით იყო ის „რომელიმე საქმე" ან რომელიმე მიზეზი, რაისთვისაც მეფეები თავიანთვის სასარგებლოდ სთვლიდნენ მთის აღრევით ყოფნას. მაგრამ ჩვენ უამისოდაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეფის მიერ ნავარაუდევი მიზეზი შეიძლება ერთ-ერთი მიზეზი ყო-ფილიყო, მაგრამ არა მთავარი და ერთადერთი. ასეთი მიზეზი ჩვენ სულ სხვაგან უნდა ვეძიოთ. კარგა ხანია, როგორც ჩანს, მთაში აღ-რევა ყოფილა, ციხეთა დაქცევა, სიკვდილი, ცოლის წაგვარა, უბრა-

ლოდ დაგდება, ღალატად დასხმა და მრავალფერი ულუსობა... გიორგიმ რატომ ბარს არ გაუჩინა სამართალი? იმიტომ რომ ბარს ასეთი ჰქონდა და მას სრულიად აკმაყოფილებდა. უეჭველია ბარის სამართალი მთაში არ ვარგოდა და ამიტომაც მეფე გაუჩენს მას ძეგლს. მაგრამ რატომ მარტო ერთს ნაწილს მთისას და არა მთელ მთას? რატომ თუშებს, ფხოვებს, ჭევსურთ, სვანებს, ასეთი სამართალი არ გაუჩინა გიორგიმ? უნდა ვიფიქროთ, რომ აქ „აღრევით ყოფნა" არ იყო, როგორც არ იყო ძველად არაგვ-ქსნის ხეობებში... რა იყო მიზეზი, რომ სწორედ აქ იწყო ან უკეთ აქედან იწყო მთის აღრევა? რაში ისახებოდა აღრევა, რას ნიშნავს სისხლი მსუბუქი იყო?... სისხლის სიმსუბუქე ნიშნავს, რომ სისხლი (ე. ი. დამნაშავის დასჯა) არსებობდა, დამნაშავეს აზღვევინებდნენ; როგორღა, თუ კანონები არ ჰქონდათ, ბარის სამართლით სჯიდნენ? არაა საფიქრებელი: ბ ა რ ი ს ს ი ს ხ ლ ი მ თ ი ს ა თ ვ ი ს მ ს უ ბ უ ქ ი ა რ ა ს გ ზ ი თ ა რ გ ა მ ო ჩ ნ დ ე ბ ო დ ა. მაშ რომელ სამართალზეა საუბარი? უეჭველია ძველს ხალხურ სამართალზე. საგვარეულო ნორმების პირობებში, ან უკეთ საგვარეულო ნორმების რღვევის ჟამს რომ შემუშავდა. აი ეს სისხლი დღეს უკვე მსუბუქი ჩანდა.

დავით II პოლიტიკა ორგანული, მთლიანი ვერ იყო. მისი ეკონომიური ღონისძიებანი (გზები, ხიდეები, ფუნდუკები, ქალაქები, ფულის სისტემა, ვაჭრების შეღავათები...) სწორედ ხელს უწყობდნენ და მოითხოვდნენ ისეთ წესწყობილებას, რომელსაც დავითი მთელი ძალღონით ებრძოდა (ყოველ შემთხვევაში ებრძოდა მის გამოვლინებას უმაღლეს წრეებში). ეს წესწყობილება იყო ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ბ ა. ამ დროისათვის პ ა ტ რ ო ნ ყ მ ო ბ ა უ კ ვ ე დ რ ო ს ჭ ა ბ ე ბ ულ ი ფ ო რ მ ა ი ყ ო ს ა წ ა რ მ ო ო ურ თ ი ე რ თ ო ბ ი ს ა. საწარმოო ძალთა შემდგომი ზრდა გარდაუვალს ხდიდა ურთიერთობის ბატონყმურ ფორმებს. საკუთრების ბატონყმური ფორმები შემაფერხებელ პირობებად იყო გადაქცეული მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. გამძღოლი კლასის (მიწის მფლობელთა) ინტერესები (ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებასთან შეთანხმებული და მაშ პროგრესული) მოითხოვდნენ მფლობელობის მეტ მკვიდრობას, ვიდრე ეს ჩვეულებრივ საპატრონყმო ურთიერთობისას იგულისხმება. აუცილებელი იყო მოსაკარგავეობის მემამულეობაში გადასვლა და ისეთ მემამულეობაში, როცა შვილი დარწმუნებულია, რომ მამულს დაიმკვიდრებს და მამა დარწმუნე-

ბულია რომ შვილს უანდერძებს მამულს თუ შენაძენს და თუ არ განსაკუთრებული გარემოება (ღალატი), ისე მამული არ წაერთმევა. ეს აუცილებელი იყო მეურნეობის შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის. ქვეყნის განვითარება გარდაუვალად მოითხოვდა, რათა გლეხები (გლეხები + ყმები) ფეოდალების საწველ ფურად შექმნილიყო და ცენტრალურ ხელისუფლებას რაც შეიძლება ნაკლებ მიწვდომოდა ხელი ფეოდალის ყმებთან... ყველაფერი ეს აუცილებელი იყო, რათა ქვეყნის შემდგომი განვითარებით თვით ეს საწარმოო ურთიერთობა (ბატონყმობა) შემდგომი განვითარების შემფერხებელი გამოსულიყო და მისი გარდაქმნა-მოსპობის დრო დამდგარიყო...

და თუ ყველა ეს ასე იყო, მაშინ დავითის პოლიტიკა მართლაც ორბუნებაა. ეს ყველაზე უკეთ უწყობს ხელს ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას და ამით ბატონყმობის გამარჯვების შესაძლებლობას უზრუნველყოფს, მეორე მხრით ის სასტიკად ებრძვის მემამულეობას (ყმადნაფიცობას — საგარეო პოლიტიკაში) მას მხოლოდ მოსაკარგავე სწამს, ყმის მაგივრად მას ქვეშევრდომი სურს...

პატრონყმობა უფრო ექსტენსური მეურნეობის ფეოდალური ფორმაა, ბატონყმობა განვითარებულ სოფლის მეურნეობას გულისხმობს. ვინც ნიკორწმინდის სიგელის ცნობებს ჩაუკვირდება, მისთვის ცხადია, რომ ასეთ მეურნეობისათვის მოსაკარგავეობა მხოლოდ შემფერხებელი შეიძლება იყოს. ბატონყმობა პატრონყმობის შემდეგი საფეხურია ფეოდალურ მეურნეობაში; ის უფრო ახლოა ბურჟუაზიულ საკუთრებასთან, ვიდრე პატრონყმური მფლობელობა... „მამული" პატრონყმობისასაც არსებობს, მაგრამ ის გაცილებით უფრო პირობითია, ვიდრე ბატონყმობისას. მამული ბატონყმობის პირობებში პირობითობის მინიმუმს შეიცავს და ემზადება ბურჟუაზიულ მამულად გადავიდეს და ეს არამარტო მაღალ კლასებში (ფეოდალებში), გლეხებიც კი (მათი ნაწილი) თავის გამოსყიდვით ამას აღწევენ — ბურჟუაზიულ საკუთრებას. კომუტაციაც ამას ემსახურება: ფეოდალი მიწის ფულად რენტის პირობებში ნაკლებ ერევა გლეხის სამეურნეო საქმიანობაში, ვიდრე სულადი რენტის დროს... ჩნდებიან თავისუფალი მონაშენენი (ფ ე რ მ ე რ ე ბ ი — იხ. შიო მღვიმის საბუთი), — ესენი უკვე სახელმწიფოს ქვეშევრდომნი არიან და არა ყმები... თუ ერთი მხრით გლეხები უსხლტებიან ბატონყმობას, უკეთ რომ ვთქვათ, თუ ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარება ერთ ნაწილს გლეხობისას ანთავისუფლებს,

მეორე ნაწილს კიდევ უფრო უმორჩილებს ფეოდალს, მის სამეურნეო ინტერესებს (სასახლის მეურნეობა), კიდევ უფრო მძიმეს ხდის მის უფლებრივ მდგომარეობას...

ასეთ ურთიერთობისას პატრონყმობა მართლაც მამაშვილობად მოსაგონარი ჩნდა...

საწარმოო ძალთა განვითარება აუცილებელს ყოფდა, რომ საზოგადოებას გაეელო ურთიერთობის პატრონყმური ფორმა და აქედან საკუთრების უფრო მაღალი საფეხურზე ასვლით, (ბატონყმობის გზით) გადასულიყო საკუთრების იდეალურ ფორმაში (ბურჟუაზიულ ურთიერთობაში), რომ იმავ საწარმოო ძალთა განვითარებამ ურთიერთობის ეს ფორმაც (ბურჟუაზიული) შეუფერებელ-რეაქციონური ჰყოს და საკუთრების ახალი ფორმა მოითხოვოს (საზოგადო შრომა, საზოგადო მფლობელობა)...

დიახ, ბატონყმობა უფრო მაღალი საფეხურია ფეოდალიზმისა, ვიდრე პატრონყმობა (რა თქმა უნდა, ჩვენი ბატონყმობა ეს XII—XIII ს-ის ბატონყმობაა და არა შემდეგი დროის ჩიხი). და როცა დავით II ქვეყნის სამეურნეო ეკონომიურ განვითარებაზე აგრე წარმატებით ზრუნავდა, ხოლო მეორე მხრით ბატონყმობის პოლიტიკურ გამოვლინების — (მემამულეობას, ყმადნაფიცობას), აგრე გადაჭრით ებრძოდა, ეს იყო ტრაგიკული წინააღმდეგობა მისი პოლიტიკისა. თავის საქმიანობაში მას სურდა გადაერჩინა პატრონყმური საზოგადოება — ყმები; წვრილი აზნაურები და მათზე დაყრდნობით სურდა შეეტია ფეოდალებისათვის. მეორე მხრით ის ეყრდნობოდა ქალაქებს (ვაჭრებს, ხელოსნებს), ე. ი. მოწინავე ძალებს. „ყმები“ ეს წარმავალი ფენა იყო, ქალაქები — მომავალი. ფეოდალებიც, რომელნიც ბატონებად ხდებოდნენ — მომავალი იყვნენ. ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარება, რასაც დავითი აგრე რიგად ხელს უწყობდა, სპობდა „ყმებს“, წვრილ აზნაურებს“, სპობდა პატრონყმურ საზოგადოებას და ანვითარებდა გ ლ ე ხ ე ბ ს, ბ ა ტ ო ნ ე ბ ს, ქ ა ლ ა ქ ე ბ ს, მ ე მ ა მ უ ლ ეს და ყ მ ა დ ნ ა ფ ი ც ს... დავითის დამარცხება პოლიტიკური აუცილებელი იყო. თავის დამარცხებას ყველაზე უკეთ თვით უწყობდა ხელს. ცხოვრებამ მიიღო მისი სამეურნეო-ეკონომიური ღონისძიებანი, ხოლო ვერ იგუა მისი სახელმწიფო პოლიტიკური ზრახვები და XII ს-ის მეფეთა (დავითი, დემეტრე, გიორგი) ასეთი მცდელობა მარცხით დამთავრდა თამარის დროს... ამ თვალსაზრისით: იყო თუ არა რეაქცია ის მოძრაობა, რომელსაც თამარის დროს ჰქონდა ადგილი

და, რომელიც ბატონყმურ ურთიერთობის საბოლოო გამარჯვების ფორმას წარმოადგენდა? ჩვენი პასუხი მხოლოდ უარყოფითი შ ე ი ძ ლ ე ბ ა იყოს!

სამართლის საქმის მოუწესრიგებლობა ერთი უმტკივნეულეს საკითხთაგანი გახდა ბატონყმობის ჩამოყალიბების ხანაში.

ბატონების სასამართლო კეკ ი იქნებოდა „მართლადმცნობელნი და გამკითხველნი მოჩივართანი". გამძაფრებულ კლასობრივ ბრძოლის ხანაში სამართალი, ბუნებრივია, ბატონთა ინტერესებს ემსახურებოდა. ის მძლავრი იარაღი იყო... მიმძლავრება, ე. ი. ყოველივე წესს გადასვლა, ძალადობა, უსჯულოება ჩვეულებრივი საშუალება იყო აღზევებულ ფეოდალებისა. აყრა-გასახლება (სერაპიონ ზარზმელი), ვალში დარჩენა (კონსტანტინე კახას მარტვილობა, შიო მღვიმის ც-ბა), საგადასახადო ტვირთის დამძიმება, თუ სხვა ასეთი ერთობ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა... „ძლიერნი ამა ქვეყნისანი" — დიდებულნი იქცნენ „მძლავრნი" ამა ქვეყნისანი. „პატრონში" „მამისა" და მფარველის აღარა დარჩა რა... „წურილი ერი" განსაცდელის წინაშე დადგა. მას ელოდა ეკონომიურისა და პოლიტიკური თვითმყოფობის უკანასკნელი ნაშთების დაკარგვა, ბატონყმურ ურთიერთობაში შესვლა. თავგამოდებული ბრძოლა უშედეგო იყო... შიგნით სამართლის პოვნის იმედდაკარგული ის საგარეო ორიენტაციაში ეძებდა გამოსავალს, როცა კი ამის საშუალება ჰქონდა (ბერძენთ ორიენტაცია). შიგნით ის მხარს უჭერდა მეფის ხელისუფლების გაძლიერებას და უკანასკნელის ბრძოლაზე გალაღებულ დიდებულებთან ამყარებდა თავის მომავალს. გიორგი მთაწმინდელი ამის საუკეთესო გამომხატველი იყო. ის, ბაგრატის მომხრე ამ უკანასკნელის ფეოდალებთან ბრძოლაში, მეფეს მოუწოდებს სამართლის საქმის გამოსწორებისაკენ, რადგან მართალი სამართალი აღარ არის თურმე და ეს როგორც ჩანს მაშინ ფარული აარ ყოფილა. ამას ჩიოდა მთელი საზოგადოებრივი ფენი. მეფე ბაგრატ აარ უარყოფს ამ მხილებას... მაგრამ მას არც ძალა ჰქონდა ამის გამოსწორებისა.

დიდებულები მეფის ხელისუფლებასთან ბრძოლაში წვრილი ერის მიმძლავრებას ემყარებოდნენ ან უკეთ რომ ვთქვათ, დიდებულები კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით წვრილი ერის მიმძლავრებას მიჰმართავდნენ — და რაც უფრო ცხოველდებოდა ურთიერთობა, ეს მიმძლავრებაც უფრო და უფრო ინტენსივდებოდა და ხშირდებოდა — ხოლო რამდენადაც ცენტრალური ხელისუფ-

ლება ხელს უშლიდა მათ, ამ გზით ისინი ამ ხელისუფლებას ებრძოდნენ. მეფის ხელისუფლება, ბუნებრივია, დიდებულებთან ბრძოლაში ამ „წურილ ერს“ (ფართოდ გაგებულს) უნდა დამყარებოდა (ვახუშტის საუცხოოდ ესმის ეს, ერეკლე I-საც კი ჰქონია ასეთი პოლიტიკა, გვ. 92) და ის მეფე, რომელიც ჩვენში ყველაზედ რელიეფური ფიგურაა ფეოდალურ ცენტრალიზმისა, ბუნებრივია ღონეს იძიებდა ამ წვრილი ერის გადასარჩენად... წვრილი სამხედრო-მფლობელობა (არიშიანთა სიგელი), მოსაკარგავენი აი, მისი იდეალი. ბუნებრივი და გასაგებია ამ მხრივ მისი სასამართლოს რეფორმა. რა თქმა უნდა, არა ის იყო მიზეზი ამ რეფორმისა, რასაც მისი მებატონე ასახელებს (მეფის მოუცლელობა, აღმასრულებელ ხელისუფლების სასამართლო ხელისუფლებისაგან გამოყოფა). მიზეზი და დანიშნულება მისი ის იყო, რომ ამიერიდან ყოფილიყვნენ მოსამართლეებად „კაცნი მართლად მცნობელნი და განმკითხველნი მოჩივართანი, რომელთაგან მიიღებდეს კურნებასა“. საქმეც იმაში იყო, რომ მის წინ სწორედ სასამართლო არ იყო „მართლად მცნობელი და გამკითხველ მოჩივართანი“ და „კურნებას“ იქიდან მოჩივარი ვერ მიიღებდა. აქ, ასეთ გაგებისას (და სხვა გვარად არც დავითის ისტორიკოსს ესმოდა) მას ხელთა ჰქონდა „მატიანე ქართლისა“ როცა თავის თხზულებას წერდა და კარგად იცოდა თუ რის შესახებ იყო იქ საუბარი ბაგრატ მეოთხის დროს. ესეც რომ არ იყოს, სხვა რიგად ამ სიტყვების გაგება არც შეიძლება: დავითის ისტორიკოსი იმ მოჩივრებზე ლაპარაკობს, რომელნიც მიმძლავრებულნი ხდებოდნენ და სოციალურ მოვლენას წარმოადგენდნენ ბატონყმობის ჩამოყალიბების ამ მძაფრ ხანაში. ჩვენთვის ცხადია დავითის ზომა, მას სურს სამართალი თავის საერთო ზომების შესრულების სამსახურად გამოიყენოს. მართლაცდა ფეოდალურ სასამართლოს დაახლოებითი სურათი ჩვენ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ. ჩვეულებრივი მოსამართლე ერისთავის სახელით მომქმედი სასამართლოა (მამასახლისი...) ან თვით ერისთავი. საპატრონყმო საქმეებსაც ასეთი სასამართლო არჩევს. მხოლოდ დიდი საქმეები გამოდის ერისთავის კომპეტენციიდან. უზენაეს სასამართლოს მიმართავენ ისინი, ვინც მიმძლავრებულნი არიან (ობოლნი, ქვრივნი, უღონო მოჩივანი, ე. ი. უსამართლოდ შეეიწროებულნი ღონიერთა მიერ. საინტერესოა, შეიძლება ობოლ-ქვრივთა ცალკეულებით მოხსენიებაც ასეთივე სოციალური ხასიათისა არის: ყმის ობოლი, ან ყმის ქვრივი, მიმძლავრებული მამული, მიწა წართმევის ობიექტნი

არიან. გამრავლება ასეთი მოჩივართა მოწმობს მათ შევიწროებულობის სიდიდეს, ხოლო მეფის განსაკუთრებული ზრუნვა მათზე მოწმობს ამ საკითხის დიდმნიშვნელოვნობას დავითის სოციალურ პოლიტიკასთან (შდრ. ერეკლე). მემატიანე განსაკუთრებით ხაზს უსვამს რომ მეფემ უზენაეს მოსამართლეებად დაადგინა „კაცნი მართლად მცნობელნი და განმკითხველნი მოჩივართანი“.

ამ სასამართლოს დავითი მიზნად უსახავდა კურნება მიენიჭებინა მიმძლავრებულთათვის, ე. ი. სასამართლო უნდა მდგარიყო წვრილი ერის დაცვის სოციალურ სადარაჯოზე ამა ქვეყნის ძლიერთაგან. ეს იყო ერთ-ერთი ზომათაგანი დავითისა, მიმართული ბატონყმობის წინააღმდეგ (ამ მხრით ის მეტად ჰგავს ბიზანტიის იმპერატორების პოლიტიკას IX—XI საუკუნეებისას. შეადარე, შეისწავლე ანდრონიკ Крестьянский царь). მაგრამ ეს რეაქციული ზომა იყო და დამარცხებად განწირული, ისე როგორც დავითის მთელი სოციალურ პოლიტიკური სისტემა. მეტად საყურადღებოა. რომ ამ სასამართლოს შედგენილობა ფეოდალთა წრიდან არ იყო: ეს იყო მწიგნობართა უხუცესი და მწიგნობრები (საწოლის, ზარდახანი?). გასაგებია ამის შემდეგ თუ რა დიდი მნიშვნელობის ამოცანა აწვა კისერზე ამ სასამართლოს და ოთოდენ სიძულვილის საგანი იქნებოდა ის ფეოდალებისათვის. გასაგებია რა დიდი მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო მწიგნობართუხუცესობის მიტაცების ფაქტი კათალიკოსისაგან, ან კიდევ მწიგნობართუხუცესობის დამცრობის ფაქტი. ეს იყო მიმძლავრებელთა საბოლოო გამარჯვება, ბატონყმობის გამარჯვება, დავითის პოლიტიკის დამარცხება.

დავითის პოლიტიკა სამხრეთით — ეს იყო სავაჭრო კაპიტალის პოლიტიკა. (თვით დავითი ხომ ამ წრეების მიერ იყო გამეფებული...). მთავარი საქარავნო გზის ხელში ჩაგდება (დვინი-ანისი-ყარსი-არზრუმი-ტრაპიზონი, დვინი-ანისი-ყარსი-არტაანი-არტანუჯი-ხოფი).

თუ შორეული მაგისტრალი ვერა, ჯერ ახლობელი მაინც, ეს იყო დავითის პოლიტიკის ლეიტმოტივი (და არა თავდაცვა, როგორც ეს ს. გედევანიშვილს წარმოუდგენია)...

დავითის ეს პოლიტიკა დაჟინებით გრძელდება მთელი მეთორმეტე საუკუნის სიგრძეზე და სრული გამარჯვებით სრულდება თა-

მარისა და ლაშა გიორგის დროს დვინის, ყარსის, არზრუმის აღებით და ტრაპიზონის ვასალური იმპერიის დაარსებით. აქ უკვე საქართველო იმდროინდელი მსოფლიო პოლიტიკის ხლართში მოექცა, ამიერიდან კულტურული წინა აზიის საკითხი საქართველოს ასეთი თუ ისეთი მონაწილეობის გარეშე ვერ გადაიჭრებოდა. სავსებით საფუძვლიანი და რეალური იყო ის იმედები, როგორსაც სირიის ჯვაროსნები მაშინ საქართველოზე ამყარებდნენ... საბერძნეთის (ბიზანტიის) ადგილი მცირე აზიაში თავისუფალი იყო. ერთად ერთი კანდიდატი ეს საქართველო იყო, „ისლამს“ აქ სხვა მოპირდაპირე არ გააჩნდა... უკანასკნელის მეთაურად ახლა (XII ს-ის ბოლოს) უკვე ხალიფა კი აღარა, არამედ ხორეზმშა (მუჰამედ თექეშისძე) გამოდიოდა. და თუ ჯერ კიდევ არ მოხდა მათი შეტაკება, ეს იმიტომ მხოლოდ, რომ მუჰამედი ხალიფას ებრძოდა... ასე თუ მონღოლები არა, რომელთაც სავსებით შეცვალეს კულტურული

წინა აზიის მდგომარეობა (حصر الحصر) საქართველო, უეჭველია სულტანს (ხორეზმშა) დაეტაკებოდა წინა აზიაში ჰეგემონიის მიზნით... საეჭვოა, რომ ამ ბრძოლაში საქართველოს გაუმარჯვა. თამარის დროს მომხდარი საშინაო პოლიტიკური ამბები (ფეოდალური რეაქციის ნაწილობრივი გამარჯვება, დიდგვარიანთ „გახელმწიფება“, ურთიერთ შორის ქიშპი — ჯერ ბრძოლამდის არ მისულა საქმე. ათაბაგის საქციელი ახალციხელთ მიმართ... „უცნაური“ ბრძოლა დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის... ყარსის დიდი ხნით ვერ აღება... უეჭველია სახელმწიფოს შინაგან სისუსტეს მოწმობდენ. ყველა ეს ამბავი მოწმობდა ღრმა კლასობრივ დუღილს, ბრძოლას კლასობრივს, რომლის შედეგად ფეოდალები გამარჯვებული გამოდიოდნენ...

დავითის პოლიტიკა (სავაჭრო კაპიტალის ინტენსიური შეტევა) საგრძნობლად შესუსტებულ-შენელებული იყო; საქართველოს არ აღმოაჩნდა საკმაო საჭირო ძალები დავითის პოლიტიკის შესანარჩუნებლად (აბსოლუტიზმი და ინტენსიური საგარეო პოლიტიკა) და ის იძულებული შეიქმნა კომპრომისზე წასულიყო...

მართალია საგარეო პოლიტიკა ჯერ კიდევ ძლიერი იყო (ფეოდალები თვით დაინტერესდნენ ვაჭრობა-ძარცვით), მაგრამ სახელმწიფოს ის სიმტკიცე აღარ გააჩნია, რომ ძლიერ მოპირდაპირეს გამკლავებოდა (მით უფრო თუ ბრძოლა ხანგრძლივი იქნებოდა...). ხორეზმშა, მართალია, თვითონაც ვერ იყო საუკეთესო პირობებში,

შინა მდგომარეობა არც მას ჰქონდა უზადო, მაგრამ საქართველო აქ მას, როგორც ჩანს, წინ უსწრებდა...

მონღოლებს უეჭველია მხარს უჭერდა ფეოდალებისაგან მოგბეზრებული ვაჭართ წრეები და დაბალი ხალხი (იხ. კირაკოსი... მალაქია... მონღოლები მხსნელები...).

ის ფაქტი, რომ კონსტანტინეპოლის დაპყრობამ ასე მცირედ შეაწუხა საქართველო, მოწმობს იმას, რომ კონსტანტინეპოლს დიდი ხანია საქართველოსათვის ძველი მნიშვნელობა აღარ ჰქონია. დასავლეთ საქართველოს კარგა ხანია ასცდა მთავარი სავაჭრო არტერია შავი ზღვისა. იგი ტანა-კაფის გზით წავიდა რუსეთში თუ ოქროს ურდოში, აღმოსავლეთ საქართველო კი უმთავრესად აღმოსავლეთს (სპარსეთ-სომხეთ-ოქროს ურდო) დაუკავშირდა. კონსტანტინეპოლს უკვე XIII ს-ის შემდეგ ძველი მდგომარეობა აღარ აღუდგენია, როგორც ვაჭრობის მოსაშუალეს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ის ამიერიდან იტალიის სავაჭრო ქალაქთა სავაჭრო კოლონიას უფრო გავს, ვიდრე დამოუკიდებელ ცენტრს, ამიტომაც მის დაცემას შედარებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ის თავის პოლიტიკურ დაცემამდის დაეცა ეკონომიურად, ამიტომაც არ აღმოჩნდა მტკივნეული მისი ოსმალთ მიერ დაპყრობა და სასიკვდილოდ გაგუდვა.

უწინ მოურავები მოსაკარგავები იყვნენ დიდგვარიანი იყო ის თუ არა სულ ერთია, რადგან ის მეფის მოხელე იყო. შემდეგ როცა მოსაკარგავე ფეოდალი გახდა საკარგავის მიმართ, მას შემდეგ რაც ასეთი ტენდენცია გაძლიერდა, მეფეები თავის მამულებს თავადებს კი აღარ აბარებენ, არამედ თავის სახასო აზნაურებს. მაგრამ ჭირი აქაც იყო შემოპარული. სახასო აზნაურები ძლიერდებიან თავადებთან შედარებით (საკაძე, თუმანიშვილი, ზედგენიძე, აქეთკენვე მოდის ყორლანაშვილიც). მეორე მხრით თავადები სახასო აზნაურთა დაწინაურებით უკმაყოფილონი მთელ თავიანთი ძალას იქით ხმარობენ, რომ სხვადასხვა ხელი თვით იგდონ ხელთ და მიზანს აღწევენ. მეფე აქაც დამარცხდა. ის თავის საკუთარი სახასოს გამგებლობაშიც შეზღუდულია, რამდენადაც მოვალეა გამგეებად ესა თუ ის თავადის სახლი იყოლიოს $\left(\frac{2}{17}\right.$ ფ. 145—162$\left.\right)$.

[§ ყუთლუ-არსლანის გამოსვლა და ფეოდალური საქართველოს პერიოდიზაციის საკითხები]

1. ორი საზოგადოებრივი კლასი ერთიმეორეს დაეჯახა სახელმწიფო წყობილების როგორობის საკითხში. არ შეიძლება ითქვას, რომ დიდ აზნაურებს უფრო დარაზმული და იდეურად უფრო ნათელი პროგრამა ჰქონდათ, ვიდრე მათ მოწინააღმდეგეებს. მეფის თვითმპყრობელობის ღვთის ნებითობის თეორია ადრე პრინციპულ სიმაღლეზე აყვანილი დავით აღმაშენებლის დროს სწორედ იმ ფენებში შემუშავდა, რომელიც დიდაზნაურთა „სიძობის თეორიას" უპირისპირდებოდა. ეს უკანასკნელი გაერთიანებულ სახელმწიფოს აღარ შეეფერებოდა, მაშინ როცა პირველი სწორედ ამ გაერთიანებას ემსახურებოდა, კლასობრივი ბრძოლის გაღრმავებას ხელს უწყობდა, პროგრესული იყო. დიდაზნაურები თანდათან ეწყობიან ახალ ვითარებას. ჯერ ომები, შემდეგ განდგომა, ღალატი, შემდეგ ორგულობა — ღადრობა, შემდეგ ბრალობა-წუწუნი, შემდეგ კარისათვის ბრძოლა ერთპირი, შემდეგ ვითარების თეორიული გააზრება და... ყუთლუს პროგრამა...

ამავე დროს და ამის პარალელურად ირაზმებოდა მოწინააღმდეგე კლასი, რომელსაც ღვთისნებითობის თეორია დიდი ხანია უკვე მომარჯვებული ჰქონდა... საკითხი ნათელია, ოღონდ შეუსწავლელია ამ მოვლენათა მატერიალური საფუძვლები: კ ლ ა ს ე ბ ი. მოძრაობა მაღალი რანგისა ჩანს, ის სრულიად შეუფერებელია ადრეფეოდალური საზოგადოებისათვის, მაგრამ სამწუხაროდ თითქმის არაფერი გაგვიკეთებია იმისათვის, რომ წარმოგვეჩინა XI—XII სს. საზოგადოება, მისი სოციალ-ეკონომიური და იდეური რაობით...

$\left(\frac{4}{23}\text{ ფ. } 7\right)$.

ივანე ჯავახიშვილის ნაკლი ისაა, რომ ის არც ერთხელ არ ცდილობს ერთი მეორეს შეადაროს მის მიერვე აღმოჩენილი ამ ორი დასის მისწრაფებანი[7]. თუ ერთი რეაქციული იყო, მეორე, ჩანს, პროგრესული იყო. თუმცა ამას არსად არ ამბობს ავტორი. ხოლო თუ მეორეც რეაქციული იყო, სადღაა მათ შორის განსხვავება?

---

[7] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვეთი II, ტფ., 1929, გვ. 155—186.

მსჯელობა უნდა წარიმართოს იქიდან, თუ რით დამთავრდა ეს მოძრაობა და ვინ იყვნენ (დასახელებით) ისინი, ვინც ამ მოძრაობის შედეგად, ივანესავე გამორკვევით მ ე ფ ო ბ ი ს თ ა ნ ა ზ ი ა რ ნ ი გახდნენ. ბოცო, გუზანი და ვარდანი არა ჩანს, რომ დაპირისპირებოდნენ თორელს, ჭიაბერს, მხარგრძელებს, მახატლისძეს. თუ ეს უკანასკნელნი იყვნენ ყუთლუს დასისანი, ვინღა იყო მაშინ მეფის მომხრე, ხოლო თუ ესენი მეფის მომხრენი იყვნენ, ვინღა იყო მაშინ ყუთლუს მოდასე?... გამოდის, რომ დიდებულთა და ლაშქართა წრეში კიდევ მესამე ჯგუფი იყო...

რა გაინაღდა მოძრაობამ? მეფის ხელისუფლების შეზღუდვა. ვინ ისარგებლებდა ამით? ვ ი ნ ც მ ე ფ ე ს ზ ღ უ დ ა ვ დ ა: დ ა რ ბ ა ზ ი ს წ ე ვ რ ე ბ მ ა...

შიგნით ერისთავები სანაპიროთა იაჯდის, ე. ი. მონაპირედ დაჯდომა აინტერესებდათ (ბასილი ეზოს მოძღვარი)... ჩანს, მეფეს შეეძლო ერისთავების გადასმა-გადმოსმა და არა ისე, როგორც წარმოგვიდგენია თითქო საშვილიშვილოდ ისხდნენ საერისთაოზე. მართლაც ერისთავი შეწყალებული, დიდებით აღჭურვილი კაცი იყო, ხოლო ამ დიდებას ძალა ჰქონდა დიდების მბოძლების სიცოცხლეში და იგი განახლებას საჭიროებდა ყოველი ახალი მეფის ტახტზე ასვლისას... დიდებულები ცდილობენ ამას გვერდი აუარონ და მონღოლთა წყალობით აღწევენ კიდევაც „ვერ სცვალნის ერისთაენი შიშისთვის ყაენისაო", რაც ითვლებოდა სამეფო ხელისუფლების დიდ დაზიანებად... საქმე ნორმალურ პირობებში ისე იყო, რომ დაუნაშაულებლად წართმა, შერისხვა არაოდეს ყოფილიყო, ეს ითვლებოდა უკანონობად (ათასი სიგელია ამის მოწმობა), რაც შეეხება ბაცემას და მიღებას, ეს მეფის პრეროგატივა იყო და ამ საქმეში ჩარევისათვის იბრძოდა დავითიდან მოკიდებული (შეიყვარნის ალამაღლის...) ყველა დიდგვარიანი... $\left(\frac{4}{23}\text{ ფ. } 12\right)$.

ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევის ნაკლი ისაა, რომ მან არ დასვა საკითხი იმის შესახებ. თუ ფეოდალური განვითარების რა საფეხურს გულისხმობს ეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოძრაობა, მაგრამ ასეთი საკითხი იმ შემთხვევაში წამოიჭრებოდა, თუ მკვლევარი ამ პოლიტიკურ მოძრაობას ისტორიულად შეისწავლიდა ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების დღიდანვე. და მაშინვე ნათელი გახდებოდა, რომ „მკვიდრობის სიგლებიდან" ყუთლუს კარვამდე ერთი დიდი გზა იყო. განვითარების დიდი მანძილი იყო, რომელიც

ქართულმა საზოგადოებამ გაიარა... სხვადასხვა დროს სხვადასხვა მხრით არკვევდნენ ამ საკითხს არა მარტო დიდი აზნაურები და ფეოდალური ეკლესიის მაღალი ფენა, არამედ ფეოდალური საზოგადოების სხვა კლასებიც (საერო თუ საეკლესიო). თეორიებიც საამისო იქმნებოდა და პროპაგანდაც შესაფერისი წარმოებდა. დიამეტრალურად ერთი მეორის საწინააღმდეგო შეხედულებანი ჩამოყალიბდა უკვე XI საუკუნეში. ურთიერთის სრულიად გამომრიცხველია, მაგალითად, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისა და მისი მაბრალებელთა (mutatis mutandis — ყუთლუ) შეხედულებანი მეფის უფლებაზე, სასურველ (იდეალურ) წყობილებაზე. ასეთი შესწავლით აღმოჩნდებოდა, რომ ყუთლუს მოძრაობა magna chartas მსგავსი კი არა, უფრო მაღალი საფეხურისა იყო. აქ მარტო ყუთლუს (დიდაზნაურებს) კი არა აქვს შემუშავებული პოლიტიკური პროგრამა, არამედ მეფის ხელისუფლებაზე სრულიად გარკვეული შეხედულება აქვს და მას თავგამოდებით იცავს მოპირდაპირე კლასი („დავითის ისტორიკოსი")...

კულტურა

სოციალური ურთიერთობა (ტყვეთა სიმრავლე)...

ქალაქების (დაბების) მეტისმეტი სიმრავლე, ხელოსნობა, ხელოვნება ესაა წ ი ნ ა ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა, ს ა ა მ ი ს ო ი დ ე ო ლ ო გ ი ა... ა ი ე ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი უ ნ დ ა წ ა რ მ ო ვ ა ჩ ი ნ ო და ყ უ თ ლ უ ც ა დ ვ ი ლ ა დ გ ა ს ა გ ე ბ ი ი ქ ნ ე ბ ა. ამის ნაცვლად ჩვენ ვმსჯელობთ უსასრულოდ „თეორიულად", სადაც იმდენია „ჰო" რამდენიც „არა"...

თამარის დროის პოლიტიკური მოძრაობის საკითხი საქართველოს ისტორიის ცენტრალური საკითხია. მისი სწორად გაგება-გაშუქებაზე დამოკიდებულია საქართველოს ისტორიის ამ დროის მრავალ მოვლენათა გაგება. თავის მხრით არც ეს მოძრაობა გაიგება იმ მოვლენათაგან მოწყვეტილად იმ მოვლენების შესწავლასთან კავშირის გარეშე...

ეს მოძრაობა გვირგვინია ქართული ფეოდალური ხანის პოლიტიკური აზროვნების განვითარებისა.

ივ. ჯავახიშვილი სავსებით მართალი იყო, როცა ამ მოძრაობას აგრე დიდ ყურადღებას აქცევდა და მას საქართველოს პოლიტიკური აზროვნების განვითარების რიგში განიხილავდა...

ამ საკითხის სწორად გადაწყვეტისაგან არსებითად დამოკიდებულია საქართველოს ფეოდალური განვითარების დონის სწორად შეცნობა...

იმაშიც სავსებით მართალია ივ. ჯავახიშვილი, რომ ამ მოძრაობის განხილვას წინ უმძღვარებს დიდგვარიანთა ბრძოლის ისტორიას მეფის თვითმპყრობელურ ტენდენციებთან... საქართველოს ერთი სამეფოდ ქცევის დროიდანვე იწყება ეს ბრძოლა და დიდის ქანაობით გრძელდება მთელ XI ს-ში... ამასობაში ირაზმებიან ძალები, მეფის მხარე ძლიერდება (მესამე წოდების გაჩენით), აზნაურთა მხარე ძლიერდება მოლაშქრეთა დაყმევებით (ბატონყმობის გაძლიერებით). დავით აღმაშენებლის დროს ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის. თუმცა დავითმა ვერ შეძლო მოწინააღმდეგეთა განადგურება: ჩანს საამისო ძალები არ იყო მზად... სავაზიროს შემოღება, დიდება — საკარგავის მნიშვნელობის გაძლიერება მეფეს ბრძოლაში წარმატებას უქადდა წვრილაზნაურთა და მოლაშქრეთა მეფის მხარეზე დასამაგრებლად... მაგრამ სისტემა ძველი რჩებოდა და დიდებულები დიდგვარიანები ხდებოდნენ და პირუკუ... თამარის დროს ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე და გადამჭრელი სახე მიიღო და პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ რ ო გ რ ა მ ა ც შ ე მ უ შ ა ვ დ ა. უეჭველია ამავე დროს კი არა, გაცილებით ადრე შემუშავდა ამის ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ რ ო გ რ ა მ ა მეფის ხელისუფლების ღვთისმიერობისა...

ს უ მ ბ ა ტ ი, მატიანეს ავტორი, ლეონტი — ყველა XI საუკუნის მწერლებია, ე. ი. იმ დროის, როცა ბრძოლა გაერთიანებული ქვეყნის მეფისა და დიდ აზნაურებს შორის აგრე მწვავე იყო, როცა ი დ ე უ რ ი ბრძოლა ქ ა რ თ ვ ე ლ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა შ ი ს ა ე რ ო და ს ა ე კ ლ ე ს ი ო ს ფ ე რ ო შ ი ა გ რ ე გ ა მ ო ი ქ ვ ე თ ა, როცა ეკლესიის დემოკრატიულმა ფრთამ გიორგი ხუცეს მონაზონის სახით დიდაზნაურულ ეკლესიას შეუტია, ხოლო დიდაზნაურთა ღალატით ხიფათში ჩავარდნილმა ქვეყანამ (სამეფო კარი) კარზე გადატრიალება გამოიწვია: აღმაშენებელი გამეფდა. ბუნებრივია, რომ ამ მწერლების თხზულებებში ეს ბრძოლა აირეკლა...

იდეური მომენტის გარეთ არავინ დარჩენილა...

ყუთლუ-არსლანი მის მიერ წამოყენებულ პოლიტიკურ მოთხოვნილებათა პიონერი არ ყოფილა. სხვადასხვა აზრია ამის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მეფის ხელისუფლება, როგორი უნდა ყოფილიყო დიდაზნაურთა უფლებები, ან ეკლესიის უფლება, მოკლედ როგორ უნდა მოგვარებულიყო ურთიერთობა ფეოდალებს შორის, ასეთი საკითხები თ ა ნ დ ა ყ ვ ა ფ ე ო დ ა ლ უ რ ქ ვ ე ყ ა ნ ა ს. და ის უკვე ადრეფეოდალური ურთიერთობის ხანის ლეიტმოტივს წარმოადგენდა („რევოლუციათ. ეჩჩილის ხანა) კიდევ

უფრო მწვავეთ დაისკა ესევე საკითხები საქართველოს გაერთიანების შემდეგ XI—XII საუკუნეებში... $\left(\frac{4}{23}\text{ ფ. } 13-16\right)$.

2. „ჯსნნა მოვალენი ვალთაგან... ღონიერ ყუნა გლახაკნი და მდიდარ ღონიერნი“ (მდ. ქც. 404).

შესანიშნავი მოწმობა. თამარ მეფე, ისევე როგორც კონსტანტინე-კახა, XI საუკუნეში ქველმოქმედებს, იხსნის „მოვალეებს ვალთაგან“. ჩანს, ამ მოვალეებს კარგი რამ არ მოელისთ მევალეებისაგან. ესენია სწორედ ის გ ლ ა ხ ა კ ე ბ ი, უ ღ ო ნ ო ე ბ ი, რომელთაც დამონება ელისთ და მეფეც იხსნის მათ, ისევე როგორც კახა, ან ისევე როგორც დავით აღმაშენებელი და სხვები...

ჩანს მევალეობა საშინელი სოციალური სენია მთელი ამ ხნის განმავლობაში. ის დამონებით ემუქრება (და არა დაყმევებით, როგორც ეს ივ. ჯავახიშვილს ეგონა) უღონოებს, რომელნიც გარბიან, გლახაკობენ, ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ, რომ ნასყიდ კაცად არ იქცნენ. ეს პროცესი უპირატესად, რა თქმა უნდა, მდაბიორთ, თავისუფალ მიწის მოქმედთ, მდაბიორ-მოლაშქრეთ შეეხება. ესენი არიან, ვისაც სესხს აძლევენ, თორემ გლეხს სესხს ვინ მისცემს ან დასაკარგავი რა აქვს. ეს მდაბიორ-მოლაშქრენია, რომელთაც ნასყიდი კაცის ბედი (— მონობა), ე. ი. გლეხობის უდაბლესი კატეგორიაში მოხვედრა ემუქრება, ესენივეა, უპირატესად მეკობრეობას რომ იწყებენ. უსასტიკესი წესები, მიმღები მოწოდებანი მევახშეობის წინააღმდეგ არა ჭრის და ეს არამარტო ბერ-მონაზვნების სარბიელზე. მევახშეობა, ჩანს, საზოგადოების ფართო ფენებს მოიცავს (შესანიშნავი ფსიქოლოგიური პასაჟია შიო მღვიმელის ცხოვრებაში), მევახშე-კრედიტორები ფართო საქმიანობასაც ეწევიან: დიდ მამულებს ხელთ იგდებდნენ და მათ გადაყიდვას აწარმოებენ. ვაჭრობა, სპეკულაცია სრულიადაც არ ეთაკილებათ არა მარტო პროფესიით ვაჭრებს, არამედ დიდ გვარიანებს. ან დიდგვარიანობის გზაზე დამდგართ: შოთა რუსთაველი ამის საწინააღმდეგო საბუთად არ გამოდგება, დიდგვარიანი შეიძლება თვითონ არ ვაჭრობდეს. ქარავანს არ დაყვებოდეს. მაგრამ სავაჭრო ორგანიზაციაში მონაწილეობდეს, მას მფარველობდეს, ეს შეიძლება და ასეც იყო: თვით მეფე ამის საუკეთესო მაგალითი იყო: მისი „სავაჭრო“ შორსა და ახლო ქვეყნებში მრავლად დადიოდა და მეჭურჭლეთუხუცესი სწორედ ამის მეთვალყურე-მაორგანიზებელი იყო უპირველეს ყოვლისა. კახა თორელი ხომ სპეკულიანტია, სულ

ერთია რა მიზნით მოქმედებს ის, მთავარი აქ ისაა, რომ ეს დიდი კაცი, მეფის მეჭურჭლეთუხუცესი დადის ფეოდალების კარდაკარ და ფეოდალების მოხმარების ძვირფას ნივთებს (ნადაელს) ყიდის. ყიდის იმ საქონელს, რომელიც მან ჩალის ფასად შეიძინა ბედოვლათ მეომრებისაგან. ბაღდადის გაძარცვის შედეგად რომ გამდიდრებულიყვნენ... ერთი სიტყვით დიდი და მცირე მამულების ამოძრავება („დია ქუეყანანი დაისყიდნეს") და ეს არამარტო მონღოლთა დაწოლის შედეგად (ამ დროს ბზოლოდ გადაფასება მოხდა მამულებისა ოქროს მარაგის ურდოში გაზიდვის გამო), არამედ უწინ, თვით ხოვლე აღბუღასაგან გასყიდული, ამის მაგალითია და კახას გამოთქმა ამის მოწმობაა: მამულები ეხლა იაფად იყიდებაო. ჩანს, წინადაც იყიდებოდა მამულები, მაგრამ უფრო ძვირად... ხოლო თუ როგორ ამოძრავებული იყო მცირე მიწები, ამის მაგალითები ხომ მრავლად გვაქვს როგორც XI, ისე XII და XIII საუკუნეებიდან. რა არის ასეთი ურთიერთობა? „ადრე ფეოდალური?"...

სხვა მრავალმხრივი სიღარიბის გვერდით ქართული ფეოდალური ხანის საისტორიო წყაროები შესამჩნევად მდიდარია ცნობებით იმ პოლიტიკური ბრძოლის შესახებ, რომელსაც აზნაურთა მაღალი ფენა მეფის ხელისუფლების თვითმპყრობელური ტენდენციების წინააღმდეგ აწარმოებდა. აზნაურთა ეს ბრძოლა იყო ბრძოლა ხელმწიფობისათვის, მწარმოებელი საზოგადოების დაუფლებისათვის და სხვადასხვა ღირებულებისა იყო. ჩვენი წყაროები ამ ბრძოლის სხვადასხვა ეტაპებს თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენენ. ფრიად დამახასიათებელია, რომ ფეოდალური ურთიერთობის საბოლოო გამარჯვება ჩვენი წყაროს ჩვენებით ძველი მეფობის მოსპობით (დაზიანებით) და ერისთავთა სოციალურ-პოლიტიკური დიდი გამარჯვებით აღინიშნა...

ერისთავი მოხელე მემკვიდრეობითობას ეძიებს და თითქო მოიპოვებს კიდევაც სპარსელთა და ბერძენთა ხელის შეწყობით... ამ ბრძოლის შემდგომი საფეხური არის ერისთავების ბრძოლა საერისთაო და სამეფო ქვეყნების გამიჯვნა (სიძობით) არჩილს რომ მიეწერება. ეს არის სენიორიების წარმოქმნა. იქ მოხელეობის მემკვიდროებითობა მოიპოვეს. აქ კი საერისთაო ტერიტორია დაისაკუთრეს. როგორც სიძე ყმადნაფიცებმა. დასრულდა ამ სენიორიების პროგრესულობა: ქვეყნის შემდგომი განვითარება მის გაერთიანებას. სენიორიების მოსპობას გულისხმობდა... სამსაუკუნოვანი ბრძოლა...

გაერთიანების დიდი მოღვაწენი სენიორიების ასევე დიდი მტრები იყვნენ: ბაგრატ III, დავით II, გიორგი III... ეს იყო ბრძოლა მწარმოებელი საზოგადოების დაუფლებისათვის. პ ა ტ რ ო ნ ყ მ ო ბ ა — სენიორიების (სამთავრო-სათავადოების) ხანა; ბატონყმობა გაერთიანების გამარჯვების საფუძველი... ყუთლუ-არსლანმა და მის წინარე გაფიცულებმა ს ი ტ ყ ვ ა ს ი ტ ყ ვ ი თ გ ა ი მ ე ო რ ე ს დავითის მაბრალობელთა ბრალდებანი. დავითის ისტორიკოსი ა რ ს ე ბ ი თ ა დ ეკამათებოდა ამ მაბრალობელთ და მეფის ხელისუფლების თვითმპყრობელობას ასაბუთებს... ყუთლუმ ამის საწინააღმდეგო პოლიტიკური აზრები შეიმუშავა — (გაერთიანების პირობებში). ერისთავთა სიძობა ბაგრატ-დავითმა გააცამტვერეს; ეს იყო პატრონყმობის დროის საბუთი (ევრიკა). მაშინ დიდებულებმა ახალი პირობების შესაფერისი, ბატონყმობის დროის შესაფერისი ფორმა შეიმუშავეს: მეფის თვითმპყრობელობის შეზღუდვა საერთო ძალით, დარბაზის საშუალებით... და ასეთი მოძრაობა შეიძლებოდა განა ვაჭართა მონაწილეობით?? (ჯუანშერის თეორია ერისთავთა სიძობისა, ახლა აღარავის ახსოვდა. მან, ამ რეაქციულმა შეხედულებამ, საბოლოოდ მოჭამა დრო).

ამხ. სოსელია ყუთლუ-არსლანის გამოსვლის ჩემეულ გაგებას იწონებს. უცნაურია. მას ან სწორად არ ესმის ჩემი ინტერპრეტაცია ამ მოვლენისა, ან ბოლომდე არ გაუაზრებია თუ რას ავალებს მას ამ მოვლენის ჩემეული გაგების გაზიარება.

ჩემეული გაგებაა: საქართველოს გაერთიანებიდან ორასი წლის მანძილზე შეუნელებელი ბრძოლა მიმდინარეობდა მეფის ცენტრალურ ხელისუფლებასა და ფეოდალური წოდების უმაღლეს ფენს— დიდებულებს შორის. დიდებულები ს ე ნ ი ო რ ი ე ბ ი ს აღდგენას ცდილობდნენ, „მ თ ა ვ რ ო ბ ი ს“ აღდგენას ცდილობდნენ. მართალია, ეხლა ისინი პოლიტიკურ გამოცალკევებას უშუალო მიზნად არ ისახავენ და „ხელმწიფობის“ მიღწევას ქვეყნის ერთიანობის პირობებში აპირებენ, მაგრამ მათი პოლიტიკური გეზი — „გახელმწიფება“ — შინაგან წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა ს შეიცავს ქვეყნის გაერთიანებასთან და ორი ეს გ ზ ა ე რ თ ი ე რ თ მ ო უ რ ი გ ებ ე ლ ი ა. საბოლოო ანგარიშით ხელმწიფობის მაძიებელი ქვეყნის დაშლის მაძიებელია და არა გაერთიანების მოღვაწე. და თუ XI—XII (და XIII სს.) საუკუნის დიდგვარიანები, დიდებულები სენიორობის მოპოვებას ისე ცდილობენ, რომ ქვეყნის პოლიტიკურად დაშლის ლოზუნგი არ გამოაქვთ, ეს მხოლოდ იმის მოწმობაა, რომ

ასეთ ლოზუნგს ამ დროს გასაგალი არ აქვს, რომ ქვეყნის გაერთიანება ღრმა და ფართო (შედარებით) საფუძვლებს ემყარება, რომ ამ გაერთიანებით ფართო საზოგადოებაა დაინტერესებული, რომ პოლიტიკური დაშლილობის ლოზუნგს დღეს ქართული ფეოდალური საზოგადგოების ფართო მასა არ გაყვება. დიდებულების ამ მისწრაფებას (გამთავრება-გათავადებას) უპირისპირდება წვრილ აზნაურთა (მოსაკარგავეთა) მისწრაფება, ქვეყნის გაერთიანებას რომ უჭერს მხარს, გაერთიანებულ ქვეყანაში საბატონყმო ურთიერთობის გამარჯვებას რომ ემსახურება, ამ აზნაურების გაბატონებას რომ უზრუნველყოფს მდაბიორ-მოლაშქრეზე. დიდებულების ამ მისწრაფებას უპირისპირდება ვაჭარ ხელოსანთა ინტერესები. ხელოსნობა დიდი ხანია გადაცდა ადგილობრივ მცირე რაიონის საზღვრებს. სენიორიის („სამთავროს") საზღვრებს, საკმაოა ავიღოთ ამ დროის ყოფის სურათი, რომ დავრწმუნდეთ თუ რამდენადაა აზნაური და მდაბიორიც ორგანულად დაკავშირებული ახლო და შორი რაიონების ხელოსნურ ნაწარმოებთან, უცხო ქვეყნების ნაწარმოებთან... („ჭური ნავარძული", „ჩაბალახი გუდამაყრული", „რკინა ხვარასნული", „ჯაჭვი სალმასური"...). ხოლო ვაჭრობა მისწვდა მიწის მწარმოებელი საზოგადოების ფართო ფენებს (სელი, ღვინო, პური, ენდრო, ხილი ხმელი და ნედლი, თაფლი, ცვილი, ბეწვეული, ცხენი, ცხვარი...). წარმოიშვნენ ქალაქები, გაჩნდნენ ვაჭრობა-ხელოსნობის ახალი ცენტრები. ეს არ იყო ის ვაჭრობა აზიის ქვეყნებს რომ ახასიათებდა გვიან ხანაში (ე. ი. ვაჭრობა. რომელიც შემუშავდა ჩვენში უპირატესად მონღოლთა გაბატონების ხანიდან — კომპრადორული ვაჭრობა), არამედ ეს ვაჭრობა იყო ქვეყნის ეკონომიური წინსვლის შედეგი და ამ წინსვლის ხელის შემწყობი...

და აი ორი პოლიტიკური მიმართულება: 1. ვაჭარ-ხელოსნებისა და აზნაურების ინტერესების გამომხატველი, ქვეყნის ცენტრალისტურად გაერთიანების მოსწრაფე, ბატონყმობის გამარჯვების მოღვაწე, მეფის ხელისუფლების გაძლიერების მოღვაწე და 2. დიდაზნაურთა (დიდებულთა) ინტერესების გამომხატველი, სენიორობის აღდგენის (ახალს პირობებში) მოღვაწე, ხელმწიფობის მოღვაწე, მეფის ხელისუფლების დაცემის მოღვაწე — რეაქციის გამომხატველი, აი ეს ორი პოლიტიკური მიმართულება დაუპირისპირდა ერთი მეორეს და XII საუკუნის მიწურულს გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაებნენ.

ჩემეული ეს გაგება სრულიად არ ეთანხმება, პირიქით, გამორი-

ცხავს კიდევაც სოსელიასებურ გაგებას საქართველოს გაერთიანების ბუნების შესახებ რომ აქვს წამოყენებული ამავე მოვლენის ჩემეული გაგების საწინააღმდეგოდ: რომ საქართველოს გაერთიანება იყოო არა ეკონომიური წარმატების შედეგი, როგორც მე ვფიქრობ, არამედ ერთი ფეოდალის მიერ მეორეს გადაყლაპვის შედეგი (?!!). ალბათ ავტორს სურს თქვას, რომ ეს გაერთიანება იყო ეფემერული ამა თუ იმ ფეოდალის „ბედის" წყალობა (აი ი. სტალინს რომ აქვს გამოთქმული, გვიან ფეოდალური საქართველოს სამეფო სამთავროების შესახებ...). ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ის ოთხას წლოვანი პროცესი (IX—XII სს.) სრულიადაც ასეთი არ იყო, რომ ამ გაერთიანების ეფემერულობაზე ლაპარაკი თუ მაინც შეიძლება, ეს იმდენად, რამდენადაც ეს გაერთიანება ფეოდალური ურთიერთობის ბატონობის პირობებში მიმდინარეობდა და უპირატესად მაინც ფეოდალური საზოგადოების უფართეს ფენებს მცირედ ეხებოდა.

მაგრამ რაც დრო გადიოდა, ამ გაერთიანების საფუძვლები (ეკონომიური) სულ უფრო და უფრო მტკიცე ხდებოდა და ეს ჩანდა როგორც ახალ ქალაქთა გამრავლებაში, მონასტრებთან საქალაქო ურთიერთობის წარმოქმნაში, ხელოსნების მიმოსვლაში, სპეციალისტ მევენახეთა მიმოსვლაში, მთისა (გუდამაყარი, სვანეთი) და ბარის მჭიდრო ურთიერთობაში (ხელოსნები, მუშები), არამედ მაღალ პოლიტიკაშიც: საკათალიკოსოების შეერთება (ბედიელ-ალავერდელი), ხელოვნური საერისთაოების (სამოქალაქოს ერისთავი) შექმნა ძველი ეთნიკური მემკვიდრეობის დარღვევისკენ მიმართული... და მოვლენის განვითარება იქით მიდიოდა, რომ ეს გაერთიანება, ფეოდალურ პირობებში დაწყებული, წინაბურჟუაზიულ გაერთიანებად იქცეოდა, ე. ი. ფეოდალური საზოგადოება თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე ადიოდა.

აი ასეთი ორი ძალის დაპირისპირება გვაქვს ჩვენ წარმოდგენილი ყუთლუ-არსლანის გამოსვლაში და როგორ ღა შეიძლება ამ ჩემეულ გაგებას შეგნებულად ეთანხმებოდეს ის, ვინც ოთხასწლოვან პროცესს საქართველოს ფეოდალური აღმავლობისას არ ხედავს და ქვეყნის გაერთიანებას ამა თუ იმ „ბედნიერი" ფეოდალის ხუშტურის შედეგად თვლის? ამხ. სოსელიას ასეთი ხუშტურიანი გაერთიანება, ჩანს იმიტომ მოსწონს, რომ ამ ეფემერული გაერთიანების დაშლა „ბუნებრივად" წარმოგვიდგინოს, ე. ი. ადრეფეოდალური ხანის შემდგომ განვითარებად წარმოგვიდგინოს, როცა XIV—XV

საუკუნეებში ამ განვითარების ნიადაგზე ქვეყანა ადრეფეოდალური გაერთიანებისა დაიშლება (აი როგორც, ვთქვათ, კიევის რუსეთი) სამეფოებად, სამთავროებად, სათავადოებად და ამ ახლად წარმოქმნილ პოლიტიკურ-ეკონომიურ ერთეულებში (სენიორიებში) ბატონყმობა წარმოიშვება (სწორედ ასე აქვს ეს პროცესი წარმოდგენილი „საქართველოს კომუნისტის" იმ სტატიის ავტორს, იური სიხარულიძის წიგნის რეცენზიას რომ წარმოადგენს). არ ვიცით, ამხ. სოსელია ამ აზრისაა თუ არა, მაგრამ ამ აზრის იყო თავის დროს ს. კაკაბაძე (ამჟამად მისი აზრი არ ვიცით), ხოლო ზოგი ვინმე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამ აზრის დღესაც არის... კერძოდ ამხ. დ. გვრიტიშვილმა ეჭვი შეიტანა XII—XIII საუკუნეთა ჩემეულ გაგებაში. ჩანს, საქართველოში თავადების წარმოშობა მასაც ქვეყნის სოციალ-ეკონომიური წინსვლის შედეგად მიაჩნია XIV—XV საუკუნეში (?!). თუ ეს არა, მაშინ მას ისევე, როგორც მე, ბატონყმობა XI—XII საუკუნის მოვლენად უნდა მიაჩნდეს, ხოლო თავადების ინსტიტუტის გაჩენა XIV—XV საუკუნეებში ქვეყნის სოციალ-ეკონომიური დაცემის შედეგად უნდა გაიგოს, სენიორიების მეორე გამოცემად რეაქციის ნიადაგზე ქვეყნის დაჩიხულობის შედეგად, რომელმაც ერთსა და იმავე დროს მოგვცა სამეფო-სამთავრო-სათავადოები.

ასე, რომ არსებობს ორი გაგება: 1. XII საუკუნის საქართველო ბატონყმობის გამარჯვების ეპოქაა, ქვეყნის გაერთიანება წინაბურჟუაზიულია და არა ეფემერულ-ფეოდალური, ანუ ფეოდალურ-ხუშტურული. ქვეყნის პოლიტიკური დაშლა XIV—XV საუკუნეებში მისი ეკონომიური დაცემის შედეგია, რეაქციული დიდაზნაურების გამარჯვებაა, სენიორიების მეორე გამოცემაა (რა თქმა უნდა, შედარებით განსხვავებულ პირობებში); 2. XII საუკუნის საქართველო ადრეფეოდალური გაერთიანებაა, პატრონყმური ურთიერთობის ქვეყანაა. რომელიც შემდგომი წინსვლის ნიადაგზე უნდა დაიშალოს პოლიტიკურად, რომ ამით პატრონყმური ურთიერთობა ბატონყმობაში გადაიზარდოს. და ასეც ხდება XIV—XV საუკუნეებში, რომ მაშასადამე საქართველოს პოლიტიკური დაშლა XIV—XV ს-ში, რომ სამთავროების, სათავადოების, სამეფოების წარმოშობა ესაა ქვეყნის წინსვლის, ფეოდალური საქართველოს სოციალ-ეკონომიური პროგრესის შედეგი, რომ მაშასადამე, საქართველომ შუაფეოდალურ ხანაში ფეხი შედგა XIV—XV საუკუნეში. აი სწორედ ისე, როგორც

კიევის რუსეთში... არც სოსელია, არც გვრიტიშვილი და არც კაკაბაძე (ძველი გაგებით) ლოგიკური არ არიან, ერთი მთლიანი შეხედულება ამ დროის საქართველოს ისტორიულ პროცესზე არა აქვთ. წინააღმდეგობაში ცვივიან. მართალია ან ტალახაძე და საქართველოს „კომუნისტის" რეცენზენტი, ან მართალი ვარ მე, ე. ი. 1. ან XI—XII საუკუნის საქართველო არის ადრეფეოდალური ურთიერთობის ქვეყანა, რომელიც შემდეგ, დაწინაურება-განვითარების შედეგად გვაძლევს პოლიტიკურად დაშლისა (სათავადო, სამეფო, სამთავროს) და ბატონყმური ურთიერთობის შემზადების პირობებს და 2. ან VI—X საუკუნეების საქართველო ესაა ადრეფეოდალური ურთიერთობის ქვეყანა, პატრონყმობის ქვეყანა, სენიორიების ქვეყანა, რომ XI—XII საუკუნის საქართველო ესაა ბატონყმობის გამარჯვების ხანა, წინაბურჟუაზიული გაერთიანებისათვის ბრძოლის ხანა, რომ XII საუკუნის საქართველო ვერ ამაღლდა წინაბურჟუაზიული გაერთიანების საბოლოო გამარჯვებამდე (თუმცა ძირითადად ის ამ საფეხურს უკვე მიღწეული იყო: „გლეხი".), რომ კრიტიკული ხანა გრძელდებოდა და ყველა ნიშნით პროგრესი (ბატონყმობა და მოსაკარგავეობა, სავაზირო და ვაზირობა) გაიმარჯვებდა. მაგრამ ახალმა საერთაშორისო მოვლენებმა შეაფერხა ეს განვითარება და შემდეგ უკან დახია ის და ამ ნიადაგზე იშვა სათავადო, სამთავრო, სამეფოები, ეთნიკური მომენტების წინწამოწევა, ფეოდალური დაშლა, ე. ი. ჩიხი მთელი მისი შედეგებით... და ამ ჩიხში რჩება ქვეყანა ვიდრე XIX საუკუნემდე. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამა თუ იმ კუთხის, ამა თუ იმ დროს (სამწუხაროდ, მოკლე დროით) გამოცოცხლებას...

ამრიგად ჩვენი გაგებით ფეოდალური საქართველოს მეფის ხელისუფლების ცენტრალისტური ტენდენციების წინააღმდეგ მებრძოლი დიდგვარიანები რეაქციის წარმომადგენელნი არიან, ქვეყნის შემდგომ განვითარებას ხელს უშლიან. ამ რეაქციის გამარჯვება იყო საქართველოს პოლიტიკური დაშლა სამეფო სამთავროებად (სათავადოებად) XIV—XV სს-ში. ამ რეაქციის ნაშრომნი და მისი მსახურნი იყვნენ ყველა ეს ახლად შობილი ხელმწიფეები. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს წინსვლა გვიანფეოდალურ ხანაში სხვა რიგად არ წარმოიდგინება თუ არ ამ ხელმწიფეთა (მთავრების, თავადების, მეფეების) გაქრობით და ყველა პროგრესული მოღვაწე გვიანფეოდალური ხანისა სწორედ ასეთი ხასიათის ბრძოლით ხასიათდება (ალექსანდრე I, ალექსანდრე II, როსტომი, ერეკლე I,

ვახტანგ VI, ერეკლე II), ტალახაძით კი XI—XII საუკუნის ეს დიდგვარიანები პროგრესის მატარებელნი არიან, რადგან ქვეყნის შემდგომი წინსვლა საპატრონყმო ურთიერთობიდან საბატონყმო ურთიერთობაში გადასვლა ქვეყნის პოლიტიკურ დაშლას და სამთავრო-სათავადო-სამეფოების წარმოშობა-გამარჯვებას გულისხმობს.

სად არის ამხ. სოსელიას და „კომუნისტის" რეცენზენტის პოზიცია? $\left(\frac{4}{23}\text{ ფ. } 17-27\right)$.

ის გარემოება, რომ მეფის ხელისუფლება XI—XII საუკუნეში (ბაგრატ III, დავით აღმაშენებელი, გიორგი III, გიორგი IV) სრულიად გარკვეულ ტენდენციას ამჟღავნებს უგვაროებზე დაყრდნობისას (წვრილი აზნაურები, აზნაურის ყმები, მოქალაქე-ვაჭრები) და ამ ძალით ცდილობს დიდგვარიანთა ალაგმვას, მრავლის მეტყველია. ან მეფის ხელისუფლება რ ე ა ქ ც ი უ ლ ი ა: გადასულს ან გარდამავალ კლასს ეყრდნობა (წვრილი აზნაურები, მდაბიორ-მოლაშქრენი) და ამით აფერხებს ფეოდალური ურთიერთობის განვითარებას, მის შემდგომ წინსვლას (გამოდის, რომ პროგრესის მატარებელია დიდგვარიანი აზნაურობა, მაგრამ ამ შემთხვევაში გაუგებარი აღმოჩნდება ვაჭარ-მოქალაქეთა ტენდენციები მეფის და არა დიდგვარიან აზნაურთა მხარეს დგომისა), ან მეფე რეაქციულ ძალას (წვრილ აზნაურებს, მდაბიორ-მოლაშქრეებს) ეყრდნობა და... პროგრესულ მიზნებს კი ემსახურება...

ეს გაუგებრობაა: მეფე იმ კლასის ინტერესებს ემსახურება, რომელსაც ის ეყრდნობა; ან არა და მეფის ხელისუფლება პ რ ო გ რ ე ს უ ლ ი ა, როცა ის წვრილ აზნაურებს და მდაბიორ-მოლაშქრეებს ეყრდნობა. ამის მოწმობაა მოქალაქეთა (ვაჭარ-ხელოსანთა) პოზიცია, მათი პოლიტიკური პოზიცია მეფის მომხრეობისა.

მაგრამ მეფის ასეთი არჩევანი მოწმობაა ამ კლასების სიძლიერისა (სოციალ-ეკონომიური მოწიფულობისა). უნდა დავუშვათ, რომ აღნიშნული ხანა წვრილ აზნაურთა და მდაბიორ-მოლაშქრეთა კლასებია ინტენსიური დიფერენციაციის დრო იყო, რომ ამ კლასებიდან სულ უფრო და უფრო თვალსაჩინოდ გამოიყოფოდა აღზევებულთა ფენა, რომელნიც მსხვილ ვაჭარ-ხელოსნებთან ერთად ქმნიდნენ მეფის ხელისუფლებისათვის ძლიერ დასაყრდენს დიდ-

გვარიან რეაქციონერებთან ბრძოლაში, რომ ეს ახალი ძალა (გვიანფეოდალური ხანის მაუწყებელი ძალა) მოწიფულობაში შედიოდა, ამის მოწმობა არის ის იდეურ-პოლიტიკური მოწიფულობა, როგორსაც ამ ახალი ძალის იდეოლოგები იჩენენ XI—XII ს-ში, (ლეონტი, გიორგი მთაწმინდელი, დავითის ისტორიკოსი). ახალი გვარები დავითის დროს, ახალი გვარები ბაგრატის დროს, ახალი გვარები გიორგი III-ის დროს, გიორგი IV-ის დროს $\left(\frac{4}{22}\text{ ფ. } 9\right)$.

თ ა ვ ი VI

თამარის ეპოქა ბასილი ეზოსმოძღვარის მიხედვით

1. თამარიო „სანთელი იყო გონიერთა და უგუნურთა. პირველთა განმანათლებელ და მეორეთა დამწველ, აღვირი იყო უწესოდ მკრთომელთა და დეზ უდებთათვის, კანონი სირცხვილისა მოხუცებულთათვის, და კუერთხი რკინისა ჭაბუკთათვის, კეთილმავალთა სიბრძნით მცველ, ხოლო მბორგილთა თუალუხუად მგუებელ.

მღვდელთმოძღუართა შეიმოსეს შიში, მღრდელთა დაიცვეს წესი თავისი, მონაზონთა მოიგეს წესიერი მოქალაქეობა, მთავარნი განისწავლნეს სიწმიდით ცხოვრებად და სიმართლით სლვად, ერნი განემტკიცნეს შიშით მონებად ღთისა და ერთგულებით უფალთა თვისთა, ყრმანი განიწუართნეს მოძაგებად უჯეროსა უსჯულოებისა რამეთუ ბილწებამან უწესომან და ყრმებრივმან მბორგალებითმან ბორგნეულობამან ვერცა თუ კუალი პოვა დღეთა თამარისთა. ვინა და თვით გინებადცა შორის იყუვნეს რომელნიცა პალატსა შინა ღირს იყუნეს, გინა კარსა ზედა მსახურებად“... (ბასილი, 36).

„შეამკვნა ღმერთმან დღენი მისნი პატიოსნებით და ქამნი მისნი მშჯდობით და მეფობასა შინა მისსა არა შეიიჭუა პირი მისი ამისთვის, რამეთუ არაოდეს გარემოიქცა ხელი სათხოველისაგან ქუერივთა, ობოლთა და მიმძლავრებულთასა. წარვლნა დღენი მისნი სიხარულსა შინა, ამისთვის, რამეთუ მარად დღე ახარებდა ყოველთა გლახაკთა და დავრდომილთა“.

ბასილი თავისი თხზულების დასკვნის სახედ წარმოუდგენს მკითხველს ი დ ე ა ლ ს ს ა ა მ ქ ვ ე ყ ნ ი ო ს ო ც ი ა ლ უ რ-პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა ს, რომელიც მისი შეხედულებით განხორციელდა თამარის მეფობაში და რომლის მთავარი მოქმედი პირი იყო თამარი. ესაა ის წყობა, და ის ვითარება, როცა

„მგელი და თხა ერთად ძოვდეს“ როგორც ამის შესახებ თამარის პირველი ისტორიკოსი იტყოდა. ეს წყობა და ვითარება კი ის იყო, რომ საყოველთაო წესიერება დამყარდა:

მეფე სამართლიანია, ურჩებს დაამდაბლებს, მოყვარეს აამაღლებს, არ მიმხვეჭელობს, კეთილმავალთა მცველია, ხოლო მბორგალეთა თუალუხუად მგვემელი... ამიტომა

ბრძოლაში. ეს თეორია ძველიდანვე მომავალი (ბიზანტიიდან ნასესხები) აშკარად გამოთქმული იყო დავით აღმაშენებლის დროს და მის მიერ და როგორც ჩანს ასეთივე ენერგიით და გამოკვეთით გამოსთქვამდნენ შემდეგაც და სწორედ ამ დროს, როცა დიდგვარიანთა შორის ერთნებაობა-თანადგომის და მეფობის თანაზიარობის თეორია იქმნებოდა.

საინტერესო და დამახასიათებელია ეს თანაზიარობის თეორია. გამოდის რომ ღმერთი არწმუნებს ქვეყნის ბედს არა მარტო მეფეს, არამედ დიდებულებს აგრეთვე... ეს გამოთქმა თანაზიარი მეფობისა (ისტორიანი და აზმანი, ვვ. 90) ფრიად დამახასიათებელია და მეტყველი. ის, უეჭველია, შექმნილია მას შემდეგ, რაც ერთნებაობა-თანადგომის პრინციპმა გაიმარჯვა. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ფორმულა თანაზიარ მეფობისა თამარის პირველ ისტორიკოსს წამოსცდა? რეალური ვითარება უუთლუს გამოსვლის შემდეგ მართლაც ისეთი შეიქმნა, რომ დიდებულები მართლაც თანაზიარ მეფობისა გახდნენ (უუთლუ მეფობას დიდებულებისათვის მოითხოვდა, და მეფეს გამორიცხავდა, მისი მოთხოვნა „დასასრულისა ხელმწიფობასა მიმცემელი იყო", მაგრამ ეს პროგრამა არ განხორციელდა, საშაგიეროდ განხორციელდა კომპრომისული პროგრამა „მეფობის თანაზიარობა", ე. ი. „თანადგომა-ერთნებაობა"). ეს რეალური ფაქტი აღნიშნა თამარის ისტორიკოსმა ისე, რომ მას არ უფიქრია თუ რამდენად შეეფერება ასეთი ფაქტი მეფობის უფლების ღვთისნებითობის თეორიას, რომლის მომხრეობასაც ის იჩენს (ან ეგება არ იჩენს?). მაინც და მაინც მეფობის თანაზიარება სრულიად შეუთავსებელია ღვთისნებითობის თეორიასთან... (ორივე ისტორიკოსის ამ მხრით შესწავლაა საჭირო). შეიძლება ამ საკითხში, ისე მეჩვენება, ბასილი გადაჭრილი მომხრეა ღთისნებითობის თეორიისა. შეიძლება ამითაც აიხსნებოდეს, რომ ის ცალი სიტყვითაც კი არ აღნიშნავს ისეთ დიდ ფაქტს, როგორიც უუთლუს გამოსვლა იყო... მისთვის ეს ამბავი არ მომხდარა, არც ერთნებაობა-თანადგომის ინსტიტუტს ხედავს ის და ყველაფრის წამომწყებ-გადამწყვეტად ერთპიროვნულად თვლის მეფეს. თამარის პირველი ისტორიკოსი ამისაგან განსხვავებით დიდის ხალისით სწერს დიდგვარიანთ აქტიურობაზე, უუთლუს გამო-

სვლაზე ერთნებაობა-თანადგომის ინსტიტუტზე მეფობის თანაზიარობაზე, თუმცა ყუთლუს მომხრე ის გადაჭრით არ არის, მაგრამ ის კარგად ხედავს რეალურ ვითარებას და არც თუ მოწინააღმდეგის პარტიული ვინიანობით ხუჭავს თვალს და შეიძლება რამოდენადმე მხარესაც უჭერს შექმნილ ახალ ვითარებას. ჩემი ეს მსჯელობა ზოგად შთაბეჭდილებას ემყარება და შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს...

მეფეს სული წმინდა შველოდა და თამარ როგორც კი იწყო განგება (ე. ი. ქვეყნის მართვა) მყისსა შინა შეემეცნა, ე. ი. წამსვე გაიგო მის გარშემო მყოფთა შორის თუ ვინ იყო ერთგული და ორგული დრკუ და წრფელი, გულარძნილი და უმანკო. მაშასადამე იცოდა მეფემ, და ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, როგორც ჩანს, რომ მის გარშემო მხოლოდ წრფელი, ერთგული და უმანკოები კი არ იყრიდნენ თავს, არამედ აქვე იყვნენ დრკუ, ორგული და გულარძნილი, ე. ი. მეფის მტრები, მისი ქვეგანმხედვარები. ორგულება ბასილის ლექსიკონში ჩვეულებრივია. მეფის კარს მისი აზრით არასოდეს გამოელევა ორგულები. და ეს იცის მეფემ, იციან საერთოდ სხვებმაც და მეფე არ ჩქარობს მათ წინააღმდეგ მოქმედებას, პირიქით უხვად გაცემა-წყალობა ორგულთა ენის დასაყოფად (რათა „უსიტყუელ იყუნენ") ერთ-ერთი საშუალებაა. ასე არ იქცეოდა დავითი. ის არ უცდიდა იმას, თუ ორგული როდის გამოამეღავნებდა თავის ზნეს, არამედ მსტოვართა საშუალებით წინდაწინ შეიტყობდა და საჭირო ღონეს იღებდა.

ფეოდალურ ქვეყანაში ხელმწიფობა ერთბაშად არ გაჩენილა. თანაზიარნი მეფობისა აქ მეფის გვერდით დიდგვარიანი ფეოდალები არიან. თავდაპირველად ურთიერთისაგან დამოუკიდებელი მთავრები ფლობენ ქვეყანას. იწყება გაერთიანება — (საფეოდალოთა გამსხვილება) სუსტები შეეწყნარებიან უფრო ძლიერთ—ყმად, შვილებად" (არჩილის სამეფო, აფხაზთ მთავარი, ბაგრატიონები), ძლიერი იპყრობს სუსტს, იყმობს, შეიწყალებს. ამ დროს მეფე საკუთარ სამხედრო ადმინისტრაციულ მოხელეებსაც (ერისთავებს) კი ყმობას ანიჭებს (მირის ქალები). იქმნება სამეფო, სადაც ეს ყმები, რა თქმა უნდა, მეფობის თანაზიარნი არიან (დარბაზი). მაგრამ რაც წინ მიდის საზოგადოებრივი ურთიერთობა, სულ უფრო და უფრო შემოდის ბატონყმობა, თემი იშლება, მდაბიორი იბეგრება, გლეხდება, პატრონობა ემძიმება მეფეს, ეეღარ ჰგუობს დიდგვარიანთა თანაზიარობას და ხელმწიფო-

ბისაკენ მიიწევს. ბაგრატ III-დან ეს პროცესი სულ უფრო და უფრო ძლიერი ხდება. მიმდინარეობს დიდი ბრძოლა ხელმწიფობასა და მეფობის თანაზიარობას შორის... წარმატება ცვალებადია. ორი საუკუნის განმავლობაში. დავითი ლამობს ხელმწიფობა განახორციელოს. მეფობის თანაზიარობა მოსპოს. მაგრამ საზოგადოებრივი განვითარება არ ასულა ჯერ ამ სიმაღლემდე, რომ ხელმწიფობა სრულად განახორციელოს. მაგრამ ეს განვითარება ისე მაღალი მაინც არის, რომ ყუთლუს პროგრამა „დასასრულსა ხელმწიფობასა მიმცემელი" არ განხორციელდეს, თუმცა თანაზიარობა მაინც რჩება...

(ბაღვაშების წინაპარმა იპატრონა ბაგრატ III-ის პირდაპირი წინაპარი).

ხელმწიფე — თვითმპყრობელის შინაარსია.

„დასასრულსა ხელმწიფობისა მიმცემელი".

ფარსადანმა აჯანყებული რამაზ მეფე („დამწუნებელი") ომით დაიმორჩილა. არ დასაჯა, დააფიცა, წყალობით აავსო და ისე გაუშვა. და შოთა ფარსადანს სუსტად არ რაცხს...

ხელმწიფის ღვთისმიერობის თეორია მონათმფლობელობის ხანის გადმონაშთია ბიზანტიიდან შემოტანილი. და ფეოდალური ურთიერთობა ამ თეორიას მხოლოდ ამ ურთიერთობის დასასრულს მიახლოებით თუ ამართლებს, როდესაც „ხელმწიფეს" „თანაზიარნი" არა ჰყავს არა მარტო კონსტიტუციურად (როგორც ეს იყო თამარის დროს), არამედ ფაქტიურად, ე. ი. როდესაც ფეოდალური მაღალი საზოგადოება, დიდგვარიანები გატეხილნი არიან და მხოლოდ მოხელე-მოსაკარგავენი გამხდარან. დავითის ცდა ამ მხრივ ნაადრევი ჩანს, ან უკეთ დავითი ხ ე ლ მ წ ი ფ ო ბ ი ს პ ი ო ნ ე რ ი ა ქართულ ფეოდალურ ურთიერთობაში. ის (ან შეიძლება ბაგრატ III) იწყებს ხელმწიფობისათვის ბრძოლას. ეს ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა XI—XII ს-ში. კრიზისული ხანაა. თამარის დროს მოხერხდა ფეოდალურ ძალთა კონსოლიდაცია (წ. 13, ფ. 6 — 12).

3. თამარიო „არცა თვით უქმობდა და არცა თუისთა ყმათა აუქმებდა" და მოთხრობილია, თუ როგორ არბევდნენ და იპყრობდნენ მეზობელ ქვეყნებს. და შემდეგ „ამას ყოველსა დაუშრომლად რა მოქმედებდა, არა თუისთა ქონებითა მოქენე იყო და არცა სამეფოდ იმჭირვიდა ესეოდენთა ქალაქთა და ციხეთა, არამედ თვით მათვე მისცემდა, რომელთა აუცალოებდა, თუისთა ლაშქართა, ვითარ

წამებს დიდი და სახელგანთქმული სახლი სომეხთა მეფეთა ანისი, რომელი წარუღო სპარსთა შანშაობისა თანა მრავალჟამ მათგან ქონებული, ხოლო სპარსთა სახლი სახელოვანი დვინი" (ბასილი, 24).

ბასილის დროს, ე. ი. თამარის მეფობაშივე მსჯელობდნენ სამეფო კარის ამ პოლიტიკის შესახებ, რომელიც აგრე მძაფრად განსხვავდებოდა დავითის ან გიორგის პოლიტიკისაგან. დვინი, ანისი თუ შამახია, თუ სხვა ქვეყნები სამუდამოდ კი არ განიცემოდნენ, არამედ სამეფოდვე დაიდებოდნენ. ჩანს, ბასილის დროს ბევრს ვისმე არ მოსწონდა დაპყრობილი ქვეყნების აგრე გაცემა და უკმაყოფილო იყო და ჩვენი ავტორი ცდილობს დაასაბუთოს მეფის ასეთი პოლიტიკის გონივრულობა. და აგრე მოქმედებდა მეფე ორი მიზეზითო: „პირველად რათა მარადის გული უთქუმიდეს და შური აიღონ ერთმანერთისა წარმართთა შეძინებისათუის თუისისა და მეორედ, რათა მოიკუეთოს ყოველი მიზეზი, რომელი დაბსნის ერთგულებასა". რა თქმა უნდა ვერაფერი საბუთია. მაგრამ ბასილს სხვა რამ გამამართლებელი „თანადგომა-ერთნებაობით" შებოჭილი მეფის პოლიტიკისა ვერაფერი უპოვნია. „მეფობის თანაზიარნი", ბუნებრივია, ასეთ პოლიტიკას ეცდებოდნენ და არა დავითის წურბელისებრ ვერ მაძღრობას და სახლების შერთვას.

რა თქმა უნდა, თამარის ასეთი პოლიტიკით უზრუნველყოფილი ერთგულება სათუო იყო. დიდ სიმდიდრე-ქონება შემძენელი ფეოდალი, ქალაქებისა და ციხეების პატრონი ყველაზე უწინ მეფის ერთგულობას უკლებდა... ეს ჩანს ბასილმაც კარგად იცის და კარგად იცოდნენ ეს კარზედაც. ამიტომაც იყო, რომ მეფე, ისევე როგორც დავით აღმაშენებელი, „ამისთუის არა უდებებდა, რათა არა მოცლილთა განსუენებად სიჩუკნედ ვანსცენ თავი და სხუათა განზრახუათა დამოეკიდნენ, ვითარცა სიმდიდრით ალაღებულთა. ანუ ერთი ერთისა მტერობად მოიცლიდეს და ბრძოლად" (და მოყავს კახაბერიძეების მაგალითი). „ამისთვის არავის მისცემდა მოცალეობასა, ანუ იყუნიან წინაშე მისსა, ახარებდის და საბოძვარითა ღირსებისაებრ სწყალობდის და განუსუენებდის, ანუ თუით წარუძღუის, იორის პირი და მტკურის პირი მოინადირის. მერმე დასოს შემოდგის და მუნ იხარებდიან ვიდრემდის თოელმან არა დაამძიმოს კარავი. მუნით სომხითს შემოვიდიან, ნადირობდიან ამოთა თა-

მაშითა და ამას შინა თუ რამე სადით ესმის ანუ ნახიან, ყოველად არა მიმედგრებოდეს განსუენებისა ძალითა, არცა რას დააცადებდეს, რომელიცა რა წინააღმდგომი ცნიან სამეფოსა და თამარისი".

გამოდის, მეფის კარზე ტრიალებდნენ ეს ამოდენა დიდებულები, მეფის კარით მიიღებენ საბოძვარს ღირსებისაებრ აქვე განისვენებენ, ნადირობენ, თამაშობენ და მუდამ მზად არიან, თუ სადმე მტერი გამოჩნდა თავს მეხი დაატეხონ.

ერთი შეხედვით ადრეფეოდალური სამეფო კარის სურათია, მაგრამ ეს მხოლოდ ზედაპირული გარეგნული მსგავსებაა. ნამდვილი კი აქ სულ სხვა ვითარებაა. აქ მეფის კარზე დიდებული დიდმოხელენი არიან და არა ვასალი ხელმწიფენი. ესენი მეფის წყალობით არიან განდიდებულნი და ამ თავის სამოხელეოზე მეფის ნება-სურვილისაებრ სხედან. ესაა რომ მეფე თადარიგს იჭერს, რომ ურთიერთობის ფეოდალურმა ბუნებამ იმ მხრით არ ინჩინოს თავი, რომ მეფის უფლებები შეილახოს ან ქვეყანას საფრთხე არ შეემეხვას...

4. რუქნადინთან ომის დროს „წინამბრძოლად იყო ზაქარია ვხარგრძელი ამირსპასალარი და ორნიცა იგი ძმანი ახალციხელნი შალვა და ივანე, დაღათუ შალვა მანდატურთუხუცესი იყო, ჭიაბერი და სხუანი თორელნი".

თამარი ოძრხეს წავიდა. აქ იყვნენ „წინაშე მისსა თევდორე ქართლისა კათალიკოზი... და მასთანა მრავალნი ეპისკოპოზნი და მონაზონნი, ლთისა სათნონი, რომელთანა იყო იოანე შავთელი კაცი ყოველად განთქმული და საკუთრველი მოღვაწეთა შინა"...

ომში „ცხენი მოუკლეს ივანეს მსახურთუხუცესსა, ზაქარიასა, გრიგოლს და ახალციხელთა შალვას და ივანეს და სხუათა მრავალთა თავადთა" (ბასილი, 28).

5. თამარის უკანასკნელი დღეები. „ნაპარმაგევს გარდმოდგა მეფე თამარ და მის წინაშე იყუნეს ყოველნი დიდებულნი და წარჩინებულნი და იურვნა და განაგნა საქმენი სამეფოსა თვისისანი და უფროსღა ეკლესიათა და მონასტერთანი...

აგარათა ციხეს ავადმყოფმა მეფემ „შემოუწოდა ყოველთა საბეფოსა თვისისათა წინაშე მისსა" და „ესრეთ ეტყოდა: ძმანო ჩემნო და შვილნო. მე ესე რა შევიწოდები მსაჯულისაგან საშინელისა... თქუენ ყოველნი თვთ მოწამე ხართ, რამეთუ თავისა ჩემისა თანა მაქუნდა სიყუარული თქუენი და სარგებელსა და სათნოსა თქუენსა არა დავაკლე თვითოეულისამებრ არზანგისა

ვიდრემდის განგებითა ღთისათა ვიყავ თქუენ ზედა მეფედ. აწ მეცა წარვალ მამათა ჩუენთა თანა... აჰა ესერა მკვიდრად სახლისა ჩემისა დაგიტევებ, რომელნი მომცნა ღ~თ~ შვილნი ჩემნი გიორგი და რუსუდან, ეგენი მიიხუენით ჩემ წილ და მაგათ აღმოგივსონ დაკლებული ჩემი". (ბასილი, 32—33).

სწორედ ამაში ჩანს ერთნებაობა-თანადგომის და თანაზიარობის ვითარება: მეფე მოვალეა არა დააკლოს დიდებულთა და წარჩინებულთა სარგებელსა და სათნოსა „თვითეულისაებრ არზანგისა". მხოლოდ ასეთი პირობით. იგულისხმება, შეუძლია მეფეს იმედი ჰქონოდეს დიდებულთა ერთგულებისა (წ. 13, ფ. 16).

6. თამარის დიდ ღირსებად სთვლის ბასილი, რომ მეფემ „რაოდენნი დაგლახაკებული მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმძლავრებულთა უკუნსცა სამეფო თვისი, რაოდენნი განდევნილი სამეფოდანვე თვისად კუალად აგნა და რაოდენნი სიკუდილად დასჯილნი განათავისუფლნა და ამისი მოწამე არის სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუ ქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყუნეს და მტერთაგან უზრუნველობასა". „ურჩნი თვსნი დაამდაბლნა და მოყუარენი აღამაღლნა, არა იღუწიდა უმეზობლობასა, არცა შერთვიდა სახლსა სახლსა ზედა, არცა აგარაკსა აგარაკსა ზედა უცხოსა, არამედ თკსი მამული ძველი კმა იყო, რათა არა უსამართლოდ ჰგონონ და მიმხუეჭელად..." (ბასილი, 35—36).

ბასილი მძიმე მდგომარეობაშია: ნამდვილად მისი იდეალი დავითი იქნებოდა და. აქ კი საპირისპირო პოლიტიკაა და მწერალი ცდილობს გაამართლოს დიდებულთა გამარჯვების შედეგად წარმოქმნილი პოლიტიკა თამარისა. და ბასილი თავისდაუნებურად უპირისპირებდა დავითის ისტორიკოსსა და დავითის პოლიტიკას. ის (დავითი) „უსამართლო" და „მიმხუეჭელი" იყო. ასეთი წარმოდგენისა იყვნენ დავითის შესახებ დიდებულები და ეს იმიტომ, რომ მას წურბელას მსგავსი ვერმაძღრობა სჭირდა: ახლად შემოერთებულ ქვეყნებს სამეფოდ დაიმჭირვიდა და არ გასცემდა. ბასილი ცდილობს გაამართლოს დიდებულთა „სათნო" და სასარგებლო კურსი: ყმადნაფიცთა და მეძღვნე-მეხარკეთა სისტემა, ხოლო სახლში მენაპირეთა გამთავრება... (წ. 13, ფ. 17—18).

თამარის შიში გამართლდა და რუსს „გამოაჩნდებოდეს სკუ-თურნი ვითარ ნალებნი ბუნებითანი“... ლოთობა, სიმკაცრე, — „შე-რაცხილნიცა კაცნი უბრალოდ გუემნა და ასოთა ამოღებითა ტან-ჯნა“ — სქესობრივი გარყვნილობა.

„ორისა და ნახევრისა წელთა, ვითარ გურდემლნი, მოითმენდა ეხნე თამარ უკეთურებითა რუსისათა“ (ბასილი 17).

თარიღისათვის: საეკლესიო კრების შემდეგ ორ ნახევარი წელი (წ. 13, ფ. 19).

7. საეკლესიო კრება მთავრდებოდა. ამ დროს „შემოვიდეს ყო-ველნი სპასალარნი და ერისთავნი სამეფოსანი და მოახსენეს მამა-თა, რათა ზოგად იღუაწონ შემოყუანებად სიძისა თამარისათუის, რომელი ყვესცა. და შემოკრბეს წინაშე რუსუდან დედოფა-ლისა და განზრახვითა ყოველთათა წარავლინეს კაცი ვინმე რუსთა სამეფოდ ქრისტიანობისა და მართლმადიდებლობისათვის მათ ნა-თესავთასა, და ესე ვერა კეთილად განაგეს, რამეთუ არცა კაცი იგი ღირსი საქმისა წარავლინეს და არცა მისსა მეცნიერ იყუნეს, რომელსა იგი მოიყუანებდეს“ (ბასილი, 16).

ბასილის ეს ცნობა თარიღის დასადგენად ძვირფასია: ვიდრე საეკლესიო კრება მიმდინარეობდა „ყოველნი სპასალარნი და ერის-თავნი სამეფოსანი“ თამარის საქმროზე მსჯელობდნენ. პირველი ის-ტორიკოსიდან ვიცით, რომ ეს მსჯელობა დიდებულთა სხდომაზე იყო, სადაც აბულასანნა წინადადება შემოიტანა რუსის შესახებ, ასე რომ გამოდის ორი კრება ერთსა და იმავე დროს მიმდინარეობდა.

თუ ისტორიანი და აზმანის გადმოცემას მოვლენათა თანამიმ-დევრობისას გავიზიარებთ და ყველა მოსაზრებით ის უფრო გასა-ზიარებელია (თანამედროვე მწერალს მიზნად დაუსახავს მოვლენები თანამიმდევრულად მოუთხრობს მკითხველს. ბასილი კი, თუ ისიც თანამედროვეა, მაინც მეტის მეტად გვიან წერს თავის ნაშრომს, და ნეორეც, მას არა აქვს მიზნად წინაპოლიტიკური ამბების მოთხრობა, გაურბის კიდევაც ამას და უპირატესად სასულიერო საქმეების დე-ტალური გადმოცემით ანზოგადი მსჯელობით კმაყოფილდება) — გამოდის, რომ საეკლესიო კრება თამარმა ყუთ-ლუს გამოსვლისა და ახალი სავაზიროს „გამორ-ჩევის“ შემდეგ მოიწვია.

ბასილი უკმაყოფილოა დიდებულთა საქმიანობით თამარის პირველი საქმროს გამორჩევის საქმეში. აქ ბასილი, როგორც ჩანს, ამ მოვლენის შესახებ შექმნილ აზრს გამოთ-

ქვამს. მან არ იცის გიორგი რუსის ვინაობა, მისი გადმოხვეწილობა და სუნჯას ყივჩაღებთან ყოფნა და საქმეს ისე წარმოადგენს, თითქოს აქედან „წარავლინეს კაცი ვინმე რუსთა სამეფოდ“. ჩანს, კვიან, გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას, რომ „არცა კაცი იგი ღირსი საქმისა წარავლინეს“ (ეს კაცი კი იყო დიდვაჭარი ზანქან ზარაბაბელი) და არც თამარს უსმინეს... თამარის პირველი ისტორიკოსიც გადმოგვცემს ამ ამბებს და ისე, რომ დიდებულებმა თამარის „ნება დაურთავი განამზადეს ქორწილი“, მაგრამ არაფერს აყვედრის დიდებულებს, არც მივლინებულს იწუნებს... (წ. 13, ფ. 20—21).

8. გიორგი მეფე გარდაიცვალა. ბასილი, უცნაურია, არაფერს აღნიშნავს იმის შესახებ, რომ თამარი ჯერ ისევ გიორგი მეფემ დასვა მეფედ და საქმეს ისე წარმოგვიდგენს, რომ გიორგის გარდაცვალების შემდეგ დედოფლად იჯდა მეფის და რუსუდანი, რომლის „წინაშე იყო თამარ მაშინ ვითარცა თჳსსა მამიდასა თანა“ (ბასილი, 13).

და ხანგრძლივი გლოვა „არა თავს იდვეს წარჩინებულთა სამეფოსათა მიმხედველთა თამარისთა, განიყარეს გლოვა და დასცეს ეაყუირსა... და დადგეს სუიანი ტახტი ვახტანგეთი, საყდარი დავითიანი... აღმართეს სკიპტრა დიდებულთა, ძელი ჯუარისაი და მისთანა დროშა დავითისი არაოდეს მობერილი წინააღმდგომთაგან ნიავთა და ყოველთა ერთხმა ქმნილთა აწუიეს თამარს კრმალი მამული თანა საყდრითურთ მამისა მინიჭებულითა“.

ბასილმა იცის, რომ „საყდარი“ თამარს მამამ მიანიჭა, მაგრამ ამას იგი მეფედ კურთხევად არ თვლის. ყველაფერი წარჩინებულთა ხელთაა და ისინი წყვეტენ თამარის მეფედ კურხევის საკითხს... და ეს სრულიად ბუნებრივად მიაჩნდათ როგორც ბასილს, ისე პირველ ისტორიკოსს (წ. 13, ფ. 22).

9. კარი ასაღებად მისწურეს. კარელებმა „ითხოვეს დავითისაგან, რათა თვით თამარ მივიდეს და მას მიენდვნენ...

მაშინ მოახსენეს ესე ყოველი თამარს, ხოლო იგი მივიდა და მოახუნეს ციხოვანთა მათ კლიტენი წინაშე ძისა მისისა გიორგისა და მერმე თამარის წინაშე და ითხოვდეს მშვიდობასა და ფიცსა, რათა არა განსცეს კარი, ვითარ ანისი და დვინი, არამედ სამეფოდ დაიმჭიროს. ამისთვის მისცა სიტყვა მტკიცე და უბრძანა ძესა თჳსსა გიორგის, რათა შევი-

ფეს და თჳთ მიითვალოს ქალაქი და ციხე. რომელ ესე ესრეთ იქმნა და ესე ქალაქი და ციხე თჳსად დაიმჳირა მათ ყოველთაგან, რომელნი აიხუნა ზორაკერტით რაჯსამდის, გაგით განძამდის და ჯავახეთით სპერამდის". (ბასილი, 32).

არც ანელებს და არც დვინელებს, საფიქრებელია, არ მოსწონდათ, რომ ისინი მეფემ მხარგრძელებს უბოძა. მაინცდამაინც მოქალაქეების განწყობილება სრულიად გარკვეულია. ისინი ფ ი ც ს მოითხოვენ, რომ მონაპირე ფეოდალებს (ახალციხელებს) არ ჩაუვარდნენ... ბასილის მონათხრობიდან არ ჩანს, რომ ამ დროს მ ს ჯ ე ლ ობ დ ნ ე ნ ამ ს ა კ ი თ ხ ი ს გ ა რ შ ე მ ო, ე. ი. იმ ძირითადი საკითხის გარშემო, თ უ ვ ი ს ხ ე ლ თ უ ნ დ ა ი ყ ო ს ა ხ ლ ა დ შ ე მ ო ე რ თ ე ბ უ ლ ი ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი. ერთი ნაწილი ფიქრობდა, და ითხოვდა, რომ ის სამეფოდ ყოფილიყვნენ, როგორც ეს გიორგის ან დავითის დროს ხდებოდა, მაგრამ „თანადგომა-ერთნებაობის" ნესვეურნი სულ სხვა რიგად აზროვნებდნენ... მათ აშინებდა სამეფოდ დაჭირვა ქვეყნების, ქალაქების, აშინებდათ მეფის დომენის გაძლიერება, რადგან მეფის თვითმპყრობელური მისწრაფებანი სწორედ ამ დომენის სიდიდეს ემყარებოდა მნიშვნელოვან წილად... ერთნებაობა-თანადგომისტებს „პატრონი მეფე" სურდათ და არა „თვითმპყრობელი ხელმწიფე" (წ. 13, ფ. 23).

„ნებითა ღმრთისათა", „ერთნებაობითა და თანადგომითა", „თვითმპყრობელი" „ღმრთის მონაცვლე", „თანაზიარ მეფობისა", „კარავისელები" და მსგავსი ფორმულა-გამონათქვამები კარგად მოწმობენ, თუ როგორი ბრძოლა წარმოებდა მეფესა და დიდგვარიან ფეოდალებს შორის პოლიტიკური ხელისუფლების გამო. სხვა რაიმე პოზიტიური ცნობებიც რომ არ შემოგვნახოდა, ესეც საკმაო იქნებოდა იმისათვის, რომ დაჯერებით გვემსჯელა საზოგადოებრივი ურთიერთობის შესახებ ამ ფორმულა-გამონათქვამების შემუშავების ხანაში... ყოველად წარმოუდგენელია, მაგალითად, ასეთი ფორმულების შემუშავება ადრეფეოდალურ ხანაში, როგორიც არის „მეფობის თანაზიარობა". იმ დროს მ ე ფ ო ბ ი ს თ ა ნ ა ზ ი ა რ ო ბ ა ს, ე რ თ ნ ე ბ ა ო ბ ი თ და თანადგომით" ქვეყნის მართვას, კარავით (კოლექტიურ) მართვას არავინ ფიქრობდა. ასეთი ცნებები შემუშავებულია იმ მწვავე ბრძოლის პირობებში, როცა ფეოდალური მონარქია წარმოიქმნა, როცა ქვეყნის გაერთიანება დროის შესაფერისი და გარდაუვალი გახდა, როცა ქვეყნის წვრილ საფეოდალოებად დაშლის ტენდენცია გაქრა და მსხვილ გაერთიანებათა წარმოქმნის ტენდენციამ გაიმარჯვა, როცა ქვეყნის ეკონო-

მიურმა განვითარებამ, კლასთა ბრძოლამ (ბატონყმობის გამარჯვებამ) „ლმერთის მონაცვალე“ მეფე წარმოშვა. როცა მთავრების მიერ მთავრობის დაკარგვა აუცილებელი გახადა, როცა „მთავარი“ „დიდებულით“ და „მოსაკარგავეთი“ შეიცვალა. ამ პირობებში მეფობის თანაზიარობისათვის ბრძოლა ერთადერთი რეალური ვითარების შესაბამისი მოქმედება იყო დიდებულ დიდგვარიანთა მხრით...

სამთავროების წარმოშობა საზოგადოებრივი განვითარების, კლასობრივი ურთიერთობის გარკვეულ საფეხურზე აუცილებელი იყო. ძლიერისა და სუსტის, მფლობელისა და მწარმოებლის შესაქმების, მათი კლასობრივი ურთიერთობის პოლიტიკური ფორმა ეს წვრილი სამთავრო იყო. სულ მცირე მთავრები უფრო მსხვილ მთავრებს ახლდნენ, მის კარს შეადგენდნენ (ჩორჩანელი)... ქვეყნის შემდგომი განვითარება კუთხეებს შორის ურთიერთობის გაცხოველებას გულისხმობდა, სამთავროთა გამსხვილების ტენდენცია იშვებოდა. ამავე დროს ქვეყნის შემდგომი განვითარება თავისუფალ მიწისმოქმედთა მძაფრ დიფერენციაციას (ქონებრივს) ხელს უწყობდა. ეს კი ყმის გლეხად გარდაქცევის ტენდენციის გაძლიერებას ნიშნავდა, „პატრონის“, „ბატონად“ გადაქცევის ტენდენციის გაძლიერებას ნიშნავდა. უძლიერესმა მთავარმა სუსტები დასძლია და ქვეყანა პოლიტიკურად გაერთიანა. გამაერთიანებლის ხელთ აღმოჩნდა მებატონეობის საფუძველზე სოციალურად გაძლიერებული დიდაზნაურები. პოლიტიკურად ხელმწიფობა-მოღებულნი. აზნაურები და გადარჩენილი მდაბიორ-მოლაშქრენი მეფის ერისთავს ექვემდებარებიან. ამიერიდან ეს დიდაზნაურები, დიდებულ-მოსაკარგავენი იწყებენ ბრძოლას მეფობის თანაზიარობისათვის, ერთნებაობათანადგომისათვის და რამდენადაც ბატონყმობა იმარჯვებს, ისინი სულ უფრო და უფრო მეტის ენერგიით და დაჟინებით ცდილობენ ამ თავიანთი სოციალური უპირატესობის შესაფერისი უფლება მოიპოვონ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ძლიერი მეფე ახერხებს ქვეყნის ძალთა მობილიზაციას და გარეშე მტერთა დამარცხებას უზრუნველჰყოფს... მაგრამ სწრაფი წინსვლა სწრაფადვე ანადგურებს მოლაშქრეთა ფენას და ომის შედეგად ზოგი ვინმე ალაფს იძენს, ზოგი ვინმე აზნაურდება, ზოგი კიდევ უფრო მაღლა აცოცდება, დიდი ნაწილი გლახაკდება და გლეხდება. ასე რომ მეფის ეს ერთგული დასაყრდენი სულ უფრო და უფრო სუსტდება... დიდაზნაურთა შემდგომი გაძლიერება, ეკონომიური და სოციალური, გარდაუვალია და ბუნებრივია, ისინი შე-

საფერის პოლიტიკურ რეალიზაციას შეეცდებიან. იქმნება ტენდენ-
ცია ერისთავების გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ ი ს ა საერისთაოში... იქმნება სა-
ერისთავთერისთაოები, მეფეთა ადგილზე მჯდომები, მთავრები...
მაგრამ ყველაფერი ეს ხდება ერთიან ფეოდალურ ქვეყანაში, სა-
დაც გ ა ნ ხ ე თ ქ ი ს შიში სულ უფრო და უფრო მცირეა... ერთია-
ნი სახელმწიფოს იდეა მყარ საფუძველზე დამყარებული ჩანს.
მეფე ძლიერია. ის არა მარტო ყველაზე დიდი ფეოდალია, არამედ
უ ფ რ ო დ ი დ ი ა ვ ი დ რ ე ყ ვ ე ლ ა ფ ე ო დ ა ლ ი ერ-
თ ა ნ ა ღ ე ბ უ ლ ი (ეს იდეა არის გამოთქმული არჩილის სიძე-
ერისთაობაში). მართლაც, ამისათვის საკმაოა გავითვალისწინოთ
-ის სახასო ქვეყნები გამაერთიანებელმა მეფე-მთავრებმა რომ მიისა-
კუთრეს... მეფეს ტოლს არ უდებდა ეკლესია-მონასტრები. ამიტო-
მაც იყო, რომ მეფე ეკლესიის ორგანიზებას ეგრე დაჟინებით ცდი-
ლობდა...

ამას გარდა მეფის სიძლიერეს ქმნიდნენ მრავალრიცხოვანი ქა-
ლაქების ვაჭარ-ხელოსნები... ასეთ პირობებში მეფეს შეეძლო თვით-
მპყრობელობაზე ეფიქრა და როგორც ვიცით ფიქრობდა კიდევაც.
დავითის ისტორიკოსიც რომ არ გვყოლოდა, ეს თვითმპყრობელო-
ბის თეორეტიკოსი, ჩვენთვის საკმაო უნდა ყოფილიყო ცნობა
უგვაროთა წინწამოწევისა და ამის წინააღმდეგ დიდებულთა გა-
ფთრებული ბრძოლის შესახებ. და ეს ხდებოდა, უეჭველია, ბაგ-
რატ III-დანვე, ხოლო დავითის პოლიტიკა ამ მხრით ხომ საშინე-
ლი იყო დიდგვარიანთათვის (შეიყარნის — განადიდნის. მოიძუ-
ლის — დაამცირნის. ხოლო მის აპოლოგეტს ისტორიკოსს სასაცი-
�lod არ ყოფნის დიდგვარიანთა წუწუნი). მართლაც და ქვეყნად
დიდგვარიანები ძლიერდებიან, მეფე კი უგვაროებს აწინაურებს და
გაჰყავს კიდევაც ასეთი ღონისძიება. რა თქმა უნდა, ეს იმ იდეის
(თვითმპყრობელობის) პრაქტიკული გამოვლინებაა, რომელსაც ასე
მჭერმეტყველურად ასაბუთებს დავითის ისტორიკოსი... ბრძოლა
გრძელდება, ძლიერდებოდნენ დიდგვარიანები: ბატონყმობა სულ
უფრო და უფრო საყოველთაო ხდებოდა, მაგრამ ძლიერდებოდა
მეფეც: საქართველოს ზედიზედ ახალი ქვეყნები უერთდებოდა
განვითარებული და მდიდარი ქალაქებით შარვანი, რანი, სომხითი...
მეფე ამ ქვეყნებს, ქალაქებს საკუთრივ ეუფლებოდა... და როცა
იყო გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართებოდა მეფის თვითმპყრობე-
ლურ ტენდენციებსა და დიდაზნაურთა შორის. და ასეც მოხდა.
ყუთლუს გამოსვლა ბრძოლის პირველი ტური იყო. თუ ვინ გაი-
მარჯვებდა საბოლოოდ, ეს დამოკიდებული იყო იმაზე თუ როგორ

წავიდოდა საქმე... ჯერჯერობით ვერც ერთი ვერ სჯობნიდა. მათი საბოლოო მორიგება კი არ შეიძლებოდა, კრიზისული ხანა იყო (წ. 13, ფ. 25—30).

10. შამქორის ომი მოიგეს. ქვეყანაში დიდი ალაფი შემოვიდა. „სეფენი აზნაურთანი აღივსნენ ტყუითა რჩეულითა და ყოველნი საგანძურნი ოქროთა". მეფე კი არ გალაღდა, ის უხვად გასცემდა გლახაკებზე, ქვრივ-ობლებზე, დავრდომილებზე და განსაკუთრებით ეკლესიებზე... „და წ ყ ა ლ ო ბ ა ღ თისა განმრავლდებოდა და ყოველი სიბოროტე ეშმაკისა მოუძლურდებოდა".

და „ყოველნი თუის-თუის იღუწიდეს, რათამცა თამარ მოიმადლეს და ვინაცა გამოაჩინნეს საქმეთა შინა საქებელთა. მონაპირენი რომელნი იყუნეს, ღამეთა დღეთავე ზედა დართვიდეს შეუსუენებლად და, რომელნი შიგნით იყუნეს, ი გ ი ნ ი ს ა ნ ა პ ი რ ო თ ა ი ა ჯ დ ი ს და ე ს ე ვ ი თ ა რ მ ა ნ გულმოდგინებამან და მ ო ს წ რ ა ფ ე ბ ა მ ა ნ ყ ო ვ ე ლ თ ა მ ა ნ ე ს ე ვ ი თ ა რ თ ა მ ი ა ღ წ ი ა სამეფო" და ბასილი იმას ნათელსაყოფად თუ რას „მიაღწია სამეფომ" გვაცნობს, თუ სად იყო „პ ი რ ვ ე ლ", ე. ი. ვიდრე სამეფო ძალთა კონსოლიდირებულ შეტევაზე გადავიდოდა კრიზისის დამთავრების შემდეგ ანუ 1191 წელს.

ერთი სიტყვით ბასილის სურს თქვას, რომ აი ქვეყანაში დ ა მ ყ ა რ დ ა თ ა ნ ხ მ ო ბ ა, მეფის გარშემო სულ ერთგულები შემოგროვდნენ, თხა და მგელი მორიგდნენ, და დაიწყო დიდი გენერალური შეტევა თურქთა წინააღმდეგ, (რომ შამქორის ომი ერთ-ერთი ეპიზოდია, ისევე როგორც ბასიანის ომი, ამ გენერალური შეტევისა) და ბასილი გვიხატავს სამხედრო ვითარების სურათს საქართველოს იმ დროის საზღვრებზე მონაპირეთა სახით და აქვე ჩქარობს ამცნოს მკითხველს: ესე ყოველი რა გესმოდის, ნუ ვინ ესრე ჰგონებთ, თ უ მ ც ა თ ვ ი ნ ი ე რ თ ა მ ა რ ი ს ს ა რ ა მ ე ქ მ ნ ი ლ ი ყ ო ვ ი ს გ ა ნ ც ა, არამედ ესრეთ გაიგონე: მონაპირეთა მონახიან საქმე, ანუ ციხე ასაღებელი, ანუ თურქმანი შემოდგომილი, ანუ ქალაქი განსატეხელი, ანუ ქვეყანა მოსარბეველი, მოახსენიან თამარს და მას გასინჯის საქმე იგი და გამოიკითხის. უკეთუ ღირს იყვის შეყრასა ლაშქართასა, უბრძანის ზაქარიასა და ი ვ ა ნ ე ს და შ ე ყ ა რ ნ ი ა ნ ლ ა შ ქ ა რ ნ ი, თუით დავით მეფე წავიდის და არა სადათ შემოქცეულ ცუდად! უკეთუ უმცირესი რამე იყვის, მყის შესხნის დ ა რ ბ ა ზ ი ს ა ე რ ნ ი თ უ ი ს ნ ი და, ვითრ შავარდენთა მოისაქმიან. თუ თუით იყვის ანუ მინდორთა ნადირობასა შინა, ანუ შინა მყოფსა და ესმის რამე და შესხნის მუნ ღირს-

ნი მისნი. ვითარ არწივთა კაკაბნი, ეგრეთ დანაბნიან ყოველნი წინააღმდგომნი". (ბასილი, 23).

შესანიშნავი სამხედრო ორგანიზაციაა. მაგრამ ბასილის მიზანი სხვაა. მას სურს დაარწმუნოს მკითხველი, რომ ეს ორგანიზაცია ცენტრალიზებული იყო, რომ თვინიერ თამარისა არაფერი კეთდებოდა, რომ მეფის შეუტყობრად და უნებართვოდ არ შეიძლებოდა რამე გაკეთებულიყო.

თუ ასეთი კატეგორიული ცნობა არა გვქონდა, ჩვენ გაგვიძნელდებოდა ამ განაკუთრებული მნიშვნელობის საკითხის გადაჭრა მით უფრო, რომ არსებობს არაერთი ცნობა (ისტორიკოსები, სომხური წარწერები), სადაც თითქო საწინააღმდეგო ჩვენება მოიპოვება. ასეთ ცნობათა უკრიტიკოდ გამოყენებით ზოგიერთი მკვლევარი სრულიად ყალბ სურათს წარმოგვიდგენს თამარის დროის საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილებისას („ზაქარიანების დინასტია").

ბასილის ისიც სურს სთქვას, რომ ეს ორგანიზაცია (მონაპირე) იმიტომაც იყო ძლიერი და აგრე ეფექტიანი, რომ ის ცენტრალიზებული იყო (თუ მონაპირენი საკუთარ თავის ნებაზე იქნებოდნენ მიშვებულნი და საკუთარი ძალებით ინაპირებდნენ, როგორც ეს ზემოხსენებულ მეცნიერთ გამოუვიდოდათ, ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ ერთიანი მონარქია აღარ არსებულა და არც ასეთ მონაპირეებს რაიმე უპირატესობა თურქებთან შედარებით და არც წარმატება არ ექნებოდათ). მაგრამ საინტერესოა, რატომ დასჭირდა ბასილს ასეთი ტირადა-გაფრთხილება მკითხველისა? მონაპირეთა ასეთი ინსტიტუტი თუ იმ დროსაც მოქმედებდა, როცა ბასილი ამ თხზულებას სწერდა (და თუ ეს თამარის სიცოცხლეში იყო) რაღა საჭირო იყო ასეთი საგანგებო გაფრთხილება? თამარი ამ თხზულების წერის დროს უკვე გარდაცვალებული იყო (ეს ბასილის მონათხრობიდან ჩანს, გვ. 32—34) და არც საფიქრებელია, მონაპირეთა ინსტიტუტი იყო იმ თავდაპირველი ხასიათისა, მონაპირეთა ინსტიტუტი ამ თხზულების წერის დროს უკვე გადაგვარებული იყო (თუ სულ მთლად გაუქმებული არ იყო) და სანაპიროებს მონაპირენი სამამულო ხამკვიდრო უყურებდნენ. ამის მაგალითად შეიძლება ანისისა და დვინის მხარგრძელ მონაპირეთათვის სამამულოდ გადაცემა იქნას მოტანილი. ეს უკვე ისეთი მონაპირეებია „მეფეები", როგორიც იყო ავთანდილი და ტარიელი. მონაპირეთა ინსტიტუ-

ტი ფეოდალური სახელმწიფოს აქილევსის ტერფი რომ იტყვიან, ის იყო. ის მტკიცედ ორგანიზებულ ცენტრალურ ხელისუფლებას გულისხმობდა. მონაპირე სამხედრო მოხელე იყო სამეფო კარისაგან დამოკიდებული ყოველი მხრით, მისი მცირე ლაშქარი დამოუკიდებელი სამხედრო ოპერაციებისათვის საკმაო არ იყო და მონაპირეს არც ჰქონდა უფლება დამოუკიდებლად მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაციები ეწარმოებინა. ის მცირე ქვეყნის მზვერავი და მარბიელი იყო, რომელიც თავისი მოქმედების შესახებ ნიადაგ სამეფო კარს აცნობებდა და თავის მოქმედებაში პასუხისმგებელი იყო. მონაპირე დროებით იდგა სანაპიროზე, ვიდრე სამეფო კარს ეს სასურველად მიაჩნდა. სამხედრო ძალა, სანაპიროს რომ სჭირდებოდა, მონაპირის ხელთ კი არ იყო, არამედ ცენტრის ხელთ იყო. ცენტრის ხელთ იყო საქვეყნო ლაშქარი, საგანგებოდ რომ შეყრიდნენ თუ საჭიროდ სცნობდნენ. მონაპირეობა ფრიად სასურველი სამხედრო მოვალეობა უნდა ყოფილიყო. ამიტომაც იყო, რომ „რომელნი შიგნით იყვნენ (ერისთავები? დიდებულები?) იგინი სანაპიროთა იაჯდეს“. ინსტიტუტი მონაპირე ფეოდალური ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციის ელემენტი იყო, ცენტრალური ხელისუფლების ძლიერებას მოწმობდა და ამ ძლიერებას ემსახურებოდა. პატრონყმობის ვითარებაში მონაპირის ინსტიტუტი წარმოუდგენელია. იქ ყმადნაფიცობის პირზე მსახურობს ყმა პატრონს თავისი ლაშქრით, მსახურობს მცირე მთავარი დიდ მთავარს თავისი ლაშქრით... აქ კი მონაპირე სამხედრო მოხელეა და არა ყმადნაფიცი, ხოლო ლაშქარი (ძალა) მეფის ხელთაა. ეს იყო ის ახალი, რაც საქართველოს ერთიან ფეოდალურ მონარქიის წარმოქმნას მოჰყვა. მონა-სპა, ტაძრეულების ინსტიტუტი (მუდმივი ლაშქარი) და მონაპირეთა ინსტიტუტი (სამხედრო მოხელეები ადგილებზე) იყო ცენტრალური ხელისუფლების საფუძველი...

გასაგებია, თუ როგორი ბრძოლა უნდა შექმნილიყო მონაპირის ინსტიტუტის გადაგვარება-შენარჩუნებისათვის. ცენტრალური ხელისუფლება შეეცდებოდა, ბუნებრივია, ამ ინსტიტუტის უცვლელად შენარჩუნებას, დიდგვარიანი ფეოდალები, პირიქით, ამ ინსტიტუტის გადაგვარებას შეეცდებოდნენ. 1. სანაპიროთა სამამულოდ დაუფლება. 2. ახ-

ლად მოპოვებული ქვეყნების სამამულო საბაპიროზე დართვა. 3. სანაპიროდან გამოყვანილი საკუთარი ლაშქრით მონაპირეობა და ბოლოს 4. ყმადნაფიცობის პირზე სამსახური — ყმობა.

მონაპირე იგივე ერისთავი იყო, ოღონდ განსაკუთრებულ ვითარებაში. ერისთავიც ხომ სამხედრო და ადმინისტრაციული მოხელე იყო და დროებით იჯდა საერისთაოზე და არა საშვილიშვილოდ. მაინც და მაინც ასე განიხილებოდა ის მეფის ხელისუფლების მიერ, — ფეოდალური მონარქიის წარმოქმნის შემდეგ. არც ომის წამოწყების უფლება დამოუკიდებლად ერისთავს არა ჰქონდა.

როდის იქნა შემოღებული მონაპირეთა ინსტიტუტი? დავით აღმაშენებლამდის ასეთი რამ არ უნდა ყოფილიყო. დავითის პოლიტიკურ კურსს ეს ინსტიტუტი ყოვლად შეეფერება. ყოველ შემთხვევაში მონაპირეობა XII საუკუნეშია შემოღებული და გამიზნულია, როგორც აღვნიშნე, ცენტრალური ხელისუფლების გასაძლიერებლად, ან უკეთ, ის წარმოქმნილია ცენტრალური ხელისუფლების ძლიერების ხანაში, მომთაბარე თურქ სელჯუკთა წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის. მაგრამ, როგორც აღვნიშნე, ეს ინსტიტუტი არასასურველი იყო თავისი აღნაგობით დიდგვარიანთათვის და ბუნებრივია, ბრძოლა თანადგომა-ერთნებაობისათვის დიდგვარიანთა გამარჯვებით რომ დამთავრდა, მონაპირეთა ინსტიტუტზედაც შესაფერის გავლენას მოახდენდა. აბა რა მონაპირე იყვნენ ზაქარია და ივანე მხარგრძელები, რომელთაც საშვილიშვილოდ ჰქონდათ მიცემული მთელი ის ქვეყანა (ციხეებით. ქალაქებით), რომელიც მათ ინაპირეს (დაიპყრეს, შემოიერთეს). ზაქარია, ამირსპასალარი თავისი მდგომარეობით მეტად ჰგავს შოთას ავთანდილს, რომელიც (აგრეთვე ამირსპასალარი) მონაპირეობს მეფის ახელის განსადიდებლად, მეფისათვის ძღვენის მისართმევად. მას ჰყავს საკუთარი ლაშქარი, მას ემორჩილებიან დიდებულები... მოკლედ, ეს ყმადნაფიცი უფროა, როგორც ტარიელი, ვიდრე სამხედრო მოხელე...

ისევე როგორც სხვა ერისთავთერისთავნი, მონაპირენიც გაყმადნაფიცებას ლამობდნენ. ასე რომ ბასილის მიერ მოცემული სურათი წარსულის რომანტიკაა და არა მისი დროის სინამდვილე...

მონაპირის ინსტიტუტის შემოღების თარიღის შესახებ. როგორც ინსტიტუტი თავისი წმინდა სახით (სამხედრო მოხელე სანა-

პიროზე) ის უეჭველია მეფის სიძლიერის პირობებშია შემუშავებული (და შეიძლება ითქვას თურქ სელჯუკებთან პოლიტიკურ მეზობლობაშია წარმოშობილი). მაგრამ თუ მონაპირეობის ამ მთავარ დამახასიათებელ მომენტს (ნაპირობა) ჩვეულებრივ ერისთაობას დაეუკავშირებთ, საქმე სხვა რიგად შეიძლება წარმოგვიდგეს. შეიძლება ითქვას: ისე როგორც სავაზიროები შეუთავსეს ერისთავთერისთაობას იმ მიზნით, რომ უვნებელ ეყოთ და საბოლოოდ გაექროთ ერისთაობა (და შემდეგ შექმნილ ვითარებათა გამო პირუკუ მოხდა: ერისთავმა გამთავრებულმა გადაყლაპა ვაზირი...) მონაპირეობის ინსტიტუტიც შეუთავსეს ერისთაობის ინსტიტუტს და ერისთავმა გადაყლაპა მონაპირე.

და ეს სხვა რიგად არც წარმოიდგინებოდა. მონაპირე როგორც სამხედრო მოხელე (არაადმინისტრაციული) ერისთავის მონათესავე იყო. თავდაპირველად ყოველი ვასალი ყმადნაფიცი თავისებური „მონაპირე" იყო, რამდენადაც მისი მამეული ქვეყანა მტრის ქვეყანას ეკვროდა. და თუ ასეთი ყმადნაფიცი თავის ქვეყანას მტრის ქვეყნის შემოერთებით თუ დარბევით (ალბათ პატრონის ცნობით და თანხმობით) გაადლიერებდა, ეს პატრონისათვის არასასურველი არ უნდა ყოფილიყო (თუ. რა თქმა უნდა, ყმა უზომოდ არ ძლიერდებოდა და ამით პატრონის დაწუნების საფრთხე არ იქმნებოდა...). მაგალითად გამოდგებოდა ბაღვაშების მოღვაწეობა... აი ასეთ ყმავასალს ემსგავსებოდნენ თანდათან თამარის მონაპირეები, რამდენადაც ერისთავ-მონაპირენი მკვიდრნი გახდნენ... ასეთი მონაპირენი იყვნენ, როგორც ჩანს ა რ ი ა ნ ე ბ ი (შაქი შარვანის ქვეყანაში), გაგელები (შამქორი), ივანე და ზაქარია (სომხითი), თორელები (ტაო- კლარჯეთი) (წ. 13, ფ. 31—37).

11. შამქორის ომი „გ ა ნ ძ ა ს და შ ა მ ქ ო რ ს ა შ უ ა ლ" გამარჯვების მახარობელი იყო სარგის თმოგველი. „აქა ვერა კ ე თ ი ლ ა დ გ ა ნ ა გ ე ს ზ ა ქ ა რ ი ა და ი ვ ა ნ ე და ესე ოდენ იქმნა დაკლება ამას გამარჯვებასა შინა. იყო ვინმე კაცი სპარსი, შარვანშათ სიძე, სახელით მირმირან. ესე შემოხვეწილ იყო წინაშე თამარისსა სათხოელისა რომლისათუისმე და მაშინ დავითს წინაშე სამსახურად, ამან მირმირმან გამოთხოა განძა ცნობადმდე თამარისსა და მისცეს შესანახავად. რაჟამს ბუბაქარ ცნა ჩუენთა ლაშქართა შინა მოსულა, გამოჩნდა და განძელთა ქალაქი მასვე მისცეს, თუმცა მირმირმან შიშითა ცოხცალ გამოუშვეს ვითარცა ვთქუ" (ბასილი, 18—19).

ბასილი აქაც ჩანს, რომ თანამედროვე არ არის. ფაქტების გადმოცემაში ცდება. ზაქარია და ივანე მას იმთავითვე უძლიერეს პირებად წარმოუდგენია. ზაქარიას და ივანეს როგორ ეკითხებოდა განძის საქმის გაგება, როცა მეფე დავით სოსლანი იქ იყო და თუ აქ ზაქარიას და ივანეს ვაზირობა იგულისხმება, ბასილი აქაც შემცდარია: დავით მეფესთან იქ, შამქორის ომში, ანტონი მწიგნობართუხუცესი ვაზირობდა, როგორც ამას ნიშანდობლივი დეტალებით გვაცნობს თამარის პირველი ისტორიკოსი... ამ უკანასკნელის ცნობით ამ ომის მახარობელი იყო ჭიაბერი მანდატურთუხუცესი და არა სარგის თმოგველი, როგორც ამას ბასილი გადმოგვცემს.

ამ ორი ავტორის შედარება შამქორის ომის გადმოცემაში აშკარად მოწმობს ბასილის ნაგვიანეობას და პირიქით პირველი ისტორიკოსის თანამედროვეობას... (წ. 13, ფ. 38).

12. რუსი გააძევეს. სოსლანი შერთეს. იყო სიხარული, „ლაშქრობანი გამარჯვებულნი ზემოთ და ქუემოთ დ: არა სადათ ვინ ჩნდა წინააღმდგომი“ (ბასილი, 18).

სქემატურად ჩამოთვლის ავტორი და აქვე ურთავს: „მოკუდა ქართლისა კათალიკოსი, ჭყონდიდელ მწიგნობართუხუცესი ქართველი მირიანის ძე მიქაელ, რომელსა აქუნდა სამთავისიცა და არავინ შეწუხნა მისთუის არცა დიდი და არცა მცირე, რამეთუ ყოველნი სძულობდეს“. ავტორს გარკვევით სძულს კათალიკოსი და ეს საეკლესიო პირი არაქრისტიანულ უგულობას ამჟღავნებს... დამახასიათებელია ეს „არა შეწუხნა მისთუის არცა დიდი არც მცირე...“ თითქო იგულისხმება, რომ დიდი და მცირე სხვადასხვაგვარად აფასებენ მოვლენებს ჩვეულებრივ, აქ კი ყველა თანახმანი იყვნენ თითქო. რა თქმა უნდა, ბასილი არ არის მართალი: მიქაელ კათალიკოსს თავისი გულშემატკივარნი ბევრნიც ჰყავდა და მომხრეებიც. ამიტომაც იყო, რომ კრებამ ის ვერ გადააყენა, როგორც ამას თვით ბასილიევ აღნიშნავს. ასე რომ ბასილის ეს ცნობა მიკერძოებითია და მოწმობაა იმისა თუ რამდენი მტრობა-სიძულვილი სუფევდა თვით საეკლესიო წრეებში. მიქაელი დიდგვარიანთა შვილი იყო და თამარის სასურველიც არ იყო. თამარის კანდიდატი საკათალიკოსო ტახტზე ნიკოლოზ გულაბერიძე იყო, ხოლო ჭყონდიდლობა მას ანტონი გლონისთავისძისათვის სურდა. მიქაელი ორივე ხელის მიმტაცებელი იყო. ბასილი ერთგული მომხრეა ანტონი გლონისთავის ძისა, რომლის საქებლად ის არ იშურებს სიტყვას. ბასილის კლასიფიკაციით ანტონი იყო თამარის „ერთგული უზომოდ“ (ბა-

სილი ხოლ ბანსაკუთრებული მნიშვნელობით აღნიშნავს ხოლმე ამა თუ იმ პოლიტიკური მოღვაწის „ერთგულობას“ და მეფის გარშემო მთელი საზოგადოება დაყოფილი ჰყავს „ერთგულებად“ და „ორგულებად“).

საყურადღებოა, რომ თამარის პირველი ისტორიკოსი ასეთი „პარტიული“ არ არის. მაგრამ ასეთი „პარტიულია“ დავითის ისტორიკოსიც. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს უკანასკნელი ერთგვარ გავლენასაც კი ახდენს ბასილზე. თუმცა უფრო მართებული იქნება ითქვას, რომ ორივე ისტორიკოსის პოზიცია ემსგავსება ერთიმეორეს და უკეთ, ბასილის პოლიტიკური პოზიცია უკარნახებს მას დავითის ისტორიკოსის გაწალდული გზით იაროს სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ მოვლენათა შეფასებისას. დავითის ისტორიკოსი კი მართლაც მისაბაძი მაგალითია ახალი საქართველოსათვის ბრძოლაში, ახალი საქართველოს დაცვის საქმეში, ახალი საქართველოს მოღვაწე მეფის მოქმედების დაცვაში, მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა თავდასხმისაგან.

ეს იყო ბრძოლა დაუნდობელი, ბრძოლა ახალისა ძველის წინააღმდეგ. დავითის ისტორიკოსი უდიდესი პროპაგანდისტი იყო დავითის იდეებისა, ახალი საქართველოსი, უდიდესი თეორიული დამცველი და გამამართლებელი ახალი ხანისა, მეფის თვითმპყრობელობის იდეის სიმართლისა, მისი სასურველობისა. მხოლოდ დავითის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სრულად გათვალისწინებით (რასაც ჩვენ მისი ისტორიკოსის და ორიოდე სხვა დოკუმენტით ვიცნობთ) შეიძლება მეცნიერული მსჯელობა იმაზე, თუ როგორ მოვლენებთან გვაქვს საქმე XII საუკუნის მიწურულს... დავითის ისტორიკოსი არაფერს სტოვებს საეჭვოს და სრულყოფილად გვიშლის თვალწინ მისი დროის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ სინამდვილეს, ბრძოლას ახალი საქართველოსათვის როგორც საშინაო, ისე საგარეო-საერთაშორისო ასპარეზზე: ბ ა ტ ო ნ-ყ მ უ რ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო კ ა ვ კ ა ს ი ი ს გ ა მ ა ე რ თ ი ა ნ ებ ე ლ ი, ახლო აღმოსავლეთში (კავკასიაში) ახალი ურთიერთობის შემზადების პირობების ინიციატორი. ეს გადაიქცა დავითის შემდეგდროინდელი საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის პროგრამად. ამისათვის იბრძოდნენ პროგრესის ძალები, ამას ებრძოდნენ რეაქციის ძალები.

ბატონყმური ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო იყო მოწოდებული ეს მისია თავს ედო და მისი წარმატებაც იმისგან იყო დამოკიდებული, თუ

ბატონყმობის გზით რამდენად დაწინაურებული იყო ის, ე. ი. რამდენად მოწინავე იყო მისი სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური წყობა მეზობლებთან შედარებით და მაშასადამე რამდენად შეეძლო კულტურული ცენტრის როლი ეთამაშა ახლო აღმოსავლეთის ფეოდალურ სამყაროში. დავითის ისტორიკოსის იდეები, ყოვლად პროგრესული, გასაგებია, მისაბაძად რჩებოდნენ ვიდრე ეს დიდი პროცესი (კავკასიის გაერთიანებისა ბატონყმობის გამარჯვების საფუძველზე) მიმდინარეობდა. მისაბაძად რჩებოდა ყველა პროგრესისათვის. ასეთივე იყო ის ბასილისათვის. თუმცა უნდა ითქვას, ბასილის აქა-იქ სჭირდება დაუთმოს სინამდვილეს, მის დროს რომ შექმნილიყო და ზოგ რამეში თავის გმირს (თამარს) ბოდიში მოხადოს სახელდობრ იმ პოლიტიკური კურსისათვის. როგორსაც, დავითის პოლიტიკური კურსისაგან განსხვავებით, ადგა „თანადგომა-ერთნებაობით", „მეფობის თანაზიართა" მიერ საგრძნობლად შეზღუდული მეფე (თამარი).

13. ახალი სავაზიროს შერჩევას ბასილი მხოლოდ ერთხელ გულისხმობს სოსლანის შერთვისა და იმერელ-სვანთა აჯანყების შემდეგ და არც რაიმე კავშირი ჩანს ამ მოვლენათა შორის (განსხვავებით პირველი ისტორიკოსისაგან, რომელიც სავაზიროს შერჩევას ორგზის აღნიშნავს: ყუთლუს შემდეგ და რუსის მეორედ მოსვლის შემდეგ. ეს მემატიანე ზედმიწევნილობით და მიზეზობრივ კავშირში, იგულისხმება, მოგვითხრობს ამ ამბებს და ისეთი დეტალებით, რომ აშკარად ამჟღავნებს თანამედროვეობას).

სავაზიროს შერჩევის მოთხრობაში ბასილი (ბასილი, 18—19) არ აღნიშნავს თუ როგორ ხდებოდა ეს აქტი: მეფე ნიშნავდა ერთპიროვნულად თუ „ერთნებაობითა და თანადგომით" როგორც ამას პირველი ისტორიკოსი ხაზს უსვამს. თუმცა ზმნები აქ ხმარებული: მოიყვანა, მოიყვანეს. დასუეს, მისცეს, მოიყვანეს, შეიწყალნა და უბოძა, მოიყვანეს. მისცეს—გარკვევით არ უჩვენებენ დიდებულები მეფესთან ერთად ასრულებენ ამ საქმეს თუ მეფე ერთპიროვნულად. თუ ტექსტი დაუმახინჯებლად არის დაცული, მაშინ უფრო მართებულია ვიფიქროთ, რომ ეს გამონათქვამები მოწმობენ, რომ ბასილი გულისხმობს. რომ ეს აქტი ერთნებაობა-თანადგომის ვითარებაში ხდებოდა...

ამავე დროს ბასილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზაქარია და ივანე კვარეულადაც ერთგულნი მეფეთანი (იყე-

ნეს), ამისთვის ფრიად შეუყვარებულნი თამარის პაპათა და მამათა განცა. რომ ჭიაბერი იყო კაცი მ ა რ თ ა ლ ი და ე რ თ გ უ ლ ი.

ერთი სიტყვით, ე რ თ გ უ ლ თ ა ს ა ვ ა ზ ი რ ო შეიქმნა. არა ჩანს ოღონდ ვინ იქნება მეჭურჭლედუხუცესად ან შეიძლება იგივე კახაბერ ვარდანის ძე დარჩა? საეჭვოა. თუ კი ეს კახაბერი ლიხთიმერეთიდან იყო.

14. „გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა“

რამდენი იწერება ამ გაერთიანებაზე და არავინ ფიქრობს რა არის გაერთიანება, იყო თუ არა ქვეყნის ასეთი გაერთიანება და რაში გამოიხატებოდა, თუ კი იყო ეს გაერთიანება?

განა მხოლოდ ერთი ის ცნობა, რომ „იბრძოდეს ქართლსა ზედა“ გაერთიანების საკმაო მოწმობაა? ქართლსა ზედა ხომ სომხეთიც იბრძოდა? და განა — „უპატრონო“ ქართლის დაპყრობა, რომელიმე ფეოდალური ერთეულის მიერ გაერთიანება იქნებოდა, ან კიდევ ქართლისათვის რომ მეორე ან მესამე ასეთივე უპატრონო თუ პატრონიანი ერთეულიც რომ მიეყოლებინა რომელიმე სვებედნიერს, ეს „გაერთიანება“ იქნებოდა?... რა თქმა უნდა, არა! ასე რომ ყოფილიყო, მაშინ რომელიმე შაჰნავაზი გამაერთიანებელი იქნებოდა. მაშასადამე მთავარი და ძირითადი არის ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი, რომელსაც ეს გაერთიანება უნდა დამყარებოდა... იყო ასეთი საფუძველი? ვამბობთ იყოო, მოგვაქვს უპირატესად ეკონომიური საფუძველი. მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ჩვენ ვაჭარბებდეთ ჩვენს აღმოჩენებში ეკონომიურ წარმატებათა შესახებ? თუ გაერთიანება იყო, ვინ იყო გამაერთიანებელი, ქვეყნის შემომკრები? და რაში გამოიხატებოდა ეს შემოკრება? განა მექანიკური ჯამი გაერთიანებაა? რა სოციალურ ძვრებს ემყარებოდა ეს გაერთიანება (თუ ასეთი რამ კი იყო). ხომ შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა ა ს ე თ ი ძ ვ რ ე ბ ი ა რ ი ყ ო ს ნ ა გ უ ლ ი ს ხ მ ე ვ ი. ან რა პოლიტიკურ ახალსახეობას გულისხმობდა ეს გაერთიანება (თუ კი ის მართლა იყო?) და განა შეიძლება რომელიმე ამოტ კურაპალატის სახელმწიფო ისეთივე პოლიტიკური წყობისა ყოფილიყო, როგორც თამარის სახელმწიფო? თუ მათ შორის არსებითი განსხვავება არ იყო? მაშინ არც გაერთიანება ყოფილა, არამედ მექანიკური შეერთება ერთი სვებედნიერი ფეოდალის მიერ მეორესი (დაშლად განწირული). საქართველოს გაერთიანება თუ იყო, ეს არის ქართული ფეოდალური საზოგადოების ა ხ ა ლ ი ხ ა რ ი ს ხ ი თავისი შესაფერისი ეკონომიური, სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური სახით. და ვინც გაერთიანებაზე საუბრობს, ის იმას კი არ უნდა კმაყოფილდე-

ბოდეს, რომ ცალკე ფეოდალური საბეფოები ერთმა ფეოდალურმა სამეფომ გაიერთიანა, არამედ უნდა გვიჩვენოს პროცესი, რომელმაც ეს ახალი ხარისხის საზოგადოება მოგვცა. უნდა გვიჩვენოს ახალი ხარისხის (უფრო მაღალი) საზოგადოება, ახალი ხარისხის (უფრო მაღალი) სოციალური წყობა, ახალი ხარისხის (უფრო მაღალი) ეკონომიური ურთიერთობა, ახალი ხარისხის (უფრო მაღალი) პოლიტიკური წყობა, ახალი ხარისხის (უფრო მაღალი) იდეოლოგია. ბატონყმობა (შემომავალი თუ შემოსული), ერის (თავისუფალ მოლაშქრეთა) გაქრობა. ქალაქები, აღებ-მიცემის ხასიათი, დიდება, სავაზირო, მონასპა, მონაპირენი, მოურავნი, საქართველო, ყოველი საქართველო, ვეფხისტყაოსანი. როცა ამას ვუჩვენებთ მეცნიერულად (ლეონტი ახალი საქართველოს ნაყოფია, ყოვლად შეუძლებელია რომ ის XI საუკუნეზე ადრინდელი იყოს: მისი იდეები, პოლიტიკური სურათი მისი ქართლისა...), მაშინ შეგვეძლება ვაკეთოთ დასკვნები გაერთიანებაზე, მის ხარისხზე...

გაერთიანება.

იყო კი ასეთი რამ? იყო, მაგრამ როგორი. ვინ იყო გამაერთიანებელი შემომკრები? დავით აღმაშენებელი ხომ არ შეიძლება გავიგოთ როგორც „შემომკრები“? (ე. ი. აღმაშენებელი — „შემომკრები“).

რაში გამოიხატებოდა ეს შემოკრება? ხდებოდა თუ არა პოლიტიკური წყობის შესაფერისი ტრანსფორმაცია ქვეყნების შემოკრებასთან ერთად? ხდებოდა და ეს არის უმთავრესი მაჩვენებელი გაერთიანებისა. ხდებოდა სოციალური ძვრები და ამ ძვრების ნიადაგზე ხდებოდა ეს გაერთიანებაც და ეს არის უმთავრესი.

გაერთიანება იყო. ორასი წელი გრძელდებოდა და „გამაერთიანებელი“ პიროვნება (ხელმწიფე) კი ჩვეულებრივ დასახელებულიც კი არ არის. „გამაერთიანებელი“ ხომ ახალი კაცია, ახალ ურთიერთობას რომ ემყარება და მის შესაფერისად მოქმედებს. ვინ იყო ასეთი? ბაგრატ III, ბაგრატ IV, დავით აღმაშენებელი. დავითი იყო ახალი სახელმწიფოს განმასახიერებელი — ყველაზე თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე. გაერთიანების დაგვირგვინება (წ. 13, ფ. 39—43).

თავი VII

[საქართველო თამარის შემდგომ ხანაში]

(ზოგადი დახასიათება)

[§ 1. სამეფო კარი. ცვლილებები სოციალურ ფენებში]

თამარის მეფობის უკანასკნელ ხანს, დიდოეთისა და ფხოეთის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ „იყო ყოველგან მშვიდობაჲ წარმატებაჲ და დღითი დღე შემატებაჲ სამეფოთა ღმრთივ-დაცულისა მეფისა თამარისათაჲ. სპანი მისნი განსუენებასა, ნადირობასა და ბურთაობასა, ხოლო თავადნი და წარჩინებულნი მარადის მეფის წინაშე იყვნიან, განისვენებდიან და აღივსებოდიან საბოძურითა მეფისა მიერ მათისა“ (ისტ. აზმ. 139, მდ. 529. შდრ. არც დავითი მოიცლიდა: ქ-ც: 359); შდრ. ბასილი ეზოსმოძღვარი...).

საყურადღებო ცნობაა.

ბასილი ეზოს მოძღვარი ამ მოვლენის — „თავადნი და წარჩინებულნი მარადის მეფის წინაშე იყუნიან“ — თავისებურ ახსნას იძლევა, მაშინ როცა პირველი ისტორიკოსი ამ ცნობის უკომენტაროდ გადმოცემით კმაყოფილდება. ბასილი ეზოსმოძღვრის განმარტებით თამარი თავის დიდებულებს „არავის მისცემდა მოცალეობასა“, „რათა არა მოცლილთა განსუენებად სიჩუკნედ განსცენ თავი და სხუათა განზრახვათა გამოეკიდნენ, ვითარცა სიმდიდრითა ალაღებულთა ანუ ერთი ერთისა მტერობად მოიცლიდეს და ბრძოლად“ (გვ. 34) — და ბასილი ეზოსმოძღვარს მოაქვს მაგალითი თუ როგორი ბრძოლა გამართულა კახაბერისძეებისა და გლონისთავისძეებს შორის. რის შედეგადაც კახაბერისძეებს ამოუხოციათ ორი ძმა გლონისთავისძე, მიუხედავად იმისა, რომ კახაბერისძეები კიდევაც უმხილებიათ უკანონობაში და მეფესაც წყალობით უცდია მათი დამშვიდება...

ერთი სიტყვით ეს „თავადნი“ და „წარჩინებულნი“ სიმდიდრით ალაღებული არიან და მათი განსვენებით ყოფნა, თუ არ მეფის კარზე, სახიფათოა, ქვეყნისათვის: ისინი, „სიმდიდრითა ალაღებულნი სხუათა განზრახვითა დამოეკიდებიან“ ან „ურთიერთის მტერობად მოიცლიან და ბრძოლად“.

ტიპიური სურათია განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის დასასრულისა. მეფის კარი ის ფოკუსია, რომელიც სულ უფრო და უფრო იზიდავს თავის გარშემო ქვეყნის მფლობელ დიდგვარიანებს. ლიტონი ბრძანებით ამ ვითარების მიღწევა შეუძლებელია, რომ თავადი და წარჩინებულნი მარადის მეფის კარზე იყვნენ. მეფის კარს სხვა ბიზიდველობა უნდა ჰქონოდა, რომ ზვიადი დიდგვარიანნი იქ მდგარიყვნენ „მეფის წინაშე“. მეფისაგან მიიღებენ ისინი საბოძვარს „ღირსებისამებრ“. მეფის კარზე წყდება ამა თუ იმ დიდგვარიანის დიდების ბედი. აქ მიიღებენ ახალ სახელოებს, ქალაქებს, ქვეყნებს. აქვე წყდება დიდების მიღების საკითხები. თუ მეფე დაინტერესებულია იმით, რათა დიდგვარიანნი კარზე იყვნენ, რომ რაღაც განზრახვებს არ გამოეკიდნენ, დიდგვარიანნიც არანაკლებ არიან დაინტერესებულნი, რომ მეფის კარზე იყვნენ, რათა მისივე ბოძმე დიდგვარიანმა არ მოასწროს და მეფის წყალობა უპირატესად არ ირგოს...

დავითის დროიდან ახალი საქართველო ჩანს საბოლოოდ გამარჯვებული. ბაგრატ მესამიდან შოკიდებული ბრძოლა ახალი საქართველოსათვის გადამწყვეტ ფაზაში შედის. ქართლის აზნაურნი (ტბელები), ჰერ-კახთა მეფე, თბილისის ამირა, ტაო-კლარჯეთის უფლისწულები, ტაოელნი აზნაურნი, თრიალეთის პატრონნი X—XI საუკუნეებში მედგარ ბრძოლას განაგრძობენ ფეოდალური ერთიანი სამეფოს შექმნის წინააღმდეგ... მაგრამ მათი ბრძოლა უიმედო იყო. ქვეყანა კულტურულად უკვე გაერთიანებული იყო და ეკონომიური განვითარებაც ასეთ გაერთიანებას მოითხოვდა. კრიზისი „თურქობამ“ გამოაელინა და დავითი ახალი საქართველოს შემქმნელად გამოვიდა... მეფემ საბოლოოდ გადაჭრა ერთიანი ფეოდალური მონარქიის გამარჯვების საკითხი და მთავრებისა თუ ყმადნაფიცების სისტემა გააქრო. ამიერიდან ერთგულთა, გაზრდილთა, მოსწრაფედ მორჩილთა ხანა დადგა. მეფის კარი შეიქმნა აღზევება-სიმდიდრის ბუყარო.

მაგრამ ეს არ იყო ბარბაროსული ფეოდალიზმი ანუ ადრეფეოდალური ხანა და ამ წყობილებას განსაზღვრავდა ქვეყნად შექმნილი საბატონყმო ურთიერთობის გამარჯვება. როცა თავისუფალი მდაბიორ-მოლაშქრენი ნადგურდებოდნენ და ქვეყნის მწარმოებელთა კლასი, ძირითადად გლეხები იყვნენ; ე. ი. მებატონეებისადმი დამორჩილებული კლასი. ასეთ პირობებში მოსაკარგავენი ბუნებრივად მებატონენი ხდებოდნენ, რადგანაც „გლეხს" მებატონენი შეეფერებოდა და არა მოსაკარგავე. ეს უკანასკნელი მდაბიორ-მოლაშქრეთა ინსტიტუტის შესაფერისი იყო. ასე რომ დავითმა საბოლოოდ გაანადგურა მთავრების ინსტიტუტი და ახალ დიდებულთა მოსწრაფედ მორჩილ-მოსაკარგავეთა ინსტიტუტი შექმნა. მაგრამ, დავითისდა უნებურად, საქართველოს ფეოდალური მეურნეობის განვითარების შესაბამისად ეს ახალი ფეოდალები ჩქარა მემამულე-მებატონის სულისკვეთებით გაიჟღინთნენ. ბატონყმობა, ქვეყანაში რომ საყოველთაო ხდებოდა, როცა ყოველი აზნაური, დიდი თუ მცირე, მებატონე გამხდარიყო, როცა მთელი მეურნობა საბატონყმოდ ქცეულიყო. მოსაკარგავეობა, ბუნებრივია, საბატონყმო ტენდენციებით დაორსულდებოდა. ასე რომ დავითის მოსაკარგავენი უმალ მემამულეობის ტენდენციებს ამჟღავნებდნენ, მებატონეებად გახდომას იწყებდნენ საკარგავად ნაწყალობევ ქვეყანაში. და ამას მოითხოვდა ის გარემოება, რომ ეს ნაწყალობევი მდაბიორ-მოლაშქრეთა ქვეყანა კი აღარ იყო, როგორც ადრეული ფეოდალური ურთიერთობის საფეხურზე, არამედ გლეხური ქვეყანა იყო ძირითადად, რომელსაც ძველი მოსაკარგავის ნაცვლად მემამულე-მებატონე უფრო შეეფერებოდა, როცა დიდებული აზნაურის ნაცვლად მემამულე თავადი გამოდიოდა სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების წინა პლანზე. ასე რომ მოსაკარგავე შეუფერებელი იყო ქვეყნის სოციალური განვითარებისათვის, ბატონყმობა, ე. ი. გ ლ ე ხ ი მოსაკარგავეს არ საჭიროებდა, ის (მოსაკარგავე) პატრონყმური ეპოქის შესაფერისი იყო, როცა ქვეყანა ძირითადად მდაბიორ მოლაშქრეთა იყო (როცა გლეხი ჯერ კიდევ მეორე მნიშვნელობის ელემენტი იყო ქვეყნის წარმოებაში), როცა მოსაკარგავე სწორედ ამ მდაბიორ-მოლაშქრეთა უპირატესი მოვალეობის შესრულებისათვის იყო მოპასუხე სახელმწიფოს (მეფის) წინაშე. და იმის და მიხედვით თუ რამდენად ნადგურდებოდა მდაბიორ-მოლაშქრე და გ ლ ე ხ ი ხდებოდა. ძველი მოსაკარგავე ამდენადვე შეუფერებელი იყო ახალი ვითარებისათვის. ძველი მოსაკარგავე მებატონე ხდებოდა. ძველი დიდებული აზნაური თავადი ხდებოდა. ასე რომ „დიდე-

ბული აზნაური", „ერისთავი" (ყველა ესენი მოსაკარგავენი იყვნენ). „პატრონი" გააქრო „თავადმა" „ბატონმა", როცა მდაბიორ-მოლაშქრეთა ფენი გაქრა და ის გლეხობაში გადავიდა. ამიერიდან ორი რამ შეიძლებოდა: მეფის ხელისუფლება ისეთ ძალას მოიპოვებდა, რომ მებატონეებს გათავადების საშუალებას არ მისცემდა (აზიეთში რაღაც ამის მსგავსი იქმნებოდა თითქოს), ლაშქრისა და სამართლის საქმეს მეფის მოხელეთა ხელშივე დატოვებდა; ან მეფის ხელისუფლება იქამდე დაეცემოდა, რომ მებატონეებს გათავადების საშუალებას მისცემდა და მთელი ქვეყანა აურაცხელ „საფლანოებად" დაიყოფოდა (რაც მართლაც მოხდა) და ქვეყნის განვითარება შეფერხდებოდა. ჩიხში მოექცეოდა. XII—XIII საუკუნეები ამ ბრძოლის ხანა იყო. ახალი საქართველო უნდა განმტკიცებულიყო. ამისათვის იბრძოდნენ და ამას ებრძოდნენ...

[§ 2. საქართველოს კულტურის დაცემა][1]

მონასტრების როლი ქართული კულტურის მშენებლობაში. ადგილობრივ ქართული და საზღვარგარეთული ცენტრები. აკადემიები. დიდი სამეფო და სადიდაზნაურო მონასტრები. მონასტერი ატრიბუტი დიდებულისა (ქალაქთან ერთად).

მაგრამ ამ საეკლესიო („დასავლურ") კულტურის გვერდით წარმოიშვის (ძლიერი აღმოსავლური ფეოდალური კულტურა — არაბულ-სპარსული). საერო კულტურა, მხატვრული ლიტერატურა, მედიცინა და სხვა.

რუსთაველის შემდეგ (უფრო ადრეც) სიბრძნე ეკლესია-მონასტრებში აღარაა. სიბრძნე ფეოდალების სასახლეშია. ამ გარემოებას მცირე მნიშვნელობა როდი ჰქონდა იმაში, რომ ქართველმა ფეოდალებმა მონასტრებს მამულები ჩამოართვეს. ძნელბედობა, იმ ეკლესიის მეფეთაურთა განცხადებისა არ იყოს, სხვა დროსაც დიდი ყოფილა. მაგრამ აზნაურებს მამულების გამოწირვა ასე მასიურად არ დაუწყიათ და არც მეფის ხელისუფლებას დაუცავს მონასტრების გაჭარცველი დიდგვარიანები... რა თქმა უნდა 1263 წლის ამბები იმას არ ნიშნავს, რომ დიდგვარიანები ათეისტები გახდნენ, მაგრამ შოთას გმირების აზრისანიც თუ იყვნენ, ისიც საკმარისია... მონასტრების მშენებლობა ამის შემდეგაც ხდება, მაგრამ

---

[1] ფურცლის თავში აწერია: „ეხლა ღამის სამი საათია, დაღლილი ვარ მაგრამ მაინც ჩავიწერ". 13. 11. 59.

მონასტრის ავტორიტეტი უეჭველად შერყეულია და აშოტ-ადარნასეს ეპიზოდები ამიერიდან ყოვლად გამორიცხულია და ეკლესია ინდულგენციას სჯერდება იმის ნაცვლად, რომ კანონი აღადგინოს, როგორც ამას გრიგოლ ხანძთელი მოიმოქმედებდა. ე. წ. საკანონო ეკლესიის მხრივ მხოლოდ დათმობაა (კანონის გაყიდვაა). აი ასეთ ვითარებისას მონღოლური ძნელბედობა შეიქმნა და ფეოდალებმა გასწირეს ის ძველი იდეური საყრდენი, გასწირეს მოკავშირე, გაძარცვეს ეკლესია. მაგრამ ჯერ ქართულ ეკლესიას საკეთებელი ბევრი ჰქონდა და არც ახლად შობილ რენესანსს შეეძლო ჯერჯერობით მისი შეცვლა. და შეიქმნა დიდი ნაპრალი. ძველი კლასიკური ფეოდალური ურთიერთობის კულტურა საფუძვლიანად შეირყა, ხოლო მისი მემკვიდრე რენესანსი ძნელბედობამ გადაიტანა. ქართული კულტურის თანმიმდევრული განვითარება შეწყდა... XVII საუკუნის „აღორძინება" ეს უკვე ბურჟუაზიული ევროპის მონაბერი იყო... $\left(\frac{4}{21}\text{ ფ. } 101—104\right)$.

[§ 3. მოგთაბარეთა შემოტევის შედეგები (XIII—XV)[2]

XIII—XV საუკუნეთა ძნელბედობა მეცნიერულად შესწავლილი დღემდის არა გვაქვს. ზოგადი დეკლარაციული განცხადებები ეხლა საკმაო აღარაა: ასეთ ვითარებაში „ჰო" და „არა" მომხრე-მოწინააღმდეგეები არ გამოირიცხება (და არიან კიდევაც...).

საჭიროა და აუცილებელი მთელი სიღრმით შესწავლა და ჩვენება იმისა, თუ რას ნიშნავდა „ველის" შემოტევა, რა მოჰქონდა „ველურთა" გაბატონებას საქართველოში. რას ნიშნავდა „ველის" (ბარის) დაკარგვა (ქცია, იორი, მტკვარი, ალაზანი) ქართული მეურნეობის განვითარებისათვის... რა ბრძოლა იყო ეს საუკუნოვანი ბრძოლა — სელჯუკები, მონღოლები, თათარ-თურქმანები...

265 წლის მანძილზე (1235—1500) ძარცვა-რბევა, ნგრევა „გიორგი ბრწყინვალე" ზეწამოდგომის ხანმოკლე ცდა იყო...

სულ მინიმალური ანგარიშით საქართველომ ამ ხნის განმავლობაში დაკარგა მრავალი ასი მილიონი ოქრო (ფული) ხარკის სახით და ათჯერ მეტი ძალადობა-ძარცვის შედეგად, დაკარგა უნაყივრესი ბარის ტერიტორიები, მოსახლეობისაგან დაიცალა სრულიად ქართლისა და კახეთის მთელი მხარეები, სხვაგან კი მესამედი

[2] ტექსტს თარიღად უზის 1. I. 1960.

ელევს ბოგინობდა... საკმაოა ორი პოლიტიკური რუკის ურთიერთისადმი შედარება: XIII საუკუნის დასაწყისისა და XV საუკუნის დასასრულისა და ჩვენ თვალწინ გადაგვეშლება ევროპანების უტყუარი სურათი: კულტურული მეზობლები გამქრალან, სომხეთი აღგვილია. მთელ მსოფლიოში შოფანტულა დიდი შემოქმედებითი კულტურის ხალხი (ნაწილი საქართველოს შემოხიზვნია), მთა (კავკასიონი) სულშეხუთული საქართველოს ბარისაკენ მოიწევს, შაქი-შარვანი „გაველურების“ პირზეა, ბიზანტია გაქრა, საქართველო „ველურთა“ ზღვაში მოქცეულ კუნძულსა ჰგავს. ისიც პოლიტიკურად დაიფლითა... ხელისუფლების მოშლა, თავადების განუკითხავი ბატონობა, ძარცვა-უდიერობა, აუწერელი სიღარიბე, ქალაქების, მოქალაქეობის (ბურჟუაზიის) მოშლა, ბაეებისა და საბაეოების სიდიდე-სიმრავლე (მოგზაურთა ცნობები), მშვიდობიანი ურთიერთობის მოშლა, ე. ი. ცივილიზაციის პირობების მოშლა და რაც განსაკუთრებით საყურადღებო და ნიშანდობლივია, მწარმოებელი საზოგადოების საფუძვლების შერყევა: ხიზან-ბოგანოთა (რანჩ-პარი, გარეთ მოსული, მინდობილი) გამრავლება (აღბულას სამართალი და გვიანი ხანის საბუთები) მემკვიდრეობა გლეხთა შემცირების ხარჯზე, მევენახეობის შემცირება, ნასყიდის შემცირება, ნასყიდის პრინციპის შერყევა: „დასთვეაძისაგან მამული ვიყიდე მისითა ბეგრითა“ — ბარბაროსული ფეოდალიზმისაკენ დახევა, განთავისუფლებული ფეოდალური ურთიერთობის საფუძვლების მოშლა...

ნუ გვეშინია ამ „საგარეო ფაქტორის“ „ზეშეფასებისა“: ასეთი ზეშეფასება არავის შეუძლია მისი უდიდესი მნიშვნელობის გამო. და შეიძლება კი, რომ ამ მოვლენებს: ველის სამასწლოვან შემოტევას, ხალხთა დიდ გადმოსახლებას მხოლოდ საგარეო ფაქტორი ვუწოდოთ? ან ასი ან ორასწლოვანი ბატონობა ბარბაროს დამპყრობლისა საგარეო ფაქტორია? რა თქმა უნდა არა...

საფრთხე იდგა „ქართველობის“ მოშლისა ისევე, როგორც მოიშალა სომხობა სომხეთში (და სიცოცხლისუნარიანმა სომეხმა ხალხმა მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში გადაიტანა ეროვნული არსებობის კერები...), ალბანელობა შაქ-შარვანში თუ რანში... საფრთხე იდგა ქართველობის ადგილზე თათრულ-ველური ურდოების შემოსვლისა, აღმოსავლურ-ბარბაროსული ფეოდალური ურთიერთობის შემოსვლისა ქართული განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის ადგილას, მსგავსად ყიზილბაშური ირანისა, ოსმა-

ლური მცირე აზიისა, თათრულ-თურქმანული შაქი-შირვან-ერევნისა...

საფრთხე დაუდგა ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციას. ეს იყო მსოფლიო მნიშვნელობის შეფერხება, რეაქცია, უკანდახევა... ეს იყო ველურთა დიდი გადმოსახლება (არა ველურს არც შეუძლია გადმოსახლება), ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციის წალეკვა. X—XI საუკუნეში გამოსული სელჩუკები მოინელეს (ასე თუ ისე ძველ აღმოსავლურ კულტურას აზიარეს და ფეოდალურ ურთიერთობას შეუგუეს) ახლო აღმოსავლეთის კულტურულმა ხალხებმა (სპარსელებმა, არაბებმა, სომხებმა, სირიელებმა, ქართველებმა, ბიზანტიელებმა), თუმცა უფრო სწორედ რომ ითქვას, სელჩუკები ეზიარნენ ძველ სპარსულ კულტურას, მაგრამ ნაწილობრივ და ზედაპირულად, მათ სრულ ცივილიზებამდე ჯერ კიდევ შორს იყო და „ველურობის“ სექტორი სელჩუკებში ჯერ ისევ დიდი წონის მქონე იყო... (ბარბაროსული ფეოდალური ურთიერთობის საფეხურს ის ჯერ კიდევ ვერ გადაცილებულიყო...).

მაგრამ „ველურთა“ ამ წინამორბედებს (ავანგარდს) თან მოყვნენ მონღოლ-თათრები, თურქმან-ყიზილბაშები და ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაცია დაეცა, „გაველურდა“, კუნძულებივით ბოგინობდნენ ამ ველურთა ზღვაში ძველი ცივილიზაციის ნაშთები... მათ აღარ შესწევდათ ძალა ამ ველურეთის ცივილიზებისათვის და საუკუნეთა მანძილზე „აღმოსავლეთის ცა“ უძრავი რჩებოდა ბარბაროსული ფეოდალიზმის საფეხურზე...

და ჩვენ ვერ ვაფასებთ ჯეროვნად ამ ფაქტს („ფაქტორს“).

უნოყივრესი ტერიტორიების (სარწყავების) დაკარგვა, მოსახლეობის კატასტროფული შემცირება. აურაცხელი სიმდიდრის გაზიდვა, ვაჭრობის (ქალაქების) მოშლა, ინტენსიური მეურნეობის შესუსტება, ნასყიდის შემცირება, ბოგანოს გამრავლება, ქვეყნის პოლიტიკურად დაშლა, თავადების გახელმწიფება, საბაჟოების გამრავლება, ბაჟების სიმძიმე, გზების დაუცველობა — აი როცა ყველა ამას რეალურად წარმოვიდგენთ, მაშინ იმასაც წარმოვიდგენთ, თუ რა შეუსაბამო ურთიერთობა (ჩიხი) შეიქნა იმის შედეგად, რომ განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის მწვერვალზე მყოფი ქვეყანა ორასწლოვანი „საგარეო“ ბედუკულმართობის შედეგად (გადმოსახლება) ბარბაროსული ფეოდალიზმის საზღვარზე აღმოჩნდა $\left(\frac{4}{22}\text{ ფ. } 6-8\right)$.

საყურადღებო დასკვნების მიღებას შეგვაძლებინებდა XII—XIII ს-ის საქართველოს პოლიტიკური წყობილების დასახასიათებლად ურთიერთისათვის შედარება IX—X საუკუნეთა მთავრებისა — „სიძობის“ კონცეპცია, აფხაზთა მთავარი, საკურაპალატოს ხელმწიფენი (ხანძთელი, მატიანე ქ-ჲ, ცხოვრება და უწყება) და სხვა მთავარნი, კაცხელი, სამცხელი, ქსნელები, ტბელები... XI საუკუნის მთავრებისა (ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV, გიორგი II — დრო) და დავითის შემდეგი ხანის დიდებულებისა. უმთავრესი თვალსაჩინო განსხვავება ისაა, რომ დავითის შემდეგი ხანის დიდებულები ხელმწიფენი არ არიან და არც ცდილობენ დამოუკიდებლობის მოპოვებას. როგორც ჩანს, ასეთი რამ ეხლა გადასული დროის დამახასიათებელია და თანამედროვეობისათვის შეუფერებელი. ჩანს ქვეყნის გაერთიანება ისე გამტკიცდა, რომ დიდგვარიანები ნიადაგს ვეღარ პოულობენ იმისათვის, რომ ძველი, და აწ გადასული ტენდენციები აღადგინონ... უკიდურესი დაცემულობა-გასაჭირის ხანაშიაც კი ასეთ ტენდენციას აღარ ამჟღავნებენ აფხაზნი, ჭერ-კახი თუ მესხი თუ სომეხი დიდებულები. XIII საუკუნის ბოლოსაც კი ერთიანობას ნატრობენ და პრაქტიკულადაც ამისათვის საქმიანობენ (ბექა მთავარი, შაჰანშას შვილები...). მხოლოდ ამ საფუძველზე იყო შესაძლებელი რომ გიორგი ბრწყინვალემ საქართველოს მთლიანობა აღადგინა. და რამდენი დრო და ბრძოლა გახდა საჭირო და როგორი კატასტროფა, რომ საქართველო ვაშლილიყო, რომ სამთავროები ხელმწიფობის ტენდენციებით წარმოქმნილიყვნენ (თემური, თურქმანები, თურქები...), რომ სათავადოები წარმოქმნილიყვნენ, რომელთაც ეს „მეფეები“ და სხვა ხელმწიფენი დაეყრდნობოდნენ თავიანთ ბრძოლაში ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ.

ცქუთაისელ მეფეთა ბრძოლა არგვეთის დიდებულების წინააღმდეგ. (ანცხე-საათაბაგოს დიდებულთა ბრძოლა ჯაყელთა გამთავრების წინააღმდეგ). მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამა თუ იმ საგამგეო ერთეულნი (სამეფოს, სამთავროს) ფეოდალები გაუერთგულდნენ „თუსთა უფალთა“ (1490 წლის დარბაზი) შესაძლებელი გახდა ასეთი

დაშლა. ხოლო ეს ფეოდალები გაუერთგულდნენ თავსთა უფალთა ქვეყნის ეკონომიური დაცემის ნიადაგზე. მთავრები და თავადები მეფის საქონებელსა სწვდნენ. მთავარმა თავადებს უწყალობა მიტაცებული სამეფო საქონელი...

(ცალკე, მონოგრაფიულად უნდა დამუშავდეს და შრომის ერთი თავი იქნება) $\left(\frac{4}{21}\text{ ფ. } 96\right)$.

თავი VIII

დამატება

I. საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის შესახებ

(ახალი ხანის შემოსვლა)

ჩვეულებრივ საქართველოს ისტორია ორ ქრონოლოგიურ პერიოდად იყოფა ხოლმე. უძველესიდან XII საუკუნის გასვლამდის და XIII საუკუნიდან XVIII საუკუნის გასვლამდის. ეს დაყოფა ემყარება ქართველი ერის ცხოვრების პ ო ლ ი ტ ი კ უ რ მ ო მ ე ნ ტ ს: ამ კონცეპციით იგულისხმება, რომ ქართველი ერი XII ს. დასასრულამდის აღმავალი ხანით მიდიოდა. XII საუკუნიდან ის დაღმავალი ხაზით მიემართებოდა. იგულისხმება: ხანა XII საუკუნემდის იყო ამ საუკუნის შემზადების ხანა, XII საუკუნეში ქართველმა ერმა შეძლო გამოემეღავნებინა თავისი „სული", შემდეგ იწყება დაცემა. კატასტროფა კატასტროფას მოსდევს (უმთავრესად იგულისხმება გარეგანი კატასტროფები), სანამ უკანასკნელი კატასტროფის შედეგად (ტფილისის აღება აღა-მაჰმად ხანის მიერ) ის არ ჩაინთქა რუსეთის ზღვაში. გარდა იმისა, რომ ასეთი დაყოფა სრულიად თვითნებურია, გარდა იმისა, რომ ასეთი დაყოფა მარქსისტულად სრულიად მიუღებელია (პოლიტიკური მომენტი არ შეიძლება იყოს საზომი ან ნიშანი ერის ისტორიული ცხოვრების ეპოქებად დაყოფისას), ასეთი კონცეპცია მ ა ვ ნ ე ბ ე ლ ი და ამდენადვე ყოვლად მიუღებელია. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს კონცეპცია შემუშავდა ან კიდევ გაზიარებულ იყო აქამდის ყველა იმ წრის მიერ, რომელიც მოამაგე-მოჭირნახულად ევლინებოდა ქართველ ერს, მის აწმყოსა და მომავალზე ზრუნავდა. ამავე დროს ასეთ უსასოო, იმედგადაწყვეტილ ისტორიულ კონცეპციას კი იზიარებდა....

ასეთი კურიოზი ადვილად გასაგები ხდება თუ გავითვალისწინებთ როდის და ვის მიერ იწერებოდა ჩვენი ერის ისტორია. ვახუშტი ბატონიშვილი — რუსეთს გადახვეწილი მეფის შვილი, რა თქმა უნდა, მაშინდელი საქართველოს აწმყოს და მის მომავალში ვერ დაინახავდა საიმედოსა და სანუგეშოს რამეს. ბუნებრივია სრულიად, რომ მას შორეულ წარსულში ეჩვენება იდეალი...

XIX ს-ის ჩვენი ისტორიკოსებიც ასეთ ფსიქოლოგიურ ყოფაში იყვნენ. მეფის რუსეთის ხელქვეითმყოფ საქართველოში ძნელი იყო დანახვა იმ საიმედო საფუტკრეებისა, რომელთაც ადრე თუ გვიან უნდა ეხარათ და ახალი ქვეყნის შემოქმედებას შედგომოდნენ. ცხოვრების გარეპირზე ჩანდნენ გაკოტრებული და კარიკატურად ქცეული ყოფილი ფეოდალები მათი აზნაურებით (წვრილი უსახო ბურჟუაზია რაიმე ხვედრითი წონის მატარებელი არ იყო). ცხოვრების მიერ გარიყული ეს კლასი, ბუნებრივია, პესიმისტურად იყო განწყობილი აწმყოსა და მომავლის მიმართ და იდეალს ოხვრით იგონებდა, რომელიც მას XII ს-ში დარჩა, ეს პესიმიზმი იქამდის ძლიერი იყო, რომ ის გაზიარებული იყო იმ ელემენტების მიერაც, რომლებიც თითქოს ასეთები არ უნდა ყოფილიყვნენ (დ. სარაჯიშვილი). აი ასეთ წრეებიდან გამოსული ქართველი ინტელიგენტი, ბუნებრივია, საქართველოს ისტორიის მოცემულ კონცეპციას კრიტიკულად ვერ მიუდგებოდა და არა მარტო თავადაზნაურულ წრეებიდან გამოსულნი, არამედ სხვებიც, ამ კონცეპციას იზიარებდნენ: ერთობ სუსხიანი იყო თანამედროვეობა და რამდენადაც უკმაყოფილო იყვნენ აწმყოთი, იმდენად უფრო უმატებდნენ წარსულის იდეალიზაციას. მომავლის იდეალიზაცია რევოლუციონერს შეშვენის და ეხერხება. ჩვენი ისტორიკოსები კი რევოლუციონერები არ ყოფილან.

მაგრამ, დღეს, ახალი ცხოვრების პირობებში, ბუნებრივია, შესაფერისი ახალი კონცეპცია შემუშავდეს... დროა ეხლა მაინც უარყოფილ იქმნას ეს კონცეპცია და ისტორიას გადაეცეს. საჭიროა ახალი ობიექტურ საზომზე დამყარებული მტკიცე მეცნიერული შეხედულება, რომელზედაც უნდა აგებულ იქნას საქართველოს ცხოვრების გრძელი და რთული ამბები. ასეთია ისტორიის კვლევის მარქსისტული მეცნიერული მეთოდი და ამ მეთოდით ვფიქრობთ შეეცადოთ გავერკვეთ საქართველოს ისტორიის რთულ ხლართში.

საქართველოს ისტორიის ფორმაციებად შესწავლისას მივიღებთ ჩვენ ისეთ ქრონოლოგიურ განრიგებას, როგორც ძველად

ჰქონდათ თუ არა, ეს მომავალი შესწავლის საქმეა, მხოლოდ აპრიორულად ერთი შეგვიძლია ვთქვათ: არაფერ უიმედოს ჩვენ არ მივიღებთ, იდეალები წარსულში არ დაგვრჩება და თვალცრემლიანი მისი უიმედო რაინდები არ ვიქნებით, მივიღებთ საღ ობიექტურ ანალიზს, გარეშე ყოველგვარი იდეალიზაციისა... და რადგან ერი აღდგენა-გაფურჩქვნის პერიოდშია, რადგან მომავალი მას ნამდვილად წარსულში კი არა, მომავალში აქვს, ამიტომ ჩვენი ობიექტური ანალიზიც უეჭველად იმედიანი მომავლის გამომჟღავნების წინა სიტყვა იქნება...

განზრახული მუშაობა, მართალია მეტად საინტერესოა, მაგრამ, უნდა ითქვას, მეტად რთული და საპასუხისმგებლო. უეჭველია აქ არაერთ შეცდომას ექნება ჩემი მხრივ ადგილი, მაგრამ ვბედავ ასეთ მუშაობის ჩატარებას იმიტომ, რომ შეუმცდარი აქ ვერავინ იქნება და ეს სამუშაო კი აუცილებლად უნდა შესრულდეს. უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს ისტორიკოსის განსაკუთრებული მდგომარეობა: მართალია მასალების საკმაო რაოდენობაა დაგროვილ-გამოქვეყნებული, მაგრამ გაცილებით მეტი უცნობი და გამოუქვეყნებელია. დაგროვილია კი გარკვეული თვალსაზრისით და ასევეა გამოქვეყნებულიც (ზოგჯერ კი გამოქვეყნებულია ყოველგვარი თვალსაზრისის გარეშე). ჩვენი მიზნებისათვის კი საჭიროა ყველა ამ მასალის გადასინჯვა-გადაფასება, ხელახალი დალაგება-შესწავლა. ყველა ეს დიდ მუშაობას მოითხოვს და ჩვენს პირობებში ეს არც თუ ყოველთვის მოსახერხებელია.

—.—.—.—.—.

ჩვენი აწინდელი სასწავლო პროგრამის შედგენისას მე და ამხ. ჯანაშიამ XIII საუკუნიდან მაინც ახალი ხანა დავსახეთ საქართველოს ისტორიაში. გამართლდება ეს სავსებით თუ არა, ეს მომავალი კვლევის საკითხია, მაგრამ ჯერჯერობით — წარსული კონპეციის გავლენისაგან დამოუკიდებლად ჩვენ ასეთი ტეხილი მაინც გვეჩვენება ჩვენს ისტორიაში, რომ, მართალია არა ფორმაციის ცვლა, მაგრამ ერთი ფორმაციის (ფეოდალურის) სხვა სახეობა უეჭველად მიგვაჩნია. არც ქრონოლოგიური შეხვედრაა იდენტური ძველ კონცეპციასთან. ძველი კონცეპცია თამარის მეფობით ათავებდა და კატასტროფას მონღოლთ მოსვლას უკავშირებდა (პერიოდი 1211—1236 მას უპასუხოდ რჩებოდა).

სულ სხვაა ჩვენთან: კატასტროფებს ჩვენ მონღოლებში არ

ვხედავთ. ისტორიულ ტეხილს ჩვენ ვხედავთ 1178—1190 წლებში მიმდინარ ამბებში, რომელთაც ახალი ურთიერთობა დააკანონეს საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყოველ დარგში, რაც, რა თქმა უნდა, გამართლებული და გამოწვეული იყო ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების განვითარებით.

დასამტკიცებლად იმისა რომ XII ს-ის უკანასკნელი ათეული და XIII საუკუნის პირველი მეოთხედი, ე. ი. ძველი ტერმინოლოგიით თამარისა და გიორგი ლაშას ხანა მართლაც ახალი იყო წინა ხანასთან შედარებით, საჭიროა შევადაროთ ერთიმეორეს ორი ყველაზედ უფრო რელიეფური და წყაროებით საკმაოდ ცნობილი ეკონომიურ-პოლიტიკური წყობა საქართველოსი:

„დავით II და თამარის დრო".

აღვირახსნილი ფეოდალიზმი გიორგი მეორის დროს. კარის გადატრიალება ანტი ფეოდალური ელემენტების მიერ და დავით აღმაშენებლის გამეფება. დავითი თურქთ წინააღმდეგ. მეფის და ფეოდალების ინტერესთა კონტაქტი —ვიდრე თურქებს საქართველოში ებრძოდნენ. ამ ინტერესთა დაშორება როცა ბრძოლა საქართველოს ფარგლებს გასცილდა. ფეოდალური ჯარის უვარგისობა ასეთი ოპერაციებისთვის. ვაჭართა ინტერესები ეთანხმებიან საგარეო აგრესიას. დაქირავებული ჯარი. აბსოლუტიზმის იდეის ცხოვრებაში გატარების რეალური შესაძლებლობა. ამ იდეის წარმოშობილობა საქართველოში „აფხაზი მეფე" (მისი თანდათანი ზრდა ფრთაშესხმა სავაჭრო-კაპიტალის ზრდასთან დაკავშირებით) ფეოდალური ქართლის დიდი წინააღმდეგობა ამ იდეისადმი. ქართველნი აზნაურნი. ქართლის

დავითის წარმატებითი ბრძოლა ფეოდალიზაციის ტენდენციებთან მის სიკვდილთან ერთად დამთავრდა. დემეტრე უკვე ასე წარმატებით ვერ ებრძვის ამ ტენდენციებს (ორბელთ სამამულო მომაგრება სომხით-ლორეში) ეს ბრძოლა სასახლის. მეფის ოჯახში იჩენს თავს: დავით დემეტრეს ძე დიდგვარიანთა კანდიდატი. გიორგი დემეტრეს ძე ვაჭართა და ბიუროკრატიულ წრეთა კანდიდატი.

გიორგის გამარჯვება მისი მარჯვენა ხელი— ჭყონდიდელი იოანე მწიგნობართუხუცესი.

გიორგი III ცდილობს გაატაროს დავითის პოლიტიკა როგორც შიუნით, ისე გარეთ. სიძნელენი: დიდებულთ ურჩობა, საჯანყო განწყობილება საქართველოში (ომის დაწყების წინ ის იძულებულია იზრუნოს შინაურ

ერისთავი, ტაო-კლარჯეთის ბაგ-
რატიონის გამოყენება. დაბალი
კლასები მეფის მხარეს.

დავითის ეპოქა — ხანა ცენ-
ტრალიზებული ბიუროკრატიული
სახელმწიფოსი. მიწისმფლობელ-
ნი-მოსარგებლენი ყოველგვარ
სუვერენულ პოლიტიკურ უფლე-
ბებს მოკლებულნი. თავისუფალ
მიწისმოქმედთა ფართო ფენები.
(ბატონყმური ურთიერთობა ამ
დროს იყო „გლეხსა" და უფალს
შორის). „გლეხი"-ს ვინაობა. სა-
კარგავი მამულების სისტემა. მო-
ხელენი და არა მემამულენი. სა-
გარეო პოლიტიკა: ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი ს
შ ე მ ო ე რ თ ე ბ ა. ამ ქვეყნების
მართვა-გამგეობა მოხელეების სა-
შუალებით. (ანისში მესხნი აზნა-
ურნი, შირვანს ჰყონდიდელი).

სახელმწიფო ღონისძიებანი.
რ ე ფ ო რ მ ე ბ ი ეკლესიაში, სა-
მართალში, ვაჭრობაზე ზრუნვა.

გზები. ხიდები, ფუნდუკები.
ბრძოლა მეკობრეობა-საშიშროე-
ბასთან. პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ფ ე-
ო დ ა ლ ი ზ მ ი ს მ ო ს პ ო ბ ას-
თ ან ე რ თ ა დ ი ს ს პ ო ბ-
დ ა, უ ე ჰ ვ ე ლ ი ა. ა უ რ ა ც-
ხ ე ლ ს ა ბ ა ქ ო ებ ს. რ ა ც ა გ-
რ ე ს ა ს უ რ ვ ე ლ ი ი ყ ო
ვ ა ჭ ა რ ო ბ ა წ რ ე ებ ი ს ა-
თ ვ ი ს.

ჰ ყ ო ნ დ ი დ ე ლ ი — განსა-
ხიერება ბიუროკრატიული ცენტ-
რალიზმისა.

სიმშვიდეზე და აქ გულდაჯერე-
ბული იწყებს საგარეო ომს). ეკ-
ლესიაც ამრეზილია მის წინააღმ-
დეგ და ეს იმიტომ, რომ საკათა-
ლიკოსო მამულები შესავალნი
არიან ეხლა. უნდა ვიფიქროთ
შ ე უ ვ ა ლ ო ბ ა მელქისედეკ კა-
თალიკოსის მიერ მოპოვებული
XI ს-ში — მცხეთამ დავით აღ-
მაშენებლის დროს დ ა კ ა რ გ ა.
ასე რომ ეკლესია (მისი უმაღლე-
სი სამღვდელოების სახით) მე-
ფის ბიუროკრატიულ პოლიტიკის
წინააღმდეგ განეწყო...

დიდებულთა ბლოკი 1178
წელს ორბელთა (დემნა) მეთაუ-
რობით.

გიორგის გამარჯვება დიდებუ-
ლებზე (ფიზიკური). დათმობა ეკ-
ლესიას... აღმოჩნდა, რომ არა
მარტო გუარიანი დიდებულები
იყვნენ მეფის პოლიტიკის წინა-
აღმდეგნი, არამედ Homc novus-
ებიც კი, თვით მეფეთა მიერ გა-
დიდებულები ფეოდალურ გუნე-
ბაზე იყვნენ... ორბელთ ბანაკის
თავდაპირველი შემადგენლობა
აშკარად ამტკიცებს, რომ ბიუ-
როკრატიზმის საქმე წაგებული
იყო. დღეს თუ არა ხვალ ფეო-
დალური ტენდენციები საბოლო-
ოდ გაიმარჯვებდნენ: ეს კი იმას
ნიშნავდა, რომ ბატონყმობას გა-
საქანი მიეცემოდა, ნოყიერი ნია-
დაგი შეუმზადდებოდა. ეს ნიშ-
ნავდა უდიდესი მამულების (სა-
ხელმწიფო მიწების) ამ მოხელეთა

ხელში საშვილიშვილოდ გადასვლას და, მაშ, ბატონყმობის ინსტიტუტის საყოველთაოდ გაბატონებას. თუ აქამდის ბატონყმური ურთიერთობა (იმ თავითვე გლეხთა და ბატონებს შორის არსებული) ერთობ ნელა ითრევდა თავისუფალ მიწისმოქმედთ (მეფის ინტერესები ვითარცა უდიდესი მემამულის და ვითარცა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მესაჭისა უპირისპირდებიან ამ პუნქტში მემამულე დიდგვარიანის ინტერესებს) ვინაიდან არსებობდა ძალა (მეფისა) ამის საწინააღმდეგო, რომელიც თუ ნაკლების წარმატებით ებრძოდა ასეთ ტენდენციებს, ამიერიდან ასეთი მოწინააღმდეგე აღარ ჩანდა. პირიქით, დიდგვარიანთ გამარჯვება ამ ტენდენციების გამარჯვება იყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ საამისო ნიადაგი უკვე შემზადებულია და რომ საწინააღმდეგო მიმართულებას ეკონომიკაში და ამდენადვე პოლიტიკაშიც არ აღმოაჩნდა ძალა გამკლავებოდა მას. მოკლედ, ეს ნიშნავდა ფეოდალიზმის გამარჯვებას. უეჭველია ქვეყნის შიგნით არ აღმოჩნდა საკმაოდ ძლიერი კლასი ფეოდალიზაციის მოწინააღმდეგე, რომელზედ დაყრდნობით მეფეს შეეძლო გაემარჯვა (შეადარე ინგლისი). და მართლაც, ვის უნდა დაყრდნობოდა მეფის ხელისუფლება? Homo novus-ები ფეოდალურ ტენდენციებს იჩენდნენ (რამდენადაც ისინი სახარაჯო, თუ სამამულო ქონების პატრონნი ხდებოდნენ), ეკლესია წინააღმდეგი იყო და ისიც ფეოდალურად განწყობილი, ძველი დიდგვარიანნი, აბა რა თქმა უნდა, დიდვაჭარნი იგივე დიდი მემამულენი იყვნენ და ფეოდალური ტენდენციის მატარებელნი (ყუთლუ არსლანის დასი). რჩებოდა წვრილი აზნაურობა და თავისუფალი მიწის მოქმედნი (ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომი კლასი — გლეხობა, დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენდა). ქონებრივად შეეიწროებული ორივე ეს საზოგადოებრივი წრე პოლიტიკურადაც თანდათან ხელში უვარდებოდა წარმოების საშუალებათა მქონებელ წრეებს. მათი რიცხვი თანდათან კლებულობდა ან იმატებდა იმის მიხედვით, თუ ქვეყნის განვითარების ტენდენციები როგორი იყო: ფეოდალიზაციის ტენდენციების გაძლიერებისას მათი რიცხვი იკლებდა და პირუკუ... ყოველ შემთხვევაში XII ს-ის დასასრულს მათი ძალა იმდენად საგრძნობი აღარ ყოფილა, რომ მეფის ხელისუფლება მათ დაყრდნობოდა საზოგადოების სხვა წრეებთან ბრძოლის დროს (შეადარე ინგლისი). დავით აღმაშენებელი დაეყრდნო ამ წრეებს პლიუს ვაჭარი კლასი.

სავაჭრო კაპიტალის მიერ მიწებით დაინტერესება უდავო ფაქტია (ორტაღები). ეს უმთავრესად აიხსნება მიწის მეურნეობის იმ ინტენსივობით, რომელიც აგრე ძვირფასად ხდიდა მიწას და რომელზედაც დაყრდნობილი იყო უმთავრესად ქვეყნის ეკონომიური დალხინება. ამ გარემოებას კი თავის მხრით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სავაჭრო კაპიტალის პოზიციების გამორკვევაში მეფეფეოდალების ბრძოლის პირობებში. სავაჭრო კაპიტალი, მამულებში მოთავსებული, მემამულის ფსიქოლოგიას უქმნიდა დიდ ვაჭრებს... ვაჭართა კლასის (როგორც დიდვაჭარნი, ისე მცირენი), ინტერესები მოითხოვდნენ მეფის ხელისუფლების მხარის დაჭერას. მაგრამ მას შემდეგ, როცა ქვეყანა გაერთიანდა, საბაჟოები მოისპო, მშვიდობიანობა დამყარდა, ვაჭრები მემამულენი გახდნენ, სავაჭრო კაპიტალი მიწაში (მამულებში) მ ო თ ა ვ ს დ ა, ამ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მ ე ტ ი მ ო ს ა გ ებ ი თ დ ა ი ნ ტ ე რ ე ს ებ უ ლ ი დ ი დ ვ ა ჭ ა რ ნ ი მ ე ფ ი ს უ ფ ლ ებ ი ს შ ე კ ვ ე ცა ს მ ო ი თ ხ ო ვ ე ნ. მოითხოვენ, რომ საგადასახადო, ს ა ხ ა რ კ ო და ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო საქმეები კარავში მსხდომთა კომპეტენციაში შესულიყო, „откуп"-ებიც მათ ერგებოდათ, ხოლო ამათი გადაწყვეტილების შესრულება უნდა თავს ედვა მეფეს....

ამრიგად დავითის მოკავშირე დიდვაჭარნი გიორგისა და თამარის დროს საწინააღმდეგო პოზიციას იჭერენ და მეფის პოზიციას ფეოდალებთან ბრძოლაში საბედისწეროდ ასუსტებენ.

თუ გიორგი III წინააღმდეგ შეთქმულებაში უკვე ჩანს, რომ ქვეყნის ეკონომიკა ხელს უწყობს მეფის პოლიტიკის საწინააღმდეგო მიმართულების ზრდას (დიდს და ძველ „სახლებს" ახალი სახლებიც ემატებიან) და რომ მიუხედავად გამარჯვებისა ბოლოს და ბოლოს დამარცხება აუცილებელია, თუ ქვეყნის ეკონომიური განვითარების გზები არ შეიცვალა (და საამისო კი მთელს აღმოსავლეთში მაშინ არა ჩანდა რა) — თამარის დროს ასეთი საფრთხე რეალობად იქცა და ფ ე ო დ ა ლ უ რ ი ა რ ი ს ტ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი მ ო ნ ა რ ქ ი ა დამყარდა.

მართალია მთლად ისე არ მოხდა რეფორმები, როგორც ყუთლუს დასი მოითხოვდა, მაგრამ რომ ფეოდალების მოთხოვნილებანი უმთავრესში მაინც დაკმაყოფილებულ იქმნა, ეს ცხადია იმ წესწყობილებიდან, რომელიც ამ ბრძოლათა შედეგად დამყარდა:

1. მეფემ გასწირა ყ უ ბ ა ს ა რ ი და ა ფ რ ი დ ო ნ ი. ყუბასარი ნაყივჩაყარი იყო, აფრიდონი აზნაურის ნაყმევი. ყუბასარის დამ-

ხობიდან ჩანს, რომ დაქირავებული ჯარის სისტემას ამ დროსთვის მნიშვნელობა მოკლებია, რომ მთავარი ძალა ადგილობრივი ელემენტისაგან იკრიბებოდა, რომ მონასპა ანუ მეფის გვარდია უკვე გაქართველებული ოვს-ყივჩაყნი უნდა ყოფილიყვნენ და გაქართველებულ-აკლიმატიზებულნი არა მარტო ფიზიკურად, არამედ პოლიტიკურ-ეკონომიურადაც. მხოლოდ ასეთ პირობებშია დასაშვები მისი ასე გაწირვა მეფის მიერ. და უნდა ვიფიქროთ, სწორედ იმიტომაც გაიმარჯვეს დიდგვარიანთა, რომ მეფის ხელისუფლებას აღარ გააჩნდა სხვა დასაყრდენი გარდა თვით ამ დიდგვარიანთა. ნაკლებ შეთქმულებებს არც დავითის დროს ჰქონდა ადგილი, მაგრამ ვერას გახდნენ... ეხლაც, რა თქმა უნდა, მ ე ფ ე რ ო მ დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ჯ ა რ ი ს ს ი ს ტ ე მ ა ს დ ა მ ყ ა რ ე ბ ო დ ა (და ეს კი მოითხოვდა მის კონტაქტს სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლებთან) ყუბასარს დიდგვარიანნი ვერ გადააგდებდენ, მაგრამ უბედურებაც ის იყო, რომ სისტემა (დაქირავებული ჯარისა) თუ სულ მომსპარი არა, მეტად შემცირებული უნდა ყოფილიყო. ამის მიზეზი იყო: საქართველოს მოსახლეობა ერთობ სქელი იყო და ახალი ელემენტის მიღებას ვერ ითმენდა (მეფეს აღარ გააჩნდა ცარიელი მიწები მათ დასასახლებლად), ნ ა ღ დ ფ უ ლ ზ ე დაქირავება მთლიანად მაშინ (და ისიც მუდმივად) ა რ ა ვ ი ს შ ე ე ძ ლ ო — საამისო განვითარებული მეურნეობა არ იყო. ვაჭრები (დიდვაჭრები) ახლა უკვე მემამულეების წრეში გადაბარგებულნი დაქირავებული ჯარისაგან რაიმე სარგებლიანობას თავისათვის ვერ ხედავდენ და ამიტომ ნივთიერად მხარის დასაჭერად არ იყვნენ განწყობილნი... ყველა ამის გამო დაქირავებული ჯარის სისტემა თანდათან უნდა შემცირებულიყო, უმნიშვნელო შექმნილიყო და ბოლოს სულ უნდა გამქრალიყო. ამდენადვე დიდებულებს მეტი მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდათ... ასეთ პირობებში ყუბასარის ბედი, რა თქმა უნდა, გადაწყვეტილი იყო...

2. ა ფ რ ი დ ო ნ ი ს განწირვა წვრილი აზნაურების მნიშვნელობის შემცირებას ნიშნავს და მართლაც მას შემდეგ, რაც მეფემ დაქირავებული ჯარის სისტემა უარყო (და ეს უარყო იმიტომ, რომ სავაჭრო კაპიტალს ეს აღარ აინტერესებდა), მან ამით უარყო დიდგვარიანთაგან დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება. ესე იგი უარყო დიდგვარიანებთან კონფლიქტი. და დიდგვარიანებთან კონტაქტის პირობებში კი მათივე „ყ ო ბ ი ს“ წ ვ რ ი ლ ა ზ ნ ა ურ თ ა ე კ ო ნ ო მ ი ურ ი დ ა პ ო ლ ი ტ ი კ ურ ი ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი ს დ ა ც ვ ა

ყოველად შეუძლებელი იყო. აფრიდონიც ამიტომ განწირული იყო. ამიერიდან წვრილაზნაურთა (და თავისუფალ მიწისმოქმედთა) ინტერესები მსხვერპლად შეეწირა დიდგვარიანთა ინტერესებს.

3. ეკლესიის შეუვალობის აღდგენა. უეჭველია ეკლესიაც დიდი მოწინააღმდეგე უნდა ყოფილიყო დაქირავებული ჯარის სისტემისა. ამაში ის თავისი საგადასახადო შეუვალობის დარღვევის მთავარ მიზეზს ხედავდა. ამ შეუვალობის მინიჭებით დამოუკიდებელი პოლიტიკის კეთების მთავარი საძირკველი (ეკონომიური ბაზისი) საგრძნობლად ირყეოდა და უაღრესად ფეოდალური საქმე კეთდებოდა, ამიტომაც ასე გულმხურვალედ უჭერდნენ მხარს ეკლესიას ამ საკითხში დიდგვარიანნი.

თამარის დროსაო: „გააზნაურდეს ქვეყნის მოქმედნი, გადიდებულდეს აზნაურნი და გახელმწიფდეს დიდებულნიო“. ეს ციტატა უეჭველად პოლიტიკურად უნდა იქმნას გაგებული. ამას მოწმობს გაკელმწიფდეს დიდებულნიო.

თუ ეს ასეა ქვეყნის მოქმედთა გააზნაურება მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისინი მეფის ხელის მიწვდომისაგან გათავისუფლდენ... ხოლო შექმნილ პირობებში ეს ნიშნავდა იმას, რომ ამიერიდან ისინი უფრო სწრაფად ჩაუცვივიან ხელთ დიდგვარიან მემამულეებს, რომელთა ხელში გადავიდა კარგა ხანია ქვეყნის საწარმოო საშუალებანი.

ამიერიდან დიდგვარიანი მოხელე გარდაიქმნება რა მემამულე ფეოდალად, სრულიად ადვილად და ბუნებრივად გარდააქცევს „გაზნაურებულს“ (resp. მეფის ხელისუფლების მიწვდომისაგან დაზღვეულ) ქვეყნის მოქმედს მიწაზედ მიმაგრებულ ყმად, ე. ი. გაათანასწორებს გლეხთან (ჯერ ეკონომიურად. შემდეგ კი უფლებრივადაც).

ხელისუფალთა დანიშვნის ახალი წესი, (ერთნებაობა-თანადგომა), ათაბაგი (ჭყონდიდლის დამცრობა), დარბაზი, ვაზირები (უწინ ერთი იყო) ყველა ამის შესაფერი საგარეო პოლიტიკა.

აქამდის ერთადერთ ვაზირს ჭყონდიდელს გარდა სასულიერო ხელისა, არავითარი მამული არ ეძლეოდა. სწო-

რედ ამიტომაც იყო, რომ დავითმა ეს ვაზირობა ჭყონდიდელს (ბერს) მისცა. ეს იყო ბიუროკრატიზმის სიმბოლო (შეადარე ნიზამ-ულ მულკის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ (Бартольд, «Новый Восток»). ათაბაგი პირველყოვლისა დიდი მამულის (საკარგავი მა-მულის) მქონე მოხელე იყო. „ათაბაგის სახლი“ დიდი ცილობის საგანი შეიქმნა XIII ს-ში $\left(\frac{6}{5}\text{ ფ. } 4-28\right)$.

II. ვეფხისტყაოსანი როგორც საისტორიო წყარო

რუსთაველის ენის ხალხურობა ერთი იმ ნიშანთაგანია, ბატონყმობის ხანის შემოსვლას რომ მოწმობდა (ეს ნიშანი, დამახასიათებელია, უკვე XI საუკუნეში შესამჩნევი ხდება. აკ. შანიძე...). ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი ხალხის კულტურულ, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ცხოვრებაში ძლიერად შემოიჭრა ახალი ელემენტი... საწარმოო ძალთა განვითარება, შრომის საზოგადოებრივი დაყოფის გაღრმავება, ქალაქების გამრავლება და ამის გავლენა საზოგადოების ცხოვრებაზე, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის გაძლიერება, „აღმოსავლური" კულტურის ზიარება (ეს იყო სწორედ „გადატრიალების" მ ო წ მ ო ბ ა. ეს იყო ქრისტიანულ-კლერიკალური კულტურის ბატონობის მარცხი, ეს იყო ახლის გამარჯვება). ბუნებრივია ამ გადატრიალებას თავისი ენა სჭიროდა და მოჰქონდა კიდევაც თავისი ენა. ეს ენა იყო ენა საერო, ენა რაინდებისა, ენა მოსაკარგავე მსახურეულ აზნაურთა, ფართო მასების ენა, არა გლეხური ენა და არც ძველი ეკლესიური და უკვე ძნელად გასაგები ენა, არამედ ენა აღმავალი საზოგადოებრივი ფენებისა...

„ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს კ უ ლ ტ უ რ ა" მხოლოდ ქართულ ფეოდალურ ზნეობათა კოდექსი როდია. ვეფხისტყაოსნის კულტურა არანაკლებ გულისხმობს თვით ე ნ ა ს, ამ ქმნილებაში რომ არის მოცემული... „ქართველი" ფეოდალი მოვალე იყო სცოდნოდა არა მარტო საზოგადოებისათვის სავალდებულო ზნეობანი, ის მოვალე იყო სცოდნოდა ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს ე ნ ა. ფეოდალს შეეძლო არ სცოდნოდა ამა თუ იმ საღმრთო წერილის ენა (მაგალითად, ბერძნული ენა ლაზიკაში) და მაინც სრულფასოვანი ქრისტიანი ყოფილიყო (მეორეულეს „ქართლი"), მაგრამ ფეოდალს იმისათვის, რომ მას ქართულ კულტურულ ფეოდალურ საზოგადოებაში ფეხი სდგმოდა და მის ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა მიეღო, აუცილებლად სჭირდებოდა ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს ე ნ ა ს ც ო დ ნ ო დ ა...

ვეფხისტყაოსნის კულტურა, ამდენად. ქართული ეროვნული მოვლენაა, მაშინ როცა სახარება საერთაშორისო მოვლენაა[1] $\left(\frac{4}{23}\text{ ფ. } 56\right)$.

ვეფხისტყაოსანი რომ თარგმანი ყოფილიყო ანუ ქართველ საზოგადოებას რომ ვეფხისტყაოსანი უცხოურად ან უცხოური პროზაული თარგმანის გალექსვად და არა ორიგინალურ ქართულ ნაწარმოებად წარმოედგინა, ქართულ ეკლესიას რა უნდა ჰქონოდა მისი საწინააღმდეგო?

რატომ არ ამხედრდა ეკლესია ვისრამიანის წინააღმდეგ? განა ეს უკანასკნელი ნაკლებად „წარმართული"-მაჰმადიანურია, ვიდრე ვეფხისტყაოსანი?.. და განა მარტო ვისრამიანი?...

ამხედრდა იმიტომ, რომ ქართულმა ფეოდალურმა საზოგადოებამ ვეფხისტყაოსანი საკუთარი ცხოვრების სარკედ იცნო და თავის ცხოვრების სახელმძღვანელოდ გაიხადა: ამხედრდა ეკლესია იმიტომ, რომ ვეფხისტყაოსანმა მას გავლენისაგან გამოსტაცა ფეოდალური საზოგადოება, ხოლო ეს მან იმით შეძლო, რომ ის იყო ორიგინალური ქართული ნაწარმოები, ქართული ცხოვრების გამომსახველი იდეალი, ფეოდალური საზოგადოების „სახარება" უფრო, ვიდრე ქრისტიანული ოთხთავი...

ასეთ ვითარებაში რა ფასი ჰქონდა დეკლარაციას „ჰამბავი სპარსულის ქართულად ნათარგმანების" შესახებ?...

ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას ერთი სწამდა და ერთს ჰხედავდა: რომ ვეფხისტყაოსანი ეს ქართველთა ცხოვრებაა, მისი იდეალური გამოხატულებაა... $\left(\frac{4}{23}\text{ ფ. } 40\right)$.

1. სოციალური ტერმინები ვეფხისტყაოსანში

„მონა", „ყმა", „გაზრდილი", „ხასი".

შ ო თ ა, 812[2].

ავთანდილი წავიდა:

„რა ილოცა, ცხენსა შეჯდა მალვით კარნი გაიარა.
შერმადინიც დაიბრუნა. საბრალომან ცრემლნი ღვარა!

---

[1] აქ თარიღად უზის 1960 წ. 23 მარტი.

[2] აქ და ყველგან ნ. ბერძენიშვილი სარგებლობს ვეფხისტყაოსნისა თბილისის სახ. უნივერსიტეტის 1938 წლის გამოცემით. მითითებულია სტროფის ნომერი.

მონა ტირს და მკერდსა იცემს სისხლმან მისმან ცლდენი ღარნა;
პატრონისა ვერა მპვრეტმან ყმამან რამცა გაიხარნა".

მონა შერმანდინისა და ავთანდილის ურთიერთობას შოთა. ყოველ ეპვს გარეშეა, პატრონისა და ყმის ურთიერთობას უწოდებს. ამისდამიუხედავად, შოთა აქვე გახაზავს, რომ შერმადინი მონაა, დამახასიათებელია, რომ შოთა მონა შერმადინისა და ავთანდილის ურთიერთსიყვარულს პატრონყმობის (პატრონისა და ყმის) ურთიერთსიყვარულით აღნიშნავს, ე. ი. სიყვარული იყო პატრონსა და ყმას შორის და არა უფალსა და მონას შორის. ასეთი გამოთქმა უფალ-მონის სიყვარული — ჩანს არ შემუშავებულა და სიყვარული მათ შორის იმდენად ჩნდებოდა, რამდენადაც მონა ყმას ემსგავსებოდა (რჩეული მონა, მხნე მონა, მონასპა), ხოლო უფალი პატრონს. 817—819.

როსტევანის სასახლეში მონები.

სოგრატი როსტევანისაგან გამოვიდა და ავთანდილს ეძებდა:

„მართ გაპარვასა უთხრობდეს მონანი ცრემლთა მდინარენ"

შეეჭვებულმან როსტევან
„უში ქმნა და აიხედნა, უბრძანებდა მონას: „მოდი.
მოვიდეს ან ან მიამბოს. შემოვიდეს იგი ფლიდი";
(ე. ი. სოგრატი).
827—828.

ავთანდილის გაპარვის გამო როსტევანმა დიდი გლოვა შექმნა. ყველა თავპირს იგლეჯდა...

„მოვიდა მონა შერმადინ, მოშიშრად. სირცხვილიანად:
ანდერძი ჰკადრა, ატირდა, სიცოცხლე უჩნდა ზიანად,
მოახსენა: „საწოლს ვპოვე ესე მისგან დანაწერი;
დგეს მონანი ნატირებნი, დაეგლიჯ თმა და წვერი
იგი მარტო გაპარულა, ყმა არ ახლავს, არცა ბერი
მე თუ მომკლავთ მემართლებით, სიცოცხლე მჭირს შეუფერი!".

ავთანდილის მონებია საწოლნის მსახურნი.

983.

ავთანდილი ფრიდონის ქვეყანაში მოვიდა. ფრიდონი ნადირობდა, ის გორაზე იდგა და „ორმოცი კაცი" ახლდა „ღირსნი მისთანა სროლისა". ლაშქარი კი ყოლბით ნადირს მორეკავდა. ავთანდილმა ორბი მოკლა. ყოლბი მოიშალა და ავთანდილს შემოეხვია...

„ფრიდონ მონა გამოგზავნა: „წა ნახეო ისი სპანი,
რა ქმნეს, ალჯა რად მოშალეს, სად წადიან ვითა ბრძანი?“
მონა ფიცხლად მოეგება, ნახა სარო, მორჩი ტანი,
დადგა, თვალნი გაურეტდეს, დაავიწყდეს სიტყვის თქმანი“.

ავთანდილი მიხვდა რომ ის მონა ფრიდონისაგანაა და უთხრა: „წა ჰკადრე შენსა პატრონსა ეს ჩემი დაევედრებული“... (984).

„მონა წავიდა ფრიდონის თხრობად ამბისა მისისად“ მივიდა და ფრიდონს მოახსენა ავთანდილის ქება: ავთანდილი და ფრიდონ შეიყარნენ, ფრიდონ შეეცქეროდა ავთანდილის მოხდენილობას და ხედავდა რომ „მას ჰმეტობდა, რათა ქება მონისაგან „მ ო ე ს მ ი ნ ა“ (987).

ფრიდონ მეფე „პ ა ტ რ ო ნ ი ა“ თავისი „მ ო ნ ი ს ა“, სპანი და ლ ა შ ქ ა რ ნ ი ი დ ე ნ ტ უ რ ი ც ნ ე ბ ა ა, არა ჩანს რომ ეს ფ რ ი დ ო ნ ი ს მონა იმ ორმოც კაცთაგან იყოს, მეფესთან რომ გორაზე იდგნენ „ღირსნი მისთანა სროლასა“. უფრო საფიქრებელია, რომ ეს მონა და შეიძლება სხვა მონებიც მეფეს მსახურებენ ნადირობისას, ისევე როგორც, მაგალითად, როსტევანს: იარაღს მიაწოდებენ და სხვა. ან ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის ორმოცი კაცი სულ მონებია, ოღონდ „უ მ ხ ნ ე ს ი ს ხ ვ ა თ ა მ ხ ნ ე თ ა ს ა“? 994.

ავთანდილი მოუყვა ფრიდონს, თუ როგორ ნახეს პირველად ტარიელი. როგორ აწვიეს და არ მოვიდა. როგორ იწყინა როსტევანმა და

„მეფემან ს პ ა ნ ი შ ე პ ყ რ ო ბ ა დ შ ე ე ზ ა ხ ნ ა და წ ყ რ ე ბ ო ვ
ვან უპირველად დახოცნა, ომი არ მოსპირდებოდა?
ზოგთა მჯარ-თვძო დაპლეწა და ზოგთა სული ჰხდებოდა“;

ეს სპანი რომ სწორედ იგივე „მ ო ნ ე ბ ი“ იყვნენ, როსტევანმა რომ ტარიელის შესაპყრობად გაგზავნა... მაინც და მაინც ამ სპანიში ის მონებიც იგულისხმება (როსტევანმა ჯერ თორმეტი მონა გაგზავნა, ხოლო შემდეგ ლაშქარნი შეუზახნა... მაგრამ ხომ შეიძლება რომ ეს ლაშქარნიც „მონები“ იყვნენ??).
1010.

ავთანდილი ფრიდონთან ერთად ნადირობიდან ქალაქს (მულღაზანზარს) მივიდა.

„ქალაქს შევიდეს, მუნ დახვდა სრა მოკაზმული სრულითა,
სახელმწიფოთა ყოვლითა გასაგებლითა სრულითა;

ნონანი ტურფად მოსილნი წესითა იყვნეს
რულითა.
შეჰფრფინვიდიან ავთანდილს გულითა სულ-წასულითა".
1011.

„შევიდეს და დიდი შექმნეს ჯალაბობა, არ ხალვათი.
იქით-აქათ დიდებულნი წარიკვებით ათჯერ ათი".

სასახლის მონები: „შინაური დარბაზის ერი"??
1018—1019.

ავთანდილი ფრიდონს ეთხოვება. ის ნესტანის საძებრად მიდის. ფრიდონი ეუბნება:

„ეგეა გაადრებ არ ეგების მარტოსაგან წასვლა შენი;

თანა ყმათა წამოგატან, იმსახურენ, იახლენი".....

და ფრიდონმა

„მოასხნა ოთხნი მონანი მოსანდობელნი გულითა" და ავთანდილიც გზას გაუდგა: ავთანდილი მარტო ზღვის პირსა „მივა ოთხითა მონითა" (1027). აქაც ყმა იდენტური ცნებაა მონისა. განსხვავება ის შეიძლება იყოს, რომ ყოველი ყმა არ არის მონა და არც ყოველი მონა არ არის ყმა. მაგალითად ავთანდილი არის ყმა, მაგრამ არ არის მონა: ასევე მონა ზანგი არის მონა, მაგრამ არ აა ყმა. განა ნესტანი ფატმანის მონა ვერძნეულს ყმას არ უწოდებს? შერმადინი კი არის მონა და იგივე არის ყმა, ისევე როგორც როსტევანის თუ ფრიდონის მონები „უმხნესი სხვათა მხნეთასა" ან „რჩეულნი" ან „მისანდობელნი გულითა". მაშასადამე, იმის მიხედვით თუ რა სამსახურს ასრულებს მონა. ის შეიძლება იყოს ანარ იყოს ყმა.

შეიძლებელია თითქო ასეთია: არიან შინაური მონები, რომელნიც სხვადასხვა საშინაო საქმეს ასრულებენ. ასეთი არიან კაცებიც. ქალებიც. მეორეს მხრით არიან მონები, რომელთაც სამხედრო-საჟანდარმო სამცველო საქმე ეკისრებათ და, ბოლოს, არიან „მონები" — მეფის ლაშქარი. მონათაგან ზოგნი ფრიად დაწინაურებული არიან, პატრონის თუ უფალის „გაზრდილები" არიან, მისი მისანდონი არიან. მონები ყმებადაც იწოდებიან. ასე რომ მონა სრულიად გარკვეული სოციალური კატეგორიაა, მაგრამ ფეოდალურ ქვეყანაში იგი პატრონ-ყმური იერითაა შეფერილი: თავისი სამსახურის მიხედვით მონათა ერთი ნაწილი ყმის მოვალეობას, სამხედრო თუ არა სამხედრო-ადმინისტრაციულ სამსახურს ას-

რულებს და ამდენად ყმა არის. ასე რომ მონა სამსახურით მსახურს უახლოვდება, ყმას უახლოვდება (ყმა ხომ სამხედრო სამსახურის მოვალე თავისუფალი კაცია!).

1029.

ფრიდონმა ავთანდილს „ჩვენა ის ადგილი, სადაც „მათ ზ ა ნ გ თ ა მ ო ნ ა თ ა მზე მოიყვანეს ნავითა“.

1045.

ავთანდილმა მეკობრეები დახოცა.

„გაუმარჯვა ომი მათი, ვითა სწადდა მისა გულსა
ზოგთა ჰკადრეს ზენაარი: „ნუ დაგვხოცო, შენსა სჯულსა!“.
არ დახოცნა, დ ა ი მ ო ნ ნ ა დარჩომოდა რაცა წყლულსა.
მართლად იტყვის მოციქული: — „შიში შეიქმს სიყვარულსა“.

1074.

ავთანდილი გულანშაროს მოვიდა როგორც დიდი ქარავნის პატრონი ვაჭარი. ვაჭართუხუცესის უსენის ბაღში მივიდა ქარავანი. უსენი სახლში არ იყო. მას ცვლის მისი ცოლი ფატმან ხათუნი, მებაღემ შეატყობინა ქარავნის მოსვლა.

„ფატმან ხათუნს გაიხარნეს. გააგება მონა ათი,
მოუკაზმნა ქარვასრანი, დააყენა ბარგი მათი“.

ეს ათი მ ო ნ ა ვ ა ჭ ა რ თ უ ხ უ ც ე ს ი ს ა ა, მათი მოვალეობაა შ ე მ ო ს უ ლ ი ქ ა რ ა ვ ნ ი ს მ ო მ ს ა ხ უ რ ე ო ბ ა: ქარვასრის მოკაზმვა, ბარგის დაყენება...

1097.

ავთანდილი ფატმანის მიწვევით მასთან წავიდა. მაგრამ „ს ხ ვ ა ე მ თ ხ ვ ი ა მ ო ნ ა გ ზ ა ს ა“ და ფატმანის დანაბარები შეატყობინა: „ამას ღამე ნუ მოხვალო“... მ ო ნ ა წ ე რ ი ლ ი ს თ უ ა მ ბ ი ს მ ი მ ტ ა ნ ი.

1099.

ავთანდილი და ფატმანი პაემანზე:

„ერთგან დასხდეს და დაიწყეს კოცნა, ლაღობა ნყლიანი;
შემოდგა კარსა ყმა ვინმე კეკლუცი, ტან-ნაკვთიანი,
შემოვლო ახლოს, შემოჰყვა, მ ო ნ ა ხ მ ა ლ-დ ა რ ა კ ი ა ნ ი“...

ეს უკვე მ ო ნ ა-მ ც ვ ე ლ ი ა.

1111.

ავთანდილი ჭაშნაგირის მოსაკლავად მიდის.

მას მისცა მონა დიაცმან წინამძღვრად წაცამყვანელად.

1113.

და მონა წაუძღვა ავთანდილს „მუნ მიჰყავს პირმზე ავთანდილ მას, მისსა წინამძღომელსა“.

ეს კი მონა წინამძღომელია.

ეს მონა მოწმე იყო ავთანდილის მიერ ჭაშნაგირის მოკვლისა, ავთანდილი ეუბნება ფატმანს:

„...მოვკალ, მან ყმამან დღე ვეღარ ნახოს მზიანი,
თვით მონა შენი მოწმად მყავს“... (1118).

1133—1134.

ფატმანი მოუთხრობს ავთანდილს თუ როგორ დაინახა ერთხელ, რომ ორთა კაცთა ტანად შავთა, რომელთაც „თვით პირიცა ედგა შავი“ კიდობნით ქალი მოიყვანეს. და მეო: „მოვიხმენ ოთხნი მონანი, ჩემსა წინაშე მდგომელნი“ და ვუბრძანეო იმ ქალის ან სყიდვა, ან იმ კაცთა დახოცვა და ქალის წამოყვანა. და განაგრძობს: „ჩემნი ყმანი ზედადაღმა ჩაეპარნეს ვითაფრენით“ ის შავები დახოცეს და ქალი წამოვიყვანეთო.

ასე რომ ეს წინაშემდგომელი მონები იგივე ყმებია.

ის გარემოება, რომ მონას შესაძლებელი გახდა ყმა სწოდებოდა, როგორც ეს სრულიად უეჭველად მოწმდება შოთა რუსთაველთან, იმის შედეგია, და იმ ვარაუდის დამადასტურებელია, რომ მონის საქმე იმ თავში იყო სამსახური, რომ მონა იგივე მსახური იყო ან მსახურის ნაცვალსხვაობა, რომ მონა და მსახური ამ მომენტში ერთი მეორეს ხვდებოდნენ... (სტროფი 1133—1134) და ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებისას მსახური, სამხედრო ვალდებული, დაწინაურდა, შვილი და ყმა გახდა (ასე რომ XIII ს-ში მისი სისხლი ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე გლეხისა). მონასაც ამავე სამსახურის საფუძველზე ყმა ეწოდა, თუმცა „მონება“ და „მონა“ ყმობისა და ყმისაგან განსხვავებული, მაინც შერჩა. (არჩილმა რომ ტაძრეულები (მსახურები) გაანთავისუფლა, კახეთი უბოძა).

ამავე დროს სამსახური და უპირატესად სამხედრო სამსახური (ლაშქრობა) ფეოდალური საზოგადოების მესამე ფენა-

საც ამ ყმათა კატეგორიაში აერთიანებდა. ყველა ესენი სამსახურის მოვალენი არიან, ყველანი ამდენად ყ მ ე ბ ი არიან (ცალკე საკითხია; თუ რატომ და როგორ ეწოდა სამსახურის სუბიექტს ყმა, ყმა შვილი. იმიტომ ხომ არა, რომ ყველა ესენი სახლის შ ი ნ ა ნ ი იყვნენ?...).

ეხლა რაკი სამსახურის (სალაშქრო სამსახურის) საფუძველზე ამ კატეგორიაში თავისუფალი მდაბიორებიც შემოვიდნენ, მათ ადვილად ეწოდათ ყ მ ა, როგორც სამსახურის მოვალეობის ამსრულებელი ფენის სახელი და რაკი ეს მიწის მოქმედები ამ ფენაში მოყვნენ და მათ ყმა ეწოდათ, სრულიად ბუნებრივად მათ ეს თავისი სახელი (ყ მ ა) იმ მიწის მოქმედთაც (გ ლ ე ხ ე ბ ს) გაუზიარეს, რომელთაც მოლაშქრეობა არ ევალებოდათ, მაგრამ ფაქტიური მდგომარეობით ამ ყმებისაგან არ განსხვავდებოდნენ...

1144.

ფატმანმა ნესტანი თავისთან დამალა. ერთი ზანგი ვ ა მ ს ა ხ ურ ე, მე შევიდი, ვნახე მალვით".

ეს ზანგი მონაა. როგორც ჩანს, ტერმინი ზ ა ნ გ ი მონის შესატყვისობით იხმარებოდა (ზანგ მონათა გავრცელებულობის გამო).

1171.

ფატმანი მოუთხრობს ავთანდილს თუ როგორ გასცა უსენმა მისი საიდუმლო — ნესტანი.

„მე აქა ჩემსა ამოდ ვჯე, მუნამდის არ მიკვნესია
შემოდგა კარსა მეფისა მ ო ნ ა თ ა უ ხ უ ც ე ს ი ა,
თანა ჰყვა მ ო ნ ა ს ა მ ო ც ი, ვით ხელმწიფეთა წესია,
მოვიდეს; დია გაეკვირდი"...

1178.

„მათ მ ო ნ ა თ ა ხელთა მივეც იგი პირი მზისა დარი".

შესანიშნავია ეს ტერმინი — მ ო ნ ა თ ა უ ხ უ ც ე ს ი. ის იმერეთის მეფის კარზე ჩანს სადღაც და ამდენად რეალური ქართული ინსტიტუტია...

ის უეჭველია გვიანი დროის ქართლის ყ უ ლ ა რ ა ღ ა ს ი ს შესატყვისია.

1179.

ნესტანი წაიყვანეს. ქალაქში გავლისას —

„ზედა მოაწყდა მჭვრეტელნი, გახდა ზათქი და ზარები
ვერ იჭირვებდეს სარანგნი, მუნ იყო არ სიწყნარები..."

ეს სტროფები 1171, 1178, 1179 საინტერესოა იმით, რომ აქ ნონის ახალი მხარე ჩანს: მეფეს ჰყავს „მონები“ (სარანგნი?), ამ მონებს ჰყავს უხუცესი, რომელსაც მეფის მონათა უხუცესი ეწოდება. სამწუხაროდ, მთლად ნათელი არაა თუ რას მიემართება „ვ ი თ ხ ე ლ მ წ ი ფ ე თ ა წ ე ს ი ა“, იმას რომ სამოცი მონა თავისი უხუცესით ჰყავს ხელმწიფეს, თუ იმას, რომ სამოცი მონით და სათავეში მონათუხუცესით ქალაქს გასვლა არის ხელმწიფეთა წესი?

აქაო და ნესტანი ხელმწიფური წესით წაიყვანესო...

1198.

ხადუმებმა ნესტანი გამოაპარეს...

„რა ხ ა დ უ მ თ ა ა უ ს რ უ ლ ე ს ს ა ქ მ ე მ ი ს ი საწადელი.
ერთმან ტანსა აიხადა, მისცა მისი ჩასაცმელი, სხვანი კარნი გამონახეს“...

1199.

ნესტანი, ამრიგად გააპარეს და „მონანიცა გ ა რ დ ი ხ ვ ე წ ნ ე ს, გ ა ი პ ა რ ნ ე ს მ ა ს ვ ე თ ა ნ ა“.

1240.

ქაჯთა მეფემ ნესტანი ციხეში მოათავსა.

„ციხეს დაუსვამს, ხ ა დ უ მ ი, ე რ თ ა ი უ ა ხ ლ ე ბ ი ა“...

თითქო ხ ა დ უ მ ი ქალია, მოახლე ქალი, მონა, მაგრამ „მცველად კარისად“ უფრო მამაკაცებს შეეფერება (საჭურისებს?)... არ თუ მაინც და მაინც ერთგულებია ეს ხადუმები—მონები. თუ საშუალებას იპოვნიან, გადაიკარგებიან. ან კი რა აკავებთ?... ისინი ხომ იგულისხმება, უთვისტომონი არიან...

ხადუმი მონაა, მაგრამ გარკვეული სახეობის მონა (საჭურისი).

1189.

მელიქ სურხავმა ნესტანი ცალკე უფლისწულის საწოლში დასვა „უ ბ რ ძ ა ნ ა ც ხ რ ა თ ა ხ ა დ უ მ თ ა დ ა დ გ ო მ ა მ ც ვ ე ლ ა დ კ ა რ ი ს ა დ“.

1192.

ნესტანმა:

„ხადუმნი უხმნა, უბრძანა: ისმინეთ მოდით ცნობასა!
მოღორებულხართ, დამცდარხათ თქვენ ჩემსა პატრონობასა,
დამცდარა თქვენი პატრონი ჩემსა თუ ლამის სძლობასა“.

ნესტანმა ხადუმებს ქრთამი შეაძლია...

1196.

მ ო ნ ა თ ა მ ი ჰ ხ ე დ ა სიხარბე მის საკურკლისა ძვირისა,
დაკვიწყდა შიში მეფისა, ვითა ერთისა გზირისა,
გამოპარება დაასკვნეს მის უებროსა პირისა“...

480.

ტარიელი ასწერს ნესტანს...

„მას მზესა ტანსა ემოსნეს ნარინჯის-ფერნი ჯუბანი,
ზურგით უთქს ჯარი ხ ა დ უ მ თ ა დას-დასად, უბან-უბანი“.

1217.

ფატმანი უამბობს ავთანდილს ერთ საღამოს ეხედავ ხ ა ნ ა გ-
შ ი:

„მოვიდა სითმე ღ ა რ ი ბ ი, მ ო ნ ა მ ო ყ ვ ს ი თ ა სამითა,
მონა, მ ო ნ ურ ა დ მ ო ს ი ლ ი, სხვანი მგზავრულად ხამითა“.

იყიდეს ქალაქში საჭმელი და მიუსხდნენ. თავისთავისი ამბავი ერთმანეთს მოუთხრეს.

მაშასადამე მ ო ნ ა ი მ ო ს ე ბ ა მ ო ნ ურ ა დ. ეს ცნობა საყურადღებოა, აქ ნაგულისხმევი მონა, როგორც შემდეგი მოთხრობიდან ჩანს, ისეთივე მონასპის კაცია, როგორც როსტევანის თუ სხვათა. ისე გამოდის, რომ ამ მონებს მ ო ნ ურ ი ს ა მ ო ს ე ლ ი ახასიათებთ. თავთავისი სამოსელი ახასიათებს ამ დროს ვ ა ჭ ა რ ს — ამ სამოსელს ვ ა ჭ რ უ ლ ი ეწოდება (1257). ასევე საკუთარი სამოსელი აქვთ ჭ ა ბ უ კ ე ბ ს, ამას კიდევ ს ა ჭ ა ბ უ კ ო ეწოდება...

შეიძლება ვიფიქროთ, რომ მონასპას სამოსელიც „მონური“ აქვს. ალბათ ამით იყო, რომ თამარის ისტორიკოსი გიორგი მეფის სასახლის კედლებზე დახატულ სპებს არჩევდა მონასპებისაგან...

1219, 1220.

ხანაგაში საუბრისას თანამგზავრებს:

„მ ო ნ ა მ ა ნ უთხრა: „ჰე, ძმანო, განგება რამე ზესია:
ჩემი ამბავი ამბავთ თქვენთაგან უკეთესია“...
„მე ვარო მ ო ნ ა მ ე ფ ი ს ა მაღლისა, ქ ა ჯ თ ა მფლობლისა“.

ჩვენი მეფე გარდაიცვალაო. შვილები მცირენი დარჩნენ და მეფის და დულარდუხტ ზრდის მათო.

ეს მონა, როგორც მისი შემდეგი მონათხრობიდან ჩანს, მეფის ლაშქარშია, ასე რომ, თუ მას მონურად აცვია, ეს იმას ნიშნავს, რომ იმ მონასპასაც მონურად აცვია. უეჭველია საუბარი შეეხება სამოსელს მშვიდობიან პირობებში, და არა საომარ-საჭურველს, სადაც მეტნაკლებად ერთნაირი უნდა ყოფილიყო ეს საჭურველი...

გამოთქმა: „მე ვარო მონა მეფისა მაღლისა ქაჯთა მფლობლისა“ მოწმობს, რომ ეს ლაშქარი — ბევრათასიანი, რომელსაც როშაქ თავადობს, არის მონასპა.

თითოეულ ამ მოლაშქრეს ეწოდება მონა მეფისა, ხოლო ყველას ერთად მონასპა.

1222.

დულარდუხტ ქაჯთა მეფეს და გარდაეცვალა „ზღვათ იქით“: ვაზირები სწუხან, თუ როგორ შეუცხადონ მეფეს... ერთი ამ ვაზირთაგანია როშაქ.

„როშაქ მონაა თავადი მონისა ბევრათასისა“. სრულიად უეჭველია, რომ ბევრი ათასი მონა ეს მონასპა არის, ხოლო როშაქ მონა ამ სპის უფროსია, თავადია. ისიც უეჭველია, რომ ეს ბევრათასი მონა მეფის კარის ლაშქარია და არა ქვეყნით მოწვეული საპატრონყმო ლაშქარი. ეს მონასპა მუდმივი ჯარია მეფის კარზე, მეფისა და მისი კარის მცველია, მეფეს ახლავს გზაში, მეფეს ახლავს ნადირობაში, თუ ომში.

1224.

როშაქის ხელისანი არიან მონები, როშაქ მონებით უნდა წაყვეს მეფეს, როცა ის დის დასატირებლად წავა. მანამდის კი ის სამეკობროდ მიდის.

„გვითხრა მისთა ხელისათა: „წავალ, თანა წამომყევით!“
წაგვიტანა მონა ასი, ყველაკაი მისგან რჩევით.
დღისით მზისით ვმეკობრობდით, ღამეთაცა ვიყენით თევით.
ღია ვლეწეთ ქარავანი ლარი ჩვენსკენ გარდმოვდევით:“

შიგა და შიგ ეს მონასპა მეკობრეობს, ქარავანს ლეწავს... უეჭველია როშაქი უცხო ქვეყანას, უცხო ქარავნებს ძარცვავს ან შეიძლება, ქაჯთა სამეფო ეს მეკობრეების სამფლობელოა (ალამუტის მსგავსი...) და არა რომელიმე გულანშარო, არაბეთი, ინდოეთი თუ ნულლაზანზარი. ესენი „მშვიდობიანი“ ფეოდალური ქვეყნებია...

როშაქმა და მისმა თანამეკობრეებმა („მონებმა“). ველში ნესტანი ნახეს. ნესტანმა მათთვის თვალის ასახვევად უთხრა:

„გ უ ლ ა ნ შ ა რ ო თ მ ო ც ი ქ უ ლ ი ქ ა ჯ ე თ ს მივალ მ ე რ ი დ ე ნ ი თ“ (1227).

მეკობრეები გარს შემოადგნენ ნესტანს და იხილეს:

„არ მ ო ნ ა ი ყ ო, ტყუოდა, ჩვენ ესე შევიგენითა“ (1229).

ცხადია, მ ო ც ი ქ უ ლ ო ბ ა, როგორც წესი, „მონას“ ეკალება და ეს მოციქულობა არა მარტო ორ პირს შორის, არამედ ორ სახელმწიფოს შორის. რა თქმა უნდა ამ „მონაში“ იგულისხმება ნდობით და ცოდნით აღჭურვილი პირი და არა უბრალო მეწიგნე...

1235.

როშაქმა და მისმა მეკობრეებმა (მონებმა) იმეკობრეს, ერთი ამ მონათაგანი სთხოვს უფროსს:

„მე როშაქს ეჰკადრე „გამიშვი კვლა ადრე თქვენი მხლებელი:
აწ გულანშაროს ქალაქსა ვარ საქმის რასმე მდებელი“.
მან გამომიშვა, აქ სადმე ლარი მიც წასაღებელი,
თანა წავიტან წაცავალ მე მათი ზედა-მსწრებელი“.

ესაა როშაქის ერთი რჩეული მონათაგანი. მას სხვა ქვეყანაში, გულანშაროს, სავაჭრო ქალაქში რაღაც საქმე აქვს. ჩანს ასეთი საქმე მონებისათვის უჩვეულო არაა. თურმე ამ მონას გულანშაროში ლარი (ძვირფასი განძეულობა, აბრეშუმეული, განძეული, ძვირფასი ქსოვილი) ჰქონია, რომელიც მას სურს წაიღოს ქაჯეთს, ერთი სიტყვით, ამ მონას საქმიანი ურთიერთობა აქვს გულანშაროში. შეიძლება ნამეკობრევი ჰქონდა აქ დადებული გასაცვლელად. გასასყიდად?? მოკლედ ეს მონა თავისებურ „მეურნეობას“ ეწევა...

ეს მონა თავისი სურვილით უნებართვოდ ვერ წავა სადმე. მან ამისი ნება უნდა ჰკადროს „თავადს“ (როშაქს).

როშაქ მონაა, თ ა ვ ა დ ი მ ო ნ ი ს ა ბ ე ვრ-ათასისა (1222).

ავთანდილი კი იყო „სპასპეტი მაღლისა მეფისა როსტევანისა. თავადი ს პ ი ს ა დ ი დ ი ს ა მათისა შესაგვანისა“ (1262) ან კიდევ, „ავთანდილ პირმზე სპასპეტი ლ ა შ ქ რ ი ს ა ბ ე ვ რ ა თ ა ს ი ს ა“.

1236, 1237, 1238, 1268.

როშაქის ის მონა, მ ო ნ უ რ ა დ მ ო ს ი ლ ი. გულანშაროს რომ ლარი უდევს, ფატმანმა თავისთან იხმო და ნესტანის შემოხვეულობა გაამეორებინა.

და ფატმანი განაგრძობს:

მე ორნი შავნი მონანი მყვანან სავსენი გრძნობითა.
უჩინოდ წაელენ — წამოელენ მათითა ხელოვნებითა
მოვახსენ, ქაჯეთს გავგზავნენ...

ესენია „მონა გრძნეული, შავი მართ ვითა ყორანი".
1278.

გრძნეული მონა ქაჯეთს მივიდა.

„ციხისა კარნი დახშულნი შევლნა მართ ვითა ღიანი,
შევიდა ზანგი პირ-შავი, თმა-გრძელი ტან-ნაბდიანი;

და უთხრა ნესტანს:

„მე ვარ მონა ფატმანისა, თქვენს წინაშე ნამგზავრები;
ამა წიგნმან გამამართლოს..." (1279).

მან იგი წიგნი მონამან მისცა თავისა ხელითა (1280), ნესტანმა მონას ამბავი გამოჰკითხა, მონის მონათხრობი ეჭეშმარიტა და უთხრა:

მემართლების, უმაო, შენი ნაუბარი... (1284).

ამრიგად ეს ზანგი პირშავი, ფატმანის მონა აგრეთვე „უმაა", მაგრამ ესაა ნესტანის მხრით ამ მონის განდიდება მადლობის გრძნობით გამოწვეული.

1314.

ავთანდილმა ნესტანის ამბავი შეიტყო. ტარიელისაკენ გაეშურა...

„ყმამან ფრიდონის მონანი უხმნა მასთანა ხლებულნი"...

1315.

და უთხრა:

„მიდით და ფრიდონს უამბეთ ამბავი არ ნაცქაფავი
თქვენ მოგცე ლარი ყველაი მე, ჩემი ნაალაფავი".

1316.

და ავთანდილი მადლობით ეუბნება ამ მონებს:

„ჩემსა ზედა დიდი არის ვალი, თქვენგან დანადები...
ან წაიღეთ ყველაკაი, მეკობრეთა წანაღები
ამის მეტსა ვერას მოგცემ"...

1317.

„სახლი არ მახლავს, არ ძალ მაქვს გაცემა საბოძვარისა.
მისცა მათ სავსე ხომალდი, რიცხვი ტურფათა ღარისა".

რა თქმა უნდა, ეს „მონები“ რომ ნამდვილი მონები ყოფილიყვნენ, ავთანდილი ასეთ ბოდიშს არ დაიწყებდა. ესენი იყვნენ ფრიდონის მონასპის რჩეული, მხნე მხედრები... ამ მონების „მეურნეობაც“ ჩანს: ნ ა ა ლ ა ფ ე ვ ი, ნ ა რ ბ ე ვ ი და სხვა.

1323.

ავთანდილმა ფრიდონს წიგნი მისწერა. ნესტანის პოენა შეატყობინა და არ დაივიწყა ფრიდონის მონების შექება.

„ამა მ ო ნ ა თ ა ჩ ე მ ზ ე დ ა გარდაუხდელი გული.
ამოდ მ მ ს ა ხ ურ ე ს ს, თქვენიმცა გული ამათთვის სრულია,
ქება რად უნდა მას, ვინცა თ ქ ვ ე ნ თ ა ნ ა ხანდაზმულია?
მ ს გ ა ვ ს ი ყ ვ ე ლ ი მ ს გ ა ვ ს ს ა შ ო ბ ს, ესე ბრძენთაგან
თქმულია“.

ფრიდონმა უნდა იცოდეს მისი მონების მოქმედების შესახებ. ავთანდილი უდასტურებს მათ სანაქებობას და ამას მარტივად ხსნის: ის მონები თქვენთან ხანდაზმული არიანო, და თქვენი სიკარგე მათაც გადასდებიაო. ყოველად შეუძლებელია, რა თქმა უნდა, მეფის მონებთან მსგავსებაზე ჩამოეგდო სიტყვა ავთანდილს ანუ ეს სიბრძნე ეთქვა აქ, თუ ეს მონები ის მხნე მხედრები, ყმები, მოლაშქრენი არ ყოფილიყვნენ და უბირი მონები ყოფილიყვნენ...

1326.

ავთანდილი გულანშაროდან მიდის

„ფატმან, უსენ და მ ო ნ ა ნ ი ტირან ცრემლითა ცხელითა“.

ესენი ფატმან-უსენის მონებია, მათი სახლის მსახურები.

1462.

ტარიელ, ნესტან, ავთანდილ, ფრიდონ, ფრიდონის სასახლეში მივიდნენ მულლაზანზარს.

„გარდახდეს ფრიდონისასა სრა ნახეს მოსაწონები,
გამოეგება მრავალი ოქროს სარტყლითა მონები.

ესენია სასახლის მონები. აი ისინი: „მონები ტ უ რ ფ ა დ მ ო ს ი ლ ნ ი წ ე ს ი თ ა ი ყ ვ ნ ე ს რ უ ლ ი თ ა“ (1010).

ეს უნდა იყვნენ „შინაური დარბაზის ერი“.... განა ესენიც მონურად მოსილნი იყვნენ???

1476.

ავთანდილსა და ტარიელს ლაპარაკი აქვთ იმაზე, რომ ტარიელს სურს ავთანდილს წაყვეს არაბეთს და ძმური სამსახური გაუწიოს: როსტევანს შეარიგოს და თინათინზე აქორწინოს.

ავთანდილი შეუთვლის ტარიელს ფრიდონის პირით:

„ვარ მუცლითგანვე დედისა თქვენდა სამონოდ შობილი“. ავთანდილი აქ ცნება მონას მისი თავდაპირველი მნიშვნელობით ხმარობს. და ასეთი შინაარსისაგან ეს ცნება სავსებით არასოდეს არ დაცლილა.

1481.

ტარიელი შეუთვლის ავთანდილს

„მე შენისა გაზრდილისა უნახავად არ დავდგები.
ვეჰვ, მრავალი დამეხოცოს მონა მისგან საყვარლები.
ვითხოვ ხოლე შენ ჯობასა, ეგეთიღა მოვბრუნდები“.

მაშ ის მონები როსტევანის საყვარლები ყოფილან. გარდა ამისა ტარიელი ამ საყვარლებ მონებში როსტევანის იმ ლაშქართაც გულისხმობს, მეფემ რომ შეუზახნა მას. ასე რომ როსტევანს ნადირობისას თან ახლავს მხოლოდ მონები, მონასპა, ისევე როგორც ფრიდონსაც... ის თორმეტი მონა ამ ლაშქრიდან გამორჩეული არიან. „სხვათა უმხნესი მხნეთასა“, ისევე როგორც როშაქის „რჩეული“ ასი მონა...

ისე გამოდის: მეფეს თან ახლავს ლაშქარი. ეს ლაშქარი შეიძლება მხოლოდ მონათაგან შედგებოდეს. ეს იქნება მონასპა. მაგრამ ლაშქარი შეიძლება აგრეთვე წვევით იყოს, ე. ი. ქვეყნის ლაშქარი იყოს, ფეოდალური ჯარი. მათთან არიან ჭაბუკები, მოყმები, დიდებულები... ასეთი წვევა ომის შემთხვევებშია ხოლმე, აი როგორც ომი ხატაეთთან. თუ არა სანიადაგო ლაშქარი, ნადირობა-რბევისათვის მეფეს მონასპა ახლავს...

ამავე დროს მეფეს ახლავს მოყმე ჭაბუკნი, მისი გაზრდილები, მისანდონი, და დიდებულები...

1485.

ავთანდილი ეუბნება ტარიელს:

„ვით მოიხმაროს მონამან პატრონსა ზედა ხმალია“. აქ ავთანდილი მონაში თავის თავს გულისხმობს. ამრიგად „მონა“ აქ ფართო ცნებაა, მასში ისეთი ყმაც კი იგულისხმება, როგორიც ავთანდილია როსტევანის მიმართ.

და ეს იმიტომ, რომ „ასრე ხამს რიდი მეფეთა ყმათაგან მოკრძალულობა“ (1483).

მონა აქ გარკვეული აქცენტით არის ნახმარი — მორჩილების აქცენტით და ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ყმა და

მ ო ნ ა ამ დროს იდენტური ცნებებია. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ეს ცნებები გარკვეულ მომენტში ერთი მეორეს ხვდებიან. ტარიელიც კი ყმა იყო ფარსადანის, ისიც მ ო რ ჩ ი ლ ი იყო, მაგრამ არა მ ო ნ უ რ ა დ მორჩილი არამედ ყ მ უ რ ა დ, პირობითად... ის აჯანყების უფლებასაც კი იტოვებდა... და ასე იყო ყველა ყმა: მას უფლებაც ჰქონდა და მოვალეობაც, მაშინ როცა მონას, ივულისხმება, მხოლოდ მოვალეობა აქვს...

1505.

ტარიელი მოაგონებს როსტევანს იმ პირველ შეხვედრას

„მაშინ თქვენ ჩემი გეწყინა ნახვა მიწისა შენისა,
ცდა შეპყრობისა ავი ჰქმენ, შემოტევება ცხენისა;
მე შ ე ნ თ ა ს პ ა ნ თ ა ვაჩვენე ნიშანი რამე წყენისა
დავხოცე მონა მ რ ა ვ ა ლ ი, მსახური სრისა თქვენისა“.

როსტევანის ის მონები, ნადირობაში რომ ახლდნენ მას, ყოფილან „მ ს ა ხ უ რ ი ს რ ი ს ა“, ე. ი. დ ა რ ბ ა ზ ი ს ე რ ი ე ს ს პ ა ნ ი თუ სულ არა, ნაწილით მაინც იგივე „მ ო ნ ე ბ ი ა“.

1527.

ტარიელი სთხოვს როსტევანს, რომ მეფემ თავისი ქალი თინათინი ავთანდილს შერთოს. როსტევანი თანხმობას აცხადებს და ტარიელს ეუბნება:

„თუ შეგერთო ერთი მ ო ნ ა თქვენთვის არცა მაშინ მშურდა“... ე. ი. თქვენ რომ თინათინისათვის ერთი ვინმე „მონა“ შემოგეძლია, მაშინაც კი არ დავიშურებდიო.

ეს ტერმინი „მ ო ნ ა“ აქ როსტევანს მისი პირდაპირი მნიშვნელობით აქვს ნახმარი და არა ყმის ანუ ვასალის მნიშვნელობით, როგორც ეს სოსელიას თეორიით არის სავარაუდებელი: ამ თ ე ო რ ი ა ს აქ ა ბ ს ო ლ უ რ ა დ ა მ დ ე მ ი ვ ყ ა ვ ა ო ო. თუ „მონა“ შოთასთან იგივე ყმაა, იგივე ვასალია, ავთანდილი ხომ ყმაა როსტევანის და რაღა გამოდის? როსტევანი ეუბნება ტარიელს: თუ შეგერთო ერთი ყმა (ვასალი) თქვენთვის არც მაშინ მშურდა...

ასე რომ სხვა გამოსავალი არაა: როსტევანის პირში ტერმინი მონა ამ შემთხვევაში არის ს ო ც ი ა ლ უ რ ა დ უ დ ა ბ ლ ე ს ს ა ფ ე ხ უ რ ზ ე მ დ გ ო მ ი პ ი რ ი.

ა მ რ ი გ ა დ. აქ ჩ ვ ე ნ გ ვ ა ქ ვ ს მ ო ნ ა გ ა მ ი შ ვ ლ ე ბ უ ლ ი შ ი ნ ა ა რ ს ი თ, ს ა დ ა ც „ყ მ ა“—ვასალი, გ ა მ ო რ ი ცხ უ ლ ი ა.

1530.

აქვე ავთანდილი როსტევანის ყ მ ა დ იწოდება:

მეფე ადგა, გაეგება; ყმა გარდახდა, რა მიეიდა...

1527.

ტარიელი შუამდგომლობს, რომ როსტევანმა ნება დართოს ავთანდილისა და თინათინის ცოლქმრობაზე, რომელთაც ერთი მეორე უყვართ...

როსტევანი უპასუხებს, რომ ის თანახმაა და ერთავეს:

„თუ შ ე გ ე რ თ ო ერთი მ ო ნ ა, თქვენთვის არცა მაშინ მშურდა". ე. ი. შენ ტარიელს, იმოდენა პატივსა გცემ, რომ ჩემი თინათინისათვის რომ მონა ვინმე გამოგერჩია, მე ამასაც დავიჯერებდიო.

აქ მ ო ნ ა სოციალურად უდაბლესი პირის შინაარსით არის ნახმარი და არა ვთქვათ, მონასპის ან ყმის შინაარსით. მაგრამ როსტევანი ხომ შ ე რ მ ა დ ი ნ ს, ისევე როგორც თავის მხნე მეომრებს, მ ო ნ ე ბ ს უწოდებს და ასეთებად იწოდებიან ისინი. ასე რომ შეუძლებელია როსტევანს და საერთოდ ამ დროის საზოგადოებას ამ ერთ ცნებაში „მონა" ორი ერთი მეორის გამომრიცხავი შინაარსი ჰქონოდათ ნაგულისხმევი. შერმადინი და ყველა სხვა გარკვეული მხრით მონები იყვნენ, თუნდაც ფაქტიურად ათაბაგები ყოფილიყვნენ...

1649—1650.

ტარიელი ასმათს ინდოეთის ე რ თ ს ა მ ე ფ ო ს აძლევს.

„ზედა დაგსვამ, შენი იყოს, გვმსახურებდი ტკბილი ტკბილსა.
„ვინცა გწადდეს ქმრად შეირთე, სამეფოსა ეპატრონე;
„ჩენიდაღმა გვმსახურებდი, თ ა ვ ი შ ე ნ ი დ ა გ ვ ა მ ო ნ ე!"
ასმათ ფერკნი გარდუკოცნა; „შენგან არის ჩემი ღონე.
მ ო ნ ო ბ ი ს ა უ კ ე თ ე ს ი რ ა მ ც ვიშოვნე. რამც ვიქონე".

და არც ფიქრობს გაეყაროს თავის გ ა ზ რ დ ი ლ ს (ე. ნესტანს) მაგრამ ბოლოს თანხმდება...

„მოიყვანეს კარგი მოყმე, გონიერი, არ ხელია:
ასმათ მისცეს, მიუძღვნების, დაუპირა სახელია,
იგი კაცი გაადიდეს, აქეს მეფობის ს ა ხ ე ლ ი ა".

1523.

ტარიელმა როსტევანის წინაშე მორჩილების ნიშნად „ამოიღო ხ ე ლ-მ ა ნ დ ი ლ ი. მ ო ნ ა ს კ ვ ა ზ ე დ ა ნ ყ ე ლ ს ა, ადგა, მუხლნი მიუყარნა, იაჯების ვ ი თ ა მ ზ რ დ ე ლ ს ა".

სრული მორჩილების სიმბოლური ნიშანი. მ ო ნ ო ბ ი ს ნ ი-
შ ა ნ ი აქვს (257) „ს ა ბ ე ლ ი ყ ე ლ ი ს ა“.

აქვე (422) „მით გვაბია ყელსა წნელი“.

803—806.

ავთანდილის ანდერძიდან: (როსტევანს)

„მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები,
მიეც გლახაკთა ს ა პ ე რ ნ ლ ე, ა თ ა ვ ი ს ე ფ ლ ე მონები.
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არასმქონები“...

806.

„გვედრებ, მეფეო, შ ე რ მ ა დ ი ნ ს, მონასა ჩემსა რჩეულსა,
ნაკად აქვს ჯირი სამისოდ ამ წელიწადსა წლეულსა, —
ნუგეშინის-ეც წყალობით ჩემგან წყალობა ჩ ვ ე უ ლ ს ა“.

ეს ორი მაგალითი განსაკუთრებით საყურადღებოა. უეჭველია, რომ § 803-ში იგულისხმებიან ის მ ო ნ ე ბ ი, რომელთა გათავისუფლება მადლად ჩაეთვლება ავთანდილის სულს. აქ ამრიგად აშკარად ხაზგასმულია ის ნიშანი, რომელიც მონას ახასიათებს სხვებისაგან განსხვავებით. მონა შეიძლება გლახაკიც იყოს და ქონებრივად შეძლებულიც, მაგრამ ორივე შემთხვევაში მას აკლია ის, რაც მთავარია — თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა. ამ მონაში არ შეიძლება იგულისხმებოდეს სხვა სოციალური წრე თუ არა მონა, მაგალითად მდაბიორი ან გლეხი (თუ უკანასკნელი მონებიდან არაა, ე. ი. თუ მონის ნიშნებს არ ატარებს); მდაბიორის და გლეხის გათავისუფლება არც შეიძლებოდა: ისინი ნახევრად თავისუფალნი იყვნენ. გ ა თ ა ვ ი-ს უ ფ ლ ე ბ ა შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ა მ ხ ო ლ ო დ მ ო ნ ი ს, რომელიც სოფლად გლეხად, ნახევარ თავისუფალ კაცად იქცეოდა, ხოლო ქალაქში გლახაკად ან თუ მოახერხებდა ხელოსნად...

აქვე მესამე ტაეპში (806) იგივე ავთანდილ შერმანდინს უწოდებს „მ ო ნ ა ს რ ჩ ე უ ლ ს“. სრულიად დაუშვებელია, რომ ავთანდილი ამ ცნებას მ ო ნ ა იმავე შინაარსით არ ხმარობდეს, რაც ამის ტაეპში („ათავისუფლე მონები“). განსხვავება აქ მხოლოდ იმაშია, რომ შერმადინი მონა რ ჩ ე უ ლ ი ა, ავთანდილის გაზრდილია (787) და ავთანდილის „წ ყ ა ლ ო ბ ა ჩ ვ ე უ ლ ი ა“. ასე რომ ფაქტიურად ის ყმის მდგომარეობაშია და კიდევ მეტი: ავთანდილი და შერმადინ არიან „უმოყვარესი ყოველთა პატრონყმათასა“, ავთანდილი თავს ყმად გრძნობს (თუ ყველა იმ შემთხვევაში პატრონში მ ე ფ ე არ იგულისხმება, ხოლო ყმაში ქ ვ ე შ ე ვ რ დ ო მ ი, მაშინ ხომ საამისოდ გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი ტ ე რ მ ი ნ ე ბ ი, ისე

როგორც ყმაში ვასალიც იგულისხმებოდა და ქვეშევრდომიც...).

787.

ავთანდილი მიიპარება. შერმადინს ეუბნება:

„აწ ანდერძსა ჩემსა მოგცემ, როსტანს წინა დაწერილსა",
შენ შეგეედრებ, დაგიჭიროს, ვითა გმართებს ჩემსა ზრდილსა;
მოკვდე თავსა ნუ მოიკლავ, სატანისგან ნუ იქმ ქმნილსა,
ამას ზედა იტირებდი, დაიდებდი თვალთა მილსა".

785.

ავთანდილი შერმადინს თავის მაგივრად სტოვებს.

„რა მოგშორდე, მახსენებდი, სიყვარული ჩემი გქონდეს;
არ ვეშიშვი მტერთა ჩემთა, თავი მონად მომიმონდეს".

შენ რომ დაგტოვებ იმის შიში არა მაქვს, რომ ჩემ საქმეს მტრის ხელისად გახდიო.

774.

ავთანდილი გაპარვას აპირებს, შერმადინს გაუმხელს და თავის მაგივრად საპატრონოზე სტოვებს.

779.

„აწ ანდერძსა ჩემსა მოგცემ, როსტანს წინა დაწერილსა;
სიკეთე და უკლებლობა შენი ერთობ გააცხადე;
სახლი ჩემი შეინახე, სპათა ჩემთა ეთავადე
სამსახური აქანამდის, კელა გაელენა გააკლადე".

780.

„მტერთა ჩემთა ენაპირე, ძალი ნურა მოგაკლდების
ერთგულთათვის კარგი ნუ გშურს, ორგულიმცა შენი კედების.
შემოვიქცე, შენი ჩემგან ვალი კარგად გარდიხდების;
პატრონისა სამსახური არასოდეს არ წახდების".

შერმადინი კი ევედრება თან წამიტანეო...

„ვის ასმია პატრონისა ჭირსა შიგან ყმისა რიდი?"

სრულიად გარკვევით ავთანდილი შერმადინის მიმართ თავს პატრონად რაცხს, ასევე შერმადინი ავთანდილს—პატრონად, ხოლო თავის თავს ყმას უწოდებს.

641.

თავდაპირველად ყმობაში (ყრმობაში) „მამისადმი" მორჩილების მომენტი იყო ხაზგასმული, ხოლო „მამაუფლობა" მა-

მობრივ მფარველობას ნიშნავდა „შვილისადმი“. შვილი, იგი იგულისხმება, მამის მ ო რ ჩ ი ლ ი ა იმდენად, რამდანადაც მამა მ ფ ა რ ვ ე ლ ი ა, ესაა ხანა მ ა მ ა უ ფ ლ ე ბ ი ს ა და შ ვ ი ლ ე ბ ი ს ა...

გვიან მამაუფალს „პატრონი“ სცვლის, ხოლო შვილს „ყმა“. უფალმონობა კი ისევ რჩება და მისი ევოლუციის გზით ახალ ურთიერთობაში გადასვლა არ ხდება და ეს იმიტომ, რომ უ ფ ა ლ მ ო ნ ო ბ ა ა რ ი ყ ო ს ა მ ი წ ო დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა მ ი წ ი ს მფლობელთა და მ ი წ ი ს მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ს შორის. მონა მსახურია (მ-სახ-ური). შინაურია (შინა-ური) და არა მიწის მოქმედი მონა მემადნე, მენიჩბე, მეთუნე, მეხაზლე, მეისრე და სხვა ხელობის შეიძლება იყოს. მიწის მოქმედი გ ლ ე ხ ი ა, სულერთია რა წარმოშობის არ უნდა იყოს. მიწაზე დასმული მონაც კი გლეხდება, ე. ი. მასა და მის უფალს შორის ახალი ურთიერთობა მყარდება, უფალმონობისაგან განსხვავებული ურთიერთობა. უ ფ ა ლ ი და მ ო ნ ა, უ ფ ა ლ ი და შ ვ ი ლ ი თუ მ ა მ ა და შ ვ ი ლ ი მონათმფლობელობის ხანის კატეგორიებია. საიდანაა „გლეხი“ — ეს ცალკე საკითხია, მაგრამ ის კი სწორია თითქო, რომ გლეხი იმთავიდან მ ი წ ი ს კ ა ც ი ა, მებეგრეა. გლეხი არაა მ ო ლ ა შ ქ რ ე მ დ ა ბ ი ო რ ი, გლეხი მ დ ა ბ ი ო რ ი მ ე ბ ე გ რ ე ა. მ ო ლ ა შ ქ რ ე ნ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ა. მ ე ბ ა გ რ ე ნ ი გ ლ ე ხ ე ბ ი ა. მაგრამ გლეხები მხოლოდ დამორჩილებული დაპყრობილი თემები როდია. გლეხად მონებიც დაისმებოდნენ.

641.

„ფრიდონ საჯდომნი დამიდგნა ადგილსა საპატრონოსა.
მითხრა თუ....
ხარ დიდი მეფე ინდოთა, რა ვით ვინ მოგაწონოსა!
ვინ არის კაცი, რომელმან თავი არ დ ა გ ა მ ო ნ ო ს ა?!“

„დაგამონოს“ აქ, და სხვა შემთხვევებშიაც, კატეგორიული მორჩილების აქცენტით არის ნახმარი და არა ვთქვათ „ყმობის“ აქცენტით (ყმობაც ხომ მორჩილების სახეობაა); ასე რომ „მონებაში“ არა მარტო ზოგადი „მორჩილება“ იგულისხმება ამ დროს, არამედ სხვა მორჩილებისაგან — მაგალითად: „ყმობისაგან“, „შვილობისაგან“, „გაზრდილისაგან“, „მოკიდულისაგან“, „მიმდგომისაგან“, „გამგონესაგან“, „მომსმინოსაგან“ და სხვა — განსხვავებული კატეგორიული მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა, უ კ ი დ უ რ ე ს ი მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა, ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ პ ი რ ო ბ ი თ ო ბ ი ს ა გ ა ნ გ ა მ ო რ ი-

ცხული მორჩილება (ტყვეობა „დაგრჩი“, ყელსაბელმობმული, ნასყიდობა, ნასისხლობა).

79—80, 81—82.

ავთანდილი თავისი სანაპიროდან თავისი სამეფოდან ხელმწიფე-პატრონ როსტევანისაკენ წავიდა „შერმადინ მახარობელი წავა მოსვლისა მათისა“. შერმადინი ჯერ როსტევანს ეახლება და „მოციქულობა თვით მოახსენა ყოველი“, შემდეგ თინათინს ეახლა და ავთანდილის მოსვლა შეატყობინა. თინათინმა შერმადინ მახარობელს „საბოძვარი უბოძა მისი ყველაი დამოსა“.

ასე რომ შერმადინმა ავთანდილის დავალება შეასრულა. ავთანდილი მას პირზე კოცნის ღირსად ხდის, მაშინ როცა ამის ღირსი როდია ყოველი დიდებული, არამედ მხოლოდ ზოგიერთი. შერმადინმა ავთანდილის დავალება — პატრონობა შეასრულა, მაგრამ ის მაინც მონაა, პრივილეგირებული მონა. ამიტომაც ის ხელზე კოცნის თავის უფალს. ზოგიერთი დიდებულიც ჰკოცნის ავთანდილს „ვინცა ღირსა“. მაგრამ ეს აქ ღირსების საქმეა, ზოგიერთ დიდებულს, მაშასადამე, ამისი უფლება აქვს, ამის „ღირსია“ (სხვებს კი ამის უფლება არ აქვს), სულ სხვა საქმეა შერმადინი. მას ამას აღირსებს ავთანდილი, პატრონი, უფალი. ასე რომ მას აქვს ფაქტიური უპირატესობა და არა უფლებრივი, უფლებრივად, ის ისევ მონაა.

679—662.

დიდებულები ავთანდილს ჰკოცნიან „ვინცა ღირსა“, ვინც ამის ღირსია, ვისაც ამის უფლება აქვს, შერმადინს კი ავთანდილი აღირსებს, ე. ი. ღირსად ჰხდის.

შერმადინი როსტევანთან ავთანდილის მოციქულია, მახარობელია. და შერმადინი მარტო კი არ მიდის, როგორც მახარობელი, არამედ მას ახლავენ (სამწუხაროდ არა სწერია თუ ვინ არიან ეს შერმადინის მხლებელნი): — თინათინმა „მას საბოძვარი უბოძა“, ხოლო „მისი ყველაი დამოსა“...

650—654.

ტარიელს შერჩა ორი მონა და ასმათი. ტარიელს მათი გაშვება უნდოდა. ღამაგდეთ და ეტერენით თავთა თქვენთაო, ე. ი. ეუფლენით თქვენ თავს, მითავისუფლებიხართო.

ისინი ეარზე არიან: უშენოსა ნუცა ვნახავთ, ნუ პ ა ტ რ ო ნ ს ა, ნუ უ ფ ა ლ ს ა. და ტარიელი დამორჩილდა: „სიტყვანი მესმენ მონათა ჩემთანი“.

აქ თითქო ასმათიც მონებშია ნაგულისხმევი და მართლაც ასმათი ხომ ნესტანის ხადუმი იყო, მაინც და მაინც მისი თავისუფალთაგან ჩამომავლობა არსაიდან ჩანს. ის არაფერს მოწმობს, რომ ტარიელი მის აშიკობას შესაძლებლად სცნობდა, თუმცა ეთაკილებოდა კია, არც ის მოწმობს რასმე, რომ ავთანდილი და ტარიელი მას დას უწოდებენ, და რომ ის მათი დაზე უფრო და (დესი) არის, აქ სოციალური არა იგულისხმება რა; არც ისა, რომ ასმათი კარგ მოყმეს მისთხოვდა და დედოფალი გახდა. ასმათი თავწამკვდარი ერთგულია თავისი დედოფლისა, მას არც მამა ჰყავს, არც დედა ან ძმა. ის ს ე ფ ე ქ ა ლ ი ა, ე. ი. სასახლის ქალია, ისევე როგორც მელიქ სურხავის ხათუნები, რომელთა დახასიათებისას შოთა ხმარობს ტერმინს: მ ო ნ ა... ისევე როგორც შერმადინ, ასმათიც პრივილეგირებული ხდება უსაზღვრო ერთგულება-თავდადების ჯილდოდ: დედოფალი ხდება. სოციალურად კი ის ისეთივე მონაა, როგორც შერმადინი.

650—654.

და განა ავთანდილი არ კადრულობს შერმადინის ძმობას ან შვილობას? ასევე ასმათი „დ ა“ არის და კიდევაც მეტიც. ასე რომ § 653-ში ტარიელი რომ ამბობს: „სიტყვანი მესმნეს მ ო ნ ა თ ა ჩ ე მ თ ა ნ ი“ აქ ის ასმათსაც გულისხმობს... არც ისაა რისამე დაბრკოლება, რომ ასმათს ჰყავს მ ო ნ ა. ჯერ ერთი ეს მონა, ასმათს დამოუკიდებლად კი არ ჰყავს, არამედ ერთი იმ მონათაგანი უნდა იყოს, ნესტანის სასახლეში რომ არიან ასმათთან ერთად მის სამსახურად მიჩენილნი. და ესეც რომ არ იყოს, და ასმათ ხადუმს თავისი მონა ჰყავდეს, არც ეს ნიშნავს მის სოციალურ სიმაღლეს, არამედ მხოლოდ პრივილეგირებულ მდგომარეობას. გვიან ფეოდალურ ხანაში ჩვენ არა ერთი მაგალითი მოგვეპოვება, რომ სასახლის ასეთი ქალები, სეფე ქალები (ყველა ეს მ ო ნ ა ვ ა რ დ ი ს ე ბ ი და სხვა) გავლენითაც სარგებლობენ და საკმაო ქონებაც აქვთ და ვინმე უბირი მონის, წინაშემდგომელის ყოლა არაფერს შეუძლებელს არ წარმოადგენს. თუმცა ასმათის მონა მე იგივე ნესტანის ერთი მონათაგანი მგონია. ის გარემოება, რომ ამ მონას შეესვლება ნესტანის სასახლეში (მას ამ სასახლეში, თუ სასახლის ეზოში მოჰყავს ტარიელი), ამის მოწმობა უნდა იყოს. აკი ნესტანს სამსახუ-

რად და გასართობად მიჩენილი ჰყავდა ორი მონა და ასმათი და არა ორი მონა, ასმათი და კიდევ ასმათის მონა...

და აი ამ მონებმა (ე. ი. ორმა მონამ და ასმათმა) უთხრეს ტარიელს „უშენოსა ნუცა ვნახავთ ნუ პატრონსა, ნუ უფალსა“.

ასე რომ ტარიელი ამ მონების უფალია და პატრონი. კაცი იფიქრებს, რომ აქ ტერმინი უფალი სოციალური შინაარსის არის, ხოლო პატრონი პოლიტიკური ტერმინია მეფისა თუ ხელმწიფის მაგივრად. ეს შეიძლება (სხვა ადგილების დამოწმება იქნება საჭირო...), მაგრამ არც ისაა გამორიცხული და მე ვფიქრობ უფრო მართებულიც იქნება თუ პატრონს აქ ჩვენ უფლის სინონიმად გავიგებთ. პატრონი მესაკუთრე, უაპელაციო მქონებელი, მაგრამ პატრონს ყმებიც — ვასალებიც ჰყავდა მოყმეები, დიდებულები, რომელთა მიმართ ის, რა თქმა უნდა, უაპელაციო ხელმწიფე არ იყო. ასე, რომ პატრონში ორაზროვნობა იყო, ისევე როგორც უფალშიაც. ასეთივე ორაზროვნობა იყო განვითარებული, თუმცა წარმოშობით ერთი პირობითი მქონებლობის აღმნიშვნელი იყო, ხოლო მეორე უაპელაციო, შეუვალი მქონებლობისა და ეს მოვლენა ფეოდალური სინამდვილის ნაშობი იყო: ყველაფერი ერთი იერით იფერებოდა: თავისუფალი ხდებოდა, უფალი ნახევრად პატრონი ხდებოდა, ხოლო პატრონი ნახევრად უფალი...

772. ვაზირი სოგრატის მადლობელი ავთანდილი ეუბნება მას:

„თუ ღა დაერჩე, შენთვის მოვკვდე, თავი ჩემი დაგამონო“.

ე. ი. შენი ნების შემსრულებელი ვიქნებიო, ავთანდილი სოგრატის მონა არ გახდება, მაგრამ რატომ არ ეუბნება თავი ჩემი გაყმოვო? იმიტომ, რომ ყმა არაა უაპელაციო, უთუო მორჩილების გამომხატველი ცნება. ყმობა პირობითი მორჩილებაა: რამდენადაც პატრონი პატრონობს, იმდენად ყმა ყმობს (პატრონყმობის დედა-აზრიც ამაშია) ყმა პატრონს წაუვა და სხვას მიუვა, ყმა პატრონს დაიწუნებს, პატრონი ყმაზე მფარველობის ხელს აიღებს, არ უპატრონებს, არ შეიწყნარებს, გამოათაყვანებს. სულ სხვაა უფლისა და მონის ურთიერთობა. აქ უფლება მხოლოდ უფალსა აქვს, მოვალეობა მხოლოდ მონას. ამიტომაცაა რომ უაპელაციო მორჩილების ცნებად „მონობა“ დარჩა, არა „ყმობა“. ბატონყმობა ამ ორი ვითარების შუაზეა.

673—675.

ავთანდილმა ტარიელი იპოვა და არაბეთს დაბრუნდა. შ ე რ მ ა-
დ ი ნ ს ახარეს დაბრუნება. შერმადინიც „გაეგება, მოეხვია ზ ე დ ა
დ ა ს დ ვ ა პ ი რ ი ხ ე ლ ს ა“, ე. ი. ხელზე ჰკოცნა, სიხარულის
ცრემლებს ღვრიდა და აღტაცებული ღმერთს მადლობდა... ავთან-
დილმა შერმადინი „მ დ ა ბ ლ ა დ მ ო ი კ ი თ ხ ა, ზ ე დ ა დ ა-
ს ვ ა პ ი რ ი პ ი რ ს ა“, ე. ი. პირზე აკოცა....

აქვე „დ ი დ ე ბ უ ლ თ ა თ ა ყ ვ ა ნ ი ს ც ე ს“ პატრონს და
„ა კ ო ც ე ბ დ ე ს, ვ ი ნ ც ა ღ ი რ ს ა“. ავთანდილმა „შერმადინს
უთხრა, უამბო ყოველი მისგან ნახული“, შერმადინმაც „ამბავი ში-
ნაური ყველაკაი მოახსენა“...

650.

ტარიელს ნესტანის პოვნის იმედი გადაუწყდა. მარტოდ ყოფნა
დააპირა. „მ ო ნ ა თ ა და ამ ა ა ს მ ა თ ს სიტყვა უთხრა შვიდი თუ
რვა... აწ წადით და მე დამაგდეთ, ე ტ ე რ ე ნ ი თ თავსა თქვენსა“...
მათ უპასუხეს: „ჰაი, რასა ჰბრძანებ, ნუ მოასმენ ყურთა ჩვენ-
თა“.

651.

„უშენოსა ნუცა ვნახავთ, ნ უ პ ა ტ რ ო ნ ს ა ნ უ უ ფ ა ლ ს ა.

653.

„ეველარ გაეგზავნენ. სიტყვანი მესმნეს მ ო ნ ა თ ა ჩ ე მ თ ა ნ ი“.

654.

ტარიელი დეევებს შეება და „მათ მონანი დამიხოცეს“.

636.

როცა ტარიელმა ფრიდონს შველა სთხოვა ნესტანის ძებნის
საქმეში, ფრიდონმა უპასუხა:

„მემცა რად ვიყავ ამისთვის მადლისა რასმე მნდომელი
ერთი ვარ მონა მონებად წინაშე თქვენსა მდგომელი“.

ჩანს, ჩვეულებრივი სახეა მონობის წინაშე მდგომელი. მაგრამ
ყველა ვინც წინაშემდგომელია, მონა როდია, თუმცა წ ი ნ ა შ ე-
მ დ გ ო მ ე ლ ო ბ ა მ ო ნ ი ს ა თ ვ ი ს დ ა მ ა ხ ა ს ი ა თ ებ ე ლ ი ა.
ასეთებია სწორედ ზემოთ არაერთგან მოხსენებული მონები
ტარიელის, ასმათის, ნესტანის, თინათინის...

626.

ფრიდონი მოუყვა თუ როგორ ნახა კიდობანი ნესტანით.

„ამოძვრეს ორნი მონანი, შავნი მართ ვითა ფისანი, ქალი გარდმოსვეს...

ეს დავარის მონა-ქაჯებია.

621.

ტარიელმა ფრიდონს ომში უშველა, ფრიდონის მოქიშპე ბიძაშვილები დაამარცხეს. გამარჯვებულებს ზეიმით შეხვდნენ მულლაზანზარში.

„ლაშქარნი ფრიდონს მეფედ და მიხმობდეს მეფეთ-მეფობით.
თვით თავსა მათსა მონად და ჩემსა ყველასა სეფობით“.

ამ „ლაშქარნიში“ იგულისხმებიან ფრიდონის მოყმენი, ყმები და დიდებულებიც, არაა გამორიცხული, რომ ფრიდონის ამ „ლაშქარნიში“ მოყმე-დიდებულების გარდა მონებიც შედიოდნენ, მაგრამ აქ აქცენტი არის აღებული ლაშქარნის ამ თავისუფალ ნაწილზე, რომელიც თავს იმცირებს მონობით და ტარიელის „ყველას“ (ეს „ყველა“, ჩვენ ვიცით, იყო ორი მონა!!) ადიდებს საპირისპირო სეფობით. აქ, ამრიგად, სოციალურად საპირისპირო ცნებებია მოშველებული სოციალური კიბურის უკიდურესი საფეხურების აღმნიშვნელი.

592.

ტარიელი ეძებს ნესტანს, ორი მონა შერჩა და ასმათი.

„ხეთა ძირსა მივიძინე, მათ მონათა ჭამეს პური“. ეს მონანი რომ ის კარგ მოყმეთაგანნი ყოფილიყვნენ, ტარიელ არ იტყოდა, რომ მას დაეძინა, ხოლო მონებმა პური ჭამეს: ჭამაც და ძილიც მათ ტარიელთან ერთად ექნებოდათ...

593.

ამ დროს დაინახეს „მოყმე“ რომელიც ამაყად ყიოდა.

594.

ტარიელმა ამ მოყმეს (ფრიდონს) მონა დაადევნა.

595.

ფრიდონმა კი „მას მონასა არა უთხრა, არცა სიტყვა მოუსმინა“.

შემდეგ თვით ტარიელ ჩაეგება და დაჭრილი ფრიდონი ტარიელს გაუჩერდა.

598.

„ერთი მონა დასტაქარი მყვა და წყლულნი შეუხვევნა
ისრის პირნი ამოუხვნა, დაკოდილნი არ ატკივნა“.

ცხადია ამ მონის მთავარი საქმე დასტაქრობაა.

586.

ტარიელს ასმათმა ნესტანის დაკარგვა უამბო. და ტარიელი მოგვითხრობს;

„შეეე ფიცხლად შეეეკაზმე, ცხენსა შეეჯე შეკაზმული
ეს სამოცი კარგი მოყმე ჩემსა თანა ხანდაზმული
წამომყვა და წამოველი კართა გარე დარაზმული“.

ეს ეს სამოცი კარგი მოყმე ტარიელის ბრძანებით კი არ გაყოლიან მას, არამედ თავისი ნებით ტარიელის დაძახილზე:

585.

„ეეა ქამი, ეისცა გინდა ჩემი თანა წამოყოლა“.

ესენი არ უნდა იყვნენ მონები, თორემ ტარიელი კი არ მოუწოდებდა, არამედ უბრძანებდა ისევე როგორც § 577: „ესსა ეუბრძანე მონასა“... ეს ის მოყმეებია, ტარიელის სწორები, მასთან რომ ნადირობდნენ ხოლმე § 369. ეს მოყმეები კარგა ხანს დაყვებოდნენ ტარიელს ნესტანის ძებნაში. ბევრი ამოწყდა ამ ძებნაში „თანამყოლი ყველაკაი ამომიწყდა, დამეხოცა“, მაგრამ ჩანს ყველანი არ ამოწყვეტილან, იმიტომ რომ შემდეგ ამბობს: „ყველა კაი დამეფანტა დარჩომოდა რაცა ჭირსა“, ერთი სიტყვით, ზოგი ამოუწყდა, ზოგი დაეფანტა. მონები, საეჭვოა, რომ დაფანტოდნენ... ეს მოყმენი ტარიელის მეგობრები ამ საქმეში, ე. ი. ნესტანის ძებნაში მოხალისენი იყვნენ: ტარიელი ეხლა ამირბარი ხომ აღარ იყო, ის კარის შემცოდე იყო. შერჩა ტარიელს ასმათი და ორნი მონანი.

580.

„რა დაეარ გაძღა ცემითა, მისითა დალურჯებითა,
წამოდგეს ორნი მონანი, პირითა მით ქაჯებითა,
მათ კიდობანი მოიღეს, ეუბნეს არ აჯებითა,
მას შიგან ჩასვეს იგი მზე. ჰგავს, იქმნა დარაჯებითა“.

ეს ქაჯი მონები დავარისაა.

568.

ტარიელი თავის საკუთარ ქალაქში ჩაიკეტა ხვარაზმშას სიკვდილის შემდეგ. ზღუდეზე გადადგა და ამბავს ელოდა ნესტანისას, უცბათ: გამოჩნდეს ორი ქვეითნი.

.....მე მივეგებე წინარე.
ქ ა ლ ი ჰ ყ ვ ა ერთსა მ ო ნ ა ს ა,
ვცანცა, თუ მოღმა ვინ არე:
ნავგაგლეჯილი ასმათი, პირსისხლი ჩამომდინარე“...

შ ო რ გ ზ ა ზ ე ა ს მ ა თ ს მ ო ნ ა წ ა უ ტ ა ნ ი ა რომ ტარიელი ნახოს და ნესტანის ამბავი უთხრას...

577.

ტარიელი ხვარაზმშას მოსაკლავად მიდის.

ა ს ს ა ვ უ ბ რ ძ ა ნ ე მ ო ნ ა ს ა: „საომრად დაემზადენით“.

შ ე ვ ს ხ ე დ ი თ, გ ა ვ ვ ლ ე თ ქ ა ლ ა ქ ი...

ეს ა ს ი მონა საგანგებოდ მოწვეული კი არაა, არამედ აქვე არიან ქალაქში, სადაც მეფე ფარსადანია. ტარიელი ხომ ამირბარია და ეს „მონებიც“ მისი ხელისანი არიან. ეს ასი მონა მ ო ნ ა ს პ ი ს ნ ა წ ი ლ ი ა...

490.

ტარიელი საწოლსაა.

„მ ო ნ ა მ ო ვ ი დ ა. მიამბო ამბავი მე ამრთალია:
„თქვენსა ამბავსა იკითხავს აჯიღოსანი ქალია“.

ეს ტ ა რ ი ე ლ ი ს მ ო ნ ა ა, მას შეესვლება საწოლში... თითქო ისე ჩანს: საწოლს თავისი მოლარე ჰყავს, საწოლს კარის მცველი ჰყავს. ესენი მონებია...

§ 517 ასევე ტარიელი საწოლს იყო.

ასმათის მ ო ნ ა შ ე მ ო დ გ ა...

წ ი გ ნ ი მ ო მ ა რ თ ვ ა...

422.

ტარიელი ხატაეთს სალაშქროდ წავიდა. რამაზ მეფემ (განზრახ) მორჩილება გამოუცხადა. დიდი ძღვენი გამოგზავნა და მშვიდობა ითხოვა:

ზ ე ნ ა ა რ ი გ ა მ ო გ ვ ი ღ ე. მ ი თ გ ვ ა ბ ი ა ყ ე ლ ს ა წ ნ ე ლ ი.

ეს იყო დ ა მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა, ტ ყ ვ ე ო ბ ი ს ნ ი შ ა ნ ი.

391—392.

ტარიელი საწოლს იყო...

„კარის მ ც ვ ე ლ მ ა ნ მ ო ნ ა უ ხ მ ო უთხრა რამე დაფარული“. „მ ო ნ ა ა ო ა ს ა მ ა თ ი ს ი, საწოლს ვუთხარ შემოყვანა“, ...წ ა ვ ე, მ ო ნ ა წ ა ვ ი ტ ა ნ ე...

ტარიელს საწოლში მონა ჰყავს (ეს შეიძლება ის მოლარეც კი იყოს), ამ საწოლს ამავე დროს კარის მცველი ჰყავს. ეს კარის მცველიც მონაა (§ 371). ის მონა ტარიელს გარკვეულ ადგილამდე მიყვება. შემდეგ ასმათი დახვდება, რომელიც ნესტანთან შეიყვანს მას.

406.

ტარიელი თავისთანაა და „მონა შემოდგა“ ასმათის წიგნი მომართვა...

365.

ტარიელი ამბობს თავისთვის:„ამირბარი ვარ ხელმწიფე, სრულად ინდონი მჰონებენ“.

რა თქმა უნდა ამ „მონებას“ (—მორჩილებას) არაფერი აქვს საერთო შინაური მოლარის თუ საწოლის მეკარე ან მეწიგნე მონის მონებასთან...

მოლარე
საწოლის მეკარე
მეკარე
მეწიგნე
ხადუმები (მელიქ სურხავის, ნესტანის).
მხლებელ-მცველი (568)
დასტაქარი (598).

370.

ტარიელი ნადირობს:
„ჩემნი სწორნი წავიტანენ... (369)
შევქმენ სმა და ნადირობა“
ამ დროს:

მოლარემან შინაურმან ყურსა მითხრა ნაუბარი:

ქალი ვინმე გიკითხავსო: „ინახვისა ამირბარი?“

ვარქვი: „საწოლს შეიყვანე, ჩემგან არის ნახმობარი“.

371. „გამოვე და საწოლს შევე, მონა დადგა კარის მცველად“. ეს კარის მცველი მონა სწორედ ის შინაური მოლარეა, ან შეიძლება კარის მცველი მონა (საწოლის მეკრე კარის გარიგებით) სხვა იყო?

ეს მონაც „შინაურია“, კარის მცველია, ან მოლარეა და კარის მცველიცაა...

331.

ნესტანი თავის სასახლეში იზრდება „ასმათი და ორნი მონანი ჰყვიან, იმღერდის ნარდითა“.

359.

ასმათის მონა ააშიკო წიგნს მიართმევს ტარიელს.

363.

„ხელ-გახსნილი, სევდიანი, საწოლს ვიყავ თავის-წინა;
ჩემი მონა შემოვიდა, შეეხედე, ეუ თქვას: რა მინა.
„მონაო ასმათისი“, შემოყვანა ვუთხარ შინა“.

364.

„მონამან წიგნი მომართვა, მე წავიკითხე ნებასა“. ტარიელის ეს მონა შეიძლება ის მოლარე იყოს, § 358 რომ ჩანს:

„საწოლს მეკარე შემოდგა, მოლარე გაიყვანა მან,
ვთქვი თუ: „რა იცის ამბავი, ნეტარ ან იმან, ან ამან?“

ასე რომ ეს მონები სულ სხვაა, ვიდრე ის მკლავმაგარი მხედრები. ესენი მეწიგნენია, მოლარენი და სხვა ასეთები...

286—287—288—293.

ავთანდილი გაახსენებს ტარიელს:

„გახსოვსცა, ოდეს დაჰხოცე მონები არ-საპყრეზია“? ეს იყო ის „თორმეტი მონა“.

შემდეგ განაგრძობს ავთანდილი:

„გიხმეთ, არ მოხველ, ლაშქარნი უკანა გამოგკიდენით,
შენ ველნი წირლად შეჰღებენ სრულად სისხლისა მიდენით.

მერმეო „მეფე შეჯდა“ და შენ კი გადაგვეკარგეო.

„ვითა ქაჯი დაგვემალე, მონებიცა დავაფეთეთ“;

ტარიელს გაახსენდა ის ომი და უპასუხა:

„რას მაქნეკდით, რა გინდოდა...“

„რა მონანი შესაპყრობლად მომწიენით“, მე ისინი დავხოცეო. შემდეგ მეფე რომ დავინახე გადავიკარგეო.

ასე რომ ტარიელი „მონანი-ში“ ჰგულისხმობს „მონებსაც“ და ლაშქართაც თითქო. და მართლაც, რამდენადაც მონანი სამხედრო ერთეული იყო და ლაშქრობდა, ის ლაშქარნიც იყო, ამიტომ შესაძლებელია ლაშქარს მონებიც რქმეოდა. ეს იმის ჭოწმობაა, რომ მონათა მნიშვნელობა ლაშქარში მეტად დიდი იყო.

251.

ავთანდილი ასმათს სთხოვს უცხო ყმის ამბავს. ასმათი უარზეა, ავთანდილი მუქარას მიმართავს, არაფერი გამოდის. მაშინ ავთანდილი მოუყვება თუ როგორ დატოვა მიჯნური და მის ყმის საძებრად წამოვიდა თინათინის თხოვნით.

„ორისაგან ერთი ბიყვე, ტ ყ ვ ე მ ქ ე ნ ა ნ უ მ ა ა ზ ა ტ ე“.

დაპირისპირება ტ ყ ვ ე და ა ზ ა ტ ი.

257. ავთანდილი ეუბნება ასმათს, რომელიც შველას შეპირდება მას:

„აწ დაო, შენთა ხელთაა ჩემი ს ა ბ ე ლ ი ყ ე ლ ი ს ა,
სხვად ეღონოა უშენოდ ჩემგან ა ღ პ ყ რ ო ბ ა ხ ე ლ ი ს ა;
რასაცა მიზამ, შენ ი ცი“...

ე. ი. ავთანდილი თავს აცხადებს ასმათის ტყვედ (ყელ საბელ მობმულია) და მისი შველა (აპყრობა ხელისა) მხოლოდ ასმათს შეუძლია. ეს იგივეა, რაც 251: ტ ყ ვ ე მ ქ ე ნ ა ნ უ მ ა ა ზ ა ტ ე.

253.

ასმათს ავთანდილის მიმართ გული მოულბა: ესეც მიჯნურობის გამო გამოჭრილიაო ტარიელის საძებრად და ეუბნება:

არ ეგების ამას იქით თუმცა თავი არ გ ა მ ო ნ ე. ე. ი. თუ არ დ ა გ ე მ ო რ ჩ ი ლ ე ო... ზოგადი თქმაა: მონა-მორჩილი. იხ. 641.

286.

ავთანდილი ეუბნება ტარიელს:

„მე პატრონისა ჩემისა ასული შემყვარებია;
თ ე ი თ მ ე ფ ე დ მათად მას ხედვენ, მონები მკლავ-მაგრებია.
თუმცა არ მიცნობ, ვინახავ, თავი ვით ვიაზრებია,
გახსოვს

70.

როსტევან და ავთანდილ მშვილდოსნობაზე დაიცილნენ. როსტევანმა ბრძანა:

„...მონა თორმეტი შევსხათ ჩვენთანა ძარებლად; თორმეტი ჩვენად ისრისა მომრთმეველად, მოსახმარებლად! — ერთაი შენი შერმადინ. არს მათად დასადარებლად“. —

74.

უბრძანა:

„მონა თორმეტი მოდით, ჩვენთანა ვლიდითა.
მშკლდსა ფიცხელსა მოგვცემდით, ისარსა მოგვართმიდითა.
ნაკრავსა შეადარებდით, ნასროლსა დასთვალვიდითა“.

83. ნადირობა დასრულდა. ნადირობის მონაწილე ლაშქარი თავს იყრის. როსტევანს და ავთანდილს: „ახლოს უთქს მონა თორმეტი, უმხნესი სხვათა მხნეთასა“.

ამ მონებმა მოახსენეს მშვილდოსნობის შედეგი: ავთანდილმა აჯობაო.

ეს მონები იყვნენ „უმხნესი სხვათა მხნეთასა“. ავთანდილის მონა შერმადინი შეედრება მხოლოდ მათ. მაშ შერმადინი „უმხნესი“ მონაა. მაშ შერმადინი ისეთივე „მონაა“, როგორც როსტევანის თორმეტი მონა, მონაა მაგრამ როსტევანს სხვა მონებიც ჰყავს: ესენი მხოლოდ განსაკუთრებით გამორჩეულნი არიან მათ შორის: „უმხნესი სხვათა მხნეთასა“.

ეს მონები იყვნენ „უმხნესი სხვათა მხნეთასა“. „უკანა ჰყვებოდეს“ ნადირობის დროს, ნადირობისას და, უნდა ვიფიქროთ, ომშიაც. მაინც და მაინც როსტევანის და ავთანდილის მონების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ ეს მონანი არიან ყველაზე მისანდონი, მათ პერსონასთან მყოფი...

შერმადინი ავთანდილის „მონაა“ ამ სიტყვის ნამდვილი (იმ დროის გაგებით, რა თქმა უნდა) მნიშვნელობით. შერმადინი არაა „დიდებული“. შერმადინი ავთანდილის „თანა შეზრდილია“, მისი „ერთგული“ და „თავდადებულია“.

ავთანდილი ახალგაზრდაა, შერმადინიც ასევე. ამიტომ „გაზრდილი“ აქ არ ნიშნავს, თითქო ავთანდილი შერმადინის მასწავლებელი იყო, არამედ ინსტიტუტს გამზრდელ გაზრდილისას (შდრ. საეკლესიო ცხოვრებაში მოძღვარი...); ფეოდალს — მეფეს, მთა-

ვარს, დიდაზნაურს — ჰყავთ „გაზრდილები“, ფეოდალის კარზე მყოფნი ახალგაზრდობიდან, სადაც ისინი მართლაც იღებენ ყოველგვარ სწავლას ყოველგვარ ჯელს, ეს გაზრდილები ამ ფეოდალის სახლის გაზრდილები არიან და ამ სახლის უფროსის (თავადის) ერთგულ-მისანდონი არიან, ამ თავადის გაზრდილებად ითვლებიან, თუნდაც ეს თავადი უფრო ახალგაზრდაც იყოს გაზრდილებთან შედარებით. შერმადინის გაზრდა მაშინ დაწყებულა, ე. ი. შერმადინი გასაზრდელად მაშინ აუყვანია ავთანდილის სახლს, როცა ავთანდილი თვით იყო ასაზრდელი და შერმადინთან ერთად იზრდებოდა. ამიტომაც იყო შერმადინი ავთანდილის „თანაშეზრდილი“. არაა საფიქრებელი, რომ ყველა მონა ფეოდალის გაზრდილი იყო. მართალია ეს მონანი იყვნენ „რჩეულნი და განსწავლულნი ღვაწლსა“ (ქცა, I, 336), ასე რომ ისინიც, ერთგვარად, გაზრდილნი (განსწავლულნი) იყვნენ, მაგრამ მონა შერმადინის გაზრდილობა კიდევ სხვაა. ის რჩეულია, მხნეთა უმხნესია, სხვებისაგან გამორჩეულია. ის ავთანდილს გაუზრდია „ვ ი თ ა ძ მ ა და ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი“. შერმადინი უერთგულესია თავისი პატრონისა, მისი ყველა საქმის მცოდნეა და გავლენელი (შემსრულებელი — გამტარებელი). რა თქმა უნდა, ავთანდილს არ შეეძლო გაეზარდა შერმადინი „ვითა ძმა“ და მით უფრო „ვითა შვილი“. რომ აქ ავთანდილის სახლი არ იგულისხმებოდეს. ალბათ შერმადინი ისეთივე „სავსე სიბრძნითა და გონიერებითა“ იყო — „განმზრახი სვიანი და ფრთხილი“ როგორიც იყო გიორგი ჭყონდიდელი „თ ა ნ ა ა ღ ზ რ დ ი ლ ი ა ღ მ ზ რ დ ე ლ ი პატრონისა და თ ა ნ ა გ ა მ კ ა ფ ე ლ ი ყ ო ვ ე ლ თ ა გ ზ ა თ ა ს ა ქ მ ე თ ა და ღ უ ა წ ლ თ ა მ ი ს თ ა“ (ქცა, I, 336). ან როგორც ყუბასარი იყო „გაზრდილი პატრონთაგან“ რომლის „ს ი ყ უ ა რ უ ლ ი, ს ა მ ს ა ხ ურ ი და ზ რ დ ი ლ ო ბ ა“ არ შეიძლებოდა მეფის მიერ დავიწყებულიყო (ისტ. აზმ. 76—77). არაა საფიქრებელი რომ გიორგი ჭყონდიდელი მონათაგანი იყო. შეიძლება ის დიდგვარიანი არ იყო, როგორც ამას თ. ჟორდანია ფიქრობდა [გელათში დაასაფლავეს, ეს არაა მართალი, ის შიომღვიმეს დაასაფლავეს, ვითა მამა იგლოვაო დავითმა. არც ესაა რაიმე საბუთი: გიორგი მისი წარმოშობისაგან დამოუკიდებლად შეიძლებოდა „მამად“ წოდებულიყო. ის ხომ „თავადგა სიყრმითგანთა პატრონისა მსახურებათათვის“. და მერე „მამობა“ და „შვილობა“ სრულიად ბუნებრივი ჩანდა და ასეც იწოდებოდნენ ესა თუ ის პირი ყმათაგან, ვისაც საამისო საჭირო ნიშნები ჰქონდა: აღმზრდელი იყო

ან აღზრდილი იყო და ასეთებს შორის განსაკუთრებით გამორჩეული იყო. აი როგორც ავთანდილი ამბობს შერმადინის შესახებ: (§ 169) „გ ა მ ი ზ რ დ ი ა ვ ი თ ა ძ მ ა და ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი“ და განა ა თ ა ბ ა გ ე ბ ი მუსლიმანურ სამყაროში „მონათაგან“ არ გამოვიდნენ? დავითის (თუ საქართველოს სინამდვილის თავისებურების) რეფორმა, ახალი სახელმწიფოს შექმნის შესაბამისი ღონისძიება ის იყო; რომ ქართული „ათაბაგი“ მწიგნობართუხუცესი მონაზონი შეიქმნა და ქართლის ერისთავის, როგორც „ა ღ მ ზ რ დ ე ლ ი ს“ მნიშვნელობა გაქრა (ლიპარიტის აღმზრდელი). ამგვარად, არც გელათს დამარხულობა, რაც შეცდომაა, არც „მამობა“ გიორგი ჭყონდიდელის დიდგვარიანობას არ მოწმობს], მაგრამ გიორგი ჭყონდიდელი, ეჭვს გარეშეა ქართველი იყო და არა უცხოელი... ასე რომ ფეოდალის (მეფის და სხვა) კარზე „იზრდებოდნენ“ დიდგვარიანებიც და უგვაროებიც. ქართველებიც და არა ქართველებიც, ყმებიც და მონებიც. ყმებისაგან მოყმეები გამოდიოდნენ, არსად ჩანს რომ მონას მოყმე ეწოდოს... თუმცა ავთანდილს შესაძლებლად მიაჩნია თავისი და შერმადინის ურთიერთდამოკიდებულება პატრონისა და ყმის დამოკიდებულებას შეადაროს: „ვართ უმოყვრესი მე და შენ ყოველთა პატრონ-ყმათასა“ (55).

თუმცა აქ შეიძლება აქცენტი აღებული იყოს მ ო ყ ვ რ ო ბ ა ზ ე და არა პატრონყმობაზე. პატრონი ყმის მოყვარეა, მაგრამ ეს მონა, პატრონის მიერ გაზრდილი, განსაკუთრებული მოყვარეა გამზრდელის და გამზრდელი პატრონი განსაკუთრებით მოყვარეა გაზრდილი მონისა. „გაზრდილები“ სხვებიც ჰყავს პატრონს „ე რ თ გ უ ლ ნ ი და მ ი ს ა ნ დ ო ნ ი ყ მ ა ნ ი“ (165), მაგრამ ყველა გაზრდილი ყმა ერთგული და მისანდოა? საფიქრებელია, რომ არა— ეს რომ ასე იყოს, მაშინ პატრონი არც მოაგონებდა მათ გამზრდელ-გაზრდილობას და ერთგულ-მისანდომობას. და ალბათ არა ერთი იყო ისეთი, რომელიც არ მოიგონებდა თავის ზრდილობას. ავთანდილი მონა შერმადინსაც კი უანდერძებს: „ზრდანი ჩემნი მოიგონენო“ (159). ეს რომ ასე იყო, ე. ი. ზრდილობა რომ ერთგულებათავდადებას ვერ უზრუნველყოფდა, იქიდანაც ჩანს, რომ პატრონი ყმების გვერდით მონებსაც ზრდიდა. ეს უკანასკნელნი უეჭველია, უფრო მისანდონი იყვნენ პატრონისა, როგორც მათგან ყოველი მხრით დამოკიდებულნი. მონა ხომ ყმათა სოციალურ წრეში არ გადადიოდა „ზრდილობით“. ფაქტიურად ის, შესაძლებელია, ყმების რიგში იდგა. ბევრ მათგანსაც წინ უსწრებდა, მაგალითად შერმა-

დინი, რომელიც პატრონადაც კი გამოდიოდა ავთანდილის დავალებით და მის მაგივრობას სწევდა ხელმწიფის წინაშე და ლაშქარ-დიდებულების მიმართ. მაგრამ მას ეს გარემოება სოციალურად მონობისაგან ვერ გამოიყვანდა იმისდა მიუხედავად, რომ ხელმწიფეც სცნობდა ამ მონის ასეთ პრივილეგიას და ლაშქარნი და დიდებულნიც აღიარებდნენ მის პატრონობას ავთანდილის საჯდომსა და ტახტზე, ე. ი. ავთანდილის უფლება-მოვალეობის შემსრულებლად აღიარებდნენ და მას ემორჩილებოდნენ, როგორც ავთანდილის მიერ დატოვებულს; შერმადინი სრული უფლებით იყო მოსილი, ის ყველას „მზეებრ მოეფინებოდა", რა თქმა უნდა, ერთგულებს, ხოლო „შემცოდესა ყველა კასა ვითა ცვილსა დაადნობდეს"... ყველა ამის მიუხედავად შერმადინი მონაა და ის სოციალურად იგივე მონაა, რაც „მონა ზანგი", თუმცა ფაქტიურად დიდებულზე დიდიცაა: ეს უმალვე გამოჩნდება, თუ შერმადინმა პატრონის მფარველობა დაკარგა: დიდების დამკარგველი აზნაური მაინც აზნაურია, თავისუფალია, აზატია, ხოლო პატრონის თუ უფლის წყალობა-მფარველობის დამკარგველი მონა არათავისუფალია. მონობიდან გამოსვლას გათავისუფლების აქტი სჭირია და ქონებრივ-სამსახურებრივი აღზევება მონას მონობიდან თავისთავად ვერ გამოიყვანს.

შერმადინი პატრონის გაზრდილია, პატრონთან შეზრდილია, მისი მისანდო და ერთგულია, მის მაგივრობას ეწევა ხელმწიფისა და ქვეყნის წინაშე, ხელმწიფეც სცნობს ამას და ლაშქარ დიდებუბულებიც, მაგრამ ის მაინც მონაა.

თავისი მოქმედება-საქმიანობის მიხედვით მონები — სამხედრო კორპუსსაც ქმნიან, აი როგორც ქაჯეთში, რომელთა სარდალი როშაქია, ან ისევე როგორც მელიქ სურხავის მონებია, ნესტანის წასაყვანად რომ მოვიდნენ ფატმანთან, ან ისე როგორც ფრიდონის მონებია, ავთანდილს რომ გაატანა, ან ისევე, როგორც ტარიელმა თან წაიყვანა ხორეზმშას მოსაკლავად რომ მიდიოდა, ან და, ბოლოს, ისევე როგორც როსტევანის მონებია... მაგრამ ამ მონების გვერდით არიან „მონა ზანგები". ასეთები ჰყავთ თინათინს, ასმათს, ფატმანს, დავარს, ნესტანს, ტარიელს. კიდევ მეტი: მონა ქალებიც კი ჰყავს მელიქ სურხავს, ნესტანს რომ ფარეშებად მიუჩინა... ასე რომ ერთის მხრით მონა ზანგი, თუ არაზანგი, სახლში რომ ემსახურებიან პატრონს (უფალს?). ესენი სხვადასხვა ჯელის მცოდნენი შეიძლება იყვნენ: გრძნების (ფრენის), მეზღვაურების (ნესტა-

ნი რომ წაიყვანეს) და სხვა, — მეორეს მხრით მხნე მხედრები, მეფეს (თუ პატრონს, უფალს?) რომ ომში და ნადირობისას თან ახლავან, მეფის უახლოესი მისანდონი არიან, რჩეულნი და მხნენი არიან. ამათგან ურჩეულესნი მეფის გაზრდილნი არიან. მაგრამ ესენი მაინც მონანი არიან, და არა ყმანი, ე. ი. თავისუფალნი.

92.

„მონანი მიდგეს, მივიდეს, გახდა ა ბ ჯ რ ი ს ა ჩ ხ ა რ ი ა“. ტარიელი ცხენზე შეჯდა. ამ მონებს ყურადღება არ მიაქცია.

94.

მაშინ „მ ო ნ ა თ ა კ ე ლ ი გამართეს მის ყ მ ი ს ა შესაპყრობლად“

ტარიელმა „იგინი დახადნა მტერთაცა საწყალობელად“.

95. ეხლა კი მეფემ „ლაშქარიცა შ ე უ ზ ა ხ ნ ა“ ეს მდევრებიც დაიფორიაქა ტარიელმა.

96.

მაშინ თვითონ მეფე და ავთანდილიც შესხდნენ „მის ყმისა მისაწეველად“ ტარიელი გადაიკარგა...

110.

დაღონებული მეფე თინათინს ეუბნება: იმ მოყმესო „შესაპყრობად შ ე ვ ე უ ზ ა ხ ე ნ, სპანი სრულად დამიხოცნა“...

111. „მან დ ა მ ი ხ ო ც ნ ა ლ ა შ ქ ა რ ი. სისხლი ადინა ღვარული“.

როსტევანმა წყლის პირას მჯდომ ტარიელთან მ ო ნ ა გაგზავნა, რომ თავისთან ეხმო ეს უცნობი.

88.

ტარიელს „მის მონისა არა ესმა სიტყვა, არცა ნაუბარი“. ეს მონა ხელცარიელი დაბრუნდა.

91.

მეფე გაკვირდა, გატაწყრა... გაგზავნა მონა თ ო რ მ ე ტ ი მისი წინაშე მდგომარე.

ე ს ი გ ი ვ ე თ ო რ მ ე ტ ი „უმხნესი“ მონებია“.

„უბრძანა: ხელთა აიღეთ ა ბ ჯ ა რ ი თ ქ ვ ე ნ ს ა ო ბ ა რ ე,
„მიდით და აქა მომგვარეთ, ვინ არის აქი მჯდომარე“,

მაშ ეს მ ო ნ ე ბ ი მ ე ო მ რ ე ბ ი ა რ ი ა ნ, ს ა ო მ ა რ ი ა ბ ჯ რ ი ს ხ მ ა რ ე ბ ა იციან და არა მხოლოდ ისრის მომრთმეველი ვინმე. ამასაკე მოწმობს „უმხნესი სხვათა მხნეთასა“.

როსტევანმა ჯერ მონა თორმეტი, „უმხნესი სხვათა მხნეთასა“ მის წინაშე რომ იდგა, ტარიელის შესაპყრობლად გაგზავნა, შემდეგ, რაკი ტარიელმა ის მონები დაუხოცა, ლ ა შ ქ ა რ ნ ი ც ა შ ე უ ზ ა ხ ნ ა... ტარიელმა ისინიც დააფორიაქა და, რა მეფე იხილა, გადაიკარგა და როსტევანი აღნიშნავს ფაქტს: „სპანი სრულად დამიხოცნა“, „მან დამიხოცა ლაშქარი“.

რ ა თ ქ მ ა უ ნ დ ა, აქ „სპანიში“ და „ლ ა შ ქ ა რ შ ი“ როსტევანი იმ მონებსაც გულისხმობს.

ისინი ხომ მეომრები იყვნენ და „უ მ ხ ნ ე ს ი ს ხ ვ ა თ ა მ ხ ნ ე თ ა ს ა“. თვით ეს გამოთქმა „უ მ ხ ნ ე ს ი ს ხ ვ ა თ ა მ ხ ნ ე თ ა ს ა“ იმას მოწმობს, რომ როსტევანს ჰყავს მ ხ ნ ე მ ო ნ ე ბ ი და ეს თორმეტი მათგან გამორჩეულნია (ისევე როგორც დავით აღმაშენებელმა: „გაგზავნა მონათაგანი ხუთმეტნი, კ ა ც ნ ი რ ჩ ე უ ლ ნ ი, რ ა თ ა ლოჭინით კერძო ნახირი მძოვარი ქალაქისა წარმოიტაცონ“ ქცა, I, 349). ასე რომ როსტევანის მ ო ნ ა იგივე ს პ ა და ლ ა შ ქ ა რ ი ა, ე. ი. ს პ ა ნ ი და ლაშქარში შემავალი ერთეულია... ამას თამარის ისტორიკოსიც მოწმობს (72) გამოთქმით: ს პ ე ბ ი და მ ო ნ ა ს პ ე ბ ი“. თამარის ისტორიკოსი თითქო გვშველის, როცა გაარჩევს ერთი მეორისაგან „ს პ ე ბ ი და მ ო ნ ა ს პ ე ბ ი“: „მ ო ნ ა ს პ ა, ს პ ა არის, ოღონდ ყოველი სპა არაა მ ო ნ ა ს პ ა, რომ მონა-სპა, ერთი სახეობაა სპისა.

120.

ავთანდილი თავის საწოლს იყო და „შემოვიდა მის წინაშე თინათინის მ ო ნ ა ზ ა ნ გ ი

მოახსენა: გიბრძანებსო ტანი ალვა, პირი მანგი“.

124. ავთანდილი თინათინს ეახლა. თინათინმა: ავთანდილს უთხრა „დაჯდომა“.

ხოლო „მ ო ნ ა მ ა ნ ს ე ლ ნ ი დ ა უ დ გ ნ ა“ და ავთანდილი „დაჯდა კრძალვით და რიდითა“.

ეს „მონა ზანგი“ სულ სხვა რიგისაა, ის მ ა რ თ ლ ა მ ო ნ ა ა და არა მონასპა.

აი ისეთი მონა, როგორიც იგულისხმება ავთანდილის სიტყვაში.

§ 134. თინათინი ცოლობას შეპირდა ავთანდილს და იმ გადაკარგული ყმის ძებნა დაავალა. გახარებული ავთანდილი ეუბნება:

„მე სიკვდილსა მოველოდი, შენ სიცოცხლე გამიწამე,
ვითა მ ო ნ ა ს ა მ ს ა ხ ო ბ ა ს ა ნ ა ლ ა ბ ა ც ა წ ა ვ ე, წ ა, მ ე“!

149.

ავთანდილი ტარიელის საძებრად წასვლას აპირებს. ის თავის „სამეფოში“ (სანაპიროში) მოვიდა.

„ყმამან მუნ დაყო სამი დღე, ამოსა სანადیროსა,
გაზრდილი მისი შერმადინ დაისვა საკაზიროსა“

150.

„ესეა მონა შერმადინ ზემოთცა სახელდებული
თანაშეზრდილი, ერთგული და მისთვის
თავდადებული“.

151.

„უბრძანა: „აქა, შერმადინ, ამად მე შენგან მრცხვენიან,
ჩემი საქმენი ყოველნი გცოდნიან გაგიელენიან,
მაგრამ არ იცი, აქამდის რანიცა ცრემლი მდებიან“...

და მოუყვება იმას, თუ როგორ უყვარს თინათინი, როგორ აიმედა ის თინათინმა და როგორ დაავალა ტარიელის ძებნა. გადაწყვეტილი აქვს, რომ უნდა წავიდეს და თავის მაგივრად შერმადინსა სტოვებს.

155.

„ვართ უმოყვრესნი მე და შენ ყოველთა პატრონ-ყმათასა,
ამისთვის გნუკვე სმენასა შენ ამა ჩემთა ხმათასა;
ჩემ წილ დაგაგდებ პატრონად, თავადად ჩემთა სპათასა,
ამა საქმესა ვერა ვიქმ მე განდობასა სხვათასა“.

156.

„ლაშქართა და დიდებულთა ალაშქრებდი, ჰპატრონობდი
წიგნსა სწერდი ჩემ მაგივრ, უფასოსა ძღვენსა სძღვნობდი.
დარბაზს კაცსა გაგზავნიდი და ამბავსა მათსა სცნობდი
აქა სადმე არყოფასა ჩემსა, მათმცა რად აგრძნობდი!“

157.

„ლაშქრობა და ნადირობა შენი ჩემსა დაასახე.
აქათ სამ წელ მომიცადე, ხვაშიადი შემინახე“...

და თუ სამ წელს ვერ დავბრუნდე, მკვდრად მიგულე, მეფეს შეატყობინე, ჩემი სიკვდილი „გლახაკთა მიეც საჭურჭლე, ოქრო, ვერცხლი და რვალია“... მეტად კარგად დამიურვე“.

159.

ზრდანი ჩემნი მოიგონენ, გული შენი მოიმდიდრე...

160.

„რა მონამან მოისმინა, გაუკვირდა, შეეზარა,
თვალთა ვითა მარგალიტი, ცრემლი ცხელი გადმოყარა...“

თან წამიტანეო — შეევედრა. ავთანდილმა უარი უთხრა. მთავარი მიზეზი ამისა ისაა, რომ

„ვისმცა უთხარ ხვაშიადი, შენგან კიდე არვინ ვარგა.
უშენოსა პატრონობა ვის მიეანდო, ვინ იქმს კარგა“.

163.

„სანაპირო გაამაგრე, მტერმან ახლოს ვერ იბარგა“...

164.

„წიგნსა მოგცემ, გმორჩილობდნენ, ვინცა იყოს ჩემი ხასი“...

და ავთანდილმა დაწერა წიგნი:

165.

„დაწერა თუ: „ჩემნო ყმანო, გამზრდელნო და ზოგნო ზრდილნო,
ერთგულნო და მისანდონო ამასზედა გამოცდილნო.
თქვენ ჩემისა საწადლისა მიდგომილნი, ვითა ჩრდილნი,
წიგნი ჩემი მოისმინეთ, ყოელნო, ერთგან შემოყრილნო!“

166.

„მიწაცა თქვენი ავთანდილ, ისმინეთ, გიწერ მე რასა:

ცოტა ხნით: „ვარჩიევ გაჭრა“... ისეთი რამე საქმე მომიეიდაო...

167.

„გემუდარები ამისთვის, ვარ თქვენი შემომხვეწელი“.
„მე დამახვედროთ, სამეფო მტერთაგან დაულეწელი“.

168.

„მე შერმადინ დამიგდია, ჩემად კერძად პატრონობდეს,
ყოელთა მზეებრ მოგეფინოს, ვარდს არ ზრვიდეს, არ აჭნობდეს,
შემცოდესა ყველაკასა ვითა ცვილსა დაადნობდეს“.

169.

„თქვენცა იცით, გამიზრდია, ვითა ძმა და ვითა შვილი:
ამას ასე ჰმორჩილობდით, არს ვითამცა ავთანდილი“...

ეს წიგნი დაწერა, შერმადინს მისცა, საღარიბოდ მოეკაზმა, საოთვალმჩენოდ კი სანადიროდ მიდის, „ლაშქარიც“ გამოყვა. ავთანდილმა ყველას უბრძანა წასვლა:

171.

„ბრძანა წადით ყველა კაი, აქა მომხრედ არვინ მინა,
მონებიცა მოიშორვა თავი გაითავისწინა“...

173.

„რა ლაშქართა ინადირეს და პატრონი მოითვალეს“.

ავთანდილი ვეღარ ნახეს.

174.

„მისნი სპანი გულმოკლულნი ცრემლთა ცხელსა გადმოჰყრიდეს“.

მაშინ

175.

„შერმადინ ერთგან შეყარნა ხასნი და დიდებულები.
უჩვენა იგი უსტარი“.

მეტად შეწუხდნენ და ბოლოს „ყოველთა ჰკადრეს“.

„უშენოსა საჯდომი და ტახტი მისი ვისმცა მისცა?
განაღამცა გმორჩილებდით, თუ გვიბრძანო რაცა ვისცა!“.
იგი მონა აპატრონეს, ყველაკამან თაყვანი სცა“...

ამრიგად: ავთანდილს აქვს სანაპირო სადაც არის „ქალაქი მაგარი“, აქ არის საჯდომი და ტახტი მისი, აქაა მისი „სამეფო“, ავთანდილს ჰყავს „სპანი“, „ლაშქარნი“, „დიდებულები“. მაგრამ ავთანდილს ჰყავს მონებიც, რომელნიც თან დაჰყვებიან მას.

გაზრდილი

1649, 1651. ტარიელი, ასმათის მადლობელი, მას ეუბნება:

„რაცა შენ ჰქმენ, არ უქმნია არ გამზრდელსა“

და ერთ სამეფოს აძლევს, ასმათი უარზეა:

„თუ ხმელეთი სრულად მქონდეს ვერცა მაშინ გაგეყრები...
ვერ გავწირავ ჩემგან ზრდილსა არცა სხვაგან ვიარები“.

ნესტანი ასმათის ზრდილია.

1623.

ტარიელმა ფარსადანის დაობლებული ტახტი რომ ნახა

„ეითა გამზრდელსა ჰმართებდა, გაზრდილი აგრე ხელია,
რომე სდის ცრემლი თვალთაგან ცეცხლთაგან უფრო ცხელია
თავსა იცემდეს, იზახდეს, ტირს მეტად გულფიცხელია“...

1593.

ფარსადანის სიკვდილის გამო ტარიელ მოსთქვამს:

„...გამზრდელო, ჰა, ჰა, რა საქმე მსმენია...
მზე მოჰკვეს ყოვლთა სულდგმულთა, სოფელი აღარ შენია,
ღმერთსა მიჰმადლე, შემინდევ, რაცა შენ ჩემგან გწყენია“.

1584.

ნესტანის შესახებ მოუთხრობენ ინდოელი ვაჭრები:

იგი ქალი პატარაი მამიდასა გ ა ე ზ ა რ დ ა,

1523.

როსტევანის წინაშე ტარიელი ავთანდილისათვის შუამდგომლობს...

„ამის მეტსა არას გკადრებ, არ მოკლესა, არცა გრძელსა“.
ამოიღო ხელ-მანდილი, მოინასკვა ზედან ყელსა,
ადგა, მუხლნი მოუყარნა, იაჯების ვ ი თ ა მ ზ რ დ ე ლ ს ა“....

1511.

ავთანდილმა დაინახა მათკენ მიმავალი როსტევანი:

„ისია ჩ ე მ ი გ ა მ ზ რ დ ე ლ ი და თქვენდა მოგებებულა.
იქი ვერ მოვალ, მრცხვენიან...“

1512.

„ტარიელ უთხრა: „კარგსა ი ქ მ შ ე ნ პ ა ტ რ ო ნ ი ს ა კრძალვასა“.

1485.

ავთანდილი ტარიელს:

„რასაცა ჰლამი, არ მოგცემს მას ღმრთისა სამართალია,
გ ა მ ზ რ დ ე ლ ს ა ჩემსა ვით ვკადრო მე საქმე სამუხთალია!
მე მისთვის ხელი ვით გავძრა, ვინ ჩემთვის ფერ-ნამკრთალია,
ვით მოიხმაროს მ ო ნ ა მ ა ნ პატრონსა ზ ე დ ა ხ რ მ ა ლ ი ა“.

გაზრდილს მართებს გ ა მ ზ რ დ ე ლ ი ს პ ა ტ ი ვ ი, შ ი შ ი, მ ო რ ი დ ე ბ ა, ე რ თ გ უ ლ ე ბ ა, კ რ ძ ა ლ ვ ა.

1481.

ტარიელი-ავთანდილს:

„მე შენისა გ ა მ ზ რ დ ე ლ ი ს ა უნახავად ვერ დავდგები“.

1394.

ფრიდონის თათბირი ქაჯეთის ციხესთან:

„ჩემსა სიმცროსა გ ა მ ზ რ დ ე ლ ნ ი სამუშაითოდ მ ზ რ დ ი დ ი ა ნ.
მასწავლნეს მათნი საქმენი, მახტუნებდიან, მ წ ვ რ თ ი დ ი ა ნ;
ასრე გავიდი საბელსა, რომ თვალნი ვერ მომკიდიამ“...

ე ს ე ნ ი ც გ ა მ ზ რ დ ე ლ ე ბ ი ა.

1297.

ნესტანი სწერს ტარიელს:

„ეზი მ ზ რ დ ე ლ ი სიყვარულისა, მის ჩემგან დანერგულისად".

მ ზ რ დ ე ლ ი, — მალოლიავებელი, მზრუნველი, ურვის მქონე.

1220.

მონა უამბობს თანამგზავრებს, რომ მე ვარო ქაჯთა მეფის მოსაო, მეფე მოგვიკვდაო და „აწ შვილთა მისთა და მისი ზ რ დ ი ს, უკეთესი მ შ ო ბ ლ ი ს ა".

1103.

შეშინებული ფატმანი, რომ ჭაშნაგირი მას მეფესთან შეასმენს მოსთქვამს:

„მოვკალ, ჰაი ქმარი, ამოვწყვიდენ წვრილნი შვილნი,
იავარ-ვყავ საქონელი, უსახონი თვალნი თლილნი,
გავეყარე საყვარელთა, ვა, გამზრდელნი, ვა გაზრდილნი!
ბოლოდ ვეკმენ სახლსა ჩემსა..."

ასე რომ გ ა მ ზ რ დ ე ლ ნ ი და გ ა ზ რ დ ი ლ ნ ი ჰყავს ვ ა ჭ ა რ თ უ ხ უ ც ე ს ი ს ს ა ხ ლ ს ა ც, ე ს ე ნ ი ა მ ს ა ხ ლ ი ს უ ა ხ ლ ო ე ს ი წ რ ე ა ქ მ რ ი ს ა, ც ო ლ ი ს ა დ ა შ ვ ი ლ ე ბ ი ს შემდეგ.

922.

ავთანდილი ეუბნება ფრიდონს:

„მე ვარ ყმა როსტან მეფისა, მოყმე არაბეთს ზ რ დ ი ლ ო ბ ი თ.
დიდი სპასპეტი, სახელად მიხმობენ ავთანდილობით,
მე დიდებულთა, დიდგვართა ზ რ დ ი ლ ი მეფეთა შვილობით".

821, 822, 824,

როსტევანი მოსთქვამს ავთანდილის გაპარვას.

„ეა, გ ა ზ რ დ ი ლ ო, ვეღარ გნახვენ თვალნი რეტნი!
სად წაჰხე და სად დაჰკარგე სინათლისა ეგე სვეტნი?!"

და გლოვობს როგორც ს ა ი მ ე დ ო შ ვ ი ლ ი ს დ ა მ კ ა რ გ ე ვ ე ლ ი მ ო ხ უ ც ი მ ა მ ა.

802.

ავთანდილის ანდერძი:

„თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან,
ღარიბი მოკვდე ღარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან,
ვეღარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მ ი ს ა ნ დ ო ბ ე ლ მ ა ნ,
მუნ შემიწყალოს თქვენმაცე გულმან მოწყალე, მლმობელმან".

მშობელი, დაზრდილნი, მისანდობელი — ფეოდალის უახლოესი წრე.

787.

ავთანდილი ეუბნება შერმადინს:

„აწ ანდერძსა ჩემსა მოგცემ, როსტანს წინად დაწერილსა;
შენ შეგვედრებ, დაგიჭიროს, ვითა გმართებს ჩემსა ზრდილსა“.

იმით, რომ შერმადინი ავთანდილის გაზრდილია, ის ამის შესაფერისად უნდა დაიჭიროს მეფემ, ე. ი. როგორც განსაკუთრებულად ჰყავს ის ავთანდილს...

686.

ავთანდილი არაბეთს დაბრუნდა და ტარიელის პოვნა აცნობა როსტევანს.

ნადიმად დასხდნენ

„მას დღეს დასხდეს ნადიმობად, გაამრავლეს სმა და ჭამა;
ყმასა მეფე ასე უპვრეტს, ვითა შვილსა ტკბილი მამა“.

648.

ტარიელი ფრიდონს დაეთხოვა.

„ფრიდონ გამომყვა, წავედით, ორთაეე ცრემლნი ვღვარენით:
მუნ ერთმანეთსა ვაკოცეთ, ზახილით გავიყარენით.
სრულად ლაშქარნი მტიროდეს გულითა მართლით არ ენიო.
გაზრდილ-გამზრდელთა გაყრასა ჩვენ თავნი დავადარენით“.

გაზრდილ-გამზრდელი ურთიერთის საყვარლებია. აქ თითქმის მამა-შვილობის თუ დედა-შვილობის ურთიერთობა მყარდება.

561—562.

ტარიელმა ხვარაზმშა მოკლა და თავის ქალაქში ჩაიკეტა. ერთ დილას ჰხედავს:

„ენახენ სამნი დიდებულნი მეფისაგან მოგზავნილად.
ებრძანა თუ: „ღვერთმან იცის, გამეზარდე ვითა შვილად,
ჩემი ასრე რად შესცვალე სიხარული სიმძიმილად?
„ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინე?
თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემაგებინე?
მე ბერსა შენსა გამზრდელსა სიცოცხლე მაარმებინე,
დღედ სიკვდილამდის შენიცა თაეი არ მაახლებინე!“

შვილივით გაზრდილი ტარიელი, ფარსადანის აზრით, სიკვდილამდის უნდა ჰხლებოდა გამზრდელ-ხელმწიფეს.

479.

ომმოგებული ტარიელი ფარსადან მეფემ სამეფო დარბაზს წაიყვანა.

„მეფე გარდახდა. დარბაზსა შეეედით ჩემთა მზრდელთასა“...“

ე. ი. ფარსადანი და დედოფალი ტარიელის მზრდელებია, ესენი ხომ შვილად ზრდიდნენ მას.

465.

ტარიელი ინდოეთს დაბრუნდა.

„ხატაეთისა ხელმწიფე მომყავდა შეპყრობილია.
ინდოეთს მიეე, მეგება ჩემი გ ა მ ზ რ დ ე ლ ი ტ კ ბ ი ლ ი ა...

454.

ტარიელმა ხატაელებთან ომი მოიგო.

„ერთსა კაცსა ეყოფოდეს, დიდებანი რომე მჭირდეს;
ზოგთა შორით დამლოციან, ზოგნი კოცნად გამიპირდეს:
რომელთაცა გ ა ვ ე ზ ა რ დ ე, დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი, ამიტირდეს,
ჩემგან ხრმლითა განაკვეთი ნახეს, მეტად გაუკვირდეს“.

მაშ, ტარიელს ზ რ დ ი დ ნ ე ნ დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი, სამამაცო ზნეს ასწავლიდნენ და ეხლა სიხარულის ცრემლები სდით რა მათი გაზრდილი ასე გმირი გამოჩნდა.

432.

ხატაეთს ლაშქრობისას რამაზი ტარიელს მახეს უგებდა.

მაგრამ:

„კარგი საქმე კაცსა ზედა აზოვ თერმე არ წახდების
ერთი კაცი უკმორესწყდა, მოდგა, მალვით მეუბნების:
„დიდი მაცო თქვენი ვალი, ჩემგან ძნელად გარდიხდების,
გაწირვა და დავიწყება ჩემგან თქვენი არ იქმნების“.

433.

„მე მამისა თქვენისაგან ვარ ცოტაი გ ა ნ ა ზ ა რ დ ი.
თქვენი მესმა საღალატო, საცნობელად გამოვკარდი...

332.

ტარიელი ამბობს:

„თხუთმეტისა წლისა ვიყავ, მეფე მზრდიდა ვითა შვილსა;
დღისით ვ ი ყ ვ ი მას წინაშე, გამიშვებდის ა რ ც ა ძ ი ლ ს ა;
ძალად ლომსა, თვალად მზესა, ტანად ვგვანდი ედემს ზრდილსა,

ს რ ო ლ ა ს ა და ა ს პ ა რ ე ზ ს ა აქებდიან ჩემგან ქმნილსა".
„მოსრნის მხეცნი და ნადირნი ი ს ა რ მ ა ნ ჩემგან სრეულმან,
მემრე ვიბურთი მოედანს, მინდორით შემოქცეულმან,
შევიდი, შევქმნი ნ ა დ ი მ ი, ნიადაგ ლხინსა ჩვეულმან".

სროლა.
ა ს პ ა რ ე ზ ო ბ ა.
ნ ა დ ი რ ო ბ ა.
ბ უ რ თ ო ბ ა.
ნ ა დ ი მ ი.
330.

„დავარ იყო და მეფისა, ქვრიეი, ქაჯეთს გათხოვილი,
მას ს ი ბ რ ძ ნ ი ს ა სასწავლელად თვით მეფემან მისცა შვილი".

ეს ნესტანი კოშკშია:

„სრა ედგა მოფარდაგული ოქსინითა და შარდითა
ასმათ და ორნი მონანი ჰყვიან, იმღერდის ნარდითა;
მუნ ი ზ რ დ ე ბ ო დ ი ს ტანითა, გაბაონს გ ა ნ ა ზ ა რ დ ი თ ა".

ქ ა ჯ ე თ ი ინდოეთთან ურთიერთობაში ყოფილა.
318, 319.

ტარიელი სიყრმითგანვე ფარსადანმა უძეომ აიყვანა.

„მეფემ ბრძანა: „შ ვ ი ლ ა დ გავზრდი თვით ჩემიეე გვარი არსა".
მეფემან და დედოფალმან მიმიყვანეს შვილად მათად.
საპატრონოდ მ ზ რ დ ი დ ე ს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად,
ბ რ ძ ე ნ თ ა მიმცეს სასწავლელად ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათად".

ფარსადანმა ტარიელი იშვილა, ს ა პ ა ტ რ ო ნ ო დ ზ რ დ ი დ ა: ბრძენები ა ს წ ა ვ ლ ი დ ნ ე ნ ხ ე ლ მ წ ი ფ უ რ ქცევას. მაშ გ ა მ-ზ რ დ ე ლ ე ბ ი ბევრი ჰყავდა ტარიელს. ვინ რა ზნეს ასწავლიდა და ვინ რას, ამიტომაა რომ ტარიელი თავის მ რ ა ვ ა ლ გ ა მ ზ რ-დ ე ლ ს ასახელებს.

292.

ტარიელი ეუბნება ავთანდილს:

„ერთგან გნახენ ნადირობას შენ და შ ე ნ ი მ ე გ ა მ ზ რ დ ე-ლ ი".

212.

ავთანდილი ეუბნება ტარიელის მიერ ნაცემ-ნაკრავ სამ ძმას:

„უთხრა თუ: „ამანო, ვარ ვინმე ღარიბი უადგილოსა
მე ი მ ა ყმისა საძებრად მოვშორდი ს ა გ ა ზ რ დ ი ლ ო ს ა".

ს ა გ ა ზ რ დ ი ლ ო ის საზოგადოებაა, სადაც ესა თუ ის პირი ვაიზარდა. ჩვეულებრივ ესაა სამშობლო, მაგრამ საგაზრდილო ყოველთვის არაა სამშობლოს იდენტური.

ცნება საგაზრდილო სამშობლოს გვერდით იმის მაჩვენებელია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა იმ დროს გ ა ზ რ დ ა ს. ზრდილობას...

165.

ავთანდილმა თავის ყ მ ე ბ ს მისწერა — ეს იყო იმის რწმუნების წიგნი, რომ მან თავის მაგივრად მონა შერმადინი დატოვა.

ამ ყმებში იგულისხმებიან „ხ ა ს ნ ი და დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი" (175).

„დაწერა თუ: ჩემნო ყმანო, გ ა მ ზ რ დ ე ლ ნ ო და ზოგნო
ზ რ დ ი ლ ნ ო
ერთგულნო და მი'ანდონო; ამასზედა გამოცდილნო.
თქვენ ჩემისა საწადლისა მიდგომილნი, ვითა ჩრდილნო..."

ცხადია, ავთანდილს როგორც პატრონს ხასებსა თუ დიდებულთ შორის მ რ ა ვ ლ ა დ ყ ა ვ ს გ ა მ ზ რ დ ე ლ ნ ი და გ ა ზ რ დ ი ლ ნ ი, ე. ი. უნდა ვიფიქროთ ბევრი ვინმე მას ასწავლიდა სამამაცო ზნეს და კიდევ უფრო მეტი იზრდებოდა ავთანდილის კარზე. აქ დიდებულების გვერდით იზრდებოდნენ მონებიც (მაგალითი შერმადინი).

გამზრდელ-გაზრდილები შეადგენენ უ ა ხ ლ ო ე ს წ რ ე ს დიდი ფეოდალისას (ასევე მეფისას). ეს წრეა, რომელსაც უშუალოდ ეყრდნობა დიდი ფეოდალი (ან მეფე), რომელთა ნება-სურვილს ის დიდ ანგარიშს უწევს, ისე გამოდის თითქო, რომ მთელი კარი დიდი ფეოდალისა (მეფის) გ ა მ ზ რ დ ე ლ ე ბ ი ს ა და გ ა ზ რ დ ი ლ ე ბ ი ს ა გ ა ნ შ ე დ გ ე ბ ა...

149.

ავთანდილი თავის სამეფოში მოვიდა. აქ მას ქალაქი ჰქონდა მაგარი...

ავთანდილმა „გ ა ზ რ დ ი ლ ი მისი შ ე რ მ ა დ ი ნ დ ა ი ს ვ ა ს ა ვ ა ზ ი რ ო ს ა"; „ესეა მონა შერმადინ"...

თ ა ნ ა შ ე ზ რ დ ი ლ ი ერთგული და მისთვის თავდადებული. (ამის შესახებ მაქვს „მონა"-ში).

146.

ავთანდილმა როსტევანი დაარწმუნა, რომ სანაპიროდ წავა

„მეფე ყელსა მოეკიდა, გარდაკოცნა ვითა შვილი,
სხვა მათებრი არ ყოფილა არ გამზრდელი არ გაზრდილი“.

ავთანდილი იყო ამირსპასალარის შვილი და თვითონაც იყო სპასპეტი... ე. ი. ხელი მემკვიდრეობით აქვს მიღებული, ამავე დროს ის უეჭველია დარბაზის ყმად იყო, ვიდრე სპასპეტი გახდებოდა აქ იყო მისი გაზრდა (აი ისევე, როგორც ივანე მხარგრძელი ითაყვანა თამარმა).

82.

ავთანდილმა როსტევანს აჯობა მშვილდოსნობაში. როსტევანს „უხარის ეგრე სიკეთე მისისა განაზარდისა“.

101.

როსტევანს „ავთანდილ უჩნს ვითა შვილი“

62—63.

როსტევანი ჩივის რომ ვაჟი მემკვიდრე არა ყავს...

„კაცი არ არის, სითგანცა საბრძანებელი ჩვენია,
რომე მას ჩემგან ესაწვლნეს სამამაცონი ზნენია“.

„ერთაი მიზის ასული ნაზარდი სათუთობითა
ღმერთმან არ მომცა ყმა შვილი, ვარ საწუთროსა თმობითა.
ანუმცა მგვანდა მშვილდოსნად, ანუ კვლა ბურთაობითა.
ცოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე ნაზარდობითა“.

ქალს ზრდიდენ სათუთობით, მამაკაცს სამამაცონი ზნენი უნდა ესწავლა.

52.

თინათინი გამეფდა.

„მოიხმო მისი გამზრდელი, ერთგული, ნაერთგულევი,
უბრძანა: „ჩემი საკურკლე, შენგან დანაბეკდულევი.
მომართვი, ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი“.
მიართვეს; გასცა უზომო, უანგარიშო ულევი“.

თინათინს ჰყავს გამზრდელი, ის მისი ერთგულია, ამ გამზრდელს აბარია უფლისწულის საკურკლე, მას აქვს დაბეკდილი უფლისწულის საკურკლე. ის შეიძლება ისეთივე გამზრდელი იყოს თინათინისა, როგორც ავთანდილს ჰყავდა „გამზრდელები: „ჩემნო ყმანო, გამზრდელნო და ზოგნო ზრდილნო“ ესე იგი საკუთარი ყმები.

როსტევანიც გამზრდელია ავთანდილის. როსტევანისაგან უს-

ჩავლია მას „ს ა მ ა მ ა ც ო ნ ი ზ ნ ე ნ ი“. რა გამოდის? ის რომ ავთანდილს ჰყავს გამზრდელი როსტევან და მისივე გამზრდელებია მისივე ყმებიც. უნდა ვიფიქროთ სხვადასხვა ზ ნ ე ს სხვადასხვა სწვრთნიდა მას.

ხ ა ს ი

1624.

ტარიელი ინდოეთს დაბრუნდა. ფარსადანი გარდაცვლილიყო...

„რა ნახნა ხ ა ს ნ ი. ე ა ზ ი რ ნ ი ფლასითა დამოსილნია,
კელა დაიზახნა ტარიელ, უფროსნი დანაკივლნია“.

ხ ა ს ნ ი, უ ა ხ ლ ო ე ს ი დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი.

1241, 1242, 1243.

დულარდუხტ ქაჯთა მეფე დის სატირლად წასულა. ქაჯთა ციხეში დულარდუხტს „ქვე დაუყრია მ ო ყ მ ე ბ ი“. ვინც უფრო გულოვანია. ქალაქის დამცველად დაუტოვებია ისინი.

„გვირაბის კარსა ნიადაგ მ ო ყ მ ე სცავს არ პირ-ნასები.
ათი ათასი ჭ ა ბ უ კ ი დგას, ყველაკაი ხ ა ს ე ბ ი:
ქალაქის კართა სამთავე სამათას-სამათასები“.

აქ შეიძლება ადამიანს ეფიქრა რომ ესენი როშაქის მონებია, მაგრამ როშაქი აკი დულარდუხტს წაყვა თავისი მონებით.

1205.

„ისი კაცი ჭაშნაგირი დარბაზს იყო მეტად ხ ა ს ი“.

ჭაშნაგირი — მეფის საჭმლის გამსინჯავი.

825.

ავთანდილი გაიპარა. როსტევანის სასახლეში დიდი გლოვაა.

„ზარი გაისმა, შემოკრბა, ჯარი მრავალი კაცისა.
დ ა რ ბ ა ზ ს ხ ა ს თ ა გ ა ნ ჯარია ხელითა წვერთა ტკაცისა!.
იგლეჯს და იცემს ყველაი...“

826.

„რა მეფემან დიდებულნი ნახნა, სულთქმის შემოსტირნა;
უთხრა „ხედავთ, მზემან ჩვენმან შუქნი სრულად დაგვიძვირნა!“

ხ ა ს ე ბ შ ი აქ დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი იგულისხმებიან.

763.

როსტევანი სოგრატს გაუწყრა.

ავთანდილისათვის შუამდგომლობის გამო სოგრატი ავთანდილთან მივიდა და თავის თავზე ნიშნის მოგებით ეუბნება:

„მადლი რა მკადრო არ ვიცი, გავხადი მე მაშა ვითა“,

ე. ი. შენთვის შუამდგომლობა მეფემ დიდ სამსახურად ჩამითვალა და მეფის ხასი გავხდი და ესაო.

552.

ხვარაზმშას შვილი მოვიდა, ტარიელმა ფარსადანის ბრძანებით მოედანს კარვები დაადგმევინა სიძე მოვიდა. გარდახტა.

„შეიქმნა გასვლა შიგანთა, ჯარია მუნ ხასებისა“.

საქმე ისაა, რომ მოედანზე სიძე არა ტარიელს, არამედ სხვა ყმებს უნდა ენახათ, ტარიელი კი სასახლეში შეხვდებოდა მას, ასეთი იყო ფარსადანის სურვილი. მაშ „შეიქმნა გასვლა შიგანთა“ ნიშნავს, რომ სიძის სანახავად ჯერ სხვები გადიან და ესენია სწორედ ის ხასები.

540.

ნესტანი ეუბნება ტარიელს ხვარაზმშას მოსალოდნელი გამეფების გამო ინდოეთში.

„ესე ამბად არ ეგების, რომე სპანი გაგვიხადნენ“, ე. ი. გაგვიბატონდნენ, გაგვიდიდკაცდნენ....

507.

ფარსადანი და მისი მეუღლე იმის რჩევაში არიან თუ ვინ მოიყვანონ ნესტანის ქმრად. უხმეს ტარიელს.

„ვნახე ორივე ერთგან სხედს, ხასითა ოდენ სამითა“. ხასი მეფის უახლოესი მრჩეველი.

471.

ტარიელმა ხატაელნი დაამარცხა, რამაზ მეფე და მისი ლაშქარი ხელთ იპყრო.

ფარსადანმა შეიწყალა რამაზ მეფე. დახარკა და შეწყალებული გაუშვა.

„მაგრამ ყველაი დამოსა იგი და მისი ხასია“.

ხასიაქ უახლოესნი პირნია.

335.

ტარიელი მამის სიკვდილის გამო ერთ წელს „ბნელსა ჯდა“. ფარსადანმა ერთი წლის გასვლისას ბრძანა „ახდა შავისა“ და ტარიელის „გაყვანად ხასნი მოვიდეს“, და ფარსადანის ბრძანება და განზრახვა („ბოძება მამულისა სრულისა საკარგავისა, შენ გქონდეს ამირბარობა ქმნა მისვე საურავისა“) მოახსენეს...

„უკუნით გამომიყვანეს ხ ა ს თ ა მათ წინამდგომელთა“. ცხადია ეს ხ ა ს ე ბ ი მ ე ფ ი ს ა ხ ლ ო მ დ გ ო მ ი დ ი დ კ ა ც ნ ი ა და არა უბრალო მოხელენი, რომ ასეთ მნიშვნელოვან საქმეს ავალებენ.

175.

„შერმადინ ერთგან შეყარნა ხ ა ს ნ ი და დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი“.

ესენი ავთანდილის უ მ ე ბ ი ა. ამათ მიმართ ავთანდილმა თავის მაგივრად, პატრონად შერმადინი დატოვა.

44.

როსტევანმა არაბები მოიწვია თინათინის გახელმწიფებაზე ყველა „შემსხმელი შემამკობელი“ (43) და აი:

„მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი გამრავლდა ხ ა ს ი ს ა“.

$\left(\frac{4}{22}\right.$ ფ. 142—280$\left.\right)$.

1453 და სხვა... 812 და სხვა.

სჯობან ყოვლთა მოყვარულთა პატრონყმანი მოყვარულნი.

ჩვენ რომ ეს პატრონყმობა ისე გავიგოთ, როგორც ეს სოსელია-ბარამიძეს ესმით, შოთა ყოვლად არარეალისტი გამოგვივა, მართლაც სწორედ ისეთი, როგორიც სურთ წარმოგვიდგინონ ამ ავტორებს, როცა შოთა თითქმის ტომას მოორის წინამორბედად წარმოუდგენიათ.... $\left(\frac{4}{21}\right.$ ფ. 117$\left.\right)$.

957.

ავთანდილი

„მომავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა
„აბა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,
ვ ი ნ მ დ ა ბ ა ლ თ ა გ ა ა მ ა ღ ლ ე ბ მ ე ფ ო ბ ა ს ა მ ი ს ც ე ვ
ს ვ ე ს ა,
მ ე ნ უ გ ა მ ყ ა რ ი. ს ა ყ ვ ა რ ე ლ ს ა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა“.

მაშ „მდაბალთა გამაღლება“ ხდება... $\left(\frac{4}{121}\right.$ ფ. 134$\left.\right)$.

2. სახელმწიფოთა ტიპები ვეფხისტყაოსანში

1220—1249.

სამი სხვა და სხვა სახის სახელმწიფო აქვს წარმოდგენილი შოთას: ა რ ა ბ ე თ-ი ნ დ ო ე თ ი, ზ ღ ვ ა თ ა ს ა მ ე ფ ო და

ქ ა ჯ ე თ ი. პირველი იდეალური სახელმწიფოა; ყველა ფეოდალური სათნოება აქ განხორციელებულია. ქვეყანა მოწესრიგებულია, ყველას თავისი აქვს მიჩენილი. აქ „თხა და მგელი ერთად ძოვენ“.

მეორე ზღვათა სამეფო გულანშაროა. ესეც ფეოდალური ქვეყანაა, მაგრამ აქ ტონის მიმცემი ვაჭრობაა და მელიქ სურხავის სიმდიდრე ამისაგან არის დამოკიდებული. მდიდარია ეს ქვეყანა, ხ ა ლ ხ ი ს ა ქ მ ი ა ნ ი ა და ხ ა ლ ი ს ი ა ნ ი. თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს უ ლ ი ტ რ ი ა ლ ე ბ ს აქ და ინდოეთ-არაბეთივით მძიმე ფეოდალური წესრიგი არ ჰბორკავს მას... ე ს ქ ვ ე ყ ა ნ ა მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ი ა, თუმცა იძულებულია ილაშქროს... მოსაგებელ-წასაგებელი აქ ყველაფერია, აქ დიდი სიმდიდრეა, ყოველი ქვეყნიდან აქ მოდიან. ლარი მოაქვთ და მოაქვთ. ქაჯეთიდანაც კი... არაბეთ-ინდოეთის ტიპის ქვეყნები უეჭველად გულისხმობენ გულანშაროს არსებობას; ყველა ესენი ერთნი მეორეს ავსებენ. დამახასიათებელია, რომ არაბეთ-ინდოეთს ქალაქიც კი არაა მოხსენებული (ერთხელ და ბკრთალად არის ინდოეთის ქალაქი) და მ ე ფ ი ს ს ა ს ა ხ ლ ე ა ყ ველაფრის ტონის მიმცემი. სამაგიროდ ზღვათა სამეფოში ციხე-სიმაგრე არსად ჩანს და ა ქ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს ტ ო ნ ს ა ძ ლ ე ვ ს ს ა ვ ა ჭ რ ო ქ ა ლ ა ქ ი, სადაც მეფეც მოთავსებულია, მაგრამ მეფის სადგომი კი არ აძლევს ტონს ქალაქს, არამედ პირუკუ. სულ სხვაა ქაჯეთი — ეს მეკობრეების „ყოველთა კაცთა“ მავანეების საბუდარია... ავთანდილ, ტარიელმა და ფრიდონმა მოსპეს ქაჯთა სამეფო, მისი მთავარი სადგომი და ქაჯეთი მელიქ სურხავს უბოძეს: ა მ ი თ მ ა თ ე რ თ ი დ ი დ ი ს ა ქ მ ე გ ა ა ა ქ ე თ ე ს, ფ ე ო დ ა ლ უ რ ი ც ი ვ ი ლ ი ზ ა ც ი ა დ ა ი ც ვ ე ს და მისი მავნე გაანადგურეს. ფეოდალი ხელმწიფეები ურთიერთთან კავშირში არიან: არაბეთ-ინდოეთი და ზღვათა სამეფო ერთი მეორეს ავსებენ, ერთ სამყაროს ქმნიან; ქაჯეთი ფეოდალური სამყაროს ბოროტებაა და მას ებრძვიან და სპობენ.

მართალია არაბეთ-ინდოეთში ქალაქი არ აძლევს ტონს, მაგრამ „გულანშაროს“, ე. ი. ვაჭრობა-ხელოსნობის გავლენა აქ ძლიერად იგრძნობა და იგრძნობა არანაკლებად, ვიდრე ზღვათა სამეფოში ფეოდალური ურთიერთობა. როსტევან-ფარსადანი თუ ტარიელ-ავთანდილი კარგად ხედავენ თუ რამდენად აუცილებელია მათთვის „გულანშარო“, ე. ი. ხელოსნობა-ვაჭრობა და ვაჭართ უხუცესი თუ დიდვაჭარ-მობაღდადენი თუ ეგვიპტელნი, ე. ი. უცხო ქვეყნებში მიმომავალნი მათთანაც შესაფერისი პატივით სარგებლობენ

(ისევე როგორც საქართველოს სამეფო კარზე დიდი პატივით სარგებლობდნენ დიდვაჭრები — ზორაბაბელი, უმეკი, შნორჰავორი, შადინი და კარის გარიგების სათანადო მუხლი ან ბექას სამართალი). აქაც ძვირად ფასობს უცხოური, შემოტანილი ფეოდალისათვის აუცილებელი ქალისა თუ კაცისათვის სამკაული, იარაღი, სამოსელი, ნელსაცხებელი... ეს არის ოღონდ რომ ყველაფერი ეს მცსობრივი არაა, თორემ ფეოდალური ფენა ძლიერად ჩათრეულია ამ ურთიერთობაში...

ქაჯეთი და დევები ორივე მტერია ნორმალური ფეოდალური ურთიერთობის განვითარებისა. ორივე, „ბოროტებაა" და მათ ანადგურებენ „კეთილის" განსახიერება ფეოდალები... „ბოროტსა სძლიან კეთილმან"... $\left(\frac{4}{21}\ \text{ფ.}\ 111+112\right)$.

1223—1224.

„როშაქ ბრძანა...
მინდორს წავალ, ვიმეკობრებ, ალაფითა ავივსები,
შინა მოვალ შოებული, ადრე ზედა მოვესწრები...

„„გვითხრა მისთა ხელისათა: „წავალ თანა წამომყევით"!
წაგვიტანა მონა ასი, ყველა კაი მისგან რჩევით.
დღისით მზისით ვმეკობრობდით, ღამეთაცა ვიყვნით თევით;
დიავლეწეთ ქარავანი, ლარი ჩვენკენ
გარდმოვდევით".

1220—1249.

ქაჯეთი სახელმწიფოა. ქაჯები ეწოდებათ მათ განსაკუთრებული თვისებების გამო: გრძნება იციან. მათი დამარცხება შეუძლებელია. მათი ხელმწიფე მიუვალ ციხეშია. მეკობრეობა ქაჯთა შორის ბოროტებად არ ითვლება მაშინ, როცა ასეთი რამ არაბეთ-ინდოეთში ან მელიქ სურხავის ქვეყანაში თუ ფრიდონისას. შეუძლებელია. აქ შეიძლება ლაშქრობა. მონაპირეობა, ქვეყნის დარბევა, ქალაქების აღება, დავლა ალაფის შოვნა და ქარავანის ლეწვა. ასე რომ ქაჯეთი ჩვეულებრივი ფეოდალური ქვეყნებიდან გამოირჩევა და მას ჩვეულებრივ ფეოდალურ სახელმწიფოდ არც თვლიან. ქაჯეთთან ნორმალური დამოკიდებულება არა ჩანს, რომ ახლო სახელმწიფოებს ჰქონდეთ. ეს ყველასათვის მიუვალია. ყველას მტერია და მისი მომრევი არავინაა: მიუვალ სიმაგრეში სხედან გრძნება იციან, მეკობრეობენ... იქ, იმ მიუ-

ვალ ციხეში აქვთ დაგროვილი აურაცხელი ქონება ნაძარცვი-ნაალაფევი...

ქაჯეთის საპირისპირო დევები, რომელთაც ქაჯთა წინააღმდეგ განსაკუთრებული შეიარაღება აქვთ საგანგებოდ მომზადებული — (ეს სამი ხელი იარაღი, საგანგებოდ ქაჯთა წინააღმდეგ საბრძოლველი, დევების ქვაბთა აღწერის შემდეგ ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონს ხვდა). იდეა: დევების (ბოროტების) იარაღით გმირებმა — ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონ — ქაჯები (ბოროტება) დაამარცხეს.

(კი, მაგრამ დავარი, ინდოთ მეფის ქალი, აკი ქაჯეთს იყო გათხოვილი) $\left(\frac{4}{23}\text{ ფ. } 88\right)$.

3. საჭურჭლე, დავლა, ალაფი

1196.

„მონათა მიჰხედა სიხარბე მის საჭურჭლისა ძვირისა,

„დაჰვიწყდა შიში მეფისა, ვითა ერთისა გზირისა,
გამოპარება დაასკვნეს მის უებროსა პირისა,
ნახე, თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა!“

საჭურჭლე ძვირი

1188.

ნესტანს „დაუდგეს ტახტი ოქროსა წითლისა მაღრიბულისა“.

1195.

ნესტანი ხადუმებს მოურიგდა, მისცა „საჭურჭლე მძიმე“, „შემოიხსნა მარგალიტი, შემოერტყა რაცა თვალი, მოიხადა გვირგვინიცა გამჭვირვალე ერთობ ლალი“.

„საჭურჭლე მძიმე“

$\left(\frac{4}{23}\text{ ფ. } 85-86\right)$.

803.

ავთანდილი — როსტევანს.

„მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები,
მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათაეისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არასმქონები...“

საჭურჭლე

804.

„რაცა თქვენთვის არ ვარგიყოს საჭურჭლესა დასადებლად,
მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხიდთა ასაგებლად.
ნურა ნუ გშურს საქონელი, ჩემი ჩემთვის წარსაგებლად“...

796.

ავთანდილი — როსტევანს.

„რაცა ღმერთსა, გაუგია თავსა ჩემსა გარდასავლად,
გარდამხდეს და შემოვიქცე, აღარ დამრჩეს გული ავლად;
თქვენნვე განხე მხიარულნი დიდებით და დავლა-მრავლად;
მას რა ვარგო ესე ჩემთვის დიდებად და კმარის დავლად“.

დავლა

741.

ავთანდილი სოგრატს მეფესთან მოციქულობას სთხოვს

„მიაჯე ამოდ გაშვება და თავი გაიგმირეო
ასი ათასი წითელი შენ ქრთამად შეიწირეო“.

764.

თქმულა: ქრთამი საურავსა ჯოჯოხეთსცა დაიურვებს.

771.

„შეკრა წითელი ასი ათასი პირად მზემან და ტანად სარომან,
სამასი თავი სტავრა-ატლასი უხვმან, ნიადაგ მიუმცდარომან.
სამოცი თვალი ლალ-იაგუნდი ფერად მართ ვითა მიუმხვდარომან.
კაცი გაგზავნა ვაზირისასა, ესე ყველანი მისთვის არო მან“.

619.

ფრიდონმა ბიძაშვილები დაამარცხა, ქალაქი წაართვა

„ფრიდონ ნახნა საჭურჭლენი, და ბეჭედნი მისნი დასხნა“. მეფეებს აქვთ საჭურჭლენი, ზოგს ასობით აქვს ის.

საჭურჭლენი დაკეტილია და პატრონის მიერ დაბეჭდილია.

618.

ფრიდონმა და ტარიელმა დაამარცხეს ფრიდონის ბიძაშვილები.

„ფიცხლად წავუღეთ ქალაქი...
მომკალ, თუ ლარი დაჭლიოთ ან აკიდებით, ან ტენით“.

600.

ფრიდონს ჰქონდა მულღანზანზარის ქალაქი.

611.

„მივედით მისსა ქალაქსა ტურფასა, მაგრა ცოტასა“.

612.

„მივედით ვნახეთ ქალაქი მისი ტურფა და მდიდარი,
ყველასა ტანსა ემოსა ზარქაში განაზიდარი“.

497.

ტარიელი ავთანდილს ნესტანისეულ სამხრეს აჩვენებს:

თქვა „მე მაქვს სამხრე, რომელი კვლა წინას მკლავსა მას ების!“

„იგი შეიხნსა, მოიღო თვალვით არ დაიფასების“.

ფასში ან ფასად გამოიხატება საყვარელის მიერ ბოძებული სამხრე.

486.

ხატაეთს, გამარჯვებულ ტარიელს ფარსადანმა უწყალობა;

„აწ გქონდეს ასი საჭურჭლე, ვის შუქნი მოგიფენიან“.

487.

„მომართვეს ასნი კლიტენი ასთავე საჭურჭლეთანი;
თაყვანი ვეც და დავლოცენ დავლანი მათთა სვეოანი;
რა გასცნეს ზომნი, ვით გითხრნე ლაშქართა სისავსეთანი“.

ასობით საჭურჭლე, აურაცხელი თვალმარგალიტით, ოქროთი, ლარით. უმდიდრესი მეფე-ფეოდალები (როსტევანი, ფრიდონი, მელიქ სურხავი, ფარსადანი). ესენი არაფერს ჰყიდიან, მხოლოდ წყალობად თუ საბოძრად გასცემენ. „შედის და გაედინების“ გენიალურად აქვს ნათქვამი შოთას. უთვალავად გასცემენ, ასევე ბიიღებენ. სიუხვე გაცემა, ბოძება-წყალობა ესაა ფეოდალების „საქონელბრუნვა“, მაშინ როცა ვაჭრები მხოლოდ ყიდვით იძენენ... მაგრამ ფეოდალები ვაჭრებისაგან ყიდვით იძენენ. ბაჟი ერთი ძლიერი საშუალებათაგანია შეძენის. ომი, ალაფი... და ვაჭრობა (მეფის ვაჭრები)... ორი სამყარო ხელოსნებისა — მიწისმოქმედთა და ფეოდალებისა. შუაში ვაჭრები. ჯოგები, ფარები.

იარაღ-საჭურველის ქარხნები, ლარის, ნოხების მქსოველნი...

471.

დამარცხებულ რამაზ მეფეს ფარსადანმა

„ხარაჯა დასდვეს, შეჰკვეთეს დრაჰკანი ასჯერ ასია.
ყველა სადაური მრავალი, სხვა სტავრა, სხვა ატლასია“...

462.

ტარიელმა ხატაეთს გაიმარჯვა. საჭურჭლენი მიითვალა. ყ ა ბ ა-
ჩ ა დ ა რ ი დ ე ნახა უცნაური:

„იგი საძღვნად მისად დაედევ, ვისი შუქი მანათობდა“,
„მეფისათვის დავარჩივე, ს ა ა რ მ ა ღ ნ ო დ, რაცა სჯობდა;
ჯ ო რ-ა ქ ლ ე მ ი ა თ ჯ ე რ ა ს ი, ყ ვ ე ლ ა კ ა ი წ ვ ი ვ-
მ ა გ რ ო ბ დ ა.
დ ა ტ ვ ი რ თ უ ლ ი გ ა ე უ გ ზ ა ვ ნ ე, ამბავსაცა კარგსა სცნობდა“.

უმთავრესია ის, თუ სად რა კ ე თ დ ე ბ ა და არა ის, თუ სად რა
ი ყ ი დ ე ბ ა. ვაჭრების სიმდიდრე, ვაჭართა სიმრავლე, ქარავნების
სიხშირე მნიშვნელოვანი გარემოებაა, მაგრამ ვაჭარი მაინც მ ო ს ა-
შ უ ა ლ ე ა და არა შ ე მ ო ქ მ ე დ ი... საქარავნო და საზღვაო ვაჭ-
რობა მონღოლთა დროსაც ძლიერი იყო (ჩინურ-ინდური, ვენეტი-
კური). მაგრამ ქ ა ლ ა ქ ე ბ ი ე ც ე მ ო დ ა, სოფლები ვ ე რ ა ნ დ ე-
ბ ო დ ა და სავაჭრო საქონლად იქცა არა მიწის ნაყოფი, არამედ
თ ვ ი თ მ ი წ ა, არა მიწის მუშის ნამოქმედი, არამედ თ ვ ი თ მ ი-
წ ი ს მ უ შ ე ბ ი (ტყვეები)... ვაჭრები ამ დროსაც არხეინად (შე-
დარებით, რა თქმა უნდა) იყვნენ...

455. ტარიელმა ხატაელნი დაამარცხა

„გაუგზავნე ყოველგნით ლაშქარნი ა ლ ა ფ ი ა ვ ა ღ ე ბ ი ნ ე“...

457.

„მაშინ ღა შევე ხატაეთს მოელად და მოსალვალავად.
კ ლ ი ტ ე ნ ი ს ა ჭ უ რ ჭ ლ ე თ ა ნ ი მომართვეს დაუმალავად“...

460.

„ს ა ჭ უ რ ჭ ლ ე ნ ი გარდავნახენ თავის თავის, კიდის კიდე.
უ ცხ ო ფ ე რ თ ა საჭურჭლეთა, დავშვრები, თუ მოვსთვალვიდე“,
ერთგან ვნახე საკვირველი ყ ა ბ ა ჩ ა და ერთი რ ი დ ე,
თუმცა ჰნახე, სახელისა ცოდნასაცა ინატრიდე“.

საჭურჭლეში ყ ა ბ ა ჩ ა და რ ი დ ე ც.

422.

ტარიელი ხატაეთს მიდის.

„მე შემომძღვნეს რამაზისგან ძღვნად საჭურჭლე საშინელი“...

428.

„კვლა ეძღვნა უცხო მრავალი შესამოსელი ტანისა“.

430.

„წინა ტურფათა ტაიჭთა ძღვნად ჩემთვის მოზიდვიდესა“...

329.

ნესტანისათვის ფარსადან

„მეფემან სახლი ააგო, შიგან სამყოფი ქალისა;
ქვად ფაზარი სხდა, კუბო დგა იაგუნდისა, ლალისა,
კარზედა ბაღჩა, საბანლად სარაჯი ვარდის-წყალისა“.

324.

ნესტანის დაბადების გამო

„ყოელგნით მოვიდეს მეფენი ნიჭითა მრავალგვარითა
საჭურჭლე გასცეს, აიესნეს ლაშქარნი საბოძვარითა...“

282.

ავთანდილ და ტარიელ

„მათ აკოცეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დაჰრიდეს...
ყელი ყელსა გარდააკვდეს, ერთმანერთსა აუტირდეს,
ქარვად შექმნეს იაგუნდი მათნი, თუმცა, ლალად
ღირდეს“.

ძვირფასი ქვები იზომება ლირებით.

162.

ავთანდილი შერმადინს.

„ყმამან უთხრა: „ბომბისმინე, მართლად გითხრობ, არა ჭრელად:
რა მიჯნური ველთა რბოდეს, მარტო უნდა გასაჭრელად;
მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლოდ
უვაჭრელად“.

ვაჭრობა და სასყიდელია იმის საშუალება, რომ მარგალიტი შეიძინო, რომ სასყიდელი (შრომის ენერგიის) დახარჯვაა აუცილებელი, რათა მარგალიტი შეიძინო. „მარგალიტები“ აქ იგულისხმება მიჯნურის გულის მოგება.

156.

ავთანდილი თავის მაგივრად სტოვებს შერმადინს.

„ლაშქართა და დიდებულთა ალაშქრებდი, ჰპატრონობდი;
დარბაზს კაცსა გაგზავნიდი და ამბავსა მათსა სცნობდი
წიგნსა სწერდი ჩემ მაგიერ, უფასოსა ძღვენსა სძღვნობდი“.

ძღვენიც ფასით ან ფასად გამოიხატება.
143.

ავთანდილ სანაპიროს მიდის.

„მე წავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვინაპირო,
თინათინის ქელმწიფობა მტერთა თქვენთა გულსა ვაგმირო,
მორჩილ-ქმნილი გავახარო, ურჩი ყოველი ავატირო,
ძღვენნი გ ა ვ ა ტ ა ნ ე ზ ე ა ზ ე ა, არ სალამი დავაძვირო“,
123.

თ ი ნ ა თ ი ნ ს

„გაძრცელილა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი,
ებურნეს მოშლით რიდენი, ფასისა თქმად საპირონი“.

ფასით ან ფასად გამოიხატება მეფის სამოსელი.

გულანშაროს ფაქტი ახალი ხანის მაჩვენებელი. ვერ იქნება, თუ ჩვენ ვერ დავადასტურებდით გულანშაროს არაბეთ-ინდოეთში, თუ ვერ დავადასტურებდით, რომ გულანშაროები გამრავლდა, რომ ისინი აძლევენ ტონს ქვეყანას, ქვეყნებს... მართლაც ქარავნები მიმოდიან, ინდოეთშიაც გადიან, ფეოდალური ქვეყნების საერთო მფარველობით სარგებლობენ. ფეოდალური საზოგადოება, სამეფო თუ დიდფეოდალთა კარი, მოყმეები ამ ვაჭრებისაგან ფრიად დამოკიდებულნი ჩანან. რით იძენენ ამ უცხოურ საქონელს? ყმებს პატრონი უ ბ ო ძ ე ბ ს, ყმები პატრონის ლაშქარში შედიან და ერთად ლ ა შ ქ რ ო ბ ე ნ, ბაჟს ი ღ ებ ე ნ, ჯ ო გ ე ბ ი ჰ ყ ა ვ თ, ხ ე ლ ო ს ნ ე ბ ი ა მ ზ ა დ ე ბ ე ნ (იარაღს, ლარს, ოქროქედილს), ვაჭრებს ა ვ ა ჭ რ ე ბ ე ნ.
52.

ახლად მეფედ დასმულმა თინათინმა

„მოიხმო მისი გამზრდელი, ერთგული, ნაერთგულევი,
უბრძანა: „ჩ ე მ ი ს ა ჭ ურ ჭ ლ ე, შენგან დ ა ნ ა ბ ე ჭ დ ულ ე ვ ი,
მომართვი ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი.
მოართვეს, გასცა უზომო უანგარიშო, ულევი“.
54.

უბრძანა:

„წადით გახსენით, რაცა სად საჭურჭლენია!
ამილახორო, მოასხი რემა, ჯორი და ცხენია!“
მოიღეს; გასცა უზომო, სიუხვე არ მოსწყენია,
ლ ა რ ს ა ჰ ხ ვ ე ტ დ ი ა ნ ლ ა შ ქ ა რ ნ ი, მართ ვ ი თ ა
მ ე კ ო ბ რ ე ნ ი ა“
60.

სოგრატ და ავთანდილ როსტევანს:

„მართალ ხარ, წახდა საჭურჭლე თქვენი მძიმე დაძვირიო“.

44.

თინათინის საჯდომი.

„მათ რომე დადგეს საჯდომი. თქვეს უთქმელია ფასისა“.

ფასში ან ფასით გამოიხატება მეფის საჯდომი.

$\left(\frac{4}{23}\text{ ფ. } 131-154\right)$.

336.

სარიდანი მეფე იყო. ის ფარსადან ხელმწიფეს შეეწყნარა ყმად. „სწორად თავისა“ დაიჭირა. ამირბარობა უწყალობა. სარიდანი გარდაიცვალა. ფარსადანმა ტარიელისათვის ბრძანა „ბოძება მისეულისა სრულისა საკარგავისა“:

„შენ გქონდეს ამირბარობა, ქმნა მისვე საურავისა“...

ეს იყო სარიდანის საკარგავი.

338.

ტარიელი ყოყმანობდა მამის სახელოს დაჭერას, მაგრამ „არ მომეშვნეს დავმორჩილდი, თაყვანი ვიც ამირბარად“.

796.

ავთანდილი ანდერძში სწერს როსტევანს:

„რაცა ღმერთსა გაუგია თავსა ჩემსა გარდასავლად,
გარდამხდეს და შემოვიქცე, აღარ დამრჩეს გული ავლად;
თქვენვე გნახე მხიარულნი დიდებით და .დაელა-მრაელად“.

დავლას .დიდი მნიშვნელობა აქვს ფეოდალურ სამყაროში.

„არა არს ღონე დარჩომისა ჩვენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა“ (ქცა, II, 15). მაგრამ შოთას ფეოდალები, მეფეები სრულიადაც მეკობრეები არ არიან, პირიქით, ისინი ებრძვიან მეკობრეებს და იცავენ მშვიდობიან ვაჭრებს. მტრის ქვეყნის რბევა მიღებული წესია და თუ საგანგებო პირობით არაა მშვიდობიანი ურთიერთობა ყმადნაფიცობის, მოხარკეობის, შეძღვნეობის პირზე, უამისოდ მეზობლებს შორის ომია. ასეთია საშუალო საუკუნეების საერთაშორისო ეთიკა. მაგრამ სხვადასხვა ძალისაა ეს ეთიკა სხვადასხვა მეურნეობის ქვეყანათა

შორის. XII საუკუნის საქართველოს ორგანიზაცია, დავითის მიერ შექმნილი, შეეწყო შემოსეულთ (მონაპირე)... $\left(\frac{4}{21}\text{ ფ. } 116\right)$.

4. ვეფხისტყაოსანი ფეოდალის სიმდიდრის შესახებ

1262.

ავთანდილი ფატმანს.

„გგონივარ ვინმე ვაჭარი, პატრონი ქარავანისა;
მე ვარ სპასპეტი მაღლისა მეფისა როსტევანისა,
თავადი სპისა დიდისა, მათისა შესაგვანისა,
მაქვს პატრონობა მრავალი საჭურჭლე —
— ზარდახანისა“.

ფეოდალის სიმდიდრე. საჭურჭლე, ზარდახანა.

1315.

ავთანდილი ფრიდონის მონებს:

„თქვენ მოგცე ლარი ყველაი მე, ჩემი ნაალაფავი“...

1316.

„აწ წაიღეთ ყველაკაი, მეკობრეთა წანაღები“.

1317.

„მისცა მართ საესე ხომალდი, რიცხვი ტურფათა ლარისა“.

ფეოდალის სიმდიდრე: ნაალაფევი.

1364.

ტარიელი ავთანდილს:

„მე ოდეს ქვაბნი წაუხვენ, დავხოცე დევთა დასები,
მას აქეთ მათი აქა ძეს საჭურჭლე ძვირ-ნაფასები“.

1365.

„მოდი და გავხსნათ, შევიგნეთ, საჭურჭლე თუ რა ზომია“.

1366—1369.

დევების საჭურჭლე.

„მუნ იდვა რიყე თვალისა, ხელ-წმინდად განთალისა,
ჩნდის მარგალიტი ოდენი ბურთისა საბურთალისა;
ვინმცა ქმნა რიცხვი ოქროსა, ვერ ვისგან
დანათვალისა!?“

„პოეს ერთი ზარღახანა, აბჯრისათვის სახლად ქმნილი:
მუნ აბჯარი ყოელი-ფერი ასე იდვა, ვითა
მწნილი...

ჯაჭვი, ხმალი, მუზარადი, საბარკული მათი გვანი,
ზურმუხტისა ბუდებითა იყვნეს ვითა ლუსკუმანი“...

ფეოდალის სიმდიდრე.

1374.

ტარიელ და ავთანდილ.

„რა გათენდა, გაემართნეს, წაიტანეს ასმათ თანა.
ნურადინის ქეეყანამდი შეისვიან მათ უკანა;
მუნ ვაჭარმან ოქროს ფასად ცხენი მისცა, არ
უძღვანა“.

ჩვეულებრივი მოვლენაა, და ასე აქვს ნაგულისხმევი შოთას, ეს ყიდვა „ოქროს“ „ფასად“ და უპირველეს ყოვლისა ცხენის ყიდვა. აქ ხაზგასმულია მხოლოდ ის გარემოება, რომ ვაჭარი ცხენს, ისევე როგორც სხვა საქონელს, ჰყიდის...

ვაჭარიც იმის ვაჭარია...

1375.

ავთანდილი და ტარიელი.

ნურადინის მეჯოგეებს შეხვდნენ თავი მოიმეკობრეს და საუკეთესო ტაიჭებს პყრობა დაუწყეს.

ხმა დავარდა. ნურადინს შეატყობინეს და ისიც შეეკაზმა მეკობრეთაგან თავისი ჯოგის დასაცავად.

ჯოგი. ფეოდალის სიმდიდრე.

1385.

ავთანდილი, ტარიელი.

„გამოისვენეს ამას ღამით ფრიდონის მასპინძლობითა;
აბანოს ბანნა, აავსნა შესამოსლისა ძღვნობითა,
დამოსნა ტურფა-ტურფითა, ერთმანერთისა მჯობითა,
თვალ-მარგალიტი ღარიბი უძღვნა ოქროსა გობითა“.

1425.

ქაჯეთის ციხე აიღეს „რომე პოვნეს საპურჭლენი, აწმცა თვალ-ვა ვით ითქმოდა!“

„მოკრიფეს ჯორი, აქლემი, რაცა ვით პოვეს მალები;
სამიათასსა აჰკიდეს მარგალიტი და თვალები,
თვალი ყველაი დათლილი, იაგუნდი და ლალები“.

ფეოდალის სიმდიდრე.

1437.

ზღვათა მეფე

„უხვად გასცემს საბოძვარსა, საჰურჭლესა ანაკიდსა,
პერპერასა დაფანტულსა ზედა სცეთდეს, ვითა ხიდსა.

1438.

„მუნ იდვას გ ო რ ი ლ ა რ ი ს ა, სტავრისა და ატლასისა;
ტარიელს უძღვნა გვირგვინი ვერ დანადები ფასისა,
ი ა გ უ ნ დ ი ს ა მ რ თ ე ლ ი ს ა, ყვითლისა მ ე ტ ი ა დ ხ ა ს ი ს ა,
კვლა ერთი ტ ა ხ ტ ი ო ქ რ ო ს ა, წითლისა მართ ხალასისა“.

1439.

„ნესტან-დარეჯანს ყ ა ბ ა ჩ ა, უძღვნა შემკული თვალითა,
იაგუნდითა წითლითა, ბადახშითა და ლალითა“.

1440.

„ავთანდილს და ფრიდონს უძღვნა უსაზომო დიდი ძღვენი:
ძვირფასისა უნაგირი, უკეთესი თ ვ ი თ ო ცხ ე ნ ი,
თ ვ ი თ ო კ ა ბ ა თ ვ ა ლ ი ა ნ ი, უცხო ფერთა შუქთა მფენი“!

ფ ე ო დ ა ლ ი ს ს ი მ დ ი დ რ ე.

1440.

ზღვათა ხელმწიფეს ძვირფასი საჩუქრებისათვის ავთანდილმა და ფრიდონმა მადლი მოახსენეს.

„მოახსენეს: მადლი რა ვთქვათ, ს ვ ი ა ნ მ ც ა ა დ ა ვ ლ ა თ ქ ვ ე ნ ი“.

დ ა ვ ლ ა ს ი კ ე თ ე, ს ი მ დ ი დ რ ე.

(და რა თქმა უნდა არა მხოლოდ ომში ნაშოვნი).

1443.

ტარიელი ფატმანს:

„აწ რაცა ქ ა ჯ თ ა ს ა ჰ ურ ჭ ლ ე ქ ა ჯ ე თ ი თ ა მ ი კ ი დ ი ა,
მომიცემია, წაიღე, ა რ კ ი დ ე მ ო მ ი ყ ი დ ი ა“.

1460.

ავთანდილ, ნესტან, ტარიელ

„მივიდეს, სადა ქალაქი, დიდი მულღაზანზარია:
სცემდეს ბუკსა და ტაბლაკსა, გახდა ზათქი და ზარია,
მოაწყდეს მ ო ქ ა ლ ა ქ ე ნ ი, დააგდეს მუნ ბაზარია“.

1461.

„შ უ კ ა თ ა მ ო დ გ ე ს ვ ა ჭ ა რ ნ ი, ყოვლგნით მჭვრეტელთა ჯარია;
შორს უ ა რ ე ბ დ ე ს სარანგნი, ხელთა აქვს მათ აბჯარია.
ზოიჯრებოდეს ჯ ა ლ ა ბ ნ ი, სარანგთა დაშსაჯარია“.

1462.

„გადახადეს ფრიდონისასა, სრა ნახეს მოსაწონები,
გამოეგება მრავალი ოქროს სარტყლისა მონები,
ფერხთა საფენლად ოქსინო, მართ მათგან არ
ნაქონები,
თავსა აყრიდეს ოქროსა, ხვეტს ჯარი მუნ ნარონები“,

ფრიდონის სიმდიდრე.

1464.

ქორწილი ფრიდონთან.

„ქორწილი ქმნეს და გამრავლდა ძღენობა ლარისა ლბილისა...“
მოიღეს ძღვენი უსახო ფრიდონის არ-ალქატისა,
ცხრა მარგალიტი სიდიდით მართ ვითა კვერცხი ბატისა.
კვლა ერთი თვალი სამსგავსო მზისა შუქ-მონამატისა“.

1466.

„კვლა უძღვნა თეითო ფარღული, გარდასაყრელი ყელისა,
მრგვალად დათლილსა თვალისა, იაგუნდისა მრთელისა“.

1467.

„იგი ტაბაკი სავსეა მარგალიტითა სხვილითა...
აივსო სახლი სტავრითა და ოქსინოთა ლბილითა“.

1500.

ქვაბში დაცული საჭურჭლე ტარიელმა ფრიდონს უძღვნა:

„აწ საჭურჭლე რაზომიცა აქა ძეს და ან იდების
შენი იყოს ყველა კაი, შენ წაიღე ვითა გვხვდების“.

1502.

„ფრიდონ კაცნი დააბრუნნა მოსასხმელად აქლემისად.
სახლსა მისსა მისაღებად მის ყველასა საჭურჭლისად“.

1551.

ქორწილი არაბთა მეფესთან

„იაგუნდისა ჯამები იყვის, ლალისა ჭიქები.
კვლა უცხო ფერთა ჭურჭელთა სხდის უცხო-უცხო სიქები“.

1552.

„შეყრით ძეს გორი ოქროსა და ბადახშისა თლილისა“.

1553.

„არა დარჩა უსაბოძვრო არ კოპლი და არ საპყარი;
მოდიოდა მარგალიტი მოფანტული, მონაყარი;
გაბედით და წასაღებლად ატლასი და ოქრო მყარი“.

1558.

„ყელა უძღვნა ძღვენი ორთავე, მსგავსი მათისა ბედისა,
ათასი თვალი, ნაშობი რომანულისა დედისა,
ყელა მარგელიტი ათასი მართ ვითა ყვერცხი ტრედისა,
ათასი ცხენი ტაიჭი, სიდიდით მზგავსი ქედისა“.

1559. ფრიდონს უძღვნა ცხრა ტაბაკი მარგალიტი თავ-შედ-ვმული, ცხრა ტაიჭი, ძვირფასისა უნაგრითა შეკაზმული.

იაგუნდით ჯამები ლალის ჭიქები მარგალიტი ოქრო ატლასი თვალი ტაიჭი უნაგირი	ფეოდალური სიმდიდრე $\left(\frac{11}{23}\text{ ფ. } 89-103\right)$.

5. ვეფხისტყაოსანი ქალაქებისა და ვაჭრობის შესახებ

1594.

ვაჭრებმა ტარიელს მოახსენეს:

„მოსულა ხატათ ლაშქარი, ქალაქსა შემოსდგომია“.

1595.

„გარეთ ციხენი წაუხვამს, ყველაი გარდამხდარია“.

ისე ჩანს, რომ ინდოეთის სამეფო ტახტიც ქალაქშია, მაგრამ შისი მნიშვნელობა სხვაა, ვიდრე გულანშაროსი... $\left(\frac{4}{24}\text{ ფ. } 104\right)$.

1177.

ფატმანი (აცილებს ნესტანს).

„შეევ საკურკლეს, რომელსა ფასი არ დაედებოდა,
თვალ-მარგალიტი ავიღე, რაც ოდენ ამეღებოდა,
თვითო და თვითო თვითოსა ქალაქსა ეფასებოდა.
მიეე, მას წელთა შეევარტყი...“

საინტერესოა, რომ ერთი თვალმარგალიტი ქალაქს ეფასება: ფეოდალური მოხმარების საქონელი მეტად ძვირად ფასობს.

ეს ასეა, მაგრამ აქედანვე ჩანს, რომ ქალაქი განსაკუთრებით ძვირფასია ფეოდალისათვის: ის თვალმარგალიტის შესაფასებლად გამოდგება: ქ ა ლ ა ქ შ ი ა ს ი მ დ ი დ რ ე, ქალაქია სიმდიდრის სინონიმი. $\left(\frac{4}{23}\text{ ფ. } 84\right)$.

1121—1127.

იშვიათი რეალისტურობით აქვს ავტორს მოთხრობილი ამ საკვაჭრო ქალაქის ცხოვრება. ნავროზობის წესი, როცა არავინ არ საქმობს, გზად (საკვაჭროდ) არ წავლენ, არც შინ ვაჭრობენ, ყველა იკაზმება, ყველგან მხიარულებაა, მუსიკა; მოედანს კი მღერა, ბურთობა, მარული.

დიდვაჭრები ამ დღეს მეფეს ძღვენს მიართმევენ, მეფე კი მათ საბოძვარს უბოძებს.

დიდვაჭართა ცოლები კი დედოფალს ეწვევიან. ვაჭართუხუცესი დიდვაჭრებს წაუძღვების წინ, მათ ცოლებს კი დედოფალთან ვაჭართუხუცესის ცოლი წაასხამს. ესენიც დედოფალს ძღვენს უძღვნიან, დედოფალიც მათ უბოძებს.

ხათუნები უკან წამოვლენ და პ უ რ ო ბ ი ს გ ა მ ა რ თ ვ ა მართებს ვაჭართუხუცესის ცოლს. „ბ ა ღ ძ ი ტ უ რ ფ ა ს ა ხ ლ ე ბ ი ა ზ ღ ვ ა ს ა ზ ე დ ა დ ა კ ი დ ე ბ უ ლ ნ ი“. აქ იმართება პურობა, სადაც მ ს მ ე ლ ქ ა ლ ე ბ ს მომღერალთა ტკბილი ხმა ატკბობს....

ვაჭართუხუცესიც და მისი ცოლიც სულ მუდამ ვაჭრობის საქმეში არიან გართულნი (1162 — ვაჭრობისა საქმისაგან მოვიცალოთ, იგი ვნახოთ). ს ა ფ ი ქ რ ე ბ ე ლ ი ხ დ ე ბ ა, რ ო მ ა ს ე ვ ე ა დ ი დ ვ ა ჭ ა რ თ ა ც ო ლ ე ბ ი ც... არსაიდან არ ჩანს, რომ აქ მაჰმადიანური ჰარამხანის მსგავსი რაიმე იყოს... დ რ ო დ ა დ რ ო ვ ა ჭ ა რ თ უ ხ უ ც ე ს ი უ ს ე ნ ი დ ა რ ბ ა ზ ს მ ი დ ი ს, მ ე ფ ე ს ე ა ხ ლ ე ბ ა, ძ ღ ვ ე ნ ს მ ი ა რ თ მ ე ვ ს.

მეფეს უყვარს უსენი. იგი მისი „არიფია“, მეფესთან ს მ ა შ ი ზ ი ს.

უსენმა ნესტანი მეფეს სასძლოდ უძღვნა. მეფემ „უ ბ ო ძ ა უ ს ე ნ ს უ ზ ო მ ო მ უ ქ ფ ა დ მ ი ს მ ზ ი ს ა დ ა რ ი ს ა დ“.

დამახასიათებელია, რომ ზღვათა ხელმწიფე ამ დიდვაჭრებს ძღვენის სანაცვლოდ (მუქფად) უ ბ ო ძ ე ბ ს და არსად ჩანს, რომ ის მათ მიწა-წყლით შეიწყალებდეს. ამავე დროს ეს მელიქ სურხავი ხელმწიფეა „ს რ უ ლ ი ს ვ ი თ ა დ ა დ ა ვ ლ ი თ ა““. მისი ქვე-

ყანა დიდია, „თ ვ ი ს ა ა თ ი ს ა ს ა ვ ლ ი თ ა...“. მისი შვილი სადღაც ლაშქარს არის წასული და მეფე მის გამარჯვებით დაბრუნებას ელის, მეფის შვილი „კ ა რ გ ი ყ მ ა ა“, „გულოვანი“, „უებრო ზნედ და თვალად“, შვენიერი პირად, ტანად. და თუ მელიქ სურხავი დიდვაჭრებს მიწა-წყალს არ უბოძებს, ეს იმის ნიშანი კი არაა, რომ ეს მეფე ფეოდალური ურთიერთობის მეფე არაა, არამედ იმის, რომ ფეოდალური მეფენი ვაჭრებს მამულებს არ უწყალობებდნენ. მამულის წყალობა რომ „ლაშქარსა შიგან“ მონაწილეობას, მეომრობას გულისხმობდა, „ვ ა ჭ ა რ ი კ ი მ ე ო მ ა რ ი ა რ ი ყ ო დ ა მ ა შ ა რ ც მ ა მ უ ლ ი შ ე ი ძ ლ ებ ო დ ა ს ტ ე რ ო დ ა. ვაჭარს შეეძლო ეყიდნა მამული, შეეწირა ის და სხვა. (და ასეთი მამულის სამსახურს, თუ ემართა, გამყიდველი გასწევდა), მაგრამ მამულის წყალობად მიღება ვაჭარს არ შეეძლო. სწორედ ეს იგულისხმება ერთერთ აღმოსავლურ წყაროში, სადაც ნათქვამია: «Купцу не нужно стремиться к приобретению поместий: серебро — это для него земля, вода и виноградник» (Гордлевский, Государство Сельджукидов в Малой Азии, 115). ასე რომ ეს მეჭურჭლეთუხუცესი, ერისთავთერისთავები, დადიანი, გამრეკელი, ჯაველი, აბულასანი უპირველეს ყოვლისა დიდი ფეოდალები არიან და არა დიდვაჭარნი ან ვაჭართუხუცესნი (როგორც ზანქანი ან უმეკი, შნორჰავორი და შადინი) და კახა თორელს იმიტომ კი არ დაუწყია ბაღდადური ალაფით ვაჭრობა, რომ მისი ხელობა ეს იყო, არამედ იმისათვის, რომ რკონისათვის შეეწირა სოფელი, რომელიც მას უნდა ეყიდნა ყოვლად თავისუფალი და ფეოდალური მოვალეობისაგან გამოსული, ხოლო მოუდევრობის მიზნით მას ეს სოფელი საკუთრად მისი შრომით შოებული ფულით უნდა ეყიდა და არა მისი საფეოდალო სახლიდან შემოსული ფულით. ასე რომ მეჭურჭლეთუხუცესი ჩვეულებრივი ფეოდალია. მას, მართალია, მეფის ქალაქების და ვაჭრების საქმე ეკითხება, მაგრამ ამით ის ფეოდალობას არ კარგავს და ასეთადვე რჩება. ასე რომ, თუ ყუთლუ არსლანი უ ხ ა ნ ო და უ გ ვ ა რ ო ა, ის ვაჭრობით აღზევებული კი არაა, ვაჭრობით გამდიდრებული კი არაა (ქ-ცას ეახტანგის კომისიას ჩანს არ ესმოდა რეალური ვითარება და ამის შედეგია მათი გლოსა რომ უგვაროებს გაალაღებს სიმდიდრეო), არამედ გიორგის მიერ აღზევების საფუძველზეა გამდიდრებულ-გალაღებული, როგორც მეჭურჭლეთუხუცესი, რომელიც მეფეთა ადგილზე ჯდომას აპირებს...

ის ისეთივე ფეოდალია, როგორც გვიანი ხანის ქალაქის მოურავები სააკაძე, ციციშვილი და სხვა. (თუმცა მოურავი მეჭურჭ-

ლეთუხუცესს მხოლოდ ემსგავსებოდა და იგივე კი არაა)... ასე რომ ცდა ყუთლუ-არსლანის დაკავშირებისა ქალაქის ელემენტებთან დაუსაბუთებელია....

მეჭურჭლეთუხუცესი ისეთივე ერისთავთერისთავია, როგორც ამირსპასალარი ან სხვა ვაზირი. აბულასანი აკი დასახელებულიც არის ასეთად. მეჭურჭლეთუხუცესს ისევე აქვს შეთავსებული ერისთავთერისთაობა, როგორც სხვა ვაზირებს. ასეთივე იყო, რა თქმა უნდა, ყუთლუ არსლანიც, რომელსაც, როგორც ჩანს, კიდევ უფრო მაღალი საერისთაო პატივი სურდა მიეღო, ვიდრე აქამდე ჰქონდა. აი ისევე, როგორც მაგალითად ჰერეთის ერისთავი იაჯდა არიშიანობას $\left(\frac{4}{23}\right.$ ფ. 78—81$\left.\right)$.

1632.

ტარიელ და მისმა მეგობრებმა რამაზ მეფე დაიმორჩილეს.

„ადგეს და ქალაქს შევიდეს, თვით გარდახდეს სრასა მათსა". ინდოეთ მეფის სრაც ქალაქშია.

1644.

ტარიელი მეფედ ზის.

„ოქრო თვალი, მარგალიტი, შვენიერი სანახავად.
ყოვლგან იდვის ეითა გორი, მოდის ველთა მოსარწყავად;
ესცა სწადდის, ალაფობდის, წაიღიან უკითხავად".

1645.

ფრიდონისა და ავთანდილის მოლაშქრეებს:

„თვითოს კაცსა თითო ჯორი მარგალიტი ანაკიდი.
ესე მისცა საბოძვარი...".

1646.

ფრიდონისა და ავთანდილის საბოძვარი ენით არ გამოითქმება.

1648.

„ტარიელ რამაზ მეფესა უბოძა საბოძვარია;
უბრძანა: „ხარკსა მოგვცემდი, მართ ვითა შენი
გვარია".

ხარკი-ხარაჯა ფეოდალური შემოსავალი.

1649—1653.

ტარიელმა ასმათს მისცა ერთი სამეფო.

ქმარი შერთო ვინმე კარგი მოყმე და ყმად შეიწყალა.

1658.

ტარიელმა ავთანდილს

„როსტენისთვის წაატანა საძღვნოდ ტ ურ ფ ა ჯ უ ბ ა ჩ ე ბ ი,
კვლა ჭურჭელი თ ვ ა ლ თ ა თ ლ ი ლ თ ა, არ კოვზები, არ ჩამჩები“.

ჯუბაჩები
ჭურჭელი } მეფის საჩუქარი

1579.

„ქედსა ზედა გარდმოადგა მეტად დიდი ქარავანი;
კაცები და სახედრები ერთობ იყო შაოსანი“.

1580.

„მ ო ა ს ხ ნ ე ს ი გ ი ვ ა ჭ ა რ ნ ი და მ ა თ ი უ ხ უ ც ე ს ი ა,
ი ნ დ ო ე თ ს მ ი ს რ ი თ მ ო ს რ უ ლ თ ა გ ვ ი ე ლ ი ა გ ზ ა უ გ რ ძ ე ს ი ა“.

1061—1080.

სიყვარულით, ცოცხლად დახატული სურათი მხიარული, ჯანღონითსავსე სავაჭრო ქალაქისა.

ბაღებით გარშემოცული, ყველაფრით მდიდარი ზღვისპირა ქალაქი, ცხოველი ყიდვა-გაყიდვა შორით მოტანილი საქონლისა. მოგება, წაგება, გამდიდრება, დაგლახაკება. მრავალი ქარვასლა, — ვაჭართა ქარავნის სადგომები...

ცხოველი მოძრაობა, თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ქ ც ე ვ ა. ავთანდილს შემოეხვევნეს ქალაქისა ერნი სრულად... აქ ქალები და კაცები ერთიმეორეშია არეული. „მათთა ც ო ლ თ ა მ ო ი ძ უ ლ ვ ნ ე ს, ქ მ ა რ ნ ი დ ა რ ჩ ე ს გ ა ბ ა ს რ უ ლ ა დ...“ ვაჭრობის წესი: მოსულ ქარავანს ვაჭართუხუცესი ქარვასლაში მოათავსებს. ქარავანთუხუცესს თავისთან გამოასვენებს. ქარავანთუხუცესი ვაჭართუხუცესს ყოვლის უტურფეს საქონელს უჩვენებს, ძღვენს შესძღვნის. ვაჭართუხუცესი ყველაზე უტურფეს საქონელს სამეფოდ გადასდებს და ამის ფასს დაუთვლის. დარჩენილი საქონელი თავისუფალია და ვაჭარი მას, როგორც უნდა, გაჰყიდის...

გ უ ლ ა ნ შ ა რ ო, ერთის შეხედვით, ფეოდალურ ქალაქს არც კი გავს, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს არასწორი წარმოდგენა ფეოდალურ ქალაქზე, როგორც ვხედავთ.

1061—1080.

აქ ადვილად თავსდება ფეოდალი (ხელმწიფე მელიქ სურხავი) და ცხოველი ქალაქის ზრდა-განვითარება და ოდნავადაც არ იგრძნობა ფეოდალური ციხე-ქალაქი... ეს ვაჭართუხუცესი ქალაქის

მოურავსა ჰგავს ან ქართული საისტორიო წყაროების მეჰურჭლეთ-უხუცესის ნაცვალს.

აქ, გულანშაროში ყველაფერი მოწესრიგებულია. ვაჭრობა უზრუნველია. ქალაქის წესრიგს სარანგები იცავენ... მონები მსახურობენ, ქარვასლებს უვლიან მზიდავები, „დამიზდებულნი" მუშაობენ.

უსენი და ფატმანი „მ ო ს ა დ გ ო ს ა ე ბ ი ს ა ... ...

1062.

„მათ ბაღთა პირსა დაიბეს ნავი საბლითა სამითა...
მოისხნეს კაცნი მზიდავნი დამზადებულნი დრამითა“.

1064.

ვითომდა ავთანდილი ეკითხება მებაღეს
„რა ღარია უფრო ძვირად, ანიეფად რა იხსნებისა?“

1216.

ეს ქალაქს აქვს დარაჯაგნი (საყარაულო), მასვე აქვს ხანაგა, სადაც მოსულნი დადგებიან ხოლმე, სასმელ-საჭმელს დრამით ყიდულობენ და ხანაგაში მოიტანენ საჭმელად.

1028—1060.

მოცემულია ფრიად საგულისხმო მომენტი.

ზღვათა მეფის ქალაქისაკენ ქარავნები მიდიან; ეგვიპტით გამოსულთ მობაღდადენი მისდევენ. ძვირფასი საქონელი მიაქვთ ლარი, მარგალიტი, აურაცხელი „საჭურჭლე“... გზაში მეკობრეები ბუდობენ, ქარავნებს ლეწავენ. ეს მეკობრენი ძლიერი მეომრები არიან (აი ისეთი როგორიც იყო როშაქ). ვაჭრები კი ჯაბანნი და ომის უმეცარნი არიან. ისინი აღიარებენ კიდევაც თავიანთ „ცვილობას“ (არ მაგრობას)... ასეთ პირობებში მათ მცველი, პადრაგა, მფარველი სჭირიათ... ამისათვის მოწოდებულნი არიან ფეოდალები, რომელნიც ებრძვიან მეკობრეობას, მფარველობენ ვაჭრებს. რა თქმა უნდა, არაა საფიქრებელი, რომ ფეოდალების საჭურჭლენი ეს ნამეკობრევია. ის შეიძლება ნაალაფევი იყოს, დაცლა იყოს, ომში ნაშოვნი იყოს, მაგრამ არა ნამეკობრევი. როშაქი ქაჯთა ჯარის უფროსია და მისი მეკობრეობა ამით აიხსნება. წესიერ, ცივილიზირებულ ფეოდალურ ქვეყანაში მეკობრეობა ისჯება, ის არღვევს ნორმალურ ცხოვრებას, აფერხებს მის განვითარებას (გუზანის მეკობრობა დაგმობილია. გიორგი III კანონი მეკობრეთა წინააღმდეგ ფრიად დამახასიათებელია და ნიშანდობლივია მოწესრიგებული სახელმწიფოსათვის). ფეოდალებს კარგათ ესმით ვაჭრებისა და ვაჭრობის მნიშვნელობა. ფეოდალების სამოსელი, იარაღი, სამკაული ხომ სულ ვაჭრების შემოტანილია. ამ მხრით ფეოდალური საზოგადოება დიდადაა დამოკიდებული ვაჭრისაგან. დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა ფეოდალი დათვივით იჯდა თავის ბუნაგში, ადგილობრივ დამზადებულ სამოსელში, გაბანჯგვლილ ცხენზე უხეშ მოგვებში, მძიმე იარაღში. ეხლა ის მოყმე-ჭაბუკია. იარაღი მას ხვარასნული აქვს, სამოსელი ბაღდადური, ძვირ-

ფასი ქვები შუააზიური, მოსასხამი სირიული, ბეწვი რუსული და სხვადასხვა. ფეოდალის ყოფაში სულ უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებს უცხოური სამოსელი, სამკაული, ნელსაცხებელი, იარაღ-საჭურველი და ყველაფერი ეს შემოაქვთ ვაჭრებს. ვაჭრებმა იციან საიდან რა მოიტანონ, ვაჭრები იცნობენ ცის დასალიერ ქვეყნებს. ისინი ბ რ ძ ნ ე ბ ი არიან. ვაჭრები არიან ე ლ ჩ ე ბ ი. ფეოდალები კარგად გრძნობენ ვაჭართა ფასს, პატივს სცემენ მათ და განსაკუთრებულ მფარველობაში ჰყავთ... ზრუნვა გზებზე, მათ დაცვა-კეთილმოწყობაზე გასაგებია. ბ ა ჟ ი უდიდესი შემოსავალია ფ ე ო-დ ა ლ ი ს ბ ი უ ჯ ე ტ შ ი... ვაჭრებსავე გააქვთ ფეოდალების საქონელი (ოთხფეხი, ღვინო, კაკალი, რკინა, მატყლი, აბრეშუმი, ცხენები, ცხენის იარაღი, უნაგირები, ნოხები...).

1057.

ავთანდილი მოქარავნეებს: „აწ რაცა აქა ვიშოვე ს ა ჭ უ რ ჭ ლ ე დ ა უ თ ვ ა ლ ა ვ ი, რაცა ვის განდა, წაიღეთ...“.

1058.

„მე სავაჭროსა ჩ ა ვ ი ც ვ ა მ, დავიწყებ ჯ უ ბ ა ჩ ო ბ ა ს ა“.

1960.

მადლობელნი მოქარავნენი ავთანდილს:

„მ ა ს მ ა რ გ ა ლ ი ტ ს ა, მას ყმასა კბილთავე ფერსა ს ძ ღ ვ ნ ი დ ი ა ნ“.

1054.

გამარჯვებულ ავთანდილს გადარჩენილმა

„უსამ მოართვა ვაჭართა შემოთვლილობა:
შენგან ვარ გამაგრებულნი, ჩ ვ ე ნ ვ ი ც ი თ ჩ ვ ე ნ ი ცვილობა.—
რაცა გვაქვს იგი შენია, ამას არ უნდა ცილობა,
რასაცა მოგვცემ გვიბოძე, გვიქმნია აქა ყრილობა“.

1056.

ავთანდილი უპასუხებს:

„მე თუმცა რამცა მინდოდა ს ა ჭ უ რ ჭ ლ ე დ ა ს ა დ ე ბ ე ლ ი,
ჩემსაცა მქონდა ურიცხვი უ ს ა ხ ო ლ ა რ-ს ა გ ე ბ ე ლ ი,
რას ვაქნეე თქვენსა, რად მინდა...

1047.

ავთანდილმა მეკობრეები დაამარცხა, მათი ნავები ხელთ იგდო

„მ უ ნ ა ვ თ ა ნ დ ი ლ ს ა ჭ უ რ ჭ ლ ე ნ ი მ ა თ ე უ ლ ი დ ი დ ნ ი ნ ა ხ ა,

„ნავი ნავსა შეატყუბნა, ქარავანსა დაუზახნა...“

1051.

„ნ ა ვ ი ს ა ვ ს ე ს ა ქ ო ნ ლ ი თ ა, მიმიღია ვითა ძღვენი“,

1053.

„იგი ნავი მეკობრეთა მას დღე ნახეს, არ ახვალეს,
მ უ ნ დ ე ბ უ ლ თ ა ს ა ვ უ რ ვ ლ ე თ ა ამარიმცა ვით დათვალეს!
მათსა ნავსა გარდმოიღეს, ნავი სრულად გარდმოსცალეს...“.

1033.

მეკობრეთაგან დალეწილი ქარავნის ერთმა გადარჩენილმა ვაჭარმა აცნობა მობაღდადეთ:

„თქვა: ქ ა რ ა ვ ა ნ ი ე გ ვ ი პ ტ ი თ გამოვემართეთ ერითა,
ზ ღ ვ ა ს ა შ ე ვ ე დ ი თ ტეირთულნი ლარითა მრავალ-ფერითა.
მუნ მეკობრეთა დაგვხოცეს ძელის სახნისის წვერითა,
ყველაი წახდა, არ ვიცი, აქა მოვსრულვარ მე რითა!“.

1034.

უსამი — ავთანდილს:

„....ესეა მიზეზი აქა დგომისა,
დ ა ბ რ უ ნ ვ ე ბ ი თ ა გ ვ ე ც ე მ ი ს ზ ი ა ნ ი არ_საზომისა“...

1040.

„თ ქ ვ ე ნ, ვ ა ჭ ა რ ნ ი ჯ ა ბ ა ნ ნ ი ხ ა რ თ,
ო მ ი ს ა ც ა უ მ ე ც ა რ ნ ი“.

1028.

ავთანდილ ნესტანის კვალს ეძებს.

„ქ ე დ ს ა გ ა რ დ ა დ გ ვ ს, აქლემნი აუჩნდეს ლარ-კიდებულნი,
მ ო ქ ა რ ა ვ ნ ე ნ ი ზ ღ ვ ი ს პ ი რ ს ა დ ა ყ რ ი თ დ გ ე ს
დ ა ყ მ უ ნ ე ბ უ ლ ნ ი“.

1029.

„მუნ ქ ა რ ა ვ ა ნ ი უ რ ი ც ხ ვ ი ი დგა მის ზღვისა კიდესა...
ჰკითხა თუ ვინ ხართ ვ ა ჭ ა რ ნ ი, მათ სუბარი ჰკიდესა“.

1030.

„უ ს ა მ ი ყ ო ქ ა რ ა ვ ნ ი ს ა უ ხ უ ც ე ს ი კ ა ც ი ბ რ ძ ე ნ ი“.

1031.

„გარდაპხდა, ჰკადრეს: „ჩვენ ვართო მ ო ბ ა ღ დ ა დ ე ნ ი“ ვაჭარნი,...
ზ ღ ვ ა თ ა მ ე ფ ი ს ა ქ ა ლ ა ქ ს ა ს ა ვ ა ჭ რ ო დ
გ ა დ მ ო ნ ა ჭ ა რ ნ ი;
ს ა ქ ო ნ ე ლ-ს რ უ ლ ნ ი, მ დ ი დ ა რ ნ ი, არ ლარნი გვაქვან ნაჭარნი“.

1021.

ფრიდონს დაეთხოვა ავთანდილ· ის მულღანზანზარს გაივლის:

„მოატყდეს მოქალაქენი, ლ ა რ ს ა ვ ი ნ ჰ ყ ი დ დ ა: თუ ხილსა;
ხმა ზახილისა მათისა ჰგვანდა აერთა ქუხილსა“...

1013.

ავთანდილ — ფრიდონისას.

„მას დღეს სვეს, ჭამეს, გარდახდა, ნადიმი მსმელთა დასისა,
გათენდა, ბანეს ავთანდილ, რიცხვი ძეს მუნ ატლასისა,
შ ე ს ა მ ო ს ე ლ ი შ ე ჰ ბ ო ს ე ს დ რ ა ჰ კ ნ ი ს ა
ბ ე ვ რ-ა თ ა ს ი ს ა.
შეარტყეს წელთა სარტყელი, დ ა უ დ ე ბ ე ლ ი ფ ა ს ი ს ა“.

დ რ ა ჰ კ ნ ი თ ფ ა ს დ ე ბ ა ფეოდალის შესამოსი, სარტყელი და ეს იმიტომაც რომ ასეთი რამ არის უპირატესად ყიდვა-გაყიდვის საგანი....

1010.

ფრიდონ და ავთანდილ მულღაზანზარს შევიდნენ

„ქ ა ლ ა ქ ს შ ე ვ ი დ ე ს, მ უ ნ დ ა ხ ვ ე დ ა ს რ ა
მ ო კ ა ზ მ უ ლ ი ს რ უ ლ ი თ ა;
სახელმწიფოთა ყოვლითა გასაგებლითა სრულითა;
მონანი ტურფად მოსილნი წესითა იყვნენ რულითა...“

988.

„მოეხვევნეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დარიდონ;
თვით უსახოდ ფრიდონს ყმა და მოეწონა ყმასა ფრიდონ;
რა მჭვრეტელთა იგი ნახონ, მზე მათთანა გააფლიდონ,
მ ო მ კ ა ლ, ბ ა ზ ა რ ს ს ხ ვ ა მ ა თ ე ბ რ ი
ი ვ ა ჭ რ ო ნ რ ა, ან გ ა ყ ი დ ნ ო ნ“.

ყოველი ძვირფასი, ყველაზე უძვირფასესი ბაზარში სავაჭროდ, ბაზარში გასასყიდად იპოვება.

ბაზარი არის (ე. ი. აღებ-მიცემა) ყოველი ძვირფასის ადგილი და რაც აქ არ იპოვება, ის არსად სხვაგან არ იშოვება (შდრ. გორდლევსკი). და ასეთი შეხედულება იმ ნიადაგზე შემოუშავდა, რომ ბაზარში უპირატესად ძვირფას საქონელს, ფეოდალური მოხმარების საგნებს ჰყიდიან, რომ საბაზრო საქონელი უცხოურია უპირატესად...

902.

ავთანდილი — ტარიელს

„არ იხმარებ, რას ხელსა ჰხდი ს ა უ ნ ჯ ე ს ა დაფარულსა“.

ფეოდალური სენტენცია.

895.

ავთანდილი — ტარიელს.

„ეგე სამხრე მისეული. შენ გაჩნია ვისგან წყლული,
„რაგვარ გიყვარს, რ ა გ ვ ა რ გ ი ღ ი რ ს? თქვი დავიღო მერმე
სული“.

898.

„სამხრე გაბია ო ქ რ ო ს ა, ო ქ რ ო მ ჭ ე დ ლ ი ს ა დნობილი...“

რა თქმა უნდა, აქ საუბარი არაა მატერიალურ ღირებულებაზე, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ თვით უძვირფასესი სამახსოვრო „ღ ი რ ე ბ ი თ“ შეიზომება... $\left(\frac{4}{23}\text{- ფ. } 113-136\right)$.

შემოკლებათა ახსნა

ქცა 1 — ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I, თბ., 1955.

ისტ. საბ. შ. მღ. — თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა, თბ., 1896.

მდ. ქცა — მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება, ე. თაყაიშვილის გამოც., თბ., 1906.

ქრ. — თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალები საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, თბ., 1897.

ისტ. აზმ. — ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კეკელიძის გამოც., თბ., 1941.

ათ. კრებული — ათონის ივერის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი, თბ., 1901.

ბ. ე. მ. — ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთა მეფისა თამარისა, ი. ჯავახიშვილის გამოც., თბ., 1944.

წ. — წიგნი ნ. ბერძენიშვილის ბიბლიოთეკიდან, რომელშიაც ჩაწყობილია ნ. ბერძენიშვილის ნაწერი ფურცლები.

შოთა — შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1938.

საძიებლები

გეოგრაფიულ სახელთა

აბოცი 12
აგარათა ჭალა 69
აგარანი 24, 170, 171, 217
ავჭალა 54
ათონი 34
ალაზანი 238
ალამუტი 263
ალბანეთი 92
ალი 113
ამიერკავკასია 16, 24, 119, 120
ანაკოფია 19, 22
ანისი 19, 56, 67, 91, 95, 103, 104, 116, 117, 120, 122, 156, 162, 187, 190, 195, 216, 220
არაბეთი 263, 276, 294, 301, 302, 309
არაგვი 105
არგვეთი 14, 23, 94, 95, 166, 241
არზრუმი 165, 195, 196
არმენია 93
არტაანი 12, 19, 22, 23, 96, 195
არტანუჯი 23, 96, 156, 168, 195
ატენი 13, 15, 19, 113, 115, 118, 187
აფშილეთი 92
აფხაზეთი 11, 21, 23, 28, 53, 62, 92, 94, 106, 107, 156, 166
აღმოსავლეთი საქართველო 146, 167, 168, 173
აწყური 95, 174
ახალქალაქი 96, 115, 169, 187
ახტალა 113
ბაგინეთი 45
ბანა 85
ბარალეთი 117, 118
ბარდავი 120
ბასიანი 20, 162
ბეთანია 115, 116
ბელაყონი 163
ბიზანტია 18, 22, 24, 28, 40, 71, 107, 143, 196, 213, 239
ბირთვისი 17, 23
ბირიტი 56
ბიქვინტა 53
ბოდოკლდე 23, 104
ბოლნისი 113
ბულგარეთი 40

გაგი 96, 104, 169, 171, 221
განძა 16, 18, 21, 163, 221, 228
გარდაბანი 118
გარეჯა 112
გეგუთი 166, 169
გელათი 34, 40, 42, 57, 97, 112, 179, 284
გელაქუნი 172
გიში 43, 64
გლდანი 116
გორი 117, 170, 187
გოხნარი 15
გრიგოლწმინდანი 24

გულაწმარო 258, 263, 264. 265, 266, 302, 309, 319, 320
გურია 156, 166

დარუბანდი 120
დაღესტანი 91
დვინი 91, 120, 163, 195, 196, 216, 220
დასავლეთი საქართველო 167, 169
დიდგორი 56
დიდოეთი 234
დიდუბე 115, 116
დიღომი 116
დლივი 22
დმანისი 187

ეგვიპტე 321
ეგრისი 28, 90, 92
ერევანი 240
ერზინკა 78, 165
ერუშეთი 170
ერწუხი 63

ვალაშკერტი 91
ვანანდი 94
ვანის ქვაბები 118
ვაშლოვანი 130
ვაპანი 118

ზედაზენი 25, 56
ზორაკერტი 96, 221

თბილისი 15, 17, 24, 54, 68, 113, 115, 116, 117, 119, 133, 144, 168, 169, 170, იხ. აგრეთვე ტფილისი
თბილისის საამირო 15
თელავი 115, 187
თმოგვი 96, 104, 156, 170, 173
თორი 171
თრიალეთი 10, 11; 12, 13, 14. 16. 49, 56, 62, 104, 136, 169, 170. 235
თუხარისი 64
თხაბაერდი 91
თხინვალი 116

იბერია 93, 105, 107
იერუსალიმი 42

იმერეთი 114, 181
ინგლისი 182, 248
ინდოეთი 263, 269, 295, 299, 300, 301, 302, 303, 309, 314, 315
იორი 216, 238
ირანი 93, 234
ისანი 115, 120, 140, 142
იტალია 197

კაბენი 115
კაენი 96, 104, 156, 166, 169, 172
კაეწონი 96, 104, 169, 171, 172
კავკასია 103, 120, 230, 231
კამბეჩანი 77
კალმახის ციხე 95
კარი 91, 96, 117, 162, 220
კარნიფორი 162
კარნუქალაქი 78, 162, 165
კაცხი 97
კახეთი 19, 28, 39, 50, 62, 63, 86, 92, 93, 103, 105, 106, 114, 120, 167, 168, 171, 181, 238
კაფა 197
კელასური 92
კიევის რუსეთი 207
კლარჯეთი 22, 23, 78, 92, 93, 162.
კლდეკარი 10, 11, 14, 17, 20, 23, 56, 62, 113, 136
კოლხეთი 107
კონსტანტინოპოლი 23, 95
კორბოული 121
კოქორი, ,ოჭორი 115. 116
კუბეთი 120

ლაზიკა 92, 94
ლელობი 117
ლიხი 22, 53, 166
ლიხთიმერეთი 171, 172
ლიხთიქეთი 152, 172
ლორე 96, 104, 139, 142, 150, 162, 172, 176, 246
ლურჯი მონასტერი 115

მანგლისის ხევი 15, 17
მესხეთი 28, 104, 181, 172, 181
მტკვარი 13, 14, 119, 216, 238

მულღაზანზარო 256, 263, 306, 324
მუხრანი 56, 62
მცირე აზია 182
მცხეთა 120, 182

ნადარბაზევი 115, 116
ნატბეური 117
ნაქარმაგევი 42, 170, 172, 217
ნახიდური 64
ნიკორწმინდა 184, 191
ნიკოფსია 166

ოესეთი 59, 79, იხ. აგრეთვე ოსეთი
ორბეთი 156, 166, 172
ორდორი 20
ორთაკალა 116
ოსეთი 56, 91, 164
ოსმალეთი 123, 240
ოქროს ურდო 197
ოძრხე 23, 104, 169, 217

პალაკაციო 162
პალესტინა 40

ჟალეთი 96, 103
ჟინვანი 96, 172, 187

რანი 54, 92, 93, 120, 223, 239
რაკა-იმერეთი 84
რაკა-თაკვერი 166
რახსი 163, 221
რკინის ჯვარი 169
რკონი 124
რუისი 21, 36, 57, 89
რუსთავი 96, 104, 118, 172, 181
რუსეთი 119, 197, 244

საბერძნეთი 11, 19, 21, 97, 182
საბურთალო 116
საეგრო 166
საზვერე (ზოვრეთი) 113
სამთავისი 229
სამოქალაქო 120, 166
სამშვილდე 12, 14, 24, 62, 63, 67, 117, 118, 131, 187
სამცხე 95, 171
სამძივი 174
სარკინე 118
სასირეთის ჭალა 20
საქართველო 11, 12, 16, 22, 25, 28, 40, 42, 61, 62, 80, 81, 91, 93, 94, 96, 97, 100, 103, 105, 106, 107, 112, 113, 114, 131, 139, 145, 167, 168, 169, 175, 182, 184, 188, 196, 197, 200, 204, 206, 207, 226, 230, 231, 233, 234, 235, 236, 237, 238, 239, 241, 243, 244, 303, 311
საჩხერე 121
სახატე 115, 116, 120
სვერი 113, 121
სივნიეთი 112
სირია 40, 196
სკანდე 113
სკვირეთი 15
სომხეთი 45, 56, 88, 91, 197
სომხითი 19, 44, 63, 93, 96, 142, 150, 156, 169, 170, 171, 172, 216, 223, 228, 232, 239, 246
სომხითის სამეფო 103
სპარსეთი 44, 182, 197
სპერი 93, 221
სულთა 22
სუნჯა 220
სუანეთი 166

ტაბახმელა 115, 116
ტანა 197
ტაო 93, 95, 171, 156
ტაო-კლარჯეთი 19, 152, 167, 228, 235
ტაოსკარი 104, 156
ტაშირი 12, 96
ტრაპიზონი 195, 196
ტფილისი 17, 18, 69, 158, 162, 167, 187, 243, იხ. აგრეთვე თბილისი

უზნარიანი 95, 174
უნაგირა 90
ურბნისი 36, 57
უფლისციხე 23, 95
უჯარმა 113

ფანასკერტი 104

ფარცხისი 24, 116
ფხოეთი 234

ქიკაზინი 24
ქანდა 56
ქართლი 13, 15, 16, 18, 19, 21, 22, 25, 43, 56, 62, 70, 88, 90, 92, 95, 105, 106, 120, 168, 170, 171, 181, 232, 235, 238, 246
ქართლ-კახეთი 167
ქაჯეთი 264, 265, 286, 292, 302, 303, 304, 312
ქვემო ქართლი 93, 167
ქვემო ჯინისი 136
ქვეშის ციხე 166
ქსანი 105, 190
ქუთაისი 90, 92, 113, 116, 120, 168, 187
ქურდვაკრის ხევი 169, 171

ყაბალა 122
ყარსი 94, 122
ყუელი 23
ყურყუთა 116

შავი ზღვა 19, 197
შავშეთი 22, 78, 85, 162
შამახია 56, 120, 122, 216, 217
შამბლუტი 113
შამქორი 187, 224, 228, 229
შარვანი, შირვანი 43, 44, 45, 54, 56, 92, 93, 103, 112, 114, 120, 156, 223, 228, 239, 240
შაქი 93, 112, 228, 239, 240
შაპნაბადი 115, 116
შიდა ქართლი 167
შინდისი 116
შიომღვიმე 25, 57, 60, 112, 114, 118, 121, 191, 284
შირიმი 15
შორაპანი 118
შულავერი 92

ჩიხა 95
ჩორჩანის ციხე 95

ციხისჯვარი 23, 169
ცხენისწყალი 90

ძაღლისხევი 169

წალკა 169
წახური 92
წედისი 113

ხატაეთი 295, 306, 307
ხახული 85
ხინგრის წყალი 170, 171
ხოვლე 24, 203
ხონი 30, 90
ხორნაბუჯი 77, 175
ხუნანი 118
ხუფათი 19

ჯავახეთი 19, 20, 22, 23, 104, 156, 169, 170, 171, 221
ჯაყის ციხე 95

ჰავკალა 116
ჰერეთი 39, 64, 92, 93, 105, 156, 167, 168, 171
ჰერეთ-კახეთი 15, 28, 43

პირთა სახელები

აბაზაძე ივანე — იხ. ივანე აბაზაძე
აბაზაძე 143, 181
აბაზაძეები 145
აბაზაძე ხუთი ძმა 23, 24
აბაშიძე 104
აბულასანი 96, 104, 158, 219, 317, 318
აბულეთი 56
აბულეთის ძე 30
აბუსარი 104
აბუხუასრო 92
ადარნასე ბაგრატიონი 12
ავაგი 112
ავალიშვილი 104

ავთანდილ 69, 113, 175, 225, 227, 255, 256, 258, 259, 264, 265, 266, 267, 269, 270, 271, 273, 274, 276, 282, 283, 284, 285, 286, 287, 288, 289 290, 291, 292, 293, 294, 297, 298. 299, 300, 301, 302, 304, 305, 306, 308, 309, 310, 311, 312, 313, 318, 319, 321, 322, 323, 324, 325
ალექსი (რომანოვი) 106
ალექსი, ბერძენთა მეფის მამის ძმისწული 159, 160
ალექსანდრე მაკედონელი 43
ალექსანდრე I 208
ალექსანდრე II 208
ალექსანდრე დიდი 85, 181
ამანელის ძენი 133
ამანელისძე 149, 155
ამირმირან 77
ამირმირმანი 68
ანდრია მოციქული 174
ანდრონიკე, ბიზანტიის იმპერატორი 195
ანტონი მწიგნობართუხუცესი, გლონისთავისძე 67, 85, 131, 150, 151, 154, 175, 229
ანტონი ქუთათელი საღირისძე 139, 166, 167
არიშიანი 39, 63, 64, 140, 149, 155, 156
არიშიანები 228
არჩილ მეფე 12, 50, 83, 84, 92, 127, 203, 214
არტაშეს 93
ასათ გრიგოლის ძე 96, 155, 156, 163
ასმათი 269, 273, 274, 275, 278, 279, 281, 282, 291, 318
ასპანისძე ზაქარია 85
აფრიდონ მსახურთუხუცესი 67, 83, 84, 85, 88, 96, 104, 107, 131, 135, 136, 138, 151, 155, 160, 177, 178, 249, 250, 251
აქილევსი 226
აღბუღა (ათაბაგი) 73, 75
აღსუნღული 54
აშოტ კუროპალატი 12, 232
ახალციხელები 221

ბაგრატ III 10, 14, 28, 32, 37, 94, 95, 106, 134, 145, 149, 172, 173, 179, 204, 215, 223, 241
ბაგრატ IV 10, 15, 18, 19, 20, 21, 22, 23, 32, 95, 96, 103, 116, 117, 143, 145, 156, 166, 194, 239, 241
ბაგრატიონები 11, 14, 16
ბაგრატიონი ბაგრატ 14
ბაკურ ძაგანისძე 155
ბარამ 63, 64,
ბარამ ვარდანისძე 155
ბასილი, ბიზანტიის იმპერატორი 15, 71, 95
ბასილი ეზოსმოძღვარი 30, 85, 113, 154. 156, 175, 211, 213, 216, 218, 219, 221, 224, 225, 227, 229, 230, 234
ბაღვაშები 14, 16, 17, 26, 95
ბაღვაში 35, 53, 166, 181, 228, 215
ბექა 75, 241
ბერძენიშვილი ნ. 7
ბეშქენ ჯაყელი 30
ბიბილური 83
ბოცო ჯაყელი 155, 162, 163, 164, 165, 166, 169, 171, 199
ბუბაქარ 228

გაბრიელ დაფანჩული 107
გამრეკელ კახაის ძე თორელი 107. 151, 162, 163, 170, 172, 317
გვარამ აშოტის ძე 12
გვრიტიშვილი დ. 207, 208
გიორგი I, 10, 15, 32, 95, 145, 241
გიორგი II 24, 25, 26, 32, 47, 59, 63, 64, 156, 241
გიორგი III 45, 67, 69, 88. 106, 116, 117, 120, 121, 131, 132, 134, 135, 145, 151, 159, 162, 166, 172. 175. 183, 179, 192, 204, 209, 210, 216, 246, 247, 249, 262, 321
გიორგი IV ლაშა 88, 162, 169, 178, 196, 209, 210, 218, 220

გიორგი V ბრწყინვალე 105, 189, 190, 241
გიორგი VIII 86
გიორგი მერჩულე 180
გიორგი მთაწმინდელი 70, 88, 89, 210
გიორგი ჟყონდიდელ-მწიგნობართუხუ-ცესი 26, 27, 56, 57, 58, 59, 62, 79, 284, 285
გიორგი რუსი 158, 160, 161, 163, 166, 168, 170, 171, 172, 173, 229
ვლონისთავისძეები 234
ვორგასალი 119
Гордлевский 317
გრიგოლ ასათისძე 140, 156
გრიგოლ ჰერეთის ერისთავი 175
გრიგოლისძე 149
გრიგოლისძენი 179
გრიგოლის ძე ასამ 64
გრიგოლის ძე შოთა 64
გრიგოლ ხანძთელი 238
ვუზან ტაოსკარელი 77, 78, 100, 133, 156, 162, 163, 164, 165, 166, 174, 175, 199, 321

დადიანი 104, 180, 317
დადიანი ვარდან — იხ. ვარდან დადიანი
დავარი 277, 278, 296, 304
დავით IV აღმაშენებელი 10, 11 25, 26, 27, 28, 30, 31, 32, 33, 34, 37, 39, 40, 42, 43, 44, 46, 47, 48, 49—65, 69, 70, 75, 76, 83, 88, 96, 97, 100, 103, 106, 108, 113, 114, 117, 118, 133, 143, 145, 149, 153, 156, 167, 172, 173, 175, 179, 189, 190—192, 194, 195, 197, 200, 201, 204, 209, 210, 215, 216, 218, 223, 227, 233, 235, 236, 241, 246, 247, 248, 249, 250, 311
დავით ბაგრატის ძე 12
დავით დემეტრეს ძე 145, 246
დავით კურაპალატი 14, 34, 70, 95
დავით სოსლანი 164, 166, 170, 224
დავითის ისტორიკოსი 12, 26, 27, 31, 41, 42. 46, 49, 55, 58, 61, 63, 64, 88, 89, 132, 177, 178, 194, 200, 210, 218, 223, 230
დემეტრე I — 119, 145, 192
დემეტრე, ბაგრატ IV-ის ნახევარძმა 18, 19
დემნა 120, 135, 136, 145, 166, 183, 184, 247
დონაური 83, 104
დულარდუხტ 262, 299

ერეკლე I — 208
ერეკლე II — 86, 106, 110, 116, 121, 209

ვარდანი 104
ვარდან სუანთა ერისთავი 24
ვარდან დადიანი 131, 150, 151, 152, 155, 163, 164, 166, 171, 172, 199
ვარდანისძენი 133
ვაჩნაძე ასათ 86
ვახტანგი, დავით აღმაშენებლის ძე 58.
ვახტანგ VI 182, 209
ვახტანგ ხაჩენელი 175
ვახუშტი 74, 90, 244
Восторгов У. 82

ზანდუკელი 83
ზანქან ზორაბაბელი 158, 220, 317
ზარტიბის ძენი 173
ზაქარია ასპანის ძე 139
ზაქარია მხარგრძელი 96, 104, 150, 163, 172, 175, 187, 217, 224, 227, 228, 229, 231
ზაქარია ვარამის ძე მხარგრძელი 169, 171, 175
ზაქარია ფანასკერტელი 174
ზედგენიძე 197

თამარ მეფე 30, 67, 71, 72, 79, 86, 101, 108, 109, 115, 131, 132, 133, 137, 138, 139, 140, 142, 145, 146, 147, 150, 152, 153, 154, 155, 157, 158, 159, 160, 161, 162, 163, 164, 165, 166. 167, 169, 171, 172, 175, 183, 187. 188, 192, 196, 200, 202, 210, 211, 214, 215, 216, 217, 218,

219, 220, 224, 228, 232, 234, 245, 246, 249, 251
თაყაიდან თმოგველი 175
თეოდორე კათალიკოზი 167, 217
თეოდორე აბულეთის ძე 56, 62
თინათინ 266, 268, 269, 273, 276, 282, 287, 288, 289, 298, 309, 310
თორელები 135
თორელი 148, 170, 180, 199
თორღაისძენი 173
თუმანიშვილი 197
თუმანიანნი 73

იესე ოსეს შვილი 75, 84, 178
ივანე აბაზასძე 16, 17, 95.
ივანე ათაბაგი (მხარგრძელი) — იხ. ივანე მსახურთუხუცესი
ივანე ახალციხელი 175, 217
ივანე ვარდანისძე 169
ივანე ლიპარიტის ძე 22, 24, 63, 145
ივანე სარგისის ძე (მხარგრძელი) 170, 171, 175
ივანე მსახურთუხუცესი (მხარგრძელი) 148, 163, 175, 217, 224, 227, 228, 229, 231
ივანე ორბელი 56, 62
ივანე ყვარყვარე ჯაყელ-ციხისჯვარელი 166, 171
ინგოროყვა პ. 180
იოანე მარუშისძე 104
იოანე მწიგნობართუხუცესი 246
იოანე ხუცეს-მონაზონი 106
იოვანე კათალიკოზი 175
ისაკ ტოლოშელისძე 103

კაკაბაძე ს. 7, 141, 207, 208
კალმახელისძე 149
კალმახელნი 174
კახაბერი 155
კახაბერ ვარდანის ძე 150, 151, 152, 155, 156
კახაბერ, ძე ნიანიასი 63
კახაბერი, ერისთავი რაჭისა 133
კახაბერისძე 149
კახაბერისძეები 216, 234
კახა თორელი 202, 203, 317
კვირიკე კახთა მეფე 62
კონსტანტინე I 82
კონსტანტინე, ბიზანტიის იმპერატორი 16
კონსტანტინე კახა 202, 193
კონსტანტინე (იგივე გიორგი III) 68
კრავაი ჯაყელი 174, 176

ლეონ I 92
ლეონ აფხაზთა ერისთავი 11, 12, 13
ლიონიძე 84, 178
ლიპარიტ ბაღვაში 10, 11, 12, 13
ლიპარიტ რატის ძე 14, 15, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24
ლიპარიტ ლიპარიტის ძე 15
ლიპარიტ ივანეს ძე 25, 58, 62 117, 285
ლეონტი მროველი 45, 93, 201, 210, 233

მაკალათია ს. 141
მაკოიე 87
მალიქშა 24, 63, 64
მარი ნ. 67, 82, 105
Марр Н. 82
მარიამი, ბაგრატ IV-ის დედა 20
მარუშიანი ზვიად 95
მარუშიანი 150, 151, 155
მარუშიანი, ჩუხჩარხი 151
მაყა 169, 171
მახატლის ძე 96, 199
მახატლისძენი 173
მელქისედეკ კათალიკოზი 247
მერჩულე 91
მესხია შ. 7, 141
მირი 12, 214
მირიანისძეები 180
მირმირან 228
მიქაელ მირიანის ძე მწიგნობართუხუცესი, პატრიარქი 67, 131, 151, 154, 229
მოდისტოსი 58, 62
მოორ ტომას 301
მოსე კალანკატუელი 116
მუჰამედ ხორეზმშაჰი 196
მხარგრძელი 153, 169

მხარგრძელნი 93, 135, 146, 162, 186, 199, 221
მხარგრძელი ვარამ 163
მხარგრძელი ზაქარია — იხ. ზაქარია მხარგრძელი
მხარგრძელი ივანე — იხ. ივანე მსახურთუხუცესი მხარგრძელი
მხარგრძელი სარგის 162
მხეიძე 114

ნესტანი 260, 261, 262, 264, 274, 276, 277, 278, 280, 281, 286, 292, 293, 296, 300, 304, 306, 308, 313, 315, 316
ნიანია ქუაბულის ძე 24
ნიკოლოზ 85
ნიკოლოზ გულაბერისძე 229
ნურადინ 312

ოთაღოდ შარვაშისძე 155
ორბელი 30, 178
ორბელნი 135, 145, 180, 246, 247
ორბელი სუმბატ ლიპარიტის ძე 96
ორბელიანი საბა 51
ოსეშვილი — იხ. იესე ოსეს შვილი

პაპიაშვილი 121

ჟორდანია თ. 25, 57, 284

რამაზი 295, 307, 318
რატი ბაღვაში, ლიპარიტის პაპა 16
რატი ლიპარიტის ძე 13, 14, 34, 58, 62, 146
რატი სურამელი 96, 155
როსტომ მეფე 110, 208
როსტევანი 113, 255, 268, 269. 270, 273, 283, 288, 293, 298, 299, 300, 301, 302, 305, 310, 319
როშაქ 85, 263, 264, 286, 303
როჭიკაშვილი 104
რუსთაველი შოთა 69, 82, 86, 89, 113, 202, 237, 253, 254, 301, 306. 310
რუსუდან მეფე 148, 172, 218
რუსუდან თამარის მამიდა 67, 131, 159, 164, 219, 220
რუქნადინი 217

ხაკაძე 84, 178, 197, 317
ხადუნი 178
ხამძივარი 145, 146, 147, 174, 175
ხამძივარი არსენ 147
ხარაჯიშვილი დ. 244
ხარგის მხარგრძელი 150, 156
ხარგის ვარამის ძე მხარგრძელი 170, 173
ხარგის თმოგველი 163
ხარიდანი 310
ხაურმაგ 83, 84
ხღირ კოლონკელის ძე 96, 155
ხღირ მახატლის ძე 77, 175
ხღირისძე 149
ხღირისძენი 133
ხაპაკ ამირა 67
ხარაჯიშვილი დ. 244
ხერაპიონ ზარზმელი 193
ხვიმონ ბედიელ-ალავერდელი 60
ხვიმონ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი 56
ხიდამონიძე 83
ხიხარულიძე იური 207, 208
Скабаланович 107
ხოგრატი 255, 275, 299, 305, 310
ხოსელია გ. 7, 88, 89, 204, 206, 207, 209
ხულა კალმახელი 22, 23, 104
ხულა ჯაყელი 166
ხუმბატ დავითის ძე 61, 143, 201
ხურამელები 180
ხურხაჲ 261, 280, 286, 302, 303, 319, 320

ტალახაძე ი. 208, 209
ტარიელი 175, 225, 227, 262, 265—269, 273, 274—282, 286—292, 294, 295, 296, 299, 300, 302, 304—307, 310—315, 318, 319, 324, 325
ტატიშვილი 83
ტბელი 149

ტბელები 181, 235
ტელემაკ 87
ტოლოშელიძე ისაკ 96

უგრელიძე ნ. 117
უსამი 323
უსენი 113, 258, 316, 320

ფადლონი, განძის ამირა 16, 24
ფალავანდი 77
ფარსადანი 215, 291, 295, 296, 299, 300, 302, 306, 307, 308, 310
ფატმანი 113, 258, 259, 260, 264, 265, 266, 286, 293, 311, 313, 315, 320
ფეროზი 12
ფიცხელაური 83
ფრიდონი 255, 256, 257, 258, 265, 266, 272, 276, 277, 292, 293, 294, 302, 304, 305, 306, 311, 314, 315, 318, 323, 324

ქავთარ ბარამის ძე 63, 64
ქვაბულისძენი 145

ღუდუშაური 83

ყაუხჩიშვილი ს. 180
ყორღანაშვილი 197
ყუბასარ ამირსპასალარი 67, 69, 84, 85, 88, 96, 104, 107, 120, 131, 135, 136, 139, 149, 151, 160, 177, 178, 249, 284
ყუთლუ-არსლანი 32, 67, 78, 82, 96, 101, 104, 120, 131, 132, 135, 138, 140, 141, 142, 144, 147, 148, 150, 152, 155, 157, 161, 165, 167, 174, 176, 177—184, 186, 187, 200, 201, 204, 213, 215, 219, 231, 248, 318

შალვა ახალციხელი 175, 217
შადინი 317
შანიძე აკ. 166, 253
შანშა მხარგრძელი 175
შაპნაეაზი 232
შერმადინი 69, 85, 135, 255, 269, 270, 271, 273, 274, 276, 283, 284—286, 289, 290, 291, 294, 297, 307, 308
შნორქავორი 317
შოთა, ყინვანის მფლობელი 69
შოთა რუსთაველი — იხ. რუსთაველი შოთა

ჩერქეზი 104
ჩოფიკაშვილი 83

ციციშვილი 317
ციციშვილები 104
ცქირი 67

ძაგან აბულეთის ძე 145
ძაგან, ზედაზნის ერისთავი 26, 58, 62
ძამელები 181
ძინიელნი 174

წირქუალელნი 173

ჭავჭავაძე 83, 104
ჭაშნაგირი 258, 293
ჭიაბერი, მეკინიბეთუხუცესი 67, 131, 135, 148 ,151, 153, 158, 170, 172, 175, 199, 217, 229
ჭიაბერისძე 149
ჭიაბერისძენი 135, 173

ხვარაზმშა 279, 286, 294
ხუაშაგი ცოქალი 145, 146
ხურსი 15

ჯაბა 87
ჯავახიშვილი ი. 7, 9, 42, 51, 52, 75, 80, 137, 141, 188, 198, 199, 200, 201, 202
ჯანაშია ს. 75, 104, 176, 245
ჯაფარ, თბილისის ამირა 17, 19
ჯაყელები 188, 317
ჯაყელი ბეშქენ 64
ჯაყელი კრავაი 145, 146
ჯიბღო 116
ჯიქური 84, 178
ჯუანშერი 45, 51, 92, 179, 182, 204

შინაარსი

რედაქციისაგან	5
შესავალი	7
თავი I. მეფისა და დიდგვარიანთა ბრძოლის ისტორია	10
§ 1. მეფისა და დიდგვარიანთა ბრძოლა, ბაგრატ III, გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ის ხანაში	10
§ 2. დავითის ხანა	25
თავი II. სოციალური ურთიერთობა	66
§ 1. უფალი, მონა	66
§ 2. „ერი", „ერის" გადაქცევა „მოლაშქრედ"	70
§ 3. პატრონყმობა, ბატონყმობა	75
§ 4. ზრდილობა, გაზრდილობა	82
თავი III. პოლიტიკური წყობა	90
§ 1. საქართველოს გაერთიანების საკითხები	90
§ 2. ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ევოლუციის საფეხურები	105
§ 3. დარბაზი, დარბაზის ერი	109
თავი IV. ეკონომიკა	112
§ 1. სახელმწიფო შემოსავალი	112
§ 2. მოსახლეობის ეკონომიური კატეგორიები	115
§ 3. ქალაქები, სასახლეები	115
§ 4. ბაეები	121
§ 5. გადასახადების აკრეფის საკითხი	123
§ 6. სოფელი	124
§ 7. ეკონომიკა და პოლიტიკური წყობილების ფორმა	125
თავი V. შინაკლასობრივი ბრძოლა საქართველოში XII-ს. 80-იან წლებში	131
§ 1. თამარის ხელმეორედ კურთხევა	131
§ ძირძველ აზნაურთა გალაშქრება სამეფო კარზე „უგვაროთა" და „უწანოთა" წინააღმდეგ	134
§ 3. ყუთლუ-არსლანის დასის (კარავისელთა) გამოსვლა	140
§ 4. თაშარის ისტორიკოსთა დამოკიდებულება ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლისადმი	157

§ 5. დიდგვარიანთა აჯანყება გიორგი რუსის გასამეფებლად 158
§ 6. ყუთლუ-არსლანის გამოსვლა როგორც დაგვირგვინება დიდ-
გვარიანთა ორსაუკუნოვანი ბრძოლისა ცენტრალურ ხელისუფ-
ლებასთან 176
§ 7. ყუთლუ-არსლანის გამოსვლა და ფეოდალური საქართველოს
პერიოდიზაციის საკითხები 198

თ ა ვ ი VI. თამარის ეპოქა ბასილი ეზოსმოძღვრის მიხედვით 211

თ ა ვ ი VII. საქართველო თამარის შემდგომ ხანაში 234
§ 1. სამეფო კარი. ცვლილებები სოციალურ წყობაში 234
§ 2. საქართველოს კულტურის დაცემა 237
§ 3. მომთაბარეთა შემოტევის შედეგები XIII—XV სს. 238

თ ა ვ ი VIII.

[დ ა მ ა ტ ე ბ ა]

I. საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის შესახებ 243

II. ვეფხისტყაოსანი როგორც საისტორიო წყარო 253
1. სოციალური ტერმინები ვეფხისტყაოსანში 254
2. სახელმწიფოთა ტიპები ვეფხისტყაოსანში 301
3. საჭურჭლე, დავლა, ალაფი 304
4. ვეფხისტყაოსანი ფეოდალის სიმდიდრის შესახებ 311
5. ვეფხისტყაოსანი ქალაქებისა და ვაჭრობის შესახებ 315

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა თ ა ა ხ ს ნ ა 326

ს ა ძ ი ებ ლ ე ბ ი 327

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი მ. ბერძნიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი დ. ბაქრაძე
ტექრედაქტორი ლ. ჯვებენავა
მხატვარი გ. ნადირაძე
კორექტორი ლ. აბჟანდაძე

გადაეცა წარმოებას 8.5.1974; ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.10.1974;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი
21.0; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17.11;

უე 08609; ტირაჟი 2500; შეკვეთა № 1393;

ფასი 1 მან. 86 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19;
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Тип. АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Николай Александрович Бердзенишвили

ВОПРОСЫ ИСТОРИИ ГРУЗИИ

книга VII